ვაჟა
ლორთქიფანიძე

ლამაზი

თბილისი
2018

ნაშრომში განხილულია დემოლოგიის (დემოგრაფიის) აქტუალური საკითხები. გაანალიზებულია საქართველოს მოსახლეობის, აგრეთვე კავკასიისა და მსოფლიოს მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების თანამედროვე ტენდენციები.

წიგნი განკუთვნილია, როგორც სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის, ასევე, მკითხველთა ფართო წრისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი **რევაზ გაჩეჩილაძე**

რეცენზენტი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი, **ანზორ სახვაძე**

შინაარსი

შესავალი 7

თავი I. დემოლოგია, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებათა სისტემა 16

1.1. რა არის დემოლოგია და რას იკვლევს ის? დემოლოგია მულტიდისციპლინური მეცნიერებაა 16

1.2. დემოლოგიური აზრის განვითარების ისტორია 28

1.3. დემოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები 36

1.4. დემოლოგიური კვლევის მეთოდები 42

1.5. ცოტა რამ მოსახლეობის საერთო თეორიიდან 46

თავი II. მოსახლეობის აღწერა. აღწერების ისტორია საქართველოში. საქართველოს მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების ისტორია 53

2.1. მოსახლეობის აღწერა. აღწერების ისტორია საქართველოში 53

2.2. საქართველოს მოსახლეობის დემოლოგიური განვითარება 60

2.3. ტყვეთა სყიდვით გამოწვეული დემოლოგიური შედეგები საქართველოში 70

თავი III. დემოლოგიის ძირითადი ცნებები და კატეგორიები 75

3.1. მოსახლეობა 75

3.2. შობადობა 76

3.3. მოკვდაობა 82

3.4. შობადობასა და მოკვდაობაზე მოქმედი ფაქტორები 84

3.5. ბუნებრივი მატება 87

3.6. ძირითადი დემოლოგიური განტოლება 87

3.7. ასაკი. მოსახლეობის შემადგენლობა ასაკის მიხედვით 90

3.8. მოსახლეობის შემადგენლობა სქესის მიხედვით 95

3.9. ქორწინება. მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურები 100

3.10. მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურა 104

თავი IV. დემოლოგიის ძირითადი კანონები 109

4.1. თაობათა მუდმივი განახლების კანონი 110

4.2. მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრელი ზრდის კანონი 111

4.3. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კანონი 113
4.4. დემოლოგიური დაბერების კანონი 115
4.5. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კანონი 117
4.6. დემოლოგიური კომპენსაციის კანონი 119
4.7. მოსახლეობის დემოლოგიური გადასვლის
(ტრანზიციის კანონი) 120

თავი V. მიგრაციები 126
5.1. მიგრაციების ზოგადი დახასიათება 126
5.2. მიგრაციული გადასვლის კონცეფცია 134
5.3. საერთაშორისო მიგრაციები 136

თავი VI. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 145
6.1. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 145
6.2. აზერბაიჯანელები საქართველოში 147
6.3. სომხები საქართველოში 149
6.4. რუსები საქართველოში 154
6.5. ებრაელები საქართველოში 155
6.6. ბერძნები საქართველოში 155
6.7. ქურთები საქართველოში 156
6.8. ქისტები საქართველოში 156
6.9. გერმანელები საქართველოში 157
6.10. უკრაინელები საქართველოში 157

თავი VII. რეგიონული დემოლოგია 159
7.1. სამცხე–ჯავახეთის დემოლოგიური განვითარება 159
7.2. აფხაზეთის დემოლოგიური განვითარება. აქვს თუ
არა კონფლიქტს აფხაზეთში დემოლოგიური საფუძველი? 175
7.3. ოსების დემოლოგიური განვითარება საქართველოში 192

თავი VIII. კავკასიის მოსახლეობა 206
8.1. კავკასიის მოსახლეობა უძველესი პერიოდიდან
XX საუკუნემდე 206

8.2. კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა, ეროვნული შემადგენლობა და ბუნებრივი მოძრაობა XIX-XX საუკუნეებსა და XXI საუკუნის დასაწყისში 211
8.3. კავკასიელ ხალხთა იძულებითი მიგრაციები (დეპორტაციები) ...218
8.4. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები კავკასიაში. მათი ანატომია 224
8.5. აზერბაიჯანის მოსახლეობა 234
8.6. სომხეთის მოსახლეობა 242
8.7. ჩრდილო კავკასია 248
8.8. ადიღეს მოსახლეობა 250
8.9. დაღესტანის მოსახლეობა 255
8.10 ყაბარდო-ბალყარეთის მოსახლეობა 257
8.11. ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობა 259
8.12. ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მოსახლეობა 262
8.13. ჩრდილო ოსეთის – ალანიას რესპუბლიკის მოსახლეობა 265

თავი IX. მსოფლიოს მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების ტენდენციები..... 269

9.1. მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი დინამიკა უძველესი დროიდან დღემდე 269
9.2. მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკაზე მოქმედი ბუნებრივი მოძრაობის ფაქტორები 277
9.3. მოსახლეობის სტრუქტურისა და ხარისხის რეგიონული თავისებურებები. მოსახლეობის ხარისხის სოციალურ-დემოლოგიური მახასიათებლები 280
9.4. მსოფლიოს მოსახლეობის რასობრივი და ეროვნული (ეთნიკური) შემადგენლობა.....287
9.5. მსოფლიოს მოსახლეობის ენობრივი შემადგენლობა 291
9.6. მსოფლიოს მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა 295
9.7. მსოფლიოს მოსახლეობის განსახლება და ტერიტორიული განლაგება 303

თავი X. მსოფლიოს მოსახლეობის განვითარების ტენდენციები ცალკეული კონტინენტების მიხედვით 307
10.1. ევროპის მოსახლეობა. დემოლოგიური ქცევის ახალი მოდელი ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში 307
10.2. სამხრეთ ევროპის, იტალიისა და ესპანეთის მოსახლეობა 320
10.3. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობა 325
10.4. აზიის მოსახლეობა 327
10.5. აფრიკის მოსახლეობა 331
10.6. ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა 333

თავი XI. დემოლოგიური პოლიტიკა 341
11.1. სოციალური უთანასწორობა 341
11.2. სიღარიბე და საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო 343
11.3. სიღარიბე და სოციალური მობილობა 346
11.4. საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო და სოციალური დახმარება 346
11.5. სოციალური პოლიტიკა, დემოლოგიური პოლიტიკა. მათი მნიშვნელობა სახელმწიფოს უსაფრთხო და მდგრად განვითარებაში 349
11.6. საქართველოს დემოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები 353

ლიტერატურა 358

შესავალი

უნდა დავიწყოთ იმის განმარტებით, თუ რატომ დავარქვით ნაშრომს „დემოლოგია“ და არა „დემოგრაფია“. ქართული ენის შესატყვისი, ზუსტი ტერმინების დადგენა, სრულყოფა და სამეცნიერო ბრუნვაში დანერგვა, ნებისმიერი მეცნიერებისათვის უმნიშვნელოვანესია. ეს მით უფრო აქტუალურია, შედარებით ახალი, მაგრამ უაღრესად სწრაფად განვითარებადი მეცნიერებისათვის – დემოლოგიისათვის. ქართული დემოლოგიური ტერმინოლოგიის შემუშავებასა და სრულყოფას დიდი ღვაწლი დასდო ქართველ მეცნიერთა არაერთმა თაობამ. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი. მან პირველმა გამოაქვეყნა ნაშრომი: „მოკლე დემოგრაფიული ტერმინოლოგია“. აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, რომელმაც შეასრულა მისი მასწავლებლის უკანასკნელი სურვილი და დაასრულა პ. გუგუშვილის მიერ დაწყებული ეკონომიკური და დემოლოგიური ტერმინოლოგიის შედგენა და გამოცემისათვის მომზადება. ლ. ჩიქავას საერთო რედაქციით, 2001 წელს გამოიცა კაპიტალური ნაშრომი „ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია“, რომლის შემდგენელები არიან პ. გუგუშვილი, ვ. ჩანტლაძე, ლ. ჩიქავა, ა. კოშკელაშვილი. ლ. ჩიქავამ 2008 წელს წიგნად გამოსცა მნიშვნელოვანი ნაშრომი და სათაურად წარუმძღვარა „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“. პირველი, ვინც ტერმინი „დემოლოგია“ მე-19 საუკუნის ბოლოს შემოიტანა, იყო ცნობილი გერმანელი მეცნიერი, ერნსტ ენგელი. მაშინ, სამწუხაროდ, ეს ტერმინი ვერ დამკვიდრდა მეცნიერულ ბრუნვაში. უთუოდ იმიტომ, რომ იმ პერიოდისათვის და შემდგომშიც, დემოგრაფია ძირითადად მოსახლეობის სტატისტიკის მნიშვნელობით იხმარებოდა. დემოლოგიური მეცნიერების მზარდი განვითარების კვალობაზე, ის უკვე აღარ კმაყოფილდება დემოლოგიური პროცესების შესახებ მხოლოდ ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებითა და აღწერით. ფართოვდება მრავალმხრივი ფაქტობრივი მასალის ღრმა მეცნიერული კვლევა, ანალიზი, ამ პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გარკვევა. დემოლოგიური და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ურთიერთგავლენის შესწავლა. დღეს უკვე აღარ არის საკმარისი დემოლოგიური მოვლენებისა და პროცესების მხოლოდ ზედაპირული აღწერა, არამედ აუცილებელია მათი შინაგანი ბუნების გააზრება და სხვა მოვლენებთან და ფაქტორებთან ურთიერთობების დადგენა.

ამიტომაც, დღის წესრიგში დადგა საკითხი დემოგრაფიის, დემოლოგიით (demos – ხალხი, logos – მოძღვრება) შეცვლის თაობაზე. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ახალი ტერმინის შემოღების თაობაზე, ჩემთან ერთად არაერთხელ და სხვადასხვა ფორმით გამოთქვეს აზრი პროფესორებმა ლ. ჩიქავამ, ა. თოთაძემ, ა. სახვაძემ და სხვებმა. მიგვაჩნია, რომ მეცნიერების სახელწოდება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს მისი შესწავლის საგანს.

ნაშრომში, დემოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტური და საკმაოდ გავრცელებული ტერმინის „მოსახლეობის აღწარმოება“ („კვლავწარმოება“), ნაცვლად ყველგან ვხმარობთ ტერმინს „მოსახლეობის გამრავლება“. თუმცა, ასეთ ტერმინოლოგიურ ცვლილებას ამ წიგნის რედაქტორი რ. გაჩეჩილაძე არ ეთანხმება. ჯერ კიდევ 15-20 წლის წინ, სხვა ქართველ დემოლოგებთან (ლ. ჩიქავა, ა. თოთაძე, ა. სახვაძე და სხვ.) ერთად, გამოვთქვამდით მოსაზრებას, რომ მოსახლეობასთან მიმართებაში, სიტყვის – „წარმოება“ – ხმარება, ქართული ენის ბუნებისათვის უცხო და შეუთავსებელია. მიგვაჩნია, რომ საუბარი ადამიანის, მოსახლეობის წარმოებაზე (გინდა აღწარმოებაზე და გინდ კვლავწარმოებაზე) მიუღებელია. ის, რაც სავსებით ლოგიკურია მატერიალური წარმოებისათვის, სრულიად მიუღებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროსათვის, როგორიც არის მოსახლეობის განახლება. უთუოდ, აღნიშნული ტერმინები, იმ დროს, უფრო იდეოლოგიური თუ მეცნიერული შეხედულებების გარკვეული ასახვაც იყო. აქ, რუსული თუ ინგლისური ენების გავლენაც იგრძნობა, ყოველ ენას თავისი ბუნება და აზრის გამოხატვის მრავალმხრივი შესაძლებლობებიც გააჩნია. ასევეა ქართული ენაც. მას განვითარების სრულიად უნიკალური ისტორია და განუზომლად დიდი შესაძლებლობები აქვს. ბევრი მათგანი საუკუნეების განმავლობაში ტრადიციებში და წეს-ჩვეულებებშიც არის გამჯდარი. ერთ-ერთ ასეთ მდიდარ, ტევად და ტრადიციულ ქართულ სიტყვად „გამრავლება“ მიგვაჩნია. რატომ არ უნდა ვიხმაროთ ეს სიტყვა „აღწარმოების“ და „კვლავწარმოების“ ნაცვლად? თანაც, ქართველმა ხალხმა ეს უკვე მრავალი საუკუნის წინ გადაწყვიტა და ერთმანეთს ამ სიტყვით ლოცავდნენ და ულოცავდნენ: „გაიხარეთ, იბედნიერეთ და გამრავლდით“; „გისურვებთ ჯანმრთელობას და გამრავლებას“. რაღაც არსად, არასდროს გამიგონია ასეთი დალოცვა: „გაიხარეთ, იბედნიერეთ და აღწარმოვდით (იკვლავწარმოეთ)“; „გისურვებთ ჯანმრთელობას და აღწარმოებას (კვლავწარმოებას)“. ვფიქრობ, ეს კარგი დადასტურებაა იმისა, რომ სიტყვა – გამრავლება იმ

მნიშვნელობით, რომლითაც ჩვენ გვინდა ის დავამკვიდროთ დემოლოგიაში, უკვე საუკუნეებია დაამკვიდრა ქართულმა ენამ, ქართულმა ტრადიციებმა და ქართველმა ხალხმა. სხვა ბევრი არგუმენტი ჩვენ არაერთხელ გამოგვითქვამს და გამოგვიქვეყნებია, მათ წინასიტყვაობაში მეტ ადგილს ვერ დავუთმობთ. ჩვენი ეს მოსაზრება, ხანგრძლივი განხილვისა და კონსულტაციების შემდეგ გაიზიარა არაერთმა ქართველმა ენათმეცნიერმაც. ამიტომ მკითხველის ნებართვით, ჩვენს ნაშრომში ყოველთვის ვიხმართ ტერმინს „გამრავლება“.

დემოლოგიურ მეცნიერებებზე უამრავი, როგორც ქართული, ასევე უცხოური ლიტერატურა გამოქვეყნებულა. გამოცემულია ბევრი უაღრესად საინტერესო და სასარგებლო სახელმძღვანელო (მათი დიდი ნაწილი დასახელებულია გამოყენებული ლიტერატურის სიაშიც). ჩვენ შეძლებისდაგვარად უხვად გამოვიყენეთ ისინი ნაშრომში და ამისათვის ყველა მათ ავტორს, უღრმეს პატივისცემასა და მადლიერებას გამოვუხატავთ. მაინც, ჩვენს ნაშრომში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მომენტი, მიმართულება, რომელიც ჩვენი აზრით, მკითხველს შესაძლებლობას მისცემს დემოლოგიური პრობლემები, ცოტა უფრო განსხვავებული კუთხით, განსხვავებული აქცენტით გაიაზროს. წიგნში შევეცადეთ, უფრო უკეთ დაგვენახა დემოლოგიის კავშირი, ურთიერთმიმართება სხვა მეცნიერებებთან: ეკონომიკასთან, სოციოლოგიასთან, პოლიტიკურ მეცნიერებასთან, ფსიქოლოგიასთან და ა.შ. ჩამოთვლილი მეცნიერებებიდან ჩვენთან გაცილებით უფრო შესწავლილი და გაანალიზებული იყო დემოლოგიისა და ეკონომიკური მეცნიერებათა ურთიერთგავლენა, რადგან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, დემოლოგია უპირატესად ეკონომიკურ მეცნიერებათა წიაღში განიხილებოდა. უდაოა, რომ ამან დემოლოგიას დიდი სიკეთე მოუტანა და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორი მეცნიერების თანამშრომლობა კიდევ უფრო აქტიურად უნდა გაგრძელდეს. ამასთან ერთად, სრულიად ახალი, საინტერესო და პრაქტიკული შედეგების მომტანი უნდა გახდეს დემოლოგიის თანამშრომლობა სოციოლოგიასთან და პოლიტიკურ მეცნიერებასთან. არისტოტელეს განმარტებით, პოლიტიკა არის სახელმწიფოს მართვის ხელოვნება. ე.ი. მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმართებოდეს სახელმწიფო, ე.ი. პირველ რიგში ხალხი, სახელმწიფოს მოსახლეობა. თანაც ისე, რომ ეს მართვა სწორედ მოსახლეობისათვის, ხალხისა და საზოგადოებისათვის იყოს სიკეთის მომტანი. გამოდის, რომ დემოლოგია (მეცნიერება მოსახლეობის შესახებ) და სოციოლოგია (მეცნიერება საზოგადოების განვითარების კანონზომიერე-

ბების შესახებ) მეცნიერებებია იმის შესახებ, თუ ვინ და ვის სასიკეთოდ უნდა მართონ, ხოლო პოლიტოლოგია – მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მართონ, რომ ეს მართვა სიკეთის მომტანი იყოს მოსახლეობისა და საზოგადოებისათვის. მაშასადამე, სრულიად აშკარაა, რამდენად ძირეულად მნიშვნელოვანი, ერთი და იგივე ამოცანები და კვლევის საგნები აკავშირებს ამ სამ მეცნიერებას: დემოლოგიას, სოციოლოგიას და პოლიტოლოგიას. ასევე შეიძლება ითქვას, დემოლოგიისა და გეოგრაფიის, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მჭიდრო კავშირის შესახებაც. ამიტომ, ჩვენ ნაშრომში შევეცადეთ, დემოლოგიურ პრობლემათა განხილვისა და გაანალიზების დროს სწორედ ეს აქცენტები გაგვეკეთებინა. მაინც, უფრო შევეცადეთ დემოლოგიური პროცესები და მოვლენები სოციოლოგიასთან მჭიდრო კავშირში განგვეხილა.

ცნობილია, რომ საქართველო, ეკონომიკური თვალსაზრისით, განვითარებადი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, ხოლო დემოლოგიური თვალსაზრისით, განვითარებული ქვეყანაა. საქართველოს, დემოლოგიური განვითარების ისტორიაც უაღრესად მდიდარი და საინტერესო აქვს. ამას ადასტურებს მრავალი ქართული და უცხოური ისტორიული, არქეოლოგიური თუ ლიტერატურული წყარო. თანამედროვე საქართველოში დემოლოგიური ვითარება, მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო უაღრესად გართულებული, კრიზისულია. ამიტომ ნაშრომის ყველა თავის, ძირითადი დემოლოგიური ცნებების, კატეგორიებისა და კანონების განხილვა, შევეცადეთ მოგვეხდინა დინამიკაში, საქართველოში ისტორიული თუ თანამედროვე დემოლოგიური განვითარების, დემოლოგიური პროცესების ფონზე. ამასთან, დაბეჯითებით მიგვაჩნია, რომ საქართველოში დღეს მიმდინარე მწვავე დემოლოგიური პროცესების და მათი გამომწვევი მიზეზების გაანალიზება, სრულიად შეუძლებელია თანამედროვე მსოფლიოში, სხვადასხვა კონტინენტსა თუ ქვეყანაში მიმდინარე დემოლოგიური პროცესებისა და ტენდენციების, მათი წარმმართველი ფაქტორების გაუთვალისწინებლად, მათგან მოწყვეტით და განცალკევებით. საქართველოში მიმდინარე დემოლოგიურ პროცესებს, მათ გამომწვევ მიზეზებს, მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ მსოფლიოში მიმდინარე დემოლოგიური, თუ უფრო ფართო, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები. შეუძლია ვინმეს ამტკიცოს, რომ მსოფლიოში, ევროპაში თუ სხვა კონტინენტზე მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური პროცესები უდიდეს გავლენას არ ახდენენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებზე? დღეს ბევრი კამათი,

მსჯელობა მიმდინარეობს იმის თაობაზე, სიკეთის მომტანია, თუ ზიანის მომტანია გლობალიზაციის პროცესები. გამოითქმის სხვადასხვა, რადიკალურად ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრებები. მაგრამ ვფიქრობ, ერთ რამეში ყველა თანხმდება – გლობალიზაცია – ეს უკვე რეალობაა. ჩვენ უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურად და პოლიტიკურად გლობალიზებულ სამყაროში ვცხოვრობთ. დღეს ჩვენი კულტურაც გლობალურად წარმოებადი და გლობალურად მოხმარებადია. როგორ შეიძლება თანამედროვე მსოფლიო კულტურა წარმოვიდგინოთ ქართული კულტურის გარეშე, ანდა პირიქით, ქართული კულტურა წარმოვიდგინოთ მსოფლიო კულტურის გარეშე. იგივე შეიძლება ითქვას ქართულ მეცნიერებაზე, ქართულ სპორტზე და ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შესახებაც. მაშ რატომ უნდა დავუშვათ, რომ დემოლოგია და დემოლოგიური მოვლენები გამონაკლისია? ამიტომ, ნაშრომში შევეცადეთ საქართველოსთან ერთად, განსაკუთრებული ადგილი დაგვეთმო კავკასიის რეგიონში, ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე თანამედროვე მწვავე დემოლოგიური ტენდენციების, პრობლემების ანალიზისა და მათი დაძლევის არსებული გამოცდილების გადმოცემისათვის.

დღეს ზოგჯერ ცდილობენ, რომ „ერი“, „ეროვნება“, „ეროვნული კუთვნილება“ წარმოაჩინონ პოლიტიკურად არაკორექტულ ტერმინებად. სინამდვილეში ეს ასე არ არის. დღეს სულ უფრო მეტი დასავლელი და აღმოსავლელი მეცნიერი მიდის იმ აზრამდე, რომ ეროვნებებს შორის განსხვავების პრობლემების განხილვა არაკორექტულ, რასისტულ ხასიათს ატარებს მაშინ, თუ ამ განსხვავების განხილვისას რომელიმე მათგანის უპირატესობას ამტკიცებენ, ან ამტკიცებენ საკუთარ უპირატესობას, განსაკუთრებულობას და ამავდროულად, ამცირებენ სხვა ერს, სხვა ხალხს, სხვა რასას, მათ ღირსებას, მათ თავმოყვარეობას. მაგრამ ეს ტერმინები – ერი, ეროვნული კუთვნილება, ეროვნული შემადგენლობა, და მსჯელობა მათ შესახებ, სრულიად დასაშვებია, როდესაც ამას ვხმარობთ, როგორც გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი, თანამედროვე გენური ინჟინერიის ერთ-ერთი შემქმნელი სტივენ ოპენჰეიმერი ამბობს, „ადამიანთა მოდგმის მრავალფეროვნების პოზიტიური შეფასებისათვის“. ხომ არსებობენ განსხვავებული რასები, ერები, ისინი ხომ სხვადასხვა ენებზე საუბრობენ, სხვადასხვა რელიგიებს მისდევენ. დღესაც ხომ ვითარდებიან ისინი. რატომ უნდა დავხუჭოთ თვალი განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოზე, ისტორიაზე, ამის გამოც წარმოქმნილი ხასიათის, ფსიქოლოგიის, ემოციურ-ფსიქოლოგიური ქცევის, ჩვევების, ტრადიციების დაუსრულებ-

ელ მრავალფეროვნებაზე. მართლაც, რატომ უნდა დავხუჭოთ თვალი ამ დიდებულ, ღვთიურ მშვენიერებაზე. ეს ხომ ჩვენი პლანეტის სიმდიდრეა, ჩვენი რეალური გარემოა. დარწმუნებული ვარ, არამცთუ თვალი უნდა დავხუჭოთ, მათ ნიველირებას შევეცადოთ, არამედ, რაც შეიძლება ღრმად უნდა გავერკვეთ ამ მრავალფეროვნებაში, აღვიქვათ, გავიაზროთ, გავაანალიზოთ ის და ყველაფერი ეს, ხალხის, ადამიანის სასარგებლოდ გამოვიყენოთ. სამყაროს განვითარების პოტენციალის უკეთ გასაგებად, შესაქმნელად და გასანვითარებლად გამოვიყენოთ. ეს, რა თქმა უნდა, ბევრად რთული ამოცანაა. მაგრამ მიმაჩნია, რომ სწორედ ასეთი მიდგომაა სწორი. მრავალფეროვნების ყოველგვარი უგულებელყოფა, ნიველირების მცდელობა, ჩემი აზრით, ყოველთვის პრიმიტივიზმია და ზერელე, სუსტი აზროვნების შედეგი, ან ანგაჟირებული, რაღაც კონიუნქტურული წამხედურობით ნასაზრდოები პოზიცია. კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ, რომ მსჯელობა მოსახლეობის შემადგენლობაზე, ეროვნულ ღირებულებებზე, ეროვნულ ინტერესებზე, სამშობლოზე, სულაც არ არის არაპროგრესულობის მაჩვენებელი. პირიქით, აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სულ უფრო აქტუალური ხდება მთელ მსოფლიოში. ამ საკითხებზე სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს დასავლელი სოციოლოგების, პოლიტოლოგებისა და დემოლოგების კვლევებიც. ამის ერთი დადასტურებაა თანამედროვე დიდი ინგლისელი მეცნიერის ერნსტ გელნერის ახალი და ერთობ საინტერესო თეორია ცივილიზაციის, მსოფლიო საზოგადოების განვითარების ორი ეტაპის შესახებ. საზოგადოების განვითარების ერთერთ უმთავრეს ფაქტორად, ძირითად ელემენტად, იგი ეროვნულ სახელმწიფოს მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, შევეცადეთ ჩვენს ნაშრომში გაგვეანალიზებინა მოსახლეობის დემოლოგიურ განვითარებაში ეროვნული შემადგენლობის არსი და მნიშვნელობა. განსაკუთრებით შევეცადეთ განგვეხილა საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე და ისტორიული ეროვნული შემადგენლობა.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ წიგნში გათვალისწინებული და გამოყენებული გვაქვს ქართველ დემოლოგთა ნაშრომები, რომლებმაც უდავოდ დიდი როლი ითამაშეს საქართველოში დემოლოგიური მეცნიერების განვითარებაში. უნდა გამოვყოთ ვ. ჯაოშვილის, ლ. ჩიქავას, ვ. გუჯაბიძის, რ. გაჩეჩილაძის, ვ. გურგენიძის, ა. თოთაძის გ. მელაძის. ა. სახვაძის, ა. სულაბერიძის, გ. წულაძის, მ. ხმალაძის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული გამოკვლევები. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ჩემი მასწავლებლისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის, ბა-

ტონი ლეო ჩიქავას გამორჩეული დამსახურება ქართული დემოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ის იყო საქართველოში პირველი დემოლოგიური სამეცნიერო დაწესებულების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის – დამაარსებელი და მრავალი წლის განმავლობაში მისი დირექტორი. მეც მხვდა დიდი პატივი, ექვსი წლის განმავლობაში მემუშავა ამ ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად და იქ დამეცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ასევე, უთუოდ გამორჩეულია აკადემიკოს ვახტანგ ჯაოშვილის დამსახურება, როგორც გეოგრაფიული, ასევე, დემოლოგიური მეცნიერების განვითარების წინაშე. დიდი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო პროფ. ანზორ თოთაძის მრავალწლიანი შრომა საქართველოში დემოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისათვის და ასევე მრავალწლიანი ჩვენი მჭიდრო სამეცნიერო თანამშრომლობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შრომები საქართველოს ისტორიული დემოლოგიის მიმართულებით. ჩვენს ნაშრომშიც შევეცადეთ გამოგვეყენებინა აღნიშნული შრომები, რისთვისაც მას განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ.

განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ პროფ. რევაზ გაჩეჩილაძე, რომელმაც დიდი პატივი დაგვდო და სამეცნიერო რედაქტორობა გაუწია ჩვენს წიგნს და ასევე, იმ დიდი და უაღრესად მნიშვნელოვანი მხარდაჭერისათვის, რომელიც მან, პროფ. გიორგი გოგსაძესთან ერთად გაგვიწია 2014 წელს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტში დემოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აღდგენაში. მათი ასეთი მხარდაჭერა დღესაც გრძელდება.

გამორჩეულ მადლობას მოვახსენებ პროფ. ანზორ სახვაძეს წიგნის რეცენზირებისას გამოთქმული შენიშნვებისა და რჩევებისათვის, მოწოდებული მნიშვნელოვანი სამეცნიერო წყაროებისა და ლიტერატურისათვის. და ასევე, იმ აქტიური მხარდაჭერისა და მონაწილეობისათვის, რომელსაც ის იღებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში დემოლოგიის სწავლებასა და დანერგვაში.

ნაშრომში ჩამოყალიბებული ბევრი მოსაზრება, ანალიზი, დაიბადა ათწლეულების განმავლობაში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა დემოლოგიური მიმართულების სალექციო კურსების წაკითხვის პროცესში. ამდენად, უდიდესი მადლიერებით მინდა გავიხსენო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

დემოლოგიური მეცნიერების დანერგვა, დემოლოგიის კათედრის დაარსება და დემოლოგიაში სამაგისტრო პროგრამის შექმნა შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის უდიდესი მონდომებითა და მხარდაჭერით. ამისათვის, დემოლოგიისა და ჩვენს მიმართ ყოველთვის გამოჩენილი ყურადღებისა და მხარდაჭერისათვის, მის მიმართ განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ. გამორჩეული მადლიერებით ვიხსენებთ ასევე, თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელი პრორექტორის, პროფ. თემურ ხუროძის ღვაწლსა და მხარდაჭერას.

სამწუხაროდ, როგორც კათედრამ, ასევე მაგისტრატურამ, რომელთაც საქართველოში სათავე დაუდეს უმაღლესი განათლების მქონე, პროფესიონალი დემოლოგების აღზრდას, იარსება მხოლოდ 2006 წლის აგვისტომდე. შემდეგ, ბევრი სხვა კათედრის, სამეცნიერო დარგებისა თუ მიმართულებების მსგავსად, ისიც, იმ დროინდელ „დიდ რეფორმებს“ შეეწირა. სამწუხაროდ, დღემდე ამისათვის ბოდიშიც კი არავის მოუხდია.

საბედნიეროდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დემოლოგიის, როგორც მეცნიერებისა და სპეციალობის დაბრუნება 2014 წელს მოხდა. გადაუჭარბებლად ვამბობთ, რომ ამის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და მხარდამჭერი, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა იყო. როგორც გამორჩეულ მეცნიერსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელს, მას ძალიან კარგად ესმოდა დემოლოგიის, როგორც მეცნიერების მნიშვნელობა. ამისათვის, გვინდა ბატონი ლადოს მიმართ უდიდესი მადლიერება გამოვხატოთ.

დიდი მადლიერებით გვინდა აღვნიშნოთ ის ყურადღება და ზრუნვა, რომელსაც დემოლოგიის განვითარებისადმი, დემოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისადმი იჩენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მისი ხელმძღვანელობა.

დემოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, სრულიად წარმოუდგენელია სერიოზული და სისტემური სახელისუფლებო მხარდაჭერისა და მონდომების გარეშე. სამწუხაროდ, ეს დიდხანს ასე არ იყო. მით უფრო იმედის მომცემია ის ყურადღება, რომელიც 2013 წლიდან ხელისუფლებამ გამოიჩინა დემოლოგიის მიმართ. საქართველოს პარლამენტის ინიციატივით ჩამოყალიბდა დემოლოგიური განვითარების ფონდი. უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიგვაჩნია, რომ 2016 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ. კონცეფციაში დეტალურად არის გაწერილი, თუ რა ღონისძიებებია

გათვალისწინებული საქართველოში 2030 წლამდე, სათანადო დემოლოგიური პოლიტიკის გასატარებლად. პარლამენტმა შექმნა საქართველოს მოსახლეობის განვითარების ეროვნული საბჭო, პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე“. დიდი მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი და პირადად ბატონი დიმიტრი ხუნდაძე და ასევე, დემოლოგიური განვითარების ფონდის დირექტორი, ქალბატონი თამარ ჩიბურდანიძე.

შესავალი გვინდა დავასრულოთ უღრმესი მოწიწების, უდიდესი პატივისცემის, სიყვარულისა და მადლიერების სიტყვებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მიმართ, რომლის ღვაწლი, ყურადღება და ზრუნვა დემოლოგიური პრობლემების მიმართ, ათწლეულების განმავლობაში სრულიად გამორჩეული და განსაკუთრებულია.

თავი I. დემოლოგია, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებათა სისტემა

1.1. რა არის დემოლოგია და რას იკვლევს ის? დემოლოგია მულტიდისციპლინური მეცნიერებაა

რა არის დემოლოგია? რას სწავლობს დემოლოგია, როგორც მეცნიერება, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებათა მთელი სისტემა? რა პრობლემები დგას დღეს მის წინაშე? რატომ გახდა დღეს დემოლოგია და დემოლოგიური პრობლემები ესოდენ აქტუალური მთელი კაცობრიობისათვის? რატომ აღიარებენ მთელს მსოფლიოში, რომ დღეს ნებისმიერი პროფესიისა და ასაკის ადამიანისათვის აუცილებელია ელემენტარული ცოდნა დემოლოგიაზე, ე.ი. მოსახლეობაზე, მისი განვითარების კანონზომიერებებსა და პრობლემებზე.

აღმოჩნდა, და დღეს უკვე ამაზე აღარავინ დავობს, რომ საზოგადოების განვითარებაზე, ზოგადად, თუ გნებავთ მთელი პლანეტის განვითარებაზე და თავისთავად, ყველა ცალკეული ქვეყნისა და ხალხის განვითარებაზე უაღრესად დიდ გავლენას ახდენენ დემოლოგიური პროცესები, დემოლოგიური მოვლენები და ფაქტორები. ეს ასე იყო წარსულშიც.

დღეს მსოფლიო მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა ქვეყნების, რეგიონების მდგრად განვითარებასა და მოსახლეობას შორის ურთიერთკავშირის მექანიზმების შესწავლა.

დღეს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ დემოლოგიური მახასიათებლების, როგორც ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტების მონიტორინგსა და ანალიზს.

ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოება, პირველ რიგში, მისი მოსახლეობის არსებობასა და განვითარებასთან დაკავშირებული და რისკების შემცირებასა და თავიდან აცილებას გულისხმობს.

გაეროს მიერ გამოცხადებულია 5 გლობალური საფრთხე, რომელიც დღეს პლანეტას ემუქრება, 5 გლობალური პრობლემა, რომელიც დღეს კაცობრიობის წინაშე დგას:

1. ომის საფრთხე და მშვიდობის შენარჩუნება; 2. შიმშილის საფრთხე. ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა (პირველ რიგში კოლონიებსა და ეკონომიკურად განუვითარებელ ქვეყნებში); 3. ენერგეტიკული საფრთხე, რაც ენერგეტიკული რესურსების მზარდი მილევადობით არის გამოწვეული. ენერგეტიკული წყაროებით კაცობრიობის უზრუნველყოფა;

4. ეკოლოგიური საფრთხე და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები; 5. დემოლოგიური საფრთხე, პლანეტის მოსახლეობის სწრაფი, კატასტროფული ზრდა (ეს ზრდა, სხვადასხვა რეგიონისათვის, სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვაა).

დემოლოგია რომ მართლაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კაცობრიობის განვითარების ბედს, ამაში ძალიან იოლად დავრწმუნდებით, თუ კარგად წარმოვიდგენთ, გავიაზრებთ კაცობრიობის ე.წ. „დემოლოგიურ აფეთქებას“, დემოლოგიურ ბუმს. ალბათ სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ: მე-20 საუკუნის – ამ რევოლუციებით დატვირთული საუკუნის – ყველაზე უფრო დიდ და ძლიერ რევოლუციას დემოლოგიური რევოლუცია წარმოადგენდა.

ყველა სხვა პლანეტისაგან განსხვავებით (ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ცნობილი პლანეტებისაგან განსხვავებით), დედამიწას გადაკრული აქვს აფსკი, რომელსაც სიცოცხლეს უწოდებენ. ის ძალიან თხელია, იმდენად თხელი, რომ ალბათ ჩვენი პლანეტის ერთი მემილიარდედიც კი არ არის. ის სხვა პლანეტიდან, ალბათ არც კი გამოჩნდება და სწორედ ამ აფსკის შიგნით თანაარსებობენ მდინარეები, ზღვები, ოკეანეები, მთები, ცხოველები, ფრინველები მწერები და სწორედ აქ სახლობს ადამიანიც, რომელმაც ნახევარი მილიონი წლის წინ მიიღო ჰომოსაპიენსის სახე. მართალია, ის გაჩნდა გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე დედამიწის აფსკის უამრავი სხვა მკვიდრი, მაგრამ, სწორედ ადამიანის გამრავლების და მისი აქტიური მოქმედებების გამო ემუქრება საფრთხე სწორედ ამ თხელ აფსკს.

ცნობილია, მოსახლეობის ასეთმა ზრდამ, მოსახლეობასა და რესურსებს შორის მზარდმა დისბალანსმა როგორ შეაშფოთა თომას მალთუსი (1766-1834). სხვათა შორის, მან, ინგლისელმა მღვდელმა, რომელიც ცხოვრებაში სწორედ რომ კაცთმოყვარეობით და კეთილშობილებით გამოირჩეოდა, თავისი პირველი ცნობილი ესე, რომელმაც მას ასეთი პოპულარობა მოუტანა, დაწერა არა კაცთმოძულეობის გამო, როგორც ამას ასწავლიდნენ საბჭოთა პერიოდში, არამედ იმ მიზნით, რომ უარეყო იმ პერიოდის აზროვნებაში საკმაოდ გაბატონებული არგუმენტები ადამიანის სრულყოფილების შესახებ. ამ ნაშრომის გამოქვეყნების პერიოდში, ე.ი. მე-19 საუკუნის დასაწყისში, პლანეტაზე იყო დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანი. ადამიანთა მოდგმას ასეულ ათასობით წლები დასჭირდა, რომ ამ რაოდენობისათვის მიეღწია. ადამიანთა მოდგმა სულ ცოტა, 1,8 მილიონი წლის წინ უკვე არსებობდა. 1 მილიონი წლის წინ პლანეტაზე დაახლოებით 125 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. 30 ათასი წლის წინ – 1 მილიონი. ე.ი. იმ

დროს მოსახლეობა ათას წელიწადში საშუალოდ 12000 კაცით იზრდებოდა, 1 წელიწადში – 1,25 კაცით. 10 ათასი წლის წინ დაახლოებით 5 მილიონი ცხოვრობდა. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისათვის – დაახლოებით 256 მილიონი. 1000 წელს, ე.ი. ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დასაწყისისათვის – დაახლოებით 900 მილიონი. მე-20 საუკუნის დასაწყისში პლანეტაზე უკვე დაახლოებით 1,2 მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა. აი, მომდევნო 100 წელიწადში კი საოცრება მოხდა. მოსახლეობის ის რაოდენობა, რომლის მიღწევასაც ათასობით საუკუნე დასჭირდა, მხოლოდ 30-40 წლის განმავლობაში გაორმაგდა. XX საუკუნის 30-იანი წლებისათვის მოსახლეობა უკვე 2,5 მილიარდამდე იყო. კიდევ უფრო დიდი საოცრება შემდეგ მოხდა – ეს გაორმაგებული რიცხვი კიდევ გაორმაგდა. ამისათვის კვლავ 30-40 წელი გახდა საკმარისი და 60-იანი წლების დასაწყისისათვის, პლანეტაზე უკვე 5 მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა. ახალი, 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის კი, მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობამ 6,2 მილიარდს მიაღწია. დღეს მსოფლიოს მოსახლეობის წლიური ზრდა დაახლოებით 100 მილიონია (1,5%). როგორია პროგნოზი? დემოლოგებმა შეადგინეს კომპლექსური ფორმულები და მიიღეს შესაძლო ვარიანტები. პირველი ვარიანტით, 2050 წელს დედამიწაზე იქნება 9-10 მილიარდი (ყველაზე დაბალი მაჩვენებელი) ადამიანი, მეორე ვარიანტით – 10-12 მილიარდი (საშუალო) და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 14-15 მილიარდი ადამიანი.

მსოფლიო ბანკის გამოთვლებით, XXI საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობა 10-12 მილიარდი მაინც იქნება. როგორც ვთქვით, ექსპერტების უახლესი მონაცემებით, მოსახლეობა ყოველწლიურად 100 მილიონით იზრდება. ტენდენცია ნათელია. მაშასადამე, დემოლოგიური რევოლუცია გრძელდება. თანაც, მოსახლეობის ზრდაში დიდი რეგიონული არათანაბრობაც არის. მოსახლეობის ზრდა ძირითადად განვითარებად ქვეყნებში ხდება. ზრდის 97% სწორედ ამ ქვეყნებზე მოდის. თუ 1950 წელს აფრიკის პოპულაცია ევროპის პოპულაციის ნახევარი იყო, 1985 წელს ისინი ერთმანეთს გაუთანაბრდნენ, ხოლო 2025 წლისათვის აფრიკის მოსახლეობა ევროპისას 3-ჯერ გადააჭარბებს და იქნება დაახლოებით 1,58 მილიარდი, როცა ევროპის მოსახლეობა 518 მილიონამდე დავა.

საინტერესოა ავხსნათ და პასუხი გავცეთ კითხვებს: რა ფაქტორებმა განაპირობა ასეთი რევოლუცია? როგორია ასეთი აფეთქების სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, გეოგრაფიული და, თუ გნებავთ, ბიოლოგიური მიზეზები და რაც მთავარია, როგორი იქნება მათი შედეგები?

ეს ურთულესი საკვლევი თემაა და ამ პროცესმა შიეძლება ნობელის პრემიის უამრავი ახალი ლაურეატი გააჩინოს. მაგრამ ამ მიზეზების კვლევა ცოტა გადავდოთ და კიდევ ერთხელ დავსვათ კითხვა:

ახდენენ თუ არა ასეთი დემოლოგიური პროცესები გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე, ქვეყნების და საერთოდ მსოფლიო განვითარებაზე და რაც მთავარია, გვაქვს თუ არა ჩვენ, და აქვს თუ არა მათ შორის ისტორიას, პოლიტოლოგიას, სოციოლოგიას, ეკონომიკას ამის არცოდნის, არგათვალისწინების, უგულებელყოფის უფლება?

ავიღოთ თუნდაც, ზემოთ აღნიშნული, მოსახლეობის არათანაბარი რეგიონალური ზრდის პროცესი. სხვადასხვა ხალხი, ქვეყანა, დემოლოგიურად სხვადასხვანაირად ვითარდება. ზოგი – ძალიან სწრაფად, ზოგი – ძალიან ნელა. ასეთი არათანაბრობა იმის მიზეზიც ხდება, რომ სხვადასხვა ერი ერთმანეთს და მოვლენებს სხვადასხვანაირად აღიქვამს. ეს, თავის მხრივ, ზემოქმედებს მათ როგორც საერთაშორისო, ასევე საშინაო პოლიტიკაზე, სოციალურ სტრუქტურებზე, ეკონომიკაზე, მიგრაციის პოლიტიკაზე. დღეს მიმდინარე ტექტონიკურ მიგრაციულ პროცესებს, ადვილი შესაძლებელია, სხვადასხვა სახელმწიფოს დაშლა, შეერთება და ახალი სახელმწიფოების შექმნა მოჰყვეს. ეს მთლიანად შეცვლის ისედაც არამყარ მსოფლიო წესრიგს, გეოპოლიტიკას და გეოსტრატეგიას. როგორ შეიძლება ეს არ გახდეს პოლიტიკოსების, დემოლოგების, პოლიტოლოგების, ეკონომისტების, სოციოლოგების, ისტორიკოსების და სხვა დარგების მეცნიერთა ერთობლივი კვლევის საგანი?

დემოლოგიური პროცესების უდიდესი ზეგავლენის მაგალითად შეიძლება ჩავთვალოთ 1789 წელს საფრანგეთში დაწყებული და შემდეგ, მეზობელ სახელწიფოებსაც მოდებული რევოლუციების ტალღა, რომლებმაც მანამდე არსებული პოლიტიკური რეჟიმები დაამხო. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი, პოლ კენედი თავის წიგნში, „მზადება XXI საუკუნისათვის“, წერდა, რომ ამ რევოლუციების დროს არც იყო საჭირო სტატისტიკის ცოდნა იმის მისახვედრად, რომ საზოგადოებები პოპულაციის ბუმს განიცდიდნენ. XIX საუკუნეში უამრავმა ქვეყანამ განიცადა მოსახლეობის ბუმის ნეგატიური შედეგი. მოსახლეობასა და რესურსს შორის დისბალანსიც იყო იმის საფუძველი, რომ სიღატაკე მოედო როგორც სოფელს, ასევე ქალაქს. სოფლიდან უდიდესი ნაკადი მოაწყდა ქალაქს. არ იყო სამუშაო, საცხოვრებელი ადგილი, არ იყო წყალი, საკვები. რა თქმა უნდა, ლაპარაკი ზედმეტი გახდა ჩაცმა-დახურვაზე, განათლებაზე. ფასები ავარდა პურზე, სხვა აუცილებელ პროდუქტსა და საგანზე. რა თქმა უნდა, წარმოიშვა და

გავრცელდა სრულიად ახალი, მანამდე უცნობი და უძლიერესი სოციალური პროტესტი.

ასეთია მოკლედ დემოლოგიური პროცესების სოციოლოგია, ასეთია მისი პოლიტიკური ასპექტები.

სწორედ ამ და სხვა საკითხებს იკვლევს დემოლოგია. სწორედ ამ ერთიდაიგივე პრობლემების, პროცესების შესწავლისას იკვეთება დემოლოგიისა და ისტორიის, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, როგორც ინტერესები, ასევე შეხედულებები.

დემოლოგიური კვლევის საგანსა და საზოგადოდ დემოლოგიურ პრობლემებში ღრმად გასარკვევად აუცილებელია კარგად გავიაზროთ დემოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ურთიერთმიმართება, გადაკვეთის სფეროები, საერთო კვლევის თემები სოციოლოგიასთან, პოლიტოლოგიასთან, ეკონომიკასთან, მათემატიკასთან, სოციალურ სტატისტიკასთან და სხვა მეცნიერებებთან.

დავიწყოთ დემოლოგიისა და სოციოლოგიის ურთიერთობით.

გავიხსენოთ სოციოლოგიის განმარტება და ის, თუ რას სწავლობს სოციოლოგია. ტერმინი სოციოლოგია შემოიტანა ფრანგმა ფილოსოფოსმა, სოციოლოგიის ფუძემდებელმა ოგიუსტ კონტმა (1798-1857). ეტიმოლოგიურად იგი ლათინური და ბერძნული სიტყვებისაგან შედგება (**Socius**, როგორც ზედსართავი სახელი, ნიშნავს დაკავშირებულს, გაერთიანებულს, ხოლო როგორც არსებითი სახელი, ის ნიშნავს ცხოვრების თანამგზავრს, მეგობარს, მოკავშირეს, მონაწილეს. ბერძნული **logos** – სიტყვას, მოძღვრებას, გონებას). სწორედ ოგ. კონტმა აღნიშნა, რომ დემოგრაფია, ეს არის სოციოლოგია. მასვე ეკუთვნის სიტყვები: „იცოდე – რათა გაიგო, გაიგო – რათა მართო“. სწორედ ეს კრედო ედო საფუძვლად დემოლოგიური პრობლემების მისეულ ანალიზს.

სოციოლოგიის არაერთი განმარტება არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე ზოგადი განმარტებით, სოციოლოგია არის მეცნიერება საზოგადოების ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და განვითარების შესახებ.

სოციოლოგია სწავლობს სოციალურ (ანუ საზოგადოებრივ) ფაქტებს, სოციალურ პროცესებს, სოციალურ ურთიერთობებს. ის სწავლობს ინდივიდების, ანუ ცალკეული პიროვნებების და სოციალური ჯგუფების საქმიანობას, მათ როლსა და სტატუსს, სოციალურ ქცევას.

ინგლისელი ფილოსოფოსი ჰერბერტ სპენსერი (1820-1902) სოციოლოგიას განსაზღვრავდა, როგორც მეცნიერებას საზოგადოების, როგორც მთლიანის ევოლუციის შესახებ“.

გერმანელი მეცნიერის მაქს ვებერის (1864-1920) თანახმად, სოციოლოგია არის მეცნიერება, რომელიც სოციალური მოქმედებების გაგებითა და ახსნით არის დაკავებული.

ე.ი. საზოგადოდ, სოციოლოგია არის მეცნიერება საზოგადოებისა და მისი განვითარების შესახებ.

ცხადია, რომ ამ ორი მეცნიერების კვლევის საგანი ურთიერთიკვეთება და ამიტომ, მათ მიჯნაზე წარმოიშვა ერთი მხრივ სოციოლოგიური დემოლოგია, ხოლო მეორე მხრივ – დემოლოგიური სოციოლოგია. პროფ. ე. კოდუა აღნიშნავს, რომ სოციოლოგიური დემოლოგია სწავლობს დემოლოგიურ ქცევაზე სოციალური, სოციალურ-კულტურული, სოციოფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენას. ამ ფაქტორების გავლენა დემოლოგიურ პროცესებზე უდიდესი და ხშირ შემთხვევაში განმსაზღვრელიც კი არის. მეორე მხრივ კი, დემოლოგიური პროცესები, მოსახლეობის რიცხოვნობა, დინამიკა, სტრუქტურა უდიდეს გავლენას ახდენს სოციალურ პროცესებზე, მათ ცვლილებასა და განვითარებაზე. ზოგადი, ასევე ცალკეული სოციალური მოვლენის შესწავლა უკვე შეუძლებელია დემოლოგიური პროცესებისა და ფაქტორების გავლენის შესწავლისა და შეფასების გარეშე.

ასეთივე მჭიდრო ურთიერთობაა დემოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებებს, პოლიტოლოგიას შორის. პოლიტიკური პროცესების შესწავლა, მათი ანალიზი და შეფასება, მით უფრო – სამომავლო პროგნოზის გაკეთება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სრულიად შეუძლებელია დემოლოგიური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. მეორე მხრივ, დემოლოგიური პროცესების განვითარებაზე ასევე უდიდეს, მაფორმირებელ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური პროცესები და მოვლენები. სწორედ ამ გარემოებამ გახადა აუცილებელი ჩამოყალიბებულიყო დემოლოგიის ისეთი სპეციფიკური და მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორიც არის დემოლოგიური პოლიტოლოგია – დემოპოლიტოლოგია. დემოპოლიტოლოგიური კვლევის გარეშე უკვე შეუძლებელია როგორც პოლიტიკური, ისე დემოლოგიური მეცნიერებების სრულფასოვანი და წარმატებული განვითარება. არისტოტელეს კლასიკური, ყველაზე მარტივი, მაგრამ უაღრესად ტევადი განმარტებით, **პოლიტიკა არის სახელმწიფოს მართვის ხელოვნება**. ამ განმარტებით, პოლიტიკა არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მართო სახელმწიფო, ე.ი. პირველ რიგში ხალხი, სახელმწიფოს მოსახლეობა. თანაც ისე, რომ ეს მართვა სწორედ მოსახლეობისათვის, ხალხისათვის, საზოგადოებისათვის იყოს სიკეთის მომტანი. დემოლოგიუ-

რი მეცნიერების ფუძემდებელი, ჯონ გრუნტი აღნიშნავს, რომ „მართვის ხელოვნება და ჭეშმარიტი პოლიტიკა ის არის, თუ როგორ შევინარჩუნოთ ქვეშევრდომები მშვიდობიანობასა და მრავალრიცხოვნობაში“.

მაშასადამე, დემოლოგია და სოციოლოგია მეცნიერებებია იმის შესახებ, თუ ვინ და ვის სასიკეთოდ უნდა მართონ, ხოლო პოლიტოლოგია – მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მართონ, რომ ეს მართვა სიკეთის მომტანი იყო ხალხის, მოსახლეობისა და საზოგადოებისათვის. აქედან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რამდენად ძირეულად მნიშვნელოვანი ერთი და იგივე ამოცანები და კვლევის საგნები აკავშირებს ამ სამ მეცნიერებას – დემოლოგიას, სოციოლოგიასა და პოლიტოლოგიას. სწორედ ამიტომ ღრმავდება და სულ უფრო მჭიდრო ხდება მათი ურთიერთთანამშრომლობა. უფრო მეტიც, მათი ცალკ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარება სრულიად წარმოუდგენელი ხდება. პოლიტოლოგია სწავლობს პირველ რიგში ისეთ კატეგორიებს, როგორიც არის „ძალაუფლება“, „ხელისუფლება“, „ძალა“. ეს სამი რამ, დღეს, თანამედროვე საზოგადოებაში, კონცენტრირებულია სახელმწიფოსა და სახელმწიფო გაერთიანებებში. ძალაუფლება, ხელისუფლება, ძალა ეყრდნობა სხვადასხვა რესურსს. რესურსებში კი უმნიშვნელოვანესია ტერიტორიის სიდიდე, ბუნებრივი სიმიდრე და რა თქმა უნდა, მოსახლეობის რაოდენობა და მოსახლეობის „ხარისხი“. მოსახლეობის ხარისხის განსაზღვრებისას სარგებლობენ ორი ძირითადი ცნებით: ე.წ. „ადამიანური კაპიტალი“ და ე.წ. „სოციალური კაპიტალი“. სწორედ მოსახლეობა, ქვეყნის მაცხოვრებლები ქმნიან პირველ რიგში ეროვნულ მატერიალურ სიმდიდრეს, ქმნიან კულტურას, ნერგავენ სიახლეს, იხდიან გადასახადებს და რაც ასევე უმნიშვნელოვანესია, იცავენ სამშობლოს.

საუკუნეების განმავლობაში ომები სახელმწიფოებს შორის ძალისა და ხელისუფლების სწორედ ამ ძირითადი რესურსებისათვის მიმდინარეობს.

დემოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური პროცესების სიღრმისეული ახსნა და გაანალიზება შეუძლებელია მათი ერთობლივი, კომპლექსური შესწავლის გარეშე. კომპლექსური შესწავლა კი, შეუძლებელია სისტემური მიდგომის გარეშე. სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური პროცესები ყოველთვის უნდა განვიხილოთ მხოლოდ სისტემური მიდგომის მეთოდით (ასეთ მიდგომას საფუძველი ჩაუყარა ამერიკელმა თეორეტიკოსმა, სოციოლოგმა ტოლკოტ პარსონსმა).

დემოლოგები სწავლობენ დემორეალობას და დემოპროცესებს. დემოლოგიის გარეშე არსებობა არ შეუძლია არცერთ მეცნიერებას.

დემოლოგიური ცოდნა ესაჭიროება არა მარტო ჰუმანიტარულ, არამედ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებსაც.

აშშ-ის ეროვნულმა სადაზვერვო საბჭომ და ექსპერტებმა კაცობრიობის განვითარების გლობალური ტენდენციები, დემოლოგიური ტენდენციები მსოფლიოს განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორთა შორის პირველ ადგილზე დააყენეს. შემდეგ მოდის ბუნებრივი რესურსები, გარემო, მსოფლიო ეკონომიკა, ტექნოლოგიებისა და მეცნიერების განვითარება და კონფლიქტებიც კი. დღეს მსოფლიოში ბრძოლა მიდის არა იმდენად ბუნებრივი რესურსებისათვის (ნავთობი, გაზი, სხვადასხვა ძვირფასი ლითონი), რამდენადაც ადამიანური რესურსებისათვის, ადამიანთა ინტელექტისათვის.

მოდით, ახლა მოკლედ ჩამოვთვალოთ, რას სწავლობს სხვადასხვა სოციალური ანუ საზოგადოებრივი მეცნიერება.

ეკონომისტები სწავლობენ ადამიანთა შორის ურთიერთობებს წარმოების, განაწილების, გაცვლის, მატერიალური კეთილდღეობის მოხმარების სფეროში.

იურისტები სწავლობენ სამართლებრივ ურთიერთობებს, ანუ ურთიერთობებს, რომლებიც კოდიფიცირებულია, ჩამაგრებულია სამართლებრივ აქტებში, ან ჩვეულებებში, ტრადიციებში.

ეთნოლოგები იკვლევენ ეროვნულ თავისებურებებს.

ეს ჩამონათვალი შეიძლება გავაგრძელოთ.

რას სწავლობენ დემოლოგები? რა არის მოვლენების, პროცესების, ურთიერთობების ის კომპლექსი, რომელსაც სწავლობს დემოლოგია? რა აინტერესებთ ყველაზე მეტად დემოლოგებს?

სხვადასხვა დემოლოგი ამ კითხვაზე სხვადასხვანაირად პასუხობს, მაგრამ რა არის ის საერთო, ის ძირითადი, რომელსაც ყველა აღნიშნავს?

მე-20 საუკუნის შუა წლებში დემოლოგების ნაწილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დემოლოგია სწავლობს არა მარტო მოსახლეობის რაოდენობის დინამიკას, არა მხოლოდ მოსახლეობის სხვადასხვა სტრუქტურას და მათ განაწილებას ამა თუ იმ ტერიტორიაზე, არამედ რაღაც ისეთსაც, რომელსაც არ სწავლობს არცერთი სხვა მეცნიერება.

არსებობს საერთო ხედვა, შეთანხმება, რომ მხოლოდ დემოლოგიის საგანია მოსახლეობის მუდმივი განახლება, ანუ მოსახლეობის რიცხოვნობის მუდმივი აღდგენის და განახლების, მისი სტრუქტურების მუდმივი განახლების პროცესი. და ეს პროცესი მიმდინარეობს თაობათა მუდმივი ცვლილების, დაბადებისა და გარდაცვალების, შობადობისა და მოკვდაობის პროცესების გზით.

სწორედ ეს არის ის ძირითადი საკითხი, რომელსაც სწავლობს მხოლოდ დემოლოგია, დემოლოგიური მეცნიერება.

მაგრამ დემოლოგმა არა მხოლოდ უნდა აღწეროს, არამედ უნდა გამოიკვლიოს, გაიგოს, გააანალიზოს, როგორ, რა მიზეზით ხდება მოსახლეობის რაოდენობრივი თუ სტრუქტურული ცვლილება. როგორ ხდება, რომ მოსახლეობის მუდმივი, თითქმის ყოველწამიერი ცვლილების პროცესში მოსახლეობა ინარჩუნებს თავის თავს, რაოდენობას, რას ნიშნავს და როგორ მიმდინარეობს თაობათა ცვლის პროცესი. რა სოციალური პროცესია ეს? ე.ი. მოსახლეობა დემოლოგს სწორედ ამ სოციალური პროცესის თვალსაზრისით აინტერესებს.

კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ნებისმიერი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური პროცესის შესწავლა შეუძლებელია დემოლოგიური ფაქტორის გავლენის შესწავლის გარეშე. სწორედ ეს დემოლოგიური ფაქტორები აწესებს იმ გარე პარამეტრებს, იმ, ასე ვთქვათ, გარე ჩარჩოებს, რომლის შიგნითაც ვითარდება ესა თუ ის სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესი.

დემოლოგიური პროცესებით განპირობებული პარამეტრების, მონაცემების ცოდნა აუცილებელია სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების მართვისათვის ყველა დონეზე: საწარმოთა, ზოგადად ბიზნესის მართვის დონეზე (მით უფრო, დიდი ბიზნესისათვის), რეგიონალურ დონეზე და რა თქმა უნდა, მით უმეტეს, მთელი სახელმწიფოს მართვის დონეზე.

საინტერესოა ამ მხრივ დომინიკ კოლას განმარტება.

პარიზელი პროფესორი დომინიკ კოლა (ის პოლიტიკური სოციოლოგიის ერთ-ერთი კარგი მკვლევარია) ძალიან საინტერესო განმარტებას გვაძლევს პოლიტიკური მეცნიერების შესახებ. ის თვლის, რომ „პოლიტიკური მეცნიერება“ მოხაზავს დისციპლინებს, რომელთაც „კამერულს“ უწოდებს, ვინაიდან მათი დანიშნულებაა შეუქმნან პოლიტიკურ ხელმძღვანელებს ადმინისტრირების საშუალება. სწორედ ასე გაჩნდა XVII საუკუნეში გერმანიაში „სტატისტიკა“, როგორც მეცნიერება. უფრო სწორად, როგორც კოლა არქმევს, „სახელმწიფო მეცნიერება“ მოსახლეობის აღრიცხვიანობაზე. და ეს მეცნიერება ხელს შეუწყობდა მთავრობას, პოლიტიკოსებს, უკეთ გაეანალიზებინათ პროცესი, მიეღოთ უკეთესი გადაწყვეტილებები და გაეკონტროლირებინათ ხალხი.

მაშასადამე, ეს და ასეთი მეცნიერებები, „კამერული“ მეცნიერებები, საშუალებას აძლევს არა მხოლოდ პოლიტიკოსებს და მთავრობებს, არ-

ამედ ყველას, ვისაც ამის სურვილი აქვს და მით უმეტეს, ვისაც ევალება, სრულად, სისტემურად გააანალიზოს ის პოლიტიკური პროცესები, მოვლენები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში, მის ცალკეულ რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარეობს. შემთხვევით არ ვახსენეთ „ვისაც ევალება“, იმიტომ, რომ ბევრი, ვისაც მართლაც ევალება პოლიტიკაში ჩარევა თუ პოლიტიკასთან შეხება და ეს მხოლოდ ცოდნით, პროფესიულად უნდა გააკეთოს, ამას აკეთებს უვიცად, ზედაპირულად, ყოველგვარი მეცნიერებისა და მეცნიერულობის გარეშე. სამწუხაროდ, უპირველეს ყოვლისა ეს ეხებათ პოლიტიკოსებს, ძალიან ბევრს, ვინც ქვეყნის მართვაშია ჩართული. ეს ეხებათ იმ ჟურნალისტებსაც, ვინც ვითომ აშუქებს და აანალიზებს პოლიტიკურ პროცესებს და ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევა. უნდა ვეცადოთ, რომ ეს არ შეეხოს თავად პოლიტოლოგებს, სოციოლოგებს. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ პოლიტოლოგმა, სოციოლოგმა იცოდეს, ყოველ შემთხვევაში წარმოდგენა ჰქონდეს აღნიშნულ „კამერულ“ მეცნიერებებზე, მომიჯნავე მეცნიერებებზე, იმ მეცნიერებებზე, რომლებთანაც ერთობლივი კვლევის გარეშე სრულიად შეუძლებელია სრულყოფილი პოლიტოლოგიური, სოციოლოგიური კვლევა. ამის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს მართვა.

მართლაც, მოსახლეობის შემადგენლობა, სტრუქტურა, დინამიკა, დემოლოგიური პროცესები სოციალური ცვლილებების უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. ნებისმიერი სოციალური მოვლენის შესწავლა შეუძლებელია დემოლოგიური ფაქტორებისაგან მოწყვეტით. მოკლედ, როგორც დემოლოგს არ შეუძლია სოციოლოგიის გარეშე აწარმოოს სრულფასოვანი კვლევა თავის სფეროში, ასევე სოციოლოგს არ შეუძლია დემოლოგის გარეშე აწარმოოს სრულფასოვანი სოციოლოგიური კვლევა. ასევე არ შეუძლია პოლიტოლოგსა და დემოლოგს, ეკონომისტსა და დემოლოგს ერთმანეთის გარეშე აწარმოოს სერიოზული კვლევა თავიანთ სფეროებში და ა.შ.

მოდით ახლა, ამ დიდი და ზოგადი შესავალის შემდეგ, უფრო კონკრეტულად მივუბრუნდეთ იმას, თუ რა არის დემოლოგია, რას სწავლობს ის, რას წარმოადგენს დემოლოგიური პროცესი, პროცესები, რა კავშირი აქვთ მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ პროცესებთან და როგორ განაპირობებენ ეს პროცესები ერთმანეთს, ან როგორ ზემოქმედებს დემოლოგია პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, სოციალურ ცხოვრებაზე და პირიქით – რა გავლენას ახდენს პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციალური ყოფა დემოლოგიაზე, და რაც მთავარია, რას ნიშნავს ეს ყველაფერი ქვეყ-

ნისათვის, კაცობრიობისათვის, როგორ განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ეს, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, ქვეყნისა და კაცობრიობის, მთელი პლანეტის ბედს.

მაინც რა არის უფრო ზუსტად დემოლოგია და როგორია ამ მეცნიერების საზღვრები? სად გადის საზღვარი თვითონ დემოლოგიასა და სხვა მეცნიერებებს შორის? რას სწავლობს საკუთრივ დემოლოგია?

ყველაზე ზოგადი განმარტებით, დემოლოგია არის მეცნიერება მოსახლეობის შესახებ. არსებობს დემოლოგიის განმარტების სხვა არაერთი მცდელობა, სხვა არაერთი განმარტებაც. მათ შორის ძალიან საინტერესოდ და ბევრის მომცველად მიგვაჩნია კრისტოფ ვანდესკრიკის განმარტება. ცნობილი ფრანგი მეცნიერი და თანამედროვე დემოლოგიური ანალიზის თვალსაჩინო წარმომადგენელი დემოლოგიას ასე განმარტავს:

„დემოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებებს განსაზღვრულ ტერიტორიაზე და განსაზღვრულ სოციალურ კონტექსტში“.[24]

საყურადღებოა, რომ ვანდესკრიკის აზრით, მოსახლეობა სტატისტიკური თვალსაზრისით შეიძლება განისაზღვროს, როგორც ინდივიდებისა და იმ საგნების ერთობლიობა, რომელთა ბუნება შეიძლება უაღრესად მრავალფეროვანი იყოს: ავტომანქანები, ვაშლები, სკამები, ელექტრონათურები, „ადამიანები“... დემოლოგიის ზემოთ მოყვანილი კ. ვანდესკრიკის განმარტებიდან გამომდინარე, მოსახლეობას შეიძლება სამი მახასიათებელი ჰქონდეს:

– მოსახლეობას უნდა იყოს ადამიანთა ერთობლიობა;

– მოსახლეობას უნდა ჰქონდეს საკუთარი ტერიტორია;

– მოსახლეობას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული სოციალური აზრი.

ვნახოთ უფრო კონკრეტულად, რას ნიშნავს თითოეული მათგანი. მოსახლეობის შესწავლის დროს დაკვირვების ერთეულები უნდა იყვნენ ***ადამიანები.*** დემოლოგია, რა თქმა უნდა, სწავლობს ადამიანებს, მათ ერთობებს, ადამიანთა პოპულაციებს. ამასთან, დემოლოგიური კვლევისა და ანალიზის მეთოდები შეიძლება გამოყენებული იყოს არა მხოლოდ ადამიანთა პოპულაციების, არამედ სხვა პოპულაციების შესასწავლადაც. ამას კ. ვანდესკრიკი მოსახლეობის ადამიანურ ხასიათს უწოდებს.[24] მოსახლეობის ტერიტორიული შემოსაზღვრულობა ნიშნავს იმას, რომ მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული ტერიტორია. მოსახლეობა შედგება სწორედ იმ ინდივიდთა ერთობლიობისაგან, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

და ბოლოს, რას ნიშნავს განსაზღვრული სოციალური აზრი, სოციალური მნიშვნელობა. შესასწავლი მოსახლეობა ფართო გაგებით აუცილებლად უნდა ხასიათდებოდეს გარკვეული სოციალური ერთიანობით. ადამიანები სხვადასხვა ნიშნითა და კრიტერიუმით აუცილებლად უნდა იყვნენ გაერთიანებულნი რაღაც ერთ ფენად, ერთ ჯგუფად.

დემოლოგია, როგორც მეცნიერება, არა მხოლოდ აღწერს, არამედ უპირველეს ყოვლისა ცდილობს გაიგოს და ახსნას რა არის მოსახლეობა, რა ცვლილებები და პროცესები მიმდინარეობენ მასში. რა მიზეზები და როგორ განაპირობებენ ამ ცვლილებებს.

უკვე მე-20 საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა ხედვა იმისა, რომ დემოლოგია არ შემოიფარგლება მხოლოდ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური აღწერით. მისი ამოცანაა შეისწავლოს ის საგანი, რომელსაც არ სწავლობს არცერთი სხვა მეცნიერება. კერძოდ, შეისწავლოს ის, თუ როგორ ხდება მოსახლეობის თაობათა ცვლა. რა ზოგადი კანონზომიერება განაპირობებს მსოფლიოს მოსახლეობის მუდმივ და უწყვეტ გამრავლებას. უფრო კონკრეტულად, დემოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, შეისწავლის იმას, თუ რა სოციალური პირობები და მოვლენები განაპირობებს მოსახლეობის შობადობას, მოკვდაობას, ქორწინებას, განქორწინებას (როგორც ვიცით, ამ სოციალურ პროცესებს დემოლოგიაში მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას უწოდებენ). დემოლოგია, ასევე იკვლევს მოსახლეობის სქესობრივ, ასაკობრივ, ქორწინებით, საოჯახო სტრუქტურას, მათი ჩამოყალიბებისა და ცვლილების გამომწვევ ფაქტორებს. ის, ასევე იკვლევს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას.

ბუნებრივი მოძრაობის გარდა, მოსახლეობის რიცხოვნობას, შემადგენლობას, მისი სტრუქტურის ცვლილებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ის, რასაც მოსახლეობის მექანიკურ მოძრაობას უწოდებენ – ეს არის მისი მიგრაცია, ტერიტორიული გადაადგილება და განსახლება.

მოსახლეობის ქვეშ ზოგადად ესმით ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ცხოვრობს რომელიღაც ტერიტორიაზე (გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ერთობლიობა). მოსახლეობის ამგვარ განმარტებაში იგულისხმება ორი ასპექტი: რაოდენობრივი და ტერიტორიული. პირველში იგულისხმება, რომ მოსახლეობა არის ადამიანთა რაღაც ერთობლიობა, ხოლო მეორეში იგულისხმება, რომ მოსახლეობა აუცილებლად დაკავშირებულია რაღაც ტერიტორიასთან. ის დასახლებულია რაღაც ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა, დემოლოგიურ მეცნიერებაში მნიშვნელოვანია მოსახლეობის რაოდენობრივი მახასიათებლები. მაგალითად, რამდე-

ნია მთლიანად დედამიწის, ცალკეული კონტინენტის, რეგიონის, ქვეყნის, ქალაქის, სოფლის და ა.შ. მოსახლეობა. ასევე მნიშვნელოვანია როგორ და რა სიჩქარით იცვლება ეს რაოდენობა, როგორია და როგორ იცვლება მოსახლეობის სქესობრივი, ასაკობრივი, ეთნიკური და ა.შ. შემადგენლობა. ამავე დროს, დემოლოგიისათვის, როგორც იმ მეცნიერებისათვის, რომლისთვისაც სტატისტიკური მონაცემების გარდა მნიშვნელოვანია იმის სიღრმისეული ცოდნაც, თუ როდის, რა შემთხვევაში და რა ფაქტორების გავლენით იცვლება ეს სტატისტიკა, აუცილებელია იმის შესწავლაც, თუ როგორ, რა მექანიზმებით ხდება მოსახლეობის თაობათა მუდმივი განახლება, მუდმივი მონაცვლეობა. მაშასადამე, კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ მოსახლეობა დემოლოგს უპირველეს ყოვლისა აინტერესებს გამრავლების თვალსაზრისით. მოსახლეობის გამრავლების ეს სოციალური პროცესია სწორედ დემოლოგიის განსაკუთრებული ინტერესის საგანი. სხვა მეცნიერებებისაგან დემოლოგიას განასხვავებს სწორედ დაინტერესება იმით, თუ რა მიზეზები განაპირობებს მოსახლეობის გამრავლების უნარსა და პოტენციას.

დემოლოგიისათვის მოსახლეობა უპირველეს ყოვლისა არის ადამიანთა თვითგამრავლებადი, თვითგანახლებადი ერთობლიობა.

1.2. დემოლოგიური აზრის განვითარების ისტორია

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ დემოლოგიური მეცნიერება არ იყო ჩამოყალიბებული და ტერმინი დემოლოგიაც არ არსებობდა, დემოლოგიური პრობლემატიკა, ხალხთა რიცხოვნობის, გამრავლების, მოსახლეობის შემადგენლობის პრობლემები ყველა ქვეყნისათვის უაღრესად აქტუალური იყო. ამ პრობლემებს იკვლევდნენ და თავიანთ მოსაზრებებს, პრაქტიკულად დემოლოგიურ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ უძველესი მოაზროვნეები. ამ საკითხზე პოლემიკა, განსჯა, უძველეს პერიოდშივე აქტუალური და, თუ გნებავთ, მოდურიც იყო. თუ ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ ბევრი დემოლოგიური მოსაზრება აქვთ გამოთქმული უძველესი აღმოსავლეთის მოაზროვნეებს – ბუდას, კონფუცის.

ჯერ კიდევ უძველეს შუმერულ ეპოსში ვხვდებით დემოლოგიურ პრობლემებს, გამრავლების პრობლემებზე მსჯელობას. დიალოგში გილგამეშსა და ენქიდუს შორის ვკითხულობთ: „ვინც ერთი ძე შვა, თუ ნახე? ვნახე ქვესკნელში მხოლოდ პურს შეექცევა. ვინც სამი ძე შვა, თუ ნახე?

ვნახე მხოლოდ პურს შეექცევა. ვინც ოთხი – საჭმელ-სასმელით იხარებს გულს. ვინც შვიდი ძე შვა – ღმერთებთან სიახლოვით ნეტარებს იგი.“ დემოლოგიური იდეები, შეხედულებები, ადამიანის, მოსახლეობის წარმოშობასა და განვითარებასთან დაკავშირებული კითხვები ჯერ კიდევ ჩვ.წ.ა-მდე VIII-VII საუკუნეებში გადმოგვცა ჰესიოდემ. ხოლო ძვ.წ.ა. VII-VI საუკუნეებში ათენის მმართველმა სოლონმა დაწერა კანონები, რომლებშიც დემოლოგიურ პრობლემებსა და პროცესებსაც შეეხებოდნენ. ანტიკური ხანის უდიდესი ფილოსოფოსი თალესიც (ძვ.წ.ა. დაახლ. 625-547 წწ.) ეხებოდა დემოლოგიის, მშობლებისა და შვილების ურთიერთობის საკითხებს. „როგორ შენატანსაც შეიტან მშობელში – იმდენივე ამოიღე ბავშვებიდან“ – წერდა იგი. ჯერ კიდევ „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტე (ძვ.წ.ა. დაახლ. 490-425 წწ.) ცდილობდა, თავის ნაშრომებში მოეცა მოსახლეობის თვისებრივი დახასიათება. ამას ის აკეთებდა მრავალი ქვეყნის მოსახლეობის შესწავლის, მათი შემადგენლობის განსახლებისა და რაოდენობის ანალიზის საფუძველზე.

ჩვენი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეებში რომაელი იურისტი დომიციუს ულპიანე შეეცადა გამოეთვალა ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ამისათვის სპეციალური ცხრილიც კი შეადგინა.

ცალკე და განსაკუთრებულად გამოყოფის ღირსია ანტიკური პერიოდის ისეთი უდიდესი მოაზროვნეების დემოლოგიური მოსაზრებები, როგორებიც იყვნენ სოკრატე (ძვ.წ.ა. დაახლ. 470-399 წწ) და არისტოტელე (ძვ.წ.ა. 384-322 წწ).

დემოლოგიური აზრის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ჯ. მილტონმა (1608-1674 წწ), შ. მონტესკიემ (1689-1755 წწ), ა. სმიტმა (1723-1790 წწ), თ. მალთუსმა (1773-1834 წწ), დ. რიკარდომ (1772-1823 წწ), ს. დე-სისმონდმა (1773-1834 წწ), ჯ. მილმა (1806-1873 წწ), ე. დიურკჰეიმმა (1858-1917 წწ), მ. ვებერმა (1864-1920 წწ).

პლატონი თავის ნაშრომებში – „სახელმწიფო“ და „კანონები“ – განიხილავს სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის პროექტებს და უმნიშვნელოვანესად მიაჩნია ქვეყნის მოსახლეობის რიცხვის სწორად განსაზღვრა. მოსახლეობის რიცხვის მეტისმეტი ზრდა მას სახელმწიფოსათვის მეტად სახიფათოდ მიაჩნდა. ჭარბმოსახლეობასთან ბრძოლის საშუალებად ის სპეციალური კოლონიების ორგანიზებას სთავაზობდა. პლატონი განსაზღვრავდა იდეალური ქალაქ-სახელმწიფოს მოსახლეობის რიცხვს და თვლიდა, რომ ის დაახლოებით 5 ათასი თავისუფალი მოსახლის ტოლი უნდა ყოფილიყო. რიცხოვნობის რეგულირებისათვის ის სთავაზობდა დაედგინათ ქორწინები-

თი ურთიერთობის ნორმები. მაგალითად, ვაჟებს შვილები ყოლოდათ მხოლოდ 30-დან 55 წლამდე ასაკში. პლატონი იდეალურად თვლიდა პირველყოფილ თემურ წყობილებას და ამბობდა, რომ ის ასე ხანგრძლივად არსებობდა მხოლოდ მოსახლეობის მცირერიცხოვნობის გამო.

თავის ადრეულ ნაშრომებში პლატონი ქადაგებდა, რომ ყველა ქალი საერთოა ყველა მამაკაცისათვის და ასევე საერთოა ბავშვებიც. ეს კი ნიშნავს ოჯახის, როგორც უდიდესი სიკეთის გაუქმებას. ნაშრომში „სახელმწიფო“, ის აღნიშნავდა, რომ „ყველა ცოლი უნდა იყოს საერთო და ცალკე, დაე ნურც ერთი ნურავისთან ნუ იცხოვრებს. ბავშვებიც უნდა იყვნენ საერთო და დაე მამამ არ იცოდეს რომელი ბავშვია მისი, ხოლო ბავშვმა – ვინ არის მამამისი“.

პლატონის ამ მოსაზრებას თავის „პოლიტიკაში“ აკრიტიკებდა არისტოტელე. ის მიიჩნევდა, რომ ცოლებისა და ბავშვების ეს საერთოობა, ე.ი. ყველას ასე ერთ ოჯახად გაერთიანება, სახელმწიფოს გაუქმებამდე მიგვიყვანდა, იმის საპირისპირო შედეგებამდე, როგორსაც ამას პლატონი ვარაუდობდა.

თავის გვიანდელ ნაშრომში – „კანონები“ – პლატონმა ეს შეხედულება რადიკალურად შეცვალა.

პლატონი გამოდის დიდი საქორწინო ნადიმების წინააღმდეგ. ის თვლის, რომ საჭიროა ამ ნადიმებზე მოვიპატიჟოთ არა უმეტეს ხუთი მეგობრისა და ნათესავისა ორივე მხრიდან, რათა ხარჯები დიდი არ იყოს.

საერთოდ, პლატონს გამოთქმული აქვს ბევრი ისეთი სხვა მოსაზრებაც, რომელიც დღეს ძალიან უცნაურად გვეჩვენება და ალბათ, არ დავეთანხმებით. მაგალითად, პლატონი მადლიერებას გამოხატავს ღმერთებისადმი, მისთვის ბოძებული რვა წყალობის გამო. პირველ წყალობად ის მიიჩნევს იმას, რომ ღმერთებმა მას მისცეს შესაძლებლობა დაბადებულიყო თავისუფალი და არა მონა. მეორე წყალობად ის იმას მიიჩნევს, რომ დაიბადა კაცად და არა ქალად. ის თვლიდა, რომ „ქალის ბუნება თავისი ღირსებით კაცისაზე უარესია“. მაგრამ ამავე დროს, ის უკვე წერს ქალებისა და კაცების უფლებების თანასწორობაზე. ქორწინებითი არჩევანის უფლებას ის აძლევდა არა მხოლოდ კაცებს, არამედ ქალებსაც. ამას ის ამბობდა იმიტომაც, რომ მისი აზრით, ქორწინება სასარგებლო უნდა ყოფილიყო სახელმწიფოსათვის.

ასევე, განსაკუთრებით საინტერესოა არისტოტელეს შეხედულებები. ისიც თვლიდა, რომ იდეალურია სახელმწიფო მოსახლეობის მცირე რიცხვით, რომ მოქალაქეთა მცირერიცხოვნობა ხელს უწყობს სოციალუ-

რი ჰარმონიის წარმოშობას, რომელიც შეუძლებელია მრავალრიცხოვნობისა და სიჭარბის პირობებში. პლატონისაგან განსხვავებით, ის ბევრად უფრო მკაცრი იყო და თუ პლატონი ჭარბმოსახლეობის დასაძლევად მხოლოდ კოლონიზაციის, ანუ გადასახლებათა ორგანიზაციის მომხრე იყო, არისტოტელე თავაზობდა ახალი ნაყოფის მოკვდინებას, მოკვდინების დაკანონებას, ე.ი. თანამედროვე ენაზე – აბორტებს. არისტოტელეს ეს შეხედულებები ბევრისთვის უცნობია და რატომღაც კაცთმოძულედ მალთუსია მონათლული. არისტოტელე ამბობს, რომ თუ ამის გაკეთების საშუალებას არ იძლევა სახელმწიფო წესები, მაშინ საზოგადოებამ თითოეული ოჯახისთვის უნდა დააწესოს ბავშვების განსაზღვრული რაოდენობა.

მოსახლეობის ზრდას არისტოტელე აუცილებლად უკავშირებს ქვეყნის ტერიტორიის სიდიდეს, რომელიც გამოკვებისათვის არის აუცილებელი.

როგორც პლატონი, არისტოტელეც მოსახლეობის რაოდენობას ქონების პრობლემას უკავშირებს. ის თვლიდა, რომ მცირერიცხოვან სახელმწიფოში ან ოპტიმალური რიცხოვნობის სახელმწიფოში, გაჭირვებული არავინ არის, რადგან ქონება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით იყოფა, მაგრამ მოსახლეობის ნამატს აღარ ექნება არავითარი ქონება. ამის გაუთვალისწინებლობა აუცილებად გახდება მოქალაქეთა გაღატაკების მიზეზი. გაღატაკება კი აჯანყებებსა და ბოროტმოქმედებას იწვევს. ამ პრობლემის დასაძლევად, როგორც ვთქვით, არისტოტელე შობადობის შეზღუდვას მიიჩნევს სწორად და არა ქონებისას.[65]

ქონებას რაც შეეხება, არისტოტელე, ისევე, როგორც პლატონი, დასაშვებად თვლის ყოველი ქონების ხუთჯერ მატებას. ამასთან, არცერთ მოქალაქეს არ უნდა ჰქონოდა ისეთი ქონება, რომელიც ხუთზე მეტად გადააჭარბებდა ყველაზე ღარიბის ქონებას.

არისტოტელე იზიარებს ჰიპოდამე მილეტელის (V საუკუნის ათენელი არქიტექტორი) მოსაზრებებს, რომ სახელმწიფო უნდა შედგებოდეს 10 000 მოქალაქისაგან და უნდა დაიყოს სამ ნაწილად: 1) ხელოსნები, 2) მიწათმოქმედნი, 3) სახელმწიფოს მცველები და იარაღის მქონე მოქალაქეები. ძველ აღმოსავლეთში, მაგალითად, ინდოეთში, ასეთი ტრადიციული დაყოფა იყო: საზოგადოება ოთხი ვარნად იყოფოდა: 1. ბრაჰმანები (ქურუმები); 2. მეომრები; 3. მიწათმოქმედები, ხელოსნები, ვაჭრები; 4. შუდრები, ანუ უმდაბლესი ფენა.

მოქალაქეებად ყველა ძველი მოაზროვნე, მათ შორის პლატონიც და არისტოტელეც მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს მიიჩნევდნენ. მონების რიცხვი არ იყო განსაზღვრული.

განსაკუთრებით საინტერესოა არისტოტელეს შეხედულებები სახელმწიფოს რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთთანაფარდობის შესახებ. ის ამბობდა, რომ ყოველ სახელმწიფოს აქვს რაოდენობა და თვისებრიობა. თვისებრიობაში ის გულისხმობდა თავისუფლებას, სიმდიდრეს, განათლებას, წარმოშობას. რაოდენობაში, ბუნებრივია, გულისხმობდა ხალხის სიმრავლეს. ის უშვებდა, რომ შეიძლება მოხდეს ისე, რომ სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილთაგან თვისებრიობა ჭარბობდეს მეორე ნაწილს, ან პირიქით, რაოდენობა – თვისებრიობას. მაგალითად, კეთილშობილნი რიცხობრივად შეიძლება ჭარბობდნენ არაკეთილშობილთ, ან მდიდრები – ღარიბებს. მაგრამ რაოდენობა ისე არ უნდა ჭარბობდეს თვისებრიობას, როგორც თვისებრიობა – რაოდენობას. საჭიროა ეს ორივე თანაბარი რაოდენობით იყოს შერეული.

არისტოტელე წერდა, რომ იქ, სადაც ღარიბთა მასა გადააჭარბებს ზემოაღნიშნულ წონასწორობას, ბუნებრივია იქ წარმოიქმნება დემოკრატია. ხოლო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმას წარმოქმნის თვით ხალხის მასის თავისებურება. მაგალითად, როდესაც ჭარბობენ გლეხები, წარმოიშობა პირველი სახის დემოკრატია, ხოლო როდესაც ჭარბობენ ხელოსნები და დაქირავებული მუშები, იქ წარმოიქმნება დემოკრატიის უკიდურესი ფორმა. ასევე წარმოიშობა დემოკრატიის შუალედური ფორმები მაშინ, თუ მრავალრიცხოვან მასას თვისებრიობით ჭარბობენ მდიდრები და კეთილშობილნი და რაოდენობით კი ჩამორჩებიან. ოლიგარქია და მისი სხვადასხვა სახე ჩნდება იმის მიხედვით, თუ რომელი სახის მოსახლეობა ჭარბობს.

კლასიკურად არის მიჩნეული სახელმწიფოს მართვის ფორმების არისტოტელეს მიერ მოცემული სქემა:

		ვინ მართავს?		
ვინ სარგებლობს მართვის სიკეთეებით?		ერთი კაცი	უმცირესობა	უმრავლესობა
	მმართველები	ტირანია	ოლიგარქია	დემოკრატია
	ყველა	მონარქია	არისტოკრატია	პოლიტია

პოლიტია, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ფორმა არისტოტელემ შემოიტანა და განმარტა, როგორც ყველას ინტერესებისათვის ბევრის მმართველობა.

ოლიგარქიის ქვეშ მას ესმოდა, როგორც სახელმწიფოს მართვა რომელიმე ვიწრო ჯგუფის მიერ. ამასთან, დემოკრატია არისტოტელეს სულაც არ მიაჩნდა მმართველობის საუკეთესო ფორმად. პირიქით, ის მას არა-

სასურველ და მიუღებელ ფორმად თვლიდა, რადგან დემოკრატიის დროს მართვის სიკეთეებს, მისი აზრით, მხოლოდ მმართველები მიიღებდნენ. მმართველობის საუკეთესო ფორმად არისტოტელეს პოლიტია მიაჩნდა, რადგან მმართველობის ამ ფორმის შემთხვევაში სახელმწიფოს მართავს უმრავლესობა, ხოლო სიკეთეს ყველა ღებულობს. თუმცა, ის აღნიშნავდა მმართველობის ამ ფორმის უარყოფით მხარეებსაც. მაგალითად, იმის საშიშროებას, რომ უმრავლესობის მიერ მართვის პირობებში ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ღარიბთა და უქონელთა მასა სათანადოდ არ მოინდომებდა, ან ვერ დაძლევდა ცდუნებას და ვერ შეძლებდა სიკეთის ყველასათვის თანაბრად და ობიექტურად განაწილებას. უფრო მოგვიანებით, მმართველობის ყველაზე მისაღებ ფორმად არისტოტელეს არისტოკრატიისა და დემოკრატიის შეერთებული ფორმა მიაჩნდა.

ამავე დროს, საინტერესოა არისტოტელეს ერთი მოსაზრებაც, დაკავშირებული რიცხოვნობასა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობასთან. თავის „პოლიტიკა“-ში ის წერს, რომ მცირერიცხოვანი ხალხი უმეტესად არჩევდა დარჩენილიყვნენ ქვეშევრდომებადო. თუმცა, იქ იგი მეტად საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს. არისტოტელეს აზრით, „უკიდურესად მცირერიცხოვან და არც მრავალრიცხოვან მოსახლეობიან სახელმწიფოს არ შეუძლია იყოს თვითკმარი. სახელმწიფოს, ისევე, როგორც მშვენიერების, ადამიანის, ცხოველის, მცენარეების, იარაღის საზომი უნდა იყოს სიდიდე. თითოეულ მათგანს თუ ექნება ძალიან პატარა, ან ძალიან ზედმეტი სიდიდე, ის კარგავს მოქმედების უნარს, მისთვის დამახასიათებელ ბუნებას. მაგალითად, გემი. ვერ იცურებს ვერც ზომაზე დიდი გემი და ვერც ძალიან მცირე გემი. ასევეა სახელმწიფოც. ძალიან მცირე მოსახლეობით ის ვერ იქნება დამოუკიდებელი.[65] ცხადია, უმნიშვნელოვანესია იმის დადგენა, თუ რომელია საუკეთესო ზღვარი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის: რამდენია მოსახლეობის ის რაოდენობა, რაც საკმარისია დამოუკიდებლობისა და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობისათვის.

არისტოტელე თვლის, რომ მრავალრიცხოვან სახელმწიფოში თითქმის შეუძლებელია კარგი კანონების არსებობა. კანონი ნიშნავს წესრიგს, ხოლო კარგი კანონი აუცილებლად არის კარგი წესრიგი. იქ, სადაც მოსახლეობის დიდი რაოდენობაა, შეუძლებელია წესრიგის დაცვა. ეს ძალუძს მხოლოდ ღვთაებრივ უნარს, რომელიც აერთიანებს მთელ ქვეყნიერებას.

მისი აზრით, მოქალაქეთა დიდი რაოდენობა იძლევა იმის საშუალებას, რომ სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობდეს მოსახლეობის უმრავლესობა.

ასე რომ, არისტოტელე პირდაპირ განიხილავს მოსახლეობის რიცხოვნობის გავლენას სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობასა და მართვაზე.

მაშ, როგორი უნდა იყოს მოსახლეობის რაოდენობა? რას ნიშნავს ბევრი, ცოტა? აი, თუნდაც დღევანდელი დემოლოგიური პრობლემა. ბევრია თუ ცოტა, დღეს საქართველოს მოსახლეობა? რამდენი უნდა იყოს ის, რომ ოპტიმალური იყოს ჩვენი განვითარებისათვის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, ჩვენი ცივილიზაციის განვითარებისათვის. იმისათვის, რომ ქვეყანა ღირსეულად იყოს წარმოდგენილი და ჩაწერილი მსოფლიო თანამეგობრობაში, მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების პროცესში. ამავე დროს, იყოს ისეთი რაოდენობა, რომ შეიძლებოდეს ადამიანთა გამოკვება, ჩაცმა, დახურვა, ისე, რომ არ დაზიანდეს ჩვენი ბუნება, გარემო? ამ ყველაფერზე აზრთა სხვადასხვაობაა.

მოსახლეობის ოპტიმალური რიცხვი. როგორ დგინდება ის? შეიძლება თუ არა ამის დადგენა? სწორედ ამას სწავლობს დემოლოგია. ჩვენ ამ თემებს შევეხებით მომდევნო მსჯელობის დროს.

გამრავლების საკითხები, დემოლოგიური პრობლემები უხვად არის ასახული ძველ ბერძნულ და რომაულ კნონმდებლობაშიც.

ძველი ბერძნების ქვეყანა შედგებოდა ქალაქებისაგან, რომელთაგან თითოეულს, თავისი მმართველობა და თავისი კანონები ჰქონდა. ისინი არ გამოირჩეოდნენ დამპყრობლური ბუნებით და თითოეულ ქალაქში, რესპუბლიკაში, კანონმდებლობის მთავარი მიზანი იყო მოქალაქეთა კეთილდღეობა ქვეყნის შიგნით. ქვეყნის გარეთ კი, მისი ძლიერება მეზობელი ქალაქების ძლიერებაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ასეთი საკანონმდებლო ხელშეწყობით, მცირე ტერიტორიისა და დიდი კეთილდღეობის პირობებში ბერძნები სწრაფად მრავლდებოდნენ. ამას მოჰყვებოდა ის, რომ ისინი დაუსრულებლად ქმნიდნენ ახალ კოლონიებს. ბერძნები ცდილობდნენ ერეგულირებინათ გამრავლება საჭიროების მიხედვით, წაეხალისებინათ ან შეეჩერებინათ ის. ამას ისინი აკეთებდნენ სხვადასხვა კანონში ასახული, როგორც ამბობდნენ – პატივის მიზღვით ან შერცხვენით, მხცოვანთა მიერ გაფრთხილებით და ა.შ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რომაული კანონმდებლობა.

როგორც დიდი ფრანგი განმანათლებელი შარლ მონტესკიე (1683-1755) ამბობდა, „რომაელებმა მსოფლიოს ყველა ხალხზე უკეთ შეძლეს თავისი კანონები თავისსავე ზრახვებისათვის შეეთანხმებინათ“.[55]

მათ ძველთაგანვე ჰქონდათ კანონი, რომელიც მოითხოვდა, რომ თითოეული მოქალაქე აუცილებლად დაქორწინებულიყო და აუცილებლად აღეზარდა ყველა თავისი შვილი.

იულიუს კეისარი ჯილდოს აძლევდა იმათ, ვისაც ბევრი შვილი ჰყავდა. მან აუკრძალა 45 წლის ასაკზე ახალგაზრდა ქალებს, რომლებსაც არც ქმარი ჰყავდათ და არც შვილი, ეტარებინათ ძვირფასი ქვები.

იმპერატორი ავგუსტუსი ამბობდა, რომ ქალაქს ქმნის არა სახელები, პორტიკები და მოედნები, არამედ ადამიანები. ამიტომ მე გავზარდე იმათი სასჯელი, ვინც არ დამმორჩილდნენ. რაც შეეხება ჯილდოს – ამბობდა იმპერატორი – ის ისეთია, რომ არა მგონია ქველობას როდესმე ამაზე მეტი საზღაური მიეღოს – მრავალი ადამიანი მზად არის თავი გასწიროს ამაზე უფრო მცირედი საჩუქრისთვისო.

რომაული საკანონმდებლო პრივილეგიები მართლაც მრავალფეროვანი იყო. დაწყებული განსაკუთრებული ადგილით თეატრში და დამთავრებული იმით, რომ კონსული, რომელსაც უფრო მეტი შვილი ჰყავდა, პირველი იღებდა საპატიო ნიშნებს. მას ჰქონდა სამართავი პროვინციის არჩევის უფლებაც, პირველი იწერებოდა სენატორთა სიაში და სენატში პირველი გამოთქვამდა აზრს. ვისაც სამი შვილი ჰყავდა, თავისუფლდებოდა გადასახადისაგან.

როგორც ვთქვით, ჯილდოსთან ერთად იყო სასჯელიც. მაგალითად, ვინც დაქორწინებული არ იყო, უფლება არ ჰქონდა, რაიმე მიეღო უცხოელთა ანდერძით, ხოლო ვისაც შვილი არ ჰყავდა, მემკვიდრეობის მხოლოდ მეათედის მიღების უფლება ჰქონდა.

თუ ქმარი ცოლს მიატოვებდა რაიმე სხვა მიზეზით და არა რესპუბლიკის საქმეებისათვის, ის საერთოდ კარგავდა მემკვიდრეობის მიღების უფლებას.

მშობლებს, რომლებიც შვილებს თანხმობას არ აძლევდნენ ქორწინებაზე ან არ აძლევდნენ მზითევს, ამის გაკეთებას მაგისტრატები აიძულებდნენ.

როგორც მონტესკიე წერდა, „ამ საკითხთან დაკავშირებულ კანონებს იმდენი მიზეზი აქვთ და იმდენ საკითხს ეხებიან, რომ ქმნიან რომაული სამოქალაქო კანონების უმშვენიერეს ნაწილს“.[55]

შემდეგ რელიგიამ თავისი ხასიათი მისცა იურისპრუდენციას, რადგან სახელმწიფო ყოველთვის მიმართებაშია რელიგიასთან. ქრისტიანული რელიგიის შემოღებამაც მნიშვნელოვნად შეცვალა კანონები. ახალმა კანონებმა გააუქმეს ძველი რომის ის კანონები, რომლებიც სჯიდნენ დაუქორწინებლობისა და უშვილობისათვის.

მეორე მხრივ, ქრისტიანულმა რელიგიურმა მოსაზრებამ, რომელმაც დაუშვა დაუქორწინებლობა, მალე მისი აუცილებლობაც კი დააწესა ზნეობის შესანარჩუნებლად. ქორწინება შვიდთაგან ერთ საიდუმლოებად გამოცხადდა.

დემოლოგიური აზრის ანტიკურ პერიოდს პრაქტიკულად ასრულებს ბერძენი ფილოსოფოსი და მწერალი პლუტარქე. ის განსაკუთრებით საინტერესოდ, სიღრმისეულად და ორიგინალურად განიხილავს დემოლოგიური პრობლემების მორალურ ასპექტებს.

1.3. დემოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები

დემოლოგიური პრობლემებისა და პროცესებისადმი დიდი ინტერესი უხსოვარი დროიდან აღიძრა. დროთა განმავლობაში, ცივილიზაციათა განვითარების კვალობაზე, ის სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ვითარდებოდა. დემოლოგიური იდეები და კონცეფციები ფილოსოფიურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სოციოლოგიურ, პოლიტიკურ მეცნიერებათა წიაღში იბადებოდნენ და ვითარდებოდნენ. თავის მხრივ, დემოლოგიური იდეები და კონცეფციებიც მათი განუყოფელი შემადგენელი ნაწილი ხდებოდა და მათ განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა. ურთიერთგანვითარების ეს ისტორიული პროცესი დღესაც გრძელდება და დემოლოგიური მეცნიერებები, დემოლოგიური მოსაზრებები, იდეები და კონცეფციები უმჭიდროეს ურთიერთკავშირშია თანამედროვე ფილოსოფიასთან, სოციოლოგიასთან, ეკონომიკასთან, პოლიტიკურ მეცნიერებებთან, გეოგრაფიასთან, სამართალთან, ბიოლოგიასთან, მათემატიკასთან, ფსიქოლოგიასთან. კარგა ხანია, დემოლოგია ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მეცნიერებათა მთელ სისტემად. დემოლოგიური მეცნიერებების მიმართულებებია: დემოლოგიის ზოგადი თეორია, ისტორიული დემოლოგია, ეკონომიკური დემოლოგია, სოციოლოგიური დემოლოგია, დემოლოგიური სტატისტიკა, ეთნიკური დემოლოგია, გეოგრაფიული დემოლოგია, ბიოლოგიური დემოლოგია, სამედიცინო დემოლოგია და სხვ. დემოლოგიური პრობლემატიკა და კვლევა ცალკე მიმართულებებად არის გამოყოფილი, ასევე სხვა მომიჯნავე მეცნიერებებშიც. მაგალითად, სოციოლოგიაში – დემოსოციოლოგია, პოლიტოლოგიაში – დემოპოლიტოლოგია, ეკონომიკაში – დემოლოგიური ეკონომიკა. გეოგრაფიაში – დემოლოგიური გეოგრაფია, მედიცინაში – სამედიცინო დემოლოგია და ა.შ. ცნობილი ფრანგი

სოციოლოგი და დემოლოგი ა. სოვი მიიჩნევდა, რომ დემოლოგია „ველური“ მეცნიერებაა, რომელსაც არც მასწავლებლები ჰყავს და არც მოსწავლეები და დემოლოგიური იდეები ისეთივე უძველესია, როგორც თავად დემოლოგიური ქცევა. დემოლოგია, როგორც აღვნიშნეთ, ვითარდებოდა და ვითარდება სხვა მრავალ მეცნიერებასთან მჭიდრო თანამშრომლობით და კავშირით, მათი გავლენისა და მათზე გავლენის უწყვეტ შემოქმედებით პროცესში. დემოლოგია უდავოდ ინტერდისციპლინური, პოლიდისციპლინური მეცნიერებაა.

მაინც როდის დაიბადა დემოლოგია? როდიდან იღებს ის სათავეს? ვინ არიან მისი, როგორც მეცნიერების შემქმნელები? შეიძლება ამ კითხვებზე ყველა ერთნაირ პასუხს არ იძლევა და დისკუსია დღესაც გრძელდება.

და მაინც, საერთო აზრით, დემოლოგიის დაბადების ზუსტ თარიღად მიჩნეულია 1662 წლის იანვარი, ხოლო მის შემქმნელად, ლონდონელი საგალანტერეო საქონლით მოვაჭრე და პოლიციის მაიორი, თვითნასწავლი მეცნიერი, მკვლევარი და მოაზროვნე ჯონ გრაუნტი (1620-1674). სწორედ 1662 წელს გამოსცა ჯ. გრაუნტმა 90-გვერდიანი ნაშრომი, საკმაოდ გრძელი სათაურით: „ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი, ჩამოთვლილი თანდართულ ნუსხაში და გაკეთებული მოკვდაობის ბიულეტენების საფუძველზე...“ ასეთი ბიულეტენები ლონდონში, მაშინ ყოველკვირეულად გამოდიოდა იმის გამო, რომ ინგლისში იმ პერიოდში შავი ჭირი და სხვა მძიმე ეპიდემიები მძვინვარებდნენ.

წიგნის გამოცემიდან ერთ თვეში, 1662 წლის 26 თებერვალს, ინგლისის მეფის, ჩარლზ II-ის პირადი მითითებით ჯონ გრაუნტი ინგლისის სამეფო საზოგადოების წევრად აირჩიეს.

თანამედროვეთა ცნობებით, ჯ. გრაუნტი იყო უაღრესად ნაკითხი და განათლებული ადამიანი. კარგად იცოდა ლათინური და ფრანგული ენები. ის იყო გონებამახვილი და დიდი იუმორით დაჯილდოებული. ასევე, სასიამოვნო მოსაუბრე და გულუხვი მასპინძელი. მას ხშირად სტუმრობდნენ იმ პერიოდის ცნობილი მეცნიერები, მხატვრები, ადამიანები, რომლებიც არ ივლიდნენ სტუმრად „ორდინალურ ადამიანთან“. ჯონ გრაუნტი თვითონვე სვამდა კითხვებს თავსივე ნაშრომის მიზნების შესახებ:

„შეიძლება შეგვეკითხონ, რა არის ამ დამქანცველი ძიების მიზეზი? გავიგოთ მოსახლეობის რაოდენობა? გავიგოთ ქალებისა და კაცების რაოდენობა? გავიგოთ დაქორწინებულთა და მარტოხელათა რაოდენობა? რამდენად ბევრია განაყოფიერების უნარის მქონე ქალების რაოდენობა?

რამდენია სამხედროთა რიცხვი? როგორია ლონდონის მოსახლეობა და როგორ იზრდება ის? როგორ ივსება საშინაო მეურნეობათა დანაკლისი შავი ჭირის შემდეგ? როგორია გარდაცვლილთა საერთო რიცხვი და რამდენი გარდაიცვალა ამა თუ იმ მიზეზით? რომელი წლებია ნაყოფიერი და რომელი წლები გამოირჩევა მომეტებული სიკვდილიანობით? როგორი მიმდევრობითა და ინტერვალებით ცვლიან ისინი ერთმანეთს? გავიგოთ რატომ ჭარბობს ლონდონში დაკრძალვათა რაოდენობა ნათლობათა რაოდენობას, ხოლო სოფლებში სიტუაცია ზუსტად საპირისპიროა? ... ზოგადად, ამ ყველაფერაზე მე ვუპასუხებდი, რომ იმათ, ვისაც არ შეუძლია გააცნობიეროს ამ გამოკვლევათა აზრი, არ ღირს შეიწუხონ თავი ასეთი შეკითხვებით... მე ასევე ვუპასუხებდი: რომ უდიდესი სიამოვნებაა იმაში, რომ მოკვდაობის ძუნწ, აუტანელ ბიულეტენებში მოიპოვო ამდენი ღრმა და მოულოდნელი დასკვნა და აითვისო ის ყამირი, რომელიც ხელუხლებელი რჩებოდა... და ასეთივე დიდი სიამოვნებაა აღმოაჩინო, თუნდაც მცირედი ახალი და ამავე დროს, არ დაანაგვიანო სამყარო დიდი ხნით ადრე ცნობილითა და გადაღეჭილით სავსე დიდი ტომებით“...

ჯონ გრაუნტმა პირველმა გააანალიზა მოკვდაობისა და შობადობის არა მხოლოდ ცალკეული შემთხვევები, არამედ მოკვდაობა და შობადობა განიხილა, როგორც მასობრივი სოციალური პროცესი. ჯ. გრაუნტმა პირველმა დააფიქსირა სხვაობა ქალებისა და კაცების მოკვდაობაში, ასევე დაბადებისას გოგონებისა და ბიჭების რაოდენობებს შორის არსებული პროპორციები. მან, ასევე აღმოაჩინა სხვაობა შობადობასა და მოკვდაობაში სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას შორის. სქესთა თანაფარდობა ლონდონში შეადგენდა 14:13 (ბიჭი დაახლოებით 7,7%-ით მეტი იბადებოდა). მანვე დაადგინა, რომ გარდაცვლილთა შორისაც კაცი მეტი იყო, ვიდრე ქალი. ამასთან, ლონდონში იმ დროს მოკვდაობა აჭარბებდა შობადობას და ამიტომ ლონდონის მოსახლეობა იზრდებოდა მხოლოდ ჩამოსულების ხარჯზე. სოფელში კი პირიქით იყო. შობადობა აღემატებოდა მოკვდაობას და ყოველ ქორწინებაზე საშუალოდ 4 დაბადებული მოდიოდა.

უდიდესი მნიშვნელობის იყო ჯ. გრაუნტის მიერ დემოლოგიური ანალიზის ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდი. მან ააგო მოკვდაობის პირველი მათემატიკური მოდელი, რომელიც აღწერდა მოკვდაობის ალბათობის დამოკიდებულებას ადამიანის ასაკზე. გარდაცვლილთა ასაკობრივი სტრუქტურის საფუძველზე მან განსაზღვრა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა.

დემოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა არა ერთმა გამოჩენილმა მეცნიერმა.

მათ შორის განსაკუთრებულია მსოფლიო მნიშვნელობის მათემატიკოსთა წვლილი. პირველ რიგში ეს იყო ლეონარდ ეილერი.

ლეონარდ ეილერმა (1707-1783) შვედმა და დიდხანს რუსეთში მოღვაწე მათემატიკოსმა, ფიზიკოსმა, ასტრონომმა, დაიწყო შობადობის, მოკვდაობის და გამრავლების მასობრივი პროცესების რაოდენობრივი შესწავლა. მან პირველმა ააგო დემოლოგიური სტატისტიკის გამოკვეთილი მათემატიკური ფუნდამენტი. მან, ფაქტობრივად პირველმა, გამოთქვა მოსაზრება, რომ დემოლოგიის საგანია მოსახლეობის გამრავლება. მან შეიმუშავა მოკვდაობის ცხრილის აგების ორიგინალური მეთოდი.

უდიდესია ლამბერ ადოლფ ჟაკ კეტლეს (1796-1874), დიდი ბელგიელი მეცნიერის წვლილიც. ის არის თანამედროვე სამეცნიერო სტატისტიკის, სოციოლოგიისა და დემოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მან დაადგინა, რომ ზოგიერთი მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენა (შობადობა, მოკვდაობა, დანაშაული) ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას. მას ეკუთვნის ცნება „საშუალო ადამიანი“, როგორც ამა თუ იმ საზოგადოების საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი.

შემდეგია **უილიამ პეტი** (1623-1687) – ინგლისელი ეკონომისტი. ის ითვლება თანამედროვე ეკონომიკის, სტატისტიკისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზისათვის მათემატიკური მეთოდების გამოყენების ერთ-ერთ ფუძემდებლად. ის აგრეთვე ითვლება მამად, მეცნიერების ახალი მიმართულებისა, რომელსაც **პოლიტიკური არითმეტიკა** უწოდეს.

დიდია **ედმუნდ გალეის** (1656-1742) – გამოჩენილი ინგლისელი მათემატიკოსის, ასტრონომის დამსახურებაც. ჯ. გრაუნტისაგან განსხვავებით, მან ოქსფორდის უნივერსიტეტი დაამთავრა. 22 წლის ის უკვე სამეფო საზოგადოების წევრი გახდა. გალეიმ განავრცო ჯ. გრაუნტის იდეები და წარმოადგინა მოკვდაობის პრაქტიკულად პირველი მათემატიკური ცხრილი, რომელსაც საფუძვლად უდევს ჰიპოთეზა – ასაკთან სიკვდილიანობის კავშირის ალბათობის შესახებ.

დანიელ ბერნულიმ (1700-1782) დაამუშავა ალბათობის თეორიის გამოყენების საკითხები მოსახლეობის შესასწავლად.

ქრისტოფერ ბერნულიმ (1782-1863) შვეიცარიელი მათემატიკოსების – ბერნულების გვარის ერთ-ერთმა ბოლო წარმომადგენელმა, ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორმა, 1841 წელს გამოსცა წიგნი „პოპულაციონისტიკის ცნობარი“, რომელშიც გამოთქვა მოსაზრება, რომ ახალი მეცნიერებისათვის ეწოდებინათ „პოპულაციონისტიკა“. მიუხედავად ამისა, ეს მოსაზრება არც მაშინ და არც მერე არ იქნა გაზიარებული.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **ერნსტ ენგელიც** (1821-1896) – გერმანელი მეცნიერი. სწორედ მან შემოიტანა პირველად ტერმინი დემოლოგია, რომელიც მაშინ სამწუხაროდ, ვერ დამკვიდრდა მეცნიერულ ბრუნვაში.

საყოველთაოდ ცნობილია **თომას მალთუსის** (1766-1834) სახელი და დამსახურება. მან თავის ნაშრომში პირველად ჩამოაყალიბა მოსახლეობის განვითარების ზოგადი პრინციპები და ისინი ერთიანი მეცნიერული თეორიის სახით გადმოსცა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯონ გრაუნტის ნაშრომი იყო პირველი წმინდა მეცნიერული დემოლოგიური ნაშრომი და მას შემდეგში სხვა მსგავსი გამოკვლევებიც მოჰყვა, ტერმინი დემოგრაფია მაშინ არ იქნა შემოღებული. ის გაცილებით გვიან, ორი საუკუნით გვიან შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა **ჟან კლოდ აშილ გიიარმა** (1799-1876), როდესაც 1855 წელს გამოსცა წიგნი „ადამიანთა სტატისტიკის ელემენტები, ანუ შედარებითი დემოგრაფია“. ეს ტერმინი მან პირველმა გამოიყენა დემოლოგიური პრობლემების აღსანიშნავად.

გიიარმა დემოგრაფია განმარტა, როგორც ადამიანთა მოდგმის ბუნებრივი და სოციალური ისტორია. მან განსაზღვრა მისი საგანიც და ის თვლიდა, რომ დემოგრაფიის საგანია ადამიანთა პოპულაციის, მათი მოძრაობის, ფიზიკური, მოქალაქეობრივი, ინტელექტუალური და მორალური მდგომარეობის მათემატიკური შეცნობა. აი, როგორი ფართო გაგებით იაზრებდა ფრანგი მეცნიერი დემოგრაფიას. ახალ ტერმინს „დემოგრაფია“ მაშინვე გამოეხმაურა ოგიუსტ კონტი. საერთოდ, მოძღვრება მოსახლეობის შესახებ, ო. კონტის, ჰ. სპენსერის, ე. დიურკჰეიმის, მ. ვებერის და სხვა დიდი მოაზროვნეების ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ეკონომიკური, მათემატიკური თეორიებისა და გამოკვლევების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყო. ასევე ფართოდ განმარტავდა დემოლოგიის საგანს ჟან გიიარის შვილიშვილი, ჟაკ ბერტიონი (ჟაკ ბერტილიონი). მისი განმარტებით, *დემოგრაფია სწავლობს კოლექტიურ ცხოვრებას, იმ მიზეზებს, რომლითაც საზოგადოება ვითარდება, მრავლდება, ახდენს აღდგენას, ვითარდება, შემდეგ მცირდება და იღუპება.* ის იხილავდა, საქმიანობის რომელი სახეობა აძლევს საზოგადოებას სასიცოცხლო საშუალებებს; იკვლევდა, როგორ და რატომ ქორწინდებიან ადამიანები და რა რაოდენობით მრავლდებიან, როგორ ზრდიან შვილებს და სხვა. და ბოლოს, ის აჩვენებს, რა გარემოებებში, რა ასაკში და რა მიზეზებით კვდებიან ადამიანები. აქაც ვხედავთ, რა ფართოა დემოლოგიის ინტერესთა სფერო და როგორ ემთხვევა ის ისტორიის, პოლიტიკის, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის საგანს.

ჟაკ ბერტილიონი განათლებით ექიმი იყო. მან დიდი როლი ითამაშა დაავადებათა კლასიფიკაციის შექმნაში. ის საერთაშორისო „ნოზოლოგიური (მოძღვრება დაავადებათა შესახებ) ნომენკლატურის მამად“ აღიარეს. ჟ. ბერტილიონი თვლიდა, რომ ადამიანის ჯანმრთელობისა და დიდხანს სიცოცხლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქორწინებას. ის ადამიანებს ურჩევდა: დაქორწინდით, თუ გინდათ დიდხანს იცოცხლოთ, რადგან დაქორწინებულ კაცს ან ქალს ქორწინებაში არასდროს მყოფებთან შედარებით კარგი და ხანგრძლივი ცხოვრების სამჯერ მეტი შანსი აქვსო. ის თვლიდა, რომ დაქორწინებულები ცხოვრების უფრო ნორმალურ წესს მისდევენ. მათი, როგორც ფიზიკური, ისე ზნეობრივი ცხოვრებაც უფრო ჯანმრთელი, მშვიდი და ბუნებრივია.

ამ დიდი ნაშრომის შემდეგაც არ მოხდა მეცნიერების დემოგრაფიის სახელწოდებით სრულად აღიარება. ლაპარაკი დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების მოსახლეობის გამრავლების შესახებ, დაიწყო 1882-83 წლებში, ლონდონში, როდესაც შედგა პირველი საერთაშორისო კონგრესი „ჰიგიენისა და დემოგრაფიის“ შესახებ („ჰიგიენისა და დემოგრაფიის საერთაშორისო კონგრესი“).

დემოლოგიის, როგორც მეცნიერების დამფუძნებელთა შორის კვლავ უნდა მოვიხსენიოთ შარლ მონტესკიე. დიდი ფრანგი განმანათლებელი, საფრანგეთის პარლამენტის პრეზიდენტი. „კანონთა გონის“ ავტორი მიიჩნევა სოციოლოგიური აზრის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც. ის ცდილობდა სოციალური პროცესები ბუნებრივი ფაქტორების საფუძველზე აეხსნა. საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის ის დემოლოგიურ პრობლემებსაც გამოჰყოფდა. შ. მონტესკიეს აზრით, სახელმწიფოს მართვის პოლიტიკურ ფორმას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსახლეობის რიცხოვნობა. „კანონთა გონში“ ის ღრმად და დაწვრილებით განიხილავს ამ პრობლემებს. მნიშვნელოვანია შ. მონტესკიეს მოსაზრებები დემოლოგიურ პროცესთა მართვაში სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით. საინტერესოა ამ მხრივ, ჯერ კიდევ რომის სამართალში არსებული დებულებების (მოთხოვნების, ნორმების) შეფასება. უაღრესად მნიშვნელოვანია მის მიერ დემოლოგიური პრობლემების განხილვა გლობალურ გეოგრაფიულ ჭრილში. ზოგადად, როდესაც იხილავენ შ. მონტესკიეს წვლილს სოციოლოგიური აზრის განვითარებაში, მას მიიჩნევენ გეოგრაფიული სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც.

XX საუკუნის 50-იან წლებამდე „დემოგრაფია“ ძირითადად მოსახლეობის სტატისტიკის მნიშვნელობით იხმარებოდა. 50-იანი წლებიდან მისი

მნიშვნელობა მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაღრმავდა. ის უკვე აღარ კმაყოფილდებოდა დემოლოგიური პროცესების, მოკვდაობის, შობადობის, ქორწინების, განქორწინების, მოსახლეობის მატების შესახებ ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებით და აღწერით. დემოლოგია იწყებს მრავალმხრივი ფაქტობრივი მასალის ღრმა მეცნიერულ კვლევას, ანალიზს, ამ პროცესების მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირების გარკვევას, ამ პროცესებისა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ურთიერთგავლენის შესწავლას.

ამიტომაც დადგა დღის წესრიგში საკითხი დემოგრაფიის (demos – ხალხი, grafo – ვწერ), დემოლოგიით (demos – ხალხი, logos – სიტყვა, მოძღვრება) შეცვლის თაობაზე.

დემოსოციოლოგიურ ასპექტში კაცობრიობის დემოლოგიური განვითარების, დემოლოგიური ევოლუციის ისტორია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დემოლოგიური სფეროს განვითარება, რომლის ადრეულ ეტაპზე ადგილი ჰქონდა მოსახლეობის, ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების გამრავლებას, ადამიანის მოდგმის გაგრძელებას. ამ და მომდევნო ეტაპებზეც, დემოლოგიურ მოვლენებსა და პროცესებს – შობადობას, სიკვდილიანობას, ქორწინებას, განქორწინებას – არეგულირებდა პატრიარქალური თემობრივ-ტომობრივი ცხოვრების წეს-ჩვეულებები და რა თქმა უნდა, რელიგია.

1.4. დემოლოგიური კვლევის მეთოდები

ისევე, როგორც ყველა სხვა მეცნიერების, დემოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერებათა სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული კვლევის მეთოდებს. დემოლოგიური კვლევის მეთოდების განხილვა და ჩამოყალიბებაც, როგორც სხვა ნებისმიერი მეცნიერების შემთხვევაშიც, თითქოსდა მარტივი კითხვებით იწყება: რა არის კვლევის მთავარი საგანი, მიზანი და ამოცანა. დემოლოგიისათვისაც მნიშვნელოვანია და აქტიურად გამოყენებული ყველა მეცნიერებისათვის დამახასიათებელი ისეთი კვლევის მეთოდები, როგორიც არის, მაგალითად, ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდი. ეს გულისხმობს მოსახლეობის, საზოგადოების, როგორც სოციალური სისტემის სხვადასხვა მხარის კვლევას და ეს კვლევა უნდა მიმდინარეობდეს შედარებით პლანში, როგორც დროის თვალსაზრისით, ასევე სხვადასხვა კონტინენტის, ქვეყნის, რეგიონის თვალსაზრისითაც.

— რეტროსპექტიული მეთოდი, რომელიც დემოლოგიურ მოვლენებს მხოლოდ მომენტალურ, მყისიერ მდგომარეობაში კი არა, არამედ პროცესების მთელ მანძილზე განიხილავს.
— განზოგადების მეთოდი;
— დიალექტიკური მეთოდი, რომელიც დემოლოგიურ მოვლენებს მუდმივ მოძრაობასა და განვითარებაში განიხილავს.
— მეტაფიზიკური მეთოდი, რომელიც დიალექტიკურის საწინააღმდეგოდ, მოვლენებს განიხილავს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და უცვლელად. უარყოფს შინაგან წინააღმდეგობას, როგორც მათი განვითარების წყაროს და ა.შ.

დემოლოგიურ მეცნიერებას სხვა სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებებისაგან მკვეთრად გამოარჩევს ის, რომ მათგან განსხვავებით, ის უხვად იყენებს რაოდენობრივ მახასიათებლებს და მაჩვენებლებს. ის მყარად ეყრდნობა მათემატიკას, მათემატიკურ აპარატს. შემთხვევითი არ არის, რომ დემოლოგიის ფუძემდებლად ითვლებიან ყველა დროის მსოფლიოს თვალსაჩინო მათემატიკოსები. წინა თავში ჩვენ მათი მხოლოდ ნაწილი ჩამოვთვალეთ. დემოლოგიური მეცნიერებები არ ეყრდნობა მხოლოდ ზეპირ, თეორიულ მსჯელობას, რომელიც თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია. დემოლოგია ეყრდნობა ზუსტ, ურთულეს მათემატიკურ გათვლებსაც. ამდენად, დემოლოგიური მოვლენებისა და პროცესების აღწერა დიდი მათემატიკური სიზუსტით შეიძლება. თითქმის ყველა დემოლოგიური ცნება, კანონი თუ კატეგორია, მათემატიკური ფორმულებით აღიწერება და ხდება მათი კონკრეტული რიცხვითი მნიშვნელობების გაანგარიშება. ეს გაანგარიშება ეყრდნობა მათემატიკური სტატისტიკის, ეკონომიკური სტატისტიკის, დემოლოგიური სტატისტიკის, ზოგადად სოციალური სტატისტიკის მეთოდებს და ამდენად, ისინი საკმაოდ ზუსტია. ეს ყველაფერი საშუალებას აძლევს დემოლოგებს, მოახდინონ ყველა დემოლოგიური მოვლენისა და პროცესის მათემატიკური მოდელირება. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია არა მარტო წარსულისა და თანამედროვე დემოლოგიური პროცესის ანალიზისათვის, არამედ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მომავლის პროგნოზისთვის. რას ნიშნავს უფრო კონკრეტულად მათემატიკური მოდელირება?

დემოლოგიური კვლევისა და ანალიზის ეს მეთოდი გულისხმობს საკვლევი ამოცანის გადაყვანას, ფორმულირებას მათემატიკურ ენაზე. ე.ი. დემოლოგიური პროცესები, მოვლენები, საკვლევი პრობლემები აღიწერება და გადმოიცემა მათემატიკური ფორმულებით, ე.წ. ალგორითმებით.

შემდეგ ეტაპზე კვლევა მიმდინარეობს უკვე მათემატიკურ ენაზე, მათემატიკური კანონებით და ხერხებით. აქ კი, მათემატიკას, ბევრად უფრი ფართო, შეუზღუდავი საშუალებები და არსენალი აქვს. კვლევის დასრულების შემდეგ, მიღებული შედეგები უკან „ითარგმნება“ მათემატიკურიდან დემოლოგიურ ენაზე. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა თეორიული იდეები, მოსაზრებები, დაშვებები და დასკვნები შემოწმდეს, დადასტურდეს ან არ დადასტურდეს ციფრებით, მათემატიკური გაანგარიშებებით.

დემოლოგიური პროცესების რაოდენობრივი მაჩვენებლებით აღსაწერად ყველაზე ხშირად გამოიყენება დემოლოგიური კოეფიციენტები და ალბათობები. ისინი ახასიათებს დემოლოგიური პროცესების ინტენსივობას. კოეფიციენტები და ალბათობები ფარდობითი სიდიდეებია და გამოხატავს მოსახლეობის ისეთი სხვადასხვა მახასიათებლის თანაფარდობას, როგორიც არის მოსახლეობის სტრუქტურა, მოსახლეობის გამრავლება და ა.შ. დემოლოგიურ კოეფიციენტებს ორ კლასად ჰყოფენ: 1. კოეფიციენტები, რომლებიც ზომავენ დემოლოგიური პროცესების სიჩქარესა და ინტენსივობას და 2. სტრუქტურული კოეფიციენტები, რომლებიც ზომავენ მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილის თანაფარდობას.

დემოლოგიაში მიღებულია, რომ ყველა დემოლოგიური მოვლენის, ისე როგორც ადამიანის ცხოვრებაში მომხდარი ყველა მოვლენის მთავარი კოორდინატი არის დრო. დემოლოგიაში დროს განიხილავენ სამ განზომილებაში:

— დროის პირველი განზომილებაა ჩვეულებრივი კალენდარული დრო. ყველა მოვლენა ხდება რეალურ დროში, რაღაც პერიოდსა და თარიღში.
— დროის მეორე განზომილებაა, ამა თუ იმ დემოლოგიურ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობა. მაგალითად, ქორწინებაში ყოფნის დრო, დაუქორწინებლად ყოფნის დრო და ა.შ.
— დროის მესამე განზომილებაა, რომელიმე დემოლოგიური ან სხვა მოვლენის წარმოშობის დრო. მაგალითად, ამა თუ იმ თაობის დაბადების წელი ან პერიოდი, სკოლის, უნივერსიტეტის დამთავრების დრო, ქორწინების, ჯარში წასვლის დრო და ა.შ.

დროის ეს სამი განზომილება, რა თქმა უნდა, დიდ გავლენას ახდენს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაზე და მათ შორის დემოლოგიურ ხდომილებაზე. ამიტომ, თანამედროვე დემოლოგიაში გამოიყენება ასეთი სამმაგი მიდგომა: დემოლოგიური მოვლენა განიხილება როგორც იმ რეალური დროის გათვალისწინებით, რომელშიც აღმოცენდა ეს მოვლენა,

ასევე, იმ რეალური მიმდინარე დროის გათვალისწინებით, რომელშიც მიმდინარეობს ეს მოვლენა და ასევე, იმ დროის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც გრძელდება მოცემულ დემოლოგიურ მდგომარეობაში ყოფნა. დროის ასეთი სამმაგი კლასიფიკაციის საფუძველზე იყენებენ სწორედ დემოლოგიური ანალიზის ისეთ თანამედროვე მეთოდს, როგორიც არის ე.წ. ACP მეთოდი. A – age – ასაკი, C – cohort – კოჰორტა ანუ აღმოცენების დრო და P – პერიოდი.[24]

სამმაგი კლასიფიკაციის გამოყენების კარგი მაგალითია ე.წ. ლექსისის ბადე, დემოლოგიური ბადე, რომელსაც ეწოდა მისი შემქმნელის, გერმანელი სტატისტიკოსის, ვილჰელმ ლექსისის (1837-1914) სახელი.

დემოლოგიური კვლევისა და ანალიზისას უხვად გამოიყენება გრაფიკული მეთოდები, რაოდენობრივი გრაფიკული გამოსახულებებიც, ისეთები, როგორიც არის ე.წ. პირამიდები. მათზე ნათლად ჩანს მოსახლეობის სქეობრივი, ასაკობრივი, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა დროის ჭრილში. ზოგიერთ ზემოთ ჩამოთვლილ რაოდენობრივ მეთოდზე ჩვენ უფრო დეტალურად შევჩერდებით შემდეგ თავებში, დემოლოგიური პროცესების, ცნებების, კატეგორიებისა და კანონების განხილვისა და გაანალიზების კვალობაზე. რა თქმა უნდა, ყველა ამ მეთოდის განხილვა ჩვენს ნაშრომში შეუძლებელია და ეს, არც არის ჩვენი ამოცანა. ყველა ეს მეთოდი აღწერილია მათემატიკური სტატისტიკის, დემოლოგიური სტატისტიკის, დემოგრაფიკსის სფეროში არსებულ სახელმძღვანელოებსა და შრომებში.

დემოლოგიური კვლევისათვის, განსაკუთრებით დიდ შესაძლებლობას ქმნის უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიები, სხვადასხვა სპეციალური კომპიუტერული პროგრამები. ეს უდიდესი თემაც ცალკე განხილვის საგანია, დემოლოგიური კვლევის და ანალიზის ცალკე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. უდავოა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიები სათავეს უდებს დემოლოგიური კვლევისა და ანალიზის სრულიად ახალსა და დიდ ერას.

დემოლოგიისა და სოციოლოგიის შესაძლებლობა და ინტერესი იკვეთება მაშინაც, როდესაც დემოლოგია მეცნიერული კვლევის მეთოდად ხშირად იყენებს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდებსაც. ხშირად არის, რომ დემოლოგიური კვლევისა და ანალიზის ერთადერთი წყარო, სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდი რჩება.

შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ დემოლოგია ის გამონაკლისი სოციალური მეცნიერებაა, რომელიც უხვად იყენებს და ეყრდნობა რო-

გორც ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების რიცხვით შედეგებსა და მეთოდოლოგიას, ასევე უკლებლივ ყველა სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდოლოგიასა და შედეგებს. ესეც არის იმის მიზეზი, რომ დემოლოგია ძალიან სწრაფად ვითარდება და ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საყოველთაოდ აღიარებულია უკვე არა მხოლოდ როგორც ერთი დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა, არამედ როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებათა სისტემა.

ცალკე უნდა შევჩერდეთ იმაზეც, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დემოლოგიური კვლევისა და ანალიზის მეთოდები ერთნაირად შეიძლება იქნეს გამოყენებული არა მხოლოდ ადამიანთა პოპულაციის, არამედ სხვა პოპულაციების შესასწავლადაც და პირიქით – სხვა პოპულაციების შესწავლის შედეგად მიღებული შედეგები განზოგადდეს ადამიანთა პოპულაციის მიმართაც და გაკეთდეს უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი დემოლოგიური, სოციოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტოლოგიური დასკვნები. ასეთი კვლევა, რა თქმა უნდა, მომიჯნავე დარგების მეცნიერთა ერთობლივი ძალისხმევით ტარდება. ასეთი მეთოდების შესახებ შესანიშნავად გადმოგვცემს ცნობილი ფრანგი თეორეტიკოსი, სოციოლოგი და დემოგრაფი ალფრედ სოვი თავის ნაშრომში „მოსახლეობის ზოგადი თეორია“. იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ აღნიშნული მეთოდები აუცილებელია ზოგიერთი რამ მოკლედ მაინც მოვიტანოთ ა. სოვის ნაშრომიდან.

1.5. ცოტა რამ მოსახლეობის ზოგადი თეორიიდან

იმ საერთო ველზე, სადაც შეიძლება შეხვდნენ დემოლოგი, სოციოლოგი, ეკონომისტი, ამბობს ა. სოვი, დგას უდიდესი პრობლება, რომელიც აწუხებდა პლატონს, მის წინამორბედ უძველეს ბერძენ ფილოსოფოსებს. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამას კონფუციც. ამ პრობლემის არსი მდგომარეობს შემდეგში: არის თუ არა დამოკიდებული რომელიმე ტერიტორიაზე, ქვეყანაში მცხოვრები ხალხის კეთილდღეობა მათ რაოდენობაზე და თუ დამოკიდებულია, როგორია ეს დამოკიდებულება. აგერ, უკვე 2500 წელზე მეტია, სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა დასკვნას აკეთებს, სხვადასხვა არგუმენტი და დასაბუთება მოჰყავთ, მაგრამ შეთანხმება მათ შორის მხოლოდ მეორეხარისხოვან საკითხებთან დაკავშირებით ხდება.

მაგრამ ყველა აღიარებდა იმას, რომ გარკვეული გარემოებების დროს არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება მოსახლეობის რაოდენობასა და

კეთილდღეობას შორის. უფრო მეტიც, პირდაპირი დამოკიდებულებაა ჭარბ მოსახლეობასა და სოციალურ-პოლიტიკურ წყობას შორის. თუ სიბრტყეზე გავფანტავთ ბილიარდის ბურთებს და დავიწყებთ მათზე დაწოლას სხვადასხვა მხრიდან, ვნახავთ რომ, ისინი ჯერ მჭიდროდ დაუახლოვდებიან ერთმანეთს, ხოლო შემდეგ მიიღებენ მესამე განზომილებას, შექმნიან გარკვეულ მოცულობას. უკვე ეს მაგალითი, რომელიც რა თქმა უნდა, არ არის სრულყოფილი, გვიკარნახებს იმას, თუ რატომ უწყობდა ხელს ჭარბი მოსახლეობა ავტორიტარულ რეჟიმს. ე.ი. აუცილებელი ხდება რაღაც წინააღმდეგობის ძალის გამოყენება, რომელიც შეზღუდავს ბურთების გავრცელებას.

ა. სოვი მიიჩნევს, რომ ყველაზე გამარტივებული სტატისტიკური სქემა გვარწმუნებს, რომ რომელიმე ტერიტორიაზე მოსახლეობის ეკონომიური ოპტიმუმი, ანუ მოსახლეობის ის რაოდენობა, რომელიც სხვა თანაბარი მონაცემების დროს უზრუნველყოფს ყველაზე მაღალ სასიცოცხლო მინიმუმს, ყოველთვის ნაკლებია ქვეყნის ძლიერების ოპტიმუმზე. აშკარაა, რომ დესპოტი მმართველი დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტ მოსახლეობაში. ხოლო დემოკრატიული რეჟიმები – პირიქით, ამ მხრივ უფრო ფრთხილობენ.[70]

უფრო მეტიც, როდესაც ვსწავლობთ ფეოდალური ტიპის აგრარულ ეკონომიკას, ვხედავთ, რომ ასეთი ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია მოსახლეობის რაოდენობამ მიაღწიოს შესაბამისობას სასიცოცხლო რესურსების რაოდენობასთან. ამიტომ მისთვის აუცილებელი ხდება აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მმართველის არსებობა, რომელიც ამ რესურსებს გაანაწილებს და სიტუაციას ამით დაარეგულირებს. მიუხედავად ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებისა, რომელიც შეიძლება მოხდეს ასეთი მმართველობის პირობებში, ხალხს მაინც ასეთი მმართველი ურჩევნია, ვიდრე ილუზორული, მოჩვენებითი თანხმობა, რომელიც არათანაბარი სიმდიდრის არსებობით საერთოდ ქრება.[70]

ცოტა უფრო მეტი წარმოდგენა რომ შევიქმნათ დემოლოგიის არსზე, მის მნიშვნელობასა და პერსპექტივაზე, აუცილებლად ცოტა რამ უნდა ვიცოდეთ მოსახლეობის ზოგადი თეორიის შესახებაც.

ამ თეორიის ელემენტარულ, სულ პირველად გაცნობას ა. სოვი იწყებს ცხოველთა ეკოლოგიით. ცოცხალი არსებების რომელიმე სახეობას ის იხილავს მათ გარემომცველ გარემოში.

ცოცხალი არსების ნებისმიერ სახეობას აქვს გამრავლების, ზოგჯერ – ძალიან სწრაფი გამრავლების უნარი.

დავუშვათ, რომ მოცემული სახეობა ცოცხალი ორგანიზმისა, რომელზედაც ვლაპარაკობთ, არის ერთადერთი სახეობა მოცემულ გარემოში. მისი ზრდა არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ის შეზღუდულია, ლიმიტირებულია ორი „ჭერით“, ორი საზღვრით:

1. ფიზიკური „ჭერი“. არ შეიძლება გამოსვლა იმ ელემენტების ჯამის საზღვრიდან, რომლებიც წარმოქმნიან თვითონ ბუნებრივ გარემოს;
2. ბიოქიმიური „ჭერი“. ცხოვრების პროცესი ითხოვს მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ ქიმიური გარდაქმნებს. რა თქმა უნდა, ასეთი პროცესი არ შეიძლება იყოს უსასრულო.

ცოცხალი ორგანიზმების ნებისმიერი სახეობა გარემოს მხრიდან ხვდება წინააღმდეგობას, რომელიც მატულობს ცოცხალი ორგანიზმების რაოდენობის მატებასთან ერთად. შემდეგ ცოცხალი ორგანიზმების ზრდით გამოწვეულ დაწოლას გარემო ვეღარ უძლებს და ის უკან იხევს, ცოცხალ ორგანიზმებს უთმობს გარკვეული რაოდენობის ნივთიერებებს, ელემენტებს. მაგრამ ეს დათმობა, უკან დახევა გარემოსი, უაღრესად ელასტიურია, ანუ დაწოლას და წინააღმდეგობას გარემო თვითონაც ახორციელებს. მისი წინააღმდეგობა იმაში გამოიხატება, რომ იმ ნივთიერებების და ელემენტების რაოდენობა, რომელსაც ის რაოდენობრივი დაწოლის შედეგად თმობს, ცოცხალი ორგანიზმების რაოდენობის ზრდის პროპორციული არ არის. ესე იგი, ის თითქოს დეფიციტს უქმნის მოცემულ ცოცხალ არსებებს. ასეთი დეფიციტი, ანუ თითოეული ინდივიდისათვის გარემოს მიერ გამოყოფილი საჭირო ნივთიერებების ნაკლებობა, საბოლოოდ, უარყოფითად მოქმედებს ამ ინდივიდებზე და იწვევს მოკვდაობის გაზრდას ან შობადობის შემცირებას, ან აიძულებს ინდივიდებს დატოვონ მოცემული გარემო (ემიგრაცია).

თუ შევთანხმდებით, რომ ინდივიდთა მიერ გარემოს გამოყენების უნარი რჩება მუდმივი, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, პოპულაციის მოცემულ რაოდენობას შეესაბამება არსებობის საშუალებათა მკაცრად განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც მოდის ერთ ინდივიდზე, ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ, აღმოვაჩინოთ ორი ფენომენი:

1. ეკონომიკური – პოპულაციის ზრდის გამო, არსებობის საშუალებათა რაოდენობა, რომელიც მოდის ერთ ინდივიდზე, აუცილებლად მცირდება და ეს ხდება ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობის გამო.

2. ბიოლოგიური ფენომენი – არსებობის საშუალებების ასეთი შემცირება იწვევს მოკვდაობის გაზრდას და შობადობის შემცირებას.

რა მოსდის პოპულაციას ასეთ პირობებში? ჯერ უნდა ვთქვათ, რომ არსებობს თურმე სრული წონასწორობის მდგომარეობა, რომელიც არ არის დამოკიდებული იმ საწყის მდგომარეობაზე, რომელშიც იმყოფებოდა მოცემული პოპულაცია.[20]

თუ შობადობა და მოკვდაობა, რომელიმე პოპულაციაში მუდმივია, მაშინ ეს პოპულაცია მიისწრაფვის მიაღწიოს იმ მდგომარეობას, რომლის დროსაც ასაკობრივი სტრუქტურა უცვლელი ხდება. ამას გარდა, თუ აღმოჩნდა, რომ ამ სტაბილური ასაკობრივი სტრუქტურის მქონე პოპულაციაში შობადობა ტოლია მოკვდაობის, მაშინ ჩვენ მივიღებთ სტაციონარულ პოპულაციას, რომელიც ხასიათდება უცვლელი ასაკობრივი სტრუქტურით და უცვლელი რიცხოვნობით. მაგრამ თვითონ ეს რიცხოვნობა დამოკიდებული იქნება მხოლოდ საწყის მონაცემებზე.

სტაციონარული პოპულაციის ასეთი წონასწორობა არამდგრადია. თუ რიცხოვნობა და ინდივიდთა ასაკობრივი განაწილება განიცდის რაღაც შემთხვევითი ხასიათის მოდიფიკაციას, მაშინ პოპულაცია ცდილობს მიაღწიოს ახალ წონასწორობას, რომელიც თავისი ასაკობრივი სტრუქტურით იდენტურია წინასი, მაგრამ განსხვავდება მისგან რიცხოვნობით.

ასეთი წონასწორობის სხვადასხვა ვარიანტი აღიწერება ალგებრული დამოკიდებულებითაც, სრულიად კონკრეტული მათემატიკური ფორმულებით. მოსახლეობის თეორიაში არის აგრეთვე ნახევრადსტაციონარული მდგომარეობის ცნებაც. ყოველივე ეს აღიწერება მათემატიკურად, მათ შორის გრაფიკულადაც, მაგალითად – ასიმპტოტური პარაბოლების სახით და ა.შ.

გავაგრძელოთ საუბარი ცხოველთა პოპულაციის შესახებ.

განვიხილოთ მაგალითად ცხოველთა ორი, ერთმანეთის კონკურენტი სახეობა, რომელთა შორის ბრძოლა და შეჯიბრი გამოხატულია ერთი და იგივე საკვებისათვის, ბრძოლაში, ან ერთი სახეობა შეიძლება თვითონ იყოს მეორისათვის საკვები. შეიძლება იყოს, შესაძლებელია დავუშვათ ისეთი მყარი წონასწორობის მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ორივე სახეობის თანაარსებობა.[20]

ა. სოვის მოაქვს ე.წ. ხუან ფერნანდესის კუნძულის კლასიკური მაგალითი. იქ შეყვანილი თხები მრავლდებიან იმ მაქსიმალურ რაოდენობამდე, რომლის გამოკვებაც შეუძლია იქ არსებული ბალახის წლიურ მოსავალს.

თუ ახლა ამ კუნძულზე შეუშვებენ მგლებს, მაშინ ისინიც დაიწყებენ გამრავლებას და შეეცდებიან თხების შეჭმას.

თუ დავუშვებთ, რომ კუნძულის ზედაპირი არის სწორი, არ არის არც კლდე, არც ბორცვი, არც ნაპრალი, ე.ი. თხებს ამ გაშლილ ზედაპირზე არა აქვთ დასამალი. მაშინ მათი განადგურება გარდაუვალია. მაგრამ უკანასკნელი თხის შეჭმა ნიშნავს მგლების დაღუპვის დასაწყისსაც. თუ კუნძულზე არის დასამალი ადგილები, რომლებშიც მგლები ძნელად შეაღწევენ, მაშინ თხების რაოდენობა ნელა, მაგრამ მაინც შემცირდება და ეს გამოიწვევს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მგლებს დააკლდებათ საკვები და მათი რაოდენობა დაიწყებს შემცირებას. საბოლოოდ, ამ ორ სახეობას შორის დამყარდება წონასწორობა. ასევეა ყველა სხვა მტაცებლის შემთხვევაშიც. მათ შორის ბოლოს მყარდება გარკვეული წონასწორობა. რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ასეთ წონასწორობაზე სხვადასხვა გარემო ფაქტორიც ახდენს გავლენას (მეტეოროლოგიური, რელიეფი და ა.შ.). ასეთი გავლენა რომელიმე წელს შეიძლება ისეთი ძლიერი იყოს, რომ პოპულაციის ამა თუ იმ სახის სრული განადგურებაც კი გამოიწვიოს.

მოდით უფრო კარგად განვიხილოთ, რაშია ზემოთ აღწერილი თითოეული სახეობის – თხებისა და მგლების ინტერესი ცალ-ცალკე. როგორც ვთქვით, ზემოთ აღწერილ „კავშირში“ დაინტერესებულია ორივე მხარე. დავუშვათ, რომ მგელსაც და თხასაც ესმის, რაშია მისი ინტერესი და ისინი მზად არიან ემსახურონ ამ ინტერესს. ეს ინტერესი კი იმაშია, რომ მიაღწიონ მაქსიმალურად დიდ რაოდენობას, დიდ რიცხვს, და ეს შეინარჩუნონ რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში.

თუ თხებს, იმ ადგილების გარდა, რომლებიც ხელმისაწვდომია მგლებისათვის, საცხოვრებლად აქვთ სხვა, მათგან დამალული და მიუწვდომელი ადგილი, მაშინ მათთვის აზრი ჰქონდა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში საერთოდ არ გამოსულიყვნენ ასეთი ადგილებიდან. მაშინ მგლები ამოწყდებოდნენ, ხოლო ბოლო მგლის სიკვდილის შემდეგ ჭკვიან და გამძლე თხებს მიეცემოდათ საშუალება გამრავლებულიყვნენ. გამრავლდებოდნენ ისინი იმ ზღვრულ რაოდენობამდე, რის საშუალებასაც იძლევა არსებობის საშუალებები. რა თქმა უნდა, ეს მეტი იქნება, ვიდრე იყო იმ წონასწორობის დროს, როცა იყვნენ მგლები.

ახლა გადავიდეთ მგლებზე. რაშია მათი ინტერესი? უნდა იყვნენ ისინი ისეთი მარჯვეები, რომ შეაღწიონ თხების სამალავში და ბოლომდე შეჭამონ თხები? რა თქმა უნდა, არა, რადგან ასეთი „გამარჯვება“ იმავდროულად იქნებოდა მათი დაღუპვაც.

მგლებმა, თუ ისინი ყველანი ერთ აზრზე იქნებიან, ანუ გაერთიანდებიან ერთ საზოგადოებაში, თხების არ იყოს, უნდა გამოიჩინონ „სტოიციზმი“ და არა მარტო თავი უნდა შეიკავონ თხების დევნისაგან, არამედ მისცენ მათ გამრავლების შესაძლებლობაც. ამის შედეგად, თხების რაოდენობა მიაღწევს მაქსიმუმს. მაშინ, ასეთ შემთხვევაში, მგლების რაოდენობაც იქნებოდა მაქსიმუმი! ამას კი, მინიმუმ, გონიერება და თავის შეკავების უნარი სჭირდება.

გავაგრძელოთ თეორიული მოდელის აგება და დავუშვათ, რომ მგლები გახდნენ ბალახის მჭამელები, ე.ი. მათთვის აღარ არის აუცილებელი, არ ჭირდებათ თხების შეჭმა, მაგრამ ამასთან ერთად, დარჩნენ საკმარისად ძლიერები იმისათვის, რომ გაყარონ თხები. ეს იქნებოდა ყველაზე დიდი კატასტროფა თხებისათვის. ისინი იმ წუთიდანვე განადგურდებოდნენ, რადგან მათი განადგურება აღარ იქნებოდა მგლებისათვის განადგურების დაწყების მომასწავებელი იმიტომ, რომ ისინი აღარ იქნებოდნენ მათთვის საჭირო, აღარ იქნებოდნენ საჭირო წონასწორობისათვის. მაშასადამე, გამოდის, რომ სუსტი თავისი არსებობით დამოკიდებულია ძლიერზე და მის მოთხოვნილებაზე – გამოიყენოს, ჭირდებოდეს სუსტი. ის არსებობას ძლიერს უნდა უმადლოდეს. ე.ი. ძლიერი მას ერთდროულად ართმევს და ჩუქნის კიდეც სიცოცხლეს.

ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო დაკვირვების საშუალებას იძლევა. გამოდის, რომ კლასობრივ სახელმწიფოში, საზოგადოებაში, ასკვნის ა. სოვი, მაგალითად – ფეოდალურში, უმდაბლესი კლასისათვის არსებობს ბევრად უფრო დიდი საშიშროება, მძიმე პერსპექტივა, ვიდრე ის, რომ იყოს ექსპლუატირებული – მან შეიძლება საერთოდ შეწყვიტოს არსებობა. თუ მმართველი მოსამსახურეებს ჩამოაშორებს ეკონომიკურ წრებრუნვას, ყველაფერს თვითონ გააკეთებს, მხოლოდ უშუალოდ თვითონ მოიპოვებს ბუნების ყველა სიკეთეს, რა თქმა უნდა, მაშინ ის აღარ გაუწევს ექსპლუატაციას ქვედა ფენებს, მაგრამ სამაგიეროდ, ის მათ არსებობის საშუალებასაც ართმევს მგლებისა და თხების მსგავსად.

აქ აღწერილი მოსაზრებები შეიძლება განვაზოგადოთ მაშინაც, როცა ერთი და იგივე გარემოში ცხოვრობს არა ორი, არამედ მრავალი სახეობა. ე.ი. იმ მდგომარეობაზე, რომელიც უფრო ახლოს არის რეალობასთან. ცოცხალი არსებების ამ სხვადასხვა სახეობას შორის მყარდება გარკვეული თანაფარდობა, წონასწორობის გარკვეული მდგომარეობა.

რატომ შევჩერდით ასე დეტალურად თხებისა და მგლების ამ თეორიულ, მაგრამ ლოგიკურ მოდელზე. იმიტომ, რომ ძალიან დიდი დოზით,

ეს შეიძლება გავრცელდეს სხვა ცოცხალ არსებებზეც, მათ შორის ადამიანებზე და მთელ ხალხებზე.

წონასწორობის ეს კონცეფცია, გარკვეული გარემოს, არეალის „ტევადობის“ ეს პრინციპები შეიძლება გავრცელდეს ადამიანთა საზოგადოებაზეც. ეს შეიძლება გამოყენებული იქნეს ადამიანთა საზოგადოების ეკონომიკის შესწავლის დროსაც. აქ ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოპულაციის რაოდენობას, როგორ არის ის წამოწეული წინა პლანზე, როგორც სხვადასხვა პოპულაციის უმთავრესი მიზანი. სწორედ ეს არის დემოლოგიის საგანიც.

ადამიანთა პრიმიტიული პოპულაცია, ანუ უფრო ზუსტად, ადამიანთა პოპულაცია უცვლელი ტექნიკის დროს, როცა შეუზღუდავია შობადობა და ქორწინება და ა.შ., იმყოფება დაახლოებით იგივე მდგომარეობაში, რომელშიც ცხოველთა ნებისმიერი პოპულაცია და იგი შეიძლება გამრავლდეს იმ მაქსიმალურ ზღვრამდე, რომელსაც განსაზღვრავს გარემო, ბუნება.[70]

როგორც ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები, ადამიანიც დაინტერესებულია შეინარჩუნოს გარეული თუ შინაური ცხოველები, ტყეები, მიწები, ანუ ის კაპიტალი, რომელსაც მას ბუნება აძლევს.

აქაც არის მაქსიმალური მოსახლეობის ცნება და ეს ცნება თავის მნიშვნელობას მაშინაც ინარჩუნებს, როდესაც ზემოთ აღწერილი პირობები ბოლომდე არ არის დაცული.

მაქსიმალური მოსახლეობა, მინიმალური მოსახლეობა, ოპტიმალური მოსახლეობა, ბიოლოგიური ოპტიმუმი, მათი უშუალო მოქმედება შობადობაზე, მოკვდაობაზე, მიგრაციაზე – ეს არის სწორედ მოსახლეობის ზოგადი თეორიის კვლევის საგანი, ანუ ეს არის სწორედ დემოლოგიის საგანი. ეს ყველაფერი აღწერილია, როგორც უკვე ვთქვით, მათემატიკური ფორმულებით, გრაფიკებით, მათემატიკური მოდელებით და მათი ზოგადი ცოდნა მაინც, ყოვლად აუცილებელია დემოლოგებისათვის.

თავი II. მოსახლეობის აღწერა. აღწერების ისტორია საქართველოში. საქართველოს მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების ისტორია

2.1. მოსახლეობის აღწერა. აღწერების ისტორია საქართველოში

წინა თავში განხილული დემოლოგიური მოვლენებისა და პროცესების ანალიზისათვის საჭირო ყველა რაოდენობრივი, რიცხვითი მახასიათებლისა და მაჩვენებლის მოპოვება და მათი განხილვა შეუძლებელია სრულყოფილი დემოლოგიური ინფორმაციის გარეშე. დემოლოგია, ისევე, როგორც ყველა სხვა მეცნიერება ვერ იარსებებს მოსახლეობისა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის გარეშე. ასეთი ინფორმაცია აუცილებელია, როგორც თეორიული სამეცნიერო კვლევისათვის, ასევე პრაქტიკული მიზნებისთვისაც, იმისათვის, რომ მოხდეს მოსახლეობის განვითარების ტენდენციების დადგენა, პროგნოზირება და კონკრეტული პრაქტიკული პროგრამების შემუშავებაც. ასევე მნიშვნელოვანია, დემოლოგიური მეცნიერება ფლობდეს პირველადი დემოლოგიური ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ფორმებსა და მეთოდებს. დემოლოგიური ინფორმაციის ძირითად საშუალებას, ძირითად სრულყოფილ წყაროს **მოსახლეობის აღწერა** წარმოადგენს. დემოლოგიური მონაცემების შეგროვებას ძალიან ძველი ისტორია აქვს. საუკუნეთა განმავლობაში, ცივილიზაციათა განვითარების, მეცნიერებათა განვითარების კვალობაზე იცვლებოდა და იცვლება აღწერის მიზნები და ფორმები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის დღესაც რჩება დემოლოგიური ინფორმაციის ძირითად წყაროდ. მიუხედავად იმისა, რომ აღწერები უხსოვარი დროიდან ტარდებოდა, თანამედროვე გაგებით, აღწერის ისტორია სათავეს მაინც 1790 წლიდან იღებს. სწორედ ამ წელს ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი საყოველთაო აღწერა შემუშავებული და მკაცრად დადგენილი სპეციალური წესებით. შეიძლება ითქვას, რომ ამ წესების შემუშავება ხდებოდა მხოლოდ წმინდა ემპირიული გზით. მათი მკაცრად განზოგადება მოხდა ცოტა უფრო გვიან, ბელგიელი მეცნიერის ა. კეტლეს მიერ, და პირველი საყოველთაო აღწერა ბელგიაში 1846 წელს სწორედ მათ საფუძველზე ჩატარდა. მოსახლეობის აღწერის არაერთი განმარტება არსებობს. ყველაზე ამომწურავი და სრული განმარტება, ჩვენი აზრით, შეიმუშავა გაერომ 1981 წელს. გაეროს განმარტებით, „მოსახლეობის აღწერა არის იმ დემოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური მონაცემების შეკრების, განზოგადების, შეფასების,

ანალიზის და პუბლიკაციის ან სხვა გზით გავრცელების ერთიანი პროცესი, რომელიც განსაზღვრულ დროს ეხება ქვეყნის ყველა პირს ან მის მკაფიოდ განსაზღვრულ ნაწილს.“

გაერომ განსაზღვრა ასევე, თანამედროვე აღწერისათვის დამახასიათებელი უმთავრესი პრინციპები. მაგალითად, მნიშვნელოვანია: *მოსახლეობის იმ კატეგორიების განსაზღვრა, რომელიც უნდა აღიწეროს აღწერის საყოველთაობა, ერთდროულობა, ნებაყოფლობითობა, კონფიდენციალურობა; ერთიანი პროგრამების არსებობა და მათი ცენტრალიზებულად მართვა; პერიოდულობა* და ზოგიერთი სხვა.

მსოფლიოში მოსახლეობის აღწერის ჩატარებას ძველი და მდიდარი ისტორია აქვს. ერთ-ერთი უძველესი წყარო, რომელშიც აღწერის შესახებ არის მოთხრობილი, ბიბლიაა. ძველი აღთქმის მე-4 წიგნში – „რიცხვნი“, აღნიშნულია, რომ, „1. ელაპარაკა უფალი მოსეს სინაის უდაბნოში, სადღესასწაულო კარავში, მეორე თვის პირველ დღეს, ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე წელს, უთხრა: 2. აღწერე ისრაელიანთა საზოგადოება საგვარეულოებად და მამის სახლებად, სახელთა რიცხვის მიხედვით. ყოველი მამროვანი სათითაოდ; 3. აღრიცხეთ შენ და აარონმა ყველა ისრაელიანი ოცი წლიდან მოყოლებული, ლაშქარში გამსვლელი, თავ-თავისი ლაშქრისდა მიხედვით“. მართლაც ჩაატარა ხალხის აღწერა მოსემ სინაის უდაბნოში, როგორც ნაბრძანები ჰქონდა მოსესათვის უფალს. მთლიანად აღრიცხული აღმოჩნდა ექვსას სამი ათას ხუთას ორმოცდაათი ადამიანი. ოღონდ, არ აღრიცხულან ლევიანები, რადგან „ასე ელაპარაკა უფალი მოსეს: ოღონდ ლევის შტო არ აღრიცხო, არ აღრიცხო ისრაელიანთა შორის“.

მეორედ აღწერის შესახებ ბიბლიაში ნახსენებია წიგნში „მეორე მეფეთა“. ამჯერად, დავით წინასწარმეტყველი უფლის დაუკითხავად აღწერს ისრაელს და იუდეას და ამისთვის უფალი სჯის მას.

აღწერის შესახებ ნახსენებია ახალ აღთქმაშიც, მაცხოვრის შობის შესახებ მოთხრობის დროს. სახარება ლუკასი გვამცნობს, რომ „1. იმ დღეებში გამოქვეყნდა კეისარ ავგუსტუსის ბრძანება აღწერა ჩაეტარებინათ მთელს ქვეყანაში. 2. ეს იყო პირველი აღწერა სირიაში კვირინუსის გამგებლობისას. 3. და ყველამ თავის ქალაქს მიაშურა ჩასაწერად. 4. წავიდა იოსებიც გალილეიდან, ქალაქ ნაზარეთიდან, იუდეაში, დავითის ქალაქში, რომელსაც ჰქვია ბეთლემი, ვინაიდან დავითის სახლისა და გვარის იყო. 5. რათა ჩაწერილიყო მარიამთან, თავის დანიშნულთან ერთად, რომელიც ფეხმძიმედ იყო. 6. და იქ ყოფნისას მოაწია მისი მშობიარობის ჟამმა. 7. და შობა ძე, თავისი პირმშო, ჩვრებში შეახვია და ბაგაში ჩააწვინა, ვინაიდან ფუნდუკში ადგილი არ იყო მისთვის“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღწერას საქართველოშიც დიდი ისტორია აქვს და ჩვენი ქვეყანა აღწერის განვითარებით, მისი კულტურით არც ადრეულ პერიოდებში და არც შემდგომ პრაქტიკულად არ ჩამორჩებოდა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს. სავარაუდოა, რომ აღწერა საქართველოში ჩვენს წელთაღრიცხვამდეც ტარდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ცნობებს მათ შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენამდე მოღწეული ცნობებით კი, პირველი აღწერა საქართველოში VII საუკუნის პირველ ნახევარში ჩატარებულა.

სუმბათ დავითის ძის ქრონიკებში აღნიშნულია, რომ „ქვეყანა ქართლისა, აღწერეს და წარიღეს საბერძნეთს“. ეს ერისმთავარ სტეფანოზის დროს მომხდარა. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ აღწერის მონაცემები „საბერძნეთს წარიღეს“, ჩვენ მათ შესახებ აღარაფერი შემოგვრჩა.

მეორე აღწერა, ჩვენთვის ცნობილი ისტორიული წყაროებით, საქართველოში XI საუკუნის 20-იან წლებში ჩატარდა ბიზანტიის მეფის – კონსტანტინე მონომახის ბრძანებით. სამწუხაროდ, ამ აღწერის შესახებაც რაიმე მასალა ჩვენთვის არ დარჩენილა.

VII და XI საუკუნეებში ჩატარებული აღწერის შემდეგ, როგორც ჩანს, აღწერა დავით აღმაშენებლის დროსაც ჩატარებულა, მაგრამ არც ეს მონაცემები შემორჩენილა.

შედარებით უფრო დაწვრილებითი ცნობები მოგვეპოვება 1254 წლის აღწერის შესახებ. ეს აღწერა მონღოლებმა ბათო ყაენის ბრძანებით ჩაატარეს. ისევე, როგორც ადრეულ პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული ყველა აღწერა, ეს აღწერაც ორი მიზნით – სამხედრო და ფისკალური მიზნით ტარდებოდა, ე.ი. უნდა დაედგინათ ჯარში გასაწვევთა რიცხვი და ზუსტად გაერკვიათ დასაბეგრთა რაოდენობაც.

ბათო ყაენის დავალებით, ეს აღწერა ვინმე მოხელე არღუნს ჩაუტარებია, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, აღწერა ჩატარდა მთელს საქართველოში („დავითის სამეფოში“) და არა მხოლოდ მის ნაწილში (აღმოსავლეთ საქართველოში). საქართველოსთან ერთად, ყაენის დავალებით, არღუნს აღუწერია რუსეთიც, ხაზარეთიც, ოვსეთი, ყივჩაღეთი და ა.შ.

ეს იყო არა მხოლოდ ხალხის აღწერა, არამედ აღუწერიათ ვენახები, ყანები, პირუტყვი. ქართველი მემატიანის, ჟამთაღმწერლის გადმოცემით, მონღოლებმა „იწყეს აღწერა კაცთაგან და პირუტყვამდე, ყანით ვენახამდე, წალკოტით ბოსტნამდე“.

აღწერის მიხედვით, „ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელს, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეადგენდა და გამოხდა სამეფოსაგან დავი-

თისა ცხრა დუმანი მხედარი, თათართა თანაწარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი“.[74] ე.ი. ლაშქარში გასაწვევთა რაოდენობამ ცხრა დუმანი, ანუ ცხრა ბევრი შეადგინა. ძველქართულად დუმანი, ანუ ბევრი უდრიდა 10 ათასს. ამ ცნობის მიხედვით, სხვადასხვა მეცნიერი საქართველოში მოსახლეობის სხვადასხვა რაოდენობას ვარაუდობდა. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ საქართველოს მოსახლეობა 4,5-5 მილიონი უნდა ყოფილიყო. მისი გაანგარიშებით, თუ თითოეულ მხედარზე სრული ფუძის მქონებელი 9 კომლი უანგარიშიათ (ანუ ყოველი მე-9 კომლიდან ერთი მხედარი გამოჰყავდავთ), მაშინ კომლების რაოდენობა საქართველოში იქნებოდა 90000x9=810 000. მაშასადამე, საქართველოში 810 ათას კომლს უცხოვრია. შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი ერთ კომლში 5 სულს ანგარიშობს და ამიტომ მოსახლეობის რაოდენობა ყოფილა 810 000 x 5 = 4 050 000, ანუ 4 მილიონ 50 ათასი. ამავე დროს, ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ მამრობითი სქესის მოსახლეობა 15 წლამდე და 60 წელზე უფროსი, აღწერაში შეტანილი არ იყო და ამ რაოდენობის დამატებით, იგი საბოლოოდ ვარაუდობს, რომ საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 4-4,5 მილიონი უნდა ყოფილიყო.

ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, იგივე მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს მოსახლეობას სულ სხვა ციფრით გამოსახავს. აკადემიკოს ვ. ჯაოშვილისა და ს. კაკაბაძის აზრით, მოსახლეობა 2,4-2,5 მილიონზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, ხოლო საქართველოს დღევანდელ საზღვრებში, მისი მოსახლეობა 1,5 მილიონს უდრიდა. ამ მოსაზრებას იზიარებს ამ წიგნის რედაქტორი პროფ. რ. გაჩეჩილაძე და მას ის ვარაუდი, რომ იმ პერიოდში საქართველოში 5 მილიონი და მეტი ადამიანი ცხოვრობდა, ნაკლებად მეცნიერულად მიაჩნია. ის მიიჩნევს, რომ ერთი წყაროს მოკლე ცნობაზე დაყრდნობით შეუძლებელია რომელიმე ერთი მომენტისათვის დადგინდეს მოსახლეობის რეტროსპექტრული რაოდენობა. აკადემიკოსი პ. გუგუშვილი ეთანხმება ივ. ჯავახიშვილის აზრს და ისიც თვლის, რომ იმ დროს საქართველოს მოსახლეობა 4,5-5 მილიონი იყო. პავლე ინგოროყვას აზრით, საკუთრივ საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონ 550 ათასს უდრიდა.

ამ სტრიქონების ავტორისა და პროფ. ა. თოთაძის ვარაუდით, იმ პერიოდის საქართველოში კომლის საშუალო სულადობა 5 ადამიანზე მეტი უნდა ყოფილიყო. საკვლევ პერიოდში მასობრივად იყო გავრცელებული ტრადიციული, მრავალშვილიანი და რამდენიმე თაობიანი დიდი ოჯახები. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, თავისუფლად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კომლში საშუალოდ, თუ უფრო მეტი არა, 7 სული მაინც

ცხოვრობდა, ასეთი დაშვებით მივიღებთ, რომ საქართველოში 5 მილიონ 670 ათას ადამიანს უნდა ეცხოვრა (810 000 x 7 = 5 670 000). ჩვენი აზრით, ესეც არ უნდა იყოს საბოლოო რიცხვი და მის მისაღებად მხედველობაში აუცილებლად უნდა მივიღოთ ის, რომ არღუნი სრულად ვერ შეძლებდა მოსახლეობის აღწერას. ასეთი სიზუსტე აღწერის თანამედროვე ტექნოლოგიების არსებობის შემთხვევაშიც კი შეუძლებელია, მაშასადამე, უთუოდ გამორჩებოდათ მთელი დასახლებული პუნქტებიც კი. შემდგომ ამისა, ცნობილია, რომ ჩინგიზ ხანის მიერ შექმნილი კანონების მიხედვით, გათვალისწინებული იყო ყველა ქვეყნის მეცნიერთა და ბრძენთა პატივისცემა. მათთან ერთად, ჯარში გაწვევისა და გადასახადებისაგან გათავისუფლებულები იყვნენ ყველა რელიგიის სასულიერო პირები და ექიმები. ამ წესს მონღოლები მკაცრად იცავდნენ მოსახლეობის აღწერის დროს.

ამასთან, ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ არსებული ცნობებით, მონღოლებს, მხოლოდ სრული ფუძის (რაც იგივეა – სრული მიწის) მქონებელი გლეხის ოჯახიდან გაუყვანიათ მხედარი ლაშქრად, ხოლო ვისაც ნახევარი ან მეოთხედი ფუძე ეკუთვნოდა, ის სამხედრო ბეგარიდან გათავისუფლებული ყოფილა. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ აღწერაში არასრულფუძიანი გლეხების გარდა, „არც ბოგანოებია აქ სათვალავში მიღებული, არც უმიწაწყლო გლეხები; მათ გარდა, საქართველოში აზნაურები, მოხელეები და სამღვდელოება იყო; სათვალავში ისინიც არ არიან შეტანილნი. მთელი ეს მრავალგვარი და სხვადასხვანაირი ჯგუფები, სულ ცოტა, 1 000 000-ად უნდა ჩავთვალოთ“. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სრული უფლება გვაქვს ზემოთ ნავარაუდევ 5 მილიონ 670 ათასს დავამატოთ ერთი მილიონი ადამიანი და გამოვთქვათ მოსაზრება, რომ საქართველოს მოსახლეობა 1254 წლისათვის, მონღოლების მიერ მთელ საქართველოში ჩატარებული აღწერის მიხედვით, 6 მილიონ 670 ათასი, ანუ დაახლოებით 7 მილიონამდე მაინც უნდა ყოფილიყო.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ თითქმის 2 ათასი წლის განმავლობაში, ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ახალი წელთაღრიცხვის XI საუკუნემდე, საქართველოს ტერიტორიის ფართობი ოდნავი ცვლილებით 140-150 კმ^2 უდრიდა, ანუ ორჯერ მეტს, საქართველოს დღევანდელ ფართობთან შედარებით. ამასთან, მოსახლეობის რაოდენობით, როგორც ჩანს, საქართველო ერთ-ერთი უდიდესი უნდა ყოფილიყო იმ პერიოდის მსოფლიოში. არსებული მონაცემებით, იმ პერიოდში, საფრანგეთში 13 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, იტალიაში –

8 მილიონი, გერმანიაში – 7 მილიონი, ესპანეთში – 5 მილიონი, ხოლო ინგლისში – 2,6 მილიონი.

მონღოლებმა და იგივე არღუნმა, როგორც ჩანს, რამდენიმე ხანში მეორედ ჩაატარეს აღწერა, მაგრამ სამწუხაროდ, მისი მონაცემები არსად ჩანს. მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ „უმრავლესი ქვეყანა მოოხრებული იყო, და უმეტეს ჰერეთი და კახეთი“.

ივ. ჯავახიშვილი საქართველოში სხვა აღწერების ჩატარების შესახებაც უმნიშვნელოვანეს მასალას გვაწვდის. თავის ნაშრომში „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, იგი აღნიშნავს, რომ უცნობია, როდის შემოიღეს საქართველოში ხალხის აღწერა, რომ ცნობა საქართველოში ხალხის აღწერის წესის შესახებ XII საუკუნემდე ჯერ არ მოგვეპოვება. მას მიაჩნდა, რომ იმ წიგნსა და საბუთს, რომელშიც ხალხის აღწერის მონაცემები შეჰქონდათ, XII საუკუნის მეორე ნახევარში მაინც „დავთარი“ რქმევია. ივ. ჯავახიშვილი აღწერს, რომ გვიან შუა საუკუნეებში მაინც, საქართველოში ხალხის აღწერის დადგენილი წესი არსებობდა. მაგალითად, ქართლში აღწერის წესი, სამეფოს ოთხ სადროშოდ ან სასარდლოდ დაყოფის პრინციპზე იყო დაფუძნებული და მთელი სამეფოს აღწერაც 4 დავთარში უნდა ყოფილიყო თავმოყრილი. სადროშოს სათავეში მყოფი სარდალი ვალდებული იყო ხელქვეითი სადროშოს აღწერა 7 წელიწადში ერთხელ ჩაეტარებინა. ივ. ჯავახიშვილი დეტალურად აღწერს აღწერის ჩატარების სხვა წესებსა და ტექნოლოგიას. საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის დაკვირვება თვით დემოლოგიურ ძეგლებზე. ის ასკვნის, რომ საქართველოში ხელთა გვაქვს, როგორც ხალხის აღწერის, აღრიცხვის, შემოწმების, შეჯამების პროცესის ამსახველი ძეგლები, ასევე სხვადასხვა სახის და დანიშნულების სტატისტიკური ამონაკრებიც.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად ცხადყოფს, რომ საქართველოში უკვე მაშინ არსებობდა ქვეყნის დემოლოგიური განვითარების ანალიზის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალების – აღწერის ჩატარების მაღალი კულტურა.

მოსახლეობის უფრო სრული აღწერა საქართველოში მე-19 საუკუნეში დაიწყო. საუკუნის დასაწყისში მოხდა ორი დიდი ისტორიულ-დემოლოგიური მნიშვნელობის მოვლენა: 1814 წელს დაარსდა საქართველო-იმერეთის სინოდური კანტორა, ხოლო ამის შემდეგ, ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში 1818 წელს, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოში 1826 წელს, დაიწყო მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის (მოკვდაობა, შობადობა, ქორწინება, განქორწინება) საეკლესიო ჩაწერა, რეგისტრაცია ე.წ. მეტრი-

კული წიგნების სახით. ამრიგად, დემოლოგიურ მონაცემთა შეგროვება მე-19 საუკუნიდან ფართოვდება. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიამ საქართველოში ჩაატარა რამდენიმე კამერალური აღწერა, შეადგინა ე.წ. საოჯახო სიები, ხოლო 1897 წელს ჩატარდა პირველი საყოველთაო აღწერა. მე-20 საუკუნეში კი, უკვე საბჭოთა კავშირში, რეგულარულად, 10 წელიწადში ერთხელ ტარდებოდა საყოველთაო აღწერა. პირველი ასეთი აღწერა ჩატარდა 1926 წელს, ხოლო უკანასკნელი – 1989 წელს. უკვე დამოუკიდებლობის პირობებში, საქართველოს პირველი საყოველთაო აღწერა ჩატარდა 2002 წელს, ხოლო შემდეგი კი, 2014 წელს.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ აღწერების განვითარებით, ანუ დემოლოგიური პროცესების შესახებ მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების თვალსაზრისით, საქართველო არც გვიან შუა საუკუნეებში და არც ახალ და უახლეს ისტორიულ პერიოდში, არ ჩამორჩა მსოფლიოსა და ევროპაში არსებულ მდგომარეობას.

ნათელია, რომ ყველა ზემოთ ნახსენები აღწერის მონაცემები საქართველოს დემოლოგიურ განვითარებაზე დაკვირვების, მისი ღრმა ანალიზის კარგ საშუალებას იძლევა. ის საშუალებას გვაძლევს აგრეთვე, გავაკეთოთ სამომავლო პროგნოზი და სათანადო ზომები მივიღოთ საჭირო დემოლოგიური პოლიტიკის შესარჩევად და გასატარებლად.

როგორია თანამედროვე საქართველოს დემოლოგიური განვითარება? რა ვითარებაა დემოლოგიური თვალსაზრისით დღეს საქართველოში და როგორი დემოლოგიური პერსპექტივა აქვს მას მომავალში? ვფიქრობთ, ეს საკითხები უაღრესად აქტუალურია თანამედროვე და ხვალინდელი საქართველოსათვის.

ვფიქრობთ, სანამ ამ საკითხების შესახებ გამოითქმება მოსაზრებები, ძალიან მოკლედ უნდა გავიხსენოთ, რამდენი იყო საქართველოს მოსახლეობა მონღოლთა აღწერის შემდეგ, დღევანდელ პერიოდამდე. როგორც ვთქვით, მე-19 საუკუნის ბოლომდე საყოველთაო აღწერა არ ჩატარებულა და დემოლოგიური მონაცემებიც ერთობ ფრაგმენტულია, მაგრამ მათზე დაყრდნობით, არაპირდაპირი გაანგარიშების შედეგად, მაინც შეიძლება ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ სხვადასხვა პერიოდში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მონღოლთა მოხელე არღუნმა რამდენიმე ხანში ისევ ჩაატარა მოსახლეობის აღწერა და ამ აღწერის მიხედვით ჩანს, რომ მონღოლთა ბატონობამ, მცირე დროის განმავლობაშიც კი უაღრესად მძიმე კვალი დაამჩნია ქვეყნის განვითარებას. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მონღოლების

ბატონობის პერიოდში ასი ათასობით ქართველი დაიღუპა, დაირღვა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შემცირდა შობადობა და გაიზარდა მოკვდაობა. ასევე უდიდესი დემოლოგიური ზარალი მიაყენა საქართველოს თემურლენგის შემოსევებმაც. ამ პერიოდიდან ქართველი ხალხი ხშირად ხმარობდა ტერმინებს: ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, ნაფუძარი და სხვ. უცხოური წყაროების ცნობით, დასავლეთ საქართველოში განადგურებული სოფლების რიცხვი 700 აღემატებოდა.[6]

ნახსენები შემოსევების, იძულებითი გადასახლებისა და მოსახლეობის გატაცებით მიყენებული დემოლოგიური შედეგების ზუსტი შეფასება შეუძლებელია, მითუმეტეს, რომ 1254 წლის აღწერის შემდეგ, 1779 წლამდე მეტ-ნაკლებად სისტემური მონაცემები საქართველოს მოსახლეობის აღწერის შესახებ აღარ მოგვეპოვება. აკადემიკოსმა ვახტანგ ჯაოშვილმა სხვადასხვა დემოლოგიური წყაროს შესწავლით გაიანგარიშა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1770 წლისათვის. მან დაადგინა, რომ ამ პერიოდისათვის საქართველოს მოსახლეობა 761 ათასი მაცხოვრებლისგან შედგებოდა. ხოლო რამდენიმე პროცენტიანი ცდომილების დაშვებით, მას მიაჩნდა, რომ საქართველოში მოსახლეობა 750-770 ათასი ადამიანის ფარგლებში უნდა ყოფილიყო. აქედან, მისი აზრით, დასავლეთ საქართველოში – დაახლოებით 410 ათასი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 351 ათასი ადამიანი ცხოვრობდა.

მე-19 და მე-20 საუკუნეებში ჩატარებულ აღწერებზე ჩვენ ცალკე არ შევჩერდებით, რადგან მათი შედეგები ფართოდ არის ცნობილი.

საქართველოში აღწერების ისტორიის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, შევეხოთ საქართველოს დემოლოგიური განვითარების ისტორიის ზოგიერთ ძირითად მომენტს.

2.2. საქართველოს მოსახლეობის დემოლოგიური განვითარება

ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი საქართველო მოსახლეობის რაოდენობისა და მისი დემოლოგიური ქცევის მიხედვით ყოველთვის განეკუთვნებოდა მსოფლიოს უძლიერეს და დემოლოგიურად განვითარებულ სახელმწიფოთა რიცხვს. თითქოს პარადოქსულად ჩანს, მაგრამ დღესაც საქართველო ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარებადი ქვეყნების, ხოლო დემოლოგიური თვალსაზრისით, განვითარებული ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება.

საქართველოში, მთელი ქვის ხანის განმავლობაში, ადამიანის ცხოვრებისა და გამრავლებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო არსებობდა. ადამიანთა ცხოვრებისა და გადარჩენის თვალსაზრისით, საქართველოში გამყინვარების შედეგებიც არ ყოფილა კატასტროფული. უფრო ადრე კი, 1,7-2,6 მილიონი წლის წინ, დასავლეთ საქართველოს მთათაწინეთში და წინამთების ზოლში ხარობდა ფართოფოთლოვანი მცენარეები: მუხა. წიფელი, ნეკერჩხალი, ცაცხვი, წაბლი, თელა და სხვ. მთათა ზედა სარტყელში კი, ძირითადად წარმოდგენილი იყო წიწვიანი მცენარეები: სოჭი, ნაძვი, ფიჭვი. იმ დროს საქართველოში ნოტიო და ზომიერად თბილი ჰავა იყო გაბატონებული. იანვრის საშუალო ტემპერატურა ±5 გრადუსის ფარგლებში მერყეობდა. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი (-9)–(-10) გრადუსზე დაბლა არ ჩამოდიოდა, ხოლო ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 1000-1500 მმ-ს შეადგენდა. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თბილი და ზომიერად ტენიანი ჰავის არსებობას ადასტურებს აგრეთვე აქ გავრცელებული მცენარეები: მუხა, ტირიფი, თხილი, ვერხვი და სხვ. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ქვის ხანის დასაწყისიდან მოყოლებული, რკინის ხანის ჩათვლით, თითქმის მთელი 1,5 მილიონი წლის განმავლობაში, გარემო პირობებს და მათ შორის ჰავას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არსებითი ცვლილებები არ განუცდია. გლობალური აცივების მასშტაბები საქართველოს ნაკლებად შეეხო და უფრო მეტიც, აცივების გამო მიტოვებულ მაღალმთიან რაიონებს ზაფხულობით მაინც იყენებდნენ. ასე რომ, ადამიანის არსებობის, მისი გამრავლებისა და განსახლებისათვის აუცილებელი პირობები, სხვა ქვეყნების ტერიტორიებთან შედარებით, საქართველოს ტერიტორიაზე მეტად ხელსაყრელი იყო. მეზოლითიდან მოყოლებული, ადამიანი ფაქტობრივად ითვისებს საქართველოს თითქმის ყველა ლანდშაფტურ სარტყელს.

ძველი ქვის ხანის ადამიანი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ უნდა ყოფილიყო განსახლებული. ამას ამტკიცებს უპირველეს ყოვლისა ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ქვედაპალეოლითური ძეგლები აშელისა და მუსტიეს კულტურებს განეკუთვნება. პალეოლითის ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე 400-ზე მეტი ძეგლია აღნუსხული, რომელთაგან დაახლოებით 280 ქვედა პალეოლითის ეპოქით თარიღდება. ისინი საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე არიან გავრცელებული: შავიზღვისპირა ზოლში, რიონ-ყვირილას აუზში, შიდა და ქვემო ქართლში, ჯავახეთის მთიანეთში და იორ-ალაზნის აუზში. ამ ძეგლების განლაგებით თუ ვიმსჯელებთ, უკვე ქვედა პალეოლითში, აშელისა და მუსტიეს კულ-

ტურების პერიოდში ადამიანები ფართოდ არიან განსახლებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ისინი მაღალმთიანეთშიც კი ცხოვრობდნენ და ათვისებული ჰქონდათ ყველა ლანდშაფტური ზონა. მათი სადგომები განლაგებულია როგორც მღვიმეებში, ისე „ღია“ ადგილებში. ეს პროცესი განაპირობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უაღრესად ხელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა, ცხოველთა მდიდარმა და საკვებად ვარგისმა მცენარეულმა სამყარომ, ასევე, ქვის იარაღების დასამზადებლად ვარგისი ნედლეულისა და ბუნებრივი თავშესაფრების სიმრავლემ.

მუსტიეს ეპოქაში ხდება ადამიანის ფართოდ განსახლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ადამიანები სახლდებიან არა მარტო დაბლობებსა და მთისწინეთში, არამედ მაღალმთიან ადგილებშიც. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი მღვიმური დასახლებები ჩნდება ყვირილას ხეობაში. აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე ასკვნის, რომ „მუსტიეს ეპოქაში მოსახლეობის ასე ფართოდ განსახლება აშელური ეპოქის ადგილობრივი მოსახლეობის ზრდისა და გამრავლების შედეგია“. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე ქვედა პალეოლითის ეპოქაში ადამიანი პირველად ძალიან ნელა, ხოლო შემდეგ შედარებით უფრო მეტად მრავლდებოდა.[48]

მოსახლეობის გამრავლებისა და განსახლების თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო იყო საქართველოს დემოლოგიური განვითარების ისტორია მეზოლითისა და ნეოლითის ეპოქაშიც. მეზოლითის ეპოქაში საქართველოში დიდი ბუნებრივი ცვლილებები ხდება – დაიწყო საყოველთაო დათბობა, გამყინვარებამ უკან დაიხია. მეზოლითის ეპოქისათვის დამახასიათებელია თანამედროვე ჰავა, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო. ამ გარემოებათა გამო საქართველოში მეზოლითური სადგომები გვხვდება როგორც მღვიმეებსა და ხეობებში, ისე ზეგნებსა და ტერასებზე. ისინი უპირატესად მდინარეთა აუზებს უკავშირდება, მაგრამ მდინარისაგან საკმაოდ დაშორებითაც გვხვდება. აღმოჩენილი მასალა გვიჩვენებს იარაღის წარმოების ტექნიკის თანდათანობით განვითარების პროცესს. თვით მეზოლითური ძეგლების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა აშკარად მოწმობს, რომ მეზოლითი არ წარმოადგენს აქ შემთხვევით მოსულ ადამიანთა უსახო, ან სხვა ადგილიდან გადმონერგილ კულტურას, რომ იგი ადგილობრივი ზედა პალეოლითიდან იღებს საწყისებს და ასახავს მოცემულ მხარეში მეზოლითელთა შედარებით ხანგრძლივი და უწყვეტი ცხოვრების მიმდინარეობას.

საქართველოში ნეოლითის ეპოქაშიც გვხვდება მძლავრი ღია ნამოსახლარები, რომლებსაც ზოგჯერ რამდენიმე ჰექტარი მიწის ფართობი ეკავათ. ნეოლითის ეპოქაში დასახლებათა ტიპი სოფლის სახეს იღებს. ნამოსახლართა ტოპოგრაფია გარკვევით ასახავს ამ პროცესს. დემოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა არა მარტო სოფლების წარმოქმნა, არამედ გარკვეულ მიკრორეგიონებში მოსახლეობის სიმჭიდროვის ფაქტიც. ამის დადგენის საშუალებასაც დასახლებათა ტოპოგრაფია იძლევა. აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „დასახლება – სოფლები, მეტ-ნაკლებად კომპაქტურ ჯგუფებადაა განლაგებული ერთმანეთისაგან დაახლოებით 10-15 კმ-ის დაცილებით. თითოეული ასეთი ჯგუფი შედგება რამდენიმე (3-5) სოფლისაგან. ასეთი სოფლები ერთმანეთისაგან სულ 0,5-5 კმ-ის დაცილებით არიან განლაგებულნი. ვარაუდობენ, რომ შულავერის გორაზე განლაგებულ დასახლებას დაახლოებით 1 ჰექტარი ფართობი ეკავა და შედგებოდა 60-მდე სახლისაგან, რომელთაგან თითოეულში 5-8 სული ცხოვრობდა. ასე, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობა დაახლოებით 400-500 სულს აღწევდა. ამავე წესით გაანგარიშებისას, იმირის გორის მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება 300 სულით განისაზღვროს, ხოლო მთლიანად შულავერის ჯგუფისა, რომელიც ოთხი სოფლისაგან შედგებოდა, დაახლოებით 1200-1300 სულით“.[48] ყოველივე აღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოში საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ ბინადარ საზოგადოებასთან, სადაც მეურნეობის მთავარი დარგებია მაღალი დონის მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რაც თავის მხრივ გულისხმობდა „საწარმოო ჩვევებისა და ბინადარი მეურნეობის ხანგრძლივ ტრადიციებსა და საკმაოდ მაღალ დონეს. ამავე პერიოდში იქმნება გვარისაგან ოჯახის გამოყოფის ეკონომიკური საფუძველი. მიმდინარეობს ცალკეულ ოჯახებად დაშლის პროცესი..., რასაც შედეგად მოჰყვება სასოფლო თემის ჩამოყალიბება. ამ თემში ერთიანდებიან უკვე ერთი გვარის ეკონომიკურად დამოუკიდებელი ოჯახები ან ასეთ ოჯახებად დაშლილი, მაგრამ საერთო წარმოშობის რამდენიმე გვარი“.[48]

საზოგადოების განვითარება, მისი პროგრესი და მოსახლეობის დემოლოგიური განვითარება საქართველოში ჩქარდება და ახალ თვისებრივ მდგომარეობაში გადადის ჯერ ბრინჯაოს, შემდეგ კი რკინის ხანაში. სპილენძისა და, განსაკუთრებით, რკინის გამოყენებამ ტექნიკის საერთო აღმავლობა გამოიწვია, უდიდესი გავლენა მოახდინა ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროსა და დარგზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაზე. ამან ადამიანს საშუალება მისცა სტაბილური გაეხადა საარსებო პირობები.

ბრინჯაოს ხანაში ოჯახი, შვილი, გამრავლება დიდ მნიშვნელობას იძენს. იწყება განსაკუთრებული ზრუნვა ხალხის გამრავლებაზე და მასთან დაკავშირებული პრობლემები სახელმწიფო პოლიტიკის რანგშიც კი ადის.

საქართველოს დემოლოგიური განვითარების განსაკუთრებული ეტაპი დაკავშირებულია მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურასთან. მართალია, ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, ადგილი ჰქონდა მიგრაციულ პროცესებს, მაგრამ გლობალურ ეთნიკურ ძვრებს ადგილი არ ჰქონია. საბოლოოდ, ყველაფერს მაინც ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესი და მისი განვითარების კანონზომიერებები განსაზღვრავდა.

მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურის შემქმნელი მოსახლეობა გარკვეულ ტერიტორიებზე უაღრესად მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული. თავისთავად, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი დონე, უკვე გულისხმობს მოსახლეობის უფრო მჭიდროდ დასახლებას, ვიდრე ეს იყო ნადირობის და თევზჭერის ეპოქაში. ამ პერიოდის ყოველი ახალი დიდი აღმოჩენა (გუთნის, ბორბლის და სხვ.) შრომის მწარმოებლურობის უდიდეს ზრდას იწვევდა და ეს მხოლოდ მოსახლეობის სულ უფრო დიდი რაოდენობის პირობებში იყო შესაძლებელი. მეორე მხრივ კი, თვით ეს აღმოჩენა მოსახლეობის რაოდენობის გაცილებით სწრაფი ზრდის წყაროც ხდებოდა. ასე იყო შემდგომშიც. მაგალითად, ჩვენი წელთაღრიცხვის გვიან შუა საუკუნეებში დაწყებული მსოფლიოს მოსახლეობის სწრაფი ზრდის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწაფი ზრდაა მიჩნეული. მართლაც, პირველყოფილი ადამიანის გამრავლება უაღრესად ნელი ტემპით ხდებოდა. ქვის ხანის საწყის ეტაპზე (ეს ეტაპი კი მრავალ ასეულ წელს მოიცავდა) საუკუნის განმავლობაში, მოსახლეობა რამდენიმე კაცით თუ იმატებდა. ამის ძირითადი მიზეზი იყო არსებობისათვის ბუნებასთან მკაცრი, პრაქტიკულად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ბავშვთა შორის უაღრესად მაღალი მოკვდაობა, ხშირი ურთიერთმკვლელობები, მათ შორის, რიტუალურიც, თემთა შორის განუწყვეტელი შეიარაღებული შეტაკებები, სტიქიური მოვლენები, ეპიდემიები და ა.შ. ბუნებრივია, ასეთ პირობებში სიცოცხლის ხანგრძლივობა უძველეს და საშუალო ქვის ხანაში 26 წელს შეადგენდა. აღნიშნული მიზეზების გამო, მოსახლეობა, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც, უაღრესად მიზერულად იზრდებოდა.

ზუსტი ცნობები იმ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობისა და განსახლების შესახებ, სამწუხაროდ არ მოგვეპოვება, თუმცა,

ცნობილია ცალკეული უმნიშვნელოვანესი წყაროების შესახებ. უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსის – პლატონის „ფედონში“ ვხვდებით ასევე უდიდესი მოაზროვნის – სოკრატეს შემდეგ გამონათქვამს: „დედამიწა დიდზე დიდი რამ არის და ჩვენ მხოლოდ მის უმცირეს ნაწილში ვსახლობთ ფასისიდან მოყოლებული ჰერაკლეს სვეტებამდე“. ამ გამონათქვამში ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ სოკრატე მაშინდელი დასახლებული და კულტურული სამყაროს მიჯნად ერთი მხრივ ფასისს – რიონს ასახელებდა, ხოლო მეორე მხრივ, ბერძენთა ეროვნული გმირის – ჰერაკლეს მიერ უკიდურესი დასავლეთის მიჯნაზე, გიბრალტარის ვიწრო სრუტის ორსავე მხარეზე აღმართულ ორ უზარმაზარ სვეტს, რომლის იქითაც მდინარე – ოკეანე მიედინებოდა. როგორც პროფ. ა. ურუშაძე აღნიშნავს, „ძველ ბერძენ ისტორიკოსებსა და ფილოსოფოსებს, ისევე, როგორც რომაელ ავტორებს, საკუთარი ისტორია ვერ წარმოედგინათ მასში აღმოსავლეთით მოსახლე სკვითებისა თუ კოლხურ-იბერიული ტომების როლისა და ადგილის გაუთვალისწინებლად. ეს იყო შედეგი იმ ხანგრძლივი, ტრადიციული კონტაქტებისა, ეგეოსურ სამყაროს რომ აზიასა და კავკასიასთან აკავშირებდა“.[73]

უძველესი ცნობები ქართველი ტომების შესახებ გვხვდება აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“.[64] იგი მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ქართველი ტომების საცხოვრებელი ადგილისა და გარკვეულწილად, რაოდენობის შესახებ. აქ ცალკეული ეპიზოდები ისე დეტალურად არის აღწერილი, რომ მეცნიერებს მითის საფუძვლად რეალური ამბები მიაჩნიათ.

ის, რომ მითს საფუძვლად უდევს რეალური ამბები, ნათლად ჩანს სწორედ „არგონავტიკის“ მრავალი ცალკეული ეპიზოდით და დეტალით. მასში დიდი ადგილი უჭირავს ცნობებს ქართველურ ტომთა დასავლური გაერთიანების – აია კოლხეთის შესახებ. ავტორი გადმოგვცემს სინამდვილის ამსახველ ფაქტებს. კერძოდ, ქართველურ ტომთა განსახლების ადგილს, მათ ზნე-ჩვეულებებს, ყოფა-ცხოვრების ამსახველ სურათებს. თხზულების მიხედვით, კოლხეთი მრავალრიცხოვანი ხალხით არის დასახლებული. იგი ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფოა. საკუთრივ კოლხებზე აპოლონიოს როდოსელი აღნიშნავს, რომ კოლხები მრავალრიცხოვანი ტომია: „მზის ღვთაების შვილის გარშემო ცხოვრობს კოლხების ურიცხვი ტომი“, „კოლხთა მრავალათასიანი ხალხი“, „კოლხთა ურიცხვი ლაშქარი“ და სხვ.

შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ქართველურ ტომებს, აპოლონიოს როდოსელი ჩამოთვლის მათი განსახლების ადგილის მიხედვით. უპირ-

ველეს ყოვლისა, იგი ასახელებს ხალიბებს, რომლებიც მიწათმოქმედებას კი არ მისდევენ, არამედ მადანს ეძებენ და მას სურსათზე ცვლიან. ხალიბთა ქვეყანას პოეტი ვრცელს უწოდებს. ხალიბთა მეზობლად ცხოვრობენ ტიბარენები, რომლებიც ცხვრის მოშენებას მისდევენ. შემდეგ, „ხის მოსინებში ცხოვრობენ მარჯვე მოსინიკები“. ისინიც მრავალრიცხოვანი ხალხია, რადგან მოსინიკების ხელმწიფე, „სასწორზე წონის ურიცხვი ხალხის ცოდვა-ბრალსა და სასჯელ-სამართალს“. შემდეგ, არგონავტები ფილირების ტომს, მაკრონებს, ბექირებს, სასპიერებს, ბიძერებს ჩაუვლიან და ბოლოს მიადგებიან კოლხეთს, სადაც მეომარ ხალხთა ურიცხვი ტომები ცხოვრობენ. ამრიგად, ქართველური ტომებიდან (ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, სასპიერები, კოლხები) მრავალრიცხოვანია კოლხების ტომი და აგრეთვე მოსინიკები. რაც შეეხება ხალიბებს, მათი ქვეყანა ვრცელია.

ქართველთა წინაპარი ტომების განსახლების შესახებ უძველეს ცნობებს ვხვდებით ბერძენი ავტორის, ისტორიის მამად წოდებულ ჰეროდოტეს ნაშრომშიც – „ისტორია“, რომელიც მან ძვ. წ. 430 წლისათვის დაასრულა. ქართველ ტომთაგან ჰეროდოტეს მოხსენიებული ჰყავს ხალიბები, კოლხები, სასპიერები, მოსხები, ტიბარენები, მოსიკინები, მარები. სამწუხაროდ, ქართველური ტომების განსახლების საზღვრები ჰეროდოტეს გარკვევით არა აქვს აღწერილი, თუმცა, მისი ნაშრომიდან ცხადად ჩანს, რომ ქართველი ტომები შავი ზღვის სანაპიროზე და მის მახლობლად ბინადრობენ.

ქართველური ტომების განსახლების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ცნობილი ბერძენი მწერლის, ქსენოფონტეს „ანაბასისშიც“. ქართველური ტომების, მათი განსახლებისა და რიცხოვნობის შესახებ სხვადასხვა ცნობა დაცულია სხვა ბერძენ მწერალთა ცნობებშიც.

უაღრესად საინტერესოა არსებული მასალები მესხთა ტომის შესახებ. უძველეს დროში მესხთა ტომი ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. ძველი წელთაღრიცხვის XI საუკუნიდან მოყოლებული, მუსკები, ტაბალები და ქაშკები, რომლებიც მერმინდელ მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართველური ტომები იყვნენ, უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან.[86] სწორედ მესხთა ტომის სიძლიერეზე მეტყველებს ასურული წარწერა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 1100 წლით თარიღდება. ამ წარწერაში მოხსენიებულია სუბარების ქვეყანა და „მისი ამაყი და ურჩი ხალხი“. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, ამ დროს ხეთურ-სუბარული ტომებიდან უფრო ძლიერნი ყოფილან მუსკები, მერმინდელი მესხები,

რომლებიც ზოგჯერ თვითონ ესხმოდნენ თავს ასურეთს და მის თემებს იპყრობდნენ.

სამწუხაროდ, მესხების რაოდენობის შესახებ შორეულ წარსულში არაფერი ვიცით, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება გარკვევით ითქვას შემდეგი: მესხთა ტომი იმ პერიოდისათვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი, მუსკების, ანუ მესხების სამფლობელო რამდენიმე სამეფოდ იყო გაყოფილი, მეორეც, ისინი მაშინდელი ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს – ასურეთის დაპყრობასაც ბედავდნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე XI და VII საუკუნეების ასურული წარწერების მიხედვით, ასურეთის მეფეები იკვეხნიან, მუსკების ქალაქები დავაქციეთ და გადავბუგეთ, რაც ჩვენამდე ვერც ერთმა მეფემ ვერ შეძლო და ისინი ჩვენს წინაპრებს არ ემორჩილებოდნენო.[86]

მესხების შესახებ არსებული უძველესი ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ისინი ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულნი იყვნენ და განვითარებული საქალაქო ცხოვრება ჰქონდათ. მესხები დახელოვნებული მიწათმოქმედნი იყვნენ, აშენებდნენ ვაზს, აყენებდნენ ღვინოს, უკვე იცოდნენ მადნეულის დამუშავება. მესხებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰქონდათ თავისი მნიშვნელობით და სიმდიდრით განთქმული ქალღმერთ ლევკოთეას ტაძარი. ამ ტაძრის შესახებ ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ მოსხიკეთში (მესხეთში) არის ლევკოთეას ტაძარი, ოდესღაც იგი მდიდარი იყო, მაგრამ ჩვენს დროში გაძარცვული იქნაო. როგორც აკადემიკოსი ს. ჯანაშია ვარაუდობს, გაქრისტიანების შემდეგ ლევკოთეას ტაძრის ადგილას ააშენეს განთქმული ღვთისმშობლის სახელობის აწყურის ტაძარი.[88]

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მესხები უძველეს დროში ძლიერ, მრავალრიცხოვან ტომს წარმოადგენდნენ და ჰქონდათ განსახლების ფართო არეალი. სწორედ ამიტომ, ძველი წელთაღრიცხვის VI-IV საუკუნეებში, როდესაც მიმდინარეობდა ქართლის ტომების კონსოლიდაცია, მესხური ტომები დაწინაურდნენ და თავისი დასახლებები შიდა ქართლშიაც შექმნეს.

საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის რიცხოვნობისა და განსახლების შესახებ საინტერესო დასკვნების გაკეთება შეიძლება ძვ. წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეებში ჩამოყალიბებული ახალი, ძლიერი კოლხეთის სამეფოსთან დაკავშირებული ცნობების ანალიზის საფუძველზე. ჩვენ მათ შესახებ ზოგიერთი რამ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და დავასკვენით, რომ

კოლხეთი, ძლიერი, მრავალრიცხოვანი ხალხით დასახლებული სამეფოა და როგორც აპოლონიოს როდოსელი აღნიშნავდა, ძლევამოსილი კოლხეთის მეფის გარშემო „ცხოვრობს კოლხების ურიცხვი ტომი“. ასეთივე საინტერესო უცხოური წყაროები არსებობს აღმოსავლეთ საქართველოს – იბერიის სამეფოსთან დაკავშირებით. სტრაბონის თქმით, ელინისტურ ხანაში აღმოსავლეთი საქართველო, ანუ იბერია, წარმოადგენდა მჭიდროდ დასახლებულ, მეტწილად ქალაქებით და დაბებით დასერილ ქვეყანას, სადაც იყო კრამიტის სახურავიანი და ხუროთმოძღვრული წესით ნაგები სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების და, საერთოდ, ქართველური ტომების დემოლოგიური განვითარების, მოსახლეობის რიცხოვნობაზე საუბრისას, უთუოდ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ *ქართველური ტომების განსახლების არეალი ერთ-ერთი რეგიონია, სადაც ხდებოდა თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება. ასეთი რეგიონები კი მაშინდელ მსოფლიოში ბევრი არ იყო. ამდენად, უძველეს საუკუნეებში, მსოფლიოს მოსახლეობის ალბათ მნიშვნელოვან ნაწილს ქართველური ტომების განსახლების არეალში უნდა ეცხოვრა. ქვედა პალეოლითიდან მოყოლებული, აქ ჩანს კულტურათა უწყვეტი და აღმავალი ხაზით განვითარება, შესაბამისად, ეთნიკური ერთობა, რომელიც თანამედროვე საქართველოს ტერიტორიასთან ერთად, მის სამხრეთით და შავიზღვისპირეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით საკმაოდ დიდ სივრცეზე ვრცელდებოდა.* არ შეიძლება მხედველობის მიღმა დავტოვოთ მოსახლეობის გამრავლებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო და უპირველეს ყოვლისა, კლიმატური პირობები. ამ მხრივ, საქართველოში პირველყოფილი საზოგადოების განვითარების განმავლობაში არსებით ძვრებს ადგილი არ ჰქონია. მართალია, დედამიწაზე დროის ამ საკმაოდ ხანგრძლივ მონაკვეთში ადგილი ჰქონდა მეტად მკაცრ აცივებას, მაგრამ საქართველოში ეს პროცესი შედარებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა. აქ ყოველთვის მდიდარი ცხოველთა და მცენარეთა სამყარო არსებობდა, რაც ქვის ხანის ადამიანს უადვილებდა თავის რჩენას, ამიტომ იმ პერიოდის ადამიანი ფართოდ იყო განსახლებული საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველო ერთ-ერთ იმ რეგიონს ეკუთვნის, სადაც ხდებოდა მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბება. უძველეს ეპოქაში ქართული ცივილიზაციის სათავეებიდან მოყოლებული ახალი ერის დაწყებამდე (და მას შემდეგაც) ადგილობრივი, ავტოქტონური მოსახლეობის აქ მკვიდრობა უცილობელ ფაქტს წარმოადგენს. პირველყოფილი ეპოქის ხანგრ-

ძლივ პერიოდში საქართველოში მოსახლეობის ფიზიკურ და კულტურულ უწყვეტობას ნათლად ადასტურებს არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ლინგვისტიკის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მონაცემები. იმ შორეულ წარსულში ადგილი ჰქონდა ხალხების დიდ გადაადგილებას და მიგრაციული პროცესები ინტენსიური იყო საქართველოს ტერიტორიაზეც. მიუხედავად ამისა, გლობალური ეთნიკური ძვრები აქ არ შემჩნეულა. ადამიანი უწყვეტად იყო განსახლებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ქვედა პალეოლითის ხანიდან მოყოლებული, ყოველთვის ჰქონდა ადგილი მოსახლეობის, მართალია ნელ, მაგრამ უწყვეტ გამრავლებას.

ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის ცალკეულ პერიოდებში ადამიანთა რიცხვის განსაზღვრა ზოგადად რთულია. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს მოსახლეობაზეც. მაგრამ მაინც შეიძლება დიდი მიახლოებით ვცადოთ მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მიახლოებით გაანგარიშებულია მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა ძველი წელთაღრიცხვის სხვადასხვა პერიოდისათვის. მაგალითად, 25-10 ათასი წლის წინათ მსოფლიოში, შესაბამისად, 3,3-3,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. ნეოლითის ხანაში – VIII ათასწლეულში – 10 მილიონი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3-2 ათასი წლის წინათ – 50 მილიონი. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის დედამიწაზე მოსახლეობის რაოდენობა 200-250 მილიონი უნდა ყოფილიყო. მოსახლეობა დედამიწაზე ქვის ხანის განმავლობაში დაახლოებით ასე შეიძლებოდა ყოფილიყო განაწილებული: ნეოლითის ეპოქაშიც კი დედამიწის მნიშვნელოვანი ნაწილი თითქმის დაუსახლებელი იყო. მოსახლეობის უმრავლესობა თავმოყრილი იყო სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკასა და სამხრეთ ევროპაში. ევრაზიის ჩრდილოეთის უდიდესი ტერიტორია თითქმის უკაცრიელი იყო. ნაკლებად ცხოვრობდა ხალხი სხვა კონტინენტებზეც. მაგალითად, ავსტრალიის მოსახლეობის რიცხოვნობა რამდენიმე ათას კაცს არც კი აღემატებოდა (ავსტრალიის ათვისება გვიან დაიწყო), ხოლო მთელი ამერიკის კონტინენტის მაშინდელი მოსახლეობა მხოლოდ 100-200 ათას ადამიანს თუ შეადგენდა.[68]

მიახლოებითი გათვლებით, ქვედა პალეოლითის აშელის კულტურის დასასრულისათვის საქართველოში 15-20 ათას ადამიანს უნდა ეცხოვრა.

ქვედა პალეოლითის მუსტიეს კულტურის დასასრულს საქართველოს ტერიტორიაზე 30 ათას ადამიანს მაინც უნდა ეცხოვრა.

ზედა პალეოლითის მეზოლითისა და, განსაკუთრებით ნეოლითის დროს, მოსახლეობა სწრაფად იმატებს. თუ გავითვალისწინებთ იმ პროგრესს, რასაც ადგილი ჰქონდა მეზოლითისა და ნეოლითის ეპოქებ-

ში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, სოფლის დასახლების წარმოშობას და სხვ., მაშინ, ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის დასაწყისიდან X საუკუნემდე იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობა შესაბამისად 60 ათასსა და 100 ათას ადამიანს მაინც უდრიდა. ე.ი. მოსახლეობა ზედა პალეოლითისა და ნაწილობრივ მეზოლითის ეპოქებში (30 ათასი წლის განმავლობაში) ყოველწლიურად საშუალოდ მხოლოდ ერთი ადამიანით, ხოლო მეზოლითსა და ნეოლითში (7 ათასი წლის განმავლობაში) ექვსი კაცით იმატებდა.

ბრინჯაოსა და რკინის ხანაში მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება. სავარაუდოდ, ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობამ მნიშვნელოვნად მოიმატა და იგი 400 ათას ადამიანს მაინც უდრიდა. მატება ყოველწლიურად უკვე საშუალოდ 150 ადამიანს შეადგენდა. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის კი, საქართველოში მოსახლეობა დაახლოებით 700 ათას კაცს მაინც შეადგენდა. ყოველწლიურმა მატებამ 300 ადამიანი შეადგინა. ამის თქმის უფლებას, ალბათ, გვაძლევს საქართველოს მოსახლეობის შესახებ ბერძნულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები და იმ პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მაღალი დონე. ქვეყნის მოსახლეობის დემოლოგიური განვითარებისა და მოსახლეობის გამრავლების თვალსაზრისით ახალი ეტაპი იწყება ჩვენი წელთაღრიცხვიდან. სხვადასხვა ეტაპზე ქვეყნის მოსახლეობის შესახებ უამრავი მასალაა დაცული ძველ ქართულ ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროებში. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლებში გაბნეული ცნობები ფასდაუდებელ მონაცემებს შეიცავს როგორც მოსახლეობის, ისე მის საფუძველზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად, ეს მასალები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ იძლევა ჩვენი ისტორიის ცალკეულ პერიოდებში მოსახლეობის რიცხვისა და მისი შემადგენლობის განსაზღვრის საშუალებას.

2.3. ტყვეთა სყიდვით გამოწვეული დემოლოგიური შედეგები საქართველოში

საქართველოს მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების, რიცხოვნობის დინამიკის ისტორიის შეფასება ვერ იქნება სრულყოფილი, თუ მიახლოებით მაინც არ გავიანგარიშეთ და არ შევაფასეთ ის მნიშვნელოვანი შედეგი, რომლებიც ვერცერთი აღწერით ვერ აღიწერა და ვერც აღი-

წერებოდა. მოსახლოების შემცირებას მრავალი მიზეზი იწვევდა: გარეშე მტრის გამუდმებული შემოსევა, სისხლისმღვრელი ბრძოლები, შინაომები, ეპიდემიები, სტიქიური უბედურება, შიმშილობა.

მათგან განსაკუთრებულად მძიმე შედეგები ახლდა თან ტყვეთა სყიდვას, აოხრებული ტერიტორიიდან მოსახლეობის აყრას და ტყვედ წაყვანას.

პირველად ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე, კოლხეთში. აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ვერ ვამტკიცებთ მონათა ბაზრის არსებობას, მაგრამ ტყვე-მონების გაყვანის ხშირი შემთხვევების შესახებ, ბერძნულ წყაროებში დაცულია არაერთი ცნობა. ასეთი ცნობები მითითებული აქვს ქსენოფონტესაც. მაგალითად, არის ასეთი წარწერა ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნისა, რომ კოლხი მონა 15,3 დრაქმად ყოფილა შეფასებული. იყო ასეთი წარწერები კერამიკაზე – „კოლხი“.

განსაკუთრებით გახშირდა ის ჩვენი წელთაღრიცხვის XVI საუკუნიდან. ტყვეებს მისივე თანამემამულეები იტაცებდნენ და უცხოეთში ყიდდნენ. უახლოესი ადამიანების გაყიდვასაც არ ერიდებოდნენ. ეს მოვლენა განსაკუთრებით იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში კი იტაცებდნენ სხვა ტომის წარმომადგენლები, განსაკუთრებით – დაღესტნელები. „ლეკიანობა“, გარდა დემოლოგიურისა, დიდი მორალური დანაკარგი, ყოველდღიური შიში იყო. ფსიქიკაზე მოქმედებდა ეს მარადიული შიში.

თუ შემოსევები თავდაპირველად, კერძოდ, XVI საუკუნიდან ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, შაჰ-აბასის ლაშქრობის შემდეგ ლეკები უკვე დაცარიელებული კახეთის მიწებზე ჩამოსახლდნენ და ასე შეიქმნა ჭარის, ბელაქნისა და თალის უბატონო თემები, რომლებიც, რა თქმა უნდა, საუკეთესო დასაყრდენი შეიქნა თავდამსხმელებისათვის. ლეკები მხოლოდ კახეთსა და ქართლს კი არ აოხრებდნენ, არამედ ოსმალოთა დახმარებით, ახალციხის მხრიდანაც ესხმოდნენ თავს საქართველოს. გადაგვარების წინაშე აღმოჩნდა ერის გენოფონდი. იტაცებდნენ ყველაზე რჩეულთ, ფიზიკურად ძლიერებსა და ლამაზებს. ქართველი ტყვეები აკლდებოდნენ სამშობლოს და მტრების გამრავლების და გაძლიერების წყარო ხდებოდნენ.

ქართველი ქალებისა და ვაჟების სილამაზისა და სიძლიერის შესახებ აზრი არაერთ გამოჩენილ უცხოელ მეცნიერსა და მოგზაურს გამოუთქვამს.

ჩარლზ დარვინი: „სპარსული სისხლი გაკეთილშობილებულია ორი ეროვნების – ქართველებისა და ჩერქეზების სისხლით რომლებიც ყვე-

ლა სხვა ხალხებზე ლამაზები არიან. სპარსეთში არ არსებობს თითქმის არცერთი წარჩინებული, რომლის დედა ქართველების ან ჩერქეზების ჩამომავალი არ იყოს“.

შარდენი: „ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია უშნო სახე, არც ქალი და არც კაცი მე არ მინახავს ულამაზო, პირიქით, ანგელოზური სახეები შემხვდა. ვერავინ დახატავს ისეთ მომხიბლავ სახეებს და ისეთ ლამაზ ტანს, როგორც ქართველ ქალებს აქვთ“.

ასეთივე აღტაცებას გამოხატავს კასტელიც, დიუმაც, და ა.შ. მილანელი გამბას აზრით, „იმერლებს ადამიანთა მოდგმის ნიმუშად თვლიან“. ის ასევე წერს, რომ ქალები უაღრესად ლამაზები არიან და დიდი თავშეკავებაა საჭირო, რომ ცდუნებაში არ ჩავარდეს კაცი.

ტყვეებით ვაჭრობამ უაღრესად მახინჯი სახე მიიღო. ყიდდნენ მეფეები, მთავრები, თავადები, აზნაურები, გლეხებიც კი. ყიდდა მეზობელი მეზობელს, ქმარი – ცოლს, მამა – შვილს და ა.შ. სამწუხაროდ, ამის დამადასტურებელი არაერთი ცნობა მოიპოვება.

არის უცხოელ ავტორთა ცნობები, რომელთა მიხედვითაც, საქართველოს სამთავროები თურქეთს ხარკს ძირითადად ქსოვილებისა და ქალ-ვაჟების სახით უხდიდნენ. იმ ქართველებს, რომელთაც ხარკი თურქეთში უნდა ჩაეტანათ, ფული არ ჰქონდათ, ამიტომ ჩადიოდნენ ამალით, რომელსაც იქ ერთიმეორის მიყოლებით ყიდდნენ.

დიუმას აქვს შარდენის მიხედვით ნათქვამი, რომ შარდენის საქართველოში ყოფნის დროს (1672 წელს) სამეგრელოდან ერთ-ერთი ელჩი ჩავიდა კონსტანტინეპოლში 200 ყმის თანხლებით და უკან მხოლოდ 3-4-ით დაბრუნებულა. ეს გრძელდებოდა მე-19 საუკუნის დასაწყისამდეც კი.

XVI საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, იმერეთში, ბაგრატ III მოიწვია საეკლესიო კრება და აკრძალა ტყვეთა სყიდვა. სოლომონ I-მა, 1752 წელს ტყვეთა სყიდვა სიკვდილის სასჯელით აკრძალა. მის საფლავზე ასე წააწერეს: „ამის ავი კაცი ვიყავ, ტყვე არავის ვასყიდვინე“.

1777 წელს ერეკლე II შემოიღო მდევრობის განაწესი. მთელი რიგი სპეციალური ღონისძიებები იყო დაწერილი. 13 პუნქტით აქ დეტალურად იყო აღწერილი როგორ, სად უნდა შეკრებილიყვნენ მდევრები და როგორ უნდა ემოქმედათ მათ. ამ მიზნით ერეკლემ შექმნა მორიგე ჯარი. ყოველი მამაკაცი მოვალე იყო წელიწადში ერთხელ, ერთი თვით, თავისი ხარჯით და იარაღით გასულიყო მორიგეობაში. პირველ ხანებში მათი რიცხვი 5 ათასი გამოდიოდა. სამაგიეროდ, ქართლ-კახეთის მთელი გლეხობა სურსათის გადასახდელისაგან გათავისუფლდა. შემდეგ ის შეცვალა მორიგე ყარაულმა.

გაყიდულ ტყვეთა რაოდენობის შესახებ ერთმანეთის გამომრიცხავი მონაცემები არსებობს. მაგალითად, თეიმურაზ I რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ ბარათში აღნიშნავს, რომ „ყოველწლიურად ოდიშისა და გურიის მთავრები ჰყიდიან ახალგაზრდებს. დადიანი 10-15 ათასს, ხოლო გურიელი – 10-12 ათასს“. მაგრამ ამ პერიოდის სამეგრელოში მყოფი კათოლიკე მისიონერები სხვა ციფრებს გვაწვდიან. *მათზე დაყრდნობით მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში შავი ზღვის სანაპიროდან ყოველწლიურად 4 ათასზე მეტი ტყვე არ იყიდებოდაო.*

12 და 15 ათასი ჩვენც გადაჭარბებულად გვეჩვენება. თუ ყოველწლიურად 20 ათასი გაყავდათ ყოველწლიურად და ეს წლების განმავლობაში გრძელდებოდა, მაშინ მინიმუმ 20 ათასი ბავშვიც უნდა დაბადებულიყო. მაგრამ 20 ათასი რომ შენარჩუნებულიყო, გაცილებით ბევრი უნდა დაბადებულიყო, რადგან იმ პერიოდში, დაბალ ასაკში უამრავი ბავშვი კვდებოდა. მე-19 საუკუნეშიც კი, 5 წლამდე 43,5% იღუპებოდა (მაგალითად, ინგლისში, მე-18 საუკუნეში 100 დაბადებული ბავშვიდან 5 წლამდე 74 ბავშვი კვდებოდა). ე.ი., თუ ყველაფერს გავითვალისწინებთ, 20 ათასი რომ წაეყვანათ, მასზე ორჯერ მეტი ბავშვიც უნდა ვიანგარიშოთ. 40 ათასი ბავშვის დაბადება ყოველწლიურად რომ ყოფილიყო შესაძლებელი, მოსახლეობა თითქმის 1 მილიონამდე მაინც უნდა ყოფილიყო.

ამიტომ, ჩვენ გვირჩევნია, არსებული მონაცემებიდან უმცირესი ავიღოთ, სამეგრელოდან 2 ათასი მაინც ვივარაუდოთ (ამას რამდენიმე კათოლიკე მისიონერიც აღნიშნავს).

იგივე უნდა ვივარაუდოთ გურიიდან და იმერეთიდან – ორივედან 3 ათასამდე. ე.ი. შეგვიძლია მიახლოებით ვივარაუდოთ, რომ ყოველწლიურად დასავლეთ საქართველოდან 4-5 ათასამდე მაინც გადიოდა. ასევე მიახლოებითი, არაპირდაპირი გაანგარიშებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთი საქართველოდანაც ყოველწლიურად 2-3 ათასამდე კაცი მაინც გაყავდათ. ე.ი. ორივედან – 7-8 ათასი.

თუ ავიღებთ 1550-1585 წლებს, ე.ი. როდესაც ყველაზე მაღალი იყო ტყვეთა გაყვანის ინტენსივობა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რამდენი ადამიანი გავიდოდა ამ პერიოდში. ნუ ავიღებთ 300 წელს, ავიღოთ სულ მცირე, მისი 1/3 (იმის გათვალისწინებით, რომ ტყვეთა გაყვანის ინტენსივობა ყოველ წელს ერთნაირი არ იქნებოდა). ე.ი. 100 წელი. გამოვა, რომ ყოველწილური 7-8 ათასი უნდა გავამრავლოთ 100-ზე და მივიღებთ:

(7000-8000) x 100 = 700-800 ათასს.

ე.ი. ასეთი გაანგარიშებით, 300 წლის განმავლობაში გაიყვანდნენ 700-800 ათას ქართველ ტყვეს. თუ დავუშვებთ, რომ 7-8 ათასი გაჰყავდათ, არა ყოველ მესამე წელს, როგორც ვიანგარიშეთ, არამედ ყოველ მეორე წელს, მაშინ გამოვა, რომ 7-8 ათასი უნდა გავამრავლოთ 150 წელზე და მივიღებთ, რომ

(7000-8000) x 150 = 1 050 000-1 200 000

ე.ი. ასეთი გაანგარიშებით, 300 წლის განმავლობაში საქართველოდან გაიყვანდნენ 1 მილიონ 50 ათას-1 მილიონ 200 ათას ადამიანს.

თუ ამ მონაცემებს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საშუალოდ, მხოლოდ 300 წლის განმავლობაში დაახლოებით 1 მილიონი ქართველი მაინც წაუყვანიათ ტყვედ.

დემოლოგიური შედეგების სრული სურათის შესადგენად, უნდა გავითვალისწინოთ ტყვეთა მასობრივი გაყვანა შემოსევების შედეგად. შაჰ თამაზის მიერ (XVI საუკუნე) 30 ათასი მხოლოდ ერთ ჯერზე გაასახლეს, შაჰ აბასის დროს კი – დაახლოებით 200 ათასი და ა.შ.

ტყვეთა სყიდვის ასეთი მასშტაბები, რა თქმა უნდა, უკიდურესად მძიმედ მოქმედებდა დემოლოგიურ სიტუაციაზე, პროცესებზე, იტაცებდნენ ჯანმრთელ, ლამაზ, ძირითადად ფერტალურ ასაკში მყოფ ახალგაზრდებს. ამის გამო ხდებოდა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმირება, იკლებდა შობადობა. ირღვეოდა სქესობრივი სტრუქტურაც. იზრდებოდა ისეთ დაქვრივებულ ქალთა რიცხვი, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დამთავრებული ოჯახის ფორმირება. გარდა შობადობის შემცირებისა, იზრდებოდა მოკვდაობაც, ძირითადად ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების გამო. როგორც ჩანს, გარდაცვლილთა რაოდენობა ჭარბობდა დაბადებულთა რაოდენობას და მოსახლეობის რაოდენობის გამუდმებული შემცირება გარდაუვალი ხდებოდა. ეს იყო არა უშუალოდ მიგრაციული დანაკარგი, არამედ, დემოლოგიური პროცესებით გამოწვეული უთუოდ საგრძნობი დანაკარგი, რომლის თუნდაც მიახლოებითი გამოთვლა, სამწუხაროდ შეუძლებელია.

თავი III. დემოლოგიის ძირითადი ცნებები და კატეგორიები

3.1. მოსახლეობა. ბუნებრივია, შეუძლებელია სრული ან, თუ გნებავთ, მიახლოებითი წარმოდგენის შექმნა დემოლოგიაზე, მის მიმართულებებსა და პრობლემებზე, თუ არ გავერკვევით ძირითად დემოლოგიურ ცნებებსა და კატეგორიებში.

დემოლოგიური ცნებებისა და კატეგორიების ერთ-ერთი განმსაზღვრელი დახასიათება ის არის, რომ ისინი ძირითადად საზოგადოებრივ, ანუ სოციალურ მოვლენებსა და პროცესებს ასახავენ, მათი გავლენით ყალიბდებიან და თავის მხრივ, თვითონაც ახდენენ დიდ გავლენას მათ ჩამოყალიბებაზე.

რადგან ყველაზე ზოგადი განმარტებით, დემოლოგია არის მეცნიერება მოსახლეობის შესახებ, პირველ რიგში საჭიროა დაზუსტდეს, თუ რა ესმის ამ ტერმინის ქვეშ დემოლოგიას. მოსახლეობის არაერთი განმარტება არსებობს; და მათ შესახებ ჩვენ ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი 1.1. ქვეთავში.

ამ ქვეთავშიც მოკლედ გვინდა გავაგრძელოთ მოსახლეობის, როგორც დემოლოგიური კატეგორიის განხილვა. მოსახლეობის ცნების გაგებისას, წინა პლანზე გამოაქვს მისი ორი ნიშანი: *რაოდენობრივი* და *ტერიტორიული* (გეოგრაფიული). რაოდენობრივი გულისხმობს, რომ მოსახლეობა აუცილებლად არის ადამიანთა ერთობლიობა. ტერიტორიული (გეოგრაფიული), კი გულისხმობს, რომ მოსახლეობის ცნება აუცილებლად დაკავშირებულია რაღაც განსაზღვრულ ტერიტორიასთან.

მოსახლეობის განხილვა ამ ორი ნიშნის მიხედვით, როგორც წესი, აუცილებელია და აკმაყოფილებს კიდეც მეცნიერებათა უმეტესობას, რომლებისთვისაც მოსახლეობა კვლევის ობიექტია. დემოლოგიისთვის კი, როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის მხოლოდ ამ ორი ნიშნით განხილვა საკმარისი არ არის.

დემოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანთა ნებისმიერ ერთობლიობას, თუნდაც მკაფიოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ვერ ვუწოდებთ მოსახლეობას. დემოლოგს სურს არა მხოლოდ აღწეროს, არამედ გაიგოს, ახსნას მოსახლეობის ცვლილება, მისი დინამიკა, ამ ცვლილების გამომწვევი მექანიზმები.

მაშასადამე, დემოლოგიისათვის *მოსახლეობა არის ადამიანთა თვითგანახლებადი, თვითგამრავლებადი ერთობლიობა.*

მოსახლეობა კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპზე ადამიანთა კონკრეტული ისტორიული ერთობლიობაა და ეს განსაზღვრავს სწორედ მის სოციალურ თავისებურებებს.

მოსახლეობას აქვს შემადგენლობა. იგი იყოფა ასაკის, სქესის, შრომის უნარის, ეკონომიკური მდგომარეობის, სოციალური მდგომარეობის, ენობრივი, ეთნიკური, რელიგიური და სხვა მთელი რიგი ნიშნების მიხედვით. დემოლოგია სწორედ ამ ნიშნებით იკვლევს მოსახლეობას.

დიდია მსჯელობა და კამათი მოსახლეობის კატეგორიაში ბიოლოგიურისა და სოციალური ასპექტების თანაფარდობის შესახებ.

ხშირად სხვადასხვა მეცნიერებაში, სხვადასხვა გაგებით ხმარობენ ტერმინებს – ხალხი და მოსახლეობა. ტერმინს – ხალხი, ხმარობენ, თითქოს უფრო სულიერი, პიროვნული კატეგორიის გაგებით, ხოლო მოსახლეობას – როგორც, რაღაც უფრო უსულო, უპიროვნო კატეგორიას. დემოლოგისათვის ასეთი მიდგომა მიუღებელია. ამ მეცნიერებაში ხალხი და მოსახლეობა იდენტური ტერმინებია.

მოსახლეობის ცნების გაგების საკითხს საინტერესოდ განიხილავს პროფ. გ. მელაძე. საზოგადოებას ის განსაზღვრავს, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთიან სისტემას. ის იზიარებს ე. დიურკჰეიმის მოსაზრებას, რომ საზოგადოება, როგორც სისტემა, შედგება ცალკეული ელემენტებისაგან და ეს ელემენტები მხოლოდ მექნიკურად არ არსებობენ – საზოგადოება გულისხმობს ამ ელემენტებს შორის ურთიერთქმედებას და ის მუდმივ შეჯახებაში მყოფი ინდივიდებისაგან შედგება. ე.ი. საზოგადოება რთულ სისტემათა ჯგუფს განეკუთვნება და მოსახლეობა მის ერთ-ერთ ქვესისტემას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ის განიხილება, როგორც განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპზე განიცდის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების მუდმივ ცვლილებას. ე.ი. მოსახლეობას სისტემური ბუნება აქვს. ხშირად ტერმინის – „მოსახლეობა“ – სინონიმად ხმარობენ ტერმინს „დემოლოგიური სისტემა“. დემოლოგიური სისტემა განუწყვეტელ ურთიერთობაშია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა სისტემებთან და აქედან გამომდინარე ის ღია სისტემას წარმოადგენს. დემოლოგიური სისტემა, ე.ი. მოსახლეობა, საზოგადოების სხვა სისტემებთან მუდმივ ურთიერთობაში, მუდმივ მოძრაობასა და განვითარებაშია.

3.2. შობადობა. დემოლოგიაში შობადობა ცენტრალური ცნებაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დემოლოგიას მოსახლეობა აინტერესებს გამ-

რავლების, განახლების თვალსაზრისით. სწორედ ეს არის მისი კვლევის მთავარი თემა. გამრავლება კი, ძირითადად სწორედ შობადობის მეშვეობით ხორციელდება, ადამიანთა დაბადება და გარდაცვალება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ძირითადი შემადგენელი ელემენტებია. შობადობის, როგორც ახალი ადამიანის შობის, ახალი სიცოცხლის გაჩენის მოვლენის გააზრება, ბევრი ასპექტით შეიძლება, უპირველეს ყოვლისა – რელიგიურით, ფილოსოფიურით. მრავალი რელიგია ცდილობდა და ცდილობს ახსნას, რა არის ახალი ადამიანის, ახალი სიცოცხლის მოვლინება ამ ქვეყნად. ვისი ნებითა და როგორ ხდება ეს პროცესი. რა არის ადამიანის დანიშნულება ამ ქვეყნად და რას ნიშნავს ამქვეყნიური სიცოცხლე. რა განსაზღვრავს მას. შეუძლია თუ არა ადამიანს და თუ შეუძლია, რა ფორმითა და რა დოზით ძალუძს ჩაერიოს ყველა ამ პროცესში, ყველა ამ მოვლენის წარმართვაში. აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემას ოდითგანვე ცდილობდა და ცდილობს მრავალი რელიგია, მრავალი ფილოსოფიური მიმდინარეობა თუ სკოლა. რა თქმა უნდა, ეს ურთულესი და უაღრესად საინტერესო საკითხებია, მაგრამ ჩვენი კვლევისა და განსჯის თემა არ არის. ამჯერად, ჩვენ შობადობაც უპირველეს ყოვლისა დემოლოგიური თვალთახედვით გვაინტერესებს.

შობადობის ქვეშ დემოლოგიაში ესმით მოსახლეობაში ბავშვთა შობის მასობრივი სტატისტიკური პროცესი. შობადობა არის მოსახლეობის გამრავლების პოზიტიური მხარე, რომელსაც თან მოჰყვება მოსახლეობის ახალი წევრების გაჩენა. შობადობა არის განსაზღვრულ სოციალურ გარემოში დაბადებათა სიხშირე.

ბავშვის დაბადება, როგორც ცალკეული აქტი, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ბიოლოგიური აქტია. მაგრამ თითოეული მათგანი და მით უმეტეს, მათი ერთობლიობა, აუცილებლად სოციალური ხასიათის მატარებელია. ბავშვთა შობის, როგორც ერთობლივი, ასევე ცალკეული აქტიც მრავალასპექტიანი მოვლენაა, რომელსაც აქვს როგორც ბიოლოგიური, ასევე ეკონომიკური, სოციოლოგიური, სამედიცინო და სხვა ასპექტები.

მართლაც, ბავშვთა შობა ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური აქტია, მაგრამ ხდება სამედიცინო პერსონალის მონაწილეობით. სხვადასხვა ეკონომიკურ პირობებში, ის დაკავშირებულია მატერიალურ დანახარჯებთანაც და, რაც მთავარია, დაკავშირებულია, ასევე ან ერთ-ერთი, ან ორივე მშობლის სურვილთან, და ა.შ. **არსებობს ბავშვთა შობის სასურველი, მოსალოდნელი და რეალური რაოდენობა.** სასურველია ბავშვების ის რაოდენობა, რომელთა დაბადებაც მომავალ მშობლებს სურთ. ვთქვათ, მათ უნდათ,

რომ ჰყავდეთ შვიდი შვილი. **მოსალოდნელია** ბავშვების ის რაოდენობა, რომელთა ყოლასაც ისინი მოელიან. ვთქვათ, უნდოდათ შვიდი შვილი, მაგრამ მოელოდნენ, რომ ეყოლებოდათ ხუთი შვილი. რეალური კი არის ის რაოდენობა, რამდენი შვილიც რეალურად გაუჩნდათ. მაგალითად, მოელოდნენ, რომ ეყოლებოდათ ხუთი შვილი, მაგრამ რეალურად გაუჩნდათ ორი შვილი. ვხედავთ, რომ სასურველ, მოსალოდნელ და რეალურ რაოდენობას შორის არსებობს გარკვეული თანაფარდობა. ეს თანაფარდობა, როგორც გამოკვლევები აჩვენებს, დაახლოებით ისეთია, როგორიც ჩვენს მაგალითში: ბავშვთა ყოლის სასურველი რაოდენობა თითქმის ყოველთვის უფრო ნაკლებია ვიდრე მოსალოდნელი, ხოლო მოსალოდნელი, როგორც წესი, რეალურზე ნაკლებია. ე.ი. შობადობა, როგორც სოციალური მოვლენა, დაკავშირებულია მრავალ სოციალურ ფაქტორთან და მათ შორის – მშობლების სურვილთან, მათ მიერ ოჯახის დაგეგმვასთან.

დემოლოგისათვის შობადობა არის არა ბავშვთა შობის ცალკეული შემთხვევა, არამედ ერთობლივი პროცესი, ადამიანთა ჯგუფების ჭრილში (ასაკობრივი, ეთნიკური, ტერიტორიული და ა.შ.), დროის ჭრილში და ტერიტორიულ ჭრილში (როდის და სად მიმდინარეობს ეს პროცესი).

რა თქმა უნდა, შობადობა მოსახლეობის გენერაციის, გამრავლების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია (მოკვდაობასა და მიგრაციებთან ერთად).

არის ასეთი ცნებაც – **ნაყოფიერება**. ნაყოფიერება გამოხატავს ბავშვთა შობის პოტენციურ შესაძლებლობას, შობადობა კი – ამ შესაძლებლობის უკვე რეალიზაციის რეზულტატს, შედეგს.

შობადობა და ნაყოფიერება განსხვავებული დემოლოგიური კატეგორიებია. ნაყოფიერება, როგორც შობის უნარი უნდა განვასხვავოთ ფაქტიური შობისაგან, რომელიც ხასიათდება ფაქტიურად დაბადებული ბავშვების რიცხვით, ხოლო ნაყოფიერების ზუსტი დათვლა და შეფასება შეუძლებელია, რადგან ის ქალისა და მამაკაცის, საქორწინო წყვილის მიერ ბავშვთა ჩასახვისა და შობის მხოლოდ ბიოლოგიური უნარია.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დემოლოგია ჩამოყალიბდა მათემატიკის დიდი დახმარებითაც. ის უხვად იყენებს რაოდენობრივ მაჩვენებლებს და ძლიერად ეყრდნობა მათემატიკურ აპარატს. ეს ეხება შობადობასაც. შობადობა ზუსტად იზომება სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლით. ამისათვის გამოყენებულია მაჩვენებლების მთელი სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ შობადობის, როგორც ზოგადი დონე

და დინამიკა, ასევე ინტენსივობა და მათი მაჩვენებლები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ, დემოლოგიურ და სხვ. ჯგუფებთან მიმართებაში. შობადობის მაჩვენებლებს ხშირად ყოფენ ორ ნაწილად:

– მაჩვენებლები დროის პერიოდთან მიმართებაში;

– მაჩვენებლები თაობებსა და ასაკთან მიმართებაში;

არსებობს შობადობის გაზომვისა და შეფასების არაერთი მაჩვენებელი (შობადობის კოეფიციენტები), მაგალითად, ყველაზე ხშირად გამოიყენება:

– შობადობის ზოგადი კოეფიციენტი

– შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი

– შობადობის ბრუტო კოეფიციენტი

– შობადობის ნეტო კოეფიციენტი

ამას გარდა, არსებობს შობადობის სპეციალური კოეფიციენტები, კერძო კოეფიციენტები, ასაკობრივი კოეფიციენტები და სხვ.

უფრო დეტალურად განვიხილოთ შობადობის შემდეგი ოთხი კოეფიციენტი: შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, შობადობის ბრუტო კოეფიციენტი და შობადობის ნეტო კოეფიციენტი.

შობადობის ზოგადი მაჩვენებელი, **ზოგადი კოეფიციენტი** გაიანგარიშება გარკვეული დროის მონაკვეთში, ჩვეულებრივად, ერთი წლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების რაოდენობის შეფარდებით იმავე პერიოდის მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან. ჩვეულებრივ, ამ შეფარდებას ანგარიშობენ მოსახლეობის 1000 კაცზე, ე.ი. მარტივად რომ ვთქვათ, რამდენი ბავშვი იბადება ყოველ 1000 ადამიანზე (მოსახლეზე). ეს შეფარდება გამოითვლება ფორმულით:

$$n = \frac{N}{T \cdot \bar{P}} \cdot 1000,$$

სადაც, n – შობადობის ზოგადი კოეფიციენტია, N – დაბადებული ბავშვების, საერთო რაოდენობა დროის მოცემულ T-პერიოდში, P –მოსახლეობის საშუალო რაოდენობა იმავე T-პერიოდში. ეს სიდიდე, ანუ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი იზომება პრომილეებში (პრომილე – ლათინურად pro – ზე, mille – ათასი, promille – ათასზე. ანუ ეს ნიშნავს, რიცხვის მეათასედს. პრომილე – მეათასედი. სიმბოლურად ასე გამოისახება – ‰).

ბ. ურლანისისა და ვლ. ბორისოვის მიერ შემოთავაზებული სკალით, ზოგადი კოეფიციენტი, რომელიც ნაკლებია 16 პრომილეზე, ანუ <16 ‰, ითვლება დაბალ კოეფიციენტად. ე.ი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ შობა-

დობის ზოგადი კოეფიციენტი, n<16 ‰, მაშინ შობადობა დაბალია. როდესაც n=16-32 ‰, შობადობა საშუალოა, თუ n=25-29 ‰ – საშუალოზე მაღალი, თუ n≥30 ‰, შობადობა უკვე მაღალია, ხოლო თუ n≥40 ‰, შობადობა ძალიან მაღალია.

ზოგჯერ შობადობის ზოგად კოეფიციენტს ასეც გამოსახავენ:

$$CBR = \frac{B}{\bar{P}} \cdot 1000\ ‰$$

სადაც B – ერთი წლის განმავლობაში დაბადებათა აბსოლუტური რიცხვია;

$\bar{P}$ – საშუალო წლიური მოსახლეობა;

CBR – შობადობის ზოგადი კოეფიციენტი.

CBR მომდინარეობს ინგლისური (Crude birth Rate)-დან. ასეთი სიტყვებით ზოგად კოეფიციენტს აღნიშნავენ იმიტომ, რომ მას აგრეთვე ნედლ კოეფიციენტს უწოდებენ.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი. ეს არის ერთი ქალის მიერ ფერტილურობის (ლათინურად fertilis – ნაყოფიერება) ასაკში (15-49 წელი) დაბადებულ ბავშვთა საშაულო რაოდენობა. ანუ აღნიშნულ ასაკში (15-49 წელი) საშუალოდ, რამდენ ბავშვს ბადებს ერთი ქალი.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$F = \frac{\sum_{15}^{49} F_x}{1000}$$

სადაც F_x – შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტია. იგი წარმოადგენს მოცემული დროის პერიოდში (მაგალითად, 1 წლის განმავლობაში) გარკვეული ასაკის ქალების (მაგ., 15 წლის, 16 წლის, 17 წლის და ა.შ. 49 წლის) მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობას. თავის მხრივ, შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი იანგარიშება ფორმულით:

$$F_x = \frac{N_x}{W_x} \cdot 1000$$

სადაც, N_x – გარკვეული x-ასაკის ქალების (15, 16, 17, ... 49 წლის) მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობაა, W_x – იგივე x-ასაკის ქალების საშუალო რაოდენობა. – შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტიც პრომილეებში იზომება.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მაღალია, როცა ის მეტია 4-ზე და დაბალია, როცა ის ნაკლებია 2,15-ზე (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი აქვს დეპოპულაციას).

შობადობის ნეტო კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენ გოგონას ბადებს საშუალოდ ერთი ქალი მისი ფერტილურობის ასაკში, რომლებიც აღწევენ იმ ასაკამდე, რომელშიც იყვნენ დედები ამ გოგონების გაჩენისას. დაბადებული გოგონების რაოდენობას სპეციალურად ანგარიშობენ, რადგან დემოლოგები თვლიან, რომ ვაჟებზე უფრო მეტად, სწორედ გოგონები უზრუნველყოფენ თაობათა განახლებას, ანუ გამრავლებას. ნეტო კოეფიციენტი საშუალოდ ერთ ქალზე გაიანგარიშება. შობადობის ნეტო კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

$$R_0 = \delta \sum_{15}^{49} F_x L_x$$

სადაც $\sum_{15}^{49} F_x$ – როგორც გვახსოვს, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტია, F_x – შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი, L_x – იმ გოგონათა რაოდენობაა, რომლებმაც მიაღწიეს იმ ასაკს, რომელშიც უნდა იყვნენ დედები ამ გოგონების გაჩენისას. δ – დაბადებული გოგონების წილია, იმავე პერიოდში გაჩენილ ბავშვთა შორის.

როდესაც $R_0>1$, მაშინ, როგორც ამბობენ, ადგილი აქვს მოსახლეობის გაფართოებულ გამრავლებას;

როდესაც $R_0=1$, მაშინ ადგილი აქვს მოსახლეობის მარტივ გამრავლებას, ე.ი. ისეთ გამრავლებას, რომლის დროსაც მოსახლეობის რაოდენობა არც იზრდება და არც მცირდება, ის ერთიდაიგივე დონეზე რჩება.

როდესაც $R_0<1$, მაშინ ადგილი აქვს დეპოპულაციას, ე.ი. მოსახლეობის რაოდენობა მცირდება.

შობადობის ბრუტო კოეფიციენტი – აჩვენებს ერთი ქალის მიერ თავისი ცხოვრების მანძილზე (ფერეტილურობის ასაკში) დაბადებული გოგონების საშუალო რაოდენობას, მიუხედავად მათი სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ასაკისა. შობადობის ბრუტო კოეფიციენტი გამოიანგარიშება ფორმულით:

$$R = \delta \sum_{15}^{49} F_x$$

სადაც $\sum_{15}^{49} F_x$ – შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტია, ხოლო δ – დაბადებული გოგონების წილი, ახალშობილ ბავშვთა შორის.

შობადობის უფრო ზუსტად დასახასიათებლად, დემოლოგიაში იხმარება შობადობის ქორწინებითი და სხვა კოეფიციენტები, რომლებიც

ზემოთ დავასახელეთ. ისინი უფრო რთული მათემატიკური ფორმულებით, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებებით აღიწერება და ჩვენ მათ აქ არ განვიხილავთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ შობადობის სპეციალური კოეფიციენტები, სხვა სპეციალური კოეფიციენტების მსგავსად, გამოითვლება მოსახლეობის ინ ნაწილთან მიმართებაში, რომელიც მშობიარობს, ანუ რეპროდუქტიული, ფერტილური ასაკის (15-49 წელი) ქალების რაოდენობასთან მიმართებაში. შობადობის კერძო კოეფიციენტები კი გამოითვლება იმისათვის, რომ გამოირიცხოს სხვა დემოლოგიური და არადემოლოგიური სტრუქტურების გავლენა.

3.3. მოკვდაობა. მოკვდაობა, ისევე, როგორც შობადობა, უმნიშვნელოვანესი დემოლოგიური პროცესია. როგორც აღვნიშნეთ, ის შობადობასთან ერთად, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ძირითადი ელემენტია. მოკვდაობის, ადამიანის გარდაცვალების, სიცოცხლის დასრულების გააზრება შობადობის მსგავსად, ბევრი ასპექტით (მათ შორის რელიგიურით და ფილოსოფიურით) შეიძლება. არა ერთი რელიგია ცდილობდა და ცდილობს სიკვდილის, გარდაცვალების არსში ჩაწვდომას. რა არის გარდაცვალება? არის თუ არა რეალური მარადიული სიცოცხლე? არსებობს თუ არა უკვდავება. მათ შორის სულის უკვდავება? თუ სიცოცხლე მარადიულად გრძელდება, რა ფორმით ხდება ეს? რა არის საერთოდ მარადიულობა, დროისა და სივრცის უსასრულობა? ამ და სხვა მსგავს ურთულეს კითხვას, განსხვავებულად პასუხობს სხვადასხვა რელიგია, ფილოსოფია, სხვადასხვა მეცნიერება. თანაც, ეს კითხვები და პასუხები იცვლება, ტრანსფორმირდება კაცობრიობის, ცივილიზაციათა განვითარების კვალობაზე. რაოდენ ღრმა, საინტერესო და მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ასეთი კითხვები და მათზე გაცემული პასუხები, ისინი ამჟამად ჩვენი განხილვის თემას არ წარმოადგენს. ჩვენ მოკვდაობას განვიხილავთ, მხოლოდ როგორც დემოლოგიურ, სოციალურ პროცესს. რა მნიშვნელოვანი, სამწუხარო და ტრაგიკულიც არ უნდა იყოს თითოეული ადამიანის გარდაცვალება, დემოლოგიას აინტერესებს და სწავლობს გარდაცვალების არა ერთეულ ფაქტს, არამედ მოკვდაობის მთელ პროცესს.

მოკვდაობა, როგორც შობადობა, დემოლოგიაში განიხილება არა როგორც ერთჯერადი ბიოლოგიური აქტი, არამედ ამ აქტების მთელი ერთობლიობის მიხედვით, ადამიანთა ჯგუფებთან ან მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში, დროის პერიოდთან და ტერიტორიასთან მიმართებაში.

მოკვდაობა, როგორც ფიზიოლოგიური აქტი, დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, ასაკზე. მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ყოფით პირობებზე, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ ფაქტორებზე. მოკვდაობის განმსაზღვრელ ფაქტორებს ორ ძირითად ნაწილად ყოფენ: ეგზოგენურ და ენდოგენურ ფაქტორებად.

ენდოგენურია ადამიანის ორგანიზმის შინაგანი განვითარებით წარმოშობილი ფაქტორები (სხვადასხვა დაავადება, ასაკი, ფიზიოლოგიური პროცესები და ა.შ.), ხოლო **ეგზოგენურია** ე.წ. გარეგანი ფაქტორები (სტიქია, ომი, ეპიდემია).

ეს ფაქტორები უაღრესად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია შეიმჩნევა კაცობრიობის განვითარებაში. თუ მე-19 საუკუნის დასაწყისამდე მოკვდაობას მნიშვნელოვნად განაპირობებდა ეგზოგენური ფაქტორები, შემდეგ, დღევანდელი დღის ჩათვლით, მას უფრო მეტად განაპირობებს ენდოგენური ფაქტორები.

სწორედ მოკვდაობის შესწავლა და ანალიზი დაუდო საფუძვლად ჯონ გრაუნტმა დემოლოგიის შესახებ პირველ მეცნიერულ კვლევას. მან შეადგინა მოკვდაობის პირველი მათემატიკური ტაბულები. ამდენად, ის უმნიშვნელოვანესი დემოლოგიური კატეგორიაა.

ჯონ გრაუნტის შემდგომ, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო დაიხვეწა და გაჩნდა მოკვდაობის შესწავლის სრულყოფილი და თანამედროვე მეთოდები. ამ კატეგორიის შესასწავლად, სულ უფრო აქტიური გახდა დემოლოგიის თანამშრომლობა მათემატიკასთან, სტატისტიკასთან, ბიოლოგიასთან, მედიცინასთან, გერონტოლოგიასთან და ა.შ.

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტია $\mathbf{m} = \frac{\mathbf{M}}{\mathbf{T} \cdot \bar{\mathbf{P}}} \cdot 1000$, ე.ი. ის ფაქტიურად იგივეა, რაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტი.

$\bar{P}$ – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა; T – პერიოდის ხანგრძლივობა წლებში, ხოლო M – გარდაცვლილთა რაოდენობა მოცემულ პერიოდში.

არსებობს როგორც შობადობის, ასევე მოკვდაობის სხვადასხვა სკალა. მოკვდაობას აფასებენ მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტებით, ჩვილთა და ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტებით. ასევე, მოკვდაობის კოეფიციენტების და მაჩვენებლების ანალიზისათვის იყენებენ ინდექსებისა და სტანდარტიზაციის სხვადასხვა მეთოდს. ჩვენ მათ არ შევეხებით და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მათ გაეცნოს როგორც სხვა დემოლოგიური, ასევე სპეციალური დემოლოგიური სტატისტიკისა და ზოგადი სტატისტიკის ლიტერატურაში.

3.4. შობადობასა და მოკვდაობაზე მოქმედი ფაქტორები. ჯერ განვიხილოთ შობადობაზე მოქმედი ფაქტორები. ისინი ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ბუნებრივ-ბიოლოგიური და სოციალური, საზოგადოებრივი. ბუნებრივ-ბიოლოგიური, რა თქმა უნდა, პირველყოვლისა ქალისა და მამაკაცის ბუნებრივ-ბიოლოგიური შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული.

თვლიან, რომ საშუალოდ ქალი, თავისი ნაყოფიერების ასაკში, ე.ი. 15-დან 50 წლამდე, მშობიარობს და ამ პერიოდში შესაძლებელია ქალს ჰქონდეს 10-12 მშობიარობა. ასეთ შემთხვევაში შობადობა დაახლოებით 50 პრომილეს ფარგლებშია. ჩვენ საშუალო მაჩვენებელზე ვსაუბრობთ, გამონაკლისი, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ქვეყანაში წარსულშიც არსებობდა და დღესაც არსებობს. გარკვეული წყაროებიდან ცნობილია, რომ 1755 წელს რუსეთის იმპერატორს, ეკატერინე მეორეს წარუდგინეს ერთი გლეხი, ვინმე იაკობ კირილოვი. იგი მაშინ 60 წლის იყო და მეორე ცოლი ჰყავდა. მისმა პირველმა ცოლმა 21-ჯერ იმშობიარა და 57 შვილი გააჩინა: 4-ჯერ 4-4 ტყუპი, 7-ჯერ 3-3 ტყუპი და 10-ჯერ 2-2 ტყუპი. მისმა მეორე ცოლმა, 7 მშობიარობით 15 ბავშვი დაბადა, ერთხელ 3 ტყუპი და 6-ჯერ 2-2 ტყუპი. კიდევ უფრო საინტერესო შემთხვევა 1782 წელს შუისკში დაფიქსირდა. ვინმე ფიოდორ ვასილევს ორ ქორწინებაში შეეძინა 87 შვილი. მისმა პირველმა ცოლმა 27-ჯერ იმშობიარა და 4-ჯერ 4-4, 7-ჯერ 3-3 და 16-ჯერ 2-2 ტყუპი ბავშვი დაბადა. ვასილევის მეორე ცოლმა 2-ჯერ 3-3, ხოლო 6-ჯერ 2-2 ტყუპი დაბადა. ვასილევი მაშინ 75 წლის იყო. 87 ბავშვიდან 82 ცოცხალი ჰყავდა. ეს შემთხვევა შეიტანეს გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ერთი ქალის მიერ მშობიარობის მაქსიმალური დარეგისტრირებული რიცხვი.

შობადობის ბევრად უფრო შემაფერხებელი ფაქტორებია სოციალური ფაქტორები – ქალის უფლებრივი მდგომარეობა ოჯახში, საზოგადოებაში. რაც უფრო სრულუფლებიანია ქალი, მით მეტია შობადობის ხელოვნური რეგულირების საშუალება და შესაძლებლობა. მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის კულტურული დონე. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში შეინიშნებოდა, რომ კულტურულად უფრო მაღალი წრის რომაელებში შობადობა უფრო მცირე იყო. ასეთ ოჯახებში უფრო ცოტა შვილები ჰყავდათ. დღესაც, მრავალი გამოკვლევით დასტურდება, რომ კულტურის განვითარება, განათლების მაღალი დონე, არ უწყობს ხელს შობადობის გაზრდას. პირიქით, რაც უფრო მაღალია განათლების, საზოგადოდ, კულტურის დონე, მით უფრო ნაკლებია შობადობა. ასეთ პირობებში, უფრო

ხშრად არის დაგვიანებული ქორწინებები და ა.შ. ჰ. **სპენსერი** აღნიშნავდა, რომ ქალებში მეტისმეტი გონებრივი მუშაობა, ჩვეულებრივ „იწვევს უნაყოფობას“. **ადამ სმიტი** კი თვლიდა, რომ ფუფუნება მშვენიერ სქესში ანადგურებს ბავშვთა შობის უნარს.

დემოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად ნახავთ მოსაზრებას, რომ მატერიალური ცხოვრების დონე პირდაპირპროპორციული კი არა, უკუპროპორციულია შობადობის დონისა. ანუ, ბავშვების რაოდენობა უფრო მეტია არა მდიდარ, არამედ ღარიბ ოჯახებში. ამის მიზეზი, ალბათ უნდა ვეძებოთ არა იმაში, რომ სიღარიბე უშუალოდ აბრკოლებს შობადობას, არამედ სიღარიბისა და განათლების, კულტურის დამოკიდებულებაში. რაც უფრო ღარიბია ოჯახი, მით უფრო დაბალია განათლების დონე. ამის გამო, მშობლები დიდ მოთხოვნებს არ უყენებენ შვილების აღზრდას. ამავე დროს, არც შობადობის ხელოვნურ რეგულირებას ახორციელებენ.

შარლ მონტესკიე „კანონთა გონში“ აღნიშნავს, რომ „ადამიანებს, რომლებსაც მათხოვრებივით არაფერი აქვთ, ბევრი შვილი ჰყავთ. ისინი გამოირჩევიან შვილიერების უნარით... ეს ადამიანები, თავად ღარიბნი, მდიდარ ან ცრუმორწმუნე ქვეყანაში მრავლდებიან იმიტომ, რომ არავითარი საზოგადოებრივი ტვირთი არ აწევთ, ისინი თვითონ არიან საზოგადოების ტვირთი“.

შობადობის სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებში უნდა დავასახელოთ ურბანიზაცია. აქ ანსხვავებენ ურბანიზაციის პირდაპირ და არაპირდაპირ უარყოფით გავლენას შობადობაზე. ურბანიზაცია ამაღლებს კულტურის დონეს. მეორე მხრივ, აცარიელებს სოფელს და იქ იწვევს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შეცვლას, დაბერების, სიკვდილიანობის ზრდას და შობადობის შემცირებას.

მე-20 საუკუნის განმავლობაში, მსოფლიოს ქალაქების მოსახლეობის რიცხვი 220 მილიონიდან 2,8 მილიარდამდე გაიზარდა (ანუ 12,7-ჯერ), მსოფლიოს მოსახლეობა კი 5-ჯერ. მიუხედავად იმისა, რომ დიდი იყო მოსახლეობის ზრდა და ჩვენ მას პრაქტიკულად დემოგრაფიული აფეთქება ვუწოდეთ, ქალაქის მოსახლეობის ზრდა ბევრად უფრო მაღალია. ე.ი. სახეზეა ე.წ. ურბანიზაციის მკვეთრი ზრდა, ბუმი.

2008 წელს მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი – 4 მილიარდამდე ადამიანი ქალაქში ცხოვრობდა. არის პროგნოზი, რომ 2030 წლისათვის ეს რიცხვი 5 მილიარდს მიაღწევს.

მაშასადამე, შობადობის შემცირების ტენდენცია, განსაკუთრებით – ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, ურბანიზაციის გამოკვეთილად

მაღალი ტემპით ზრდის ფაქტორსაც შეიძლება დავუკავშიროთ. მოსახლეობის შობადობის, გამრავლების მჭირდო კავშირის შესახებ გეოგრაფიულ გარემოსთან, ტერიტორიასთან, **თ. მალთუსი** და განსაკუთრებით, **შ. მონტესკიეც** მსჯელობდნენ. მაგალითად, შ. მონტესკიე მიიჩნევდა, რომ საძოვრების მქონე ქვეყნები ნაკლებად დასახლებულია, რადგან აქ ცოტა ადამიანია დასაქმებული. სახნავი მიწები ადამიანთა უფრო მეტ რაოდენობას ასაქმებს, მევენახეობა კი, – კიდევ უფრო მეტს. ინგლისში ხშირად ჩიოდნენ, რომ საძოვართა ზრდა მოსახლეობის შემცირებას იწვევდა. შენიშნულია, რომ საფრანგეთში ვენახების დიდი რაოდენობა ადამიანთა სიმრავლის ერთ-ერთი მიზეზია.

შობადობაზე დიდ გავლენას ახდენს **რელიგია**, ამა თუ იმ რელიგიით დამკვიდრებული ტრადიციები. სხვადასხვა რელიგიის მქონე მოსახლეობაში, შობადობის მაჩვენებლები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს ასე იყო წარსულშიც და რელიგიის ფაქტორის გავლენის შემცირება შობადობაზე, არც თანამედროვე გამოკვლევებით დასტურდება.

შობადობაზე მოქმედი ფაქტორების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ჩვენ ამ ფაქტორებს, განსაკუთრებით მათი სოციოლოგიური ანალიზის საფუძველზე განხილვასა და შედარებას დავუბრუნდებით მოგვიანებით, მსოფლიოს მოსახლეობის განვითარების ტენდენციების განხილვისას.

ახლა, მოკლედ დავასახელოთ ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს მოკვდაობაზე.

მოკვდაობაზე მოქმედი ფაქტორები. როგორც აღვნიშნეთ, ამ ფაქტორებს ძირითადად ორად ყოფენ – ეგზოგენურ და ენდოგენურ ფაქტორებად. ეგზოგენური ფაქტორები – სტიქია, ომები, ეპიდემიები – განსაკუთრებით მძვინვარებდა კაცობრიობის ადრინდელ ეტაპებზე, თუმცა მათი დიდი გავლენა მე-19 საუკუნემდეც გაგრძელდა. შემდეგ მათი გავლენა სულ უფრო მცირდება და მკვეთრად მატულობს ენდოგენური ფაქტორების გავლენა. ე.ი. წინა პლანზე გამოდის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, სიკვდილიანობის ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური მიზეზები. მოსახლეობის სიკვდილიანობის შემცირებაზე სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს ბიოლოგიის, მედიცინის, სხვა მეცნიერებათა განვითარება და მიღწევები. თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა მედიცინაში, ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში კოლოსალურ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესებაზე, სიცოცხლის გახანგრძლივებასა და, შესაბამისად, მოკვდაობის შემცირებაზე. უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორებია

ასევე, მოსახლეობის, საზოგადოების კულტურის დონის ამაღლება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა, ორგანიზმის მოვლის მაღალი კულტურა. აღნიშნულ ფაქტორებს ჩვენ არაერთხელ შევეხებით და განვიხილავთ მომდევნო თავებში.

ახლა განვიხილოთ დემოლოგიის შემდეგი უმნიშვნელოვანესი ცნება

3.5. ბუნებრივი მატება. ზოგადად, ბუნებრივი მატება არის რაღაც მოცემული პერიოდის განმავლობაში, მოცემულ მოსახლეობაში, სხვაობა დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობებს შორის. ბუნებრივი მატების შეფასება შეიძლება ბუნებრივი მატების კოეფიციენტით. ის გამოისახება ფორმულით:

$$K^{ბ.მ.} = n\text{-}m$$

სადაც n – შობადობის ზოგადი კოეფიციენტია, ე.ი. $n = \frac{N}{T\bar{P}} \cdot 1000$,

ხოლო m – მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი, ე.ი. $m = \frac{M}{T \cdot \bar{P}} \cdot 1000$.

ბუნებრივი მატების გარდა, დემოლოგიაში განიხილავენ

მოსახლეობის საერთო მატებას. ეს არის გარკვეული დროის ინტერვალის დასაწყისისა და ბოლოსათვის მოსახლეობის რაოდენობებს შორის სხვაობა: S_1-S_0.

მოსახლეობის საერთო მატება მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და მიგრაციული მატების ჯამის ტოლია. არსებობს მოსახლეობის საერთო მატების კოეფიციენტი.

მოსახლეობის საერთო მატების კოეფიციენტი არის გარკვეულ პერიოდში ფაქტობრივი მოსახლეობის საერთო მატების შეფარდება იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან.

$$\Delta S = \frac{S_1 - S_0}{\bar{S}}$$

S_0 – მოსახლეობის რაოდენობა პერიოდის დასაწყისში;

S_1 – მოსახლეობის რაოდენობა პერიოდის ბოლოს;

$\bar{S}$ – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

3.6. ძირითად დემოლოგიურ განტოლება. მოსახლეობის საერთო მატება შეიძლება გამოისახოს განტოლებით, რომელსაც ძირითად დემოლოგიურ განტოლებას, ან ხშირად დემოლოგიური ბალანსის განტოლებას უწოდებენ:

$$P(t) = P(0) + [N(0,t) - M(0,t)] + [I(0,t) - E(0,t)]$$

P(0), P(t) – მოსახლეობის რაოდენობაა საკვლევი პერიოდის დასაწყისში და ბოლოს.

N(0,t) – დაბადებულთა რაოდენობა (0,t) პერიოდში;

M(0,t) – გარდაცვლილთა რაოდენობა (0,t) პერიოდში;

I(0,t) – იმიგრანტთა რაოდენობა (0,t) პერიოდში;

E(0,t)] – ემიგრანტთა რაოდენობა (0,t) პერიოდში.

იგივე განტოლება, ე.ი. ძირითადი დემოლოგიური განტოლება შეიძლება ჩაიწეროს უფრო ზოგადი სახითაც:

$$\Delta P = \Delta P^{nat.} + \Delta P^{migr.}$$

ΔP – არის მოსახლეობის საერთო ნამატი, რომელიც უდრის სხვაობას მოსახლეობის რაოდენობებს შორის საწყის და რაიმე t პერიოდში: ΔP = P(t) - P(0). განტოლების მარჯვენა მხარეში არის ბუნებრივი და მიგრაციული მატებების ჯამი. ეს ჯამი ძირითად დემოლოგიურ განტოლებაში კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული:

$\Delta P^{nat.}$ = N(0,t) - M(0,t) – ბუნებრივი მატება;

$\Delta P^{migr.}$ = I(0,t) - E(0,t) – მიგრაციული მატება.

საინტერესოა განვიხილოთ, როგორია შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების ტენდენციები საქართველოში. დავიწყოთ შობადობით.

არსებული მონაცემებით, საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა – 104 ათასი. 1960-1990 წლებში საშუალოდ, ყოველწლიურად 93 ათასი ბავშვი იბადებოდა. შობადობის მკვეთრი შემცირება 1991-92 წლებიდან დაიწყო, 2005 წელს საქართველოში უკვე 46 ათასი ბავშვი დაიბადა, შემდეგ დაბადებული ბავშვების რაოდენობამ ცოტა მოიმატა: 2009 წელს დაიბადა 46 625, ხოლო 2012 წელს ცოცხლად 57503 ბავშვი დაიბადა. მიუხედავად ამისა, წინა წლებთან შედარებით, შობადობა მაინც დაახლოებით 2-ჯერ შემცირდა. ძირითადად ამის შედეგად, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა ბუნებრივი მატება. 1941-45 წლებშიც კი, ომის პერიოდში, ბუნებრივი მატება 135 ათასს შეადგენდა. 2001-2005 წლებში კი – მხოლოდ 5 800. თუ 1989 წლის აღწერის მიხედვით ბუნებრივი მატების კოეფიციენტი 7,6 პრომილე იყო და 41 456 ადამიანს შეადგენდა, 2012 წლისათვის ის დაახლოებით 2,5 პრომილემდე და 8 196 ადამიანამდე შემცირდა. ქართველებში მნიშვნელოვნად დაბალია შობადობისა და ბუნებრივი მატების დონე, ვიდრე საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლებში. მართალია, მთელ მოსახლეობაში ქართველების წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა და თუ 1989 წელს 70,1% იყო, 2014 წელს, საყოველთაო აღწერის მონაცემე-

ბით, 86,6% გახდა, მაგრამ ქვეყნის ეროვნულ შემადგენლობაში ასეთი ცვლილება არა ქართველების ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლების ზრდით არის გამოწვეული, არამედ გარე მიგრაციული პროცესებით, რომლებშიც სხვა ეროვნებათა წილი მნიშვნელოვნად ჭარბობს.

შობადობის თანამედროვე პარამეტრები თითქმის ორჯერ მცირეა, ვიდრე თაობათა შეცვლისათვის არის საჭირო. 1989 წელს საქართველოში, შობადობის ნეტო კოეფიციენტი 1,003 იყო, ე.ი. ერთი ქალი ნაყოფიერების ასაკში დაახლოებით ერთ გოგონას ბადებდა (გოგონებზე მახვილდება ყურადღება იმის გამო, რომ როგორც ადრეც აღვნიშნეთ, დემოლოგიაში საყოველთაოდ არის მიღებული მოსახლეობის გამრავლებისათვის გოგონათა დაბადების უპირატესი მნიშვნელობა), ყოველი 1000 დედის შესაცვლელად კი, 1003 გოგონა მოდიოდა, რაც იმ პერიოდშიც უკვე დაბალი მაჩვენებელი იყო. უკანასკნელ პერიოდში კი, ის მნიშვნელოვნად შემცირდა და დღეს ექსპერტული შეფასებით, 0,8-ს უდრის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი 1000 დედის შესაცვლელად მხოლოდ 800 გოგონა მოდის. რაც შეეხება შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტს, ისიც სერიოზულად დაეცა: თუ 1989 წელს 2,11 იყო, გაეროს მონაცემებით, 2016 წელს 1,8 გახდა. თუ შობადობის კოეფიციენტების შემცირება კვლავ გაგრძელდება და არ მოიმატებს, ზოგიერთი გაანგარიშებით, ერთი დემოგრაფიული თაობის, ანუ დაახლოებით 27 წლის შემდეგ დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა წელიწადში 28 ათასს ვეღარ გადააჭარბებს. კიდევ ერთი მომდევნო დემოგრაფიული თაობის შემდეგ კი, მხოლოდ 16 ათასი დაიბადება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი პროცესია ის, რომ ქართულ მოსახლეობაში მასობრივად ვრცელდება მცირეშვილიანობა. სულ უფრო მცირდება იმ დედების რიცხვი, რომლებსაც 3 და მეტი შვილი ჰყავთ. კერძოდ, საქართველოში 1960 წელს მესამე და მეტი ბავშვის დაბადების წილი სულ დაბადებულთა 36,5%-ს შეადგენდა. ამჟამად ეს მაჩვენებელი დაახლოებით 11%-ია.

შობადობის ასეთი შემცირება იწვევს არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას, არამედ მისი ასაკობრივი, სქესობრივი და საქორწინო სტრუქტურების მნიშვნელოვან დეფორმაციასაც.

საქართველოში ტრადიციულად დაბალი იყო მოკვდაობის დონე. ის დაბალი იყო როგორც მეზობელ, ასევე ევროპის უმრავლეს ქვეყანასთან შედარებით. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ის მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ მოსახლეობის 1000 სულზე 1960 წელს საშუალო სტატისტიკუ-

რად 9,6 ადამიანი გარდაიცვალა, ეს მაჩვენებელი 1990 წელს უკვე 9,4-ს უდრიდა, 2004 წელს – 13,2-ს, ხოლო 2014 წლისათვის, ისევ დაახლოებით 14,1-ია. სამწუხაროდ, მაღალია ბავშვთა მოკვდაობის დონეც. მართალია, 2004 წელს ოფიციალურ მონაცემებს თუ დავუჯერებთ, 49 572 ბავშვი დაიბადა, მაგრამ ერთი წლის განმავლობაში, ე.ი. ერთ წლამდე ასაკში, სამწუხაროდ, 1178 გარდაიცვალა. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი საშუალოდ გარდაიცვალა23,8 პრომილე იყო, ანუ ყოველ 1000 დაბადებულ ბავშვზე 23,8 ბავშვი. ეს ციფრი ყველაზე მაღალი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში. შემდეგ ეს მაჩვენებელი 2006 წლისათვის ოდნავ შემცირდა, მაგრამ 2008 და 2009 წლების მონაცემებით, ისევ გაიზარდა და ოფიციალური მონაცემებით, ამ წლებში, შესაბამისად, გარდაიცვალა 959 და 945 ბავშვი. 2012 წლისთვის ეს მაჩვენებელი კვლავ ოდნავ შემცირდა და 2011 წლის განმავლობაში ერთ წლამდე ასაკის 703 ბავშვი გარდაიცვალა.

ქვემოთ ცხრილის სახით მოგვყავს საქართველოში შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების მონაცემები წლების მიხედვით.

ცხრილი 1.

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების დინამიკა

წელი	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება
1961	104 ათასი; 24 ‰	28 ათასი; 6,5 ‰	77 ათასი; 18 ‰
1969	87 ათასი; 18,7 ‰	35 ათასი; 7,5 ‰	52 ათასი; 11,2 ‰
1979	90 ათასი; 17,8 ‰	42 ათასი; 8,3 ‰	48 ათასი; 9,5 ‰
1989	91 ათასი; 17 ‰ 2,1; 1,03	50 ათასი; 9,2 ‰	41,5 ათასი; 7,6 ‰
1999	49 ათასი; 10,9 ‰	47 ათასი; 10,6 ‰	1511; 0,3 ‰
2002	47 ათასი; 10,7 ‰ 1,5; 0,7	46 ათასი; 10,7 ‰	159; 0,0 ‰
2005	46 ათასი; 10,6 ‰	42 ათასი; 9,9 ‰	3,5 ათასი; 0,8 ‰
2014	57 ათასი; 12,7‰ 1,5; 07	49 ათასი; 11 ‰	8 ათასი; 1,7 ‰

3.7. ასაკი. მოსახლეობის შემადგენლობა ასაკის მიხედვით. დემოლოგიური პროცესებისა და მოვლენების კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობას. ყველა დემოლოგიური მოვლენა ყოველთვის ადამიანთა რაღაც კონკრეტულ, ამა თუ იმ ასაკში ხდება. ამასთან, მათი მოხდენის სიხშირე და ფორმაც, ასაკთან ერთად იცვლება. ხშირად ამბობენ, რომ ის ასაკის ფუნქციაა. დემოლოგიაში ანსხვავებენ და აანალიზებენ ქორწინების ასაკს, მშობიარობის ასაკს, გარდაცვალების

ასაკს, მოხუცებულობის ასაკს, შრომის უნარის მქონე ასაკს, ფერტილურობის ასაკს და ა.შ.

რა არის ასაკი და როგორ განიმარტება ის დემოლოგიაში? ანსხვავებენ **ბიოლოგიურ ასაკს** და **კალენდარულ ასაკს**. კალენდარული ასაკი არის პერიოდი ადამიანის დაბადებიდან მისი ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის ათვლის მომენტამდე. ე.ი. კალენდარული ასაკი იზომება დაბადებიდან გასული დროით. ხშირად მას მარტივად საპასპორტო ასაკსაც უწოდებენ.

ბიოლოგიურ ასაკი ისაზღვრება ადამიანის ბიოლოგიურ, ფიზიოლოგიურ ფუნქციათა მდგომარეობით. უფრო ზუსტად, მათი შეფარდებით ასაკობრივ ნორმებთან. კაცობრიობის განვითარების მანძილზე, ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის კვალობაზე, წარმოდგენა ასაკობრივ პერიოდებზე იცვლება.

ადამიანების ასაკის განაწილება, ჩვეულებრივ, მეტ-ნაკლებად მსხვილ ჯგუფებად ხდება. ასეთი გაერთიანება ხდება სოციალურ, ან დემოლოგიურ ფუნქციათა მსგავსების საფუძველზე. სწორედ ასეთ დაყოფას, გაერთიანებას ჰქვია ასაკის კლასიფიკაცია. ასაკის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს წარმოდგენა ასაკის პერიოდიზაციის შესახებ. კლასიფიკაციის კრიტერიუმები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ამოცანა უდევს საფუძვლად გამოკვლევას, რა არის გამოკვლევის მიზანი.

დემოლოგიაში უპირატესობას ანიჭებენ ერთწლიან და ხუთწლიან ჯგუფებს. რა თქმა უნდა, დემოლოგიური პროცესების უფრო ზუსტი ანალიზი შესაძლებელია ერთწლიან ჯგუფებში, მაგრამ ხუთწლიანიც საკმაოდ ზუსტ წარმოდგენას იძლევა და უფრო მოსახერხებელია. ამიტომ დემოლოგიაში ხუთწლიანი ჯგუფები უფრო ფართოდ გამოიყენება.

ხუთწლიან ჯგუფებში ერთიანდება მომიჯნავე ასაკის ხალხი.

გაეროს ყველა დოკუმენტსა და ანგარიშში სტანდარტული ასაკობრივი დაჯგუფება გამოიყურება შემდეგნაირად: 0-4, 5-9, 10-14, 15-19, 20-24 და ა.შ. 80-84 წელი. ინტერვალთა ამ რიგს ასრულებს გახსნილი ინტერვალი, რომელიც იწყება 85-დან და მიდის ზემოთ.

მაგალითად, ეკონომიკური თვალსაზრისით, ასაკს ყოფენ 3 ჯგუფად:

1. მუშა ასაკამდე (შრომისუნარამდე); 2. მუშა ასაკი (შრომისუნარიანი); 3) შემდგომი ასაკი (შრომისუნარიანის შემდგომ). ასაკის მიხედვით, იყო ასეთი დაყოფაც:

1-10 დღე – ახალშობილი;

10 დღე-1 წელი – მეძუძური ბავშვი;

1-3 წელი – ადრეული ბავშვობა;

4-7 წელი – პირველი ბავშვობა;
8-12 წელი – მეორე ბავშვობა;
13-16 (12-15 – გოგონები) – მოზარდები;
17-21 (16-20 – გოგონები) – ყმაწვილები;
22-35 – მოზრდილი სიმწიფე – სიმწიფის I პერიოდი;
35-60 (35-55 – ქალები) – სიმწიფის II პერიოდი;
61-72 (56-74 – ქალები) – ხანში შესული;
73-74 და ზევით – ბებრები;
90-ის ზევით – ხანდაზმული.

თანამედროვე საერთაშორისო ხმარებაში უფრო ასეთი დაყოფაა:

1) 1 წლამდე – ჩვილობა;
2) 1-4 წელი – სკოლამდელი ასაკი;
3) 5-14 – სკოლის ასაკი;
4) 15-24 – ახალგაზრდობა;
5) 25-55 – მაქსიმალური აქტივობის წლები;
6) 45-64 – საშუალო ასაკი;
7) 65-74 – მოხუცებულობის ადრეული პერიოდი;
8) 75 წელი და მეტი – მოხუცებულობა.

ცალკეული ადამიანის ასაკის ცოდნა დაკვირვების ამა თუ იმ პერიოდში, ან მათ ცხოვრებაში სხვადასხვა დემოლოგიური მოვლენის დადგომის მომენტში, ქმნის წარმოდგენას მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე, აგრეთვე ადვილად წარმოსადგენია, რომელ ასაკობრივ ჯგუფში ხდება ესა თუ ის დემოლოგიური მოვლენა.

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა, ასაკობრივი სტრუქტურა, აქტიურ როლს თამაშობს ყველა სოციალურ პროცესში, მათ შორის რა თქმა უნდა, დემოლოგიურშიც. ის, ამავე დროს, აქტიურ გავლენას ახდენს ყველა დემოლოგიური მაჩვენებლის სიდიდეზეც. რა თქმა უნდა, მეორე მხრივ, დემოლოგიური პროცესები დიდ გავლენას ახდენს ასაკობრივ სტრუქტურაზე.

ახლა მოკლედ უნდა განვმარტოთ **დემოლოგიური თაობისა** და **კოჰორტის** ცნებები.

თაობა (რეალური თაობა) ეს არის იმ ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც დაიბადნენ დროის ერთსა და იმავე პერიოდში (კალენდარული წელი ან რამდენიმე წელი).

ანგარიშობენ დემოლოგიური თაობის სიგრძეს. თაობის სიგრძე არის მშობლებისა და მათი შვილების თაობების გამყოფი დროის ინტერვალი.

მის სიგრძეს ანგარიშობენ ირიბი მეთოდით. ის უდრის ორივე მშობლის საშუალო ასაკსა და შვილების საშუალო ასაკთა შორის სხვაობას. ეს მეთოდი, თაობათა ცვლის პროცესის შესწავლისას, შეიმუშავა ამერიკელმა დემოლოგმა და ბიოლოგმა ალფრედ ჯეიმს ლოტკამ (1880-1949). იგი იყო ამერიკის მოსახლეობის ასოციაციისა და ამერიკის სტატისტიკური ასოციაციის პრეზიდენტი. მან დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე დემოლოგიური ანალიზის განვითარებაში, მათ შორის, დემოლოგიური თაობების ცვლილებათა კვლევაში. განსზღვრა მათი ცვლილებების რითმულობა. ა. ლოტკა, ასევე ამუშავებდა მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზებს, აანალიზებდა უნაყოფობის, სიცოცხლის ხანგრძლივობის და მრავალ სხვა დემოლოგიურ პრობლემას.

კოჰორტა დემოლოგიაში არის ადამიანთა ერთობლიობა, რომლებსაც ერთდროულად, ერთსა და იმავე დროს გადააქვთ რაღაც ერთი და იგივე მოვლენა. მაგალითად, იმ ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც ერთი და იგივე დროს დაქორწინდნენ, მიგრანტები, რომლებიც ერთი და იგივე დროს გადაადგილდნენ, ადამიანები, რომლებიც ერთი და იგივე დროს სწავლობდნენ სასწავლებელში, იმსახურეს ჯარში და ა.შ. ე.ი. კოჰორტის ქვეშ დემოლოგიაში ესმით ადამიანთა ერთობლიობა, რომელთა ცხოვრებაშიც ერთი და იგივე დროს მოხდა რაღაც ერთნაირი ცვლილება.

მოსახლეობის ასაკის შესაფასებლად, საშუალო ასაკის გარდა მიღებულია **მედიანური ასაკისა** და **მოდალური ასაკის** ცნებები. **მედიანური ასაკის** მნიშვნელობა გამომდინარეობს თვითონ სიტყვიდან „მედიანა“, ანუ „შუაზე ყოფს“. მაშასადამე ეს არის ასაკი, რომელიც მოსახლეობას ასაკის მიხედვით, ზუსტად შუაზე, ორ ტოლ ნაწილად ყოფს. მაგალითად, დღეს მსოფლიოს მოსახლეობის მედიანური ასაკია დაახლოებით 28,1 წელი. ე.ი. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა ასაკის მიხედვით იყოფა ორ ტოლ ნაწილად: 28,1-ზე უმცროსი ასაკის ადამიანთა რაოდენობა უდრის 28,1 წელზე უფროსი ადამიანების რაოდენობას.

მოდალური ასაკი ნიშნავს იმ ასაკს, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება მოსახლეობის მთელ ერთობლიობაში. მაგალითად, თუ აუდიტორიაში ჭარბობენ 19 წლის სტუდენტები, მაშინ ამ აუდიტორიის მოდალური ასაკი იქნება 19 წელი.

გაეროს 2016 წლის მონაცემებით მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო ასაკია 28 წელი, მედიანური – 28,1 წელი.

საქართველოში მოსახლეობის საშუალო ასაკი 2002 წლის აღწერით 35,7 წელი იყო, მათ შორის მამაკაცების – 33,6 წელი, ქალების – 37,4

წელი. 2014 წლის აღწერით მოსახლეობის საშუალო ასაკი 38,1 წელია. მათ შორის მამაკაცების – 35,9 წელი, ქალების – 40,1 წელი.

2014 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი იყო 33,5 წელი. მათ შორის, მამაკაცების – 31,4 წელი, ხოლო ქალების – 36,1 წელი.

2014 წლის აღწერით ყველაზე დაბალი საშუალო ასაკის იყო ქვემო ქართლის მოსახლეობა – 35,6 წელი, ხოლო ყველაზე მაღალი ასაკის – რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა – 48,2 წელი.

ორი აღწერის მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ 12 წლის განმავლობაში საქართველოში, როგორც მამაკაცების, ასევე ქალების საშუალო ასაკი საგრძნობლად მატულობს. ასაკის ზრდის ასეთივე ტენდენცია ჩანს, როგორც მედიანური, ასევე მოდალური ასაკის ანალიზისას.

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ანალიზისათვის, ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფის დროს განსაკუთრებით იკვლევენ 0-14 წლის ასაკის მქონე ადამიანების რაოდენობას, რადგან მხოლოდ ეს ჯგუფი ასახავს ყველაზე კარგად შობადობის დონესა და თაობათა ცვლის, გამრავლების პოტენციალს. ასეთივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ 65 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანების რაოდენობას. გაეროს მიერ სიბერის დასაწყის პერიოდად, უმეტესად 65 წელია მიჩნეული, ამიტომ მოსახლეობის სიბერის დონის დასახასიათებლად ანგარიშობენ 65 წლისა და უფროსი ასაკის მქონე მოსახლეობის წილს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ამ წილს გამოხატავს სწორედ ე.წ. დაბერების კოეფიციენტი. ე.ი. **დაბერების კოეფიციენტი** არის 65 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანების რაოდენობის შეფარდება მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან და გამრავლებული ასზე.

მოსახლეობის დაბერების პროცესის უფრო სრულყოფილი ანალიზისთვის აფასებენ აგრეთვე მოსახლეობის დაბერების ხარისხს. ის იანგარიშება 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებით 65 წლამდე ასაკის მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან.

ამ კოეფიციენტების სიდიდის მიხედვით მოსახლეობის დაბერების განვითარების ეტაპებს ერთმანეთისაგან ანსხვავებს როსეტი. მან შეიმუშავა მოსახლეობის დაბერების განვითარების ხარისხის შეფასების სკალა. როსეტი ხანდაზმულთა 12%-იან წილს მთელ მოსახლეობაში განიხილავს, როგორც დემოლოგიური დაბერების საწყის ეტაპს. გაეროს მიერ დღეს გამოყენებულია დაბერების ხარისხის შეფასების სხვა კრიტერიუმებიც, რომელთა შესახებ ჩვენ შემდეგ თავებში გვექნება საუბარი. ახლა კი უნდა აღვნიშნოთ,

რომ დემოლოგიური დაბერების დროს იცვლება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, მატულობს ხანში შესულთა წილი და პროცესი ბუნებრივი მოძრაობის, შობადობისა და მოკვდაობის ასევე მიგრაციების ფაქტორების გავლენით მიმდინარეობს. შობადობის ზრდის კვალობაზე, მოსახლეობის დაბერების პროცესი კლებულობს, ხოლო მოკვდაობას რაც შეეხება, მოკვდაობის შემცირება ახალშობილთა და ბავშვთა შორის ანელებს დაბერების პროცესს, ხოლო მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში ის აჩქარებს დაბერების პროცესს.

3.8. მოსახლეობის შემადგენლობა სქესის მიხედვით. ცხადია, რომ ეს არის მოსახლეობის დაყოფა მდედრობით და მამრობით სქესად, ქალებად და კაცებად. თანამედროვე ბიოლოგიური მეცნიერება სქესს განიხილავს, როგორც ორგანიზმის გენეტიკური, მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური თავისებურებების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ გამრავლებას. უფრო ზოგადად, სქესს განიხილავენ როგორც ორგანიზმის გენეტიკური, მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, რეპროდუქტიულ ქცევითი, სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ფსიქოლოგიური ნიშნების იმ ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის პირად ბიოლოგიურ და სოციალურ სტატუსს.

ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად დაიწყეს ე.წ. **ბიოლოგიური** და **სოციალური სქესის** ერთმანეთისაგან განსხვავება. სოციალური სქესის აღსანიშნავად ხშირად ხმარობენ ტერმინს **გენდერი** (ინგ. Gender) და ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობენ ქალისა და მამაკაცის მიერ საზოგადოებაში შესრულებულ სოციალურ როლს.

მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა ყალიბდება შემდეგი სამი მთავარი ფაქტორის გავლენით:

1. სქესთა თანაფარდობა ახლადშობილებში;
2. სქესთა თანაფარდობა სიკდილიანობის დროს;
3. სქესთა თანაფარდობა მოსახლეობის მიგრაციის დროს.

სქესთა შორის თანაფარდობის დასახასიათებლად, დემოგრაფიაში, ჩვეულებრივ გამოიყენება ორი ტიპის შედარებითი მახასიათებელი: მოცემული სქესის მოსახლეობის პროცენტული წილი მოსახლეობის მთელ რაოდენობაში, ან მამაკაცთა რაოდენობა, რომელიც მოდის ყოველ 100-1000 ქალზე ან პირიქით.

საშუალოდ, ბიჭები უფრო მეტნი იბადებიან, ვიდრე გოგონები. ეს თანაფარდობა მსოფლიოში თითქმის სტაბილურია – 105-106 ბიჭი 100 გოგონაზე. მაგრამ შემდეგში, იმის გამო, რომ საშუალო ასაკში მოკვდაობა

მამაკაცებში უფრო მაღალია, მდგომარეობა თანდათანობით თანაბრდება, ხოლო უფროს ასაკში, უკვე ქალები ჭარბობენ. მაგრამ მთლიანად, ყველა ასაკში მაინც მამაკაცები ცოტა მეტნი არიან, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში.

სხვადასხვა პერიოდში ქალებისა და მამაკაცების თანაფარდობა საქართველოში კარგად ჩანს შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა

წლები	მოსახლეობა წლის დასაწყისისათვის (ათასი)		ხვედრითი წილი (%) მოსახლეობაში		ქალები 1000 ვაჟზე
	ვაჟები	ქალები	ვაჟები	ქალები	
1897	1 050.5	918.3	53.4	46.6	874
1926	1 347.7	1 318.7	50.5	49.5	978
1939	1 765.1	1 775.0	49.9	50.1	1006
1959	1 865.5	2 178.8	46.1	53.9	1168
1970	2 202.3	2 483.8	47.0	53.0	1128
1979	2 338.9	2 654.3	46.8	53.2	1135
1989	2 562.0	2 838.8	47.4	52.6	1108
2002	1 898.4	2 092.9	47.6	52.4	1102
2014	1 772.9	1 940.9	47.7	52.3	1095
2018	1 791.6	1 938.1	48.0	52.0	1082

წყარო: ბორისოვი, 2001:150; საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, 2014:18-19; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. გ. მელაძე. „საქართველო და გლობალური დემოლოგიური პროცესები“.

როგორც წესი, ასაკობრივი სტრუქტურა განიხილება სქესობრივ სტრუქტურასთან ერთად. ამიტომ, ლაპარაკია ხოლმე სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე. სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურის ანალიზისას ფართოდ გამოიყენება ისეთი გრაფიკული მეთოდი, როგორიც არის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა.

აბსცისათა ღერძზე იზომება მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრულ ასაკობრივ ჯგუფში; ორდინატაზე აისახება ასაკობრივი ჯგუფების სკალა. ყოველი ასაკობრივი ჯგუფი გამოისახება ჰორიზონტალური ზოლის სახით, რომლის ფართობი შესაბამისი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულია. პირამიდები აიგება ასაკობრივი ჯგუფების აბსოლუტური ან ფარდობითი მნიშვნელობებით (ნიმუშისათვის იხ. ნახ. 1).



ნახ. 1. საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა 1959 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

სახელმძღვანელოებში ხშირად მოყვანილია გამრავლების სამი ტიპის ამსახველი პირამიდა.

I. პრიმიტიული ტიპი – მაღალია შობადობა და მოკვდაობა;

II. სტაციონარული ტიპი – იკლებს შობადობა და სიკვდილიანობა;

III. სიკვდილიანობის შემცირება მცირდება. შობადობა აგრძელებს სწრაფად კლებას – დეპოპულაცია (იხ. ნახ. 2).



ნახ. 2.

საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა კარგად ჩანს შემდეგ ცხრილში და მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდების განხილვისას (იხ. ნახ.3).

ცხრილი 3

საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა 1897, 1959 და 2018 წლებში

წლები	<15			15-64			65+		
	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი
				ა თ ა ს ი					
1897	439.5	414,3	853.8	640,1	530.6	1170.7	45.5	39.6	85.1
1959	605.2	579.5	1184.7	1127..3	1422.3	2549.6	133.0	177.0	310.0
2018	277.6	256.6	534.2	1308.1	1341.1	2649.2	205.9	340.3	546.2
			პ რ ო ც ე ნ ტ ი						
1897	39.1	42.1	40.5	56.9	53.9	55.5	4.0	4.0	4.0
1959	32.4	26.6	29,3	60.5	65.3	63.0	7.1	8.1	7.7
2018	15.5	13.2	14.3	73.0	69.2	71.0	11.5	17.6	14.6

წყარო: საქართველოს მოსახლეობა, 2003:8,12; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.



ნახ. 3. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდები

3.9. ქორწინება. მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურები. ქორწინების შესახებ საუბარი უნდა დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ ქორწინება ერთნაირად არ განიმარტება დემოლოგიურ, სოციოლოგიურ, იურიდიულ და სხვა სოციალურ მეცნიერებებში. **სამართლის თვალსაზრისით:**

ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის (ახლა უკვე, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, კანონიერად ითვლება ერთსქესიანთა ქორწინებაც) თავისუფალი, ნებაყოფლობითი, თანასწორუფლებიანი კავშირი, რომელიც მყარდება ოჯახის შექმნის მიზნით და კანონის იმ მოთხოვნების მკაცრი დაცვით, რომლებიც დაკავშირებულია ორივე მხარის პირად და ქონებრივ ვალდებულებებთან.

სოციოლოგიური თვალსაზრისით:

ქორწინება არის საზოგადოების მიერ ნებადართული და რეგულირებული ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს ერთმანეთისა და მათი შვილების მიმართ.

დემოლოგიური თვალსაზრისით:

ქორწინება არის წყვილის დამოკიდებულება ქორწინების ინსტიტუტთან ქვეყნის კანონების ან ტრადიციებისა და ჩვევების შესაბამისად.

მოვიტანოთ ქორწინების კიდევ ერთი განმარტება:

ქორწინება წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულ საფეხურზე კანონით ან წეს-ჩვეულებებით ნებადართულ კავშირს ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც აწესრიგებს მათ ურთიერთობას, შვილებისადმი დამოკიდებულებას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დემოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ მოსახლეობის გამრავლების ფუნქცია ძირითადად კვლავ ქორწინების მეშვეობით ხორციელდება. დემოლოგიას ქორწინება უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს მოსახლეობის გამრავლების თვალსაზრისით, როგორც ოჯახისა და ბავშვების შობის წინაპირობა.

მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურა – ეს არის მოსახლეობის განაწილება ქორწინების მდგომარეობის მიხედვით, ჩვეულებრივ, ასაკთან და სქესთან მიმართებაში. ამიტომ ხშირად ამბობენ – „ქორწინებით-ასაკობრივი სტრუქტურა“. ამ სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის ერთადერთი წყაროა მოსახლეობის აღწერა. ამ დროს შეიძლება გათვალისწინებული იქნეს, როგორც ოფიციალურად, იურიდიულად გაფორმებული ქორწინე-

ბა, ასევე ნებაყოფლობითი გაერთიანებაც ორი ადამიანისა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ეწევიან ერთად ცხოვრებას, ერთ მეურნეობას.

აქაც მეტი დიფერენციაციაა საჭირო.

ადრე მხოლოდ ორ კატეგორიას აღწერდნენ და აანალიზებდნენ – ადამიანები, რომლებიც იყვნენ ან არ იყვნენ დაქორწინებულნი. შემდგომში ამან დემოლოგები და სხვა მეცნიერებიც არ დააკმაყოფილა, რადგან ადამიანთა ის კატეგორია, რომლებიც არ არიან დაქორწინებულნი, იყოფა კიდევ სამ ქვეკატეგორიად: 1) რომლებიც არასდროს არ იყვნენ ქორწინებაში; 2) ქვრივები; 3) განქორწინებულები და გაშორებულები.

ამ სამივე კატეგორიას არა აქვს დაქორწინების ერთნაირი ალბათობა (უფრო მეტი ალბათობა აქვთ განქორწინებულებსა და გაშორებულებს, ყველაზე მცირე – 30 წელს გადაცილებულ იმ ადამიანებს, რომლებიც არ ყოფილან ქორწინებაში).

განქორწინებისა და დაქვრივების პროცესთან ერთად, ქორწინება განსაზღვრავს მოსახლეობის საქორწინო სტრუქტურასაც.

ისტორიულად, ქორწინებამ ევოლუციის, ერთი ფორმის მეორე ფორმით შეცვლის მრავალსაუკუნოვანი გზა გაიარა. შ. მონტესკიე აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ „ძველი რომაული კანონები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ მოქალაქეებისათვის ქორწინება ჩაეგონებინათ... ძველი კანონი მოითხოვდა, რომ თითოეული მოქალაქე დაქორწინებულიყო და აღეზარდა ყველა თავისი შვილი“... ის თვლიდა, იმისთვის, რომ „ყველგან, სადაც კი მოიძებნება ისეთი ადგილი, ორმა პიროვნებამ მშვიდად იცხოვროს, ხდება ქორწინება“.

საზოგადოების განვითარების კვალობაზე ხდებოდა სქესობრივი ურთიერთობის ნორმების რეგულირება და მათი სამართლებრივი ნორმებით გამყარება. ამას რელიგიისა და სახელმწიფოს წარმოშობამ შეუწყო ხელი.

ადრეულ ეტაპზე ქორწინების სამართლებრივი რეგლამენტირების წარმოშობა, მიმართული იყო იქითკენ, რომ 1) ერთი მხრივ, უზრუნველეყო ქალის მორჩილი მდგომარეობა, და 2) მეორე მხრივ, მოეწესრიგებინა მეუღლეებს შორის ქონებრივი ურთიერთობა. მატრიარქატისაგან განსხვავებით, ახლა ცოლის ქონება აღმოჩნდა ქმრის ხელში და მას შვილებს მემკვიდრეობით სწორედ ქმარი გადასცემდა. როგორც მიიჩნევენ, ამან ქორწინების მორალურ სიმტკიცეზე დადებითად იმოქმედა. როგორც მონტესკიე აღნიშნავს, ქორწინება დაადგინა მამის ბუნებრივმა მოვალეობამ – არჩინოს საკუთარი შვილები. სწორედ ქორწინება მიუთითებს და ადგენს

იმ პიროვნებას, რომელსაც ეკისრება ამ მოვალეობის შესრულება. ხოლო ადრე იყო დრო, როდესაც მამობას მხოლოდ მსგავსების საფუძველზე ადგენდენ.

შემდეგ შემოვიდა ქორწინების იურიდიული ფორმა, რომელიც მოვალეობებს უკვე არა მხოლოდ მეუღლეებს, არამედ სახელმწიფოსაც აკისრებდა. შემოიღეს საქორწინო სამართალი, რომელმაც მეუღლეებს შორის წარმოშობილი უფლებრივი ურთიერთობებიც დაარეგულირა. ეს პროცესი უთუოდ პროგრესული მოვლენა იყო.

შემდეგ, რელიგიამ კიდევ უფრო განამტკიცა მონოგამური ქორწინება და ოჯახი. ქრისტიანობამ ქორწინება რელიგიურ საიდუმლოებად გამოაცხადა. აუცილებელი გახადა ჯვრისწერა და აიკრძალა განქორწინება. ამან, რა თქმა უნდა, ქორწინება და ოჯახი, როგორც ინსტიტუტი, კიდევ უფრო გაამყარა.

კაპიტალიზმის წარმოშობამ მოიტანა ის, რომ დაირღვა კავშირი ოჯახსა და წარმოებას შორის, ამან კი, თავის მხრივ, დიდი ოჯახების ნუკლეარულ ანუ მარტივ ოჯახებად დაშლა გამოიწვია.

მონოგამური ოჯახის პატრიარქალური სტრუქტურის ნაცვლად წინ ეგალიტური (თანასწორთა) ურთიერთობა წამოვიდა. ქალის ჩაბმამ წარმოებაში, მისმა ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ მოიტანა ქალის მიერ სამოქალაქო უფლებების მოპოვება და მათ შორის, ქალმა განქორწინების უფლებაც მოიპოვა. როგორც აღვნიშნეთ, ჩამოყალიბდა ქორწინების და ოჯახის მონოგამიური ფორმის ახლი საფეხური – თანასწორთა, ანუ ეგალიტური ქორწინება და ეგალიტური ოჯახი.

შეიცვალა სქესობრივ ურთიერთობათა შუასაუკუნეობრივი მორალიც, რომელიც ერთგულების დაცვას მხოლოდ ქალისაგან მოითხოვდა. შემდეგ კი, ქალისა და მამაკაცის მთლიან გათანაბრებას სქესობრივ საკითხებში, სექსუალური რევოლუცია მოჰყვა, ანუ, სქესობრივი ურთიერთობის თავისუფლების ზრდა და მის რეგულირებაში ქორწინების როლის შესუსტება.

ქორწინება სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტიდან გადაიქცა მამაკაცისა და ქალის მორალურ-სამართლებრივ კავშირადაც, რომელიც ურთიერთსიყვარულს, ან თანხმობას მაინც, და პირად არჩევანს ემყარება.

მიუხედავად მრავალ საკითხში აზრთა სხვადასხვაობისა, ოჯახი და ქორწინება, როგორც ისტორიულად გამართლებული და სოციალურად აუცილებელი საზოგადოებრივი მოვლენები, ინსტიტუტები, მაინც უნდა შეფასდეს, როგორც ზოგადსაკაცობრიო კულტურის მონაპოვარი.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, ქართული ოჯახის ინსტიტუტმაც

განიცადა ღრმა ცვლილება, შემცირდა ქორწინებათა რიცხვი, გადიდდა დაქორწინების მინიმალური ასაკი და ამან შობადობის შემცირებაც გამოიწვია. შეიცვალა მოსახლეობის საქორწინო ქცევა, გაიზარდა პირველი ქორწინების საშუალო ასაკი.

მაგალითად, 1990 წელს საპატარძლოების საშუალო ასაკი 23,7 წელი იყო, 2003 წელს კი 25,5 გახდა. ვაჟებში ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, 27 და 29,5 წელია. ამრიგად, საქართველოში ქორწინებაც „ბერდება“. მაგრამ პირველი ქორწინების საშუალო ასაკით საქართველო ახლოს დგას ევროპის ქვეყნებთან.

გამოკვლევები ადასტურებს, რომ სახიფათოა როგორც ნაადრევი (ქალისათვის 18 წლამდე), ისე დაგვიანებული (35 წელს ზევით) ქორწინება. ტრადიციულად, საქართველოში ყველაზე კარგ ასაკად პირველი შვილის ყოლისათვის 20 წელი მიაჩნდათ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი. ქორწინების გარეშე დაბადებულთა რაოდენობა დაბადებულთა საერთო რაოდენობაში 1990 წელს 15%-დან 2004 წელს 47,4%-მდე გაიზარდა. ე.ი. დამოკიდებულება ქორწინების გარეშე მშობიარობისადმი, ისე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც ლიბერალური გახდა.

2002 წლის აღწერის მიხედვით, 15 წლის და უფროსი ასაკის ყოველ 1000 სულზე მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც დაქორწინებული მამაკაცების, ისე გათხოვილი ქალების რაოდენობა.

2002 წლის აღწერის მიხედვით, განქორწინებულთა ხვედრითი წილი 2,4% იყო (ეს ადრინდელ მაჩვენებელზე მაღალია). განქორწინებულთა რაოდენობა განუხრელად იზრდება.

საქართველოში დიდია ქვრივების რაოდენობა – 8,7%. ე.ი. თითქმის ყოველი მე-12 ქვრივია.

დაუქორწინებელი ვაჟების რაოდენობა აღემატება ამავე კატეგორიის ქალების რაოდენობას.

ქორწინების შესაფასებლად იყენებენ ქორწინების კოეფიციენტებს.

ქორწინების კოეფიციენტები:

ზოგადი კოეფიციენტი $$b = \frac{B}{T\bar{P}} \cdot 1000$$

B – დაქორწინებული წყვილების რაოდენობაა, ხოლო $\bar{P}$ – მოსახლეობის რაოდენობა, T –პერიოდი;

ან $$k = \frac{K}{S} \cdot 1000$$

სადაც, K – დაქორწინებულთა რაოდენობაა, ხოლო S – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

არსებობს ქორწინების სპეციალური კოეფიციენტები:

$$k_S = \frac{K}{S_{16+}} \cdot 1000$$

K – გარკვეულ პერიოდში (მაგალითად, 1 წელი) დაქორწინებულთა რაოდენობაა, S_{16^+} – 16 და უფროსი ასაკის მოსახლეობის საშუალო წლიური რაოდენობა. ის გამოისახება პრომილეებში (‰).

არსებობს ასევე განქორწინების კოეფიციენტები:

განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი

$$d = \frac{D}{TP} \cdot 1000$$

სადაც, D – განქორწინებათა რიცხვია.

$$\text{ან } G_0 = \frac{G}{S} \cdot 1000$$

G – გარკვეულ დროში განქორწინებათა რაოდენობაა, ხოლო S – იმავე დროში მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

განქორწინების სპეციალური კოეფიციენტი:

$$G_S = \frac{G}{B_S} \cdot 1000$$

G – გარკვეულ დროში განქორწინებათა რაოდენობაა, B – იმავე დროში არსებული საქორწინო წყვილების საშუალო რაოდენობა. გამოისახება პრომილეებში (‰).

3.10. მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურა. დემოლოგიაში ოჯახი განისაზღვრება, როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან ნათესაური, ან რამე ქორწინებითი კავშირით, მათ შორის ერთობლივი ცხოვრებით და ბიუჯეტით.

აქაც ინფორმაციის მთავარი წყარო არის მოსახლეობის აღწერა.

იმის გამო, რომ აღწერის დროს მიღებული მარტივი მონაცემებით შეუძლებელია ბევრი რამის შეფასება, ვერ აფასებენ ისეთ რამეს, როგორიც არის ოჯახის წევრთა ურთიერთპასუხისმგებლობა (ეს ხშირად უნდათ და ჭირდებათ ხოლმე სოციოლოგებს), კავშირები ნათესაურ ოჯახებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ ცალ-ცალკე. ე.ი., უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, დემოლოგიაში ოჯახი, ეს არ არის იგივე, რაც ცხოვრებაში.

ზოგადად ოჯახი, ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი სოციალური ინსტიტუტი საზოგადოებაში და უმთავრესი დემოლოგიური უჯრედი.

საინტერესოა ო. კონტის შეხედულებები ოჯახზე. დემოლოგიური პრობლემების ანალიზისას ის ორ მნიშვნელოვან ასპექტს – ოჯახს და რასას გამოჰყოფს. ო. კონტისათვის საზოგადოება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი და სახელმწიფოც, ოჯახიდან მომდინარეობს. იგი ასკვნის, რომ ოჯახური კავშირებით „ჩვენ ვუკავშირდებით მომავალს, ისევე, როგორც თავიდან ჩვენ ვეზიარებოდით წარსულს“. „ოჯახური ვალდებულებების წყალობით ადამიანი ღალატობს თავის თავდაპირველ თავკერძოებას და შეუძლია სათანადოდ ამაღლდეს საბოლოო საფეხურზე საზოგადოებასთან“. ო. კონტის სოციოკულტურულ მოვლენათა სისტემაში ოჯახი, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის განმსაზღვრელ სოციალურ ინსტიტუტს წარმოადგენს. ამასთან, ის ერთდროულად ასახავს კიდეც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ამ მხარეს.

ო. კონტი ოჯახის, ისევე როგორც მთლიანად ცივილიზაციის განვითარების კონცეფციაში ნიმუშად დასავლური ტიპის ოჯახს იღებს და არა ოჯახის სხვა ისტორიულ ტიპს (მაგალითად, პოლიგამიურ ოჯახს).

ოჯახი, რა თქმა უნდა, ახორციელებს უამრავ სოციალურ ფუნქციას. ამათგან დემოლოგიური ფუნქციებია:

1. ბავშვთა დაბადება და მოვლა;
2. ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს უწყობს ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას და სიცოცხლის ხანგრძლივობას;
3. საკუთარი სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ოჯახები დემოლოგიაში ჯგუფდება სიდიდის მიხედვით, ქორწინების მიხედვით, სტრუქტურისა და ტიპის მიხედვით.

ოჯახის საშუალო ზომა განისაზღვრება იმ ადამიანთა რაოდენობის შეფარდებით, რომლებიც ოჯახთან ერთად ცხოვრობენ, ოჯახების საერთო რაოდენობასთან.

ქორწინებითი წყვილების მიხედვით ანსხვავებენ სრულ და არასრულ ოჯახს, იმის მიხედვით, არიან თუ არა ოჯახში შეუღლებული წყვილები. სრულ ოჯახში ერთი მაინც უნდა იყოს შეუღლებული წყვილი, არასრული ოჯახის შემადგენლობაში კი, არ არის არცერთი ასეთი წყვილი.

სტრუქტურის მიხედვით ანსხვავებენ მარტივ და რთულ ოჯახს. მარტივი (ნუკლეარული) ოჯახი შედგება ერთი შეუღლებული წყვილისაგან. რთული შეიძლება შედგებოდეს ორი ან მეტი შეუღლებული წყვილის ნებისმიერი კომბინაციისაგან.

დღეს სტრუქტურის მიხედვით საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, შეინიშნება მარტივი (ნუკლეარული) ოჯახების გამოკვეთილი ზრდის ტენდენცია.

არის კიდევ ოჯახური ჯგუფები – ეს არის ორი ან რამდენიმე ოჯახი, შეკავშირებული ნათესაური ან სხვა ნიშნით, რომლებიც ცხოვრობენ ერთად ან ცალ-ცალკე და დაკავშირებულნი არიან მატერიალური ინტერესებით, მორალურ-ფსიქოლოგიური და ემოციური მომენტებით, მაგრამ რომლებიც ოჯახურ მეურნეობას აწარმოებენ ცალ-ცალკე.

ფაქტორები, რომლებიც ცვლის ოჯახის საშუალო ზომას და სტრუქტურას, შემდეგია:

1. ქორწინებისა და შობადობის დონის ტენდენცია;
2. მოკვდაობის დონის ტენდენცია, განსაკუთრებით ბავშვებში;
3. ოჯახური ცხოვრების ტრადიციის შეცვლა;
4. საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

ზოგჯერ მოსახლეობის აღწერის მონაცემებით სწავლობენ მოსახლეობის განაწილებას ოჯახური მეურნეობის მიხედვით.

ოჯახური მეურნეობა (სახლთმეურნეობა) განსხვავდება მისი წევრების ოჯახური მდგომარეობით, მათი სიდიდით და სტრუქტურით.

სიდიდის მიხედვით ისინი იყოფა ერთი პირისაგან შემდგარ და ჯგუფურად.

სტრუქტურით იყოფა მარტივად და რთულად.

მარტივი შედგება ან ერთი პირისაგან ან ნუკლეარული ოჯახისაგან, ყველა დანარჩენი არის რთული.

ინდუსტრიულად განვითარებულ ყველა ქვეყანაში ოჯახური მეურნეობის განვითარების ტენდენციას წარმოადგენს მათი სიდიდის შემცირება და გამარტივება (ნუკლეარიზაცია).

საქართველოში ქორწინების ინსტიტუტისადმი დამოკიდებულების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემის გაცნობა (ვიღებთ 2002 წლის აღწერის მონაცემებს იმის გამო, რომ 2014 წლის შესაბამისი მონაცემები წიგნის გამოსაცემად მომზადების მომენტისათვის სრულად ჯერ კიდევ არ იყო დამუშავებული. ამდენად, გამოვიყენებთ მხოლოდ უკვე ჩვენს ხელთ არსებულ ზოგიერთ მონაცემს).

1959-2002 წლებში ქორწინებაში იმყოფებოდა 15 წელზე უფროსი მამაკაცების 70% და იგივე ასაკის ქალების 60%. იგივე მონაცემები 2002 წლის აღწერის მიხედვით, შემდეგია: ქორწინებაში იმყოფებოდა 15 წელზე უფროსი მამაკაცების 64,6 % და იგივე ასაკის ქალების 56,8 %. ასევე შემ-

ცირდა ყოველ 1000 ადამიანზე ქორწინებაში მყოფი მამაკაცების რიცხვი 699-დან 662-მდე, ხოლო ქალებისა – 609-დან 579-მდე.

15 წლისა და უფროსი ასაკის მამაკაცებიდან (სულ 1 591 032) ქორწინებაში არასდროს ყოფილა 477 552 – ე.ი. 30%; იგივე მაჩვენებლები ქალებში ასეთია: სულ – 1 864 559; აქედან ქორწინებაში არასდროს ყოფილა 404 647 – ე.ი. 21,7%.

განქორწინებულები: მამაკაცები – 26 921 – ე.ი. 1,7%; ქალები – 76 452 – ე.ი. 4,1%.

ქვრივები: მამაკაცები – 56 823 – ე.ი. 3,6%; ქალები – 322 757, ე.ი. 17,3 %.

რეგისტრირებულ ქორწინებათა საშუალო ასაკი 2002 წელს მამაკაცებისათვის იყო 28,9 წელი, ხოლო ქალებისათვის – 24,9 წელი. პირველი ქორწინების ასაკი მამაკაცებისათვის იყო 28,5 წელი, ხოლო ქალებისათვის – 24,8 წელი.

ხელახალი ქორწინების ასაკი: მამაკაცებისათვის – 44,3 წელი, ხოლო ქალებისათვის – 39,7 წელი.

ახლა გავიცნოთ ისეთი ტერმინი, რომელიც დემოლოგიაში გამოიყენება ქორწინებისუნარიანი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რაოდენობათა თანაფარდობის აღსანიშნავად – „საქორწინო ბაზარი“. იგი დამოკიდებულია პოტენციური საქორწინო პარტნიორების რაოდენობაზე. ჩვეულებრივად, გულისხმობენ გაუთხოვარი ქალების რაოდენობას საშუალოდ ერთ დაუქორწინებელ მამაკაცზე. დაქორწინებისას მამაკაცების ასაკი საშუალოდ 4 წლით აღემატება ქალების ასაკს. „საქორწინო ბაზარს“ ანგარიშობენ იმ მამაკაცებისა და ქალების რაოდენობათა თანაფარდობით, რომლებიც მოცემული მომენტისათვის არ იმყოფებიან ქორწინებაში.

მაგალითად, 1959 წელს, ყოველ ასაკობრივ ჯგუფში „საქორწინო ბაზარზე“ ქალების რაოდენობა ჭარბობდა მამაკაცების რაოდენობას. ამასთან, ასაკის მატებასთან ერთად, იზრდებოდა იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც საშუალოდ ერთ პარტნიორ კაცზე მოდიოდა. ეს განსაკუთრებით 30 და უფროსი ასაკის ქალებს ეხებოდა. ამაზე ალბათ ომის შედეგებმაც მოახდინა გავლენა.

შემდეგ, ომის შედეგებმა გარკვეული ნიველირება განიცადა და 1970 წელს მდგომარეობა საქორწინო ბაზარზე უკვე შეიცვალა. შემდეგი დიდი გავლენა საქორწინო ბაზარზე 1990-იანი წლების მიგრაციულმა პროცესებმა იქონია.

საერთო ჯამში, მე-20 საუკუნის მიწურულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 110 ათას გაუთხოვარ ქალს არ ჰყავდა ასაკის

შესაფერისი საქორწინო პარტნიორი, – დაუქორწინებელი მამაკაცი. ე.ი. პარტნიორი მამაკაცების დეფიციტი იყო. საგულისხმოა, რომ ამ დეფიციტის თითქმის 50%, 25 წლამდე ასაკის გაუთხოვარ ქალებზე მოდიოდა.

ეს დეფიციტი, სავარაუდოდ დღესაც გრძელდება. უკანასკნელი 20-30 წლის განმავლობაში, ქორწინებათა საერთო რაოდენობა თითქმის 5-ჯერ შემცირდა, მნიშვნელოვნად იკლო, როგორც პირველი, ისე განსაკუთრებით, ხელახალი ქორწინების რაოდენობამ.

ხელახალი ქორწინებების წილი საქართველოში მამაკაცებში უფრო მეტი იყო, ვიდრე ქალებში.

ხელახლად დაქორწინებულ მამაკაცებსა და ქალებში განქორწინებულები ჭარბობენ ქვრივებს.

დემოლოგიაში ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველი ქორწინების ასაკს და კიდევ უფრო განსაკუთრებული – ქალების პირველი ქორწინების ასაკს.

როგორი მდგომარეობაა 2014 წლის მიხედვით?

— საქართველოში დაქორწინებულია ქალების 57,4% და მამაკაცების 64,6%. იმ მამაკაცთა რაოდენობა, რომლებიც არასდროს ყოფილან ქორწინებაში (9%) ნაკლებია, ვიდრე ქალების (13,8%).
— საქართველოში მამაკაცები ქორწინდებიან საშუალოდ 25,9 წლის ასაკში. ქალები კი – 22 წლის ასაკში.
— ქალებში ქორწინების გადავადების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია განათლების მიღების ხანგრძლივობა: ქალები, რომლებიც ფლობენ დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს, ქორწინდებიან საშუალოდ 26,3 წლის ასაკში, ბაკალავრის ხარისხის მქონენი – 24,4 წლის ასაკში, ზოგადი განათლებით – 21,8 წლის ასაკში, დაწყებითი საფეხურის განათლებით – 18,7 წლის ასაკში.
— 30-59 წლის ასაკის მოსახლეობაში უფრო მეტი ქალია განქორწინებული (6,1%), ვიდრე მამაკაცი (3,4%). განქორწინებულთა შორის ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა 11-13 წელია.
— ქვრივი მამაკაცების რაოდენობა 3,4%-ია, ქალების 8,9%.
— მოსახლეობის უმეტესობა იმავე ეთნოსის წარმომადგენელზე ქორწინდება. ქართველთა 97,5% ისევ ქართველზეა დაქორწინებული, აზერბაიჯანელების 97,6% – აზერბაიჯანელზე, სომხების 75,5% – სომეხზე.
— მარტოხელა ქალების რაოდენობა (30,6%) აღემატება მარტოხელა მამაკაცების (10,1%) რაოდენობას.

თავი IV. დემოლოგიის ძირითადი კანონები

გადავიდეთ დემოლოგიის ძირითადი კანონების განხილვაზე. ვნახოთ, რას ეწოდება, რას ნიშნავს, რას არეგულირებენ დემოლოგიური კანონები.

ჩვენ უკვე განვიხილეთ და დაახლოებით მაინც ვიცით, რას ნიშნავს დემოლოგიური მოვლენები, პროცესები. ამ მოვლენებსა და პროცესებს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება. ისინი ერთმანეთს ურთიერთგანაპირობებენ. ბევრი დემოლოგიური მოვლენა და პროცესი მყარია და მუდმივად განმეორებადი. დემოლოგიურ მოვლენებსა და პროცესებს შორის სწორედ ამ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ურთიერთგანპირობებულობას და, მუდმივად განმეორებადობას ასახავს და ეწოდება დემოლოგიური კანონი. პროფ. ლ. ჩიქავას აზრით, დემოლოგიური კანონი გამოხატავს დემოლოგიურ მოვლენებსა და პროცესებს შორის მყარ, მუდმივ განმეორებად, არსებით შინაგან მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და მისგან გამომდინარე კანონზომიერებებსა და ტენდენციებს.

ჩვენ ვიცნობთ ბუნების კანონებს, ფიზიკის, ქიმიის კანონებს. ისინი ბუნების განვითარების, მოძრაობის კანონზომიერებებს ასახავენ, ეკონომიკის კანონები ეკონომიკის განვითარებას ასახავენს და ა.შ. დემოლოგიური კანონები დემოლოგიურ ურთიერთობათა განვითარებას ასახავენ.

ბუნების განვითარებისა და ეკონომიკურ კანონთა სისტემების ანალოგიურად, არსებობს დემოლოგიურ კანონთა სისტემაც. მასში შემავალი ყოველი კანონი, რა თქმა უნდა, ასახავს დემოლოგიური განვითარების ცალკეულ ტენდენციას, ხოლო მათი ერთობლიობა კი – მოსახლეობის გამრავლებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებათა მთელ კომპლექსს. რამდენადაც დემოლოგიური პროცესები და მოვლენები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, დემოლოგიური კანონებიც ასევე მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტით განხილვა შეუძლებელია.

საზოგადოების განვითარების შესახებ კანონების მსგავსად, დემოლოგიური კანონებიც საზოგადოების განვითარების შესახებ კანონთა სისტემაში შედის, მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვესისტემას წარმოადგენს.

საერთო დემოლოგიური კანონების დიდი ნაწილი მოქმედებს კაცობრიობის არსებობისა და განვითარების მთელ პერიოდში. მიუხედავად დროთა განმავლობაში გარკვეული კორექტირებისა და ტრანსფრმაციისა, ისინი ძირითადად მაინც უცვლელი რჩება.

ჩამოვთვალოთ რამდენიმე ძირითადი დემოლოგიური კანონი:

- თაობათა მუდმივი განახლების, ანუ მოსახლეობის მუდმივი გამრავლების კანონი;
- მოსახლეობის მარტივი გამრავლების კანონი;
- მოსახლეობის გაფართოებული გამრავლების კანონი;
- მოსახლეობის შეკვეცილი გამრავლების კანონი;
- მოსახლეობის რიცხოვნობის გამუდმებით მატების კანონი;
- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მატების კანონი;
- სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კანონი;
- დემოლოგიური დაბერების კანონი;
- დემოლოგიური კომპენსაციის კანონი;
- დემოლოგიური გადასვლის (ტრანზიციის) კანონი.

ყველა ამ დემოლოგიური კანონისათვის მთავარი დამახასიათებელი ის არის, რომ ისინი ასახავენ არა ცალკეული ქვეყნის, რეგიონის მოსახლეობის განვთარების კანონზომიერებებსა და თავისებურებას, ტენდენციებს, არამედ ზოგადად, ისინი ვრცელდება მთელს მსოფლიოზე – ყველა ქვეყანასა და რეგიონზე.

დემოლოგიური კანონები იყოფა ზოგად, სპეციფიკურ და კერძო კანონებად. ზოგადი კანონები მოქმედებენ კაცობრიობის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ზოგჯერ ისინი გარკვეულ ცვლილებასაც განიცდიან, მაგრამ არსებითად მაინც მოქმედებენ. ლ. ჩიქავა ასეთ კანონებად თვლის მოსახლეობის მუდმივი გამრავლების, თაობათა განახლების; მოსახლეობის რიცხოვნობის გამუდმებით მატების; სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მატების; დემოლოგიური გადასვლის (ტრანზიციის) კანონებს. სპეციფიკური კანონები მოქმედებენ საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპზე და ასეთი კანონებია, მაგალითად, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობისა და დემოლოგიური დაბერების კანონი. კერძო დემოლოგიური კანონები კი ასახავენ მხოლოდ ცალკეულ დემოლოგიურ კანონზომიერებებს. ასეთებია მოსახლეობის მარტივი, გაფართოებული და შეკვეცილი გამრავლების კანონები.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ რამდენიმე მათგანი და დავიწყოთ თაობათა მუდმივი განახლების, მოსახლეობის მუდმივი გამრავლების კანონით.

4.1. თაობათა მუდმივი განახლების კანონი. ამ კანონის არსი უაღრესად მარტივი და გასაგებია. კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე და უს-

ასრულო მომავალშიც, სანამ კაცობრიობა იარსებებს, ხდება და მოხდება თაობათა მუდმივი განახლება ახალი თაობებით, მოსახლეობის უწყვეტი რეგენერაცია, გამრავლება. ეს ერთ-ერთი უზოგადესი კანონია. ის ზოგადია იმიტომაც, რომ გამოხატავს მოსახლეობის უწყვეტი გამრავლების, რეგენერაციის არა რომელიმე ცალკეულ კანონზომიერებას, არამედ ზოგად კანონზომიერებებს, – თაობათა, მოსახლეობის განახლების მუდმივ, განუწყვეტელ პროცესს.

ამ კანონს დემოლოგიის ძირითად კანონსაც უწოდებენ, რადგან ის ასახავს მოსახლეობის გამრავლების ყველა პროცესსა და უმთავრეს ასპექტს.

თაობათა რეგენერაციის, განახლების უნარი, ადამიანის გარდა, ყველა ცოცხალ არსებასაც აქვს – თევზებს., ფრინველებს, ცხოველებს და ა.შ. მაგრამ მათი მოქმედება სრულიად ინსტიქტურია, შეგნებისა და გააზრების გარეშე.

ადამიანთა თაობების განახლების პროცესი იმავდროულად სოციალური პროცესიც არის, რადგან სხვებისაგან განსხვავებით, ის ყველაფერს გაცნობიერებულად და შეგნებულად აკეთებს. მას შვილების გაჩენის გაცნობიერებული სურვილი აქვს, ესმის ამ პროცესის მნიშვნელობა თავისი ოჯახის, ქვეყნის, ზოგადად კაცობრიობისათვის. ის თაობათა განახლების პროცესს მეტ-ნაკლებად გეგმაზომიერ ხასიათს ანიჭებს, ხშირად არეგულირებს კიდეც მას. მისი სურვილი, მოქმედებები დიდი დოზით, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით არის განპირობებული.

4.2. მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრელი ზრდის კანონი. დასაბამიდან დღემდე, მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად იზრდებოდა და იზრდება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ:

დედამიწაზე ერთი მილიონი წლის წინ დაახლოებით 100 ათასი კაცი ცხოვრობდა;

ჰომო საპიენსის გამოჩენისას – დაახლოებით 500 ათასი;

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის – დაახლოებით 256 მილიონი;

1000 წელს – 280 მილიონი (ე.ი. + 30 მილიონი);

1800 წელს – 919 მილიონი;

1900 წელს – დაახლოებით 1,5-1,6 მილიარდი;

2000 წელს – 6,2 მილიარდი.

ე.ი. მოსახლეობა დაახლოებით 5-ჯერ გაიზარდა 100 წელიწადში და 22-ჯერ 1000 წელიწადში. ექსპერტთა მონაცემებით, ახალი საუკუნის და-

საწყისში, მსოფლიოს მოსახლეობა ყოველ წელიწადში დაახლოებით 1,5%-ით, ე.ი. 100 მილიონი ადამიანით მაინც მატულობს. გაეროს 2016 წლის მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობა უკვე დაახლოებით 7 მილიარდ 433 მილიონია. უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში –დაახლოებით 1,3 მილიარდი, ე.ი. მსოფლიოს მოსახლეობის 16,9 %, უფრო მეტად განვითარებადში – 6,2 მილიარდი, ე.ი. 83,1%, ხოლო ყველაზე ნაკლებად განვითარებულში – 977 მილიონი, ანუ 13,1%. მსოფლიოს მოსახლეობის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2016 წლის მონაცემებით 2,5 პრომილეა. აქედან, უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში –1,7 პრომილე, უფრო მეტად განვითარებადში – 2,6 პრომილე, ხოლო ყველაზე ნაკლებად განვითარებულში – 4,2 პრომილე.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, სხვადასხვა ექსპერტული გაანგარიშებით, 2050 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობამ შეიძლება 14-15 მილიარდსაც მიაღწიოს, ხოლო თუ მოსახლეობის ზრდის ტემპი შენარჩუნდა, 2050 წლისათვის მისი რაოდენობა 11-12 მილიარდი იქნება. ყველაზე „პესიმისტური“ გათვლებით, ის შეიძლება 9-10 მილიარდი მაინც იყოს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობის ზრდას დასაბამიდან დღემდე, სტაბილური ხასიათი აქვს. მოსახლეობის რაოდენობის ზრდას განაპირობებს როგორც უკვე ვიცით, დემოლოგიური, ბუნებრივი, გეოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები.

სწორედ ამ ფაქტორებით განპირობებულ მოსახლეობის რაოდენობის განუწყვეტელ ზრდას სტაბილური ტენდენციის ხასიათი აქვს.

რა თქმა უნდა, მოსახლეობის ზრდა სხვადასხვა იყო ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ეპოქაში და ასევე იყო და არის ის განსხვავებული დედამიწის სხვადასხვა რეგიონში, სხვადასხვა ქვეყანასა და ხალხში.

არის ასეთი მოსაზრებებიც, ექსპერტული გაანგარიშებები, რომ XXII საუკუნეში მოსახლეობა შეწყვეტს მატებას არა მარტო განვითარებულ ქვეყნებში, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც, აფრიკასა და აზიაში. ე.ი. ისეთ ქვეყნებში, რომელთა ხარჯზეც მატულობს ასე ძლიერად დღეს მოსახლეობა.

ასეთ გაანგარიშებებს თავისი არგუმენტები აქვს და არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ რეალურად ეს ასე არ იქნება. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაისვას კითხვა – მაშინ, ხომ არ გამორიცხავს ეს პროგნოზი მოსახლეობის რაოდენობის განუწყვეტელი ზრდის კანონს?

არ გამორიცხავს, იმიტომ რომ, როგორც ვთქვით, ეს კანონი განსაზღვრულია გარკვეული ზემოთ ჩამოთვლილი გარე ფაქტორებით. მათი

შეცვლის შემთხვევაში, კანონი, რა თქმა უნდა განიცდის ტრანსფორმირებას და შეწყვეტს მოქმედებას. მაგრამ ასეთი ბედი თეორიულად და, ალბათ პრაქტიკულადაც, შეიძლება ეწიოს ბუნების ყველა კანონს. მაგრამ ჩვენ ამ კანონებით ვხელმძღვანელობთ, სანამ ისინი არსებობენ და მოქმედებენ.

თვით ი. ნიუტონისა და კლასიკური ფიზიკის კანონები მოქმედებს მანამდე, სანამ სხეულების მოძრაობის სიჩქარე სინათლის სიჩქარეს (300 ათასი კმ/წმ) გაუტოლდება. შემდეგ კი იწყება ფიზიკური მოვლენების აღწერა იმ სულ სხვა კანონებზე დაყრდნობით, რომელთა ძიება და შექმნა დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს, ხოლო სათავე ა. ეინშტაინის გენიალურმა რელატივისტურმა, ფარდობითობის თეორიამ დაუდო.

4.3. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის კანონი. ესეც საინტერესო კანონია. მისი არსი თვით კანონის დასახელებიდანაც კარგად ჩანს.

დასაბამიდან დღემდე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას სრულიად მყარი და შეუქცევადი ხასიათი აქვს. არსებობს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გათვლის სხვადასხვა მეთოდი. ჩეხი მეცნიერის – ზ. პავლიკის (დემოგრაფი და სტატისტიკოსი) გათვლებით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ცვლილების სურათი ასეთია:

- რკინისა და ბრინჯაოს ხანაში – 20 წელი (ძვ. წ.ა. დაახლოებით IV-II ათასწლეული);
- ანტიკურ ეპოქაში – 20-30 წელი (საქართველოში ადრე ბრინჯაოს ხანა – მტკვარი-არაქსის კულტურა; შუა ბრინჯაოს ხანა – თრიალეთის კულტურა);
- შუა საუკუნეები – 20-30 წელი;
- XVI-XVIII საუკუნეები – 25-35 წელი;
- XIX საუკუნეში – 30-35 წელი;
- XX საუკუნეში – 40-75 წელი;

ექსპერტთა მონაცემებით, 2000 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დედამიწაზე 66 წელი იყო. ისევე, როგორც მოსახლეობის რიცხვის მატება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც განსხვავებულია სხვადასხვა რეგიონში, ქვეყანასა თუ კონტინენტზე. მაგალითად, 2000 წელს ჩრდილოეთ ამერიკაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 77 წელი იყო, ხოლო აფრიკაში – 54 წელი. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალია იაპონიაში – 80 წელი. ისლანდიაში ეს მაჩვენებელი 79 წელია, საქართველოში – 72,7 წელი. აქედან ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 74,8 წელია, ხოლო მამაკაცების – 68 წელი.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 2010 წელს:

— მსოფლიოში – ქალების 70,5 წელი, მამაკაცების –66,1 წელი;
— უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში: ქალების 80,8 წელი, მამაკაცების –74,2 წელი;
— განუვითარებელ ქვეყნებში: ქალების 58,2 წელი, მამაკაცების – 55,6 წელი;
— ევროპაში: ქალების 79,6 წელი, მამაკაცების – 71,7 წელი;
— აზიაში: ქალების 71,5 წელი, მამაკაცების – 67,8 წელი;
— სირიაში: ქალების 56,2 წელი, მამაკაცების – 53,8 წელი;

როგორია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადების მომენტში გაეროს 2016 წლის მონაცემებით:

საქართველოს მოსახლეობის – 72,7 წელი. აქედან მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – 72 წელი, ქალების – 79 წელი;

მსოფლიოს მოსახლეობის: მამაკაცების – 69, ქალების – 74 წელი;

ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყნებში: მამაკაცების – 76, ქალების – 82 წელი;

ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში: მამაკაცების – 63, ქალების – 66 წელი.

საინტერესოა იგივე მონაცემები ზოგიერთი ქვეყნის მიხედვით:

ჩინეთის მოსახლეობის: მამაკაცების – 82, ქალების – 87 წელი;

იაპონიის მოსახლეობის: მამაკაცების – 81, ქალების – 87 წელი;

იტალიის და ესპანეთის მოსახლეობის: მამაკაცების – 81, ქალების – 86 წელი;

ისლანდიისა და შვედეთის მოსახლეობის: მამაკაცების – 82, ქალების – 85 წელი;

საფრანგეთის მოსახლეობის: მამაკაცების – 81, ქალების – 85 წელი;

ისრაელის მოსახლეობის: მამაკაცების – 81, ქალების – 85 წელი;

ავსტრიისა და ნორვეგიის მოსახლეობის: მამაკაცების – 80, ქალების – 84 წელი;

აშშ მოსახლეობის: მამაკაცების – 77, ქალების – 82 წელი;

ეს მაჩვენებელი ყველაზე მცირეა ლესოტოში: ქალების – 50 წელი და მამაკაცების – 50 წელი.

რა უმთავრესი ფაქტორები განსაზღვრავს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას. უპირველეს ყოვლისა, მოკვდაობის შემცირება. განსაკუთრებით, ჩვილ ბავშვთა და საერთოდ, ბავშვთა მოკვდაობის შემცირება. არსებობს აგრეთვე სხვა მრავალი ფაქტორიც.

ისევე, როგორც წინა კანონის შესახებ, ამ კანონთან დაკავშირებითაც შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ ადამიანის ბიოლოგიური და კალენდარული ასაკი სამწუხაროდ, ზემოდან შემოსაზღვრულია და უკვდავი არავინ არის. მაგრამ უკვე შეუძლებელია შესუსტდეს ის ფაქტორები, რომლებიც მოკვდაობის (განსაკუთრებით, ბავშვთა მოკვდაობის) შემცირებას იწვევს. ეს პროცესი უწყვეტია. შემდეგ, აბსოლუტურად დაუდგენელია ადამიანის ბიოლოგიური შესაძლებლობების ზღვარი. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების წესსა და გარემო პირობებს.

4.4. დემოლოგიური დაბერების კანონი. დაბერების ტენდენციებსა და კანონზომიერებებზე საუბარი დავიწყოთ მოსახლეობის საშუალო ასაკის განხილვით.

დღეს მოსახლეობის საშუალო ასაკი დაახლოებით 28 წელს შეადგენს. გაეროს მონაცემებით, ყოველი მე-4 ადამიანი (26%) 15 წლამდე ასაკისაა, ხოლო ყოველი მე-14 (დაახლოებით 1%) 65 წლისა და მეტის. პერსპექტივაში, როგორც ვარაუდობენ, საშუალო ასაკი უფრო სწრაფი ტემპით მოიმატებს. 2030 წლისათვის ის 35 წელს მიღწევს. საშუალო ასაკთან ერთად გაიზრდება 65 და მეტი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილიც, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში. გაეროს პროგნოზით, 2025 წლისათვის 65 და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი გაიზრდება 2-ჯერ და უფრო მეტად და 15%-ს მიაღწევს, ხოლო 2050 წლისათვის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობის მოსახლეობა იქნება დემოლოგიურად დაბერებული.

რას ნიშნავს ეს? რას ნიშნავს დემოლოგიურად დაბერებული?

ადრე უკვე აღვნიშნეთ, რომ მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების მაჩვენებელია მის საერთო რაოდენობაში ხანდაზმულთა, ანუ 65 წლის ზევით ასაკის მოსახლეობის წილი.

გაეროს მიერ ხმარებაშია ამ პროცესის შეფასების სამსაფეხურიანი სკალა:

1. თუ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 65 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანების წილი 4%-ზე დაბალია მაშინ ეს მოსახლეობა ახალგაზრდაა;
2. თუ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 65 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანების წილი 4-7%-მდეა, მაშინ მოსახლეობა სიბერის ზღვარზე იმყოფება.
3. თუ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 65 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანების წილი 7%-ის ტოლი ან მეტია, მაშინ მოსახლეობა დემოლოგიურად დაბერებულია.

დღეს მსოფლიოში მთლიანად ეს მაჩვენებელი 8%-ია (2016 წლის გაეროს მონაცემებით). განვითარებად რეგიონში – 6%; განვითარებულში – 16%; ევროპაში – 16%; დასავლეთ ევროპაში – 17%, ხოლო სამხრეთ ევროპაში – 18%. აფრიკა დემოლოგიურად ახალგაზრდაა – 3%. ჩრდილოეთი ამერიკა – 12%; სამრეთი ამერიკა – 6%; ცენტრალური ამერიკა – 5%.

როგორია მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების ტენდენცია?

თუ ავიღებთ 45 წლის წინანდელ მონაცემებს, 1975 წელს მსოფლიოს მოსახლეობა ჯერ კიდევ არ ითვლებოდა დაბერებულად – 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მაშინ 5,7% იყო.

თუ სხვაობა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მონაცემებს შორის მაშინ 6,8% იყო, 2007 წლისათვის ის 10%-მდე გაიზარდა.

თუ უფრო ადრინდელ მონაცემებს განვიხილავთ, ვნახავთ, რომ მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე მსოფლიოს არცერთი ქვეყანა არ იყო დემოლოგიურად დაბერებული. პირველი დემოლოგიურად დაბერებული ქვეყანა იყო საფრანგეთი, სადაც იმ წლებში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 7,4%-ს მიაღწია.

მეორე მსოფლიო ომამდე დემოლოგიურად დაბერებული ქვეყნების რიცხვი იყო 10. დღეს დემოლოგიურად დაბერებულია უკვე მსოფლიოს 75 ქვეყანაზე მეტი.

ასაკოვანი მოსახლეობის წილის ასეთი სწრაფი ტემპით ზრდა, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად ცვლის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას. პირველ რიგში, მცირდება 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი. იგივე ტენდენციაა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

როგორი ტენდენციაა საქართველოში? ამის გასაგებად მივმართოთ საქართველოში 1897 წელს ჩატარებული პირველი საყოველთაო აღწერის, 1989 წელს ჩატარებული ბოლო საბჭოთა აღწერის, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში 2002 წელს ჩატარებული პირველი აღწერისა და 2014 წელს საქართველოში ჩატარებული ბოლო აღწერის მონაცემებს. სურათი ასეთია:

ცხრილი 4

წელი	0-14 წლის ასაკის მოსახლეობა	65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა
1897	40,4%	4%
1989	24%	8,9%
2002	21%	13,8%
2014	18,6%	14,4%

ნათლად ჩანს, რომ სულ უფრო სწრაფად მცირდება მოსახლეობაში 14 წლამდე ახალგაზრდების წილი და ასევე სულ უფრო იზრდება 65 წლის და უფროსი ასაკის ადამიანების წილი. დღეს საქართველოს მოსახლეობა დემოლოგიურად დაბერებულია და აშკარაა დაბერების სწრაფი ზრდის ტენდენცია.

ბუნებრივია დავსვათ კითხვა: რომელი ფაქტორები განსაზღვრავს მოსახლეობის დაბერების ტენდენციას?

დემოლოგიაში განიხილავენ ორი სახის დაბერებას: ე.წ. დაბერებას „ქვემოდან“ და დაბერებას „ზემოდან“.

„ქვემოდან“ დაბერებას უწოდებენ ისეთ დაბერებას, რომელსაც საფუძვლად უდევს შობადობის კლება და ამის შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობაში ბავშვთა წილის შემცირება, ხოლო „ზემოდან“ დაბერება ემყარება ხანდაზმულ ასაკში მოკვდაობის შემცირებას და მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას.

დემოლოგები ხშირად კამათობენ, რომელი უფრო მთავარია მათ შორის. მაგალითად, ე. როსეტი მიიჩნევდა, რომ მოსახლეობის დაბერების პროცესის მთავარი წყაროა არა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება, არამედ შობადობის შემცირება. ამასთან, ის მიიჩნევდა, რომ ეს არა ჰიპოთეზა, არამედ უკვე დამტკიცებული თეზისია.

ასე თუ ისე, რამდენადაც „ქვემოდან“ და „ზემოდან“ დაბერების ფაქტორები, შობადობის კლება და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, სახეზეა ყველა კონტინენტზე, ყველა ქვეყანაში და აშკარაა მათი ცვლილებების ზრდის ტენდენციაც, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობა დედამიწის ყველა კონტინენტზე, ყველა რეგიონსა და ქვეყანაში დემოლოგიურად სისტემატიურად ბერდება.

რადგან არის სისტემური დაბერების (ყველა კონტინენტზე და ქვეყანაში) მზარდი ტენდენცია, ამ დასკვნას მოსახლეობის დაბერების კანონს უწოდებენ.

ლეო ჩიქავა მას განაკუთვნებს არა დემოლოგიის ზოგად კანონებს, არამედ, მას დემოლოგიის სპეციფიკურ კანონად მიიჩნევს, რადგანაც ის, მისი აზრით, მოქმედებს საზოგადოების განვითარების მხოლოდ თანამედროვე საფეხურზე წარმოქმნილი დემოლოგიური ურთიერთობების ბაზაზე.

4.5. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კანონი. ჩვენ უკვე განვიხილეთ მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა, ვილაპარაკეთ სქესობრივ თანაფარდობაზე. აღვნიშნეთ, რომ დემოლოგიური პროცესების ან-

ალიზისათვის უპირატესად იყენებენ მაჩვენებელს, თუ რამდენი მამაკაცი მოდის საშაულოდ ყოველ 100 ან 1000 ქალზე. ამავე დროს, სქესთა თანაფარდობა სხვადასხვაა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. ჩვეულებრივად ანგარიშობენ და აანალიზებენ თანაფარდობას დაბადებულთა შორის, გარდაცვლილთა შორის, უფრო ზუსტი ანალიზისათვის არის ასეთი დაყოფაც: გამოყოფენ სქესთა რიცხოვნობის პირველად, მეორეულ და მესამეულ თანაფარდობას.

1. პირველი გამოხატავს გოგონათა და ვაჟთა შორის თანაფარდობას ჩასახვის (განაყოფიერების) სტადიაზე; 2. მეორე – დაბადების სტადიაზე და 3. მესამეული – რეპროდუქციულ სტადიაზე.

პირველადი თანაფარდობა წარმოადგენს ბიოლოგიისა და სოციალური ჰიგიენის შესწავლის საგანს, მეორე და განსაკუთრებით – მესამე, დემოლოგიის საგანია. როგორც ვიცით, მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურაზეა დამოკიდებული ქორწინებათა რაოდენობა და სიხშირე და აქედან გამომდინარე, შობადობის დონე. მაშასადამე, ყველა ძირითადი დემოლოგიური მაჩვენებელი.

მრავალი გამოკვლევით დადგინდა, რომ, პირველ, ნაყოფის ჩასახვის სტადიაზე, საორიენტაციო შეფასებით, ყოველ 100 გოგონაზე საშუალოდ 125-130 ვაჟი მოდის. აღმოჩნდა, რომ ბიჭების ნაყოფი შედარებით ნაკლებად ვითარდება და ამის გამო სქესთა თანაფარდობა უკვე დაბადებულთა შორის იცვლება და მეორე სტადიაზე, ყოველ 100 ახალდაბადებულ გოგონაზე უკვე 105-106 ბიჭი მოდის, ე.ი. ვაჟების წილი 51,2%-ია. დროის სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ქვეყანაში, კონტინენტების მიუხედავად, ეს თანაფარდობა თითქმის უცვლელია.

ეს კანონზომიერება ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იქნა შემჩნეული. იმ პერიოდის ფლორენციაში არსებობდა ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ტაძარში ბავშვის ნათლობისას ყუთში მუხუდოს მარცვლებს ჰყრიდნენ. გოგონას ნათლობისას – თეთრს, ხოლო ვაჟის ნათლობისს – შავ მარცვალს. XIV საუკუნის ფლორენციულ მემატიანეს, ჯოვანი ვილანის, აზრად მოუვიდა დაეთვალა თეთრი და შავი მარცვლების რაოდენობა. სხვადასხვა წლების მიხედვით ეს თანაფარდობა ერთი და იგივე აღმოჩნდა: ყოველ 100 თეთრ მარცვალზე 105-106 შავი მარცვალი მოდიოდა. შეიძლება ითქვას, რომ პირველად ასე დადგინდა ახალშობილების სქესთა თანაფარდობის მუდმივობა და სიმყარე.

თუ ვნახავთ სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა პერიოდის მონაცემებს, იგივე თანაფარდობაში დავრწმუნდებით.

გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. 1960-1990 წლებში 100 გოგონაზე 105-106 ვაჟი მოდიოდა. 90-იანი წლების II ნახევრიდან და XXI საუკუნის დასაწყისიდან ეს თანაფარდობა თითქოს დაირღვა. 100 დაბადებულ გოგონაზე 111-112 ვაჟიც კი მოდის. ამას ჩვენი აზრით, ორი მიზეზი აქვს:

1. სტატისტიკური აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობა;
2. ექოსკოპიის შემოღება.

ზოგადად, როგორც ეს გაანალიზებული აქვს ლ. ჩიქავას, ჩვენი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში 1 წლამდე ასაკის ვაჟების წილი ჭარბობს ქალებისას, შემდეგ ხდება მათი თანდათან დაახლოება და 20-24 წლის ასაკში ხდება მათი გათანაბრება. 40-44 წლიდან კი, ქალთა წილი უკვე უსწრებს მამაკაცების წილს.

მომდევნო ასაკობრივ ჯგუფებში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გამოხატულ ხასიათს ღებულობს და პიკს აღწევს 80-84 წლის ასაკში – ქალების წილი მამაკაცებისას 2-ჯერ აღემატება.

ასე რომ, ქალებისა და მამაკაცთა სქესის რაოდენობრივი თანაფარდობა არა შემთხვევითი და დროებითი ხასიათისაა, არამედ შეიძლება დავასკვნათ, რომ მას აქვს მყარი საფუძველი და საუკუნეების განმავლობაში მუდმივად განმეორებადი და ნათლად გამოხატული ტენდენციის ხასიათი. ე.ი., როგორც ლ. ჩიქავა მიიჩნევს, იგი უნივერსალური კანონია და ის მას ზოგად დემოლოგიურ კანონთა შორის ათავსებს.

4.6. დემოლოგიური კომპენსაციის კანონი. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: ხანგრძლივი და სასტიკი ომებით, დიდი სტიქიური კატასტროფებით იქმნება მოსახლეობის გამრავლებისათვის მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი გარემოებები: ფერხდება თაობათა განახლების პროცესი, რადიკალურად კლებულობს ქორწინება, შობადობა, მატულობს სიკვდილიანობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცებში. შემდეგ, როდესაც ცხოვრება უბრუნდება ნორმალურ რიტმს, მყარდება მშვიდობა, იწყება ომის მონაწილეთა დემობილიზაცია, ხდება მათი დასაქმება, ცხოვრების საერთო დონის ამაღლება. მოსახლეობის გამრავლება იღებს ახალ იმპულსს და ახდენს იმის კომპენსაციას, რაც დაკარგა იმ მძიმე პირობებში. მკვეთრად მატულობს ქორწინება, შობადობა, კლებულობს მოკვდაობა. ე.ი. მკვეთრად უმჯობესდება დემოლოგიური მაჩვენებლები და ამას კომპენსაციის ეფექტს უწოდებენ. დემოლოგიურ ლიტერატურაში ის ცნო-

ბილია ე.წ. „ბეიბი ბუმის“ სახელწოდებითაც და ბავშვთა შობის „აფეთქებას“, შობადობის კომპენსაციურ ზრდას ნიშნავს.

ეს მრავალი ქვეყნის მაგალითზე შეინიშნება.

დემოლოგიური კომპენსაციის კანონზომიერებას პირველად XIX საუკუნის დასასრულს ფრანგმა დემოლოგმა პიერ ემილ ლევასიერმა მიაქცია ყურადღება. შემდეგ ამ კონცეფციამ უკვე ზოგადი აღიარება მოიპოვა.

დემოლოგიური კომპენსაციის კანონი კერძო დემოლოგიურ კანონთა რიგს განეკუთვნება.

4.7. მოსახლეობის დემოლოგიური გადასვლის (ტრანზიციის კანონი). ამ კანონს სხვანაირად მოსახლეობის გამრავლების ტიპის თანმიმდევრული ცვლის კანონსაც უწოდებენ. მოსახლეობის გამრავლება სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაა. არსებობს კონცეფცია რომელიც ადარებს, არკვევს, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი ცალკეულ ქვეყანაში, რამდენიმე ქვეყანაში, ქვეყნების ჯგუფში ან კონტინენტის მიხედვით. ამ კონცეფციას ეწოდება სწორედ დემოლოგიური გადასვლის კონცეფცია. რას ეყრდნობა ეს კონცეფცია? უპირველეს ყოვლისა ის ეყრდნობა იმას, რომ დემოგრაფიული პროცესები ასახავენ გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური და სოციო-კულტურული პროცესების რითმიკას, რომელთა თანდათანობითი ცვლილების მექანიზმს, თან სდევს დემოლოგიური ქცევის, განწყობისა და ნორმების ცვლილება.

თანამედროვე დემოლოგიურ მეცნიერებაში ამ ცვლილებების შესწავლისა და შეფასების ყველაზე წამყვან და ყველაზე არგუმენტირებულ სოციოლოგიურ-დემოლოგიურ კონცეფციას სწორედ დემოლოგიური გადასვლის კონცეფცია, თეორია[27] წარმოადგენს. ის საზოგადოების ისტორიული განვითარების ისეთი მოდელია, რომელიც აღწერს და ახასიათებს მოსახლეობის გამრავლების ტიპების ცვლილების პროცესს. ეს თეორია პირველად ფრანგმა მეცნიერმა, საფრანგეთის სენატორმა და შრომის მინისტრმა ა. ლანდრიმ გამოაქვეყნა სტატიაში „მოსახლეობის სამი ძირითადი თეორია“. ამ სტატიაში მან გადმოსცა იდეა რეპროდუქციული ქცევის დემოგრაფიული ტიპების შესახებ. ა. ლანდრი (1875-1956) წლების მანძილზე იყო საფრანგეთის პარლამენტის წევრი, სენატორი და შრომის მინისტრი. თავისი, როგორც მოაზროვნის, მეცნიერის, სახელმწიფო მოღვაწის სამოქმედო პრინციპი მან გამოხატა სიტყვებით: „იცოდე, გესმოდეს, აფასებდე, ცვლიდე“.

1924 წელს ა. ლანდრიმ სტატიაში „პროგრესის იდეა“ ჩამოაყალიბა ცნება მოსახლეობის გამრავლების სამი რეჟიმის შესახებ. შემდეგ, ეს თეორია განავითარეს უორენ ტომპსონმა და ლეონ რადზინოვიჩმა. პირველმა 1929 წელს გამოაქვეყნა სტატია „მოსახლეობა“, ხოლო მეორემ იმავე 1929 წელს გამოსცა 430-გვერდიანი წიგნი.

დემოლოგიური გადასვლის თეორია გააღრმავა და მისი კლასიკური ეკონომიკურ-სოციოლოგიური გაფორმება მოახდინა ფრენკ ნოუტსტეინმა, ამერიკელმა მეცნიერმა, რომელმაც ამერიკაში 1936 წელს დააარსა მსოფლიოში პირველი დემოლოგიური სამეცნიერო ცენტრი – პრინსტონის უნივერსიტეტის მოსახლეობის კვლევის განყოფილება.

ა. ლანდრიმ 1934 წელს ნაშრომში „დემოგრაფიული რევოლუცია“ თავისი თეორია კიდევ უფრო განავითარა და მასში გამოჰყო მოსახლეობის განვითარების სამი სტადია: პრიმიტიული, შუალედური და თანამედროვე.

პრიმიტიული, ტრადიციული ტიპი ძირითადად ხასიათდება:

- შობადობის მაღალი დონით;
- მოკვდაობის მაღალი დონით და უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება ჩვილ ბავშვებს. ეს განპირობებულია, ძირითადად, ძლიერი ეგზოგენური ფაქტორებით;
- ბუნებრივი მატების სიმცირით;
- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ძალიან დაბალი დონით;
- მოქმედების დიდი ხანგრძლივობით ეს პროცესი გრძელდებოდა დასაბამიდან XVIII საუკუნის ბოლომდე.

გამრავლების შუალედური ტიპი.

ამ დროს თანდათან მცირდება ეგზოგენური ფაქტორები. მათ ადგილს იკავებს ენდოგენური ფაქტორები. ამ პერიოდში მცირდება მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი. აღინიშნება:

- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი ზრდა;
- მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი ტემპი;

ის ხასიათდება მოქმედების მცირე პერიოდით – მე-18 საუკუნის დასასრულიდან, მე-19 საუკუნის დასასრულამდე.

და ბოლოს, მოსახლეობის გამრავლების თანამედროვე ტიპი. მისი ძირითადი მახასიათებლებია:

- შობადობის მკვეთრად შემცირება; ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების შემცირება, შობადობის შიგა ოჯახური რეგულირება;

- გამრავლების წინა ტიპებთან შედარებით, მოკვდაობის შედარებით დაბალი დონე;
- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი ზრდა;
- დემოლოგიური დაბერება.

გამრავლების ეს ტიპი დამკვიდრებას იწყებს მე-19 საუკუნის დასასრულიდან და დღესაც გრძელდება.

გამრავლების მეორე ტიპის დროს, ანუ შუალედური ტიპის დროს, ხდება მოკვდაობის ტიპის გარდაქმნა (ეგზოგენური ფაქტორები იცვლება ენდოგენურით). ხოლო მესამე, თანამედროვე ტიპის დროს თვისებრივად იცვლება შობადობის ტიპი.

პირველი და მეორე ტიპი ქმნის I ეტაპს. მესამე ტიპი – II ეტაპს. თუ I ეტაპზე იცვლება მოკვდაობის ტიპი, II ეტაპზე იცვლება უკვე შობადობის ტიპი – შემცირებას იწყებს შობადობაც. ე.ი. იწყება შობადობისა და მოკვდაობის შემცირება. განსხვავებაა მხოლოდ ტემპში. ეს განსხვავება დამოკიდებულია ხოლმე, სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე და ეს შეფარდება განსაზღვრავს სწორედ, მოსახლეობის ზრდის მასშტაბებს.

დემოლოგიური გადასვლის აღსაწერად იყენებენ სქემას, რომელიც 4 ფაზას შეიცავს. ის დემოლოგიური პროგნოზირებისათვის გაეროს მიერ გამოყენებული მეთოდია.

I ფაზა – მოკვდაობის კოეფიციენტი გაცილებით სწრაფად მცირდება, ვიდრე შობადობის კოეფიციენტი. შეიძლება შობადობის კოეფიციენტი გაიზარდოს გარკვეული დროის განმავლობაში კიდეც. მაქსიმუმს აღწევს ბუნებრივი მატების კოეფიციენტი.

II ფაზა – მოკვდაობის კოეფიციენტი ისევ მცირდება და დადის მინიმუმამდე. შობადობის კოეფიციენტი კი, კიდევ უფრო სწრაფად მცირდება. თანდათან მცირდება მოსახლეობის რაოდენობაც.

III ფაზა – იზრდება მოკვდაობის კოეფიციენტი (რადგან დაიწყო დაბერება). შობადობის კოეფიციენტი კი ისევ აგრძელებს შემცირებას და ფაზის დასასრულს, უახლოვდება მარტივი გამრავლების დონეს, ხოლო მოკვდაობის კოეფიციენტი რჩება ამ დონის ქვემოთ.

IV ფაზა – იზრდება მოკვდაობის კოეფიციენტი და ის უახლოვდება შობადობის კოეფიციენტს (13 ‰-ს ფარგლებში). აღარ იზრდება მოსახლეობის რაოდენობა. მაღალია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და მოსახლეობა დემოლოგიურად დაბერებულია.

ა. ლანდრისა და სხვა დემოლოგების აზრით, IV ფაზის დროს უნდა მომხდარიყო შობადობისა და მოკვდაობის დონეების სტაბილიზაცია ნუ-

ლის ფარგლებში. მაგრამ ეს პროგნოზი არცერთ ქვეყანაში არ გამართლდა, შობადობისა და მოკვდაობის დონეების სტაბილიზაცია ნულის ფარგლებში არ მოხდა. მოკვდაობამ კვლავ განაგრძო ზრდა, რადგან მოსახლეობის დაბერება გაღრმავდა, ხოლო შობადობამ კიდევ უფრო სწრაფად იწყო კლება. დემოლოგებმა ამ ახალ მდგომარეობას დემოლოგიური გადასვლის V ფაზა უწოდეს. დღეს მსოფლიოს დემოლოგთა უმეტესობა თვლის, რომ V ფაზა უფრო დეპოპულაციაა, ვიდრე ნულის გარშემო სტაბილიზაცია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ა. ლანდრიც ვარაუდობდა, რომ შესაძლებელი იყო დამდგარიყო ასეთი ე.წ. რეგრესიული ფაზა. ასევე ფიქრობდნენ ლ. რადზინოვიჩი, ე. როსეტი და სხვები. მაგრამ იმ ეტაპზე დეპოპულაციაზე ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სრულყოფილი შეხედულებები. როგორც გ. მელაძე აღნიშნავს, დემოლოგიური განვითარების უახლესი ისტორია და განვითარების ტენდენციები გვიჩვენებს, რომ უკვე რეალობად უნდა მივიჩნიოთ ცნობილი დემოლოგის, ა. კარლსონის სიტყვები, რომ დემოლოგთა რწმენა, თითქოს დასავლეთის ქვეყნების მოსახლეობა სტაბილიზდება მარტივი გამრავლების ან მასთან მიახლოებულ დონეზე, არასოდეს ყოფილა აუხდენელ ოცნებაზე მეტი.[51]

აშშ-ის მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემებით 2011 წლისათვის, მსოფლიოში არსებობდა 78 ქვეყანა (მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 45%), რომლებშიც შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მოსახლეობის მარტივი გამრავლების (2,1) დაბლა იდგა. მათი პროგნოზით, დაახლოებით 2050 წლიდან, მსოფლიოში უკვე არცერთი ქვეყანა აღარ იქნება, სადაც შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2,1-ზე მაღალი იქნება.[51]

მხოლოდ მოკვდაობისა და შობადობის კოეფიციენტების გათანაბრებაც არ ნიშნავს დემოლოგიურ გადასვლას. ამის გარდა, ის სხვა მრავალ ფაქტორთა ერთობლიობასაც გულისხმობს. მაგალითად, უაღრესად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა და სხვა.

დემოლოგიური გადასვლის დამთავრების შესახებ მსჯელობენ ამერიკელი დემოლოგის ბოუგის მიერ შემოღებული კოეფიციენტის მიხედვით. რაც უფრო უახლოვდება ეს კოეფიციენტი 100-ს, მით უფრო დასასრულს უახლოვდება დემოლოგიური გადასვლა.

ზოგიერთი მეცნიერის, კერძოდ, ვან დე კაას, ი. მონიგელის, ფ. კამპრაშის, ა. კლინგელის და სხვების მიერ გამოითქვა მოსაზრება „მეორე დემოგრაფიული გადასვლის“ თაობაზე.

მეორე დემოლოგიური გადასვლის ძირითადი თემა, ქორწინებით და რეპროდუქციულ ქცევაში მომხდარ არსებით ცვლილებებს ეფუძნება. მისი

ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ოჯახში შვილიანობის შემცირება (საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი დოზით ინერგება ინდივიდუალიზმი, რასაც თავის მხრივ ლიბერალიზაცია და დემოკრატიაც განაპირობებს).

ბოლო წლებში, მეორე დემოგრაფიული გადასვლის ალტერნატივად ახალი ჰიპოთეზაც გამოჩნდა. ეს ეფუძნება გამრავლების თანამედროვე ტიპიდან, სრულიად ახალ ტიპზე გადასვლის იდეას. ანუ, ცალკეულ ქვეყნებში დამთავრდა გამრავლების თანამედროვე ტიპი და ყალიბდება სრულიად ახალი, უახლესი ტიპი. გამრავლების ეს ახალი ტიპი, ზოგიერთის აზრით, არის დეპოპულაცია.

მიმდინარებს კამათი დეპოპულაციის არსის შესახებაც. მოსახლეობის რაოდენობის შემცირება შეიძლება მოხდეს: 1. ბუნებრივი კლებით; 2. მიგრაციის შედეგად და 3. ორივე მიზეზით.

ზოგი თვლის, რომ ის მხოლოდ ბუნებრივი კლების შედეგია, ზოგი – რომ მხოლოდ მიგრაციის შედეგი.

XX საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა მოსახლეობის გამრავლების ინტენსიური ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია შობადობის, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების დაბალი დონე, მოსახლეობის დაბერება, ინდივიდუალური მიგრაციის გააქტიურება.

90-იან წლებში საქართველოში ჩამოყალიბება დაიწყო ახალმა, თანამედროვე დემოლოგიურმა ტენდენციებმა: მოსახლეობის რეგენერაციის შემცირებამ, შობადობის ინტენსიურმა, სწრაფმა შემცირებამ, რთული პირობების ფონზე მოკვდაობის გარკვეულმა ზრდამ. ამან, რა თქმა უნდა ბუნებრივი მატების მკვეთრი შემცირება გამოიწვია. ყოველივე ამის გამო, ზოგიერთთა აზრით, საქართველო XXI საუკუნეში შევიდა, როგორც ტიპიური დეპოპულაციის ქვეყანა.

შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა შეადგინა 8,9 პრომილე (1989 წელს – 16,7); მოკვდაობის კოეფიციენტმა – 9,1 პრომილე (იყო 8,3), ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა – 0,2 (იყო 8,2 პრომილე)!

შობადობის ჯამობრივმა კოეფიციენტმა 2011 წელს შეადგინა 1,4 (1989 წელს იყო ≈2).

ეს, ასევე მოხდა მიგრაციული პროცესების გამოც, რომლებსაც შემდგომში შევეხებით.

პროგნოზით, რომელიც ცნობილმა ქართველმა დემოლოგმა გ. ფირცხლავამ შეასრულა, 2002–2020 წლებში – ნარჩუნდება დეპოპულაციის რეჟიმი და მცირდება გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო. ის 2015–2020 წლებში ნულს უტოლდება.

2002 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა იყო 4 მილიონ 546 ათასი (ქალები – 2,37 მილიონი, მამაკაცები – 2,17 მილიონი. Δ≈200 ათასი).

ბოუგის კოეფიციენტების მიხედვით, საქართველო მე-19 საუკუნის დასასრულს იმყოფებოდა დემოლოგიური გადასვლის I ფაზაში, რომელიც გრძელდებოდა XX საუკუნის 20-იან წლებამდე.

დემოლოგიური გადასვლის II ფაზა გრძელდებოდა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 60-იან წლებამდე.

დემოლოგიური გადასვლის III ფაზა გრძელდებოდა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე.

დემოლოგიური გადასვლის IV ფაზა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გრძელდება დღესაც.

თავი V. მიგრაციები

5.1. მიგრაციების ზოგადი დახასიათება. მიგრაცია უძველესი დროიდან ფართოდ გავრცელებული სოციალური მოვლენაა. ერთიანი აზრი მისი განმარტების შესახებ არ არსებობს.

ზოგადად, „მიგრაციის“ ქვეშ გულისხმობენ გარკვეული რაოდენობის ხალხის ნებისმიერ გადაადგილებას, გარდა სამხედრო ნაწილების გადაადგილებისა. ეს ტერმინი იხმარება მაშინ, როდესაც გადაადგილება ხდება ქვეყანასა და კონტინენტზე და მაშინაც, როდესაც ხდება ყოველდღიური გადაადგილება საცხოვრებელი ადგილიდან – მსხვილ ქალაქებში არსებულ სამუშაო ან სასწავლო ადგილებამდე.

პირველ შემთხვევას უწოდებენ მიგრაციას ვიწრო გაგებით. ანუ მიგრაცია ვიწრო გაგებით ნიშნავს ადამიანთა საცხოვრებლად გადასვლას ერთი დასახლებული ადგილიდან მეორეში, მაგალითად, A პუნქტიდან B პუნქტში. ეს პუნქტები შეიძლება დაშორებული იყოს მცირე მანძილითაც, შეიძლება იყოს ერთი ქვეყნის შიგნით, შეიძლება იყოს სხვა ქვეყანაში და სხვა კონტინენტზეც. შესაბამისად, მათ უწოდებენ შიგასახელმწიფოებრივ, სახელმწიფოთაშორისო და კონტინენტთა შორის მიგრაციებს. არსებობს მიგრაცია ფართო გაგებით. ეს ისეთი მიგრაციაა, რომლის დროსაც არ არის აუცილებელი საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა. ფართო გაგებით მიგრაცია ჰქვია სეზონურ, ან როგორც ზემოთ ვთქვით, ყოველდღიურ გადაადგილებასაც საცხოვრებელი სახლიდან სამუშაო ადგილზე. ასეთ მიგრაციას ქანქარისებურ მიგრაციასაც უწოდებენ.

არსებობს რამდენიმე სახის მიგრაცია:

– იძულებითი მიგრაცია, როდესაც ინდივიდს აღარ დაუტოვეს არჩევანის არავითარი საშუალება;

– ნებაყოფლობითი მიგრაცია; ნებაყოფლობითი მიგრაციის მოტივაცია შეიძლება იყოს: 1. ეკონომიკური მოტივი, 2. მისაღები სოციალური გარემოს პოვნა, 3. მისაღები ბუნებრივი გარემოს პოვნა.

ერთი ქვეყნიდან მეორეში საცხოვრებლად გადასვლას ემიგრაცია ეწოდება. სხვა ქვეყნიდან უცხოელების საცხოვრებლად შემოსვლას ან ემიგრაციაში მყოფთა დაბრუნებას – იმიგრაცია. ამ უკანასკნელს რეემიგრაციასაც ან რეპატრიაციასაც უწოდებენ. არსებობს ცნებები – ემიგრანტი და იმიგრანტი. ემიგრანტია ის, ვინც სხვა ქვეყანაში გადასახლდა საცხოვრებლად; იმიგრანტი კი – ვინც სხვა ქვეყნიდან ჩამოვიდა საცხოვრებლად ან დაბრუნდა სამშობლოში.

როგორც აღვნიშნეთ, თითოეულ მიგრაციას თავისი კონკრეტული მიზეზი, მოტივაცია აქვს. კიდევ უფრო ზოგადად, მიგრაციას საფუძვლად უდევს, ან მას იწვევს ორი ძირითადი ფაქტორი: 1. ბუნებრივ-გეოგრაფიული და 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამხედრო მოვლენები.

მიგრაციაზე მოქმედი ყველაზე ძველი ფაქტორია, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო. თავისი წარმოშობისა და განვითარების მანძილზე ადამიანი თანდათან იკავებდა ახალ ტერიტორიებს. ის ეძებდა საკვებს და დიდ მანძილს გადიოდა მის მოსაძებნად. ის ირჩევდა და ითვისებდა მისთვის უფრო მოსახერხებელ და სასურველ კლიმატურ პირობებს. მას ყოველთვის უფრო იზიდავდა მდინარის ნაპირები და ზღვისკენ გადაადგილება. ზოგი მთაში გადაადგილდებოდა. სწორედ ასეთი მიგრაციის შედეგად ხდებოდა ადამიანთა განსახლება ჩვენს პლანეტაზე, მის სხვადასხვა რეგიონში.

ასევე, უდიდეს გავლენას ახდენენ მიგრაციაზე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ფაქტორები. მოსახლეობის მიგრაცია ყოველთვის არ ხდება ნებით. ნებაყოფლობით მიგრაციასთან ერთად არსებობს იძულებითი მიგრაციაც. ის უმეტესად სამხედრო-სტრატეგიული მიზეზებით ხდება. მაგალითად, გამარჯვებული ხშირად ატყვევებდა დამარცხებულის ჯარს, მოსახლეობას და იძულებით გადაასახლებდა ხოლმე თავისი საცხოვრებლიდან და ქვეყნიდან.

არსებობს ორგანიზებული და სტიქიური მიგრაცია. პირველი, ძირითადად სახელმწიფო ორგანოების მიერ ხორციელდება. მოტივაცია შეიძლება სხვადასხვა იყოს: მუშახელი, სწავლება, სამხედრო-პოლიტიკური და ა.შ. ასეთი მიგრაცია, როგორც წესი, ჯგუფური ხასიათისაა. სტიქიური მიგრაცია კი, უფრო ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს.

არსებობს მიგრაციის სამი ეტაპი: 1. მომზადება, პოტენციური მიგრაცია; 2. საკუთრივ მიგრაცია; 3. ადაპტაცია.

მოსახლეობის გადასვლა სხვა პუნქტში თავისთავად მიგრაციას წარმოადგენს, მაგრამ ამ პროცესის სრულად განხორციელებისათვის აუცილებელია მიგრანტთა ადაპტაცია და დამკვიდრება. მიღებულია დამკვიდრების კოეფიციენტი. იგი გვიჩვენებს, მიგრანტთა რა ნაწილი დამკვიდრდა ახალ საცხოვრებელ ადგილას და გამოისახება პროცენტებით.

უკანასკნელ პერიოდში იმატა სტიქიურმა მიგრაციამ. მიგრაციის ინტენსივობის შესაფასებლად იყენებენ ე.წ. განზიდვის კოეფიციენტს. ეს არის რომელიმე ადგილიდან (ადმინისტრაციული ერთეულიდან, სახელმწიფოდან) ერთი წლის მანძილზე წასულთა რაოდენობა ყოველ 1000 მცხოვრებზე.

$$K_{გ} = \frac{M_{გ}}{P} \cdot 1000$$

$M_{გ}$ – წასულ მიგრანტთა რაოდენობაა, P – მოსახლეობის წლიური საშაულო რაოდენობა.

ანალოგიურად ითვლება მიგრაციული მიზიდვის კოეფიციენტიც. ეს არის ერთი წლის მანძილზე დასახლებულ ადგილზე ყოველ 1000 მცხოვრებზე მოსულთა რაოდენობა.

$$K_{მიზ.} = \frac{M_{მ}}{P} \cdot 1000$$

ყოველწლიურად მოსულთა და წასულთა ჯამი გვიჩვენებს მიგრაციის ინტენსივობას. ის მიგრაციული მოძრაობის კოეფიციენტით გამოისახება.

$$K_{n} = \frac{M_{მ} + M_{გ}}{P} \cdot 1000$$

როცა $M_{მ} > M_{გ}$ – სალდო დადებითია; როცა $M_{მ} < M_{გ}$ – სალდო უარყოფითია.

მნიშვნელოვანია, რა თანაფარდობაშია ერთმანეთთან ყოველწლიურად გასულთა და შემოსულთა რაოდენობა, ანუ როგორია მიგრაციის სალდო. როდესაც მოსულთა რაოდენობა ჭარბობს წასულთა რაოდენობას, მიგრაციის სალდო დადებითია, ხოლო როცა პირიქით – სალდო უარყოფითია.

მიგრანტთა მოძრაობის დროს, მიგრაციული პროცესების ანალიზისას, ინტენსივობის გარდა, მნიშვნელოვნია მათი სქესობრივი, ასაკობრივი, პროფესიული და ეთნიკური შემადგენლობის ანალიზი.

არსებობს ეკონომიკური და დემოლოგიური მიგრაცია. პირველი მართხელა ადამიანების მიგრაციაა, ხოლო დემოლოგიურ მიგრაციას უწოდებენ მიგრაციას, რომლის დროსაც გადაადგილება ხდება ოჯახთან ერთად. ასეთ მიგრაციას, თუ ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხდება, შეიძლება ჰქონდეს დემოლოგიური შედეგიც. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას დემოლოგიურს. რაც შეეხება ცალკეული პირების მიგრაციის დემოლოგიურ შედეგს, ის შეიძლება შესამჩნევი იყოს, თუ იმ ქვეყანაში ხდება, რომელმაც ამა თუ იმ მიზეზით მამაკაცების დიდი დანაკლისი განიცადა (ან იმ ქვეყანამ, საიდანაც ისინი მიგრირებენ, ან იმ ქვეყანამ, რომელშიც ისინი გადადიან).

არსებობს კავშირი მიგრაციასა და დემოლოგიურ პროცესებს შორის. მიგრაციას ხშირად, ერთი მხრივ შეიძლება სწორედ დემოლოგიური საფუძ-

ველი ჰქონდეს. მაღალი ბუნებრივი მატება ხელს უწყობს ჭარბი მუშახელის წარმოქმნას. ამის გამო ხდება მათი გადაადგილება სამუშაო ადგილის მოსაძებნად. მეორე მხრივ კი, იმის გამო, რომ როგორც წესი, მიგრანტთა შორის ჭარბობს ახალგაზრდობა, მცირდება მათი ხვედრითი წილი იქ, საიდანაც ისინი მიემგზავრებიან. ეს იწვევს ასაკობრივი სტრუქტურის დარღვევას და შობადობის შემცირებას. სიკვდილიანობა კი პირიქით, იზრდება.

მოსახლეობის მიგრაცია დიდ ცვლილებას განიცდის როგორც ტერიტორიულ ერთეულებში, ასევე სხვადასხვა ხალხებში და ასევე დროის მანძილზე.

უშუალოდ მიგრაციული ნაკადების სტატისტიკური აღწერა უაღრესად რთულია. ხშირად, წინააღმდეგობრივ მონაცემებს იღებენ ხოლმე. ამიტომ, მიგრაციის სალდოს განსაზღვრისათვის იყენებენ შემდეგ მეთოდსაც: ის იზომება მოსახლეობის ორ აღწერას შორის პერიოდში. ამ პერიოდში ადვილად და დიდი მიახლოებით ითვლება მოსახლეობის საერთო მატება, ანუ ფაქტობრივი ნამატი (არსებობს სტატისტიკური მონაცემები, რამდენი იყო მოსახლეობის საერთო რაოდენობა წინა აღწერის დროს და რამდენია ის ახალი აღწერის მონაცემებით და როგორც გვახსოვს, მათ შორის სხვაობა არის სწორედ მოსახლეობის საერთო მატება). ამ მონაცემების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ დემოლოგიის ძირითადი განტოლებით:

$$\Delta P = \Delta P^{nat.} + \Delta P^{migr.}$$

საიდანაც, $\Delta P^{migr.} = \Delta P - \Delta P^{nat.}$.

ე.ი. მიგრაციული სალდო ($\Delta P^{migr.}$) ტოლი იქნება მოსახლეობის საერთო მატებისა (ΔP) და ბუნებრივი მატების ($\Delta P^{nat.}$) სხვაობის. თუ $\Delta P > \Delta P^{nat.}$, სალდო დადებითია, ხოლო თუ $\Delta P < \Delta P^{nat.}$, სალდო უარყოფითია.

როგორი იყო საერთოდ საქართველოს გარე მიგრაციული პროცესების სურათი ისტორიულად?

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მრავალი ათასეული წლის წინ მოხდა ინდიელების წინაპრების გადასვლა აზიიდან ამერიკაში, ბერინგის სრუტის გავლით და ჩვენ მას არ შევეხებით. ეს ცალკე თემაა. საქართველოც ჩართული იყო ამ პროცესში. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიგრაციულ პროცესებს ისტორიულად დიდი გავლენა არ მოუხდენია მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე. ფეოდალიზმის ეპოქაში გარე მიგრაცია, როგორც წესი, ძალდატანებითი ხასიათის იყო და მტრის სამხედრო-მიზნებს

ემსახურებოდა. ერთი მხრივ, საქართველოდან ძალით ასახლებდნენ ქართველებს, ხოლო მეორე მხრივ, მათ ადგილას ჩამოსახლებულ არაქართველებს ამკვიდრებდნენ. ეს უაღრესად მძიმე იყო ჩვენი ქვეყნისათვის.

ახალი ეტაპი დაიწყო რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის გატარებით. მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ეს პროცესი.

მე-20 საუკუნეშიც, მუშახელის გარედან მოზიდვის აუცილებლობის და ვითომ ჭარბი მუშახელის გადანაწილების მოტივით, მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ინტენსიური მიგრაციის პროცესი მიმდინარეობდა. ასე იყო საქართველოშიც, მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში.

1957 წლამდე საქართველოსათვის მიგრაციის სალდო მაინც დადებითი იყო. იმ წლიდან მოყოლებული, დღემდე, მიგრაციის სალდო ჩვენთან სულ უარყოფითია. ე.ი. წასულები უფრო მეტია, ვიდრე ჩამოსულები. ამის გამო, ფაქტიური ნამატი ყოველთვის ნაკლებია ბუნებრივ ნამატზე. მაგალითად, 1959-1969 წლებში უარყოფითი მიგრაციული სალდო თითქმის 80 ათასი იყო. გ. მელაძე აღნიშნავს, რომ ოფიციალური მონაცემებით, 1960 წლიდან საქართველო ემიგრაციული ქვეყანა ხდება. ამას ნათლად აჩვენებს ნახაზი 4.

ზრდის ტენდენცია ახასიათებს აგრეთვე, შიდა მიგრაციულ პროცესს. მას ძირითადად სამი მიმართულება ჰქონდა: მთის რაიონებიდან – ბარის



ნახ. 4. საქართველოს მოსახლეობის გარე ემიგრაციული სალდო 1960-2011 წწ.

რაიონებისაკენ; სოფლიდან – ქალაქისაკენ, მცირე ქალაქებიდან – განვითარებული ქალაქებისაკენ. ეს კი იწვევს მოსახლეობის ურბანიზაციას. მიგრაციული პროცესების მეშვეობით ხორციელდება ძირითადად ურბანიზაციის პროცესი. მეორე მხრივ, ურბანიზაციის პროცესი მთელი მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო ძლიერად ვითარდება. მე-18 საუკუნის ბოლოს, მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 3% იყო ქალაქად. 1920 წელს კი, – უკვე 19%. 1974 წელს – 40% (საქართველოში ≈42%).

2002 წლის აღწერით საქართველოში 52,3% – ქალაქად, 47,7% – სოფლად ცხოვრობდა, ხოლო 2014 წლის აღწერით, ქალაქად – 57,2%, სოფლად – 42,8% ცხოვრობდა. მსოფლიოში: 56,6% – ქალაქად, ხოლო 43,5% – სოფლად; ევროპაში: 62,8% – ქალაქად; აფრიკაში – 35% ქალაქად; ქალაქში მაცხოვრებელი ყველაზე მეტია სამხრეთ ამერიკაში – 76%.

გაიზარდა დიდი ქალაქების რაოდენობა. თუ მილიონიან ზღვარს ქალაქის მოსახლეობამ მხოლოდ მე-19 საუკუნეში გადააჭარბა, XX საუკუნეში უკვე 2 ათასზე მეტი ასეთი ქალაქი იყო.

შეიქმნა მეგაპოლისები, საქალაქო აგლომერაციები (რამდენიმე ქალაქის და დასახლებული პუნქტის შერწყმა ერთ დიდ ქალაქად). მეორე მხრივ, აგლომერაციები წარმოშობენ კიდევ უფრო გიგანტურ მეგაპოლისებს.

როგორია ზოგადად ჩვენი დამოკიდებულება მიგრაციისა და განსაკუთრებით – ემიგრაციის მიმართ. რა ვითარება და პრობლემებია ამ მხრივ საქართველოში?

საქართველოში მწვავე დემოლოგიურ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ინტენსიური გარე მიგრაციული პროცესები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებულ დემოლოგიურ ფონზე ის იწვევს მოსახლეობის რაოდენობის კიდევ უფრო კლებას. როგორც წესი, მიგრაციულ ნაკადებში მოსახლეობის ახალგაზრდა ნაწილი მონაწილეობს. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის სხვადასხვა წლის მონაცემებით, მიგრანტთა დაახლოებით 80%-მდე 50 წლამდე ასაკისაა. ე.ი. ერთი მხრივ გაედინება შრომითი რესურსები, ხოლო მეორე მხრივ, ეს იწვევს მოსახლეობის დაბერებასაც. მიგრანტთა ძირითადი რაოდენობა ჯანმრთელი, სიძნელეებთან მებრძოლი და ამტანია. თანაც, ისინი საკმაოდ მაღალი განათლებისა და კვალიფიკაციისაც არიან.

გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო ყველაზე მაღალი იყო სამეცნიერო ხარისხის მქონე მიგრანტებში. ემიგრანტებს შორის 1990-იან წლებში ყველაზე მაღალი იყო უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობა.

მიგრაციული პროცესების ფსიქოლოგიურ აღქმას ართულებს ისიც, რომ ადრე, ეს პროცესები არასოდეს ყოფილა ასე დამახასიათებელი ქართველი ხალხისათვის. აკად. პ. გუგუშვილის აზრით, ამას მნიშვნელოვნად განაპირობებდა ის, რომ საქართველოში ყველაზე გავრცელებული იყო მიწის კულტურების, კერძოდ, ვაზისა და მარცვლეული კულტურების მოვლა. ეს კი უაღრესად შრომატევადი და ხანგრძლივი, მრავალწლიანი პროცესი იყო. რა თქმა უნდა, თავისი მრავალწლიანი შრომის ნაყოფის მიტოვება და საცხოვრებლად და სამუშაოდ სხვაგან გადასვლა, ქართველ გლეხს უაღრესად ეძნელებოდა და ამიტომ, ამას პრაქტიკულად არც აკეთებდა.

მიგვაჩნია, რომ მიგრაციულ პროცესებს მარტო უარყოფითი მხარე არა აქვს. განათლების მიღება, ახალი ცხოვრების სწავლა, შემოსავლის შემოდინება და ა.შ., უთუოდ დადებითი მხარეა.

სწავლის მიზნით განხორციელებულმა მიგრაციულმა პროცესებმა მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში დიდი როლი შეასრულა ქართული ინტელიგენციის ჩამოყალიბებაში, თანამედროვე ევროპული განათლების მქონე სპეციალისტების ახალი თაობების აღზრდაში, რომელთა უდიდესმა ნაწილმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ახალი საქართველოს მშენებლობაში. იმ ფარგლებში, რომელშიც დღეს მიმდინარეობს მიგრაცია საქართველოში, მე ვერ ვხედავ განსაკუთრებული განგაშის საფუძველს (დამაფიქრებელი კი ნამდვილად არის). ინტენსიურ გარე მიგრაციას რა თქმა უნდა, აქვს უარყოფითი დემოლოგიური შედეგი. სამაგიეროდ, ის აჩქარებს (საბოლოოდ) ქვეყნის სტაბილურობას და ეს უეჭველად გააუმჯობესებს დემოლოგიასაც.

მიგრაციული პროცესების ზუსტი აღრიცხვა სამწუხაროდ შეუძლებელია. ქვეყნდება ერთმანეთის სრულიად გამომრიცხავი და არარეალური მონაცემები. ხშირად ჭარბობს ემოცია და პოლიტიკური პოპულიზმი.

ვფიქრობთ, დავას არ იწვევს ის, რომ მიგრაციის ყველაზე დიდი ნაკადი რუსეთში მიემართება. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოდან გასული მიგრანტების 75% რუსეთზე მოდის, 13% – უკრაინაზე, ხოლო დანარჩენი 12% – ყველა სხვა დანარჩენ ქვეყანაზე.

მიგრანტთა შორის ეროვნების მიხედვით, 1990-იანი წლების პირველ ნახევარში, 11,1% – სომეხი, ხოლო აზერბაიჯანელი დაახლოებით 14% იყო. ყველაზე მაღალი ეს მაჩვენებელი რუსებში იყო, დაახლოებით 36%; ბერძნები – 7,7%. რუსეთში, ყველაზე დიდი რაოდენობა საქართველოდან ჩავიდა 1991 წელს (43 ათასი). 1992 წელს – 54 ათასი და 1993 წელს –

69 ათასამდე, 1994 წელს – 66 ათასი, 1995 წლიდან ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად კლებულობს.

1994 წელს ჩასული 66 ათასიდან ქართველი მხოლოდ 13 ათასი იყო. 1995 წელს – უკვე 51 ათასი ჩავიდა და ქართველი 10 ათასი იყო.

რუსეთში მხოლოდ საქართველოდან არ გაზრდილა მიგრაციული ნაკადები. მნიშვნელოვანი ნაკადი იყო სომხეთიდან (და იქ ძირითადად სომხების ხარჯზე). 5-6-ჯერ მეტია (პროცენტულად) ჩასული ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, უკრაინიდან. როგორც საქართველოდან, მიგრანტთა შორის, იქაც უმეტესობა რუსი ეროვნების წარმომადგენლები არიან.

2002 წლის მონაცემებით, საქართველოდან სულ გასულია 113 726 ათასი მცხოვრები.

რუსეთში – 74 ათასი (≈65%); საბერძნეთში – ≈16% (≈19 ათასი);

უკრაინაში – 1,8% (≈2 ათასი); გერმანიაში – 4,4% (≈5 ათასი);

თურქეთში – 1,3% (≈1,5 ათასი); ამერიკის შეერთებულ შტატებში – 3,7% (≈4,2 ათასი).

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მიგრაციის ხანგრძლივობის მიხედვით, მიგრანტთა მეტი წილი 3 თვემდე გადასვლა-ჩამოსვლის ვადაზე მოდის. მისივე მონაცემებით, უარყოფით სალდოს საშუალოდ წელიწადში 6 ათასამდე ანგარიშობენ. უფრო მაღალია გაეროს ზოგიერთი ექსპერტის მონაცემები. 1995-2000 წლებში გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო მათ მიერ დაახლოებით 450-480 ათასით ფასდება. ჩემი აზრით, ეს მნიშვნელოვნად მომატებული მონაცემებია.

რამდენია დღეს გასული საზღვარგარეთ – 1-1,5 მილიონი თუ 0,5 მილიონი?

ჩვენი გაანგარიშებით, ერთი და ორი მილიონი ემიგრანტი საქართველოდან საცხოვრებლად გასული არ უნდა იყოს. საქართველოში მცხოვრები 3,7 მილიონი მოქალაქის შემთხვევაში, გამოდის, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარი, ანუ ყოველი მეორე მაცხოვრებელი საზღვარგარეთ ცხოვრობს. ე.ი. ყოველი ოჯახიდან ერთი წევრი მაინც საზღვარგარეთ ცხოვრობს. ეს არარეალურია და ამას არ ადასტურებს არცერთი ქართული წყარო (სტატისტიკის სამსახური, უცხოეთში საქართველოს საკონსულოებისა და საელჩოების მონაცემები) და არც იმ ქვეყნების ოფიციალური დაწესებულებების მონაცემები, სადაც თითქოს ჩვენი მოქალაქეები ასეთი რაოდენობით ცხოვრობენ. ამიტომ, ვთვლით, რომ ასეთი მონაცემების დასახელების დროს, გარკვეული პოლიტიკური კონიუნქტურით ხელმძღვანელობენ, განსაკუთრებით პოლიტიკოსები. ჩვენი გაანგარიშებით, დღეს

საქართველოს ფარგლებს გარეთ ნახევარ მილიონ ემიგრანტზე მეტი არ უნდა ცხოვრობდეს. ვთვლით, რომ არც ეს არის ცოტა და პრობლემის გაუბრალოება არ შეიძლება. საქართველოში თანამედროვე მიგრაციული პროცესების დასახასიათებლად, საინტერესო იქნება მოვიტანოთ 2014 წელს საქართველოში ჩატარებული აღწერის ზოგიერთი მონაცემი.

შიდა მიგრანტები საქართველოს მოსახლეობის 28,5%-ია (მამაკაცები – 33,6% და ქალები 66,4%). აქედან 33,1% ცხოვრობს თბილისში; 15,1% – იმერეთში; 9,6 – სამეგრელო-ზემო სვანეთში. მოსახლეობის 5% არიან იმიგრანტები, რომლებსაც როდესმე 12 თვეზე დიდხანს უცხოვრიათ საზღვარგარეთ. იმიგრანტთა 45,5 განაწილებულია თბილისში, 12,9% – იმერეთში, ქვემო ქართლში – 12%.

ემიგრანტად ჩაითვალა პირი, რომელიც 2002 წლის იანვრიდან 12 თვე და მეტი არ იყო საქართველოში, ან აპირებდა საზღვარგარეთ დარჩენას. ასეთების რაოდენობა, ე.ი. ემიგრანტთა რაოდენობა იყო 885 ათასი. მათ შორის 45,4% მამაკაცი და 54,6 %– ქალი. ემიგრანტების ყველაზე დიდი ნაწილი ცხოვრობს რუსეთში – 21,7%, საბერძნეთში – 15,9%, თურქეთში – 11,2%, იტალიაში – 10,9%, გერმანიაში – 7,15, აშშ – 5,7%, ესპანეთში – 4,1%, საფრანგეთში – 3,7%, უკრაინაში – 3,7%, აზერბაიჯანში – 2%.

5.2. მიგრაციული გადასვლის კონცეფცია. ახლა გვინდა შევჩერდეთ მიგრაციული გადასვლის კონცეფციაზე. დემოლოგიური ვითარებისა და დემოლოგიური სურათის აღსაწერად, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაშასადამე, დემოლოგიური გადასვლის კონცეფციასთან ერთად, არსებობს მიგრაციული გადასვლის კონცეფციაც. მასზე ზოგადი წარმოდგენის ქონა, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება – განსაკუთრებით, მომავალი დემოლოგებისათვის – თუნდაც, ამ კონცეფციის მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ იყოს.

მიგრაციული გადასვლის კონცეფცია 1970 წელს წამოაყენა ამერიკელმა მეცნიერმა ვ. ზელინსკიმ. ამ კონცეფციის თანახმად, მიგრაციული პროცესების განვითარებაც გადის რამდენიმე ფაზას და ისინი დაახლოებით შეესაბამება დემოლოგიური გადასვლის ფაზებს.

მიგრაციული გადასვლის კონცეფციაში, დემოლოგიური გადასვლის მიმდინარეობასთან ერთად, მთავარი ადგილი ეთმობა ეკონომიკურ მოდერნიზაციას, განვითარებას.

ქვეყანაში, რომელიც დემოლოგიური გადასვლის I ფაზაშია, მაღალია მოსახლეობის ბუნებრივი მატება, მაგრამ დაბალია ეკონომიკური

განვითარების დონე. ასეთი მდგომარეობა, ე.ი. ბუნებრივი მატების მაღალი დონე და დაბალი ეკონომიკა იწვევს მოსახლეობის ემიგრაციას. მოსახლეობა მიდის სხვა, ეკონომიკურად უფრო ძლიერ და განვითარებულ ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებლად, სამუშაოდ, თავისი ინტელექტუალური, შემოქმედებითი შესაძლებლობების სარეალიზაციოდ (ე.წ. ტვინების გადინება).

ამ დროს ემიგრაციის დონე მაღალია, ხოლო იმიგრაცია საერთოდ არ ხდება.

დემოლოგიური გადასვლის II ფაზაში მყოფი ქვეყნის ბუნებრივი მატება, როგორც ვნახეთ, თანდათან კლებულობს. როგორც წესი, ეს პერიოდი შეესაბამება ხოლმე ქვეყნის განვითარების, მისი ეკონომიკური განვითარების იმ ეტაპს, როცა ეკონომიკა იწყებს გამოცოცხლებას, ჩნდება სხვა ქვეყნების ეკონომიკური დაინტერესება, კონცერნები, ინვესტიციები და ა.შ. იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და გარკვეული დოზით იწყება იმიგრაცია, ხოლო ემიგრაცია კლებულობს.

დემოლოგიური გადასვლის III ფაზაში ქვეყნის მოსახლეობის შობადობის დონე დაბალია, მოკვდაობა ისევ იწყებს ზრდას. შემცირებულია ბუნებრივი მატება და იწყება დაბერება. ამ დროს ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო უმჯობესდება, ემიგრაციის დონე კიდევ უფრო კლებულობს, ხოლო იმიგრაციის – კიდევ უფრო იზრდება. III ფაზის ბოლოსათვის იმიგრაცია აჭარბებს ემიგრაციას. როგორც წესი, ამ ფაზის ბოლოს იწყება იმ მოქალაქეთა დაბრუნების პროცესი, რომლებიც I ფაზის დროს წავიდნენ ემიგრაციაში.

IV ფაზაში მოკვდაობა იზრდება და უტოლდება შობადობის დონეს. ბუნებრივი მატება ჩერდება. ამ ფაზისათვის დამახასაითებელია ქვეყნის მაღალი ეკონომიკური განვითარება, შემოსავლის მაღალი დონე. ამ დროს, რა თქმა უნდა, მატულობს იმიგრაცია და კლებულობს, ძალიან მცირდება ემიგრაცია.

ეს სქემა კონცეპტუალურია. ის ზოგადი ხასიათისაა. ასეთი სქემების განხორციელება დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების თავისებურებებზე, სპეციფიკაზე. მაგალითად, საქართველო ამ სქემაშიც მეტად განსხვავებულად თავსდება. შეიძლება ითქვას, რომ ჭირს თქმა, საერთოდ თავსდება თუ არა.

V ფაზაში, ე.ი. დეპოპულაციის ფაზაში, მართალია, შობადობა მცირდება, მოკვდაობა იზრდება (მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულია) და ე.ი. ბუნებრივი მატება არ არის. მაგრამ მიგრაცია კიდევ უფრო

ნაკლებია ორი მიზეზით: 1. ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო უმჯობესდება და 2. იმ ქვეყნებში, საიდანაც მკვეთრად მატულობს მიგრანტები, ეკონომიკა უაღრესად დაბალი, ხოლო გამრავლების დონე უაღრესად მაღალია.

არის გაანგარიშებები და მოსაზრებები, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს დეპოპულაციას, იმიგრაციული პროცესების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება იმიგრანტთა რაოდენობა და მათი წილი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ამ პროგნოზიდან გამომდინარე, დ. კოულმენმა წამოაყენა მოსაზრება ე.წ. მესამე დემოლოგიური გადასვლის შესახებ. კოულმენის აზრით, მესამე გადასვლა დაუკავშირდება არა მხოლოდ შობადობასა და მოკვდაობას, არამედ მოსახლეობის შემადგენლობასაც. უფრო ზუსტად, ეროვნულ შემადგენლობას. ინტენსიური იმიგრაციული პროცესები აუცილებლად გააჩენს პრობლემას – რამდენად შეერწყმებიან ისინი ადგილობრივ მოსახლეობას. თუ ისინი შეეთვისებიან ადგილობრივ მოსახლეობას, მათ ტრადიციებს და ჩვევებს, ასეთი იმიგრანტები მიმღები ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი იქნება. თუ იმიგრანტები ვერ შეეგუებიან ადგილობრივ კულტურულ ღირებულებებს და დაიწყებენ სუბკულტურის ან სულაც კონტრკულტურის შექმნას, მაშინ ეს დიდ პრობლემებს შექმნის და საბოლოოდ, უთუოდ გამოიწვევს სერიოზულ დემოლოგიურ ცვლილებას და კორექტირებას გამრავლების პროცესში. III დემოლოგიური გადასვლა შესაძლოა უფრო მეტად იყოს დამოკიდებული ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებულ სოციალურ და უფრო კონკრეტულ დემოლოგიურ პოლიტიკაზე.

5.3. ცალკე შევჩერდეთ საერთაშორისო მიგრაციაზე.

საერთაშორისო მიგრაცია შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე კუთხით, რამდენიმე თვალსაზრისით: 1. მიგრანტთა ინტერესებიდან გამომდინარე; 2. იმ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საიდანაც ხდება მიგრაცია და 3. იმ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელშიც ხდება მიგრანტთა შესვლა.

რა თქმა უნდა, ნებაყოფლობითი მიგრანტი მოძრაობს უფრო მაღალი ცხოვრების დონის მისაღწევად. A-დან B-ში ის გადაადგილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ B-ში ის ცხოვრების უფრო მაღალ დონეს იპოვის, ვიდრე A-შია.

როდესაც მიგრირებენ მაღალკვალიფიციური მუშები, სპეციალისტები, მაშინ ეს დიდი დანაკლისია ქვეყნისათვის, რადგან ისინი ქმნიან მაღა-

ლი ხარისხის და მაღალი ღირებულებების ეროვნულ პროდუქტს და ამავე დროს სახელმწიფომ მათ გაზრდასა და სწავლებაში გარკვეული თანხა დახარჯა. ე.ი. ქვეყანა, საიდანაც ხდება მიგრაცია, დიდ ზარალს განიცდის, მით უმეტეს, ღარიბი ქვეყანა, რომელიც არ არის განებივრებული მაღალპროფესიული კადრებით. ხოლო ქვეყანა, რომელშიც ისინი შედიან საცხოვრებლად – იგებს. ის თითქოს ართმევს იმიგრანტების ქვეყანას ყველაზე მნიშვნელოვან სიმდიდრეს, ხდის ნაღებს თავისთვის.[70]

ყველაზე დიდი, ძვირადღირებული კაპიტალი დღეს ხომ ცოდნაა, ინტელექტია. საზოგადოება ამის გამო არ გამოთქვამს ხოლმე წუხილს, შეიძლება იმიტომაც, რომ ის ითვალისწინებს ინდივიდთა, მიგრანტთა თავისუფლებას, უფლებას, თვითონ აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი და თვითონ განსაზღვროს თავისი ცხოვრება. როგორც აღნიშნავს ა. სოვი, ერთმა ქვეყანამ მეორეს რომ წაართვას, ვთქვათ ხორბალი, ოქრო ან მანქანები, ეს დიდ აღშფოთებას გამოიწვევდა და შეიძლება ომსაც კი.[70]

ეს პრობლემა, ალბათ უნდა იყოს სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულების საგანი, რომელიც გარკვეულ კომპენსაციებს გაითვალისწინებდა. მაგალითად, იმ განვითარებულმა ქვეყანამ, რომელმაც მიიღო კვალიფიციური მუშახელი ნაკლებად განვითარებული ქვეყნიდან, საკომპენსაციოდ გაუწიოს ეკვივალენტური ტექნიკური დახმარება ამ უკანასკნელს. მით უფრო მაშინ, როდესაც ქვეყანას ჭირდება დამხმარე სამუშაო ძალა და იღებს ზომებს მიგრანტთა შემოსასვლელად.

არის მეორე მხარეც, მეორე მოსაზრებაც. ნაწილობრივი კომპენსაცია ხდება, როდესაც მიგრანტი თავის ქვეყანაში იწყებს იქ გამომუშავებული ფულის გაგზავნას. თანაც, მიგრანტი, როდესაც ის ფულს გამოიმუშავებს, ამ ფულიდან ხარჯავს თანხას მხოლოდ პირველი საჭიროებისათვის (საკვები პროდუქტი, ჩასაცმელი, კომუნალური ხარჯები და ა.შ.), და სახლში აგზავნის თანხის იმ ნაწილს, რომლის დახარჯვაც გაცილებით უფრო მომგებიანი, საინტერესო იქნება იმ ქვეყნისათვის, სადაც ის მუშაობს, რადგან ფულის ეს ნაწილი უფრო ძვირი მომსახურებისა და საგნებისათვის არის განკუთვნილი. ემიგრანტთა სამშობლო კი ასევე იგებს იმითაც, რომ ქვეყანაში შემოსული და დატრიალებული ვალუტით მას შეუძლია სტრატეგიული რესურსების ყიდვაც (მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ შემოსული ვალუტის მასშტაბებს, თუნდაც ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა).

მიგრაციული პროცესების სრულყოფილი ანალიზისა და შეფასებისათვის ცალკე, თუნდაც ზოგადად განვიხილოთ როგორია საერთაშორისო

მიგრაციული პროცესების ტენდენცია. მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ შობადობის დაბალი დონის გამო მიგრაცია ყველაზე მეტად შეეხო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას. ზოგიერთი ამ მოვლენას იმიგრაციულ ცუნამსაც უწოდებს. ამასთან, საქმე ის არის, რომ იმიგრაციის ცუნამი გამოწვეულია არა ევროპის ერების მოძრაობით, არამედ იმიგრაციული ნაკადებით აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან. ცნობილი პოლიტოლოგი, წიგნის – „ცივილიზაციათა შეხლა“ – ავტორი, სემუელ ჰანტიგტონი მიიჩნევს, რომ ადამიანები იყოფიან უკვე არა შემოსავლის დონის, არა იდეოლოგიის, არამედ ეთნიკური წარმომავლობისა და იდენტიფიკაციის მიხედვით.

უცებ აღმოჩნდა, რომ მილიონობით არა წარმოშობით ამერიკელს შორის, 1/3 არეალეგალური იმიგრანტია. უფრო მეტიც, მათგან ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანი, სწორედ იმ რეჟიმებისა და დიქტატურების ერთგულები არიან, რომლებთანაც შეერთებული შტატები ომობს.

1969 წელს, როცა რიჩარდ ნიქსონმა დადო ფიცი, ამერიკის შეერთებულ შტატებში 9 მილიონი არაამერიკული წარმოშობის მცხოვრები იყო. უმცროსი ბუშის პრეზიდენტობის დროისათვის ეს რიცხვი 30 მილიონი გახდა. ე.ი. 30-35 წელიწადში 21 მილიონით გაიზარდა (ე.ი. სამჯერ).

ყოველწლიურად შტატებში თითქმის 1 მილიონი ოფიციალური იმიგრანტი, ხოლო 0,5 მილიონი არაოფიციალური იმიგრანტი ჩადის. ვარაუდობენ, რომ დღეს ამერიკაში დაახლოებით 11-21 მილიონი არალეგალური იმიგრანტი უნდა იყოს.

მაგრამ ემიგრაციის ეს დიდი ნაკადი, ხალხთა ეს დიდი მასშტაბური გადასახლება შტატებში გამოწვეულია არა ევროპის ერებით, არამედ ემიგრაციით აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან. ამ ქვეყნებიდან გადასახლებულები, კი, სულაც არ ითქვიფებიან და არ ერწყმიან ადგილობრივ ერებს.

1960-იანი წლების ბოლოს არაევროპელი წინაპარი ჰყავდა 16 მილიონ ამერიკელს, ე.ი. 40 წელიწადში ეს რაოდენობა თითქმის 70 მილიონით გაიზარდა. და დღეს ის დაახლოებით 85 მილიონი გახდა ე.ი. წარმოიდგინეთ, რამხელა ტრანსფორმაცია განიცადა ერმა უმოკლეს პერიოდში. უკვე ბ. კლინტონმა განუცხადა ერთ-ერთ შეხვედრაზე სტუდენტებს, რომ მალე ევროპული წარმოშობის ამერიკელები უმცირესობაში იქნებოდნენ, და რომ მსოფლიოს არცერთი ნაცია არ განიცდის ასეთ გლობალურ დემოლოგიურ ძვრებს, ასეთ მოკლე პერიოდში. მართალია, კლინტონი თვლიდა, რომ ეს დადებითი მოვლენაა და სწორედ ეს არის წარმატების საწინდარი. ამერ-

იკის მომავალი გაფურჩქვნის საწინდარია სწორედ ის, რომ მოიშორონ ეს უპირატესობის და საკუთარი „მიკუთვნების“ განცდა. კლინტონი ასე თვლიდა, მაგრამ ბევრს ამერიკაში მიაჩნია, რომ ასეთი უმართავი იმიგრაცია უდიდეს საფრთხეს უქმნის ქვეყანას. ის მას გადააქცევს სხვადასხვა, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ხალხის ქაოტურ შეკრებად, როცა მათ არა აქვთ საერთო არაფერი – არც საერთო ისტორია, არც საერთო კულტურა, არც რწმენა, არ ჰყავთ არც საერთო წინაპარი.[9]

უაღრესად პრობლემატურია აშშ-თვის მიგრანტთა დიდი ნაკადი მექსიკიდან. ეს მათთვის განსაკუთრებით სერიოზული თემაა. თითქოს მექსიკელები ყველაზე ახლო მეზობლები არიან და თუნდაც მათი ჩამოსახლებით, სერიოზული პრობლემები არ უნდა შეიქმნას. ისინი, თითქოს ერთი შეხედვით ხომ უფრო ახლობლები უნდა იყვნენ, ვიდრე ევროპელებიც კი, მაგრამ ეს ზედაპირული შეხედულებაა. მათ არა მარტო „განსხვავებული“ კულტურა აქვთ, არამედ თავის მასაში ისინი განსხვავებულ რასას განეკუთვნებიან, ხოლო ისტორია და საყოფაცხოვრებო გამოცდილება აჩვენებს, რომ სხვადასხვა რასის ხალხის ასიმილერება გაცილებით ძნელია, ვიდრე ერთი რასის. ამერიკაში დაახლოებით 60 მილიონ ადამიანს აქვს გერმანულ წარმოშობაზე პრეტენზია და ისინი სრულად შერწყმულები არიან აშშ-ში. ამას, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით აზიიდან, აფრიკიდან და ვერც მექსიკიდან გადმოსახლებულებზე. დღეს მექსიკელები ცდილობენ ამერიკაში შექმნან თავისი განსხვავებული ესპანურენოვანი კულტურა (მიგრანტთა ნაწილი შეგნებულად არ სწავლობს ინგლისურ ენას და ამით ამაყობს კიდეც). მათ აქვთ საკუთარი ტელევიზია, რადიომაუწყებლობა, გაზეთები, ჟურნალები, ქმნიან თავიანთ ფილმებს. მოკლედ, ფაქტიურად ცდილობენ ჩამოყალიბდნენ, როგორც ნაცია ნაციაში, ნაციის შიგნით.

ეს ძალიან დამაფიქრებელი ხდება, თუ გავიხსენებთ, რომ საზღვარი მექსიკასა და შტატებს შორის დაახლოებით 2 ათასი მილი, ანუ დაახლოებით 3200 კმ-ია. ამიტომაც არის იმიგრანტთა ყველაზე დიდი ნაკადი სწორედ მექსიკიდან. მარტო 1990-იანი წლების განმავლობაში ამერიკის იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებსაც მექსიკური წარმოშობა აქვთ, გაიზარდა ორჯერ და 24-25 მილიონს მიაღწია. აქ არ ითვლება დაახლოებით 8-10 მილიონი არალეგალურად მცხოვრები ე.წ. ლათინოსი. ექსპერტული შეფასებით, ყოველწლიურად ქვეყანაში შეღწევას ახერხებს 1,6 მილიონი არალეგალი (ოფიციალური სტატისტიკით, ამერიკა-მექსიკის საზღვარს ყოველწლიურად კვეთს 100 მილიონამდე ადამიანი (აქ შედის ყველა სახის ოფიციალური, მათ შორის ქანქარისებური მიგრაციაც). 1,6 მილიონ

არალეგალურ მიგრანტთან დაკავშირებით, ძალიან საინტერესო კითხვებს სვამს სემუელ ჰანტინგტონი: თუ ამერიკის საზღვარს გადმოკვეთს იგივე რაოდენობის, ანუ მილიონზე მეტი მექსიკელი ჯარისკაცი, ეს ხომ აღიქმებოდა, როგორც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისათვის უდიდესი საფრთხე და რეაქციაც ადექვატური იქნებოდა. მაგრამ მას ასევე დიდი საფრთხის შემცველად მიაჩნია, მილიონზე მეტი მექსიკელის მშვიდობიანი, თითქმის სანქცირებული შემოჭრა. ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე და მკვლევარი პატრიკ ბიუკენენი თვლის, რომ მტრულ შემოჭრასა და იმიგრაციას შორის მხოლოდ ერთი განსხვავებაა: შემოჭრილი მტერი მოვა და წავა, იმიგრანტები კი რჩებიან.[9]

აშშ-მექსიკას შორის არსებულ ამ პრობლემას მნიშვნელოვნად ართულებს ისიც, რომ მექსიკელები თვლიან, რომ ამერიკამ მიიტაცა მათი კანონიერი ტერიტორიის თითქმის ნახევარი. მაგალითად, ტეხასის შტატი, რომელიც, მართლაც, მე-19 საუკუნის შუახანებამდე (1845 წელი) მექსიკის კუთვნილება იყო (1821 წელს, როდესაც მექსიკამ დამოუკიდებლობა მოიპოვა ესპანეთისაგან, შესთავაზა აშშ-ის მოსახლეობას დაესახლებინათ მექსიკის ჩრდილოეთი შტატი – ტეხასი – ორი პირობით: 1) მიიღონ რომის კათოლიკური რწმება და 2) ფიცი დადონ მექსიკის ერთგულებაზე. სწორედ ასეთი პირობით დასახლდნენ მექსიკაში ამერიკელების პირველი ათასეულები. იგივე პრეტენზიებია კალიფორნიის შტატის მიმართაც. აქ კიდევ უფრო დიდი ნაკადია მექსიკელი მიგრანტების. კალიფორნიის აგრარულ წარმოებაში დაახლოებით 90%-ს მექსიკელები ამუშავებენ. კალიფორნიაში კი, მთელი აშშ-ის აგრარული პროდუქტის დაახლოებით 1/3 იწარმოება. მეორე მხრივ, მექსიკა აშშ-ის საქონლის მომხმარებელ ქვეყანათა შორის, კანადის შემდეგ მეორე ადგილზე რჩება.

სეპარატიზმის, ნაციონალიზმის სულისკვეთება ძალიან მაღალია მიგრანტთა შორის. ამერიკის ამ ორ შტატში მოქმედებს ბევრი ლათინოამერიკული ორგანიზაცია, მათ შორის სტუდენტურიც, რადიკალურიც და ძალიან რადიკალურიც. ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ „მოახდენენ ამერიკის ხელახალ კოლონიზაციას“, „მოვიდა დრო, მივიღოთ ის. რაც სამართლიანად ჩვენ გვეკუთვნის“, :მოვითხოვთ დაგვიბრუნოთ ჩვენი მიწები, რადგან ისინი ყოველთვის ჩვენ გვეკუთვნოდა“, „თუ ვინმეს დეპორტირება მოხდება აქედან, არა ჩვენი, არამედ თქვენი – ამერიკელების“ და ა.შ. ასევე არის მოსაზრება და მზადება, რომ შეიქმნას ახალი „ატლანა“ დედაქალაქით ლოს-ანჟელესში და რომ ეს აუცილებლად მოხდება. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იქმნება ევროპაში.

ოფიციალური პროგნოზით, განვითარებული დასავლური სახელმწიფოების უმეტესობა იძულებული იქნება თავისი ერთიანი შიდა პროდუქტის 10-16% დახარჯოს თავისი მოქალაქეების სიბერის უზრუნველსაყოფად. ეს აუცილებლად გამოიწვევს გადასახადების გაზრდას დღევანდელი 20-25%-დან 40%-მდე მაინც (თითოეული ხელფასიდან, რა თქმა უნდა). ეს, რა თქმა უნდა, მძიმე შედეგების მომტანი იქნება. ამას ხშირად ადარებენ ბირთვულ ზამთარს და ამბობენ, რომ ასეთი დემოგრაფიული ვითარება იქნება ბირთვული ზამთრის ფინანსური ეკვივალენტი. თუ ევროპას სურს შეინარჩუნოს თავისი სოციალური უზრუნველყოფის ქსელი, ამისათვის არის მხოლოდ სამი ვარიანტი:

1. ფულის ახალი ტრილიონები იშოვოს ახალი გადასახადების ხარჯზე;
2. მიაღწიოს იმას, რომ ქალებმა დაბადონ სულ ცოტა, ორჯერ და სამჯერ მეტი ბავშვი და
3. ყოველწლიურად მიიღოს მილიონობით იმიგრანტი სხვა ქვეყნებიდან.

ასე, რომ დასავლეთი საკმაოდ მკაცრი არჩევანის წინაშეა.

როგორც ვარაუდობენ, თუ ცხოვრების სტანდარტები მნიშვნელოვნად არ გაუარესდება, ევროკავშირის ქვეყნებს ელოდება იმიგრანტთა ნაკადის 60%-იანი მატება. ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს სოციალური დაძაბულობის გაზრდას და ასევე, ფაქიზი რასობრივი წონასწორობის დარღვევას.

თუ 1950-იანი წლებისათვის ევროპის მოსახლეობა თითქმის ორჯერ ჭარბობდა აფრიკის მოსახლეობას, ევროპაში დაბალი შობადობის გამო, 1980-იანი წლებისათვის ეს რაოდენობა გათანაბრდა, ხოლო დღეს უკვე აფრიკის მოსახლეობა ჭარბობს ორჯერ ევროპის მოსახლეობას. დემოლოგიური პროგნოზით, 2050 წლისათვის აფრიკის მოსახლეობა სამჯერ გადააჭარბებს ევროპის მოსახლეობას: აფრიკის მოსახლეობა დაახლოებით 1,5 მილიარდამდე გაიზრდება, ხოლო ევროპის მოსახლეობა 0,5 მილიარდამდე შემცირდება. 1960 წელს ევროპული წარმოშობის მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის ¼-ს შეადგენდა, 2006 წელს – უკვე 1/6-ს, პროგნოზით კი, 2050 წლისათვის ის 1/10-მდე შემცირდება. დიდი ალბათობაა, რომ ასეთი პროცესები აუცილებლად მოიტანს ეროვნული სახელმწიფოების კრიზისს და კიდევ უფრო გააძლიერებს გლობალიზაციის პროცესს. ამავე დროს, ეროვნული მთავრობების შესუსტების პარალელურად, ეს უთუოდ გამოიწვევს მსოფლიო მთავრობების შექმნას და გაძლიერებას, როგორც ადრე უკვე აღვნიშნეთ, არსებული ეროვნული სახელმწიფოების ნაცვლად, ტერ-

იტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის სხვადასხვა პრინციპზე აგებული, ახალი რეგიონალური სახელმწიფო გაერთიანებების შექმნას.

შობადობის დაბალი დონე იწვევს ნეგატიურ დემოლოგიურ და ზოგადად, სოციალურ მოვლენებსაც. გაეროს მონაცემებით, თუ ევროპაში შობადობის დონე არ აიწევს, 15 წლამდე ევროპელი ბავშვების რაოდენობა 2050 წლისათვის შემცირდება დაახლოებით 40%-მდე, ანუ 87 მილიონ ადამიანამდე, ხოლო 65 წელს გადაცილებულთა რაოდენობა ორჯერ გაიზრდება და თითქმის 170 მილიონს მიაღწევს. ალფრედ სოვი მიიჩნევს, რომ ევროპა დგას დიდი რისკის წინაშე – გადაიქცეს მოხუცების კონტინენტად, რომლებიც იცხოვრებენ ძველ სახლებში და დამძიმებული იენებიან ძველი იდეებით.[70]

შობადობის დღევანდელი ტემპის შენარჩუნებით, ევროპა იძულებული იქნება დაახლოებით 170 მილიონი იმიგრანტი მიიღოს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს დღევანდელი ასაკობრივი სტრუქტურა, უპირველეს ყოვლისა კი, თანაფარდობა 15 წლამდე ასაკისა და 65 წელზე უფროსი ასაკის ასაკობრივ ფენებს შორის. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ევროპა გადაწყვეტს შეავსოს მოსახლეობის ბუნებრივი კლება (შობადობის დღევანდელი დონის შენარჩუნების შემთხვევაში), ის იძულებული იქნება აფრიკის თუ აზიის კონტინენტებიდან მიიღოს დაახლოებით 1,5 მილიარდამდე იმიგრანტი.

სხვა მკვეთრად უარყოფით შედეგებთან ერთად, ამას ის უარყოფითი შედეგიც შეიძლება ჰქონდეს, რომ თუ დღევანდელი დემოლოგიური ვითარება გაგრძელდა, ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება – ახალგაზრდობის წილის მკვეთრი შემცირება და ხანშიშესულთა რაოდენობის კიდევ უფრო მკვეთრი ზრდა – გამოიწვევს სერიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებსაც. როგორც მიიჩნევენ, ევროპა დადგება არჩევანის წინაშე: ან მკვეთრად უნდა შეამციროს ხანშიშესულთა პენსიებისა და მკურნალობის, სოციალური შეღავათების სიდიდე და გაადიდოს გადასახადები, ან გადაიქცეს „განვითარებადი, მესამე სამყაროს კონტინენტად“. ასეთია ძალიან სამწუხარო, მაგრამ რეალური არჩევანი რომლის წინაშეც დღეს დგას ევროპა. როგორც პ. ბუკენენი აღნიშნავს, ეს არ არის ფუჭი წინასწარმეტყველება, ყავაზე მკითხაობა. ეს არის მათემატიკა.[9] პირველ, ევროპულ, დასავლურ სამყაროს მოეთხოვება, ასეთ რთულ სიტუაციაში გარდატეხის შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უთუოდ აჯობებს „მეტოქე“ – მესამე სამყარო, რომელიც უკვე ხუთჯერ მეტია მასზე, ხოლო 2050 წლისათვის უკვე 10-ჯერ მეტი იქნება.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი კოლოსალური დემოლოგიური ცვლილებები და მათ შედეგად სოციალურ-ეკონომიკური, და რა თქმა უნდა, პოლიტიკურიც (მათ შორის და განსაკუთრებით – საგარეო პოლიტიკურიც) გამოწვეულია უმთავრესად შობადობის მკვეთრი შემცირებით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დაისვას მთავარი კითხვა: რამ გამოიწვია და რა იწვევს დღესაც შობადობის ასეთ შემცირებას? საყოველთაოდ ცნობილია, რომ შობადობის დონის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობა ანუ მოსახლეობის, საზოგადოების დამოკიდებულება შვილების ყოლისა და მათი მოვლისადმი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროპაში მასობრივი იმიგრაცია უკვე დაწყებულია. 2000 წელს, მხოლოდ ერთ წელიწადში დიდმა ბრიტანეთმა 180 ათასი იმიგრანტი მიიღო. 1999, 2000, 2001 წლების და ალბათ შემდგომი წლების განმავლობაში ევროკავშირის ტერიტორიაზე, 0,5 მილიონზე მეტი მხოლოდ არალეგალური იმიგრანტი შედის. დღეს ალბათ, მიუხედავად შეშვების გამკაცრებისა, ეს რაოდენობა კიდევ უფრო მეტია.

დღეს ევროპაში შედის მილიონობით ადამიანი აფრიკიდან, ახლო აღმოსავლეთიდან. რა თქმა უნდა, მათ თან მოაქვთ არაბული, ისლამური კულტურა, ტრადიციები, რწმენა და ისინი ევროპის შუაგულში ქმნიან თავისი მშობლიური სამყაროს ზუსტ ასლებს.

პორტუგალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიის მოსახლეობა სწრაფად მცირდება, სამაგიეროდ, ზღვის გადაღმა, მაროკოში, ალჟირში, ტუნისში, ლიბანში, ეგვიპტეში, მოსახლეობა სწრაფად იზრდება. მაგალითად, ეგვიპტეში 80-იანი წლების დასაწყისში მოსახლეობა 44 მილიონი იყო, უკვე 20 წელიწადში ის უკვე 64 მილიონი გახდა, ე.ი. 20 მილიონით მოიმატა, 2016 წელს გახდა 93,4 მილიონი, ე.ი. 30 წლის განმავლობაშიორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

მწვავედ დგას ეს პრობლემა გერმანიაშიც, დღეს გაერთიანებულ გერმანიაში თითქმის 80,7 მილიონიანი მოსახლეობის 1/10 იმიგრანტია.

ასეთივე მძიმე პრობლემის წინაშე აღმოჩნდება რუსეთიც. მისი მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება. ვარაუდობენ, რომ 2050 წლისათვის ის 80 მილიონამდე დავა. 2016 წლის მონაცემებით, რუსეთში ცხოვრობს 143,4 მილიონი ადამიანი, მაშინ, როდესაც ასე ძლიერად იზრდება ჩინელების რაოდენობა.

შორეულ აღმოსავლეთში, ჩინეთის საზღვრის მახლობლად, სულ 8 მილიონი რუსი ცხოვრობს. მხოლოდ კუნძულ ჩუკოტკაზე, რომელიც სამ-

ჯერ მეტია დიდი ბრიტანეთზე, მოსახლეობა 60 ათასამდე შემცირდა და გარკვეული პროგნოზებით მალე 20 ათასამდეც დავა.

პარალელურად, ვარაუდობენ, რომ 2050 წლისათვის რუსეთის მოსახლეობას გაუტოლდება ირანის მოსახლეობა. ამის შედეგად, ზოგიერთი დემოლოგი ვარაუდობს, რომ რუსების მიერ აზიის დატოვება გარდუვალია. ასევე ვარაუდობენ, რომ 2050 წლისათვის რუსეთი დაკარგავს ციმბირის დიდ ნაწილს და ასევე იძულებული იქნება დატოვოს კავკასიაც.

რა თქმა უნდა, როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაშიც, ასეთი დიდი მიგრაციული პროცესების და აქედან გამომდინარე, მკვიდრი ერების წინაშე გაჩენილი გლობალური საფრთხის ძირითად მიზეზია ამ ერებსა და ქვეყნებში შობადობის ვარდნის მკვეთრად გამოხატული ტენდენცია. შობადობის მკვეთრ (და ზოგიერთი ქვეყნისათვის კატასტროფულიც) ვარდნას კი თავისი მიზეზები აქვს, რომელზედაც დღეს უკვე მწვავედ ლაპარაკობენ როგორც ევროპელი, ისე ამერიკელი დემოლოგები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები თუ პოლიტიკოსები. სულ უფრო მეტად უკავშირებენ ასეთ ტენდენციას ე.წ. „დასავლურ კულტურულ რევოლუციას“.

თავი VI. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

6.1. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა

სანამ გადავიდოდეთ საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის უშუალოდ განხილვაზე, მოკლედ აღვნიშნოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზოგადად, მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას.

დღეს, ზოგჯერ ცდილობენ, რომ „ერი“, „ეროვნება“, „ეროვნული კუთვნილება“, „რასა“ წარმოაჩინონ პოლიტიკურად არაკორექტულ ტერმინებად. სინამდვილეში ეს ასე არ არის, დღეს სულ უფრო მეტი დასავლელი და აღმოსავლელი მეცნიერი მიდის იმ აზრამდე, რომ ეროვნებებს, რასებს შორის განსხვავების პრობლემის განხილვა რასისტულ ხასიათს ატარებს მაშინ, თუ ამ განსხვავების განხილვისას რომელიმე მათგანის უპირატესობას ამტკიცებენ, ან ამტკიცებენ საკუთარ უპირატესობას, განსაკუთრებულობას და ამავდროულად, ამცირებენ სხვა ხალხს, სხვა რასას, მათ ღირსებას, მათ თავმოყვარეობას.

მაგრამ ეს ტერმინები – ეროვნული შემადგენლობა, ეროვნული კუთვნილება და მსჯელობა მათ შესახებ სრულიად დასაშვებია, როდესაც ამას ვხმარობთ, როგორც გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი, თანამედროვე გენური ინჟინერიის ერთ-ერთი შემქმნელი სტივენ ოპენჰეიმერი ამბობს „ადამიანთა მოდგმის მრავალფეროვნების პოზიტიური შეფასებისათვის“.[56]

როგორ შეიძლება თვალი დავხუჭოთ განსხვავებულ გეოგრაფიულ გარემოებებზე, ისტორიაზე და ამის გამოც წარმოქმნილ ხასიათის, ფსიქოლოგიის, ემოციურ-ფსიქოლოგიური ქცევის, ჩვევების, ტრადიციების დაუსრულებელ მრავალფეროვნებაზე. ანდა რატომ დავხუჭოთ თვალი ამ დიდებულ, მართლაც ღვთიურ მშვენიერებაზე, მრავალფეროვნებაზე. ეს ხომ დიდებულია, ეს ხომ ჩვენი პლანეტის სიმდიდრეა, ჩვენი რეალური გარემოა. მე ვფიქრობ, არამცთუ თვალი უნდა დავხუჭოთ, არამცთუ მათ ნიველირებას უნდა ვეცადოთ და ეს ყალბად გაგებული თანამედროვეობით, პროგრესულობით შევზღუდოთ, არამედ რაც შეიძლება ღრმად უნდა გავერკვეთ ამ მრავალფეროვნებაში, აღვიქვათ, გავიაზროთ, გავაანალიზოთ ის და ყველაფერი ეს, ხალხის, ადამიანის სასარგებლოდ გამოვიყენოთ, ნამდვილი, ჭეშმარიტი პროგრესის შესაქმნელად გამოვიყენოთ, სამყაროს განვითარების პოტენციალის უკეთ გასაგებად, შესაქმნელად და განსავითარებლად გამოვიყენოთ. ეს რა თქმა უნდა, ბევრად რთული ამოცანაა. მაგრამ, ვფიქრობ, სწორედ ასეთი მიდგომა არის სწორი. ყოველ-

გვარი მრავალფეროვნების უგულებელყოფა, ნიველირების მცდელობა, ჩემი აზრით, ყოველთვის პრიმიტივიზმია და ზერელე, სუსტი აზროვნების შედეგი. ან ანგაჟირებული, რაღაც კონიუნქტურული წამხედურობით ნასაზრდოები პოზიცია.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მნიშვნელობაზე საუბრისას საჭიროა გავითვალისწინოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

1. **დემოლოგიური ასპექტი.** სხვადასხვა დემოლოგიური ქცევა სხვადასხვა ერში, ეთნიკურ ჯგუფში. ეს დამოკიდებულია სხვადასხვა ერის წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე, კულტურის დონეზე. ამის მიხედვით სხვადასხვაა შობადობა, მოკვდაობა, ქორწინებითი სტრუქტურა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურაც კი.
2. **ყოფითი ურთიერთობები.** სხვადასხვა წესის, ტრადიციის, ემოციურ-ფსიქოლოგიური განვითარების, ენის პრობლემები.
3. **სხვადასხვა რელიგია,** ანუ მსოფლმხედველობა. ეს მოქმედებს როგორც დემოლოგიაზე, ასევე სოციალურ, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.
4. **პოლიტიკური.** ამ ასპექტებით ნასაზრდოები პოლიტიკური მიზნები. ზოგჯერ ამა თუ იმ ერის, კონფესიის ფარული თუ გაცხადებული სტრატეგიული ინტერესები. ამ ნიადაგზე კონფლიქტების წარმოქმნის საშიშროება და ა.შ.

ჩვენ მოკლედ და ზოგადად ვილაპარაკეთ ეროვნულ შემადგენლობაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და თავად დემოლოგიური თვალსაზრისით.

ახლა განვიხილოთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. ვნახოთ, კონკრეტულად რომელი ერები ქმნიან საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ სურათს. როდიდან და როგორ ვითარდებოდნენ ისინი დემოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს შემადგენლობაში. როგორი პროცესები გაიარეს მათ.

სხვადასხვა ერის გაჩენას საქართველოში, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ისტორია და წინაპირობა აქვს. ასევე განსხვავებულია საქართველოში მათი განვითარების დემოლოგიური პერიოდიზაციაც. სამართლიანობა მოითხოვს და აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საუკუნეების განმავლობაში, საქართველოში სხვადასხვა ერის მიმართ, სხვადასხვა დამოკიდებულება ყალიბდებოდა. ზოგიერთებთან უფრო ტოლერანტული, ზოგიერთებთან – უფრო რთული, ზოგჯერ საჭირო ხდებოდა მათი ძალით ჩახშობაც კი.

ვნახოთ, ვინ ქმნის საქართველოში მოსახლეობის ძირითადად ეროვნული შემადგენლობის სურათს.

6.2. აზერბაიჯანელები საქართველოში. თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ძვ.წ.ა. **IX** საუკუნეში შეიქმნა მონათმფლობელური სახელმწიფო მანა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ძველაზერბაიჯანული ტომების პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული კონსოლიდაციის საქმეში.

მანას სახელმწიფოს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ მიდიელი ტომები, რომელთა პირველი პოლიტიკური გაერთიანება წარმოიქმნება ძვ.წ.ა. IX-VIII საუკუნეებში. როგორც „მიდიის სამეფო“, იგი ძვ.წ.ა. 672-669 წლებს შორის არის პირველად მოხსენიებული. ის, ძველი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. მან ბოლო მოუღო სკვითების ბატონობას მიდიაში (652-625). ამ დროისათვის სკვითების უმრავლესობა ჩრდილო კავკასიაში გადასახლდა. შემდეგ მან დაიპყრო მანას სახელმწიფო, დაამხო ასურეთის მრავალსაუკუნოვანი ჰეგემონია. დაიპყრო ურარტუს ძლიერი სამეფოც. მაგრამ ძვ.წ.ა. 553 წელს მას აუჯანყდა მის შემადგენლობაშ მყოფი სპარსეთი და ბოლო მოუღო მიდიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. მიდიის დამოუკიდებლობა ისევ აღსდგა, როდესაც სპარსეთის სახელმწიფო დაამხო ალექსანდრე მაკედონელმა.

მიდიის ახალი სამეფო ძველი მიდიის მხოლოდ ნაწილს მოიცავდა, რომელიც ისტორიაში ცნობილია მიდია-ატროპატენის ან ატროპატენის სახელწოდებით. მიდია-ატროპატენს ეკავა თანამედროვე აზერბაიჯანის სამხრეთი ტერიტორია და კავკასიის ალბანეთს ემეზობლებოდა.

ატროპატენა მეცნიერებაში ცნობილი აზერბაიჯანის უძველესი სახელწოდებაა, რომელიც ბერძნულმა წყაროებმა შემოგვინახა. სპარსელებთან მან მიიღო ფორმა „ადერ-ბაიდაგან“, სომხებთან – „ატერ-პატაკან“ და „ატრ-პატაკან“, არაბებთან – ადერბაიჯან“ და „აზერბაიჯან“, რაც ნიშნავს „ცეცხლის ქვეყანას“ და დაკავშირებული იყო აქ ცეცხლთაყვანისმცემლობის ფართო გავრცელებასთან. ქართულ წყაროებში ის „ადარ-ბადაგანის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

აზერბაიჯანელი ხალხი შეიქმნა აღმოსავლეთ კავკასიის უძველესი ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების (მიდიელები, ალბანები, კასპიელები) და ჩამოსული, ასიმილირებული ტომების საფუძველზე. ჩვ.წ.ა. პირველ საუკუნეებში აზერბაიჯანის მოსახლეობა იბრძოდა რომაელების შემოსევების წინააღმდეგ. III საუკუნის დასაწყისში ქვეყნის ნაწილი დაიპყრო სასანისტურმა სპარსეთმა. VII საუკუნის ბოლოს ის დაიპყრეს არაბებმა.

სრულიად ახალი ერა იწყება აზერბაიჯანის ცხოვრებაში XI საუკუნიდან. ამ საუკუნის მეორე ნახევარში აზერბაიჯანი, ირანი (ალბანეთი) , შირვანი და სხვა ქვეყნები დაიპყრეს თურქულენოვანმა ოღუზების ტომებმა. XI საუკუნის ბოლოს მათ სელჩუკები დაესხნენ, ხოლო XIII საუკუნეში მონღოლები. XVII-XVIII საუკუნეებში მათ ისევ განიცადეს საშინელი თავდასხმები სპარსელებისაგან. შემდეგ, XIX საუკუნეში გიულისტანის (1813 წ.) და თურქმანჩაის (1828 წ.) ე.წ. ხელშეკრულებით აზერბაიჯანის ჩრდილოეთი ნაწილი რუსეთმა მიიერთა.

თვით ცნება „აზერბაიჯანი“ იმ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რომლებიც 1920-იან წლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა, მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა და დამკვიდრდა 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისას.

დღეს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების წინაპრები აქ XV საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოვიდნენ. მათი ჩამოსახლება ძირითადად დაკავშირებულია მაჰმადიანური სახელმწიფოების აგრესიასთან და მომთაბარე ხალხების გამუდმებულ შემოსევებთან.

ყველაზე მეტად დაზიანდა ქვემო ქართლი. სწორედ ამ ტერიტორიაზე ასახლებდნენ ყველაზე ხშირად როგორც ირანელი, ასევე თურქი დამპყრობლები თურქმანულ ტომებს. ეს ტომები თანდათან იკავებდნენ უპირველეს ყოვლისა, ბრძოლისაგან დაცარიელებულ სოფლებს. XV საუკუნის ბოლოს, 1478 წელს, ირანის შაჰმა ქართლში დატოვა თათრის ელები, ე.წ. მომთაბარე მეჯოგე ტომები. ეს საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა სხვადასხვა შაჰის მიერ.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი იყო შაჰ-აბასის მიერ XVII საუკუნის დასაწყისში განხორციელებული ჩამოსახლება. ქვემო ქართლის დებედის ხეობა მან პირდაპირ აყარა, ტერიტორია საქართველოს ჩამოაჭრა და აქ მთლიანად ბორჩალოს თურქმანული ტომები დაასახლა. ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით, სწორედ ამიტომ ეწოდა მას „ბორჩალუ“. დროდადრო იმართებოდა მათგან გასაწმენდად ომები (მაგალითად, მარტყოფის ბრძოლა, რომელმაც პრაქტიკულად ჩაშალა ქართული სამეფოების სახანოებად გადაქცევის გეგმა).

მოგვიანებით ეს ტომები თანდათან უფრო გადაადგილდნენ ქართლის შიგნით და მიაღწიეს დმანისს, ალგეთის ხეობას, შულავერის ხეობას და აქ უამრავი სოფელი შექმნეს. როგორც ვთქვით, ქართველი მეფეები

არ ურიგდებოდნენ ასეთ მდგომარეობას და დროდადრო სამართლიანობას აღადგენდნენ. მაგალითად, XVIII საუკუნის 50-იან წლებში თეიმურაზ პირველმა ბორჩალოს სახანო, ისევ თავის მმართველობას დაუმორჩილა. შემდეგ ერეკლე მეორემ ის სამოურავოდ აქცია. რუსეთთან შეერთების შემდეგ შეიქმნა ბორჩალოს დისტანცია, რომელიც თბილისის მაზრაში შედიოდა. 1880 წელს კი თბილისის გუბერნიაში შეიქმნა ბორჩალოს მაზრა, ცენტრით დიდ შულავერში (ის მოიცავდა წალკას, თეთრიწყაროს, დმანისს, ბოლნისს, მარნეულს, აზერბაიჯანის და სომხეთის მოსაზღვრე ტერიტორიებსაც).

აზერბაიჯანელების ბუნებრივი მატება ძალიან მაღალია. ბოლო 60 წელიწადში მათი რაოდენობა გაორმაგდა.

2002 წელს ის 284 929 გახდა (საქართველოს მოსახლეობის 6,5%). აქედან ქვემო ქართლში ცხოვრობდა 224,6 ათასი, ე.ი. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ≈79%.

ქვემო ქართლში სულ ცხოვრობდა 497 530 ადამიანი. აქედან ქართველი – 224 450 (≈44%), აზერბაიჯანელი – 224 606 (≈45%).

2014 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში 233 000 აზერბაიჯანელი ცხოვრობდა (6,3%).

6.3. სომხები საქართველოში. სომხეთს მდიდარი ისტორიული წარსული აქვს. მას ჰქონდა სახელმწიფოებრივი აყვავების პერიოდები, როდესაც საკაცობრიო მნიშვნელობის ფასეულობები შექმნა. მაგრამ ამავე დროს, მას ბევრი ტრაგიკული დარბევისა და აწიოკების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის ხშირი და ხანგრძლივი პერიოდებიც გადაუტანია.

ნეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანაში სომხეთის მოსახლეობა უკვე მიწას ამუშავებს და მეცხოველეობასაც ავითარებს. ძვ.წ.ა. IV-V საუკუნეებში სომხეთის ტერიტორიაზე უკვე ლითონის დამუშავება დაიწყო.

სომხების ეთნოგენეზის პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. არსებობს სხვადასხვა ვერსია, ზოგი თვლის, რომ ისინი მოსულები არიან, ხოლო ზოგი კი თვლის, რომ ადგილობრივი წარმოშობის არიან. სომეხი ხალხის საბოლოოდ ჩამოყალიბების ბოლო ეტაპი ალბათ მაინც უფრო სომხეთის სახელმწიფოს შექმნას თანხვდება. ეს დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში შეიძლებოდა მომხდარიყო.

შეიძლება სომხები დასავლეთიდან მოსული ფრიგიელებიც იყვნენ. საინტერესოა ჰეროდოტეს მოსაზრება არმენიელების ეთნოგენეზის შეს-

ახებ: „ფრიგიელები, როგორც მაკედონელები ამბობენ, იწოდებოდნენ ბრიგებად მთელი ის ხანა, სანამ ევროპელები იყვნენ და მაკედონელების მეზობლად ცხოვრობდნენ. ხოლო აზიაში რომ გადავიდნენ მიწა-წყალთან ერთად სახელიც გამოიცვალეს, ფრიგიელები დაირქვეს. არმენიელები, რომლებიც ფრიგიელებისაგან მომდინარეობენ, ფრიგიელების მსგავსად ყოფილან შეიარაღებულნი.

ყველა შემთხვევაში, ენის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სომხები ინდოევროპული წარმოშობის ხალხია. მათ მიერ დაკავებული მდინარე არაქსის მთლიანი ველის ტერიტორია ჯერ იყო ასურელების პროვინცია, შემდეგ მიდიის, ხოლო გვიან, ალექსანდრე მაკედონელის მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ – ბერძნული. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ (ძვ.წ.ა. 323 წ.) სომხეთი სელევკიდების მმართველობაში მოექცა. საბოლოოდ, ხელისუფლებისათვის ბრძოლა 301 წელს იმით დამთავრდა, რომ ალექსანდრეს სამმა მხედართმთავარმა მთელი იმპერია გაინაწილა. წინა აზია, ირანის ვრცელი ტერიტორიით ერთ-ერთ მათგანს – მხედართმთავარ სელევეკოსს ხვდა წილად. სელევკიდთა ვრცელმა სამფლობელომ დაახლოებით ორნახევარი საუკუნე იარსება. სელევკიდთა ბატონობის ხანაში, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა, სომხების მიერ დასახლებულ მიწა-წყალზე სამი მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება ჩამოყალიბდა – მცირე სომხეთი, დიდი სომხეთი და სოფენა. დიდმა სომხეთმა ეს სახელწოდება მცირე სომხეთისაგან განსხვავების მიზნით ძვ.წ.ა. III საუკუნეში მიიღო.

დიდმა სომხეთმა თავის ძლიერებას ტიგრან II დიდის (ძვ.წ.ა. 95-55) მეფობის პერიოდში მიაღწია. მან გააერთიანა მთელი სომხეთი და თავის სამეფოს სოფენაც შეუერთა. მის მფლობელობაში მოექცა კომაგენე, ატროპატენა, დასავლეთი მიდია, ფინიკია, კილიკიის ნაწილი, ანტიოქია და სხვა. მსგავსი პოლიტიკური ძლიერებისათვის სომხეთს შემდეგში არასდროს მიუღწევია.

შემდეგ ტიგრან დიდი რომაელებთან ბრძოლაში დამარცხდა, დაკარგა მიერთებული მიწები და მხოლოდ ეთნიკური საზღვრები შეინარჩუნა. სომხეთში რომის ბატონობა დამყარდა. ამის შემდეგ სომხეთი წელში კარგა ხანს ვეღარ გაიმართა. III საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი ირანის გავლენის სფეროში მოექცა. VII საუკუნის II ნახევარში სომხეთი არაბებმა დაიპყრეს.

XI საუკუნის შუა წლებში სომხეთი უკვე სელჩუკებმა დაიპყრეს. XII საუკუნეში, საქართველოს სამეფოს დახმარებით სომხეთი გათავისუფლ-

და. სომხეთისათვის ასეთივე მძიმე იყო XIII-XIV საუკუნეები, როდესაც ჯერ თათარ-მონღოლთა და თემურ-ლენგის შემოსევებმა ქვეყნის ნგრევა და მოსახლეობის მასობრივი განადგურება მოჰყვა.

XVI–XVIII საუკუნეებში სომხეთი ოსმალეთსა და ირანს შორის ბრძოლის ასპარეზად იქცა. ეს ბრძოლა საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ დასავლეთ სომხეთი ოსმალეთის, ხოლო აღმოსავლეთ სიმხეთი ირანის ხელში გადავიდა. ასე გაგრძელდა XIX საუკუნის დასაწყისამდე.

განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული პირობების გამო, საქართველოში ძველთაგანვე განსაკუთრებული ეთნიკური სიჭრელე იყო. ბუნებრივია, აქედან გამომდინარე, მათთან დამოკიდებულების განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოსათვის თავიდანვე უაღრესად რთული და მნიშვნელოვანი საქმე იყო. ქართველ საზოგადოებას, სახელმწიფოს იმთავითვე შემუშავებული ჰქონდა მის ტერიტორიაზე მიგრაციული პროცესების რეგულირების სათანადო მეთოდები. ძირითადად, ეს დამოკიდებულება შემწყნარებლური, ტოლერანტული იყო, მაგრამ რა თქმა უნდა, განსხვავებულიც იყო, იმიტომ, რომ სხვადასხვა ზნის, თვისების, განვითარების დონის ეთნიკურ ჯგუფებთან, ასევე სხვადასხვა მიზნით გაჩენილ ჯგუფებს სხვადასხვა დამოკიდებულების გამომუშავება ჭირდებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო შემთხვევებიც, როცა ზოგიერთთა აგრესიული განწყობილება ძალის გამოყენებითაც უნდა ჩაეხშოთ. მაგალითად, სომხების მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის უფრო ლოიალური იყო და ეს აიხსნებოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოებით:

1. სომხეთი ქართლის უშუალო მეზობელი იყო. იყო საერთო მტერთან ერთობლივი ბრძოლის ტრადიციაც;
2. იყო ხანგრძლივი სამეურნეო-კულტურული ურთიერთობები;
3. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მმართველი ზედაფენის წარმომადგენელთა მოყვრულ კავშირებს და ა.შ.

ბუნებრივია, სომხურ მოსახლეობას პირდაპირი კავშირი ჰქონდა სომხეთთან. ამიტომ, ყოველგვარი ცვლილება ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში, პირდაპირ აისახებოდა სომხურ მოსახლეობაზე და რაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქართული სახელმწიფოს დამოკიდებულებაც სომხურ მოსახლეობასთან, პირდაპირ გავლენას ახდენდა ორ სახელმწიფოს შორის დამოკიდებულებაზეც.

როდის ჩნდება პირველად სომხური მოსახლეობა საქართველოში, ამ კითხვაზე არც სომხური და არც ქართული წყაროები დამაჯერებელ პასუხს არ იძლევიან. ისინი ერთობ ფრაგმენტულია. ამასთან, რა გასაკვირ-

იც არ უნდა იყოს, ისინი მოქცეულია გარკვეულ კონიუნქტურულ პოლიტიკურ ჩარჩოებში.

ლეონტი მროველის მტკიცებით, სომხური მოსახლეობა საქართველოში ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ამიერკავკასიაში ლაშქრობამდე, ძვ.წ.ა. IV-III საუკუნეებამდე ყოფილა. ამ პერიოდში სომხური მოსახლეობა ძირითადად საზღვრისპირა, სამხრეთის რაიონებში ივარაუდება. ალბათ მაშინ აქ მოსახლეობის გაჩენის მიზეზი საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული პოლიტიკური სასაზღვრო ზოლის გადაადგილება უნდა ყოფილიყო, რადგან არ ჩანს სომხეთიდან მოსახლეობის მიგრაციის მიზეზი (ყველაზე ძველი სომხური წარწერა საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ VII საუკუნეს განეკუთვნება).

სომხური მოსახლეობის მიგრაციის პირველი გააქტიურება დაკავშირებულია ქრისტიანული სარწმუნოების მიღებასთან და მცხეთასთან, რომელიც წმინდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად, იმთავითვე იქცა სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად. ამ პერიოდში დაახლოებით VII საუკუნემდე მაინც, ქართლის ცენტრალურ რაიონებში სომხური მოსახლეობის დასახლებები ვერ იძებნება. მათ უფრო ქართლის სამხრეთ თემებში ვხედავთ (დასტურდება შუშანიკის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ცნობებითაც).

XI საუკუნის შუა ხანებიდან, ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა უაღრესად რთულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა სომხური სახელმწიფოებრიობის კატასტროფა გამოიწვია. მაგრამ იმ დროს სომხეთიდან მასობრივად აყრილი მოსახლეობა ძირითადად ბიზანტიის მცირეაზიურ პროვინციებში სახლდება.

XII საუკუნემდე სომეხ მიგრანტთა ახალი ჯგუფების საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩენის შესახებ, რაიმე ხელშესახები ცნობები არ გაგვაჩნია.

სომეხ მიგრანტთა ერთი ნაწილის საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლების შესახებ პირველი რეალური ცნობა უკავშირდება დავით აღმაშენებლის ღონისძიებებს შიდა ქართლში საქალაქო ცხოვრების აღორძინებისათვის. ის სომეხთა ერთ ნაწილს გორში ასახლებს, ასევე სავარაუდოა, რომ ერთი ნაწილი მან განძიდანაც გადმოასახლა თბილისში.

დავითის მემკვიდრეები განაგრძობდნენ სელჩუკი ემირებისაგან სომხეთის ტერიტორიის გათავისუფლებას, რის შედეგადაც XIII საუკუნისათვის სომხეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე საქართველოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. ამ დროიდან XIX საუკუნემდე სომხეთის

უდიდესი ნაწილი ზოგჯერ მთლიანად, ზოგჯერ კი ნაწილობრივ, საქართველოს შემადგენლობაში აღმოჩნდა.

სომხური მოსახლეობა საქართველოში ერთგვარად იზრდებოდა მონღოლთა ბატონობის დროსაც.

მონღოლთა ბატონობის პერიოდში სომხეთის დიდი ნაწილი (ძირითადად აღმოსავლეთი სომხეთი) ჯერ ისევ საქართველოს სამეფოში შემოდიოდა და ამ რაიონიდან მოსახლეობის გადაადგილებას შიდა მიგრაციის სახე ჰქონდა (როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში).

XV საუკუნის დამდეგისათვის, თურქმანებმა სომხეთი საბოლოოდ მოგლიჯეს საქართველოს. რა თქმა უნდა, ლტოლვილთა პირველივე ტალღები, ისევ საქართველოს აწყდებოდა. ერთი სიტყვით, XV საუკუნეში სომეხი მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში შესამჩნევად იზრდებოდა.

1779 წელს ერევანზე ლაშქრობისას ერეკლე მეორემ რვა სოფლის მოსახლეობა აყარა და საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ჩაასახლა (სავარაუდოა, ეკონომიკური მოსაზრებებით).

აღმოსავლეთ საქართველოში სომხური მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე და ქართულ მოსახლეობასთან მათ რიცხობრივ თანაფარდობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ერეკლე II-ის მიერ რუსეთის რეზიდენტისათვის გაცემული დემოგრაფიული ცნობა, რომლის მიხედვითაც ქართლში სახლობდა სულ 500 კომლი სომეხი, კახეთში კი – 450 (ქართველი კომლი ქართლში 4000 იყო, კახეთში – 7000).

ე.ი. ამ დროისათვის ქართლში სომხები ქართველების 1/8 ნაწილი (≈12,5%), კახეთში – დაახლოებით 1/16 ნაწილი (≈6,5%) ყოფილან.

ახალი ეტაპი იწყება XIX საუკუნეში.

ყველაზე მასობრივი ახალი ტალღა – სამცხე-ჯავახეთში. მარტო 1829-1831 წლებში თურქეთიდან 25 ათასი სომეხი ჩამოასახლეს (ადრიანოპოლის ხელშეკრულებით სამცხე და ჯავახეთი რუსეთს შეუერთდა). ისინი სახლდებიან ახლადდატოვებულ სოფლებში და მათ სახელწოდებებსაც არ უცვლიან (მთლიანად ემთხვევა გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში არსებულ დასახელებებს). იქ ქართული ტოპონიმიკა დღესაც შემორჩენილია.

სომხების გადმოსახლება მთელი XIX საუკუნის და XX საუკუნის 20-იან წლებამდე გრძელდება. ის განსაკუთრებით დიდი იყო 1897-1910 და 1914-1918 წლებში.

ვ. ჯაოშვილის მიხედვით, თუ 1800 წელს საქართველოში 47 ათასი სომეხი ცხოვრობდა, უკვე 1832 წელს მათ 84 ათასს მიაღწიეს. ამ წლებში

ქართველებისა და სომხების რაოდენობის ზრდამ, შესაბამისად, 9% და 79% შეადგინა.

თბილისში სომხები მასობრივად სახლდებიან XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან (იგივე მიზეზით, რაც სამცხე-ჯავახეთში), თუმცა, XIX საუკუნეში პირველი გადმოსახლება თბილისში მოხდა 1804 წელს – 2 ათასზე მეტი სომეხი გადმოასახლეს. სომხების რაოდენობის ზრდა თბილისშიც იმავე პერიოდს ემთხვევა, როგორც ეს იყო სამცხე-ჯავახეთში. მაგალითად, 1897-1910 წლებში და 1914-1918 წლებში თბილისში სომხების რაოდენობა 47 ათასიდან 125 ათასამდე გაიზარდა. ე.ი. პრაქტიკულად გასამმაგდა.

1989 წელს სულ საქართველოში იყო 437 ათასი სომეხი (≈8%) ცხოვრობდა;

2002 წელს – 248 429 ათასი (≈ 5,7%).

6.4. რუსები საქართველოში

რუსები საქართველოში მკვიდრდებიან XIX საუკუნის დასაწყისიდან. განსაკუთრებით, 1880-იანი წლებიდან. ისინი ჯერ ძირითადად სამხედრო მოხელეები იყვნენ. იქმნებოდა სპეციალური სამხედრო დასახლებები. 1825 წელს 300 მათგანი დაასახლეს სოფ. მარანსა და სოფ. კოდორში. მათ რიონზე ნაოსნობის გასანვითარებლად იყენებდნენ. შემდეგ შეიქმნა სამოქალაქო დაწესებულებები, სამოქალაქო მმართველობა და ჩამოვიდნენ რუსი მოხელეები. სავალდებულო სამსახურის შემდეგ, დიდი რაოდენობით რჩებოდნენ რუსი ჯარისკაცებიც. 1830 წელს კანონით ნება დართეს და დაიწყეს ე.წ. რასკოლნიკების გადმოსახლება. პირველი გადმოსახლება მოხდა რედუტ-კალეში (ყულევი) და სოხუმ-კალეში. 1836 წელს ჯერ გადმოასახლეს მალაკნები და შემდეგ, 1841-1843 წლებში ყირიმიდან გადმოასახლეს დუხობორები. ისინი ახლანდელი ნინოწმინდის რაიონში, ხოლო ნაწილი – თბილისის გარშემოც, საგარეჯოს რაიონში დაასახლეს. ისინი ძირითადად ყველის წარმოებით დასაქმდნენ. 1855 წელს საქართველოში რუს იმიგრანტთაგან უკვე 21 რუსული სოფელი შეიქმნა, რომელშიც 119 რუსი ოჯახი ცხოვრობს. 1863 წელს მათი რაოდენობა უკვე 12659 აღწევს.

რუსების ჩამოსახლება მთელი XIX და XX საუკუნე გრძელდებოდა. ყველაზე დიდი რაოდენობით, მათი ჩამოსახლება (თითქმის 200 ათასი), XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელდა.

1897 წელს საქართველოში უკვე 98365 რუსი ცხოვრობდა. 1939 წელს – 308 ათასი, 1954 წელს – 408 ათასი.

1989 წელს რუსების რაოდენობა საქართველოში 341 ათასი იყო (1979 წელთან შედარებით 31 ათასით დაიკლო). ისინი ძირითადად ქალაქებში ცხოვრობდნენ. კომპაქტურად მხოლოდ ნინოწმინდაში იყვნენ. 2002 წელს მათი რაოდენობა 67 671 (≈1,5%) იყო. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, – 26 500 რუსი ცხოვრობდა (0,7%).

6.5. ებრაელები საქართველოში.

ყველაზე ადრე საქართველოში ებრაელები შემოსულან. „ქართლის ცხოვრება“ მათ საქართველოში შემოსვლას ძვ.წ.ა. VI საუკუნეში ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებს. ლეონტი მროველის მიხედვით, ებრაელი იმიგრანტები ქართლში, კერძოდ, მცხეთის მახლობლად ხერკში (საგურამოში) დაუსახლებიათ. ვახუშტი ბატონიშვილი თვლიდა, რომ პირველად ებრაელები საქართველოში უფრო ადრე, კერძოდ, ძვ.წ.ა. VIII საუკუნეშიც ჩამოსახლებულან. ებრაელების შემოსვლა შემდეგ პერიოდებშიც გრძელდებოდა. ქართლის მოქცევის ქრონიკების ცნობით, ებრაელები მცხეთას ძვ. წელთაღრიცხვის 169 წელსაც მოსულან. VI საუკუნეში ებრაელები ბიზანტიის გავლით მკვიდრდებიან როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. მე-19 ს. დასწყისში ებრაელები შემოდიან ირანიდან, ერაყიდან და თურქეთიდან.

XIX საუკუნიდან საქართველოში რუსეთიდან გადმოსახლებული და ევროპელი ებრაელებიც სახლდებიან.

რუსეთის იმპერიაში 1897 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერით საქართველოში 12,2 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, თბილისის გუბერნიაში – 5188, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში – 7006. 1926 წ. აღწერით საქართველოში 30,2 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. ყველაზე დიდი რაოდენობით ებრაელები 1970 წლის მონაცემებით ცხოვრობდნენ – 55,4 ათასი, 1989 წ. აღწერით – 24 ათასი, ხოლო 2014 წ. მონაცემებით – დაახლოებით 3 ათასი.

6.6. ბერძნები საქართველოში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში გამოჩნდნენ. ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხდება შავი ზღვის სანაპიროს ინტენსიური კოლონიზაცია.

აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში, ბერძნები ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ჩნდებიან. ეს ძველი ნაწილი ბერძნული მოსახლეობის უკვალოდ გაქრა. ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილი ბრძოლებში დაიღუპა, ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობაში ასიმილირდა.

დღეს საქართველოში მოსახლე ბერძნების დიდი ნაწილი საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოდის. ერეკლე მეორემ სამთამადნო მრეწველობის განვითარებისათვის თურქეთის პროვინციიდან ოსტატების 800 ოჯახი ჩამოასახლა. ამ პერიოდში ბერძნები ირანის აზერბაიჯანიდანაც ჩამოდიან. მათ საკმაოდ ტრაგიკულად წაუვიდათ საქმე. 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს 100-მდე ბერძენი დაიხოცა და დაახლოებით ამდენივე ტყვედ წაიყვანეს.

საქართველოში ბერძნები კომპაქტურად სახლდებიან XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისიდანაც.

1828-1829 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბერძნები თურქეთის ტერიტორიიდან აიყარნენ და წალკის რაიონში ჩასახლდნენ. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ისინი მასობრივად ჩასახლდნენ აფხაზეთსა და აჭარაში.

1989 წლის აღწერით, ისინი საქართველოში 100 ათასზე ცოტა მეტნი იყვნენ – 100 324 (9%); 2002 წელს ბერძნების რაოდენობა საქართველოში 15 166 იყო (≈0,3%). 2014 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში 5500 ბერძენი ცხოვრობდა.

საქართველოში მცხოვრები ბერძნები ენობრივად ძირითადად ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი:

1. ბერძნულენოვანი, „ელინოფონები“ (აფხაზეთსა და აჭარაში);
2. თურქულენოვანი „ურუმები“ (წალკა, დმანისი).

ურუმები თურქეთის ძველი ქართული პროვინციებიდან არიან ჩამოსულები. მათ ეთნოგენეზში ალბათ, დიდი როლი შეასრულებს ლაზებმა. ამიტომ მათში დაცული იყო ძველი ქართული ყოფითი ტრადიციები.

6.7. ქურთები საქართველოში. ქურთების პირველი მომთაბარე ტომები მესხეთში მე-17 საუკუნეში გამოჩნდნენ. თანამედროვე ქურთების ძირითადი მასა 1918-1920 წლებში გადმოსახლდა ყარსიდან. მათი რაოდენობა საქართველოში 1989 წელს 33 ათასი (≈0,6%) იყო. 2002 წელს – 2 514 (≈0,05%), აქედან ეზიდები – 18329. 2014 წლის აღწერით საქართველოში ქურთები და ეზიდები ერთად 12 200 იყვნენ.

6.8. ქისტები საქართველოში ჩეჩნებისა და ინგუშების საერთო სახელწოდებად იხმარებოდა. მათი საერთო სახელწოდებაა, აგრეთვე, ვაინახები. ქართულ წყაროებში ვაინახები ძურძუკებად ან დურძუკებად იხსენებიან. ვაინახები საქართველოში ძვ.წ.ა. III საუკუნეში შემოსულან. ფარნავაზის

ძემ, ქართლის მეფე საურმაგმა, დურძუკები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გადმოასახლა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, საურმაგმა დურძუკთა დიდი რაოდენობა „დახსნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელი არს სუანეთი“. ვაინახები საქართველოში XIII საუკუნეშიც სახლდებიან. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა XVIII საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის შუა პერიოდში. ისინი პირველად თიანეთის მაზრის სოფ. ხორბალოში, ხოლო 1826 წ. პანკისის ხეობაში, სოფ. დუისში სახლდებიან. 1886 წელს საოჯახო სიებით თბილისის გუბერნიაში 2497 ქისტი ცხოვრობდა. 1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული აღწერით, კავკასიაში 413 ათასამდე ქისტი ცხოვრობდა და აქედან 371 (89,8%) – საქართველოში. სხვა მონაცემებით, მათი რეალური რაოდენობა ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო. 2002 წ. აღწერის მიხედვით, მხოლოდ სამ დიდ სოფელში – დუისში, ომალოსა და ჯოყოლოში 6552 ქისტი ცხოვრობდა.

6.9. გერმანელი კოლონისტების პირველი ჯგუფები საქართველოში 1817 წელს ჩნდება. ვიურტემბერგელთა პირველი ჯგუფი 181 ადამიანის (31 ოჯახი) შემადგენლობით 1817 წლის სექტემბერში სართიჭალაში დასახლდა. სულ, 1817-1818 წლებში საქართველოში დასახლდა გერმანელების 494 ოჯახი, 2023 ადამიანი. ისინი გან-სახლდნენ სართიჭალაში, თბილისში (სოფ. კუკია, დიდუბეში), ქვემო ქართლში (ასურეთში, ბოლნისში). 1865 წ. მონაცემებით გერმანელ კოლონისტთა რაოდენობა 6114 იყო. 1897 წ. მონაცემებით საქართველოში 9405 გერმანელი ცხოვრობდა, 1939 წ. მონაცემებით – 20,5 ათასი, 2014 წ. მონაცემებით საქართველოში მხოლოდ 650-მდე გერმანელი ცხოვრობს.

6.10. უკრაინელები საქართველოში მე-18 საუკუნის ბოლოს, მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩნდებიან. 1897 წ. საქართველოში 10451 უკრაინელი ცხოვრობდა. უკრაინელი იმიგრანტები საქართველოში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით (დაახლოებით 30 ათასი) 1926-1939 წლებში ჩამოდიან. 1998 წ. უკრაინელების რაოდენობა 53 ათასამდე იყო. 2014 წ. – დაახლოებით 7 ათასი.

ოსებს საქართველოში, ჩვენ შემდეგ, სპეციალურ თავში შევეხებით.

ბოლოს ერთი რამეც უნდა აღვნიშნოთ.

ეროვნების საკითხი მოსახლეობის აღწერის ისტორიაში და პრაქტიკაში 1960-იან წლებში დაისვა. თავიდან გაიგივებული იყო ეროვნებისა და

მშობლიური ენის ცნებები. საერთოდ, ამ საკითხებისადმი ერთგვაროვანი მიდგომა არ არსებობს. ბევრ ქვეყანაში ეროვნების ცნება გაიგივებულია სახელმწიფოსადმი კუთვნილებასთან. ზოგჯერ ეროვნება რელიგიურ აღმსარებლობასთან არის გაიგივებული.

ეროვნების განსაზღვრებას ორნაირი გაგება უდევს საფუძვლად: სოციალურ-ფსიქოლოგიური და გენეტიკური.

პირველ შემთხვევაში გადამწყვეტია თვით გამოსაკითხი პირის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ეთნიკური წარმოშობა კარგავს თავის როლს, როგორც ეროვნების განმსაზღვრელი. გენეტიკურის დროს, პირიქით, განმსაზღვრელი სწორედ ეთნიკური წარმოშობაა.

პირველ საბჭოთა აღწერებში (1920-1926 წლები) ეროვნება სწორედ გენეტიკური ნიშნით, ხოლო შემდეგ – პირადი შეხედულებით განისაზღვრებოდა.

მნიშვნელოვანია ურთიერთკავშირი მშობლიურ ენასა და ეროვნებას შორის. უმრავლეს შემთხვევაში ისინი თანხვდება, მაგრამ არ შეიძლება მშობლიური ენის მიხედვით ეროვნების განსაზღვრა, რადგან მშობლიური ენის ცვლილების პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ეროვნული კუთვნილებისა.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ბოლო სამი აღწერის მონაცემების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 5

№	ეროვნება	1989 წელი	2002 წელი	2014 წელი
1.	ქართველი	3 787 390 (70,1%)	3 661 173 (83,8%)	3224,6 (86,8%)
2.	აზერბაიჯანელი	307 556 (5,7%)	284 761 (6,5%)	233 000 (6,3%)
3.	სომეხი	437 211 (8,1%)	248 929 (7,7%)	168,1 (4,5%)
4.	რუსი	341 172 (6,3%)	67 671 (1,5%)	26 500 (0,7%)
5.	ებრაელი	24 795 (0,5%)	3 772 (0,1%)	3000 (0,1%)
6.	ბერძენი	100 324 (1,9%)	15 166 (0,3%)	5 500 (0,1%)
7.	ქურთი	33 331 (0,6%)	2 514 (0,05%)	ქურთი და ეზიდი
	ეზიდი		18 329	ერთად – 12 200

თავი VII. რეგიონული დემოლოგია

7.1. სამცხე-ჯავახეთის დემოლოგიური განვითარება

ერთის მხრივ, არსებობს მოსახლეობის ფორმირების რეგიონული თავისებურებები, ხოლო მეორე მხრივ, არსებობს რეგიონის განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა იყო ტერიტორიული ობირქტების შესწავლისადმი მიდგომა. საბჭოთა დროს შემოიტანეს ისეთი დემორეგიონის ცნება, როგორიც არის ბალტიისპირეთი, შუა აზია, ამიერკავკასია და ა.შ. რა თქმა უნდა, ასეთი რეგიონების დემოლოგიური კვლევა ხარისხიანად და სრულყოფილად აბსოლუტურად ხელოვნური და შეუძლებელი იყო. ამავე დროს, რესპუბლიკების შიგნით რეგიონების დემოლოგიური კვლევა ტაბუდადებული იყო. ასეთი მცდარი მიდგომით ასეთი გამსხვილებული რეგიონების დემოლოგიური სურათის განხილვა, შეუძლებელია.

დემოლოგიურ მეცნიერებაში რეგიონული დემოლოგია, როგორც მეცნიერული მიმართულება, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ყალიბდება.

საერთოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებებში „რეგიონის“ ცნებამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა, მეცნიერულ-რეგიონული დემოლოგიის, როგორც დემოლოგიის ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

1. დემოლოგიასა და სხვა მომიჯნავე დარგებში (მათემატიკა, სტატისტიკა, ეკონომიკა, გეოგრაფია, სოციოლოგია და ა.შ.) მეცნიერული კვლევისა და ანალიზის ახალი მეთოდების გამოყენებამ, ახალი კონცეფციების ჩამოყალიბებამ;
2. საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ, ქვეყნის მართვაში რეგიონალიზმის, რეგიონების წინა პლანზე წამოწევამ; სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან გაიზარდა დაინტერესება და მათთვის აუცილებელი გახდა სოციალურ-ეკონომიკური, მათ შორის დემოლოგიური პოლიტიკის ზუსტი რეგიონალიზაცია. აუცილებელი გახდა რეგიონალური პროგნოზი.
3. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაგროვდა დიდი ოდენობით მასალა მათი რეგიონების შესახებ და უხვად გაჩნდა მათი კომპიუტერული დამუშავების შესაძლებლობები.

რეგიონული დემოლოგია, ეს არის დემოლოგიური მეცნიერება, დემოლოგიის ის დარგი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიულ სისტე-

მაში ცალკეულ რეგიონში შეისწავლის დემოლოგიური პროცესებისა და სტრუქტურების განვითარებას, მათი მართვისა და რაციონალიზაციის სპეციფიკურ თავისებურებებს. ამასთან, არ შეიძლება თითოეული ცალკეული რეგიონი განვიხილოთ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან განყენებულად, რადგან მათ შორის კავშირი არსებობს არა მხოლოდ მიგრაციების საშუალებით, არამედ უფრო რთული ფორმითაც, განსხვავებით შობადობასა და მოკვდაობაშიც. ეს განსხვავება ერთ რეგიონში აუცილებლად მოქმედებს მეორე რეგიონის მონაცემებზე.

ე.ი. რეგიონული დემოლოგიის საგანი ჩვენ უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ. *რეგიონული დემოლოგიის საგანია დემოლოგიური პროცესების კანონზომიერებათა თავისებურებების შესწავლა არა ერთი რეგიონის, არამედ რეგიონთაშორისი თავისებურებების, ურთიერთგავლენის ანალიზის მეშვეობით.*

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ისტორიული მომენტებიც. ყველა რეგიონს თავისი ისტორია აქვს და ამ ისტორიის განმავლობაში იცვლება მისი მოსახლეობის სტრუქტურა, შემადგენლობა.

შეიძლება მოხდეს ისეც, რომ ისტორიულად ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული რეგიონი გარკვეული პერიოდის მანძილზე სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდეს – მაგალითად, ისტორიული მესხეთი დღეს ორ ნაწილად არის გაყოფილი. აქ შეიძლება გვქონდეს და გვაქვს კიდეც დიდად განსხვავებული დემოლოგიური ქცევა.

საქართველოს რეგიონების განსაზღვრას მაინც მთას უკავშირებენ. საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიული დარაიონება ლ. კარბელაშვილის მიხედვით ასეთია:

1. აღმოსავლეთ საქართველო;
2. დასავლეთ საქართველო;
3. სამხრეთ საქართველო;
4. კავკასიის მაღალმთიანეთი. ეს უკანაკნელი იყოფა:

1). აღმოსავლეთ მაღალმთიანეთი (ოსეთი და ა.შ.)

2) სამხრეთ რეგიონები, ანუ სამხრეთ საქართველო → სამცხე, ჯავახეთი

3) ქვემო ქართლის მთიანეთი – აღმოსავლეთ საქართველო.

როგორია საქართველოში რეგიონალური დაყოფის ისტორია?

საქართველო ყოველთვის შედგებოდა ეთნოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და სამეურნეო პირობებით განსხვავებული მხარეებისა-

გან. ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში, ფარნავაზის მიერ ქვეყნის 8 საერისთავოდ დაყოფამ, ანუ ფარნავაზისეულმა სამხარეო დაყოფამ საუკუნეებს გაუძლო. იყო დრო, როდესაც ადმინისრტაციული დაყოფა არ ემთხვეოდა ჩამოყალიბებულ ისტორიულ ტრადიციას. როგორ არ ცდილობდნენ (განსაკუთრებით XIX საუკუნეში, არის დღევანდელი მცდელობებიც), მაგრამ მათი ამოშლა ისტორიული მეხსიერებიდან, ფსიქიკიდან და საერთოდ, ცნობიერებიდან ვერც ადრე და ვერც დღეს, საბედნიეროდ, ვერ მოახერხეს.

ისტორიული მხარეები ისტორიულად თვითკმარი ბუნებრივ-გეოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური, ფსიქოლოგიურ-ემოციური, დემოლოგიური სისტემები იყო. გავიხსენოთ, როგორ იცვლება ბუნება, ბიო მრავალფეროვნება, ემოციურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები, ტრადიციები საქართველოს მხარეების მიხედვით.

საქართველო ყოველთვის ინდივიდუალობისა და მთლიანობის გამოხატულება იყო და არასოდეს ყოფილა ერთსახოვანი. მისი ბედნიერებაც ამ მრავალსახეობასა და მრავალფეროვნებაში იყო. ესპანეთის კონსტიტუციაში წერია ასეთი სიტყვები: „ჩვენი ბედნიერება ჩვენს მრავალფეროვნებაშია“. სიამოვნებით გავიმეორებდი ამ სიტყვებს ჩვენს კონსტიტუციაშიც.

აუცილებელია ქვეყნის რეგიონული მოწყობა, რეგიონული განვითარება. ეს უნდა დაუკავშირდეს მთლიანად ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას. ეს არის ჩვენი აზრით, დღეს უმთავრესი, ცენტრალური პოლიტიკური, ეროვნული და სახელმწიფო პრობლემა და ამოცანა.

უმთავრესია განვსაზღვროთ, როგორი უნდა იყოს საქართველო, მისი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპები.

ჩემი აზრით, აქ ამოსავალი ის უნდა იყოს, რომ ქვეყანა დაუბრუნდეს თავისი განვითარების ისტორიულ კალაპოტს, ხელი უნდა შეეწყოს დროებით დარღვეული შინაგანი ევოლუციის აღდგენასა და განვითარებას და რაც დღეს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურია, ამ მოდელმა უნდა უზრუნველყოს თუნდაც დეფაქტო დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, და მომავალშიც მაქსიმალურად გამორიცხოს მისი რეციდივები.

ჩვენ არ შევჩერდებით რეგიონული დემოლოგიის სრულ ანალიზზე. შევეცდებით მოვახდინოთ, მხოლოდ საქართველოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ძირითადი რეგიონის აღწერა და მათი დემოლოგიური, ეთნოდემოგრაფიული პრობლემების წარმოდგენა.

დავიწყოთ უძველესი, ძირძველი ქართული მხარით, მესხეთით და მისი შეამადგენელი ნაწილით – სამცხე-ჯავახეთით.

სამცხე-ჯავახეთი

ისტორიულად ეს მხარე ზემო ქართლში, მესხეთში შედიოდა. მესხეთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგადი სახელწოდებაა და ის უძველესი დროიდან მოიცავდა სამცხეს, ჯავახეთს, ტაოს, კლარჯეთს, არტაანს, ერუშეთს, შავშეთს, კოლას, ბასიანს, აჭარას, ჭანეთს, აბოცს, ლიგანის ხევს და სპერს.

მესხეთის სახელწოდება წარმოდგება ქართველური ტომების – მესხებისაგან. ისინი აქ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ.

მესხთა ტომი, უკვე უძველეს დროში წარმოადგენდა ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებას. მუსკები, თაბალები და ქაშკები იყვნენ მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართველური ტომები. ისინი უკვე ძვ.წ.ა. XI საუკუნიდან ჩანან პოლიტიკურ ასპარეზზე.

რა თქმა უნდა, ზუსტი ცნობა მესხთა მაშინდელი რაოდენობის შესახებ არ არსებობს, მაგრამ მათი სიძლიერის მიხედვით, ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანნი უნდა ყოფილყვნენ. ჯერ ერთი, მათი სამფლობელო რამდენიმე სამეფოდ იყო გაყოფილი და მეორე, ისინი ასურეთსაც უტევდნენ. ისინი ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულები იყვნენ და ძლიერ საქალაქო ცხოვრებასაც ეწეოდნენ. ისინი ძლიერი მიწათმოქმედები იყვნენ. აშენებდნენ ვაზს, ჰქონდათ ღვინო, ამუშავებდნენ მადანსაც. უდიდეს კულტურულ განვითარებაზე მეტყველებს ქალღმერთ ლევკოთეას ტაძარი – მის შესახებ ჰეროდოტეც აღნიშნავს. შემდეგ მის ადგილას ააშენეს განთქმული აწყურის ტაძარი, რომელიც ღვთისმშობლის სახელობისაა.

ზოგიერთი მონაცემით, მესხები უძველეს დროში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც ცხოვრობდნენ (ნიკო მარი, პავლე ინგოროყვა).

მესხეთის შემადგენელი ნაწილებია სამცხე და ჯავახეთი. სამცხე (ახალციხე, ასპინძა, ადიგენი) მდებარეობდა ტაშისკარსა და არსიანის მთებს შორის. უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ სახელი წარმოიშვა მესხებისგან: სამცხე-სამესხე. არის მოსაზრება, რომ მას ერქვა ოძრხე. მისი უძველესი ცენტრები იყო ოძრხე და აწყური. ოძრხე ძვ.წ.ა. III საუკუნეში მეფეთა რეზიდენცია იყო. VIII საუკუნიდან ის კარგავს მნიშვნელობას. IX საუკუნიდან მოიხსენიება ახალციხე (ლომსია), რომელიც XI საუკუნიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ჯავახეთი (ნინოწმინდა, ახალქალაქი) – პირველად ძვ.წ.ა. 785 წელს იხსენიება ურარტუს მეფის არგიშთ I-ის წარწერაში. უძველესი დროიდან,

ის ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთაო იყო. ის ყოველთვის საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა.

IX საუკუნიდან მოყოლებული, სამცხე-ჯავახეთში ხუროთმოძღვრების უამრავი და უბრწყინვალესი ძეგლი ყოფილა.

სამცხეს სამთავროს გაზრდისა და მის მფლობელთათვის ათაბაგთა სახელის დამკვიდრების შემდეგ, მესხეთი საათაბაგოდ იწოდებოდა და XV საუკუნიდან სამცხე-სათაბაგო მთელი მესხეთის სინონიმი გახდა.

ათაბაგის სახელი პირველად თამარ მეფის დროს დაწესდა, როდესაც მესხეთში გამგებლად ივანე მხარგრძელი (1184-1214) დაინიშნა, ხოლო 1334 წელს მეფე გიორგი V-მ („ბრწყინვალე“ – 1314-1346) ათაბაგობა ყვარყვარე ჯაყელს უბოძა. შემდგომ, 1463 წელს, გიორგი VIII-ს დროს, ყვარყვარე II-მ სამცხე საათაბაგორდ აქცია და დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად გამოაცხადა. გ. ქიქოძე წერს, რომ „მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორიაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ოთხი პოლიტიკური ერთეული: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგო“. შემდეგ, მხარის ცხოვრებაში იწყება უაღრესად დრამატული, შეიძლება ითქვას ტრაგიკული პერიოდი, მის დაპყრობას იწყებენ ოსმალები. ვინ იყვნენ და საიდან მოვიდნენ ისინი?

ამ თურქული მოდგმის ხალხის პირველადი სამშობლო ალბათ ცენტრალური აზიაა. მომთაბარე თურქი ტომების ნაწილი დამკვიდრდა ამჟამინდელი რუსეთის ტერიტორიაზე – ვოლგისპირეთში. მათ იქ ჯერ კიდევ რუსების მოსვლამდე შექმნეს თავიანთი სახელმწიფო, ე.წ. ვოლგის ბულგარეთი. სწორედ მათი შთამომავლები არიან დღევანდელი ყაზანის თათრები. ნაწილი – ჩვ.წ.ა-ის V საუკუნეში დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მოედო.

კასპიისპირეთში მომთაბარე თურქები, რომლებსაც ჰუნებსაც უწოდებდნენ. მოხვდნენ კილიკიაში, ბიზანტიაში და ა.შ., ნაწილობრივ სომხეთშიც.

VII–X საუკუნეებში თურქები არაბების გავლენის ქვეშ მოექცნენ, მიიღეს ისლამის სარწმუნოება და მათი მოკავშირეები გახდნენ. ამ დროს თურქული ელემენტი შუა აზიიდან ირანშიც შეიჭრა.

არაბებმა თურქთა ნაწილი IX-X საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე დაასახლეს. ასე მოხვდნენ ისინი აქ.

X საუკუნის მეორე ნახევარში დღევანდელი თურქმენეთის ტერიტორიაზე მათ შექმნეს ძლიერი სახელმწიფო სელჩუკის მეთაურობით. ამ სახელმწიფოს თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო უწოდეს. სელჩუკმა დაიპყრო ირანი, ბიზანტია, ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

1080 წელს სელჩუკიან თურქთა ურდოები საქართველოში შემოიჭრნენ (დიდი თურქობა). 1281 წელს თურქ-სელჩუკთა ერთ-ერთი ბეილიქის მეთაური გახდა ოსმანი (1258-1324). არაბულად ეს სახელი გამოითქმის, როგორც უთმან (აქედან ოსმან), ევროპელებმა კი, ის გაიგეს და წარმოთქვეს, როგორც ოთმან (ოტომან). ოსმანმა დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე დააარსა სახელმწიფო, რომელსაც მისი სახელის მიხედვით, ოსმალეთის იმპერია ეწოდა.

1453 წელს სულთანმა მეჰმედ II-მ (1451-1481) ხელთ იგდო ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი, რომელსაც შემდეგ თურქებმა სტამბოლი უწოდეს.

1465 წელს თურქებმა ყირიმი დაიპყრეს.

ოსმალთა მიერ მესხეთის სამთავროს დაპყრობა მთლიანად, 1578 წელს დასრულდა. მათ გააუქმეს ქართული სახელმწიფო ხელისუფლება და მესხეთს „გურჯისტანის ვილაიეთი“ ანუ საქართველოს პროვინცია უწოდეს. მისი უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ III იყო. ახალციხის საფაშო ოსმალებმა 24 თემად, ანუ სანჯაყად დაჰყვეს და თითოეულ მათგანს ქართული წარმოშობის, დიდგვაროვანი მემკვიდრეობითი მფლობელები – სანჯაყბეგები ედგნენ სათავეში.

შემოიღეს იძულებითი გამუსულმანების მკაცრი წესები. ეს ეშმაკურად შედგენილი წესები დანაშაულის ჩამდენთ პატიობდა თითქმის ყველაფერს, თუ ისინი სარწმუნოებას შეიცვლიდნენ და ისლამზე გადავიდოდნენ. დაწყებული ისლამური სარწმუნოებისა და მის მსახურთა შეურაცხყოფიდან, დამთავრებული ისეთი დანაშაულით, როგორიც არის მკვლელობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ქურდობა, გადასახადების გადაუხდელობა და სხვ. ეს პროცესი მთელი მე-17 და მე-18 საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა.

ქართველი მეფეები არ ეგუებოდნენ ისტორიული, ძირძველი ქართული კუთხის დაკარგვას და ყველანაირად ცდილობდნენ მის დაბრუნებას. რუსეთთან ერეკლე II-ის დაახლოებისა და ხელშეკრულების გაფორმების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და მიზანი სწორედ სრულიად საქართველოს გაერთიანება და აღდგენა იყო. ეს მიზანი საგანგებოდ იყო კიდეც აღნიშნული 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატში. როგორც გ. ქიქოძე აღნიშნავს, „რუსეთის დედოფალი ერეკლე მეფეს აღუთქვამდა, რომ ომის შემთხვევაში იარაღით, საზავო მოლაპარაკების დროს დიპლომატიური გზით შეეცდებოდა, რომ ქართლ-კახეთს სამცხე-საათაბაგო და საინგილო დაბრუნებოდა. ის გაერთიანებული ქვეყნის შემდგომი ხელშეუხებლობის და დაცვის ვალდებულებასაც კისრულობდა. სამწუხაროდ, რუსეთმა

თავისი პირობა გაცილებით გვიან „შეასრულა“, მხოლოდ საქართველოს სრული დაპყრობის შემდეგ, ჯერ 1828 წელს, როდესაც ახალციხის საფაშო აიღო და შემდეგ 1877-1878 წლებში, როდესაც აჭარიდან განდევნა თურქები.

სამწუხაროდ, ეს რუსეთმა არა საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი, კოლონიზატორული ინტერესებიდან გამომდინარე გააკეთა. სამცხე-ჯავახეთის აღების შემდეგ, ის დაუყოვნებლივ შეუდგა მხარის კოლონიზაციას. 1828 წელს რუსეთის იქ შესვლისთანავე, იქ მცხოვრები ძირძველი მკვიდრი მოსახლეობა აჰყარეს და მათ ნაცვლად ერზურუმის ეიალეთიდან აყრილი სომხური მოსახლეობა ჩაასახლეს. 1832 წლისათვის, ახალქალაქის მაზრაში უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდნენ. დაახლოებით ამ პერიოდშივე ჩაასახლეს ახალქალაქის მაზრაში თარაქამები ქვემო ქართლიდან, ბერძნები ერზურუმიდან და რუსი დუხობორები. ასევე მცირე რაოდენობით – მომთაბარე ქურთები.

როგორია უფრო დეტალურად ამ მხარის დემოლოგიური განვითარების სურათი.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, პირდაპირი მონაცემები უძველეს დროში მოსახლეობის რაოდენობისა და შედგენილობის შესახებ არ მოგვეპოვება. მხოლოდ ვარაუდით შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოაღნიშნული მიზეზებით მესხეთში და მათ შორის სამცხე-ჯავახეთშიც, მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა და ის მხოლოდ ქართველური წარმოშობის ტომებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. პირველი მონაცემები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, 1254 წელს მონღოლების მიერ საქართველოში ჩატარებული აღწერით არის მოპოვებული.

ადრე ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ საქართველოს მოსახლეობა იმ პერიოდში დაახლოებით 7-8 მილიონი უნდა ყოფილიყო. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ირიბი გაანგარიშებით (დღევანდელი მონაცემების პროპორციულად გადატანით 1254 წლის აღწერის შედეგებზე) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მე-18 საუკუნეში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 200 ათასამდე შეიძლება ყოფილიყო. შემდეგ მოსახლეობის რაოდენობა კატასტროფულად მცირდება. ფასდაუდებელ მონაცემებს გვაწვდის აკადემიკოს სერგი ჯიქიას მიერ დამუშავებული უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული ძეგლი, 1595 წელს თურქების მიერ ჩატარებული მხარის აღწერის შედეგად შედგენილი ძეგლი – „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ამ ძეგლის მიხედვით, სამცხე-ჯავახეთში შედიოდა დღევანდელი საქართველოს 6 მუნიციპალიტეტი. აგრეთვე ყარსის მხარის, არტა-

ანისა და ოლთისის ოლქები. სულ 28 რაიონში 1160 სოფელი შედიოდა. ამ სოფლების მიხედვით მოცემულია ყოველი კომლის უფროსის სახელი, მამის სახელი და ზოგჯერ პროფესიაც კი. ეს ყველაფერი საშუალებას გვაძლევს ზუსტად გავარკვიოთ „საქართველოს პროვინციის“ ეროვნული შემადგენლობაც. „დავთარის“ სათანადო გამოკვლევა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის 95%-ზე მეტს ქართველები შეადგენდნენ.

„დავთარი“ კონფესიური კუთვნილების გარკვევის საშუალებასაც იძლევა – ყოველი მუსლიმის სახელს გაკეთებული აქვს სპეციალური ნიშანი, რომელთა ელემენტარული დათვლის და გაანგარიშების საფუძველზე დგინდება, რომ 1595 წლისათვის ამ მხარის მოსახლეობის 97% ქრისტიანი იყო. იმას, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობა იმ პერიოდში და XVIII საუკუნის დასაწყისშიც ქრისტიანი ქართველები იყვნენ, ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს.

„დავთარის“ მიხედვით შეიძლება სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობაც დავადგინოთ მიახლოებით. ჩვენი გაანგარიშებით, 1595 წელს ის დაახლოებით 40 ათასამდე უნდა ყოფილიყო, ხოლო მთლიანად სამცხე-საათაბაგოში – 100 ათასამდე. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ სავარაუდო და მიახლოებითი გათვლებია, რადგან სამცხე-ჯავახეთის მაშინდელი მოსახლეობის ზუსტი განსაზღვრა თანამედროვე ტერიტორიის ფარგლებში თუ შეუძლებელი არა, უაღრესად რთულია.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიდან“ შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ დავთარში ნახსენები 1160 სოფლიდან 368 სოფელი უკაცრიელია. მაგალითად, დღევანდელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის 48 სოფლიდან 41-ში მოსახლეობა უკვე აღარ ცხოვრობდა. გ. გამყრელიძის მიხედვით, ამ პერიოდში ვილაიეთში 63 690 ადამიანი ცხოვრობდა.

ვ. ჯაოშვილის არაპირდაპირი გაანგარიშებით, 1770 წელს სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის რაოდენობა 34 ათასი იყო.

მხოლოდ 1829 წელს, სამცხე-ჯავახეთში 25 ათასი სომეხი გადმოასახლეს. ისინი სახლდებიან ახლადმიტოვებულ სოფლებში და მათი სახელებიც კი არ შეუცვლიათ. თუ საქართველოში 1800 წელს 47 ათასი სომეხი ცხოვრობდა, 1832 წელს მათი რაოდენობა 84 ათასი გახდა. ამას მოჰყვა იქაური კათოლიკე ქართველების მიერ ქართველობის უარყოფა და მათი ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად გამოცხადება. წირვა ძალდატანებით სომხურ ენაზე შეცვალეს. თან სწავლება ყველა სკოლაში რუსულ ენაზე შემოიღეს, მაგალითად, ხიზაბავრაში 1886 წელს 1363 ქართველი

ცხოვრობდა. შემდეგ, შვიდი ქართველის გარდა, ყველა სომხად იყო ჩაწერილი. 1886 წელს საოჯახო სიებით აქ არცერთი თურქი არ ცხოვრობდა, 1897 წელს ჩატარებული აღწერით კი, 25 ათასი თურქი დაფიქსირდა. საიდან გაჩნდნენ ასე მოკლე დროში თურქები? ისინი არსაიდან მოსულან. ცხადია, ეს „თურქები“ ეროვნებით ქართველები არიან. ისინი თურქებად მხოლოდ სალაპარაკო ენის გამო აღწერეს.

XX საუკუნეში მოსახლეობის აღწერა საქართველოში პირველად 1926 წელს ჩატარდა. ახლა მაჰმადიანი ქართველები თათრებთან და ოსმალოებთან ერთად ჩაწერეს.

2002 წლის აღწერით სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდა 207 598 ადამიანი. აქედან სამცხეში – 112 318, ჯავახეთში – 95 270.

2014 წლის აღწერით სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდა 160 504 ადამიანი, ანუ წინა წლებთან შედარებით 47 094 ადამიანით (ე.ი. 22,7%) ნაკლები. აქედან სამცხეში – 90 943, ანუ წინა აღწერასთან შედარებით 21 375 ადამიანით (ე.ი. 19,03%) ნაკლები. ჯავახეთში – 69 561, წინა აღწერასთან შედარებით 25 709 ადამიანით (ე.ი. 36,9%) ნაკლები.

სამცხე-ჯავახეთზე, მესხეთზე არ იქნება სრულყოფილი საუბარი, თუ არაფერს ვიტყვით ისტორიულ მესხეთზე, დღეს თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე და იმ რეგიონის დემოლოგიურ სურათზე.

თურქეთში ქართველები განსახლებულები არიან საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ართვინის, რიზეს, ტრაბზონის, გირესუნის, ორდუს და სამსუნის ვილაიეთებს, აგრეთვე ყარსის, ერზრუმის, სინოპისა და კიდევ რამდენიმე ვილაიეთის გარკვეულ ნაწილებს.

როგორც აღვნიშნეთ, XVI საუკუნეში ოსმალებმა მხარის დაპყრობის შემდეგ დაარსეს ე.წ. „გურჯისტანის“ ვილაიეთი“, რომელშიც შედიოდა თითქმის მთელი ისტორიული მესხეთი და ტრაპიზონის ვილაიეთი.

ამას გარდა, თურქეთის ნებისმიერ, ცოტათი მოზრდილ ქალაქში შეხვდებით ქართველებით დასახლებულ უბნებს. ისინი ცალკეულ სოფლებად გაფანტულნი არიან აგრეთვე, თურქეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე.

თურქეთში, ისევე, როგორც ირანში, უაღრესად ძნელია საერთოდ ეროვნულ უმცირესობათა, და მათ შორის – ქართველთა რაოდენობის განსაზღვრა. აღწერებში არ არის გათვალისწინებული ასეთი მონაცემები. თურქეთის ყველა კონსტიტუციის მიხედვით, თურქეთის ყველა მოქალაქე თურქად ითვლება. ზოგჯერ ქვეყნის ეროვნული შემადგენლობის მაგივრობას ენობრივი კუთვნილებით განაწილება ცვლის; ზოგჯერ, აღმსარებლობის მიხედვით განაწილება (98% მუსლიმია – ე.ი. თურქია ამ განაწ-

ილების მიხედვით). მაინც საიდან მოვიდნენ აქ ქართველები და რამდენი არიან ისინი დღეს თურქეთში.

1. ქართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ავტოქთონურია. ე.ი. ცხოვრობს თავის მშობლიურ ტერიტორიაზე (ლაზების ჩათვლით). ე.ი. ისტორიულად და ეთნიკურად ქართულ ტერიტორიაზე, რომელიც მე-16, მე-17 საუკუნეში დაიპყრეს თურქებმა (ართვინის, რიზეს, ყარსის, ერზრუმის და სხვა ვილაიეთების მთლიანი ან ნაწილობრივი ტერიტორია).

2. მეორე ადგილზე რაოდენობრივად არიან რელიგიური ემიგრანტების შთამომავლები – მუჰაჯირები.

3. შემდეგ, მესამე ადგილზე არიან ე.წ. ეკონომიკური ემიგრანტები. მათ შორის დიდი ნაწილი ქართველი ებრაელია, რომლებიც იქ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში გადასახლდნენ. მათ იქ ქართული ენა შეინარჩუნეს.

პროფ. ო. გიგინეიშვილი აღნიშნავდა, რომ ეროვნული თვითშეგნების მხრივ, ავტოქთონურ მოსახლეობასა და მუჰაჯირებს შორის არ არის პრინციპული სხვაობა. განსხვავებაა მხოლოდ რელიგიურობის ხარისხში და ისიც მცირე. 80-იან წლებში თურქეთიდან ბევრი ქართველი წავიდა ემიგრაციაში გერმანიაში – დაახლოებით 20 ათასი. საინტერესოა, რომ აქ, როგორც ამას პროფ. ოთარ გიგინეიშვილი აღნიშნავდა, ისინი ლაპარაკობდნენ გერმანულად და ქართულად, მაგრამ არა თურქულად.

სამეცნიერო ლიტერატურაშიც და სხვადასხვა ექსპერტის მიერაც, ზოგჯერ ემოციურადაც, სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული თურქეთში ქართველების რაოდენობის შესახებ. შედარებით უახლესი თურქული სტატისტიკის მიხედვით, ამჟამად თურქეთში 130 ათასი ქართველი ცხოვრობს (ლაზების ჩათვლით). იგივე მონაცემია ამაზე დაყრდნობით გამეორებული ქართულ ენციკლოპედიაშიც. მაგრამ ეს მონაცემი გაკეთებულია მხოლოდ მშობლიური ენის საფუძველზე. თუ ყველა არსებულ უცხოურ წყაროს, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ სტატისტიკას, ექსპერტულ გაანგარიშებას შევაჯერებთ და გავითვალისწინებთ ჩვენს მიერ პროფ. ა. თოთაძესთან ერთად იქ ჩატარებული 2 ექსპედიციის (1996-1998 წწ) შედეგებს, ჩვენი დასკვნით, დღეს თურქეთში დაახლოებით 500 ათასი ქართველი ცხოვრობს.

ეს ისინი, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ რაიმე ელემენტი მაინც ქართული ცნობიერებიდან: ენა, ყოფითი კულტურა, ეთნოგრაფიული ნიშნები და ა.შ.

ხოლო იმათი ჩათვლით, ვისაც აღარაფერი აქვს შენარჩუნებული და შეიძლება ვთქვათ, რომ მხოლოდ გენეტიკურად არიან ქართველთა ჩამომავლები, ქართველთა რიცხვი ჩვენი ვარაუდით ორიდან სამ მილიონამდე უნდა იყოს (არაპირდაპირი გაანგარიშებით). მაგრამ ეს ჯერ ერთი ძალიან მიახლოებითია, და მეორეც, სამწუხაროდ, ასეთი მოსახლეობის რიცხვის დადგენას, სამწუხაროდ უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. სამწუხაროდ, ტრაგედია უკვე შედგა.

თურქეთში ძალიან სწრაფად მიმდინარეობს ადგილობრივ მოსახლეობაში ქართველთა ასიმილაციის პროცესი. თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკა. ამას ხელს უწყობდა. ეს პროცესი, განსაკუთრებით, მშობლიური ენის დაკარგვით არის გამოწვეული.

1950 წლის ოფიციალური მონაცემებით, ქართულ და ლაზურ ენებს მშობლიურად თვლიდა 143 ათასი ადამიანი (ქართულს – 70 ათასი, ლაზურს – 74 ათასი). უკვე 1965 წელს – ქართლ და ლაზურ ენებს მშობლიურად თვლიდა 70 ათასი (ქართულს – 34 ათასი, ლაზურს – 26 ათასი). ე.ი. 15 წელიწადში განახევრდა იმათი რაოდენობა, ვინც მშობლიურად ენად ქართულს ან ლაზურს თვლიდა. სამწუხაროდ, უფრო გვაინდელი ოფიციალური მონაცემები აღარ არსებობს.

ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდით მიღებული მონაცემებით (რაც გააკეთა ჩვენმა ექსპედიციამ).

ქართული წერა-კითხვა იცოდა გამოკითხულთა მშობლების დაახლოებით 5,5%-მა. უშუალოდ გამოკითხულებმა და მათმა შვილებმა უკვე საერთოდ აღარ იციან წერა-კითხვა.

თუ რესპონდენტთა მშობლების დიდი უმრავლესობა – 89%, ლაპარაკობდა ქართულად, უშუალოდ რესპონდენტთა, ანუ საშუალო თაობის მხოლოდ 55% ლაპარაკობს ქართულად, ხოლო შვილების, ანუ უმცროსი თაობის – უკვე მხოლოდ 22%. ე.ი. სულ რაღაც ბოლო სამი თაობის მანძილზე აქტიური ასიმილაციური პროცესი წარიმართა.

ასიმილაციას ხელს უწყობს შერეული ქორწინებებიც. დაეცა შობადობა და ა.შ. ეს ყველაფერი უფრო დეტალურად გამოქვეყნებული გვაქვს წიგნში „ისტორიული მესხეთი“.

დავუბრუნდეთ სამცხე-ჯავახეთს.

არ შეიძლება არ შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის **1944 წლის მასობრივი დეპორტაცია სამცხე-ჯავახეთიდან.** როგორ მზადდებოდა ეს პროცესი, როგორი იყო მასში უშუალოდ ლ. ბერიასა და

ი. სტალინის მონაწილეობა, როგორი დადგენილებები მზადდებოდა მათ მიერ და რაც მთავარია, რა იყო დეპორტაციის რეალური მოტივი, როგორია მისი შედეგი. ეს ურთულესი საკითხებია და ცალკე კვლევასა და პასუხს მოითხოვს. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას.

გასახლებულთა რაოდენობა დაახლოებით 92 ათასია. მათ შორის ძირითადად სამი ეროვნების მოსახლეობაა: 1. ქართველები; 2. თურქი ოსმანები, თარაქამები; 3. ქურთები.

გადასახლებულთა შორის ძირითადად ეთნიკურად ქართველები იყვნენ. შეიძლება საინტერესო იყოს იმ პერიოდის ზოგიერთი დოკუმენტის მოტანა.[91]

Постановление Гос. Комитета Обороны от 31 июля 1944 г. «О переселении из пограничной полосы Грузинской ССР турок-месхетинцев, курдов, хемшинов»

1. Переселить из пограничной полосы ГССР – Ахалцихского, Аспиндзского, Ахалкалакского, Богдановского районов и Аджарской АССР – 16 700 хозяйств с населением 86 000 человек турок, курдов и хемшинов, в том числе:

в Казахскую ССР – 40 000 человек;

в Узбекскую ССР – 30 000 человек;

в Киргизскую ССР – 16 000 человек.

Переселение возложить на НКВД СССР.

Обязать НКВД СССР (т. Берия) переселение произвести в ноябре 1944 года.

⋮

ამის საფუძველზე ცალკე ვრცელი დადგენილება გამოსცა „НКВД“-მ 1944 წლის 20 სექტემბერს. გადასახლება დაიწყო 15 ნოემბერს დილით. 18^{00}-ზე ეშელონებში უკვე ჩატვირთული იყო 27 ათასამდე ადამიანი.

17 ნოემბერს 16^{00}-ზე, ე.ი. 2 დღეში უკვე დეპორტირებული იყო 81 300 ადამიანი. 1944 წლის 28 ნოემბერს ლ. ბერია უკვე წერილობით ახსენებს სტალინს, მოლოტოვს, მალენკოვს, რომ სამცხე-ჯავახეთიდან მოსახლეობის გასახლება დამთავრდა 15–18 ნოემბერს, ხოლო აჭარიდან – 25-26 ნოემბერს. გასახლებულია სულ 91 095 ადამიანი.

„Операция прошла организованно, без каких либо пройшествии.

В указанные выше пограничные районы ГССР будут переселены 7000 крестянских хозяйств из малоземельных районов Грузии“.[91]

საინტერესოა „НКВД“-ს მოადგილის 1945 წლის 6 ოქტომბრის წერილი ბერიას სახელზე, რომ სპეცოპერაციის დროს გადაუსახლებიათ 68 ლაზი და ბერიას დავალების შესაბამისად, მათ სწრაფად დააბრუნებენ უკან, შეასახლებენ თავიანთ საცხოვრებელ სახლებში და დაუბრუნებენ ყველაფერს.

1945 წლის 13 იანვრის წერილში მიქოიანის სახელზე (სახკომსაბჭოში) ბერია გადასახლებულად ასახელებს 92 374 ადამიანს. ე.ი. 1 ათასით მეტს. ის ითხოვს გადასახლებულებისათვის კომპენსაციას და დახმარების სახით სხვადასხვა პროდუქტის გამოყოფას (თან ურთავს დადგენილების პროექტს, კონკრეტული განაწილებით).[21]

რა იყო გადასახლების ძირითადი მიზეზი? იყო თუ არა რაიმე ობიექტური საფუძველი? რით დაარწმუნეს ბერიამ და სტალინმა პოლიტბიურო? ხომ შეიძლებოდა ეს ქართული პატრიოტიზმით გამოწვეული ე.წ. „ურაპატრიოტულ“ საქციელად ჩათვლოდათ?

არის ასეთი მოსაზრებაც, რომ ძირითადი მიზეზი, არგუმენტი, რომლითაც მოითხოვეს დეპორტაცია, იყო ე.წ. პანთურქიზმის განხორციელების საშიშროება. ეს მოსაზრება ეყრდნობა იმას, რომ თითქოს 1919 წელს თურქეთში შეიმუშავეს „ეროვნული აღთქმა“ მიწების გაერთიანების შესახებ. მოცემული იყო მისი განხორციელების სამი გზა: ადგილობრივი მოსახლეობის ან ასიმილაცია, ან აყრა, ან გენოციდი. ამის გამოხმაურებად, ახალგაზრდების დიდი ნაკადი პეტერბურგიდან სტამბოლში დაბრუნდა, ვითომ სკოლის მასწავლებლების მოსამზადებლად. სინამდვილეში მათ მიიღეს სამხედრო ინსტრუქტორის მეორე – ფარული დიპლომი. ამის შემდეგ მოხდა მათი ფარული დასახლება სამცხე-ჯავახეთში და მათ მიერ იქ იარაღის შეტანა. ამ ძალას უწოდეს ე.წ. „ფარული ენერგია“. I მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ „ფარული ენერგია“ არ შეუდგა ღია მოქმედებას და ფარული მოქმედება გააგრძელა. მაგრამ ჯავახეთში მაინც დაიწყეს ადგილობრივი მუსულმანების აჯანყება. მათი დახმარებით თურქები ჩავიდნენ ბორჯომშიც, აიღეს ბათუმი და შექმნეს „სამხრეთ დასავლეთ კავკასიის სახელმწიფო“. მის თავში იყო ეროვნებით ქართველი – სარვარბეგ ათაბაგი. ეს ყველაფერი კრახით დამთავრდა, მაგრამ 1917-1918 წლებში მაინც განახორციელეს ქრისტიანების, ქართველებისა და სომხების მასობრივი ჟლეტა.

შემდეგ, II მსოფლიო ომამდე იარაღი დაფლეს და გაჩუმდნენ. ომის დროს კი კვლავ გამოცოცხლდნენ და მათი მხრიდან გაჩნდა თურქეთის დახმარებით მეორე ფრონტის გახსნის საშიშროება. სწორედ ეს იყო გა-

მოყენებული ძირითად ოფიციალურ არგუმენტად სტალინისა და ბერიას მიერ. იყო თუ არა მათ ქმედებაში პატრიოტული ელემენტიც, ამის თქმა, ისევე როგორც იმისი, სარწმუნოა თუ არა საერთოდ ეს ვერსია, დღეს ძალიან ძნელია.

რა თქმა უნდა არის სხვა, გაცილებით სარწმუნო მოსაზრებები; მაგალითად, მოსაზრება, რომ 1944 წელს სტალინს განზრახული ქონდა თურქეთში შეჭრა და ამის გამო არ უნდოდა ზურგში ყოლოდა მტრული ელემენტი. ამიტომაც გაასახლეს ყველა მუსლიმი (მათ წინასწარ ეკითხებოდნენ ეროვნებასა და სარწმუნოების შესახებ). ეს მოსაზრება არაერთხელ აქვს გამოთქმული პროფ. რევაზ გაჩეჩილაძეს.

ასეა თუ ისე, სამწუხაროდ, ტრაგედია მოხდა. როგორც ვთქვით, ძირძველი ქართული მოსახლეობა ამდენი საუკუნის ტანჯვის შემდეგ, უკვე განდევნილი აღმოჩნდა საკუთარი სამშობლოდან. ვფიქრობ, მაინც უნდა ითქვას, რომ რადგან გასახლებულები ძირითადად ეთნიკური ქართველები იყვნენ, მათ ჰქონდათ და აქვთ მორალური უფლება მოითხოვონ დაბრუნება. მაგრამ ამ ურთულეს პროცესს აქვს არაერთი მეტად რთული ასპექტი და არ შეიძლება ისინი არ გავითვალისწინოთ.

ჯერ ერთი, ვნახოთ, ვინ ითხოვს დაბრუნებას. ქართველი, თურქი თუ ე.წ. „თურქი-მესხი“. მიდგომა ალბათ განსხვავებული უნდა იყოს, სად, რა ვადებში და პირობებში უნდა მოხდეს მათი დაბრუნება, როგორი უნდა იყოს მათი ადაპტაციის პროცესი და ა.შ.

პირველ რიგში ვნახოთ, საიდან გაჩნდა ტერმინი „თურქი-მესხი“.

ზოგიერთი თურქი მეცნიერი და პოლიტიკოსი აყალბდებდა და აყალბებს ისტორიას და ამბობს, რომ თურქეთს ისტორიულად ეკუთვნოდა არა მარტო ის ქართული რაიონები, რომლებიც დღეს დარჩნენ თურქეთის შემადგენლობაში, არამედ, მთელი აჭარა, სამცხე-ჯავახეთი და წარმოიდგინეთ, წალკაც. თითქოს, ამ ისტორიულად ძირძველ ქართულ ტერიტორიაზე, უხსოვარი დროიდან სახლობდნენ თურქული ტომები. მაგრამ რა ექნათ იმ ფაქტისათვის, რომ იქ სახლობენ მესხები, აჭარლები, ე.ი. ქართველები. ამიტომ როგორც პროფესორი ოთარ გიგინეიშვილი მიიჩნევდა, მათ „მოიფიქრეს, გამოიგონეს ტერმინი „თურქი-მესხი“, „თურქი-აჭარელი“.

ეს სახელი მიითვისეს შემდგომში საქართველოში ვითომ დაბრუნების მსურველმა თურქებმა და რომ არავის არ დაბადებოდა კითხვა და ეჭვი, მაშ, ვინ არიან მესხები, იხმარეს ეს ტერმინი „თურქი-მესხი“. ე.ი.აქ იწყება ეკვილიბრისტიკა:

მე ვარ თურქი, და ამიტომ ერთდროულად მე ვარ მესხი, ე.ი. მესხი და თურქი ერთი და იგივეა, ე.ი. ყველა მესხი თურქია. ყველა იქ მცხოვრები თურქი კი – მესხი. მაშასადამე, მესხეთიც თურქეთია.

გასახლებულთა დაბრუნების პრობლემის განხილვისას უმთავრესია გავარკვიოთ რეალურად დღეს რამდენია მესხეთიდან გასახლებულთა ზუსტი როადენობა. რამდენია მათ შორის მესხეთელი ქართველი, რამდენია მესხეთელი თურქი, რამდენია მესხეთელი ქურთი. ეს რიცხვები არავის დაუთვლია და ზუსტად მათ რაოდენობას სამწუხაროდ დღეს ვერავინ იტყვის. სახელდება სხვადასხვა რიცხვი – 300 ათასი, 200 ათასი და ა.შ. ეს რიცხვები აშკარად გადაჭარბებულია, თუ გასახლებული იყო დაახლოებით 92 ათასი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს რაოდენობა 60 წელიწადში მაქსიმუმ გაორმაგდა. თუ იმასაც ვივარაუდებთ, რომ ადგილზე 20 ათასმა მაინც ვერ ჩააღწია მგზავრობის დაუნდობლად მკაცრი პირობების გამო, ამის გამოკლებით გვექნება: 90–20=70x2. ე.ი. დღეს გადასახლებულთა შთამომავლების რაოდენობა დაახლოებით 140-170 ათასი უნდა იყოს.

ახლა ვინ იცის, ვინ დათვალა რამდენს უნდა აქედან რეალურად დაბრუნება. ეს გამოკვლევა სამწუხაროდ არავის არასდროს ჩაუტარებია. უნდათ კი დღეს დაბრუნება სრულიად ახალ თაობებს, რომელთაც აღარ ახსოვთ ენა, არა აქვთ სარწმუნოება, აღარ შერჩათ ისტორიულ მეხსიერებაში ქართული ყოფითი ტრადიციები, ჩვევები და, საერთოდ, მათგან დიდი რაოდენობა უკვე ადაპტირებულია და ცხოვრობს ახალ გარემოში, მუსულმანურ გარემოში – აზერბაიჯანში, უზბეკეთში, ჩრდილო კავკასიაში. იქ ისინი სწავლობენ, მუშაობენ და თანაც, უკვე მე-3, მე-5 ახალ თაობებში. კითხა ვინმემ მათ, უნდათ თუ არა წამოსვლა? შეისწავლა ვინმემ ეს საკითხი? ასეთი გამოკვლევა, ასეთი შესწავლა, არავის ჩაუტარებია. მაშ, რატომ ვიღებთ ასეთ რიცხვებს, რომ უნდა დაბრუნდეს 200-300 ათასი და ა.შ. და თანაც, თითქოს ყველას დაბრუნება უნდა მაინცდამაინც სამცხე-ჯავახეთში, იმ უაღრესად მცირემიწიან ადგილებში? ვის მონაცემებს ეყრდნობიან, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებიც, როცა ამ რიცხვებს ასახელებენ?

ერთადერთი მონაცემები, რომლებიც ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს, განეკუთვნება 1986 და 1989 წლებს. სწორედ მაშინ დაიწყეს მაშინდელმა ოფიციალურმა ორგანოებმა დაბრუნების მსურველთა აღრიცხვა. 1986 წელს აღრიცხვაზე იყო საქართველოში დაბრუნების მსურველი 200 ოჯახი, ანუ დაახლოებით 1 000 ადამიანი (თუ საშუალოდ ერთ ოჯახს 5-სულიანად ვივარაუდებთ).

უკვე 1989 წელს, მაშინ ატეხილი აჟიოტაჟის შედეგად, მსურველი გახდა 10 302 ოჯახი, ანუ დაახლოებით 50 ათასი ადამიანი. მაგრამ ჩემი აზრით, მსურველთა ასეთი რაოდენობაც, სინამდვილეში არ ყოფილა. მაშინდელ შრომის სამინისტროში მართალია, მოჰქონდათ როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური განცხადებები, მაგრამ მათი ნამდვილობა, რეალურობა არავის დაუდგენია. ადვილი შესაძლებელია, უმრავლეს შემთხვევაში, ისინი შეთხზული იყო.

იმათი გადმოსახლება, ვისაც გადმოსახლება რეალურად სურდა, ნაწილობრივ მოხდა და ეს იყო XX საუკუნის 70-80-იან წლებში. გადმოსახლება ხდებოდა ნელ-ნელა, ეტაპობრივად და თანაც არა კომპაქტურად, ყველას ერთად და აუცილებლად სამცხე-ჯავახეთში, არამედ სხვადასხვა რაიონში. მათ შორის ეკონომიკურად ძლიერ რაიონებში. სულ იმ წლებში საქართველოს 20-მდე რაიონში გადმოსახლდა 330 ოჯახი. დაახლოებით 1200 ადამიანი. აქედან 1/3 – 131 ოჯახი მალევე დაბრუნდა უკან, თავის ძველ საცხოვრებელში.

ე.ი. როდესაც ვლაპარაკობთ გადასახლებულთა დაბრუნებაზე, ვთვლით, რომ ყველა დეტალი, ყველა პრობლემა წინასწარ უნდა იყოს შესწავლილი.

სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ევროსაბჭოს შეფასება და რეკომენდაციები, ჩვენი აზრით მიღებული იქნა ზედაპირულად, ყოელგვარი შესწავლისა და რეალური პრობლემების გათვალისწინების გარეშე. ვისგან, ან რა მიზნით იყო ეს ინიცირებული, ამის დადგენა დღეს ძნელია, მაგრამ უაღრესად საინტერესოა. როგორ შეიძლება ევროსაბჭო საზღვრავდეს დაბრუნების პერიოდს, ვადებს, პირობებს და წარმოდგენაც არ ჰქონდეს, ვინ, მოსახლეობის რა კატეგორიაა დასაბრუნებელი, არ ვიცოდეთ მათი სტრუქტურა, შემადგენლობა ასაკობრივი, სოციალურ-ეკონომიკური, განათლების, ინტერესების მიხედვით. არაფერი ვიცოდეთ მათ მოტივაციაზე, იმაზე, თუ რას ელიან ისინი გადმოსახლების შემთხვევაში აქ და რა მოთხოვნებს აყენებენ და დააყენებენ მომავალში იმ ქვეყნის წინაშე, სადაც უნდა დაბრუნდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მათი ისტორიული სამშობლოა. როგორი იქნება მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მოთხოვნები, როგორ შეიძლება ამ ურთულესი პრობლემების თუნდაც ელემენტარული შესწავლისა და გააზრების გარეშე, ასეთი რთული პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენება ქვეყნის წინაშე, ან ვინ შეაფასა და გაიაზრა მთელი ამ პროცესის სამართლებრივი მხარე და კომპონენტები, ეკონომიკური მხარე და კომპონენტები. არც

ჩვენს ქვეყანას და არც ევროსაბჭოს ეს არ მოუხდენია. მაშ, ვინ იჩქარა? თანაც ისე, რომ არ ჰკითხეს არცერთ სპეციალისტს, საქმეში ოდნავ მაინც ჩახედულ პირს. რატომ მოხდა მთელი პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრება საქართველოზე, რატომ გამოცხადდა ამ ნაწილში საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილი, თუ გნებავთ, დანაშაულის სამართალმემკვიდრედ დამოუკიდებელი საქართველო? ამ კითხვებზე პასუხების გაცემა აუცილებელია აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დემოლოგიური პრობლემების განხილვისას, აღნიშნულ საკითხებს შედარებით დეტალურად და გარკვეულად პოლიტიკური ასპექტებითაც შევეხეთ იმიტომ, რომ უფრო ნათლად და რეალისტურად წარმოვიდგინოთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი რეგიონის მოსახლეობის განვითარებისათვის აღნიშნული პრობლემების არსებობას და როგორი დიდი ისტორიული თუ თანამედროვე თავისებურებებითა და სპეციფიკით განსხვავდება სხვა დემორეგიონებისაგან. ამაში ვფიქრობ, კიდევ უფრო დავრწმუნდებით, თუ განვიხილავთ საქართველოს ზოგიერთი სხვა დემორეგიონის განვითარების თავისებურებებსაც. განსაკუთრებით უნდა განვიხილოთ აფხაზეთის დემოლოგიური განვითარების პრობლემები ისტორიული, თანამედროვე და პერსპექტიული თვალსაზრისით.

7.2. აფხაზეთის დემოლოგიური განვითარება. აქვს თუ არა კონფლიქტს აფხაზეთში დემოლოგიური საფუძველი?

თემის განხილვა აფხაზთა წარმოშობის საკითხის განხილვით უნდა დავიწყოთ. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთიანი აზრი ამ საკითხის შესახებ არ არსებობს ქართველ მეცნიერთა შორისაც კი.

აფხაზთა ეთნოგენეზის შესახებ მოსაზრებები მაინც 3 ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. აფხაზები მცირეაზიული წარმოშობის არიან;

2. აფხაზები ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არიან;

3. აფხაზები ადგილობრივი და ქართველური წარმოშობის ტომები არიან.

ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ თითოეულ მათგანზე.

1. აფხაზური დამწერლობის შემქმნელი დ. გულია მიიჩნევდა, რომ

აფხაზები და მათი წინაპრები – ჰენიოხები, არიან კოლხები, უმთავრესად ეგვიპტიდან და აბისინიიდან. კოლხების ეგვიპტური წარმოშობა პირველად ჰეროდოტემ აღნიშნა და მისი ძირითადი არგუმენტები იყო კანის მუქი ფერი, ხუჭუჭა თმა, რომ ისინი ისევე ამუშავებდნენ სელს და მიმართავენ წინდაცვეთას, როგორც ეგვიპტეში. მაგრამ შემდეგ ეს არგუმენტები უარყვეს, რადგან საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ეს თვისებები მრავალ სხვა ხალხს ახასიათებს და არა მხოლოდ ეგვიპტელებს. ალბათ თვით დ. გულიაც ხვდება ჰეროდოტეს არგუმენტების არასაკმარისობას და ცდილობს ისინი ლინგვისტური და ეთნოგრაფიული ანალოგიებით გაამყაროს, მაგალითად, ის ერთმანეთს ადარებს აფხაზურ და ეგვიპტურ ეთნოგრაფიულ სახელწოდებებს. ის დიდ მსგავსებას ხედავს აფხაზურ „გუმასა“ და ეგვიპტურ „გუმბას“ შორის, „გალსა“ და „გალას“ შორის, მაგრამ თუ ასეთ ფორმალურ და ზერელე შედარებებს გავაკეთებთ, ასეთი ანალოგიები არსებობს აფხაზეთსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანას შორის. მაგალითად, როგორც პროფესორი ანზორ თოთაძე აღნიშნავს, მსოფლიო ატლასში შეხვდებით ისეთ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, როგორიცაა გალა, გალანა, გალანტა, გალენა, გალიტი, გალიჩი და ა.შ.

დ. გულია მდ. აბაშას ანალოგს უძებნის ეგვიპტეში. ასევე ლაპარაკობს ის სახელებზე, გვარებზე, მაგრამ ა. თოთაძის აზრით, ასეთი ლოგიკით ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ ქართველთა იგივეობა ინდოელებთან, რადგან იქ გავრცელებული გვარები ჩირავა, გაუნია, ულანია ძალიან ჰგავს ქართულ გვარებს – ჩიქავას, გაბუნიას, გუნიას, ალანიას. მაგრამ, როგორ შეიძლება ამ შედარებებს მეცნიერული ვუწოდოთ – მაშინ გამოვა, რომ აფხაზებიც და ქართველებიც მსოფლიოს ყველა ხალხებს ენათესავებიან.

ასევე უსუსურია დ. გულიას ეთნოლოგიური არგუმენტები: თურმე მხოლოდ აფხაზები და აბისინიელები უხდიან ქელეხს მიცვალებულს, დიდხანს ატარებენ ტრაურს, უაღრესად სტუმართმოყვარენი არიან და ა.შ.

დ. გულია იქამდე მიდის თავის არგუმენტებში, რომ უკვე უჩნდება კითხვა – აფრიკაში მცხოვრები აფხაზების წინაპრები ზანგებიც ხომ არ იყვნენ და მთელი სერიოზულობით პასუხობს: „ვფიქრობ, რომ არა“.

ასევე უსუსური არგუმენტებით „პოულობს“ ის აფხაზური ენის მსგავსებას აფრიკის ენებთან. დ. გულიას ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო განავრცეს სხვა აფხაზმა მეცნიერებმაც. მათ „იპოვეს“ აფხაზური ენის დიდი მსგავსება უკვე მექსიკურ, ტიბეტურ, ჩინურ და მსოფლიოს თითქმის ყველა

ხალხის ენებთან. რამდენიმე წლის წინ, სტანისლავ ლაკობა ერთ-ერთ თავის წიგნში იმასაც აცხადებს, რომ მთელი კაცობრიობა წარსულში აფხაზურ ენაზე ლაპარაკობდა და მომავალშიც აფხაზურ ენაზე ილაპარაკებსო.

2. აფხაზი მეცნიერები ჰენიოხებს აფხაზურ-ადიღეურ წარმოშობისად მიიჩნევენ.

3. ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ს. ჯანაშია. პ. ინგოროყვა. გ. მელიქიშვილი და სხვები ჰენიოხებს სვანური ან მეგრულ-ჭანური მოდგმის ტომებად მიიჩნევენ.

საკითხის გასარკვევად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტოპონიმებს – განსაკუთრებით იოკონიმებს (დასახლებული პუნქტები) და ჰიდრონიმებს (მდინარეთა სახელწოდებები). პირველ რიგში ავიღოთ

სოხუმი (ცხუმი). იგი ქართული წარმოშობისაა და ქართულ წყაროებში მე-8 საუკუნიდან იხსენიება. ცხუმი – რცხილის სვანური სახელწოდებაა.

ამ ადგილზე ანტიკური ხანის ქალაქი დიოსკურია არსებობდა. ის ძვ.წ.ა. VI საუკუნეში დააარსეს ბერძენმა მეახალშენეებმა და მილეტელებმა. არის თუ არა დიოსკურია ძველი ქართული ტოპონიმი? ნაწილი თვლის, რომ ის ადგილობრივი სახელწოდების ბერძნული თარგმანია, ან მთლიანად ქართველური ენების საფუძველზე აიხსნება.

მეორე ნაწილი მას ბერძნულად მიიჩნევს და თვლის, რომ ის დაკავშირებულია ტყუპ ძმებთან – დიოსკურებთან. ისინი ზევსის ვაჟები იყვნენ.

პროფესორი ფიფია მიიჩნევს, რომ იგი ზანური ანუ ძველკოლხური სიტყვებისაგან წარმოდგება; დიო – დედა და სკური – წყალი (მდინარე, ღელე), ისევე, როგორც კელასური – კელე (მოკლე), სკური (წყალი). თუმცა, დიოსკურია ბერძნული სიტყვაა და დიო ნიშნავს – ორს.

„სკურია“ ბევრგან გვხვდება საქართველოში: სკურთა, სკურა, სკურდიდი, სქური (სამკურნალო წყალი წალენჯიხაში).

სიტყვები, რომლითაც ლაპარაკობენ ტოპონიმები, ყველაფერი მიუთითებს, რომ აქ უძველესი დროიდან ქართველები სახლობდნენ.

ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ჰიდრონიმები . ისინი უფრო იშვიათად იცვლება. პროფესორმა გ. ფიფიამ დააჯგუფა აფხაზეთის ჰიდრონიმები ქართველური და აფხაზურ–ადიღეური ფუძით. ენგურსა და გუმისთას შორის ტერიტორიაზე 30 მდინარე მიედინება. აქედან მხოლოდ ორის სახელწოდებაა აფხაზური წარმოშობის. ასევეა გუმისთასა და ფსოუს შორის. 27-დან – 18 აფხაზური და 9 – ქართულია. ე.ი. სულ 57 მდინარიდან, 37-ის დასახელება ქართულია, ხოლო 20-ის – აფხაზური.

ეთნოსების ეთნოგენეზის გასარკვევად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ანთროპოლოგიურ მონაცემებს. იმას, რომ ისტორიული აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან XV – XVII საუკუნემდე, მხოლოდ ქართული ტომებით იყო დასახლებული, ამტკიცებს ანთროპოლოგიური მონაცემებიც. როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ და მათი შეცვლა მემკვიდრეობითი კანონების გარდა, სხვას არაფერს შეუძლია.

ქართველი ანთროპოლოგები გამოყოფენ საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში ხუთ ადგილობრივ ვარიანტს და თვლიან, რომ აფხაზები ერთ-ერთის, ზღვისპირეთში გავრცელებულის მონათესავენი არიან. ასევე თვლიდნენ აკად. ზ. აბდუშელიშვილი, აკად. ალექსეევიც. საინტერესო და საყურადღებოა, რომ თვით შ. ინალიფაც იძულებული შეიქნა ეღიარებინა, რომ ანთროპოლოგიურად აფხაზები ყველაზე მეტად ჰგვანან ქართველებს. შ. ინალიფა წერს: „ანთროპოლოგიურად, თანამედროვე აფხაზები ეკუთვნიან ერთ დასავლურ-კავკასიურ ტიპს. ამჟღავნებენ სიახლოვეს ერთი მხრივ, დასავლეთ-ქართველურ, ხოლო მეორე მხრივ – ჩერქეზულ მოსახლეობასთან. ამასთან, ანთროპოლოგიური მსგავსება დასავლეთ-ქართველებთან უფროა გამოხატული, ვიდრე ჩერქეზებთან. სპეციალისტები აფხაზების ანთროპოლოგიურ მსგავსებას მეგრელებთან, გურულ და აჭარულ ჯგუფებთან, ადიღეელებთან შედარებით დიდად დაშორების პირობებში, დამტკიცებულ ფაქტად თვლიდნენ“.

ქართველ მეცნიერთა შორის გავრცელებული აზრი, რომ აბაზგები, აფსილები – ეს საწყისი აფხაზური ტომებია. ისინი უკვე ჩვ.წ.ა. I საუკუნიდან ჩანან. არის თეორია, რომ აბაზგ-აბასელები არიან ქართველური წარმომავლობის. ამ მოსაზრებას იზიარებდა აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე და სხვები,

ზოგიერთ მეცნიერს შესაძლებლად მიაჩნია, რომ აფხაზები მესხური წარმომავლობის იყვნენ. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ პ. ინგოროყვა, ნ. მარი. ერთ-ერთ არგუმენტად მათ სახელწოდების ტრანსფორმაცია მიაჩნიათ:

მოსხი – მოსოხი, ასხი (მასახი), მასხი (ბასახი) – აბასხეთი, აბასხია.

ასეა თუ ისე, ვფიქრობ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე – როგორც ქართველი, ასევე აფხაზური ტომები დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირძველი ტომია. ეს ასეა, მინიმუმ ქრისტეს შობიდან 2000 წლის მანძილზე, და ვთვლი, რომ 2000 წელი თანამედროვე ხედვით, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ისინი მკვიდრ მოსახლეობად ჩავთავლოთ.

ახლა მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ მთლიანად აფხაზეთის და მისი მოსახლეობის განვითარების ისტორია.

უკვე აღვნიშნეთ, რომ არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ისტორიული მონაცემებით, ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების ანალიზის საფუძველზე, ჩვენი და უცხოელი მეცნიერები მიდიან გარკვეულ, კონკრეტულ დასკვნებამდე.

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია მსოფლიოში უძველესი მხარეა, სადაც ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები სახლდებოდნენ. ალბათ ამ უძველესი ადამიანების შემოსვლა სამხრეთ კავკასიაში დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის ზოლში ხდებოდა. ეს ადგილი, ანუ სამხრეთ კავკასიის, კოლხეთის და კავკასიის ჩრდილო-დასავლეთის ეს ნაწილი იმ დროიდანვე მდიდარია ადრეული ძეგლებით. ადამიანები უკვე იმ პერიოდიდან სახლდებიან დღევანდელი სოხუმის მახლობლად. ეს იყო მოყოლებული ადრე აშელის პერიოდიდან და გრძელდებოდა მთელი აშელისა და მუსტიეს ეპოქაში. იმდროინდელი სადგომები და ძეგლები არქეოლოგების მიერ მოძიებულია დღევანდელ გალში, ოჩამჩირეში, კელასურში, ბზიფში, უფრო შორს – ადლერში და ა.შ. ეს ხდებოდა მოყოლებული 35 ათასი წლიდან ჩვენს ერამდე. რა თქმა უნდა, ამ პერიოდის ეთნოკულტურულ სიტუაციაზე ლაპარაკი უაღრესად ძნელია. როგორც მოგეხსენებათ, მეცნიერთა ვარაუდით, იმ პერიოდში, ქვისა და ბრინჯაოს ხანის გადაკვეთამდე ადგილი ჰქონდა კავკასიის ეთნიკურ, ენობრივ და კულტურულ ერთიანობას. პალეონთოლოგიური გამოკვლევებიც ადასტურებს ამ მხარის მოსახლეობის გენეტიკურ ერთიანობას და ნათესაობას.[62]

შესაძლოა, იყო რაღაც პროკავკასიური ენობრივი ერთიანობაც (ეს უნდა გაგრძელებულიყო სადღაც მე-12 ათასწლეულამდე ძვ.წ.ა.).

შემდეგ, ქვის ხანის დასასრულისათვის მთავრდება ეს ლინგვისტურ-კულტურული ერთიანობა და ფორმირდება კავკასიური ენების ყველა ლინგვისტური ტიპი: 1. პროქართველური; 2. პროაფხაზურ-ადიღეური და 3. პრონახა-დაღესტნური. თუმცა, ივ. ჯავახიშვილი ამბობდა, რომ აზრი ამ ენების ნათესაობის შესახებ უფრო რწმენას ჰგავს, ვიდრე მეცნიერულ ჰიპოთეზასო.

ანტიკურამდელ და ადრეანტიკურ ეპოქამდე, ისტორიული აფხაზეთის ტერიტორია შედიოდა კოლხური კულტურის არეალში, ხოლო ძვ.წ.ა. VIსაუკუნეში ის უშუალოდ შედიოდა კოლხეთის სამეფოში (ჰეროდოტე, სტრაბონი და სხვები. აქ მხოლოდ ერთ ხალხს – კოლხებს აღნიშნავენ).

სხვადასხვა ავტორი მიუთითებს, რომ აქ ცხოვრობენ კორაქსები, კოლები, კოლხები, გენიოხები და მოსხებიც კი. ისინიც, მათ, როგორც კოლხურ, ანუ ქართველურ ტომებად მოიხსენიებენ. ამის საფუძველზე მეცნიერთა ერთი ჯგუფი ასკვნის, რომ ამ ტერიტორიაზე გამოჩენილი ყველა სხვა ტომი, აფსილები, აბაზგები და სანიგები აქ გამოჩნდნენ უფრო გვიან, ჩვ.წ.ა.-ის დასაწყისისათვის (არსებობს მოსაზრება, რომ სანიგები იგივე სვანები არიან, ისევე, როგორც ბევრს ჰენიოხები ქართველებად მიაჩნია. არის მოსაზრება, მათი აფხაზური წარმოშობის შესახებაც). ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში (III – V) იწყება ბიზანტიის გავლენა და მათი მხარდაჭერით აფხაზეთის საერისთაოს გაძლიერება. ამ დროს ძლიერია საქართველოც. ვახტანგ გორგასალმა კვლავ გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო. უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქრისტიანობის მიღება და გაძლიერება. ამის გამო, უკვე VI – VIII საუკუნეებში ინტენსიურად მიმდინარეობს აფხაზეთში ქართული საეკლესიო არქიტექტურის ძეგლების მშენებლობა. საკუთრივ ბიზანტიაში კი, სერიოზული პრობლემებია. იქ ძლიერია არაბთა შემოსევები, არის სხვა პრობლემებიც, რომლებიც ასუსტებს ბიზანტიას. ყოველივე ამის გამო, სუსტდება ბიზანტიის გავლენა აფხაზეთზეც და აფხაზეთი კიდევ უფრო მეტ ორიენტაციას იღებს საერთო ქართული სახელმწიფოსა და კულტურისაკენ. აფხაზეთის ერისთავი ლეონ I საერთოდ უარს ამბობს ბიზანტიის დამორჩილებაზე და ის ერთიანი საქართველოს მმართველის – არჩილის ვასალი ხდება. ამით ის კიდევ უფრო ორგანული ნაწილი ხდება საქართველოს ერთიანი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სამყაროსი (VIII საუკუნის 40-იან წლებში).

VIII საუკუნის 70-იან წლებში კიდევ უფრო წინ მიდის ლეონ II, რომელიც საბოლოოდ თავისუფლდება ბიზანტიისაგან (ქართული პოლიტიკური წრეების მხარდაჭერით). ის ცხადდება აფხაზთა მეფედ და დედაქალაქი მას ანაკოპიიდან ქუთაისში, ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრში გადააქვს. ეს თემა ხშირად ხდება ხოლმე სეპარატისტთა მიერ სპეკულაციის საგანი. თითქოს ეს იმის დასტური იყოს, რომ არა მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორია, არამედ მთელი დასავლეთ საქართველო და ქუთაისი ისტორიულად აფხაზებს ეკუთვნოდა. კატეგორიულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სამეფო: 1. იყო ქართული სამეფო; 2. მეფეები თავიანთი კულტურული კუთვნილებით იყვნენ ქართველები და 3. ამ მეფეთა გენერალური სტრატეგიული პოლიტიკური კურსი ყოველთვის იყო საერთო ქართული

შიდა და საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება. ისინი საუკუნეების განმავლობაში იღწვოდნენ ქართული სახელმწიფოს გაერთიანებისათვის.[62]

უკვე ადრე შუასაუკუნეებიდან, აფხაზეთში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ეროვნული კულტურა იყო საერთო ქართული ფეოდალური კულტურა ქართული ენით, ქართული დამწერლობით, ქართული ქრისტიანობით და ქართული ფეოდალური ურთიერთობებით.

აუცილებელია შევეხოთ ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენასაც. XV-საუკუნის პირველი მეოთხედიდან იწყება აფხაზეთში აბაზების, მთის აბაზების ფართომასშტაბიანი ჩამოსახლება ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე (ძირითადად ლიხნის ველიდან და ბზიფის ხეობით). ყაბარდოელი თავადი ინალი, რომელიც მეთაურობდა ამ პირველ ჩამოსვლას, 1427 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია ბზიფის ხეობაში. სწორედ ამიტომ, ამ ადგილებს აფხაზები დღემდე საკრალურად თვლიან. როგორც ვარაუდობენ, აბაზების ტომი (აბასაას ტომი) გამოსულია არაბისტანიდან და ბევრი მოგზაურობის შემდეგ ჩავიდა მდინარე ყუბანამდე. სწორედ ამ აბასაას ტომიდან წარმოიშვნენ დღევანდელი „აფსუები“ (თვითონ ასე უწოდებენ თავის თავს). ისინი, კერპთაყვანისმცემლები და რა თქმა უნდა, ბევრად უფრო დაბალი კულტურის მატარებლები იყვნენ.

საიდან შეიძლება გაჩენილიყო კერპთაყვანისმცემლობა ქრისტიანულ აფხაზეთში? მსოფლიოს ისტორიაში ცივილიზაციის უკან სვლა არსად აღნიშნულა. ეს შეუძლიებელია. მაშ, როგორც მოხდა ეს აფახაზეთში? ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „სავსებით დაუჯერებელია, რომ ესოდენ ინტენსიურ ქრისტიანულ ქვეყანაში, როგორიც იყო აფხაზეთი, საიდანაც ქრისტიანობა ამიერკავკასიის ხალხებშიც კი ვრცელდებოდა, ქრისტიანობა თავისთავად გაქრა და მისი ადგილი პირველყოფილმა წარმართობამ დაიჭირა“. მაშ, რა მოხდა? მოხდა ის, რომ როგორც თავადვე ნ. ბერძენიშვილი პასუხობს, ახალი ხალხი, უფრო დაბალი კულტურის მატარებელი ხალხი, რამდენიმე ნაკადად ჩამოდის აფხაზეთის ტერიტორიაზე. თურქეთში XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ხმარებიდან თითქმის გაქრა ტერმინი „აბხაზი“ და მის ადგილს „აბასაა“ – აბაზა“ იმკვიდრებს („აბაზა“ არ უნდა აგვერიოს „აბაზგში“). მეცნიერთა დიდი ნაწილის ვარაუდით, თანამედროვე აფხაზთა ფორმირება ძირითადად მოხდა ჩრდილო კავკასიიდან გამოსული აფსუა-აბაზინების შეერთებით ადგილობრივ აბორიგენ მოსახლეობასთან, – ანუ აფხაზებთან და ქართველებთან, კერძოდ – მეგრელებთან.[62]

მოკლედ რომ შევაჯამოთ, მეცნიერები ასკვნიან, რომ:

1. აფხაზეთის ტერიტორია ყოველთვის იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ნაწილი;
2. აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველები უხსოვარი დროიდან აბორიგენები არიან;
3. აფშილები, რომლებიც I საუკუნეში გამოჩნდნენ ცხუმის რაიონში, იყვნენ დასავლეთ საქართველოს ტომი;
4. აბხაზები (აბასკები, აბაზგები) II საუკუნიდან შესაძლოა იყვნენ დასავლეთ საქართველოს ტომი, ყოველ შემთხვევაში, VIII-IX საუკუნეებიდან პოლიტიკური და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ისინი უდავოდ ქართველები იყვნენ;
5. თანამედროვე აფხაზები ძირითადად ჩამოყალიბდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუა-აბაზინებისა და აბორიგენების (აფხაზები, ქართველები – მეგრელები) შეერთებით. ეს მოხდა XV საუკუნიდან XIX საუკუნემდე. მათი თვითწოდებითი სახელი, ე.ი. რომელიც თვითონ დაირქვეს, იყო „აფსუა“. უცხოელებისათვის ხშირ შემთხვევაში ისინი არიან აბაზგები, ხოლო ქართველებმა ძირითადად შეინარჩუნეს უძველესი სახელწოდება – „აფხაზები“;
6. დღევანდელ საზღვრებში, აფხაზეთის წარმოქმნა მოხდა XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში. მისი გაფართოება მოხდა სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილის ხარჯზე;
7. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორია არასოდეს ყოფილა ერთიანი და ცალკე სახელმწიფოებრივი ორგანიზმი. ის ყოველთვის საქართველოში შედიოდა.[62]

აფხაზები თავს ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში თვლიდნენ XIX საუკუნის განმავლობაშიც, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შემდეგ მოხდა საქართველოს სხვა ნაწილების და მათ შორის აფხაზეთის შეერთებაც რუსეთთან. საინტერესოა, რომ რუსეთში თავის მხრივ, აფხაზეთიც ნაწილებად შევიდა: 1805 წელს სამურზაყანო, 1810 წელს – საკუთრივ აფხაზეთი და 30-იან წლებში – წებელდა.[58]

საინტერესოა, და ბევრი რამის მთქმელი, რომ აფხაზების მიერ რუსეთის იმპერატორის სახელზე 1810 წელს გაგზავნილი თხოვნა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე, ქართულ ენაზეა დაწერილი.

XIX საუკუნის დასაწყისშიც, ისევე, როგორც ადრე, აფხაზეთის სამთავრო, საერთო ქართული ფეოდალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ორგანულ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. სოციალუ-

რი ფენის – თავადებისათვისაც კი არ იყო მოძებნილი სხვა სახელწოდება. აფხაზურადაც „ა–თავადი“ იყო. აფხაზთა თავადების რანგში აყვანაც საქართველოს სამეფო ხელისუფლების პრეროგატივა იყო და აუცილებლად სამეფო სიგელით ფორმდებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, აფხაზი თავადებიც თავს საერთო ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებად მიიჩნევდნენ. ამიტომ ამბობდა ალექსანდრე შერვაშიძე: „Я не абхазский а грузинский князь“.[58]

აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის „მფარველობაში აყვანაც“ ისეთივე სამხედრო აგრესიისა და ოკუპაციის გზით მოხდა, როგორც დანარჩენი საქართველოსი. ამას სერიოზული მღელვარება და აჯანყებათა ტალღა მოჰყვა. ტყუილად ხატავენ დღეს ისე, თითქოს აფხაზეთი დიდი სურვილით მიილტვოდა რუსეთისაკენ, როგორც მფარველისა და გადამრჩენისაკენ. შერვაშიძეთა შტოს წარმომადგენელი ერთი ძმა – ასლან ბეი შერვაშიძე ამ ბრძოლას ედგა სათავეში. მას ძალიან აქტიურად უჭერდნენ მხარს პროთურქულად განწყობილი აფხაზებიც. „ბრწყინვალე პორტაც“ მოურიდებლად ცდილობდა რუსების გაძევებას აფხაზეთიდან.

აქედან დაწყებული აფხაზთა ბრძოლას რუსების წინააღმდეგ, პრაქტიკულად პერმანენტული ხასიათი ჰქონდა. ის განსაკუთრებით გამწვავდა 1821 წლიდან, პრორუსულად განწყობილი გიორგი შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ. ამ პერიოდში რუსეთის რეგულარულმა ნაწილებმა სრულიად გადაწვეს და გაანადგურეს სოხუმი და მიმდებარე სოფლები. გამოჩენილი აფხაზი მეცნიერი, აკადემიკოსი გიორგი ძიძარიაც კი, ამ სისხლიან აქტებს სამართლიანად აძლევს უმწვავეს შეფასებას.

აჯანყებები განწვავდა 1824 წელსაც. ერმოლოვი ამბობდა, რომ „пламя бунта вспыхнуло вдруг по всей Абхазии“. ხშირი იყო შემთხვევები, რუსთა სადამსჯელო რაზმების სრულად განადგურებისა და რუსი მეთაურების მკვლელობებისა. აფხაზების დასახმარებლად უბიხები და სხვა ტომებიც ჩამოდიოდნენ. რუსეთის რეალურ გეგმებს კარგად ააშკარავებს ბრძანება, რომელსაც ნიკოლოზ I მთავარსარდალ პასკევიჩს უგზავნის: „Усмирение навсегда горских народов, или истребление непокорных“.

გენერალი ერმოლოვი აფხაზებს дикие хищники-ს უწოდებს და ა.შ.

საფრანგეთის კონსული თბილისში, ჟაკ გამბა წერდა, რომ „გაგრის ადგილმდებარეობა იმგვარია, რომ მისი ჩაგდება აუცილებელია თუ რუსეთს კავკასიის ხალხების დაშოშმინება სურს“. გენერალი პასკევიჩი ნიკოლოზ I-ს წერს, რომ კავკასიის საბოლოო დაპყრობა შეიძლება მხოლოდ

შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობისა და კოლონიზაციის შემდეგო. იგივე აზრები ჩანს გენერალ ერმოლოვის წერილებშიც.

1837 წელს კიდევ განხორციელდა დიდი ექსპედიცია აფხაზთა დასასჯელად, რომელსაც თვით მთავარსარდალი, მთავარმმართებელი ბარონი როზენი სარდლობდა. ეს სასტიკი სადამსჯელო ოპერაცია წებელდაში განხორციელდა.

ძალიან დიდი ანტირუსული აჯანყება იყო აფხაზეთში 1840 წელსაც. უფრო მეტიც, აფხაზები აქტიურად ერთვებოდნენ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებებში, რომლებიც ასევე პერმანენტულად იმართებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად, 1819-1920 წლებში იმერეთის აჯანყებებში, ასევე 1819-1920 წლებში სამეგრელოში შექმნილ ანტირუსულ ფრონტში, 1841 წელს – გურიის აჯანყებებში და ა.შ.[12]

ეს მოვლენები კარგად არის აღწერილი არაერთ ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში. მათ შორის, პროფ. ჯ. გამახარიასა და პროფ. ზ. პაპასქირის არაერთ ნაშრომში.

ასე რომ, მთელი ამ ათწლეულების (XIX საუკუნის I ნახევრის) განმავლობაში ბრძოლა მიმდინარეობდა არა ქართველებსა და აფხაზებს შორის, არამედ აფხაზები და ქართველები ცალ-ცალკე და ხშირად ერთად, პერმანენტულად ებრძოდნენ რუსებს, რუსეთის დაპყრობით და კოლონიზატორულ პოლიტიკას. გასაგები მიზეზების გამო, ეს ისტორიული სიმართლე მიჩქმალული იყო და მათ შესახებ დღესაც ძლიან ცოტამ თუ იცის.

XIX საუკუნის II ნახევარში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. ამაზე იმოქმედა 1853 წლის რუსეთ-თურქეთის, ანუ შემდგომში ყირიმის ომმა, რუსეთის გამარჯვებამ მთლიანად კავკასიაში. შამილის დატყვევებამ საბოლოოდ გადაწყვიტა რუსების მიერ კავკაიის დაპყრობის საკითხი, მისი ბოლო აკორდიც სწორედ „კრასნაია პოლიანას“ მიდამოებში (დღევანდელი გაგრის შემდეგი მიდამოები) აფხაზური თემების ამოწყვეტა და აფხაზთა სისხლით მორწყულ მინდორზე მოწყობილი გამარჯვების აღლუმი იყო. აწორედ ამ აღლუმზე გამოაცხადეს რუსებმა კავკასიის ომის დასრულება (როგორც აკად. რ. მეტრეველი აღნიშნავს, რუსეთის სამხედრო ისტორიაში ეს ომი ყველაზე ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი იყო).[54]

კავკასიის დამორჩილების შემდეგ რუსეთს აღარ სჭირდებოდა აფხაზეთის სამთავრო და დღის წესრიგში მისი გაუქმება დააყენეს. მას აღარ სჭირდებოდა მისი მთავარიც – მ. შერვაშიძე, რომლის ავტორიტეტსაც ჩრდილო კავკასიაში ომის წარმოებისას იყენებდა და ამიტომ, მას თვალთმაქცურად ეფერებოდა და ატყუებდა კიდეც.

აფხაზეთის მთავარმა, მიხეილ შერვაშიძემ, პროტესტის ნიშნად, მოიხსნა გენერალ-ლეიტენანტის და გენერალ-ადიუტანტის უფლებები. ამის პასუხად, მეფისნაცვალმა (დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე) 1864 წლის 24 ივნისს, აფხაზეთის მთავარს ოფიციალური შეტყობინება გაუგზავნა, რომ იმპერატორის ბრძანებით, მიხეილ შერვაშიძე და მისი შთამომავლობა სამუდმოდ კარგავდა აფხაზეთის მართვის უფლებას და იქ რუსული მმართველობა მყარდებოდა.

1864 წლის 5 ნოემბერს მიხეილ შერვაშიძე დააპატიმრეს და სამხედრო ხომალდით სტავროპოლში ჩაიყვანეს. შემდეგ 1865 წლის ივნისს, კიდევ უფრო შორს, ვორონეჟში გადაასახლეს. აფხაზეთის მთავარმა იქ ერთი წელიც ვეღარ იცოცხლა და 1866 წლის 16 აპრილს გარდაიცვალა. ასე „კეთილგანწყობილად“ და მზრუნველობით დაასრულეს რუსმა კოლონიზატორებმა აფხაზეთის სამთავროს ბედი. ამ მოვლენებსაც ობიექტურად, კრიტიკულად ასახავს გიორგი ძიძარია, რომელსაც ვერავინ დააბრალებდა განსაკუთრებულ პროქართულ და ანტირუსულ განწყობას.

სამთავრო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ აფხაზეთს ეწოდა სოხუმის სამხედრო განყოფილება. აი, ასე მოკლედ და „სამართლიანად“. ასე იოლად გადააქციეს დიდი და რთული ისტორიის მქონე საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამთავრო სამხედრო განყოფილებად.

სამხედრო განყოფილება ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაუქვემდებარეს (საყურადღებო და ბევრის მთქმელია, რომ მართალია, მეფის რუსეთმა აფხაზეთი „განყოფილებად“ აქცია, მაგრამ განყოფილება მაინც ისევ ქუთაისის გუბერნიის, ე.ი. საქართველოს შემადგენლობაში დატოვა). განყოფილების პირველი უფროსი გენერალი შატილოვი იყო. არც იმალებოდა, რომ უმთავრესი მიზანი მხარის კოლონიაზცია და გარუსება იყო. მათ უნდა მიეღოთ „решительные меры к обрусению этих областей“.

პარალელურად მიმდინარეობდა მოსამზადებელი მუშაობა ურჩი აფხაზი ტომის აფხაზეთიდან გასასახლებლად. უკვე 1864 წლის გაზაფხულზე, დიდი მთავრის, იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის უშუალო მონაწილეობით შედგა მხარის კოლონიზაციის სპეციალური გეგმა. სწორედ ამ გეგმის ერთი ნაწილი იყო ე.წ. მუჰაჯირობა („მუჰაჯირობა“ არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გადასახლებას, ემიგრაციას). მიხეილი ალექსანდრე II-ს, ე.ი. ძმას, წერდა, რომ საჭიროა „действовать решительно, чтобы окончательно очистить все черноморское побережье. Дело окончательного покорения этого края наиболее зависит от быстроты выселения туземцев на указанные им места, или в Турцию“. ასეთ

პოლიტიკას ახალი აჯანყებები (1866, 1977 წლებში) მოყვა. ეს საინტერესოა, მაგრამ ცალკე განხილვის თემაა.

ვფიქრობთ, სრულიად სამართლიანად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუჰაჯირობა სწორედ ამ აჯანყების შედეგი, მათზე პასუხი იყო. სხვაგვარად, რუსეთი ვერ ახერხებდა აფხაზეთის კოლონიზაციას, სხვაგვარად, აფხაზები ვერ დაიმორჩილეს. ეს იყო აფხაზთა ძალდატანებითი გადასახლება თურქეთის იმპერიაში.

რუსეთისა და თურქეთის ინტერესების დამთხვევა, კოლონიზაცია, მასობრივად გადასახლება და მათ ადგილებში მასობრივი ჩამოსახლება რუსეთიდან, არა მხოლოდ აფხაზების მიმართ ხორციელდებოდა, არამედ მთელი კავკასიის ზეგანის მიმართ – მათ ასევე დიდი რაოდენობით გადაასახლეს ჩერქეზები, ყაბარდოელები, უბიხები, ოსები, აბაზინები.

მაგალითად, უბიხები 1860 წელს მთლიანად გადაასახლეს თურქეთში (დარჩა მხოლოდ 13 ოჯახი).

იმავე პერიოდისათვის დაგეგმილი იყო (1864 წლისათვის) აფხაზების ძირითადად გასახლება (ამაზე მეტყველებს მეფისნაცვალ ბარიატინსკის წერილი ალექსანდრე II-ს „უნდა გავათავისუფლოთ კავკასიის ზეგანი და ამ ადგილზე – უმშვენიერეს და ნაყოფიერ ადგილას – კაზაკური დასახლება შევქმნათ. დროის დაუკარგავად უნდა გადავასახლოთ მთიელები თურქეთში და იქ ჩვენი ბატონობა დავამყაროთ სამუდამოდ“)[58]. იმ ეტაპზე ეს ვერ განახორციელეს, მაგრამ მცირე ნაწილი მაინც გადაასახლეს.

რამდენიმე წელიწადში მაინც მოხდა ერთ-ერთი დიდი გადასახლება – 1867 წელს თურქეთში გადასახლდა 14 458 ადამიანი (ალექსანდრე II უშუალოდ იძლევა ამის ნებართვას). როგორც აღვნიშნავთ, ამას აჯანყება უძღოდა წინ.

ყველაზე მასობრივად აფხაზები თურქეთში 1877 წელს გადასახლდნენ. დაახლოებით 50 ათასამდე უნდა ყოფილიყო.

ცალკე მიმართულება კოლონიზაციის პოლიტიკაში იყო სპეციალურად დაგეგმილი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

მიდიოდა ძლიერი ასიმილატორული პოლიტიკა, განსაკუთრებით ქართული ენის გამოდევნა, აფხაზთა, მთლიანად აფხაზეთის, ქართული კულტურის სამყაროდან გამოთიშვა. მაშინ აფხაზეთის ინტელიგენცია ქართულს, როგორც მშობლიურს, ისე იყენებდა, გამოდიოდა სპეციალური ბრძანებები, რომ ქართულის მცოდნეები, ქართველები, მასწავლებლებად და მღვდლებად არ მიეღოთ. ისინი თვლიდნენ, რომ ეს ყველაფერი მხარის გარუსებას ამუხრუჭებდა.

ჯერ კიდევ 1861 წელს ბარონმა პეტრე უსლარმა რუსული ენის გრამატიკის საფუძველზე შეადგინა აფხაზური ანბანი (მასში ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას). რა თქმა უნდა, ეს აფხაზების კულტურაზე ზრუნვით არ იყო გამოწვეული. როგორც თვითონ უსლარი წერდა, – „Туземная грамота, должна служить только тому, чтобы облегчить для них изучение русского языка“. „... Учреждение абхазской письменности должно быть только средством к ослаблению, путем церкви и школы, потребности в Грузинском языке и постоянной замене его государственным (т.е. русским)“[58]. რა თქმა უნდა, ანბანის შექმნის ნამდვილი მიზანი ყველაზე უკეთ თვით მისმა შემქმნელმა იცოდა და ის ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი „მოწმეა“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო მთელი XX საუკუნის განმავლობაშიც. ეს შენარჩუნდა XX საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში რთული პოლიტიკური ქარტეხილებისა და რევოლუციების დროსაც.

1918 წლის 29 მაისს აქტს დამოუკიდებლობის შესახებ აფხაზებიც აწერენ ხელს. 1921 წლის კონსტიტუციაშიც, აფხაზეთი საქართველოს ორგანულ შემადგენელ ნაწილად არის ცნობილი. იგივე პოლიტიკა გაგრძელდა გასაბჭოების შემდეგაც. ხშირად სეპარატისტები სპეკულირებდნენ იმით, რომ (მათ რუს მფარველებსაც უყვართ ამის გახსენება) 1921–1931 წლებში აფხაზეთს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ერქვა. სინამდვილეში ეს იყო მხოლოდ აბრევიატურა და არა აფხაზეთის დამოუკიდებლობის მაჩვენებელი. ასევე დროებით დაერქვა მაგალითად, 1918 წელს უკრაინის ტერიტორიაზე შექმნილ დონეცკ-კრივოი როგის რესპუბლიკას. იმავე წელს შეიქმნა სტავროპოლის, ყუბან-შავი ზღვის და ა.შ. რესპუბლიკები, რომელთა დასახელება, როგორც აფხაზეთის რესპუბლიკის, მალე გაუქმდა, ხოლო ზოგიერთი მათგანი საერთოდ გაუქმდა, როგორც ადმინისტრაციული ერთეული.

ჯერ კიდევ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, რუსეთმა აფხაზეთი ანუ სოხუმის ოკრუგი ცნო საქართველოს შემადგენლობაში უეჭველად შემავალ ნაწილად. 1924 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაშიც, აფხაზეთი, როგორც საქართველოს შემადგენლობაში მოხსენიებული ავტონომიური რესპუბლიკაა. აფხაზეთი, განსხვავებით საქართველოსაგან, არასდროს ყოფილა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. მას არ ჰქონია გაფორმებული ხელშეკრულება რუსეთთან. რუსეთს არასდროს ჰყოლია იქ თავისი წარმომადგენელი, ის არ შესულა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, როგორც ცალკე რესპუბლიკა 1922 წელს და ა.შ.

იგივეს მოწმობს იმ პერიოდში და შემდეგაც ყოველთვის, აფხაზეთის კომპარტიის ყოფნა უშუალოდ საქართველოს კომპარტიის შემადგენლობაში. პარტიული ორგანოების სტრუქტურას, იერარქიულ წყობასა და აბრევიატურას მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, უფრო მეტიც, სწორედ ეს იყო განმსაზღვრელი.

1931 წლის თებერვალში თვითონ აფხაზეთის საბჭოების ყრილობამ აღიარა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით.

მოდით, ახლა განვიხილოთ აფხაზეთის დემოლოგიური განვითარება და მისი მაჩვენებლები.

გვიან შუასაუკუნეებამდე აფხაზეთი ეთნიკურად ერთგვაროვანი იყო. მონაცემები ძირითადად მე-19 საუკუნიდან მოგვეპოვება. ინალიფა, ლაკობა, აშუბა ამახინჯებენ ფაქტებს, თითქოს აფხაზთა რაოდენობა მე-17 საუკუნეში 600 ათასი იყო (ისინი, ვითომ რომელიღაც თურქი მოგზაურის ცნობებს ეყრდნობიან).

ზაქარია ჭიჭინაძე მიჩნევს, რომ მე-17 საუკუნეში ამ რიცხვზე ბევრად ნაკლები იყო მთლიანად საქართველოს მოსახლეობა. 1770 წელს ჩატარებული აღწერით, მთელი ქართლ-კახეთის ბარის მოსახლეობა დაახლოებით 220 ათასს უდრიდა. ვ. ჯაოშვილის გაანგარიშებით, ამ დროს იმერეთში 119 ათასი, სამეგრელოში – 75 ათასი, აფხაზეთში – 64 ათასი კაცი ცხოვრობდა.

პ. გუგუშვილი თვლიდა, რომ 1800 წელს აფხაზების რაოდენობა 30 ათასი იყო, ხოლო 1832 წელს ის 34 800 უდრიდა.

1886 წელს შედგა ამიერკავკასიის და ნაწილობრივ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები (რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დავალებით). ეს მონაცემები ცალკე წიგნად გამოიცა 1893 წელს.

საოჯახო სიების მიხედვით, 1886 წელს აფხაზეთში 29 ათასამდე აფხაზი ცხოვრობდა, ძირითადად გუდაუთის და კოდორის რაიონებში. საოჯახო სიებში ცალკეა გამოყოფილი სამურზაყანოს 30 ათასი ქართველი, მაგრამ აფხაზი მეცნიერები, ამ 30 ათასსაც აფხაზების რაოდენობას ამატებენ და გამოდის, რომ აფხაზების რაოდენობა 59 ათასს (85%), ხოლო ქართველების – 4 ათასს (6%) (ე.ი. რეალურად იყო 34 ათასი ქართველი და 29 ათასი აფხაზი. ესეც იმიტომ, რომ გარკვეული რაოდენობა უკვე ჩაეწერა აფხაზად).

რუსი ჩინოვნიკების მიერ 1902 წელს შედგენილ ყოველწლიურ ანგარიშებში წერია, რომ აფხაზეთში ცხოვრობდა 46 400 აფხაზი და 51 000 ქართველი. ანალოგიურია სხვა წლების მონაცემებიც.

სარწმუნოების მიხედვით: 1902 წელს აფხაზეთის მოსახლეობის 89,5% მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, 3,1% – გრიგორიანელი, ხოლო მუსულმანი – 7%. 1886 წელსაც ქრისტიანი მოსახლეობის წილი ასევე იყო 89%, ხოლო მუსულმანების – 6%.

1867 წლის სოხუმის აღწერის ოფიციალურ დოკუმენტში პირდაპირ წერია, რომ „ქალაქის მოსახლეობას შეადგენდნენ: ა) ადგილობრივი მეგრელები – 450, ბერძნები – 217, სომხები – 78, რუსები – 25, ე.ი. 770 და ბ) გარედან მოსულნი: უცხოელები – 320, ოფიცრები – 42, ჩინოვნიკები – 42, ვაჭრები. არცერთი აფხაზი და არცერთი თურქი ქალაქში არ ჩამოსახლებულა“.

სოხუმში, 1886 წელს მხოლოდ სამი აფხაზი ცხოვრობდა (საოჯახო სიების მიხედვით). კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ყველა ეს სტატისტიკური მასალა მხოლოდ რუსი მოხელეების მიერ არის შედგენილი და რუსეთში გამოქვეყნებული. მათზე ხელი ქართველებს არც კი მიუწვდებოდათ. მაშასადამე, ვერავინ დააბრალებს ქართველ მეცნიერებსა და სპეციალისტებს მათ დამახინჯებას.

სამართლიანია თუ არა ბრალდება აფხაზეთში ქართველების მექანიკური ანუ ხელოვნური მიგრაციის გზით ზრდის შესახებ? ამისათვის ვნახოთ, როგორია მოსახლეობის ზრდის ტემპი.

ქართველების რაოდენობა XX საუკუნეში, 1989 წლამდე, გაიზარდა 2,9-ჯერ, სომხებისა – 2,9-ჯერ, რუსებისა – 7,8-ჯერ.

ა. თოთაძე აღნიშნავს, რომ „ერთი ქართველიც რომ არ დაბადებულიყო, 1826 წლის შემდეგ და არც საცხოვრებლად გადასულიყო აფხაზეთში, აფხაზების წილი 17,1%-დან მხოლოდ 24%-მდე ამაღლდებოდა. ქართველ მოსახლეობას საერთოდ რომ არ ეცხოვრა აფხაზეთში, აფხაზების წილი მხოლოდ 32% იქნებოდა“.

აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1989 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, შემდეგია:

ქართველი – 45% (დაახლოებით 237 ათასი)
აფხაზი – 17,8% (დაახლოებით 93 ათასი)
სომეხი – 14,6% (დაახლოებით 76 ათასი)
რუსი– 14,3% (დაახლოებით 45 ათასი)
ბერძენი – 2,8% (დაახლოებით 14 ათასი)

სულ აფხაზეთის მოსახლეობა 525 ათასი იყო.

მაშ ასე, 1959-1989 წლებში ქართველების და აფხაზების რაოდენობა თანაბრად იზრდება – ორივე 1,52-ჯერ გაიზარდა.

მაგრამ ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი აქვთ აფხაზებს: 1990 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი აფხაზეთში 13,7‰ იყო (ე.ი. ყოველ ათასზე 13,5 ახალშობილი მოდიოდა). თვითონ აფხაზებში ეს მაჩვენებელი 16,2‰ იყო, ქართველებში – 14,7‰; სომხებში – 13,8 ‰; რუსებში – 9,6‰; აფხაზებში, ამასთან, გაცილებით დაბალი იყო მოკვდაობის მაჩვენებელი. მაღალი შობადიბისა და დაბალი მოკვდაობის პირობებში ბუნებრივია, მაღალია ბუნებრივი მატება. 1990 წელს ბუნებრივი მატება ყოველ ათასზე 5,8 კაცი იყო. აფხაზებში ეს ორჯერ მაღალი იყო. ასევე იყო წინა წლებშიც. ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები აფხაზებში, მთელი საუკუნის განმავლობაში, ქართველებთან და სხვა ეროვნებებთან შედარებით, გაცილებით მაღალი იყო.

რაც შეეხება ბრალდებას, რომ აფხაზეთის დემოგრაფია შეცვალეს სტალინმა და ბერიამ, იქ ქართველების ძალადობრივი ჩასახლების გზით. სინამდვილე ასეთია:

აფხაზეთის ქალაქების მოსახლეობა თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში, ძირითადად საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან შემოსული მოსახლეობის ხარჯზე იზრდებოდა. მაგალითად, 1922 წლის ქალაქების მოსახლეობის აღწერით, სოხუმში მცხოვრები 1992 ბერძენიდან 3381 დაბადებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ. 4467 რუსიდან – 3400, 1889 სომხიდან – 1123. ანალოგიური მონაცემებია გუდაუთის მოსახლეობის მიხედვითაც. ამასთან, 1922 წელს აფხაზები, როგორც სოხუმში, ისე გუდაუთაში მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ. ისინი შესაბამისად, მთელი მოსახლეობის 2,4% და 6,5 %-ს შეადგენდნენ. შემდგომ წლებშიც, ინტენსიურად გრძელდებოდა აფხაზეთში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსახლება და ამას, პირველ რიგში თვითონ აფხაზები უწყობდნენ ხელს. მაგალითად, 1983-1988 წლებში, ტყვარჩელში საცხოვრებლად საქართველოს სხვა რეგიონებიდან 380 კაცი ჩავიდა, ხოლო სხვა რესპუბლიკებიდან – 1616, ე.ი. დაახლოებით 4-ჯერ მეტი, ბოლო ათწლეულებში ოჩამჩირის რაიონში ჩაწერილთა მთელი რაოდენობიდან სხვა რაიონებიდან ჩასული იყო მხოლოდ 20%, ხოლო დანარჩენი 80% ჩამოვიდა კრასნოიარსკის, კემეროვოს, სმოლენსკის, მოსკოვის, ჩელიაბინსკის, ტიუმენის, ამურის და სხვა ოლქებიდან.

აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XX საუკუნეში ასეთია:

ცხრილი 6

ეროვნება	1926 წ.		1939 წ.		1959 წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
ქართველი	71954	35,8	91967	29,5	158221	39,1
აფხაზი	51458	25,6	56197	18	61193	15,1
სომეხი	25677	1,6	49705	15,9	64425	15,9
რუსი	12553	1,8	60210	19,3	86715	21,4
ბერძენი	14045	3,1	34621	11,1	9101	2,2
სულ მოსახლეობა	201016	100	292 700	100	404738	100
	1970 წ.		1979 წ.		1989 წ.	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
ქართველი	199595	41	213322	43,9	239772	45,7
აფხაზი	77276	15,9	83097	17,1	93267	17,8
სომეხი	74860	15,4	73350	15,1	76541	14,6
რუსი	92889	19,1	79730	15,4	74914	14,3
ბერძენი	13114	2,7	13642	2,8	14664	2,8
სულ მოსახლეობა	486959	100	486082	100	525061	100

ე.ი. აფხაზი მოსახლეობის წილის შემცირება მოხდა რუსი და სომეხი მოსახლეობის ზრდის გამო, თანაც ე.წ. სტალინი-ბერიას წლებში. როგორც ვხედავთ, იგივე გაგრძელდა შემდეგ წლებშიც.

მაშასადამე, რეალური დემოლოგიური მაჩვენებლები შორს არის იმისგან, რის წარმოდგენასაც ცდილობენ.

სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა ხელმძღვანელ ნომენკლატურულ თანამდებობაზე მყოფთა ეროვნული შემადგენლობა მართლაც არ შეესაბამებოდა მთელი აფხაზეთის ეროვნულ შემადგენლობას (წესით პროპორციული უნდა ყოფილიყო), მაგრამ არ შეესაბამებოდა დიდი უპირატესობით აფხაზთა სასარგებლოდ. აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები ამ მხრივ აშკარა პრივილეგიებით სარგებლობდნენ. რადგან სიტყვა პრივილეგიებზე ჩამოვაგდეთ, უნდა ვთქვათ ისიც, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთმა ელასტიური კოლონიზატორული პოლიტიკის გატარება დაიწყო. უხეში ძალით დათრგუნვის პარალელურად დაიწყო ე.წ. მათრახის და თაფლა კვერის პოლიტიკა. მაგალითად, აფხაზი ეროვნების ვაჟები გაათავისუფლეს სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან. არადა, ცნობილია, მაშინ

25-წლიანი სამხედრო სამსახური იყო, თანაც რუსეთის ტერიტორიაზე. დააწესა მთელი რიგი ეკონომიკური შეღავათები და პრივილეგიები აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებისათვის. XX საუკუნის თანამდებობრივი პრივილეგიების პოლიტიკაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. სულ რამდენიმე წლის წინ კი აფხაზები რუსეთის მოქალაქეებადაც კი ჩაწერა. მთელ ამ პროცესს შედეგად მოჰყვა ის, რომ სამწუხაროდ, დიდი რაოდენობით ქართველი აფხაზად ჩაეწერა, თანაც ისე, რომ ძველი ქართული გვარი შეინარჩუნა. პროფესორმა თ. მიბჩუანმა აღმოაჩინა, რომ დღევანდელ აფხაზთა გვარების 72,7 % ქართულია, 25% – ადიღეურ-ჩერქეზულ-აბაზინური, ხოლო აფხაზური გვარების 3,8% ძირითადად თურქული, სპარსული და რუსული წარმოშობისაა. თ. მიბჩუანი წერდა, რომ აფხაზთა სულ 417 გვარიდან, 303 – ანუ დაახლოებით ¾ – ქართულია.

ყველაფერი ზემოთ ნათქვამი, მე მგონი თავისუფლად გვაძლევს ერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნის დაბეჯითებით გაკეთების შესაძლებლობას:

კონფლიქტს აფხაზეთში არ ჰქონია არავითარი ეთნოლოგიური საფუძველი. უფრო მეტიც, ვთვლით, რომ კონფლიქტი აფხაზეთში იყო და არის არა ეთნიკური კონფლიქტი, არამედ, ის იყო და არის განზრახ ორგანიზებული, სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი.

კონფლიქტის მოგვარებაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს ერთიანობის პრინციპის სრული დაცვით. ამასთან, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე აფხაზეთის კონსტიტუციით, გარანტირებული უნდა იყოს აფხაზი ხალხის კონსტიტუციური უფლებები. გარანტირებულად უნდა იყოს დაცული აფხაზური ენის, აფხაზური კულტურისა და უმდიდრესი სულიერი ღირებულებების შენარჩუნება და განვითარება.

7.3. ოსების დემოლოგიური განვითარება საქართველოში

ოსთა წარმოშობის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ოსთა წინაპრები ირანულენოვანი მომთაბარე ალანური ტომები იყვნენ. არის სხვა მოსაზრებაც, რომ ალანები არიან არა ირანულენოვანი, არამედ ერთ-ერთი თურქული მოდგმის ხალხი. პროფ. რ. თოფჩიშვილი, კატალონიელი ისტორიკოსის ავგუსტი ალემანის ნაშრომზე დაყრდნობით ასკვნის, რომ

ალანთა ეთნოგენეზი კავკასიიდან ძალიან შორს მოხდა და მათი განსახლების არეალი მხოლოდ ევრაზიის ვრცელი სტეპები ყოფილა. ამის შემდეგ იკავებენ ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ველებს. რ. თოფჩიშვილის დასკვნით, თანამედროვე ოსების ერთ-ერთი წინაპრის, ირანულენოვანი ალანების ეთნოგენეზი შუა აზიის ტერიტორიაზე მოხდა. ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან ალანები დასავლეთის მიმართულებით იწყებენ მოძრაობას და თანამედროვე რუსეთის სამხრეთსა და უკრაინის სტეპებში მომთაბარეობენ. IV საუკუნის 70-იან წლებში, როგორც აღვნიშნეთ, მათ სამომთაბარეო არეალს კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ტერიტორიიდან აზოვის ზღვამდე, ჰუნები შემოესიენ. ამის შემდეგ, ალანების ნაწილი, ჰუნებთან და სხვა გერმანულ ტომებთან ერთად დასავლეთ ევროპის მიმართულებით მიდის სათარეშოდ. სავარაუდოდ, საბოლოოდ ისინი ევროპელებს მთლიანად შეერივნენ. ალანების ნაწილი დუნაიმდე ავრცელებს თავის მომთაბარეობას, ხოლო კიდევ ერთი ნაწილი კი, ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში სახლდება და ქმნის სახელმწიფოებრივ წარმონაქმს. ამ სახელმწიფოებრივ წარმონაქმთან კი, საქართველოს სახელმწიფოს ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს.ყოველივე ამის შესახებ გადმოგვცემს პროფ. ა. თოთაძეც.[30]

XIII საუკუნეში ალანები მონღოლებმა დაიმორჩილეს. ამ საუკუნის შუა ხანებში დაიწყო მათი შესახლება ცენტრალური კავკასიის მთიანეთში. მათი უმეტესი ნაწილი მთიან ხეობაში XIV-XV საუკუნეებში შესახლდა. მათ აითვისეს ადგილობრივ მთიელთა კავკასიური მოდგმის ხალხების ტერიტორია და მათ შეერივნენ. სწორედ ამ შერევის შედეგად ჩამოყალიბდა პრაქტიკულად ახალი ეთნოსი.

შუა საუკუნეების განმავლობაში ალანები ამურდარიიდან დუნაიმდე, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ბინადრობენ. მაგრამ ამავე დროს, არცერთი ქართული თუ უცხოური წერილობითი წყარო ალანებს საქართველოში არ ასახელებს. რ. თოფჩიშვილის აზრით, ალანებმა დაიკავეს ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ის მონაკვეთი, რომელიც ადგილობრივი კავკასიური მოდგმის ხალხების საცხოვრისი იყო.

ამრიგად, ალანებისა და ოსების სრულ იდენტურობაზე საუბარი, ზოგიერთი მეცნიერის აზრით მცდარია. მათ მიაჩნიათ, რომ ოსთა ეთნოგენეზის პროცესში ალანებმა მართლაც დიდი როლი ითამაშეს, მაგრამ ალანების ოსთა პირდაპირ შთამომავლებად გამოცხადება არ შეიძლება. ოსები, როგორც ახალი ეთნიკური ერთეული, ალანებისა და ჩრდილოეთ კავკასიელი კავკასიურენოვანი მოსახლეობის შერწყმის შედეგად წარ-

მოიშვა. ასეთ მოსაზრებებს გამოთქვამს ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ნოდარ ლომოურიც. ის წერს, რომ „ამ შერწყმის შედეგად წარმოშობილი ახალი ეთნიკური წარმონაქმნი:

1) ენობრივად ირანელები არიან, რადგან შერწყმის პროცესში გაიმარჯვა მოსულთა ენამ;

2) ისინი ანთროპოლოგიურად „კავკასიურ“ ტიპს ეკუთვნიან, რადგან ანთროპოლოგიურად ადგილობრივმა ტიპმა გაიმარჯვა;

3) კულტურულად კი, ეს ახალი წარმონაქმნი ალანური და „კავკასიური“ კულტურების მემკვიდრეა“. ნ. ლომოური იმასაც უსვამს ხაზს, რომ ასეთი დასკვნები მიღებულია როგორც ქართველი, ასევე ოსი, რუსი და მსოფლიოს სხვა გამოჩენილი მეცნიერების გამოკვლევების და დასკვნების საფუძველზე. ეს გამოკვლევები იმასაც აჩვენებს, რომ არც ანტიკური და შემდეგი პერიოდის წერილობითი წყაროები და არც მიკვლეული არქეოლოგიური მასალა არ იძლევა იმის ვარაუდის მცირედ საფუძველსაც, რომ ალანები, თუნდაც მცირე რაოდენობით იყვნენ განსახლებული სამხრეთ კავკასიაში. მაშ ასე, ადრე შუასაუკუნეებამდე მაინც, საქართველოში ალანების თუნდაც მცირე ჯგუფის ცხოვრების არავითარი წყარო არ არსებობს. ნ. ლომოური მიიჩნევს, რომ სრული შეცდომაა I-VIII საუკუნეთა მანძილზე, ოს-ქართველთა ურთიერთობაზე საუბარი, რადგან ამ პერიოდში ოსები, როგორც რეალური ეთნიკური ერთეული, უბრალოდ არ არსებობდა.

საინტერესოა, როგორი იყო მათი სარწმუნოება. ამჟამად ოსები ძირითადად ქრისტიანები არიან. მათი მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს მაჰმადიანობას. არსებობს მოსაზრება, რომ ალანები IV საუკუნეში გაქრისტიანდნენ. ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოფი კესარიელის მიხედვით, ალანები ქრისტიანულ რჯულს მისდევდნენ. ამ ალანებს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდათ ბიზანტიასთან. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად კი, ალანთა ნაწილმა ქრისტიანობა საქართველოდან მიიღო. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი აღნიშნავს, რომ წმინდა მოციქულმა, ანდრია პირველწოდებულმა საქართველოს შემდეგ ოსთა ქვეყანაშიც იქადაგა. ქრისტიანობა ოსთა სახელმწიფო რელიგიად X საუკუნეში გამოცხადდა.

ოსების პირველი შემოსვლა საქართველოში მონღოლთა და თემურლენგის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ველებზე ოსების დარბევამ და განადგურებამ გამოიწვია. ამ შემოსევების შედეგად, ოსები იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი და თავი ცენტრალური კავკასიონის ხეობებისათვის შეეფარებინათ.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში მონღოლთა შემოსევების გამო საქართველო მნიშვნელოვნად დასუსტდა და ამან ხელსაყრელი პირობები შექმნა იმისათვის, რომ შიდა ქართლის მიდამოებში ოსების სამხედრო რაზმები შემოსულიყვნენ. ამას მონღოლებიც უწყობდნენ ხელს, რადგან მათ ქართველების წინააღმდეგ იყენებდნენ. ოსების ქართლში ეს შემოსევები დაახლოებით 30 წელიწადს გაგრძელდა. ოსთა შემოსევების ალაგმვა და მოთარეშე რაზმების განადგურება შეძლო გიორგი ბრწყინვალემ. ამის მერე, ორი საუკუნე, საქართველოში ოსთა კომპაქტურად დასახლებული პუნქტები აღარ ჩანს.

არაერთი ისტორიული მონაცემით ჩანს, რომ ოსთა ახალშენები ქართლის მიდამოებში მხოლოდ XVII საუკუნის შუახანებიდან წარმოიქმნა. XVII-XVIII საუკუნეებში ოსები თანდათანობით გადმოდიან საცხოვრებლად ქართლის მთიანეთში, მაგრამ მათ აქ მწირი მიწა და საცხოვრებლად არახელსაყრელი პირობები დახვდათ.

ვახუშტი ბაგრატიონის რუკების ანალიზით, ჯ. გვასალია აღნიშნავს, რომ შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული სოფლები არ არსებობდა. მათი განსახლების ადგილები მხოლოდ ხეობათა სათავეები იყო.

ვახუშტის მიერ შედგენილი 1735 წლის რუკაზე , ოსეთი კავკასიონის ქედის გადაღმა მდებარეობს.

ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები, ენობრივი მასალა, ოსური ფოლკლორი, შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ძეგლები, ტოპონიმები, ეპიგრაფიკა ნათლად ადასტურებს, რომ ოსები ძირითადად მხოლოდ XVII საუკუნიდან ჩამოსახლდნენ. ცნობილი ოსი მეცნიერი ვ. აბაევიც აღნიშნავს: „ისტორიული და ენობრივი ფაქტები მოწმობენ, რომ ქსნის ოსების დასახლება ქსნის ხეობის ახლანდელ ადგილებში მოხდა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, დაახლოებით უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში“. ე.ი. ვ. აბაევიც ადასტურებს, რომ ეს დაახლოებით XVIII საუკუნიდან მოყოლებული მომხდარა.

ძალიან საინტერესო და საყურადღებოა ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს პარმენ ზაქარაიას დასკვნა: „შიდა ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც „სამხრეთი ოსეთი“ ერქვა, ყველაფერი, რაც მიწიდან არქეოლოგებმა ამოიღეს და რაც მიწის ზემოთ ძეგლი დგას, ქართულია. ეს თავისთავად იმაზე მიგვითითებს, რომ აქ ყოველთვის ქართველი მკვიდრობდა და თუ

ვინმე რამეს ქმნიდა და აშენებდა, ისევ ქართველი იყო. სხვა ერის წარმომადგენლის ხელი აქ მხოლოდ ნგრევაში, ქვეყნის წახდენაში ჩანს“[25].

მეცნიერთა გამოკვლევების თანახმად, ლიახვის, ქსნისა და სხვა ხეობების შუა და ზემო ნაწილებში, ანუ გვიან პერიოდებში ოსებით დასახლებულ ადგილებში, გეოგრაფიული სახელწოდებების უმრავლესობა ქართველური ენების მიხედვით არის წარმოქმნილი. მრავალი ტოპონიმი, რომლებიც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზეა გავრცელებული, სვანური და ჭანურ-მეგრული წარმოშობისაა. საინტერესოა ერთი რამეც: ვარაუდობენ, რომ შესაძლოა სწორედ შიდა ქართლი წარმოადგენდა იმ ტერიტორიის ნაწილს, სადაც წინარე ქართველური ენის დაშლა მოხდა – ქართულ, სვანურ და ზანურ ენებად. ამ მოსაზრებასაც ჯ. გვასალია გამოთქვამს სათანადო წყაროებზე დაყრდნობით.

ოსების ქართლის შიდა დაბლობში ჩამოსახლება XVIII საუკუნის დასაწყისიდან იწყება და ეს პროცესი მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდება. მაგრამ მაინც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში XVII-XVIII საუკუნეებსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ოსები საქართველოში უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობდნენ. ოსების საცხოვრებლად საქართველოში ჩამოსახლება მათი ისტორიული სამშობლოდან – ჩრდილოეთ ოსეთიდან – მასობრივად 1860-იანი წლებიდან იწყება. ამის შესახებ, სანდო ცნობებს გვაწვდის ცნობილი ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედია.

ენციკლოპედიის მიხედვით, 1860 წელს ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ოსების რაოდენობა 46 802 იყო, ხოლო საქართველოში, კერძოდ, ქართლის მთიანეთში 19324 ოსი ცხოვრობდა. თითქმის იმდენივე ოსი ცხოვრობდა საქართველოში 1858 წელს, თბილისის გუბერნიის აღწერის მიხედვით (რა თქმა უნდა, ყველა აღნიშნული აღწერა რუსმა მოხელეებმა ჩაატარეს და მონაცემებიც მათ მიერვეა გამოქვეყნებული). ასე რომ, მითითებულ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთში 2,5-ჯერ მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე საქართველოში. იმავე ენციკლოპედიის მიხედვით, 1833 წლის მონაცემებით, მთელს რუსეთის იმპერიაში 35 750 ოსი ცხოვრობდა. აღნიშნული წყაროს ანალიზისა და სხვა წყაროების მიხედვით, იმ პერიოდში საქართველოში დაახლოებით 14000 ოსი ცხოვრობდა. კიდევ უფრო ადრე, XIX საუკუნის დასაწყისისათვის, რუსეთის იმპერიაში 25 000 ოსი ცხოვრობდა.

საინტერესოა ასეთი ცნობებიც: 1880 წელს, კავკასიის სტატისტიკური კომისიის მონაცემებით, ჩრდილოეთ ოსეთში 58 926 ოსი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში კი უკვე 51 988 ოსი. ასე რომ, 1860 წლიდან 1880

წლამდე, ანუ 20 წლის განმავლობაში ოსების რაოდენობა ჩრდილოეთ ოსეთში 12 ათასით, ანუ მხოლოდ 1,2-ჯერ გაიზარდა, ხოლო საქართველოში – 33 ათასით, ანუ 2,7-ჯერ. აქ საყურადღებოა ის, რომ ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები 47 000 ოსი 20 წლის განმავლობაში მხოლოდ 12 ათასით გაიზარდა, ხოლო საქართველოში – გაცილებით მცირე რაოდენობით მცხოვრები ოსების რაოდენობამ – 19 ათასი – იგივე პერიოდში 33 ათასით მოიმატა. რა თქმა უნდა, დროის ასე მცირე მონაკვეთში ასეთი რაოდენობის ბუნებრივი მატება შეუძლებელია რომ მომხდარიყო. ეს მხოლოდ მექანიკური ზრდის ანუ მიგრაციული პროცესის შედეგად იყო შესაძლებელი. ე.ი. ამ პერიოდში, ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად ოსების დიდი რაოდენობა ჩამოდის.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ პერიოდში, ოსებს შიდა ქართლში ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებულებად თვლის ბევრი რუსი მეცნიერიც. ცნობილი მეცნიერის, გ. ჩურსინის აზრით, „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ოსები შედარებით ახალმოსულები არიან და რომ ადრე აქ, სხვა ხალხი ცხოვრობდა, რომელმაც თავის შესახებ ხსოვნა ბევრი ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებებში დატოვა“. იგივე აზრს გამოხატავს ასევე ცნობილი მეცნიერი ვ. პფაფი: „ყველა ამიერკავკასიელ ოსს ახსოვს, რომ გადმოსახლდა ჩრდილოეთიდან. ხოლო პროფ. დუბროვინი, რომელმაც კარგად იცის, რომ არავითარი სამხრეთი ოსეთი არ არსებობს, სამხრეთელ ოსებს ის მოიხსენიებს, როგორც „ეგრეთწოდებული“. ცნობილი კავკასიოლოგი ლ. ზანგურსკი წერს, რომ „ძირეული ოსეთი მდებარეობს კავკასიის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე“.

ამრიგად, მასობრივად ოსები საქართველოში საცხოვრებლად გადმოდიან XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ისინი ქართლის ბარის რაიონებშიც სახლდებიან. ოსთა კომპაქტური დასახლებები ჩნდება მტკვრის სანაპიროზე, ახლანდელი ქარელის და ბორჯომის რაიონებში. მაგალითად, ბაკურიანში 1885 წელს უკვე 71 ოსი ცხოვრობდა.

ოსების ინტენსიური დასახლება ქართლისა და კახეთის ბარის ტერიტორიაზე მთელი XX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. თუ 1926 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 113 ათასი იყო და აქედან 60 ათასი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ხოლო 53 ათასი – მის ფარგლებს გარეთ, 1989 წელს უკვე საქართველოში ოსების რაოდენობამ 164 ათასი შეადგინა. მათ შორის, 64 ათასი – ყოფილ ოლქში, ხოლო თითქმის 100 ათასი, მის ფარგლებს გარეთ, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ცხოვრობდა.

როგორც ვხედავთ, 1926-1989 წლებში, ყოფილ ავტონომიურ ოლქში ოსების რაოდენობა უმნიშვნელოდ – 4,8 ათასით, ანუ 8%-ით გაიზარდა. ხოლო ოლქის ფარგლებს გარეთ საქართველოში – 47 ათასით, ანუ 87%-ით. ასე რომ, შეიძლება დავასკვნათ: ოსების მიერ საქართველოს ტერიტორიის ეთნიკური ათვისება მთელი XX საუკუნის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა.

აღნიშნული პროცესის შედეგად, 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, ოსები ქარელის რაიონში შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 15%-ს, ახმეტის რაიონში – 11%-ს, გორისა და კასპის რაიონებში 10-10%-ს, ბორჯომისა და ლაგოდეხის რაიონებში – 8-8%-ს. თუ 1886 წელს თბილისში 314 ოსი ცხოვრებდა, ხოლო 1922 წელს – 1446, 1989 წელს დედაქალაქში 33 ათასი ოსი ცხოვრობდა. ე.ი. ერთი საუკუნის განავლობაში ოსების რაოდენობა თბილისში 105-ჯერ გაიზარდა, ხოლო უკანასკნელი 60 წლის მანძილზე – 23-ჯერ. მართლაც, 1989 წლის აღწერამ აჩვენა, რომ თბილისში მცხოვრებ ოსთა ნახევარიც კი (16 ათასი) არ იყო თბილისში დაბადებული.

როგორც ვთქვით, 1989 წელს საქართველოში 164 ათასი ოსი ცხოვრობდა. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით კი საქართველოში მთლიანად 82 ათასი ოსი ცხოვრობდა, მათ შორის – ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქში – 46 ათასი. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში მთლიანად ≈15 ათასამდე ოსი ცხოვრობდა (0,4%). უფრო ზუსტად – 14,4 ათასი.

ცალკე შევეხოთ ქალაქ ცხინვალს. ცხინვალში ოსებს XXსაუკუნემდე არასოდეს უცხოვრიათ. იგი ყოველთვის ქართული ქალაქი იყო. აკადემიკოს შოთა მესხიას აზრით, ცხინვალი წინა ქრისტიანულ ხანაშიც მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა.

სახელწოდება ცხინვალი წარმოდგება რცხილადან. ძველ ქართულში მას ქრცხილას უწოდებდნენ. ამიტომ, ძველ ქართულ წყაროებში ცხინვალი ქრცხინვალად მოიხსენიება. ისტორიული წყაროების მიხედვით, XIV–XVI საუკუნეებში ცხინვალი დასახლებული იყო სვეტიცხოვლის მონასტრის ყმებით, მისი ადგილმდებარეობის გამო, ის უძველესი დროიდან მნიშვნელოვან სავაჭრო როლს ასრულებდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში 14 მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტია. მათ შორის 2 – თბილისი და გორი – უმთავრესი ქალაქებია. დანარჩენ 12 „მცირე ქალაქს“ შორის ცხინვალიც მოიხსენიება.

XVIII საუკუნის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ალ. ამილახვარი მას გორის მერე, მეორე ადგილს აკუთვნებს.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, მოურავი „ტფილისისა, ქცხინვალისა და დუალეთისა“ გიორგი სააკაძე ყოფილა. ცხინვალის მოურაობა საუკუნეთა განმავლობაში მეფისაგან ამილახვრებს ჰქონდათ ბოძებული.

XVIII საუკუნისა და უფრო ადრეული პერიოდების ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები თითქმის არ მოიპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ 1770 წლის აღწერით, ცხინვალში 700 კომლი ცხოვრობდა. როგორც ჩანს, აქ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხები. სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, არსებული ცნობების მიხედვით, აქ არასდროს უცხოვრიათ.

1858 წლის თბილისის გუბერნიის აღწერის მიხედვითაც, ცხინვალში მხოლოდ ქართველები, სომხები და ებრაელები ცხოვრობდნენ. ასევე, 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვითაც, ცხინვალში 3 832 ადამიანი ცხოვრობდა. აქედან 1 135 ქართველი, 1953 – ებრაელი და 744 სომეხი. 1886 წელს, როგორც ვხედავთ, ცხინვალში არცერთ ოსს არ უცხოვრია. კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ეს არა ქართველების, არამედ რუსი მოხელეების და რუსული იმპერიული სახელმწიფოს ოფიციალური მონაცემებია. ასე რომ, ტენდენციურობასა და გაყალბებაში ჩვენ ვერავინ დაგვადანაშაულებს.

ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა იცვლება მხოლოდ 1920-იანი წლების დასაწყისში. განსაკუთრებით კი – 1922 წლის შემდეგ. ე.ი. მას შემდეგ, რაც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ცხინვალი მისი დედაქალაქი გახდა. 1922 წლის აღწერის მიხედვით, ცხინვალის ოსი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ახალი ჩამოსულია და მათგან ერთ მესამედს ერთი წელიც არ უცხოვრია ცხინვალში. 1922 წელს, ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა 4543 უდრიდა. უმეტესობა – 1436, ისევ ქართველები იყვნენ; ებრაელების რაოდენობა – 1651, ხოლო სომხების – 1465 იყო. მხოლოდ ამის შემდეგ გადმოდიან ოსები ცხინვალში დიდი რაოდენობით. უკვე 1926 წელს, ცხინვალის მოსახლეობა 5818 ადამიანს შეადგენდა. აქედან ქართველი იყო 1920; ებრაელი – 1772; სომეხი – 827, ხოლო ოსების რაოდენობა, უკვე 1152-ს უდრიდა. მართალია, მაშინ ქართველები რაოდენობრივად მაინც მნიშვნელოვნად ჭარბობდნენ ოსებს, მაგრამ შემდეგ წლებში ეს თანაფარდობა სწრაფად იცვლება ოს-

ების სასარგებლოდ. უკვე 1959 წელს ცხინვალში 4652 ქართველი, ხოლო ოსი თითქმის სამჯერ მეტი – 12 432 ცხოვრობდა. 1989 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით კი, ცხინვალში ცხოვრობდა მხოლოდ 6905 ქართველი, ხოლო ოსების რაოდენობა 31537 იყო.

ახლა შევჩერდეთ ტერმინზე „სამხრეთ ოსეთი“.

XIX საუკუნემდე ტერმინის „სამხრეთ ოსეთი“ არსებობისა და ხმარების შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს. ასეთი რამ არ არის ნახსენები, არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში. იმდროინდელი საყოველთაო გაგებით, ოსეთი მხოლოდ ერთი იყო და ეს ოსთა ის ქვეყანაა, რომელიც ჩრდილო კავკასიაში მდებარეობდა. ანუ, დღევანდელი „ჩრდილოეთი ოსეთი“. ტერმინები „სამხრეთი ოსეთი“ და „ჩრდილოეთ ოსეთი“ მხოლოდ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყებს ფეხის მოკიდებას და ის რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკის პირდაპირი შედეგია. კოლონიზატორული მოსაზრებებით, ასეთ არარსებულ ტერმინებს მეფის რუსეთი სრულიად შეგნებულად იგონებს და ნერგავს. ტერმინი „სამხრეთი ოსეთი“ პირველად 1830 წელს იხმარა რომელიღაც კორესპონდენტმა წერილების სერიაში, რომელიც დაიბეჭდა „ტიფლისკი ვედომოსტში“. ეს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კერძო ინიციატივაა, რადგან ოფიციალურად ეს ტერმინი კერ კიდევ არ იხსენიება. ამას ადასტურებს, იგივე 1830 წელს გრაფ პასკევიჩის მიერ რუსეთის სამხედრო მინისტრის – ჩერნიშოვისადმი წარდგენილი ანგარიში. ანგარიშში ვკითხულობთ: „ოსი ტომის დაშოშმინებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიე მცირე სამხედრო ექსპედიციის ჩატარება. ეს ექსპედიცია მიმართული იქნება კავკასიის მთიანეთის სამხრეთით მდებარე ჩრდილოეთ ქართლის ოსების წინააღმდეგ“. მაშასადამე, მეფის ნაცვალი საქართველოში, მთავარმმართებელი პასკევიჩი ე.წ. „სამხრეთ ოსეთს“ მოიხსენიებს, როგორც *ჩრდილოეთ ქართლს*, ხოლო იქ ჯერ კიდევ მცირერიცხოვნად მცხოვრებ ოსებს, როგორც *ჩრდილოეთ ქართლის ოსებს*. ვფიქრობთ, რომ ეს არის ამ მხარის სავსებით ზუსტი დასახელება და მაშასადამე, ოფიციალურად მეფის რუსეთი ამ დროისათვის სწორედ ამ ზუსტ და ისტორიულად სამართლიან დასახელებას ხმარობს (ჩვენი აზრით, ბოლო პერიოდში ფართო ხმარებაში შემოსული დასახელება „სამაჩაბლო“ ვერაფრით ვერ მოიცავს აღნიშნულ ტერიტორიას).

პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი „სამხრეთი ოსეთი“ გაჩნდა მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში. მანამდე და პარალელურად კი, იმპერიის

მიერ ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები „ოსეთის“ ადმინისტრაციული გაერთიანების მიზნით. ასეთი გაერთიანება კი უზრუნველყოფდა რუსეთის ბატონობას არა მარტო თვით ოსეთში, არამედ კავკასიონის ქედის მთელ სივრცეზე. ბარონი როზენი აცხადებდა, „ჩვენი მტკიცე ბატონობა ოსეთში გადაჭრით გააპობს კავკასიის მთების ქედს ორ ნაწილად, მაშინ როცა ახლა, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს გზა კვეთს კავშირს ჩვენს მიერ ნახევრად დაპყრობილ და ჩვენდამი მტრულად განწყობილ ხალხებს შორის“[30], აი, ასე პირდაპირ აცხადებს რუსეთის ეს მოხელე იმპერიის ნამდვილ მიზანს.

აღნიშნული პოლიტიკის განსახორციელებლად, მალე შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში ოსებით კომპაქტურად დასახლებული რაიონები „ოსეთად“ იქნა მონათლული და 1843 წელს თბილისის გუბერნიაში შეიქმნა „ოსეთის ოკრუგი“. ეს ოკრუგი ჯავას, პატარა ლიახვისა და ნარის (ისტორიული დვალეთის) უბნებად დანაწილდა. მოგვიანებით, ნარის უბანი თბილისის გუბერნიას ჩამოაშორეს და 1859 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ ოსეთის სამხედრო ოკრუგს გადასცეს. ეს ოკრუგი კი თავის მხრივ, შემდეგში თერგის ოლქში, ხოლო 1924 წლიდან ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შევიდა. ასე წაართვეს საქართველოს მისი ისტორიული ტერიტორია – დვალეთი.

რ. ლომინაძე აღნიშნავს, თბილისის გუბერნიაში „ოსეთის ოკრუგის“ (შემდეგში „ოსეთის უბანი“) და ჩრდილოეთ კავკასიაში „ოსეთის სამხედრო ოკრუგის“ შექმნა ახალი სახელწოდებების – „ჩრდილოეთ ოსეთისა“ და „სამხრეთ ოსეთის“ საფუძველი გახდა.

როგორც პროფ. ა. თოთაძე წერს, „შორს გამიზნული ტოპონიმური დივერსიით“, ნოყიერი ნიადაგი შეუმზადეს „სამხრეთ ოსეთად“ და „ჩრდილოეთ ოსეთად“ მონათლული სხვადასხვა ისტორიისა და ისტორიულად სხვადასხვა სახელმწიფოებში მყოფი ტერიტორიების გაერთიანების პრეტენზიას. საბოლოო ჯამში კი, აგრესიული სეპარატიზმის ჩამოყალიბებას“.

ერთი სიყალბის შესახებაც, რომლის თაობაზეც 2001 წლის 10 ივლისს რუსეთის დუმამ ყოვლად უსამართლო და პროვოკაციული განცხადება მიიღო. თითქოს არსებობდეს რაღაც დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ერთიანი ოსეთი (?) 1774 წელს რუსეთის იმპერიაში შევიდა და ამიტომ, რუსეთი ვალდებულია დაიცვას თავისი ოსი მოქალაქეების უფლებები. ისინი ისტორიას აყალბებენ და აცხადებენ, რომ თითქოს აღნიშნულ წელს რუსეთს შეურთდა როგორც სამხრეთი, ისე ჩრდილოეთი ოსეთი. ასეთი

დაყოფა რომ მაშინ საერთოდ არ არსებობდა და ეს შემდეგ წლებში შეკოწიწებული გაყალბების მცდელობაა, ჩვენ უკვე განვიხილეთ და ამაში დავრწმუნდით. ჩვენ ვნახეთ, რომ XIX საუკუნის შუა პერიოდამდე არავითარი ისტორიული დოკუმენტი არ არსებობს, სადაც შიდა ქართლის მთიანეთი ოსეთად იწოდებოდეს. საპირისპიროს დამამტკიცებელი ისტორიული დოკუმენტები და ფაქტორივი მასალა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ კიდეც, მრავლად მოიპოვება. სინამდვილეში კი, რა მოხდა. 1774 წელს რუსეთს შეუერთდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები არა მთელი ოსეთი (იმ პერიოდში ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნი არ არსებობდა), არამედ, როგორც დოკუმენტები ადასტურებს, მათი ერთი ნაწილი. ახლა ვნახოთ, რომელი ნაწილი იყო ეს. როგორც ადრე აღვნიშნეთ, XIII-XIV საუკუნეებში ჯერ მონგოლ-თათრების, შემდეგ კი თემურ ლენგის, ხოლო შემდეგ ყაბარდოელების შემოსევების შედეგად, ოსები მთლიანად მცირემიწიან მთებში აღმოჩნდნენ შემწყვდეულნი, სადაც ჩამოყალიბდა „ალაგირის“, „ქურთათის“, „თაგაურისა“ და „დიგორის“ ოსური თემები. 1774 წელს, სწორედ ცენტრალური კავკასიონის ვიწრო ხეობაში შეყუჟული და ყაბარდოელ ფეოდალთაგან შევიწროებული ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის ოსური თემები, ყაბარდოსთან ერთად შეუერთდა რუსეთს. 1781 წელს იგივე ნაბიჯი გადადგა დიგორის თემმაც. არამარტო ქართველი, არამედ ყველა ცნობილი რუსი მეცნიერის ნაშრომებში და სხვა ავტორიტეტულ გამოცემებში მითითებულია, რომ როგორც ადრეც აღვნიშნეთ, 1774 წელს არავითარი ერთიანი ოსეთი, მითუმეტეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნი არ არსებობდა და მაშასადამე, რაც არ არსებობდა, ის ვერავის ვერც შეუერთდებოდა. აღნიშნულ წელს რუსეთს შეუერთდა მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსების რამდენიმე თემი და ეს არანაირად არ შეხებია საქართველოში მცხოვრებ ოსებს. საქართველოში მცხოვრები ოსები კი რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ მთელ აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად 1801 წელს, როდესაც რუსეთმა უხეშად დაარღვია 1883 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის პირობები და საქართველოს ძალადობრივი მიერთება ნაწილ-ნაწილ დაიწყო.

პირველი სწორედ ქართლ-კახეთი და მათთან ერთად აქ მაცხოვრებელი ოსებიც იყვნენ. ცნობილი რუსი მეცნიერი ს. ბრუკიც წერს, რომ ჩრდილო ოსეთი 1774 წელს ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. სამხრეთ ოსეთი კი, 1801 წელს. მართალია ბრუკი სწორად არ ხმარობს ტერმინს –

სამხრეთი ოსეთი, მაგრამ ნათელია, რომ საქართველოში მცხოვრები ოსები რუსეთმა 1801 წელს მიიერთა და რაც მთავარია, რომ 1774 წელს არავითარი ერთიანი ოსეთის მიერთებას რუსეთთან ადგილი არ ჰქონია. ასეთი დასკვნები გაკეთებული აქვთ ბევრ რუს და ოს მეცნიერსაც (ბ. კალოევს, ბ. კაბულოვს და სხვ.). ეს საკითხები არც ოს და არც რუს მეცნიერებს, მითუმეტეს – ქართველ მეცნიერებს, სადაოდ არასდროს გაუხდიათ.

ახლა პასუხი გავცეთ კითხვას: ჰქონდა თუ არა რამე ეთნო-დეოლოგიური საფუძველი კონფლიქტს ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“?

სამწუხაროდ, კონფლიქტის მიზეზების დასახელებისას, როგორც ოსი, ასევე ანგაჟირებული რუსი მეცნიერები ცდილობენ სიმართლის გაყალბებას. მათ შორის, ცდილობენ დემოლოგიური მონაცემების გაყალბებასაც. მაგალითად, თითქოს XX საუკუნეში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, ყოფილ სამხრეთ ოსეთში შობადობისა და მოკვდაობის მხრივ, კატასტროფული მდგომარეობა იყო, რომ თითქოს მთელ საქართველოში მოკვდაობის ყველაზე მაღალი და შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სწორედ ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ იყო. ამის დამადასტურებელი მონაცემები, რა თქმა უნდა, არ არსებობს. ყოფილ სამხრეთ ოსეთში ისეთივე მდგომრეობა იყო, როგორც მთლიანად საქართველოში, ხოლო ზოგიერთ წლებში – უკეთესიც. აღსანიშნავია, რომ საქართველოში შობადობის დონე გაცილებით დაბალი იყო ქართველებში, ვიდრე აქ მცხოვრებ მთელ რიგ სხვა ეროვნებებში, მათ შორის ოსებშიც. მაგალითად, 1959 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ქართველებში 21,8 პრომილეს უდრიდა, ხოლო ოსებში – 25,5 პრომილეს. კიდევ უფრო მაღალი იყო ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანელებში – 43,9, სომხებში – 28,8. აფხაზებშიც ის უფრო მაღალი იყო და 22,3 პრომილეს უდრიდა.

1989 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი მთელ საქართველოში იყო 16,7‰. საყურადღებოა, რომ თბილისში ის გაცილებით დაბალი – 14,4‰ იყო. მოკვდაობა, როგორც ვთქვით, 1989 წელსაც ერთნაირი იყო და ის დაახლოებით 8,7‰-ს ფარგლებში იყო.რაც შეეხება ბუნებრივ მატებას, ესეც, 1989 წელს, ე.ი. კონფლიქტის პრაქტიკულად დაწყების წელს, ოსეთშიც ისეთივე იყო, როგორც მთლიანად საქართველოში – ის დაახლოებით 8,1‰-ს უდრიდა. მაგალითად, თბილისში, ბუნებრივი მატებაც მნშვნელოვნად უფრო მცირე იყო და ის 6,2‰-ს უდრიდა. თუ „სამხრეთ ოსეთის“ დემოლოგიური განვითარების მონაცემებს შევადარებთ საქართველოს სხვა რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ვნახავთ, რომ ბევრ

რეგიონს ყოფილ „სამხრეთ ოსეთზე“ უარესი მაჩვენებლები ჰქონდა. მაშასადამე, თქმა იმისა, რომ ოსები დემოლოგიური თვალსაზრისით იჩაგრებოდნენ და ყველაზე უარესი მაჩვენებლები ჰქონდათ, სრული სიყალბეა. საერთოდ, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის, ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ოლქში“ და საერთოდ საქართველოში მცხოვრებ ოსებს, თითქმის მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ბევრად უკეთესი პირობები ჰქონდათ შექმნილი, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებისა თუ რომელიმე ავტონომიური წარმონაქმნის მოსახლეობას. ამაზე მეტყველებს თითქმის ყველა საბჭოთა ოფიციალური სტატისტიკური მასალა, რომელსაც მოსკოვი აქვეყნებდა.

მაგალითისათვის, როგორ პარადოქსულად არ უნდა ჩანდეს, როცა საბჭოთა პერიოდში თვით ჩრდილო ოსეთში არცერთი ოსური სკოლა არ იყო, საქართველოში 98 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა შერეული ტიპის სკოლებთან ერთად. მათ შორის, 90 სკოლა ყოფილ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“, ხოლო 8 სკოლა – ოსებით შედარებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში – თბილისში, ლაგოდეხში, ყვარელში, ქარელში, ბორჯომში.

საინტერესოა, რომ პირველი ოსური სახელმწიფო დრამატული თეატრი დაარსდა არა ვლადიკავკაზში, არამედ სწორედ საქართველოში, ცხინვალში, 1931 წელს. ცხინვალში წარმატებით ფუნქციონირებდა სახელმწიფო უნივერსიტეტი და განათლებისა და კულტურის მრავალი სხვა კერა. ასე რომ, ყოველგვარ „ჩაგვრაზე“ ლაპარაკი სრულიად უსაფუძვლოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დაბეჯითებით დავასკვნათ, რომ *კონფლიქტს ყოფილ „სამხრეთ ოსეთში“, ისევე, როგორც კონფლიქტს აფხაზეთში არავითარი ეთნო-დემოლოგიური საფუძველი არ გააჩნდა. აფხაზეთში კონფლიქტის მსგავსად, კონფლიქტი ყოფილ „სამხრეთ ოსეთში“ იყო არა ეთნიკური, არამედ წინასწარ ორგანიზებული სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი.*

როგორია კონფლიქტის დაძლევის გზები და მიმართულება, ეს ცალკე საუბრის თემაა. უმნიშვნელოვანესი, რა თქმა უნდა, შერიგება და ერთად მშვიდობიანი ცხოვრებაა.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ცივილიზებული და პროგრესული ერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია მისი ტოლერანტობა სხვა ეროვნებებისა და კონფესიების მიმართ. საბედნიეროდ, საქართველო

ასეთი ტოლერანტობით გამორჩეული იყო ყოველთვის და ასეთად უნდა დარჩეს მომავალშიც.

როგორც ვხედავთ, დემოლოგიური პროცესების შესწავლა და განხილვა რეგიონალურ ჭრილში უაღრესად საინტერესო, მნიშვნელოვანი და რაც მთავარია, აუცილებელია. ყოველი რეგიონის სპეციფიკას, მის თავისებურებებს, განვითარების ისტორიას და პრობლემებს, უაღრესად დიდი გავლენა აქვს მოსახლეობის დემოლოგიურ განვითარებაზე, დემოლოგიურ მოვლენებსა და პროცესებზე. თავის მხრივ კი, დემოლოგიური პროცესები არა ნაკლები მნიშვნელობის გავლენას ახდენს რეგიონის განვითარებაზე, მასში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა პროცესებზე. ამდენად, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი და, საინტერესო იქნება ამ თვალსაზრისით, თუნდაც მოკლედ განვიხილოთ ისეთი უძველესი და მდიდარი ისტორიის მქონე, მრავალი ასპექტით უნიკალური, რთული და საინტერესო რეგიონი, როგორიც არის კავკასია. მით უფრო, რომ მრავალი მიზეზის გამო, კავკასიის მნიშვნელობა დღესაც და მომავალშიც, დარწმუნებულები ვართ, არამცთუ შემცირდება, არამედ კიდევ უფრო გაიზრდება.

თავი VIII. კავკასიის მოსახლეობა

8.1. კავკასიის მოსახლეობა უძველესი პერიოდიდან XX საუკუნემდე

კავკასია ერთ-ერთი უძველესი ისტორიულ-კულტურული რეგიონია. იგი შავ და კასპიის ზღვებს შორის, ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს. კავკასიას ორ ნაწილად – ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებად ჰყოფს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი.

სამხრეთ კავკასიაში ისტორიულად ძირითადად სამი ეთნოსი ცხოვრობდა – ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები.

სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებმა ხალხებმა შეძლეს შეექმნათ დიდი ცივილიზაცია, სახელმწიფოებრიობა და ეროვნული დამწერლობა. საკმარისია ითქვას, რომ მსოფლიოში ცნობილი 14 დამწერლობიდან ორი სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა – ქართული და სომხური. სწორედ ქართულ და სომხურ ენებზე დაიწერა საკაცობრიო ფასეულობის მქონე ჰაგიოგრაფიული, საერო და ისტორიული ლიტერატურა, რომელიც სათავეს V საუკუნიდან იღებს.

ჩრდილო კავკასია უაღრესად ჭრელი ეთნიკური შემადგენლობით გამოირჩეოდა. წერილობით წყაროებში დაცული ცნობების თანახმად, აქ ეთნოსები ხშირად იცვლებოდნენ, ბევრი ეთნოსი საერთოდ გაქრა, თუმცა ძირითადი ეთნოსები, უპირატესად მთაში, მაინც მკვიდრად სახლობდნენ.

თანამედროვე კავკასიის რელიეფის ფორმირება 10 მილიონი წლის წინათ დაიწყო. თავდაპირველად დიდი კავკასია ვრცელ კუნძულს წარმოადგენდა, რომელსაც ძირითადად სწორი რელიეფი ჰქონდა. შემდეგში, ვულკანური მოქმედებების შედეგად, წარმოიქმნა მთიანი რელიეფი. ცენტრალურ კავკასიონზე სიმაღლემ 2-2,5 კმ-ს მიაღწია. მთების თანდათანობითი აწევის, ვულკანების ძლიერი ამოფრქვევის შედეგად, კავკასიის რელიეფმა თანამედროვე სახე მიიღო. ბუნებრივი პირობების მიხედვით, განასხვავებენ დასავლეთ და აღმოსავლეთ კავკასიას.

დასავლეთ კავკასია მოიცავს შავი ზღვის აუზს, ხოლო აღმოსავლეთ კავკასია – კასპიის ზღვის აუზს. კავკასიონის მთავარი ქედი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მიჯნასაც ქმნის ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთ კავკასიის ხალხებს შორის და თავისი სიმაღლის გამო კლიმატგამყოფის ფუნქციასაც ასრულებს – სამხრეთ კავკასიას იცავს ჩრდილოეთ კავკასიიდან ცივი ჰაერის შემოჭრისაგან. ამის გამო, სამხრეთ კავკასიაში დაახლოებით 3 გრადუსით უფრო თბილა, ვიდრე ჩრდილო კავკასიაში.

კავკასიის მოსახლეობაში ჩვენ ვგულისხმობთ სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი ქვეყნების – საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების – ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილო ოსეთი-ალანიას, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, დაღესტნის მოსახლეობას, სადაც ძირითადად ცხოვრობდნენ კავკასიელი ხალხები. აღსანიშნავია, რომ 1991 წლამდე, სამხრეთ კავკასიის ხალხები შედიოდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, საბჭოთა რესპუბლიკების სახით და ამ წელს მოიპოვეს დამოუკიდებლობა. რაც შეეხება ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებს, ისინი 1991 წლამდე წარმოადგენდნენ ავტონომიურ ერთეულებს – კერძოდ, ადიღე და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქებს, ხოლო დანარჩენი – ავტონომიურ რესპუბლიკებს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. 1991-1992 წლებში, ჩრდილო კავკასიის ავტონომიურმა ერთეულებმა მიიღეს რესპუბლიკის სტატუსი (ჩრდილო ოსეთი-ალანიამ – 1990 წლის დეკემბერში) და წარმოადგენენ რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს. ძირითადად კავკასიელი ხალხებით დასახლებული ტერიტორიის ფართობი 29,2 ათასი კვადრატული კილომეტრია, მათ შორის: სამხრეთ კავკასიის ფართობი 185,9 ათას, ხოლო ჩრდილო კავკასიის – 111,3 ათას კვადრატულ კილომეტრს უდრის. კავკასიაში ავტოქტონი მოსახლეობის გარდა სხვადასხვა დროს მოსული ეთნოსებიც ცხოვრობენ, კერძოდ, რუსები, უკრაინელები, ქურთები, ბერძნები, თათები და სხვა ერის წარმომადგენლები.

ისტორიულად, ძირითადად გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, კავკასია და განსაკუთრებით მისი სამხრეთი ნაწილი, გამუდმებული ბრძოლის არენად იყო გადაქცეული. მეზობელი იმპერიები თავისი აყვავების პერიოდში ცდილობდნენ კავკასიაში გაბატონებას, მის დასაკუთრებას, მაგრამ XIX საუკუნემდე, კავკასია რომელიმე ცალკე იმპერიის შემადგენელი ნაწილი არასოდეს ყოფილა. უძველესი დროიდან სპარსელებისა თუ რომაელების, არაბებისა თუ ბიზანტიელების, ირანელებისა თუ თურქების ბრძოლები კავკასიაზე გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის ხდებოდა. შუა საუკუნეებში, ყველაზე ხანგრძლივად კავკასიის ქვეყნებიდან, მხოლოდ საქართველომ შეძლო დამოუკიდებლად არსებობა, ერთ პერიოდში მან მთელ ახლო აღმოსავლეთში უძლიერესი სახელმწიფოს სახელიც დაიმკვიდრა, მაგრამ შემდეგში, მეზობელი იმპერიების წინააღდეგ გაერთიანებული, თუ ცალკეული სამეფოების სახით უხდებოდა ბრძოლა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად, რასაც ცალკეულ პერიოდებში აღწევდა კიდეც.

ძირითადად XIX საუკუნის დასაწყისიდან მთელი კავკასია თითქმის 200 წლის განმავლობაში, რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ 1800 წელი კავკასიის ისტორიაში ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ ამავე დროს, დრამატიზმით სავსე ახალი ეპოქის დასაწყისის თარიღია. ამ დროიდან ხდება არა უბრალოდ საუკუნიდან საუკუნეში გადასვლა, არამედ საქმე გვაქვს პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ხასიათის უღრმეს ცვლილებებთან, რომელთა მსგავსი თითქმის არასოდეს განუცდიათ ამ ხალხებს, თავიანთი მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი და ქარტეხილებიანი ისტორიის განმავლობაში. ამ ეპოქიდან იწყება მთელ კავკასიაში რუსეთის ცარიზმის ბატონობა.

რატომ ვიხილავთ კავკასიის მოსახლეობას ცალკე? რით არის ის ასე გამორჩეულად საინტერესო? მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ აქ ვცხოვრობთ? თუ იმიტომაც, რომ კავკასიას აქვს უფრო ფართო მნიშვნელობა, და ის ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს, მრავალი თვალსაზრისით, მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონს.

ისტორიულადაც ასე იყო და თანამედროვე სინამდვილეშიც ასეა, რომ ცივილიზებული სამყაროს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება ვერ იქნება სრულყოფილი და სრული – კავკასიის გარეშე. ეს რეგიონი ყოველთვის იყო მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მაგრამ მის მიმართ ყურადღება და ინტერესი, განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო ათწლეულებში, ამ რეგიონში მიმდინარე ურთულესი პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გამო. აღარავინ დავობს იმაზე, რომ კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთ „ცხელ წერტილად“ იქცა და აქ მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს თავისი შედეგებით უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვისაც.

კავკასია ევრაზიული კონტინენტის შემადგენელი ნაწილია. უფრო მეტიც, ის ევრაზიული მატერიკის ცენტრალური ნაწილია. ამიტომ, ამ კონტინენტის, ევრაზიური კონტინენტის ურთულესი და სპეციფიკური ცივილიზაციური სტრუქტურა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ კავკასიის გარეშე. ევრაზიის კონტინენტის ისტორიულ განვითარებას თან ახლდა გლობალური გარდაქმნები და ტრანსფორმაციები, რომლებიც ორგანულად იყო დაკავშირებული ამ კონტინენტზე მსოფლიო იმპერიების წარმოშობასა და დაშლასთან, უდიდეს მიგრაციულ პროცესებთან.

მსოფლიო ცივილიზაციური პროცესები 4-5 ათასი წლის წინ დაიწყო, მაშინ, როდესაც დიდი მდინარეების – ნილოსის, ტიგროსისა და ევფრა-

ტის, ინდისა და ხუანხეს ველებში ცივილიზაციის პირველი კერები გაჩნდა. სწორედ აქედან დაიწყო ცივილიზაციის ზონების გაფართოება. ამ ზონათა შორის კი, განსაკუთრებული ადგილი კავკასიის ცივილიზაციამაც დაიკავა. ამაში უდიდესი როლი ითამაშა იმან, რომ კავკასია განსაკუთრებული გეოგრაფიული სივრცეა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ის, როგორც აზიის, ასევე ევროპის ნაწილია. ამ ფაქტორებმა, თავის მხრივ დიდად განაპირობა კავკასიის პოლიეთნიკურობა და პოლიკონფესიურობა.

ტერმინი „კავკასია“ პირველად ჩვ.წ.ა. VI საუკუნეში იხმარა ძველმა ბერძენმა დრამატურგმა ესქილემ, თავის ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“. როგორც იცით, პრომეთე მიჯაჭვული იყო მყინვარწვერის (ყაზბეგი) ფერდზე. დღეს, ტერმინ „კავკასიის“ ქვეშ, ესმით ტერიტორია, რომელიც მოთავსებულია შავი, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის. მას 446 ათასი კმ^2 უკავია.

კავკასიაში, მსოფლიო ცივილიზაციის ამ ერთ-ერთ უძველეს და მნიშვნელოვან ცენტრში, ოდითგანვე ბინადრობდა ადამიანი (დმანისის გათხრები, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი 350 ათასი წლის წინანდელი ნაშთები და ა.შ.). ეს აიხსნებოდა პირველ ყოვლისა იმით, რომ ბუნებრივი პირობები იყო ხელსაყრელი თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბებისათვის. ბევრი მკვლევარის აზრით, თანამედროვე ტიპის ადამიანი უნდა ჩამოყალიბებულიყო იქ, სადაც კლიმატური პირობების მკვეთრ ცვლილებას არ ჰქონდა ადგილი. სამხრეთ კავკასია და უპირატესად საქართველო კი, სწორედ ასეთ რეგიონად არის მიჩნეული. ამ ტერიტორიაზე აღმოცენდა უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფოები – მანა (IX-VII სს. ჩვ.წ.ა.), ურარტუ (IX, VI სს. ჩვ. წ.ა.), კოლხიდის (VIII-VI სს. ჩვ.წ.ა.), იბერიის (IV-III სს. ჩვ.წ.ა.), მე-4 საუკუნეში – ატროპატენა და ალბანური სამეფო, ხოლო ჩვ.წ.ა. II საუკუნეში – არმენია.

როგორც ვთქვით, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე კავკასიაში მჭიდროდ გადაიხლართა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციები. ამან უდიდესი გავლენა იქონია კულტურაზე, ყოფაცხოვრებაზე, საერთოდ ცხოვრების წესზე. მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური კავკასია, – ენების მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. აქ 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი ცხოვრობს, რომლებიც კავკასიური, ინდოევროპული და ალტაის ენობრივი ჯგუფების ენებზე მეტყველებენ. მსოფლიოში ცნობილი 14 დამწერლობიდან, როგორც აღვნიშნეთ, ორი – ქართული და სომხური – სამხრეთ კავკასიაშია შექმნილი.

როგორც აღვნიშნეთ, კავკასიამ გაიარა განვითარების ურთულესი გზა და განვითარების მთელი პერიოდი პრაქტიკულად უწყვეტად, პერმანენტულად იყო სისხლისმღვრელი ომებისა და უდიდესი სოციალურ-ეკონომიური პრობლემების პერიოდი. მართლაც, ვისი ყურადღება არ მიიპყრო ოდითგანვე კავკასიამ: ბერძნების – ამაზე მეტყველებს თუნდაც ოქროს საწმისთან დაკავშირებული ლეგენდა. შემდეგ რომის, რომელიც ცდილობდა კავკასიის სამხრეთი ნაწილის დაპყრობას, იყვნენ სკვითები, სარმატები, ჰუნები. შემდეგ, ჩვენი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირ¬ველ ნახევარში ის გახდა სისხლისმღვრელი ომების არენა ბიზანტიასა და სასანიდურ ირანს შორის. შემდეგ VII-VIII საუკუნეებში ცენტრალური კავკასია დაიპყრეს არაბებმა.

ამაზე უარესი თითქოს რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ კიდევ უფრო დამანგრეველი იყო მონღოლთა შემოსევები. შემდეგ ჯალალედინისა და თემურ ლენგის უსასტიკესი 8 შემოჭრა. კავკასიისათვის უდიდესი უარყოფითი მნიშვნელობის იყო კონსტანტინეპოლის დაპყრობა ოსმანთა მიერ (1453 წ.)

სრულიად განსაკუთრებული იყო კავკასიისათვის რუსეთის გამოჩენა და მისი დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელება. ჩრდილოეთ კავკასიისათვისას ომები დაიწყო ჯერ კიდევ XV საუკუნეში ივანე III-ის დროს და გაგრძელდა ივანე მრისხანეს დროს, მაგრამ განსაკუთრებული აქტივობით კავკასიის დაპყრობა რუსეთმა მე-18 საუკუნეში დაიწყო. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან ის უკვე მყარად მკვიდრდება ჩრდილოეთ კავკასიაში (ეკატერინე მეორის პერიოდი) და აქ აარსებს ქალაქებს –ყიზლარს, მოზდოკს, ვლადიკავკაზს. შემდეგ იყო სისხლისმღველი წინაღმდეგობა, რომელსაც ჩრდილოეთი კავკასია ჯერ შეიხ მანსურის (1785 წლის აჯანყება), ხოლო შემდეგ შამილის მეთაურობით (1835-59) უწევდა რუსეთს. რუსეთი XIX საუკუნეშიც აგრძელებს ბრძოლებს კავკასიის დასაპყრობად და მის პირველ მესამედში რუსეთ-ირანის ორი და რუსეთ-თურქეთის ასევე ორი ომის შემდეგ, მთლიანად იპყრობს ცენტრალურ კავკასიას. რეგიონი გუბერნიებად დაყვეს, ხოლო 1844 წელს შეიქმნა კავკასიის ადგილმონაცვლის, მთავარმმართებლის (наместник) ინსტიტუტი, რომლის ცენტრი თბილისი გახდა.

კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ როგორც აკადემიკოსი რ. მეტრეველი აღნიშნავს, კავკასიის წინააღმდეგ ომი იყო ყველაზე ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი რუსეთის მთელ სამხედრო ისტორიაში.

„კავკასიის“, როგორც გეოპოლიტიკური ტერმინის თანამედროვე აზრით ჩამოყალიბება დაკავშირებულია რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობასთან XVIII-XIX საუკუნეებში. მაშინ დაყვეს რეგიონი ორ ნაწილად – “კავკასიად“ და „იმიერ“ კავკასიად. შემდეგ გაჩნდა ტერმინი „ჩრდილო კავკასიაც“. ამ ტერმინებში, თუ დავაკვირდებით, ჩადებულია რუსეთის იმპერიული მიზნები – დაყოს დაპყრობილი კავკასიის ხალხები. ეს ტერმინი გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე და შემდეგაც მთელი 90-იანი წლების განმავლობაში. შემდეგ შემოვიდა ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ (ამიერკავკასიის ნაცვლად, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი). ამ ტერმინმა თითქოს ახალი გეოპოლიტიკური სიტუაციაც დააფიქსირა. ამ ტერმინის შემოღების ერთ-ერთი ინიციატორი აკად. თ. გამყრელიძეც იყო. ამავე დროს, არის სხვა მოსაზრებაც, რომ ეს ტერმინი არცთუ ზუსტად ასახავს კავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებს. მაგალითად, არც მთლიანად „კავკასიაში“ და არც „სამხრეთ კავკასიაში“ დღეს არ შეყავთ თურქეთის ნაწილი (ყარსის, არდაგანის, ართვინის და სხვა თურქული ვილაიეთები), ასევე არ შეყავთ ის ტერიტორიები, რომლებიც დღეს ირანის სახელმწიფოს ნაწილებია (აღმოსავლეთი და დასავლეთი აზერბაიჯანი). ამის გამო, ზოგიერთი მეცნიერი დღეს ასეთ დაყოფასაც გვთავაზობს:

1. ცენტრალური კავკასია – საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი.

2. ჩრდილო კავკასია (ავტონომიური ადმინისტრაციული სტრუქტურები, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში შედის), და

3. სამხრეთ კავკასია. ეს არის საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან მოსაზღვრე თურქეთისა და ირანის ტერიტორიები. ეს იდეა გამოთქვა აკადემიკოსმა ვლ. პაპავამ. ასეთივე მოსაზრება გაიზიარა ზოგიერთმა აზერბაიჯანელმა მეცნიერმაც.[57]

8.2. კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა, ეროვნული შემადგენლობა და ბუნებრივი მოძრაობა XIX-XX საუკუნეებსა და XXI საუკუნის დასაწყისში

კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა XX საუკუნეში, მიუხედავად ცალკეულ პერიოდებში უმძიმესი პირობებისა, საგრძნობლად გაიზარდა. XX საუკუნეში განხორციელებულმა კავკასიელ ხალხთა დეპორტაციებმა და ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ხალხთა ბუნებრივი დემოლოგიური განვითარება.

გაცილებით ტრაგიკული გამოდგა ამ მხრივ პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედეგები, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონია საერთოდ კაცობრიობის ბედზე. ბუნებრივია, ამ ტრაგიკულ შედეგებს ვერ გადაურჩნენ კავკასიელი ხალხები, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას სისხლისმღვრელ ბრძოლებში.

პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წ.წ.) ისტორიაში მანამდე არნახული მსხვერპლი და ნგრევა მოუტანა კაცობრიობას. ომში ბოლოს ჩაბმული იყო 33 სახელმწიფო (1,5 მილიარდი კაცი). ომის განმავლობაში ჯარში გაიწვიეს დაახლოებით 74 მილიონი კაცი. სათანადო გაანგარიშებების შედეგად პირველ მსოფლიო ომში დაახლოებით მოკლულ იქნა და ჭრილობებისაგან დაიღუპა 20 მილიონი ადამიანი, რომელთაგან 3,5 მილიონი დასახიჩრდა. ომში მოკლულთა შორის ათი ათასობით კავკასიელი ხალხების წარმომადგენელი იყო.

გაცილებით მეტი იყო ადამიანთა დანაკარგი მეორე მსოფლიო ომში. საორიენტაციო გაანგარიშების მიხედვით, რომელიც გაკეთებულია ამერიკულ „სტატისტიკურ ბიულეტენში“ 1946 წელს, მოკლულთა და ჭრილობებისაგან დაღუპულთა რიცხვი მეორე მსოფლიო ომში 9,5 მილიონ კაცს შეადგენდა. 1946 წლის იანვარში ბერნში (შვეიცარია) გამომავალ ყოველკვირეულ „Der Weg“-ში დაიბეჭდა მეორე მსოფლიო ომში დანაკარგების ჯამი, რომლის თანახმად, ომში უკვე 14450 ათასი კაცი დაიღუპა. უფრო მაღალი ციფრი მოჰყავს ვატიკანს, რომლის გაანგარიშების თანახმად, ბრძოლის ველზე დაიღუპა 22 060 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. შემდეგ წლებში დაღუპულთა რიცხვი ზუსტდებოდა და უფრო ხშირად გვხვდებოდა მონაცემი იმის შესახებ, რომ მეორე მსოფლიო ომში სულ დაიღუპა 50 მილიონი ადამიანი. საბჭოთა კავშირმა ამ ომში 20 მილიონი ადამიანი დაკარგა, რაც მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა 40 პროცენტს შეადგენს.

დაღუპულთა შორის, კავკასიის ხლხთა ასიათასობით წარმომადგენელი იყო. საკმარისია ითქვას, რომ გერმანელთა წინააღმდეგ ომში საქართველოდან, რომლის მოსახლეობა ომის დაწყების დროს 3700 ათას კაცს უდრიდა, 700 ათასამდე მეომარი მონაწილეობდა და აქედან 300 ათასი მებრძოლი დაიღუპა. დიდი იყო დანაკარგი შობადობის შემცირების შედეგად. მაგალითად, თუ დავუშვებთ, რომ ომის ცალკეულ წლებში (1941-1945 წ.წ.) მშვიდობიანობის შემთხვევაში საქართველოში იმდენი ბავშვი დაიბადებოდა, რამდენიც დაიბადა ომისწინა, 1940 წელს (100060 ბავშვი), მაშინ ომის წლებში შობადობის შემცირების შედეგად გამოწვეულმა

დემოლოგიურმა დანაკარგმა 232757 ბავშვი შეადგინა. ძირითადად მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის დარღვევის გამო, ომის შემდგომ წლებშიც, დაბადებულ ბავშვთა აბსოლუტური რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირე იყო 1940 წელთან შედარებით და მხოლოდ 1959 წელს მიაღწია მან 1940 წლის დონეს. სულ შობადობის შემცირების შედეგად, საქართველოში 1941-1958 წლებში, დაახლოებით 500 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადა.

კავკასიის მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შემაფერხებელი რეალური ფაქტორების არსებობის მიუხედავად, XX საუკუნეში მისი მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც განაპირობებდა შობადობის უაღრესად მაღალი და მოკვდაობის დაბალი დონე. 1926-2005 წლებში კავკასიის მოსახლეობა მთლიანად 3,0-ჯერ გაიზარდა. მოსახლეობის ზრდის ტემპით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩრდილოეთ კავკასია, სადაც მოსახლეობა აღნიშნულ პერიოდში 3,8-ჯერ, ხოლო სამხრეთ კავკასიაში – 2,7-ჯერ გაიზარდა. კავკასიის მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ფონზე თვალშისაცემია საქართველოს მოსახლეობის უაღრესად ნელი ზრდა სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. კერძოდ, თუ 1926-2005 წლებში საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ 1,6-ჯერ გაიზარდა, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობა, შესაბამისად, 3,6-ჯერ და 3,7-ჯერ გაიზარდა. ასევე, მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდას ჰქონდა ადგილი ინგუშეთში (6,4-ჯერ), ჩრდილოეთ ოსეთში (4,6-ჯერ), ყაბარდო-ბალყარეთსა (4,4-ჯერ) და სხვა რესპუბლიკებში. სომხეთის მოსახლეობის ზრდის მაღალი მაჩვენებელი, ბუნებრივი მატების მაღალ დონესთან ერთად, ახსნას პოულობს საბჭოთა კავშირში თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობის სომხების შემოსვლაში. კავკასიის რეგიონში საქართველოს მოსახლეობის დაბალი ზრდის შესახებ კი, შეიძლება ითქვას შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ კავკასია ერთი მთლიანი რეგიონია, სადაც ბუნებრივ-კლიმატური პირობები საგრძნობლად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და, სადაც ტრადიციები და წეს-ჩვეულებები გარკვეულწილად ერთმანეთის მსგავსია, დემოლოგიური მაჩვენებლები საქართველოში დიდად განსხვავდება მეზობელი ქვეყნების დემოლოგიური მაჩვენებლებისაგან. კერძოდ, საქართველოში დემოლოგიური განვითარების მთავარი განმაზოგადებელი მაჩვენებელი, შობადობა, მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე აზერბაიჯანში, სომხეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში. ეს აიხსნება ეთნიკური თავისებურებებით, ისტორიულად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესით, ტრადიციებით, განათლებისა და ურბანიზაციის დონითა და განსაკუთრებით, რელიგიური აღმსარებლობით. რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებიც

თამაშობენ გარკვეულ როლს. საქართველოში, რომლის მოსახლეობის 83% ქრისტიანულ რელიგიას აღიარებს, შობადობა შესამჩნევად დაბალია იმ მეზობელ რესპუბლიკებთან შედარებით, სადაც გაბატონებული მდგომარეობა მაჰმადიანურ რელიგიას უკავია.

XX საუკუნის პირველ ნახევარში, ისე როგორც მთელ XIX საუკუნეში, კავკასიაში მოსახლეობის მრავალრიცხოვნობით საქართველო გამოირჩეოდა. 1926 წელს კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილი 35,1% იყო. ე.ი. ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა. საქართველოს შემდეგ კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო აზერბაიჯანი, რომლის მოსახლეობა კავკასიის მთელი მო-სახლეობის 30,4 %-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც მთელი ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის წილი 22,9%-ს არ აღემატებოდა. 2005 წლისათვის ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ძირითადად ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გავლენით კავკასიის მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილმა 19,8% შეადგინა ნაცვლად 35,1%-ისა 1926 წელს. სამაგიეროდ, ამავე პერიოდში მნიშვნელოვად გაიზარდა აზერბაიჯანის მოსახლეობის წილი – 30,4%-დან 36,6%-მდე.

კავკასიის მოსახლეობა XX საუკუნეში, მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, საგრძნობლად გაიზარდა 1926-1970, განსაკუთრებით კი 1926-1939 წლებში.

1979-2002 წლებში მოსახლეობის ზრდა შედარებით ნელი ტემპით ხდებოდა. მოსახლეობის მატების მაღალი ბუნებრივი მატების საერთო ფონზე, კავკასიის მოსახლეობის რაოდენობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა რუსების მიგრაციული პროცესები კავკასიაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1926-1939 წლებში რუსების რაოდენობა კავკასიაში 502 ათასიდან 1764 ათასამდე გაიზარდა, ანუ 1262 ათასი კაცით. ამ წლებში, რუსების რაოდენობა 251,4%-ით გაიზარდა, ხოლო ტიტულოვანი ერებისა – მხოლოდ 28%-ით. 1959 წელს რუსები უკვე შეადგენდნენ კავკასიის მთელი მოსახლეობის 17,4%-ს, მაგრამ მათი წილი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში. კერძოდ, თუ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში რუსები შეადგენდნენ 10,2%-ს, ჩრდილოეთ კავკასიაში მათი წილი 38,9%-ს უდრიდა. რუსები რაოდენობრივად ყველაზე მეტნი იყვნენ კავკასიაში მოსახლეობის 1970 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით. ამის შემდეგ მათი რაოდენობა მცირდება და მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, კავკასიაში ცხოვრობდა 1220

ათასი რუსი, ანუ 925 ათასით ნაკლები 1989 წელთან შედარებით. სამხრეთ კავკასიაში რუსების რაოდენობა 2002 წელს 225 ათასს უდრიდა (მთელი მოსახლეობის 1,1%), ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში – 995 ათასს (15,0%).

ამრიგად, კავკასიის მოსახლეობის სწრაფი ზრდა ორმა ფაქტორმა განაპირობა. პირველი, ესაა მკვიდრი მოსახლეობის უაღრესად მაღალი ბუნებრივი მატების დონე, რომელიც დამახასიათებელი იყო მთელი XX საუკუნის განმავლობაში უკლებლივ ყველა კავკასიელი ხალხისათვის, ქართველებისა და ნაწილობრივ სომხების გარდა. მეორე ფაქტორია, რუსების მასობრივი შემოსვლა მუდმივ საცხოვრებლად კავკასიაში, განსაკუთრებით 1920-იანი წლების მეორე ნახევარსა და 1930-იან წლებში. რუსეთი კავკასიაში თავისი იმპერიული მიზნების განსახორციელებლად, აქ საიმედო დასაყრდენის შექმნისათვის ყოველმხრივ ცდილობდა რუსი მოსახლეობის დასახლებას კავკასიის რეგიონში. კავკასიაში ეკონომიკის ინდუსტრიული განვითარების საბაბით, ამ პერიოდში უამრავი რუსი მუდმივად დასახლდა საცხოვრებლად როგორც სამხრეთ, ისე განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში. ადიღესა და ჩერქეზეთში რუსებმა მოსახლეობის უმრავლესობაც კი შეადგინეს. კერძოდ, 1926 წელს ადიღეში რუსები მთელი მოსახლეობის 26%-ს შეადგენდნენ, ხოლო 1939 წელს – 71,1%-ს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსებმა მასობრივად დატოვეს კავკასიის რეგიონი. ეს პროცესი ძირითადად გამოიწვია კავკასიის რეგიონის ცალკეულ რაიონებში არსებულმა და მოსალოდნელმა ეთნო-პოლიტიკურმა კონფლიქტებმა, სოციალურ-ეკონომიკური პირობების არსებითმა გაუარესებამ, თავისი ისტორიული სამშობლოსაკენ სწრაფვამ, სადაც მათ უკეთესი ცხოვრების პირობებიც ეგულებოდათ. როგორც აღვნიშნეთ, 2002 წელს მთელ სამხრეთ კავკასიაში რუსების რაოდენობამ 225 ათასი შეადგინა, მაშინ, როდესაც 1989 წელს მხოლოდ აზერბაიჯანში 392 ათასი რუსი ცხოვრობდა. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსების რაოდენობა განსაკუთრებით შემცირდა ჩეჩნეთში, რაც ჩეჩნეთში ომს უკავშირდება. ძირითადად ამ მიზეზით ჩეჩნეთი და ინგუშეთი დატოვა დაახლოებით 250 ათასმა რუსმა. უკვე 2002 წელს ჩეჩნეთსა და ინგუშეთში დაახლოებით 45 ათასი რუსი ცხოვრობდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანია დაღესტნის რესპუბლიკა. მისი მოსახლეობა 2005 წელს ჩრდილოეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 39%-ს უდრიდა. დაღესტნის შემდეგ ყველაზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობდა ჩეჩნეთში (16,2%), ყაბარდო-ბალყარეთში (13,7%),

ჩდილო ოსეთში (10,8%), ინგუშეთსა (6,9%) და ადიღეში (6,8%) ყველაზე მცირერიცხოვან რესპუბლიკას წარმოადგენს ყარაჩაი-ჩერქეზეთი (6,6%). აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ცალკეული რეპუბლიკის მოსახლეობის წილი ჩრდილოეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში მთელი XX საუკუნე ნაკლებად იცვლებოდა. ცვლილებები ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიის ამა თუ იმ რესპუბლიკაში დეპორტაციებთან და ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებთან იყო დაკავშირებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყველა რესპუბლიკაში მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ბუნებრივი მატების დაახლოებით თანაბარი დონით (ჩვენს შემთხვევაში მაღალი) იყო განპირობებული.

ამ საერთო კანონზომიერებიდან გამონაკლისს წარმოადგენს, მხოლოდ 1989-2002 წლის აღწერების მონაცემები. კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ 2002 წლის აღწერის მონაცემების შედარება 1989 წლის აღწერის მონაცემებთან, ბევრ კითხვას ბადებს. აღწერებს შორის პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის, განსაკუთრებით ინგუშების, ჩეჩნების, ყაბარდოელებისა და დაღესტნის ხალხების რაოდენობა. ბუნებრივია, ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად დაითვალეს 2002 წლის აღწერის დროს რუსეთში მცხოვრები ხალხები. საჭიროა აღინიშნოს, რომ რუსეთში ეროვნული შემადგენლობის შესახებ ცნობების ძირითადი წყაროა მოსახლეობის აღწერა. რუსეთში არც ისე დიდი ხნის წინ, აუცილებელი იყო ეთნიკური კუთვნილების (ეროვნების) ფიქსაცია, რომელიც აღინიშნებოდა ბუნებრივი მოძრაობის – დაბადებისა და გარდაცვალების – ცნობებში. ეთნიკური კუთვნილების შესახებ კითხვა ფიგურირებდა მოსახლეობის ყველა აღწერაში. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ რუსეთის იმპერიაში 1897 წელს ჩატარებული აღწერა, რომლის დროს ეროვნება განისაზღვრებოდა მშობლიური ენის საფუძველზე.

რუსეთის მოსახლეობის 2002 წლის აღწერის დროს ეროვნული კუთვნილების შესახებ კითხვაზე მიღებულ იქნა 800-ზე მეტი სხვადასხვა ვარიანტის პასუხი, რომლებიც ერთმანეთისაგან ხშირად განსხვავდებოდა მხოლოდ ენის, დიალექტისა და ეთნიკური ჯგუფის ადგილობრივი თვითსახელწოდების მიხედვით. საბოლოოდ აღწერის მასალები დამუშავდა 140 ეროვნებისა და მათში შემავალი 40 ეთნიკური ჯგუფის მიხედვით.

ამჟამად, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემიგრაციული ფაქტორი. ადრე საბჭოთა

კავშირი წარმოადგენდა ჩაკეტილ სისტემას და გარემიგრაციული ფაქტორი პრაქტიკულად არავითარ როლს არ ასრულებდა ხალხების რაოდენობის დინამიკაზე. 1989-2002 წლებში, რუსეთში სომხების რაოდენობის 2,1-ჯერ გაზრდა ძირითადად უკავშირდება სწრაფ მიგრაციულ პროცესებს. სომხები მთიან ყარაბაღში მომხდარი სისხლისმღვრელი კონფლიქტისა და საერთოდ, როგორც თავისი, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით გადასახლდნენ მუდმივ საცხოვრებლად რუსეთში.

საბჭოთა კავშირში კავკასიელი ხალხები ძირითადად თავიანთ რესპუბლიკებში ცხოვრობდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ სომხები, რომელთა რაოდენობა, მაგალითად, 1989 წელს საბჭოთა კავშირში 4623 ათას კაცს უდრიდა და აქედან მხოლოდ 3084 ათასი (66,7%) ცხოვრობდა სომხეთში. სამაგიეროდ, რუსეთში ცხოვრობდა 532 ათასი სომეხი (სომეხთა მთელი რაოდენობის 11,5 %), საქართველოში – 437 ათასი (9,5%), აზერბაიჯანში – 391 ათასი (8,4%), უკრაინაში – 54 ათასი (1,2 %), უზბეკეთში – 51 ათასი (1,1%) და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ქართველების (3981 ათასი) 95,1% და აზერბაიჯანელების (6770 ათასი) 85,7% თავიანთ რესპუბლიკებში ცხოვრობდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ ისტორიულად სომხები გაცილებით უფრო მიგრირებადი ერია, ვიდრე კავკასიის სხვა ხალხები.

მთლიანად კავკასიაში, 2002 წელს კავკასიელი ხალხების რაოდენობა 20723 ათას კაცს უდრიდა, ანუ მთელი კავკასიის მოსახლეობის 93,4%-ს. კავკასიელი ხალხების 26,6% (5515 ათასი კაცი) ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდა, ხოლო სამხრეთ კავკასიაში – 73,4% (15208 ათასი კაცი). ამრიგად, სამხრეთ კავკასიაში 2,8-ჯერ მეტი კავკასიელი ხალხი ცხოვრობდა, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიაში. ამასთან, სამხრეთ კავკასიაში კავკასიელი ხალხების რაოდენობა მთელი მოსახლეობის 96,4%-ს შეადგენდა, საკუთრივ სამხრეთ კავკასიელი ხალხებისა – 95,7%-ს. ჩრდილოეთ კავკასიაში კი კავკასიელი ხალხების რაოდენობა მთელი მოსახლეობის 83%-ია. საკუთრივ ჩრდილო კავკასიელი ხალხებისა – 80,2%. აღნიშნული მაჩვენებლები მოსახლეობის წინა აღწერების დროს შესამჩნევად დაბალი იყო. მაგალითად, 1989 წელს სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში კავკასიელი ხალხების წილი 91,8%-ს უდრიდა, ნაცვლად 96,4%-ისა 2002 წელს. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში. ასეთი ვითარება ძირითადად გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლის შემ-

დეგ მძიმე ეკონომიურმა პირობებმა, ეთნო-პოლიტიკურმა კონფლიქტებმა, რომლის შედეგად კავკასიაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა კავკასია და შესაბამისად, კავკასიის მთელ მოსახლეობაში ამაღლდა ავტოქტონური მოსახლეობის წილი.

8.3. კავკასიელ ხალხთა იძულებითი მიგრაციები (დეპორტაციები)

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კავკასიაში დემოლოგიურ სურათს დიდი კვალი დაატყო XX საუკუნეში განხორციელებულმა იძულებითმა მიგრაციებმა, ანუ დეპორტაციებმა.

საბჭოთა კავშირში ფართო მასშტაბი ჰქონდა იძულებით მიგრაციას, ანუ ხალხთა დეპორტაციას, რომელიც ხორციელდებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური მოტივებით: – კიდევ უფრო გაეღრმავებინათ კოლონიზაციის პროცესი, მორჩილებაში ჰყოლოდათ საზოგადოება, თავიდან აეცილებინათ აჯანყებები, უაღრესად იაფი მუშახელი გადაესროლათ იქ და იმ დროს, როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევდნენ. ასეთი მოქმედებების შედეგად ქვეყნის შიგნით რეპრესირებული ხალხების ათობით დიასპორა წარმოიქმნა. დეპორტაცია ხორციელდებოდა ეთნიკური და სოციალური ნიშნის მიხედვით. პირველი ხდებოდა „დამნაშავე ხალხებისა“ და საზღვრების „არასაიმედო მოსახლეობისაგან“ გაწმენდის მოტივით, ხოლო მეორე – კულაკური გადასახლების სახით. იძულებითი მიგრაციის ასეთი ფართო მასშტაბი, რა თქმა უნდა, სერიოზულად აფერხებდა მთელი ეთნოსების ბუნებრივ დემოლოგიურ განვითარებას.

დეპორტაცია, ანუ იძულებითი მიგრაცია, პოლიტიკური რეპრესიის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც სახელმწიფო ანხორციელებს თავისი მოქალაქეების ან სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომთა მიმართ ძალის გამოყენებით ან იძულებით. საბჭოთა კავშირში 1920-1952 წლებში დეპორტაციები ხორციელდებოდა სასამართლოს გარეშე, ადმინისტრაციული გზით. დეპორტაციის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებდნენ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ძირითადად სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, შინაგან საქმეთა კომისარიატისა და სსრ კავშირის გაერთიანებული მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების ინიციატივის საფუძველზე. ადამიანთა მასების გადასახლება ხდებოდა მათთვის საკმაოდ სარისკო, სრულიად უცხო საცხოვრებელ გარემოში, რამდენიმე ათასი კილომეტრის დაშორებით. ახალ საცხოვრებელ ადგილ-

ზე მათი ადაპტაცია საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა არა მარტო მკვეთრად განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური, არამედ ასევე განსხვავებული სამეურნეო ცხოვრების პირობებში. ამასთან, მილიონობით ადამიანის ახალ ადგილზე დასახლება ორგანიზაციულად უაღრესად რთული იყო, რომ არაფერი ვთქვათ ელემენტარული ინფრასტრუქტურის არარსებობაზე.

მილიონობით ადამიანის ძალდატანებით მიგრაციას უაღრესად მძიმე დემოლოგიური შედეგები მოჰყვა, როგორც მათი გასახლების, ისე ჩასახლების რეგიონებში. მრავალრიცხოვან დეპორტაციებს ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, შემცირდა შობადობა, გაიზარდა მოკვდაობა, გაუარესდა დეპორტირებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, შემცირდა დეპორტირებულთა მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა, გაუარესდა ყველა დემოლოგიური მაჩვენებელი. დემოლოგიური მოვლენებისა და პროცესების გაუარესებამ საბოლოო ჯამში გამოიწვია ცალკეული ეროვნებების რაოდენობის შემცირება.

დეპორტაციას მასობრივი ხასიათი ჰქონდა მთლიანად საბჭოთა კავშირში, მაგრამ ყველაზე მეტად ძალდატანებითი მიგრაცია კავკასიაში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში განხორციელდა. ომამდელი ეთნიკური დეპორტაციები, უპირველეს ყოვლისა, განხორციელდა თითქოს სტრატეგიული მიზნით, სასაზღვრო ზოლის გასაწმენდად სოციალურად არასაიმედო ელემენტებისაგან.

კავკასიაში პირველი მასობრივი დეპორტაციები დაკავშირებულია 1935 წელს კულაკების გადასახლებასთან. კულაკების უმრავლესობა თავისი ყოფითა და კულტურის დონით თითქმის არ განსხვავდებოდა გლეხობისაგან. კულაკები, შეიძლება ითქვას, იყვნენ გლეხები, რომლებიც მატერიალურად კარგად ცხოვრობდნენ. საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაციის დანერგვის პირობებში დღის წესრიგში დადგა კულაკობის ლიკვიდაციის საკითხი, ვითომ მათი ანტისაბჭოთა საქმიანობის გამო. პარტიისა და მთავრობის დადგენილებით და ინსტრუქციებით ნებადართული გახდა კულაკების ქონების კონფისკაცია და გასახლება. ქვეყნის შორეულ რაიონებში გადაასახლეს 240,7 ათასი ოჯახი – კულაკების საერთო რაოდენობის ერთი მეოთხედი. 1941 წლის დამდეგისათვის გადასახლების რაიონებში იმყოფებოდა 930 ათასი ყოფილი კულაკი. ყოფილ გასახლებულ კულაკებს თანდათანობით უბრუნდებოდათ სამოქალაქო უფლებები (საარჩევნო უფლება და სხვ.). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყოფილი კულაკები მთლიანად აღდგნენ სამოქალაქო უფლებებში.

კულაკების დეპორტაცია ჩრდილოეთ კავკასიაში განხორციელდა 1935 წელს 1-დან 8 მარტის ჩათვლით. საერთოდ, ყოველი დეპორტაცია მზადდებოდა საგულდაგულოდ, უმოკლეს ვადაში, ხმაურისა და პანიკის გარეშე. ამავე დროს, ანტისაბჭოთა გამოსვლების ან შეიარაღებული შეტაკებების შემთხვევაში იღებდნენ გადამწყვეტ ზომებს მათ სალიკვიდაციოდ და ხმაურიან გასახლებასაც არ ერიდებოდნენ. ამ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიიდან გაასახლეს კულაკების 1553 ოჯახი, 7857 კაცის შემადგენლობით. კერძოდ, გასახლება მოხდა ჩეჩნეთიდან (2112 კაცი), ოსეთიდან (1110 კაცი), დაღესტნიდან (2147 კაცი), ყაბარდოდან (1201 კაცი) და ყარაჩაიდან და ჩერქეზეთიდან (1287 კაცი). დეპორტირებულები ჩაასახლეს სპეციალურ დასახლებებში უზბეკეთსა (4560 კაცი) და სამხრეთ ყაზახეთში (3297 კაცი). ამავე წლის 6 აპრილს აზერბაიჯანიდან გაასახლეს კულაკთა და საბჭოეთისადმი მტრულად განწყობილ გერმანელთა 72 ოჯახი 273 კაცის რაოდენობით.

კავკასიაში, ასევე ერთ-ერთი პირველი დეპორტაცია, დაკავშირებულია 1937-1938 წლებში აზერბაიჯანისა და სომხეთის სასაზღვრო ზოლიდან ქურთების, ირანელებისა და სომხების გასახლებასთან. 1937 წელს მთავრობის დადგენილებით საბჭოთა კავშირის მთელ საზღვარზე შემოიღეს სპეციალური აკრძალული ზოლები, ანუ სასაზღვრო ზონები და დაიწყეს აქედან ე.წ. „არასაიმედო მოსახლეობის“ გასახლება. აზერბაიჯანისა და სომხეთის სასაზღვრო ზონიდან გაასახლეს ქურთები, მაჰმადიანი სომხები – ხემშინები და თურქები, რომლებიც ჩაასახლეს ალმა-ატისა და სამხრეთ ყაზახეთის ოლქებში (3101 ქურთი და 2788 სომეხი და თურქი – სულ 5889 კაცი. 1938 წელს ამავე ოლქებში გადაასახლეს 6,7 ათასი ირანელი აზერბაიჯანიდან.

დიდი სამამულო ომის პერიოდში კიდევ უფრო გაფართოვდა დეპორტაციული ოპერაციები, რომელთა განხორციელებაში ათი ათასობით სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. ომის დაწყებიდან სულ მალე, 1941 წლის 4 ივლისს მთავრობამ გამოსცა დირექტივა – იმ ტერიტორიებიდან, სადაც გამოცხადებული იყო საომარი მდგომარეობა, სოციალურად საშიში პირებისა და მათი ოჯახების გასახლების ღონისძიებათა შესახებ. კავკასიაში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ და სამხრეთ კავკასიის მოკავშირე რესპუბლიკებში. ამით ხელ-ფეხი გაეხსნა მთელი ხალხების გადასახლების „გამართლებას“.

ეს წლები, სამწუხაროდ, საკუთარი მოსახლეობის დიდი ნაწილის მიმართ უსამართლო, დისკრიმინაციული და რეპრესიული აქტების მთელი სერიების ჩატარების წლებიც იყო. ამ მოვლენის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა ე.წ. „ხალხების დასჯა“. პრევენციული დეპორტაციები ხორციელდებოდა არა იმდენად მოსალოდნელი, პოტენციური ღალატისათვის, რამდენადაც იმ საზღვარგარეთელ თვისტომთა ეროვნებისადმი კუთვნილების გამო, რომელთანაც წარმოებდა ან შეიძლებოდა მომხდარიყო ომი.

ომის პერიოდში პირველი იძულებითი გადასახლება შეეხო საბჭოთა კავშირში მცხოვრებ გერმანელებს. 1,5 მილიონი საბჭოთა კავშირში მცხოვრები გერმანელიდან, ამა თუ იმ სახით გადაადგილებას დაექვემდებარა 1,2 მილიონი კაცი. გერმანელთა დეპორტაცია დაიწყო 1941 წლის აგვისტოში (ყირიმელი გერმანელებისა) და ძირითადად დამთავრდა 1942 წლის 1 იანვრისათვის. მასობრივად, გერმანელთა იძულებითი გადასახლება სექტემბერსა და განსაკუთებით, ოქტომბერში ჩატარდა. 1941 წლის 25 დეკემბრისათვის დეპორტაციას დაქვემდებარებული 904 225 გერმანელიდან გასახლებული იყო 856 168 კაცი.

ამავე პერიოდში (1941 წლის 15-30 ოქტომბერს) გერმანელები გაასახლეს კავკასიიდანაც. ყაზახეთსა და ნოვოსიბირსკის ოლქებში სამხრეთ კავკასიიდან ჩაასახლეს 46 5333 გერმანელი, მათ შორის, საქართველოდან – 23 580, აზერბაიჯანიდან – 22741 და სომხეთიდან – 212 კაცი. ცოტა ადრე, 25 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე, ყაბარდო-ბალყარეთიდან გაასახლეს 5327, ჩრდილოეთ ოსეთიდან – 2929 და დაღესტნიდან და ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან – 7306 გერმანელი.

1943-1944 წლებში განხორციელდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ტოტალური დეპორტაცია, რომელიც რეალურად წარმოადგენდა კოლექტიური დასჯის აქტებს. დასჯამ ტოტალური ხასიათი მიიღო და მთელი ხალხები, კერძოდ, ყარაჩაელები, ჩეჩნები, ინგუშები და ბალყარელები მასობრივად გადაასახლეს თავიანთი სამშობლოდან. კავკასიაში პირველი ტოტალური დეპორტაცია განხორციელდა ყარაჩაელების მიმართ.

მოსახლეობის საკავშირო აღწერის თანახმად, 1939 წელს ყარაჩაის ავტონომიურ ოლქში 75 763 ყარაჩაელი ცხოვრობდა. 1942 წლის აგვისტოდან 1943 წლის იანვრის ბოლომდე იგი ოკუპირებული იყო გერმანელების მიერ. იმ მოტივით, რომ ე.წ. ყარაჩაის ნაციონალური კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა ოკუპანტებთან, 1943 წლის აგვისტოში გადაწყდა ყარაჩაელების ტოტალური დეპორტაცია ყაზახეთსა და ყირ-

გიზეთში. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი 12 ოქტომბერს გამოსცემს ბრძანებულებას ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციისა და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ. *სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:*

„ყველა ყარაჩაელი, რომელიც ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობს, გადასახლდეს სსრკ-ის სხვა რაიონებში, ხოლო ყარაჩაის ავტონომიური ოლქი გაუქმდეს“.[91]

1944 წლის თებერვალში ტოტალური დეპორტაცია განხორციელდა ვაინახების – ჩეჩნებისა და ინგუშების მიმართ. ყარაჩაელებისაგან განსხვავებით, ვაინახებს ბრალდებად წაუყენეს ბანდიტიზმი ზურგში და ომამდელ პერიოდშიც კი, თუმცა, ჩეჩენეთ-ინგუშეთი გერმანელების მიერ ოკუპირებული არ ყოფილა.

ვაინახების გადასახლება საგულდაგულოდ მოამზადეს. როგორც ჩანს, მათი დეპორტაცია გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ რაოდენობრივად ისინი საკმაოდ ბევრნი იყვნენ, და, მეორეც, ისტორიულად ჩეჩნები და ინგუშები რუსებს უბრძოლველად არ ნებდებოდნენ, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იოლად არ თმობდნენ. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ მათი დეპორტაციის საკითხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მხოლოდ ოპერაციის ჩატარების ვადამ: ერთნი თვლიდნენ, რომ ოპერაცია დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო (მოლოტოვი, ჟდანოვი და სხვ.), ხოლო მეორენი – დაეცადათ საბჭოთა კავშირიდან გერმანელების განდევნამდე (ბერია, ხრუშჩოვი და სხვ.). საბოლოოდ ყველაფერი გადაწყვიტა სტალინის ხმამ. არც ის იყო შემთხვევითი, რომ გადასახლებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სახლხო კომისარი – ბერია და დეპორტაციის მთელი ვადის განმავლობაში იგი თავის სამ მოადგილესთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა. უფრო მეტიც, 1944 წლის 17 თებერვალს ბერია სტალინს თხოვდა: ვითვალისწინებ რა ოპერაციის სერიოზულობას, გთხოვთ, ნება დამრთოთ დავრჩე ადგილზე ოპერაციის დამთავრებამდე, თუნდაც 26-27 თებერვლამდე. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ადრე ჩატარებული დეპორტაციებისაგან განსხვავებით, ამ ოპერაციის ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. ამოღებულ იქნა 20072 ცეცხლსასროლი იარაღი, ვაინახებმა შეიარაღებული წი-ნააღმდეგობა გაუწიეს სახალხო კომისარიატის ჯარებს, ოპერაციის მსვლელობის დროს დააპატიმრეს 2016 კაცი და სხვ.

1934 წელს ჩეჩნეთის ავტონომიური ოლქი და ინგუშეთის ავტონომიური ოლქი გააერთიანეს ერთ – ჩეჩნეთ-ინგუშეთის ოლქად, რომელიც 1936 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის საბჭოთა სოციალისტურ ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა.

დეპორტაციების რიგში შემდეგი იდგა ყაბარდო-ბალყარეთი, კერძოდ, მისი მთიანი სამხრეთი ნახევარი, სადაც ცხოვრობდნენ ბალყარელები. გერმანელებმა 1942 წლის აგვისტოში 1943 წლის 11 იანვრამდე ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს. ბალყარელების გადასახლების მიზანშეწონილობას ბერია ასაბუთებდა იმ მოტივით, რომ ბალყარელთა უმრავლესობა კეთილი განწყობით შეხვდა გერმანელების მიერ ბალყარელების ტერიტორიის ოკუპაციას. გერმანელები აქტიურად იყენებდნენ მათ პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში და ფაშისტური ჯარის მეგზურებად მთებში. ბალყარელებს ბრალს დებდნენ აგრეთვე, წითელი არმიის ზურგში მტრული მუშაობის გააქტიურებაში, ბანდიტურ-მეამბოხეთა ჯგუფების შექმნაში, წითელი არმიის ნაწილებზე თავდასხმაში და სხვ. 1944 წლის 24 თებერვალს ბერიამ შესთავაზა სტალინს ბალყარელების გასახლება, ხოლო 26 თებერვალს მან უკვე გამოსცა ბრძანება ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან ბალყარელი მოსახლეობის გასახლების ღონისძიებათა შესახებ. ოპერაციის განსახორციელებლად მობილიზებული იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების 17 ათასი სამხედრო მოსამსახურე და 4 ათასი ოპერატიული მუშაკი. ოპერაციის დაწყების დღედ დაადგინეს 10 მარტი, მაგრამ გასახლება დაიწყო 8 მარტს და დამთავრდა 9 მარტს. სულ ყაზახეთსა და ყირგიზეთში გადაასახლეს 37 103 კაცი. იმავე წლის ოქტომბერში მათმა რაოდენობამ შეადგინა 33 100 კაცი. განსხვავება გამოწვეული იყო არა მარტო ბალყარელებს შორის მოკვდაობის გაზრდით, არამედ იმ მიზეზითაც, რომ ბალყარელებს შორის ბევრი ყაბარდოელი იყო, რომლებიც დაუდევრობის გამო აღმოჩდნენ გასახლებულთა რიგებში. ისინი უკან დააბრუნეს.

1944 წლის 8 აპრილს გამოიცა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ბალყარელთა გადასახლებისა და ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყაბარდოს ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ. გამოთავისუფლებულ მიწებზე უნდა დაესახლებინათ კოლმეურნეები ყაბარდოს ავტონომიური რესპუბლიკის მცირემიწიანი რაიონებიდან, ე.ი. ყაბარდოელები. რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთი რაიონი (2 ათასი კვადრატული კილომეტრი, ანუ მთელი ფართობის 16

პროცენტი) გადაეცა საქართველოს რესპუბლიკას. ამის შემდეგ დადგა საქართველოს ჯერი. სამცხე-ჯავახეთიდან 1944 წელს განხორციელებული მასობრივი დეპორტაციების შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და ამდენად, მათ უფრო დეტალურად აღარ შევეხებით.

8.4. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები კავკასიაში. მათი ანატომია

ნებისმიერი ქვეყნის, რეგიონის დემოლოგიურ განვითარებაზე, ცაკეულ დემოლოგიურ პროცესზე დიდ გავლენას ახდენს ყველა სახის კონფლიქტი, მით უფრო სისხლიანი კონფლიქტები, რომელთაც დიდ მსხვერპლი და მიგრაცია მოჰყვება. სწორედ ასეთ მწვავე კონფლიქტებს ჰქონდა ადგილი კავკასიაშიც და სამწუხაროდ, ისინი დღესაც გრძელდება.

კავკასიაში შეიარაღებული კონფლიქტები ხშირად მოიხსენიება, როგორც ეთნიკური კონფლიქტები, რაც არამცთუ მთელი სისრულით არ გამოხატავს ამ კონფლიქტების ბუნებას, არამედ, ასეთი დასახელება ნიღბავს კონფლიქტების რეალურ ბუნებას, მათ მიზნებსა და ორგანიზატორებს. კავკასიაში, კონფლიქტების მიმდინარეობის ხასიათმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ კონფლიქტების წარმოშობისა და დღემდე მოუგვარებლობის მნიშვნელოვანი ფაქტორი არის რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოლოგიური და სხვა ინტერესები. ამიტომ, რუსეთი ესწრაფვოდა და ახლაც ყოველმხრივ ესწრაფვის კონფლიქტებს მისცეს მთლიანად ეთნიკური ელფერი, რასაც გარკვეულწილად მიაღწია კიდეც. ამდენად, ჩვენი აზრით, კონფლიქტები კავკასიაში, მათ შორის საქართველოში, სულ მცირე, ეთნოპოლიტიკური ხასიათისაა. ხშირად კი მათ აშკარად გამოხატული სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის სახე აქვთ.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არა ერთი დიდი თუ მცირე კონფლიქტი მოხდა ეროვნულ ნიადაგზე. ორპოლუსიანი მსოფლიო, სადაც სუპერსახელმწიფოებს რუსეთი და აშშ წარმოადგენდნენ, ერთპოლუსიანი გახდა. რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში ზეგავლენის აღსადგენად ცალკეულ რესპუბლიკაში, და განსაკუთრებით, გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ რეგიონებში მხარი დაუჭირა სეპარატისტულ ძალებს, ზოგჯერ კი თვითონ იზრუნა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში და ბევრად უფრო ადრეც, ამ ძალების შექმნაზე და შემდეგ ყოველმხრივ შეუწყო ხელი ვითომ ეთნო და სინამდვილეში პოლიტიკური, სამხედრო კონფლიქტების ფართოდ გაღვივებას, ამ კონფლიქტებს კი, ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. სამ-

წუხაროდ ეს პროცესი მეტ-ნაკლები სიმწვავით დღესაც გრძელდება. მაგალითად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არა რუსეთის მხარდაჭერა, კონფლიქტი აფხაზეთში და კონფლიქტი ყოფილ „სამხრეთ ოსეთში“ არც წარმოიშობოდა, ან ყოველ შემთხვევაში, ისინი სისხლისღვრის გარეშე ჩაცხრებოდა. მაგრამ რუსეთი იმპერიული მიზნების განსახორციელებლად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ძველი პოზიციების შესანარჩუნებლად, სადაც კი შეუძლია, ან ამის საჭიროებას დაინახავს, ხელოვნურად ახდენს, ან ხელს უწყობს კონფლიქტების გაღვივებას, რაც შეიძლება განზრახ აჭიანურებს მათ მოგვარებას, რათა საბოლოოდ ამ რესპუბლიკებში თავისი ზეგავლენა კვლავ მოიპოვოს და გააძლიეროს.

არც ეთნოტერიტორიული კონფლიქტების სპეციფიკური თვისებაა შემთხვევითი. საქართველოში არსებულ კონფლიქტებს მკვეთრად გამოკვეთილი გეოგრაფიული გამოხატულება აქვს – ეს კონფლიქტები გასდევს რუსეთ-საქართველოს საზღვარს. ამასთან, საქართველოში ცხოვრობენ ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობები, რომელთა რაოდენობა ბევრად აღემატება აფხაზებისა და ოსების რაოდენობას, მაგრამ საქართველოს მათთან შეუდარებლად უფრო ნაკლები პრობლემები აქვს. საქმე ისაა, რომ ისინი ცხოვრობენ რუსეთის საზღვრიდან მოშორებით და რუსეთისათვის ბევრად ადვილი და მოსახერხებელია ეთნოკონფლიქტები შექმნან უშუალოდ მათ მოსაზღვრედ მცხოვრებ აფხაზებსა და ოსებში, რომელთა რაოდენობა ზოგიერთი ექსპერტული შეფასებით, აფხაზეთში 42 ათას კაცზე მეტი არ უნდა იყოს, ხოლო ცხინვალის რეგიონში 50 ათასამდე. ასე რომ, აფხაზეთი და „სამხრეთი ოსეთი“ რუსეთისათვის გადაიქცა საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტად, ისე, როგორც რუსეთმა სხვა ყოფილ რესპუბლიკებზე ზემოქმედების სხვადასხვა, ძირითადად მაინც ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ბერკეტი გამოიყენა.

რუსეთს, საქართველოზე ზეგავლენა ხელ-ფეხს უხსნის მთელ ამიერკავკასიაში თავისი ინტერესების რეალიზაციისათვის. ამას განაპირობებს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა. კავკასიის რეგიონში ზეგავლენის უზრუნველყოფა რუსეთის ძირითადი პოლიტიკური ამოცანაა, რომლის გადაწყვეტის გარეშე მას არ შეუძლია იყოს დიდი სახელმწიფო. ამიტომ ცდილობს იგი არ დაუშვას სხვისი ზეგავლენა სამხრეთ კავკასიაზე. მაგრამ რეალობა იმგვარია, რომ როგორც ჩანს, რუსეთს არ შეუძლია არც ამჟამად და არც უახლოეს პერსპექტივაში კავკასიაში გადამწყვეტი როლი ითამაშოს, რადგან „საერთო კავკასიურ პროცესში” სულ უფრო აქ-

ტიურად ერთვებიან გავლენიანი მოთამაშეები, უპირველეს ყოვლისა, აშშ და ევროკავშირის წევრი ქვეყნები.

კავკასიაში გავლენის სფეროების ხელახალი განაწილება სერიოზული კონფლიქტების წყარო შეიძლება გახდეს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ავტორიტეტული შეფასებებით, XXI საუკუნეში კავკასიის რეგიონი იქნება ნავთობისა და გაზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმწოდებელი მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ, ენერგორესურსების ფაქტორი მნიშველოვნად განსაზღვრავს აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობას რეგიონში, რომელიც ზოგჯერ ღია დაპირისპირების სახეს იღებს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის პროდასავლურმა სტრატეგიამ შეზღუდა რუსეთის როლი რეგიონში. საქართველო და აზერბაიჯანი არამარტო დაშორდნენ რუსეთს, არამედ რუსეთს მიაჩნია, რომ ისინი აშშ-სა და თურქეთთან ერთად ფაქტობრივად ბლოკავენ რუსეთისათვის ხელსაყრელ მარშრუტებს. 2002 წლის 18 სექტემბერს შედგა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სიმბოლური გახსნა. რუსეთი ამ მარშრუტს თავისი ნავთობმილსადენების სტრატეგიის სერიოზულ კონკურენტად მიიჩნევს. სომხეთმა არაერთი შეთავაზების მიუხედავად, უარი თქვა აზერბაიჯანელებთან ერთად მონაწილეობა მიეღო აღნიშნულ პროექტებში.

აშშ ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებით, კასპიის ზღვის რეგიონში განლაგებულია მსოფლიოში გადაუმუშავებელი ნახშირწყალბადების უმსხვილესი მარაგი. მათ შორის, მოძიებული მარაგი შეადგენს 17-დან 33-მდე მილიარდ ბარელ ნავთობს და დაახლოებით 232 ტრილიონ კუბურ ფუტ ბუნებრივ გაზს. პოტენციურმა მარაგმა შეიძლება შეადგინოს დაახლოებით 200 მილიარდი ბარელი ნავთობი და 350 ტრილიონამდე კუბური ფუტი ბუნებრივი გაზი.

ეს ფაქტორები განსაზღვრავს ძირითადად რეგიონის ენერგეტიკულ და აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ მნიშვნელობას. ასეთ სიმდიდრეს ადრე თითქმის მთლიანად რუსეთი განაგებდა, ახლა იგი იძულებულია მსოფლიო და რეგიონულ სახელმწიფოებთანაც დააბალანსოს თავისი ინტერესები. ამისათვის მას, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი ზეგავლენის აღდგენა, რათა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა აუცილებლად გაუწიონ ანგარიში მის ინტერესებს და ამით გარკვეული პრიორიტეტი მოიპოვოს რეგიონში მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ინტერესთა დაბალანსების დროს. ყოველივე ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ კასპიისპირეთის სახელმწიფოები – ირანი, რუსეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი – ჯერ კიდევ ბოლომდე არ არიან შეთანხმე-

ბულნი კასპიის სამართლებრივი სტატუსის საკითხში. ასევე არ არიან ისინი შეთანხმებულნი ზღვის ბიორესურსების ექსპლუატაციის უფლებაზე.

კასპიის ზღვის შუა და განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთი ნაწილი უკვე მთლიანად გაყოფილია. კასპიისპირეთის სამმა სახელმწიფომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კასპიის ფსკერის 19% ეკუთვნის რუსეთს, 29% – ყაზახეთს და 19%-ის ფარგლებში – აზერბაიჯანს. რაც შეეხება თურქმენეთსა და ირანს, მათ შესთავაზეს ვარიანტი – ან დაეთანხმონ კასპიის გაყოფის შემუშავებულ პირობებს, ან დააყენებენ რა ეჭვის ქვეშ კასპიის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში არსებულ საბადოებს, უცხოელ ინვესტორებს დააფრთხობენ პერსპექტიული სტრუქტურების შემუშავებისათვის. აღნიშნული პრობლემების შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე, სულ ბოლო პერიოდში მართალია, გამოიკვეთა მიღწევა, მაგრამ დისკუსია კვლავ გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის რეგიონში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაწყებისთანავე, დესტრუქციული ძალები ცდილობდნენ პროექტის ჩასაგდებად გამოეყენებინათ ნაციონალური სეპარატისტული ძალები, გაეღვივებინათ პოლიტიკური და რელიგიური ექსტრემიზმი. ამ მოვლენათა ფონზე აზერბაიჯანმა გამოაცხადა თავისი მზადყოფნა განალაგოს ნატოსა და თურქეთის სამხედრო ბაზები აფშერონზე. აშშ-ს უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიაჩნია ბრძოლა კასპიის ნავთობისა და მისი ტრანსპორტირებისათვის ევროპაში. ამასთან, კასპიის ნავთობის შემოთავაზებულმა მილსადენმა, აშშ-ის აზრით, გვერდი უნდა აუაროს ირანის, სომხეთისა და რუსეთის ტერიტორიებს, ამავე დროს, მეტოქეობა უნდა გაუწიოს რუსეთს ტრანზიტული ტვირთების ალტერნატიული ტრანსციმბირული გზების შექმნაში ევროპიდან აზიაში და უკან. 1998 წელს ვაშინგტონმა მიიწვია აზერბაიჯანისა და თურქმენეთის პრეზიდენტები და ამერიკულმა მხარემ ხელი მოაწერა მთელ რიგ დიდი იმედის მქონე დოკუმენტებზე. ეს დოკუმენტები დიდ მნიშნელობას ანიჭებს არა მარტო ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას, არამედ საერთოდ სატრანსპორტო დერეფანს, დიდი აბრეშუმის გზის აღდგენას და, მაშასადამე, შავ ზღვაზე გასასვლელს, რაც ზრდის საქართველოს ავტორიტეტს და აუცილებელს ხდის მის უშუალო მონაწილეობას ტრანსნაციონალური კომპანიების მუშაობაში, სხვადასხვა ხელსაყრელი პროგრამების შედგენაში. ეს მით უფრო არსებითია, რომ ნავთობისა და გაზის მარაგების ამოწურვის შემდეგაც, აბრეშუმის გზის ფუნქციონირება არასოდეს შეწყდება, რადგან ტვირთების გადაზიდვის მოთხოვნილება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და უკან, მომავალ-

ში კიდევ უფრო გაიზრდება. პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა – დაწყებულია სარკინიგზო მაგისტრალის ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს თურქული მონაკვეთის მშენებლობა. ეს გზა, რუსეთის გვერდის ავლით, აღმოსავლეთს დასავლეთთან დააკავშირებს. მომავალში შავი ზღვის საქართველოს მონაკვეთის მეშვეობით მნიშვნელოვნად გაიზრდება სარკინიგზო ტვირთბრუნვა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამ შემთხვევაში, რუსეთი მიიჩნევს, რომ ის განზე რჩება და ეს მას მიაყენებს არა მარტო უდიდეს ეკონომიკურ ზარალს ახლო და შორეულ პერსპექტივაში, არამედ მნიშვნელოვნად შეასუსტებს მის პოლიტიკურ ზეგავლენას კავკასიასა და ცენტრალურ აზიაზე. ამიტომ, რუსეთი მიისწრაფვის კონტროლი დააწესოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე. ამასთან, რუსეთ-საქრთველოს შორის უკიდურესი დაძაბვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი შავ ზღვაზე რუსეთის გასვლის პრობლემაა. რუსული ნავსადგური ნოვოროსიისკი წელიწადში ოთხი თვე გამოუსადეგარია და ამიტომ იზრდება რუსეთის ინტერესი აფხაზეთის მიმართ.

ეთნოკონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა კავკასიის, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის განვითარება. კონფლიქტების საწყის ეტაპზე ეკონომიკა მთლიანად მოიშალა. შეიარაღებულმა შეტაკებებმა ათეული ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ასეული ათასობით ადამიანი კი, ლტოლვილი და იძულებით ადგილნაცვალი პირი გახდა. გიგანტური მასშტაბები მიიღო დეპორტაციამ სომხეთისა და აზერბაიჯანის ომის დროს მთიანი ყარაბაღის გამო. საომარი შეტაკებების შედეგად, როდესაც გამოიყენეს თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, სომხეთიდან განდევნილ იქნა 160 ათასი აზერბაიჯანელი და აზერბაიჯანიდან 250 ათასი სომეხი. დევნილთა რაოდენობამ „სამხრეთ ოსეთიდან“ 110 ათას კაცს მიაღწია. ჯერ კიდევ 1992 წელს სამხრეთ კავკასიაში ლტოლვილთა რიცხვი თავიანთ ქვეყნებში და სამხრეთ კავკასიის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა შეფასებით, 500 ათასიდან 700 ათასამდე კაცს უდრიდა. აფხაზეთში კონფლიქტის დროს დევნილთა რაოდენობამ 300 ათასამდე კაცი შეადგინა და განხორციელდა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის დაუნდობელი და სრული ეთნოწმენდა. ასეთი ეთნოწმენდის ფაქტი არაერთხელ აღიარა და დაგმო ეუთომ, ევროსაბჭომ, ევროპარლამენტმა, ევროკავშირმა და გაერომ. ამ საკითხზე მიღებულია მათი არაერთი რეზოლუცია და განცხადება.

ეთნოკონფლიქტებმა კავკასიაში შეცვალა მოსახლეობის ბუნებრივი დემოლოგიური განვითარება. უპირველეს ყოვლისა, უკიდურესად შემ-

ცირდა შობადობის როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლები. აზერბაიჯანის რესპუბლიკაშიც კი, სადაც შენაჩუნებულ იქნა შობადობის შედარებით მაღალი დონე, 1981-1990 წლებში, ანუ 10 წელიწადში, 1 765 904 ბავშვი დაიბადა, ხოლო 1996-2005 წლებში, ანუ ისევ 10 წელიწადში – 1 227 875 ბავშვი, ანუ 538 029 ბავშვით ნაკლები. ზოგიერთ წლებში შობადობის დონე განახევრდა. მაგალითად, 1992 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი აზერბაიჯანში 26,6 პრომილეს უდრიდა, ხოლო 10 წლის შემდეგ, 2001 წელს – 13,8 პრომილეს. გაცილებით უარესი ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოსა და სომხეთში. ამასთან, გაიზარდა მოსახლეობის დაავადების მაჩვენებელი, საქართველოში განსაკუთრებით ამაღლდა მოკვდაობის დონე. იმდენად დაირღვა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, რომ უახლოეს პერსპექტივაში ეკონომიური პირობების გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, კიდევ უფრო შემცირდება შობადობა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ლტოლვილები და იძულებით ადგილნაცვალი პირები, რომლებიც სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 10%-ს შეადგენდნენ. დევნილებისათვის ძირითადი პრობლემა უმუშევრობაა. სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, თბილისში, სადაც საქართველოს დევნილი მოსახლეობის 32% ცხოვრობს, უმუშევარია დევნილთა 40,7%, ხოლო თითქმის ნახევარს, მათივე შეფასებით, უაღრესად ცუდი საბინაო პირობები აქვს. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა მოსახლეობის ბუნებრივი დემოლოგიური განვითარება, გააუარესა ყველა დემოლოგიური მაჩვენებელი.

ცალკე განვიხილოთ სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი თავისი შედეგებით არის ყველაზე დამანგრეველი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანმეგობრობის ქვეყნებში. კონფლიქტი წარმოიშვა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დროს და ამდენად, საერთაშორისო საზოგადოებას არ შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებზე, იმის გამო, რომ ეს კონფლიქტი განიხილებოდა, როგორც საბჭოთა კავშირის საშინაო პრობლემა. კონფლიქტი ფაქტობრივად დაიწყო საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლისთანავე. მთიანი ყარაბაღის სომხური მოსახლეობა საბჭოთა მთავრობისაგან მოითხოვდა აზერბაიჯანის შემადგენლობაში შემავალი მთიანი ყარაბაღის ოლქის სომხეთის იურისდიქციაში გადაცემას.

მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი შეიქმნა 1923 წლის 7 ივლისს აზერბაიჯანის შემადგენლობაში. მოსახლეობის 1989 წლის აღწერით ოლქის მოსახლეობა 162 181 კაცს შეადგენდა. მათ შორის: აზერბაიჯანელთა რაოდენობა 37 264 (23%), სომხების – 123 076 (75,8%), ხოლო რუსებისა – 1265 (0,8%) კაცს უდრიდა. ისტორიულად მთიანი ყარაბაღის ტერიტორია წარმოადგენდა კავკასიის ალბანეთის ნაწილს. აქ III-IV საუკუნეებში ჩამოყალიბდა ფეოდალური ურთიერთობები და დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება. VIII საუკუნეში მთიან ყარაბაღში შექმნილი პროვინცია არცახი არაბებმა დაიპყრეს და დაიწყეს აქ ისლამის გავრცელება. IX-X საუკუნეებში არცახი ალბანეთის სამეფოში შედიოდა. XI საუკუნეში არცახი თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს, ხოლო XIII საუკუნის 30-იან წლებში არცახში მონღოლები გაბატონდნენ და მისი ტერიტორიის დიდ ნაწილს ყარაბაღი უწოდეს. XVIII საუკუნეში შეიქმნა ყარაბაღის სახანო. 1805 წელს დაიდო ხელშეკრულება ყარაბაღის სახანოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ, რაც დადასტურდა 1813 წლის გიულისტანის ზავით (გიულისტანი – სოფელი ყარაბაღში, სადაც დაიდო რუსეთ-ირანის საზავო ხელშეკრულება). 1822 წელს ყარაბაღის სახანო გაუქმდა და შეიქმნა პროვინცია, რომელიც საბოლოოდ, ელიზავეტპოლის გუბერნიის (შეიქმნა 1868 წ.) შუშისა და ზანგეზურის მაზრებში შევიდა. ამ პერიოდში, კერძოდ, 1886 წელს, ამ მაზრების მოსახლეობის რაოდენობა 223 460 კაცს შეადგენდა. მათ შორის: სომხები 115 318 (51,6%), ხოლო აზერბაიჯანელები 78 945 (35,3%) კაცს უდრიდა.

1918 წელს მთიან ყარაბაღში ძალაუფლება ხელში აიღეს მუსავატელებმა და დაშნაკებმა. 1920 წელს მაისში ყარაბაღში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც საბჭოთა კავშირის წინაშე უმწვავესი პრობლემები დაგროვდა, რომელთა გადაჭრა უკვე შეუძლებელი იყო, სომხეთმა მთიანი ყარაბაღის მასთან შეერთება მოითხოვა. 1989 წლის დეკემბერში სომხეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ცნობილი დადგენილება სომხეთის რესპუბლიკის და ყარაბაღის შეერთების შესახებ.

სომხურ-აზერბაიჯანული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი დაიწყო 1988 წელს ეთნიკურ ნიადაგზე და ფაქტობრივად მან კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი სახე 1991-1994 წლებში მიიღო. 1990 წლის იანვარში ბაქოში დიდი მღელვარება ყარაბაღში გამოწვეული კონფლიქტის გამო. საბჭოთა ჯარმა დაიკავა აზერბაიჯანის დედაქალაქი და 19-20 იანვრის ღამით მან

ჩაიდინა ფაქტობრივად სამხედრო დანაშაული – შეირაღებული ძალების, ტანკების მონაწილეობით მოქმედებებს 150-მდე აზერბაიჯანელი ემსხვერპლა. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ აქცია მიმართული იყო „ისლამის ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ“, რომელსაც თითქოს უნდოდა რესპუბლიკაში ხელში აეღო ძალაუფლება. კერძოდ, მ. გორბაჩოვი საბჭოთა ხალხისადმი თავის მიმართვაში მიუთითებდა, რომ აზერბაიჯანში იყო ცდა დაემყარებინათ ისლამური წყობილება და პირადად მისცა სანქცია ჯარების შეიარაღებულ აქციას ბაქოში, რომელსაც ადამიანთა დიდი რაოდენობით მსხვერპლი მოჰყვა.

1991 წლის 26 ნოემბერს გამოცხადდა მთიანი ყარაბაღის ლიკვიდაცია და რეგიონი უშუალოდ ბაქოს დაექვემდებარა. მაგრამ იმავე წლის დეკემბერში ყარაბაღში ჩატარებულმა რეფერენდუმმა დაადასტურა ყარაბაღელების გადაწყვეტილება თავისი დამოუკიდებლობის შესახებ.

ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის ზონაში დაიწყო 1991 წლის ბოლოს. სომხეთის უაღრესად თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებულმა ფორმირებებმა განახორციელეს საომარი მოქმედებები სომხეთისა და აზერბაიჯანის მთელ საზღვარზე და მთიანი ყარაბაღის რეგიონში. 1994 წლის სექტემბერსა და დეკემბერში ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის, რომლის დროსაც გამოიყენეს ტანკები, შვეულმფრენები და ავიაცია. საბოლოო წარმატება სომხებმა მოიპოვეს. ამით, შეიძლება ითქვას, დასრულდა მთიანი ყარაბაღის ეთნიკური წმენდა, თუმცა, საომარი მოქმედებები ამით არ დასრულებულა და 1992 წლის მაისიდან 1993 წლის ოქტომბრის ჩათვლით სომხეთმა მოახდინა აზერბაიჯანის შვიდი რაიონის ოკუპაცია. ამ რაიონებიდან მთლიანად განდევნეს აზერბაიჯანელი მოსახლეობა. 1994 წლის 12 მაისს ძალაში შევიდა აზერბაიჯანისა და სომხეთის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რამაც შეაჩერა აზერბაიჯანის ახალი ტერიტორიების ოკუპაცია. ოთხი წლის მანძილზე სომხებმა შეტევითი ოპერაციების შედეგად თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნეს დაახლოებით ერთი მილიონი აზერბაიჯანელი და დაიკავეს აზერბაიჯანის მიწების დაახლოებით მეხუთედი.

სომხეთ-აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მთელ პერიოდში, სხვადასხვა მაღალი დონის მოლაპარაკებები შედგა, მაგრამ კონფლიქტის მოგვარების არსებითი შედეგი არ ჩანს. რუსეთი თითქოს დაინტერესებულია კონფლიქტის გადაწყვეტაში, მაგრამ იგი კარგად ხედავს, რომ დაპირისპირებული მხარეები დათმობაზე არ წავლენ. სომხებისათ-

ვის მთავარია, ე.წ. „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობა და ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა, მთიანი ყარაბაღისათვის – თანასწორუფლებიანი მონაწილეობა მოლაპარაკებებში, ხოლო აზერბაიჯანისთვის – სომხეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება და ლტოლვილების პრობლემის გადაწყვატა, რაც ფაქტობივად სტატუს-კვოს აღდგენას ნიშნავს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, რუსეთს, მეორეს მხრივ, კარგად აქვს გაცნობიერებული, თუ რა გადამწყვეტ როლს ასრულებს და პერსპექტივაშიც შეასრულებს აზერბაიჯანი კავკასიისა და საერთოდ, კასპიისპირეთის რეგიონში როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ისე გეოპოლიტიკურ ძალთა განლაგებაში. ამიტომ არც ის არის შემთხვევითი, რომ რუსეთი დაინტერესებულია თავისი მშვიდობისმყოფელი ძალები კონფლიქტის რაიონში განალაგოს.

აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა კონფლიქტის დარეგულირებისათვის საჭიროდ მიიჩნევს სომხეთის ჯარის გამოყვანას აზერბაიჯანის ტერიტორიიდან და მთიანი ყარაბაღისათვის „ყველაზე ფართო ავტონომიის“ მიცემას აზერბაიჯანის შემადგენლობაში.

კონფლიქტი ჩეჩნეთში

კავკასიელ ხლხებს, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობენ, ჰქონდათ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები და შედიოდნენ რუსეთის ფედერაციაში. კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი და დაღესტანი წარმოადგენდნენ ავტონომიურ რესპუბლიკებს, ხოლო ადიღე და ყარაჩაი-ჩერქეზეთი – ავტონომიურ ოლქებს. ადიღე და ყარაჩაი-ჩერქეზეთი, შესაბამისად, შედიოდნენ რუსეთის ფედერაციის კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში. ამჟამად რუსეთში ფედერაციის სუბიექტია 89 რეგიონი. ისინი ორ კატეგორიად იყოფიან. პირველ კატეგორიას ეკუთვნის 32 ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნი, მათ შორის: 21 რესპუბლიკა, 10 ავტონომიური ოკრუგი და 1 ავტონომიური ოლქი, ხოლო მეორეს – უპირატესად რუსებით დასახლებული 57 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნი. ტერმინი „ფედერაციის სუბიექტები“ გამოიყენება მას შემდეგ, რაც 1992 წლის გაზაფხულზე ამ წარმონაქმნების ხელმძღვანელებმა ჩეჩნეთისა და თათრეთის გარდა, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას რეგიონებსა და ფედერალურ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ. კავკასიელი ხალხების ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა ავტონომიურმა წარმონაქნმა მიიღო რეს-

პუბლიკის სტატუსი. აღნიშნულ, ე.წ. ფედერაციულ ხელშეკრულებას წინ უძღოდა 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990 წლების დასაწყისში ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეროვნებათშორისი ურთიერთობების გამწვავება შეიარაღებული კონფლიქტების ჩათვლით.

რუსეთის ტერიტორიაზე ეთნიკური კონფრონტაციის დონისა და ხასიათის მიხედვით გამოყოფენ სამ ძირითად ზონას, ყველა ეს ზონა თითქმის ჩრდილოეთ კავკასიის არეალშია მოქცეული. შეიარაღებული რეგიონალური კონფლიქტების ზონას მიეკუთვნება რეგიონები, სადაც ადრე საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა, ამჟამად კი, შეტაკებათა და ძალადობის სპონტანურ აფეთქებებს აქვს ადგილი. ასეთ ზონას მიეკუთვნება ჩეჩნეთის რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის – ალანიის საგარეუბნო რაიონის ტერიტორიები. ეთნოპოლიტიკური დაძაბულობის ზონას აკუთვნებენ დაღესტანსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთს. მესამე, ეთნოპოლიტიკური დაძაბულობის პოტენციურ ზონას მიეკუთვნება ყაბარდო-ბალყარეთი, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების სამხრეთი რაიონები, აგრეთვე, თათრეთი, ბაშკირეთი და ტუვა.

საბჭოთა კავშირის დაშლა რუსეთის შინაგან სიტუაციაზე ყველაზე მეტად აისახა ჩეჩნეთში, სადაც 1991 წლის 27 ოქტომბერს ჩატარდა რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები. არჩევნებში გაიმარჯვა ესტონეთში დისლოცირებული მძიმე ბომბდამშენი დივიზიის მეთაურმა, ტარტუს გარნიზონის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ჯოხარ დუდაევმა, რომელიც 1990 წელს სამსხურიდან გადადგა. 1 ნოემბერს უკვე გამოქვეყნდა ჯოხარ დუდაევის ბრძანებულება „ჩეჩნეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტის გამოცხადების შესახებ“. იმავდროულად დაიწყო ჩეჩნური შეიარაღებული ფორმირებების შექმნა. რეგულარული ჩეჩნური არმიის რაოდენობამ 15 ათას კაცს მიაღწია. არმია შეიარაღდა თანამედროვე ტექნიკით. საბრძოლო იარაღი დუდაევის ფორმირებებს ფაქტიურად უსასყიდლოდ დარჩათ ჩეჩნეთიდან რუსული სამხედრო დივიზიების გაყვანის შედეგად.

ჯ. დუდაევის მიერ ჩეჩნეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტის გამოცხადების დღესვე რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატების V ყრილობამ ჩეჩნეთში პრეზიდენტის არჩევნები არაკანონიერად ცნო, როგორც რუსეთის კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედება. ასეთ პირობებში სულ უფრო ძლიერდებოდა დაძაბულობა ჩეჩნეთის საზღვარზე. 1992 წელს რუსეთის ჯარი ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტის ზონაში შევიდა. ჩეჩნეთის დედაქალაქი გროზნო, სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად ხელიდან

ხელში გადადიოდა და საბოლოოდ მაინც ნანგრევებად იქცა. ბრძოლის არეალი და მასშტაბი სულ უფრო ფართოვდებოდა და 1995 წელს საბრძოლო მოქმედებები უკვე ყველგან მიმდინარეობდა. 1996 წლის 22 აპრილს საბრძოლო შვეულმფრენიდან სარაკეტო დარტყმის შედეგად მოკლეს გენერალი დუდაევი – საავიაციო რაკეტა მისი ფიჭური ტელეფონის სიგნალზე მიმართეს. ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურის მოვალეობა თავის თავზე აიღო ვიცე-პრეზიდენტმა ზელიმხან იანდარბიევმა. მათ მოაწყვეს თავდასხმა გროზნოზე. სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად ფედერალური ჯარი გროზნოში დამარცხდა, რაც რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა საჯაროდ აღიარა. მაგრამ ამით სისხლისმღვრელი ბრძოლები არ დამთავრებულა, მხოლოდ დროებითი სიმშვიდე დამყარდა.

1999 წლის აგვისტოში ჩეჩნეთში დაიწყო ომის მეორე ეტაპი. ჩეჩენ მებრძოლთა რაზმები გენერალ შამილ ბასაევის და არაბი ხატაბის ხელმძღვანელობით შეიჭრნენ მეზობელ დაღესტანში, რათა გაეფართოვებინათ რუსეთის მიმართ წინააღმდეგობის ფრონტი. მათ ვაჰაბისტების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, რომლებმაც იმ პერიოდში დაღესტანში შექმნეს „დამოუკიდებელი ტერიტორიები“. მაგრამ დაღესტნის მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა მებრძოლებს. საბოლოოდ ისინი იძულებულნი გახდნენ თავი შეეფარებინათ ჩეჩნეთისათვის. 1999 წლის სექტემბერში ფედერალური ჯარები შეიჭრნენ ჩეჩნეთში და 2000 წლის თებერვალში აიღეს გროზნო. საბოლოოდ ფედერალურმა ჯარებმა კონტროლი დაამყარეს ჩეჩნეთის რიგ რეგიონში და მთელ ტერიტორიაზე შექმნეს ბლოკპოსტების სისტემა. ამჟამად, მართალია, მსხვილმასშტაბიან შეტაკებებს ადგილი აღარ აქვს, მაგრამ არც მშვიდობაა საბოლოოდ დამყარებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჩეჩნეთში.

8.5. აზერბაიჯანის მოსახლეობა

აზერბაიჯანი მდებარეობს სამხრეთ კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია (დაღესტნის რესპუბლიკა), ჩრდილო-დასავლეთით – საქართველო, სამხრეთ-დასავლეთით – სომხეთი და თურქეთი, სამხრეთით – ირანი, აღმოსავლეთით კასპიის ზღვა. მისი ფართობი კუნძულებიანად 86,6 კვადრატულ კილომეტრს უდრის.

აზერბაიჯანის მიწა-წყალი ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებად იყოფა. მათ შორის საზღვრად დაახლოებით მტკვარ-არაქსის დინების ხაზი ითვ-

ლება. ჩრდილო რაიონებისა და სამხრეთ რაიონების ნაწილს თანამედროვე აზერბაიჯანი შეიცავს, ხოლო სამხრეთი რაიონების უდიდესი ნაწილი ირანის მფლობელობაშია მოქცეული.

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორია ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო უძველესი დროიდან ადამიანების საბინადრო ადგილი იყო. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზოგიერთი შრომის იარაღი მოწმობს, რომ აქ ჯერ კიდევ ძველი ქვის ხანაში – პალეოლითის ეპოქაში ბინადრობდა ადამიანი. ამას ნათლად ადასტურებს პალეოლითურ, განსაკუთრებით აზიის ნამოსახლარებში აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის ქვის იარაღები. პირველყოფილი საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანის უნიკალურ სადგომში – აზიხის მღვიმეში მოპოვებული უმდიდრესი მასალა. მღვიმეში აღმოჩნდა 300-ზე მეტი ქვის სხვადასხვა ნაკეთობა. აზიხის ადამიანი ძალიან ადრე დაეუფლა ცეცხლს – მღიმეში გამოვლინდა სხვადასხვა დროის რამდენიმე საკმაოდ დიდი კოცონის ნარჩენები, რომელიც 700 ათასი წლის წინათ და თანაც ათასწლეულები განუწყვეტლივ ენთო.

ადრე ბრინჯაოს ხანაში აზერბაიჯანში ვრცელდება მტკვარ-არაქსის კულტურა. გამოვლენილია უამრავი დასახლება, რომლებსაც 1-2, ხოლო ზოგჯერ 10 ჰექტარიც ეკავათ. სახლებს მრგვალი და ოთხკუთხა სახე ჰქონდა, რომელთა დიამეტრი 3-5, ზოგიერთ შემთხვევაში კი 10 მეტრსაც აღწევდა. მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქაში, ენეოლითურ ეპოქასთან შედარებით, დასახლებების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ პერიოდში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოსახლეობა უკვე საკმაო როდენობით ცხოვრობდა. ამასვე ადასტურებს უამრავი დასაკრძალი ძეგლის არსებობაც.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნეში შეიქმნა მონათმფლობელური სახელმწიფო მანა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ძველაზერბაიჯანული ტომების პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული კონსოლიდაციის საქმეში.

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორია XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლამდე, დაყოფილი იყო 15 სახანოდ (მათ შორის, ყველაზე ძლიერი იყო ყუბის, შაქისა და ყარაბაღის სახანოები) და წვრილ ფეოდალურ სამფლობელოებად. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა ყუბის, შაქის, განჯის, შირვანის,

ბაქოს, ყარაბაღისა და თალიშის სახანოები, რომლებიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ერთიან შემახის გუბერნიად გარდაიქმნენ (1859 წლიდან ბაქოს გუბერნია). უკვე აღვნიშნეთ, რომ თვით ცნება „აზერბაიჯანი“ იმ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რომლებიც 1920-იან წლებში შევიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში, მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა და დამკვიდრდა 1918 წლის 28 მაისს, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ. ეს იყო დამოუკიდებელი აზერბაიჯანული სახელმწიფოს შექმნის პირველი ცდა.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ომს აწარმოებდა მეზობელ სომხეთთან ნახიჩევანის, ყარაბაღისა და სხვა ტერიტორიების გამო. აზერბაიჯანის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ ორი წელი იარსება.

1991 წლის 31 აგვისტოს აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, რომელიც არსებობდა 1918-1920 წლებში.

აზერბაიჯანელი ხალხი ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიის ძველი ეთნიკური ჯგუფების (ალბანელები, კასპიები, მიდიელები) შერევით მოსულ ხალხთან (აზერბაიჯანის ისტორიას ჩვენ ნაწილობრივ საქართველოს ეროვნული შემადგენლობის განხილვის დროსაც შევეხეთ). შუა საუკუნეების ეპოქაში ერთ-ერთი მათგანიდან, კერძოდ, სელჯუკებიდან აზერბაიჯანელებმა აითვისეს თურქული ენა, რომლის ბაზაზე განვითარდა აზერბაიჯანელების თანამედროვე სალიტერატურო ენა. სელჯუკების მოსვლამ და თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დასახლებამ შეცვალა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, მოხდა აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის თურქიზაცია, რამაც საფუძველი დაუდო თურქულენოვანი აზერბაიჯანელი ეროვნების ფორმირების დაწყებას.

აზერბაიჯანის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები მე-19 საუკუნემდე უაღრესად მწირია და, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად არც არსებობდა. უძველესი პერიოდის ცნობები საერთოდ არ მოიპოვება, ხოლო შუა საუკუნეებში ზოგიერთი სახანოს მოსახლეობის რაოდენობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ მათ მიერ საბრძოლველად გამოყვანილი მეომრების რიცხვის მიხედვით, მაგრამ ასეთი გაანგარიშება არაფერს გვეუბნება მოსახლეობის საერთო რაოდენობის შესახებ და მოკლებულია რეალობას. მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულია დემოგრაფიული ძეგლი „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“ ორი რედაქციით. პირველი რედაქცია უფრო სრულია და შედგენილია 1769 წელს. ამ ძეგლში თითოეული მხარის აღწერა

გარკვეული გეგმით არის შედგენილი. ჯერ მოცემულია ცნობა თითოეული მხარის საზღვრის, შემდეგ ეროვნებისა და იმის შესახებ, თუ ომის დროს, რომელ მხარეს რამდენი მეომრის გამოყვანა შეეძლო. კერძოდ, ძეგლში, რომელიც არ შეიცავს ყველ სახანოს აღწერას, აღნიშნულია რომ განჯის ბეგლარბეგს შეეძლო 3 ათასი მეომრის გამოყვანა, ამდენივე მეომარი გამოჰყავდა შაქის ხანსაც. შაქის აღწერაში დაცული ცნობა გვაუწყებს, რომ „ამას შინა მსახლობელნი არიან მრავალნი ქრისტეანენი, სომეხნი ცხადად და ქართველნი ფარულად“. ცხადია, ჩვენამდე მოღწეული ასეთი ცალკეული ცნობით, არა თუ თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იმ დროს მცხოვრებთა რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა, არამედ თუნდაც ზოგიერთი სახანოს შესახებაც ანალოგიური მონაცემების დადგენა შეუძლებელია.

მე-19 საუკუნეში და განსაკუთრებით, ამ საუკუნის მეორე ნახევარში შეიძლება ვიმსჯელოთ აზერბაიჯანის მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ, თუმცა, ცნობილია, რომ 1828 წლისათვის, მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სახანოები და სხვა ფეოდალური ერთეულები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ აზერბაიჯანელების რაოდენობა დაახლოებით 600 ათას კაცს უდრიდა.[44]

1886 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით შედგა ამიერკავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები. მაშინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილი იყო ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიები. ბაქოს გუბერნიის მოსახლეობა 713 ათას კაცს უდრიდა, ბოლო ელისავეტპოლის – 729 ათას კაცს. ორივე გუბერნიაში აზერბაიჯანელი თათრები (როგორც მაშინ მათ უწოდებდნენ) ჭარბობდნენ. კერძოდ, ბაქოს გუბერნიაში აზერბაიჯანელები 53,0%-ს შეადგენდნენ, ხოლო ელიზავეტპოლის გუბერნიაში – 56%-ს. სომხები კი, შესაბამისად – 7,8%-ს და 35,4%-ს. ბაქოს გუბერნიაში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ აგრეთვე თათები – 118 ათასი (16,6%) და თალიბები – 51 ათასი (7,2%).

რუსეთის იმპერიაში 1897 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემების თანახმად, აზერბაიჯანის მოსახლეობა 1 806,7 ათას კაცს უდრიდა. მისი მოსახლეობა სწრაფად იზრდება და 1913 წელს 2 339,2 ათასი გახდა, ანუ 15 წელიწადში 532,5 ათასი კაცით მოიმატა. მოსახლეობის 1999 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, აზერბაიჯანის მოსახლეობა 7953,4 ათას კაცს უდრიდა და ერთი საუკუნის განმავლობაში (1897-1999 წლებში, 102 წელიწადში) 4,4-ჯერ გაიზარდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თუ ბოლო

აღწერებს შორის პერიოდში (1989-2002 წლები) მთელი საქართველოს მოსახლეობა 800 ათასი კაცით შემცირდა, ხოლო სომხეთში (1989-2001 წლები) – 92 ათასით, აზერბაიჯანის მოსახლეობა (1989-1999 წლები) 952 ათასი კაცით გაიზარდა. ამ პერიოდში უაღრესად მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად, საშუალოწლიური ზრდა 95 ათას კაცს შეადგენდა. 2006 წლისათვის მისი მოსახლეობა კიდევ 483 ათასი კაცით გაიზარდა და 8 426 ათას კაცს მიაღწია.[44]

1926-1939 წლებში რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 890 ათასი კაცით და საშუალოდ წელიწადში მატებამ 68 ათასი კაცი შეადგინა. შემდეგ პერიოდში – 1939-1959 წლებში, ადგილი ჰქონდა მოსახლეობის რიცხოვნობის საშუალო წლიურ შემცირებას, რაც გამოწვეული იყო 1941-1945 წლების ომში ადამიანთა დანაკარგით. კერძოდ, 1940 წლის დასაწყისისათვის, აზერბაიჯანის მოსახლეობა 3274 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო 1945 წლის დასაწყისისათვის იგი 568 ათასი კაცით შემცირდა. ომამდელი მოსახლეობის რიცხოვნობის დონე მიღწეულ იქნა 1955 წლის დასაწყისისათვის. მოსახლეობის რიცხოვნობის ყველაზე მაღალი საშუალოწლიური მატების ტემპი 1959-1970 წლებში აღინიშნა (3,5%). მოსახლეობის საერთო მატებამ ამ პერიოდში 1419 ათასი კაცი შეადგინა და, ისე, როგორც წინა წლებში, ძირითადად განპირობებული იყო ბუნებრივი მატებით.[44]

აზერბაიჯანის მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი უპირველესად უკავშირდება შობადობის მაღალ დონეს და მოკვდაობის შემცირებას. აზერბაიჯანში, ცალკეულ პერიოდებში, მოსახლეობის ბუნებრივი მატება 2-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე საშუალოდ ყოფილ საბჭოთა კავშირში. ასეთი განსხვავება ძირითადად განაპირობა ყოფითმა ტრადიციებმა და მრავალშვილიანობის შენარჩუნების ჩვეულებამ. ამასთან, აზერბაიჯანში შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ სომხები და დაღესტნის ხალხები, რომელთა შორის შობადობის დონე ისტორიულად მაღალი იყო.

აზერბაიჯანელებში მაღალი შობადობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ასაკობრივ სტრუქტურაზე. მათში მაღალი შობადობა და დაბალი მოკვდაობა განაპირობებს ასაკობრივ სტრუქტურაში ახალგაზრდების ასევე მაღალ წილს, რაც ხელს უწყობს შობადობის მაღალ დონეზე შენარჩუნებას.

ყურადსაღებია ისიც, რომ 1886-1913 წლებში აზერბაიჯანის მოსახლეობის რიცხოვნობა 801,3 ათასი კაცით გაიზარდა. მოსახლეობის საერთო მატების რიცხოვნობიდან 354,2 ათასი კაცი, ანუ 14,2% მოდიოდა მიგრა-

ციაზე, მათ შორის, ქალაქად – 262,7 ათასი კაცი, ხოლო სოფლად – 91,6 ათასი კაცი. ასეთი მაღალი მიგრაცია რევოლუციამდელ აზერბაიჯანში განპირობებული იყო, უპირველეს ყოვლისა, საგადასახლებო პოლიტიკით, რომელსაც ახორციელებდა მეფის რუსეთი ნავთობის სარეწების ექსპლუატაციასთან დაკავშირებით. სამუშაო ძალაზე მაღალი მოთხოვნის უზრუნველყოფა ძირითადად ხდებოდა რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, დაღესტნიდან და ამიერკავკასიიდან გლეხების მიგრაციის ხარჯზე.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობის მოპოვებისა და ექსპორტის სწრაფად განვითარებამ მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში გააძლიერა ბაქოს მიზიდულობის ძალა. იგი ნავთობის მოპოვების უმსხვილესი ცენტრი გახდა. 1923 წელს ქალაქის მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, ბაქოში ცხოვრობდა ქალაქის მოსახლეობის 50,4%. აზერბაიჯანელები ბაქოს მოსახლეობის 29,8%-ს შეადგენდნენ, თითქმის ამდენივეს (19,4%) – რუსები. სომხები ბაქოს მოსახლეობის 21,4% იყვნენ. 1886 წელს ბაქოს მოსახლეობაში მეორე ადგილი აზერბაიჯანელების შემდეგ (43,3%) სომხებს ეკავათ (28,3%), ხოლო მესამე – რუსებს (24,7%). იმ პერიოდში ნავთობის მრეწველობის განვითარების პარალელურად, ბაქოს, ბევრი სომეხი ვაჭარი მიაწყდა. აზერბაიჯანის ქალაქის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 2006 წელს 51,6% იყო.

სოფლის მოსახლეობასთან შედარებით, ქალაქის მოსახლეობაში შობადობის დონე გაცილებით დაბალია, ხოლო განქორწინების დონე – მაღალი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შობადობაზე. მაგალითად, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი აზერბაიჯანის ქალაქის მოსახლეობაში 2005 წელს 15,1 პრომილეს უდრიდა, ხოლო სოფლის მოსახლეობაში – 19,4 პრომილეს. კიდევ უფრო შესამჩნევი იყო განსხვავება წინა წლებში. კერძოდ, 1991 წელს ეს მაჩვენებელი შესაბამისად 23,5 და 30,2 პრომილეს, ხოლო 1963 წელს – 33,4 და 48,0 პრომილეს შეადგენდა. შობადობის დონის უფრო ზუსტი მაჩვენებელი – ჯამობრივი კოეფიციენტი – აზერბაიჯანის ქალაქის მოსახლეობაში 2005 წელს 2,1-ს, ხოლო სოფლის მოსახლეობაში 2,5-ს შეადგენდა, ხოლო 1980 წელს, შესაბამისად, 2,5 და 4,5 იყო. ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება განქორწინების დონეც.

ინტენსიური იმიგრაციული პროცესების შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა აზერბაიჯანის მოსახლეობის ეროვნულმა შემადგენლობამ, განსაკუთრებით, 1926-1939 წლებში. ამ პერიოდში ქვეყანაში

დიდი რაოდენობით შემოდიან მუდმივ საცხოვრებლად სომხები დ განსაკუთრებით, რუსები. ამავე დროს, მაღალი ბუნებრივი მატების შედეგად, სწრაფად იზრდება აზერბაიჯანელების რაოდენობა. უკანასკნელ წლებში რუსების რაოდენობა აზერბაიჯანში მკვეთრად შემცირდა და მან 1989 წელს 392 ათასის ნაცვლად 1999 წელს 142 ათასი კაცი შეადგინა. ამავე პერიოდში სომხების რაოდენობა 391 ათასიდან 120 ათასამდე შემცირდა. ეს 120 ათასი სომეხიც ის რაოდენობაა, რომელიც 1989 წელს მთიან ყარაბაღში ცხოვრობდა. როგორც ცნობილია, სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის გამო მთიან ყარაბაღში აღწერა არ ჩატარებულა და 1999 წელს ქვეყნის მთელ მოსახლეობაში 1989 წელს ყარაბაღში მცხოვრები 120 ათასი სომეხი შეიყვანეს. ამრიგად, მთიანი ყარაბაღის გარდა, აზერბაიჯანში სომეხი თითქმის აღარ ცხოვრობს. ამჟამად, აზერბაიჯანში, რაოდენობის მხრივ, აზერბაიჯანელების შემდეგ მეორე ადგილი უკავიათ დაღესტნის ხალხებს – ლეზგებს (178 ათასი, 2,2%), რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობენ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. აზერბაიჯანში შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრობს (51 ათასი) დაღესტნის ხალხი – ხუნძები. დანარჩენი ეროვნებები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი.[44]

აზერბაიჯანის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დახასიათების დროს საჭიროა ცალკე გამოვყოთ თალიშები, რომლებიც აზერბაიჯანის მოსახლეობის 1%-ს შეადგენენ და ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთში მცხოვრები ძირძველი ეთნოსია. მათი რაოდენობის განსაზღვრა მეტად რთულია, რადგან საბჭოთა პერიოდში თალიშები, როგორც დამოუკიდებელი ეთნოსი, საერთოდ არ აღრიცხეს მოსახლეობის 1959, 1970 და 1979 წლების აღწერის დროს. ისინი აზერბაიჯანელებს მიაკუთვნეს. თალიშები მატერიალური და სულიერი კულტურით მეტად ახლოს დგანან აზერბაიჯანელებთან, თითქმის შეერწყნენ აზერბაიჯანელებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, 1989 წელს 21 ათასმა ადამიანმა თავისი თავი თალიშებს მიაკუთვნა, 1999 წელს კი – 76,8 ათასმა, რაც თალიშების ეროვნული თვითგამორკვევის ამაღლების ტენდენციაზე მიუთითებს.

აზერბაიჯანელები, რომლებსაც 1920-იან წლებამდე ლიტერატურულ წყაროებსა და დოკუმენტებში აზერბაიჯანელ თათრებსა და თურქებაც უწოდებდნენ, ქმნიან აზერბაიჯანის მოსახლეობის ძირითად ბირთვს. მათი წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში 90%-ს შეადგენს და 1989 წელთან შედარებით, 7,3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს გარემოება გამოიწვია აზერბაიჯანელების მაღალმა ბუნებრივმა მატებამ და ქვეყნიდან დიდი რაოდენობით რუსების, სომხებისა და

ებრაელების ემიგრაციამ. მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, აზერბაიჯანელების რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება.

აზერბაიჯანელები კავკასიის გარდა, ირანშიც ცხოვრობენ, კერძოდ, ირანის ჩრდილო-დასავლეთში. 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის ომის შედეგად რუსეთის მფლობელობაში გადავიდა თანამედროვე აზერბაიჯანის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული ფეოდალური ერთეულები – ნახიჩევანის სახანო, ორდუბადის ოლქი და აზერბაიჯანის სხვა ტერიტორია. სამხრეთ აზერბაიჯანი (აზერბაიჯანად 1920-იან წლებამდე მხოლოდ ირანის აზერბაიჯანი იწოდებოდა) ირანს დარჩა. ირანში მცხოვრები აზერბაიჯანელების რაოდენობის განსაზღვრა მეტად ძნელია, რადგან ირანის ხელისუფლება თავდაპირველად საერთოდ უარყოფდა ქვეყანაში ეროვნული უმცირესობის არსებობას, რადგან სპარსელებად იწოდებოდნენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები მუსულმანები, მათ შორის – აზერბაიჯანელებიც. ირანში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ცნობები პირველად გვხვდება 1956 წელს ჩატარებულ მოსახლეობის აღწერის მასალებში. ამ აღწერის მიხედვით ირანში 4500 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა და ისინი ირანის მთელი მოსახლეობის 23,8%-ს შეადგენდნენ. შემდეგი აღწერა ჩატარდა 1966 და 1976 წლებში. ამ აღწერების მიხედვით, აზერბაიჯანელების რაოდენობა შესაბამისად, 3800 ათას და 5800 ათას კაცს უდრიდა, ხოლო წილი ირანის მთელ მოსახლეობაში – 14,7 და 16,5%-ს.

გაეროს 2016 წლის მონაცემებით, ირანის მოსახლეობა, 80 მილიონ ადამიანს შეადგენს, ე.ი. გაორმაგდა 1976 წელთან შედარებით. ამავე პერიოდში ირანში მცხოვრები აზერბაიჯანელების რაოდენობაც დაახლოებით უნდა გაორმაგებულიყო. ამიტომ რეალობად მიგვაჩნია ცნობილი პოლიტოლოგის, კ. გაჯიევის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამჟამად აზერბაიჯანელები ირანის მთელი მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენენ და აქ ისინი ორ-სამჯერ მეტნი არიან რაოდენობრივად, ვიდრე თვით აზერბაიჯანში.

აზერბაიჯანელ მეცნიერებში გავრცელებული მოსაზრებებით, საკუთრივ აზერბაიჯანის მოსახლეობა გაეროს 2016 წლის მონაცემებით 9,8 მილიონს შეადგენს. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კი – 2,2 პრომილეა. სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში აზერბაიჯანის მოსახლეობის წილი 1916 წელს იყო 39,5%, 1989 წელს – 44,6%, ხოლო 2016 წელს – 59,3%. ე.ი. სახეზეა აზერბაიჯანის მოსახლეობის წილის ზრდის აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია.

ამჟამად ირანში 22 მილიონამდე აზერბაიჯანელი ცხოვრობს, მთლიანად მსოფლიოში კი – დაახლოებით 30 მილიონი.

8.6. სომხეთის მოსახლეობა

სომხეთი მდებრეობს სამხრეთ კავკასიის სამხრეთში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება საქართველო, აღმოსავლეთით – აზერბაიჯანი, სამხრეთით ირანი, დასავლეთით თურქეთი. მისი ფართობი 29,8 ათასი კვადრატული კილომეტრია.

პირველყოფილი ადამიანი სომხეთის მთიანეთში მეოთხეული პერიოდის I ნახევარში ცხოვრობდა. ნეოლითის ხანაში მოსახლეობამ აქ უკვე მიწის დამუშავება დაიწყო. ნეოლითისა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანში მეცხოველეობაც ვითარდება. ლითონის დამუშავება სომხეთის ტერიტორიაზე ძალიან ადრე – ძველი წელთაღრიცხვის V-VI ათასწლეულებში დაიწყო. რკინის დამუშავება სომხეთის ტერიტორიაზე ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება. რკინის გამოდნობა დასაწყისს იღებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 1400 წელს მცირე აზიაში. აქედან ხდებოდა რკინის მზა ნაწარმის ექსპორტირება ბაბილონში. ცნობილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 1275 წელს ხეთების მეფის მიერ დაწერილი წერილი ასირიის მეფისადმი, რომელშიც ის აცნობებს მას, რომ უგზავნის რკინის ხანჯალს, როგორც განსაკუთრებულ საჩუქარს. ხეთის რკინის წარმოების ცენტრი იყო კიცუვატნას რაიონი კილიკიაში. ეს ტერიტორია შემდეგში მცირე სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მიჯნაზე სომხეთის მთიანეთში მოსახლე ტომების გაერთიანებას ხელი შეუწყო ასურელთაგან მოსალოდნელმა საშიშროებამ. ამის საფუძველზე ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნეში ჩამოყალიბდა სახელმწიფო ურარტუ. ამავე ათასწლეულის I ნახევარში ყალიბდება აბორიგენი ტომების კავშირი. ესენი იყვნენ ურარტუელები, ჰაიასას ტომობრივი კავშირი და სხვ. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ჰაიასას ტომიდან მომდინარეობს სომეხი ხალხის სახელი „ჰაი“. ჰაიკის გარდა სომხების ეპონიმია არმენი. ქართველების გარდა, ყველა სხვა ხალხი მათ „არმენების“ სახელწოდებით იცნობს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის აქამენიდურ და ბერძნულ წყაროებში გვხვდება.

სომხეთი თავმოყრილი იყო არარატის მთის გარშემო, რომლის სახელწოდება დაკავშირებულია ურარტუს სახელმწიფოსთან. ამასთან, სომხების ეთნოგენეზის პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ყველაზე უფრო გავრცელებული თეორიის თანახმად სომხები მოსულები ან ადგილობრივი წარმოშობისანი არიან. მეცნიერებაში გამოთქმულია აგრეთვე

მათი შემარიგებელი მოსაზრებებიც. საბოლოოდ, სომეხი ხალხის ჩამოყალიბების ბოლო ეტაპი სომხეთის სახელმწიფოს შექმნას თანხვდება – ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნე.

აღნიშნული საკითხების შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის განხილვის დროს და ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით.

თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო მცირე ხნით მხოლოდ რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ არსებობდა (1918-1920 წლები). 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთის რევოლუციურმა კომიტეტმა რუსეთის დახმარებით სომხეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა. საბოლოო დამოუკიდებლობა კი სომხეთმა საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ (1991 წ.) მიიღო. სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობა მთელი მისი ისტორიის განმავლობაში მეზობელი დიდი ქვეყნების (რომის, ბიზანტიის, ოსმალეთის, სპარსეთის და ბოლოს, რუსეთის) და არც თუ შორს მობინადრე არაბების ცხოველ ინტერესს იწვევდა. ამიტომ, სომხეთი ძირითადად სხვა სახელმწიფოების მიერ იყო დაპყრობილი. რევოლუციამდე სომხეთი ორ – აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად იყო გაყოფილი. დასავლეთი სომხეთი ოსმალეთის, ხოლო აღმოსავლეთი სპარსეთის მფლობელობაში იმყოფებოდა. თურქმანჩაის 1828 წლის საზავო ხელშეკრულების შედეგად ჩრდილოეთ აზერბაიჯანი და აღმოსავლეთი სომხეთი რუსეთს შეუერთდა. ამ ტერიტორიების რუსეთთან შეერთების შემდეგ თურქეთიდან და ირანიდან იქ დაიწყო სომხების მასობრივი გადმოსახლება. ეს პროცესი თანდათანობით სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს და გადმოსახლება ხდება არა მარტო აღმოსავლეთ სომხეთში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიაში – საქართველოსა და აზერბაიჯანში. განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს კი ეს პროცესი იღებს რუსეთ-თურქეთის 1878 წლის ომის შემდეგ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთ-ირანს შორის 1828-1829 წლების ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა და თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ იყო დადებული, თავრიზში მყოფ რუსეთის გენერალ პასკევიჩთან მივიდნენ სომეხი დეპუტატები თხოვნით: ნება დაერთოთ ირანის აზერბაიჯანში მცხოვრები სომხები სამხრეთ კავკასიაში გადმოსახლებულიყვნენ. სომხების გადმოსახლება რუსეთის ინტერესების სფეროშიც შედიოდა და ამ მიზნით შეიქმნა „გადმოსახლებულთა დამხმარე განსაკუთრებული კომიტეტი“. ამ კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ახლად წარმოქმნილი სომხეთის (ერევნის) ოლქის სამმართველოს

უფროსი, ცნობილი ქათველი პოეტი, გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ხოლო ყარაბაღის ყოფილ სახანოში სომხეთის დასახლების მოწყობა დაევალა ყარაბაღის სამხედრო-საოლქო სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ თავად აფხაზს. გადმოსახლებულები 6 წლის განმავლობაში თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან, ამასთან, გადმოსახლებულთა თითოეულ ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება 15-25 მანეთის ფარგლებში. კავკასიაში სომხები ასევე დიდი რაოდენობით გადმოსახლდნენ რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის დროს, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების თანახმად (1829 წლის 2(14) სექტემბერი) რუსეთმა შემოიერთა საქართველოს ისტორიული პროვინციის – სამცხე-საათაბაგოს 10 რაიონი: ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ქვაბლიანის, აბასთუმნის, ჭაჭარაქის, ფოცხოვისა და ჩილდრის რაიონები. ამასთან, ოსმალეთმა ცნო ქართლ-კახეთის, სამეგრელოს, გურიის, აგრეთვე ერევნისა და ნახიჩევანის სახანოების რუსეთის მიერ მიერთება.

რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აზერბაიჯანსა და, განსაკუთრებით საქართველოში, კერძოდ, მის ისტორიულ პროვინციაში – სამცხე-ჯავახეთში დიდძალი სომხობა გადმოსახლდა თურქეთიდან. ადრიანოპოლის ზავის შემდეგ რუსეთის ჯარის მიერ დაკავებული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი კვლავ ოსმალეთის მფლობელობაში დარჩა და სომხები მუსულმანებისაგან მკაცრ შურისძიებას ვერ ასცდებოდნენ. გენერალი პასკევიჩიც აღნიშნავდა იმის შესახებ, რომ არ უნდა დავუშვათ ოსმალებმა შური იძიონ სომხებზე იმ დახმარებისათვის, რაც მათ გაუწიეს რუსეთსო.

1829-1831 წლებში თურქეთიდან სამხრეთ კავკასიაში 14044 ოჯახი, ანუ დაახლოებით 84 ათასი კაცი გადმოსახლდა და მათი დიდი ნაწილი – 5 ათასი ოჯახი საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ახალციხესა და მის რაიონებში დასახლდა. თვით ქალაქ ახალციხეში 1832 წელს 12100 კაცი ცხოვრობდა – 1475 ადგილობრივი და 9625 ოსმალეთიდან გადმოსახლებული (9608 სომეხი და 17 ბერძენი). გადმოსახლებულნი 3,9-ჯერ აღემატებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ირანიდან და ოსმალეთიდან 1828-1830 წლებში გადმოსახლებული სომხების დიდი ნაწილი ერევნის (შემდეგში სომხეთის) ოლქში, მერმინდელ ერევნის გუბერნიაში დასახლდა, რომელიც თანამედროვე სომხეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა. 1832 წელს სომხეთის ოლქში ცხოვრობდა 82377 სომეხი (მათ შორის: 57226 გადმოსახლებული (35560

– ირანიდან და 21666 – ოსმალეთიდან). ოლქის მთელი მოსახლეობა კი 164450 კაცს შეადგენდა. სომხები უკვე სომხეთის ოლქის მთელი მოსახლეობის 50,1%-ს შეადგენდნენ, მაშინ, როდესაც 4 წლის წინათ ისინი აქ არ აღემატებოდნენ მთელი მოსახლეობის 15-18%-ს. 1832 წელს სომხეთის ოლქში მკვიდრი სომხების რაოდენობა 25151 კაცს უდრიდა, ხოლო მუსულმანების – 82073 კაცს. ამრიგად, მთლიანად მკვიდრ მოსახლეობაში (გადმოსახლებული სომხების გარეშე), სომხები მხოლოდ 23,4% იყვნენ. აღსანიშნავია, რომ 1828-1830 წლებში მუსულმანთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა (ისევე, როგორც საქართველოს ისტორიული პროვინციის – სამცხე-ჯავახეთის გამუსულმანებულმა ქართველობამ) რუსეთის ქვეშევრდომობას ირან-თურქეთში გადასახლება ამჯობინა. მუსულმანები 1828 წლამდე ერევნის ოლქში დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ამრიგად, ოლქის მოსახლეობის ეროვნულ და რელიგიურ შემადგენლობაში კარდინალური ცვლილებები მოხდა. საკუთრივ ქალაქ ერევანში 1832 წელს 11463 კაცი ცხოვრობდა – 7331 მუსულმანი და 4132 სომეხი (36%). თუ გადმოსახლებულ სომხებს არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ სომხები ქალაქის მოსახლეობის 24,4%-ს, ხოლო მუსულმანები – 75,6%-ს შეადგენდნენ.

შემდგომ წლებში სომხეთის ოლქის (1850 წლიდან ერევნის გუბერნიის) მოსახლეობა, როგორც ბუნებრივი მატების, ისე მიგრაციის შედეგად იზრდებოდა.

1886 წელს შედგენილი საოჯახო სიების მიხედვით, ერევნის გუბერნიაში უკვე ცხოვრობს 670 ათასი კაცი. სომხები შეადგენდნენ გუბერნიის მთელი მოსახლეობის 56%-ს, ხოლო აზერბაიჯანელები – 37,4%-ს. გუბერნიის დანარჩენი მოსახლეობა 6,6%-ია. მთლიანად სამხრეთ კავკასიაში (თბილისის, ქუთაისის, ერევნის, ელიზავეტპოლის, ბაქოს გუბერნიებსა და ყარსის ოლქში) 1886 წელს 936586 სომეხი ცხოვრობდა.

1897 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, რუსეთის იმპერიაში 1173 ათასი სომეხი ცხოვრობდა, მათ შორის, ქალაქებში – 23%. სომხების უმრავლესობა კავკასიაში ბინადრობდა (1118 ათასი კაცი) და შეადგენდა კავკასიის სახეზე მყოფი მოსახლეობის 12%-ს. ჩრდილოეთ კავკასიაში მათი რაოდენობა შედარებით მცირე იყო – 31 ათასი (მოსახლეობის 0,9%), სამხრეთ კავკასიაში ცხოვრობდა სომხების დანარჩენი ნაწილი – 1087 ათასი, ანუ სახეზე მყოფი მოსახლეობის 19,5%. სომხების 20% ქალაქის მოსახლეობას წარმოადგენდა. მათი ცენტრი იყო ერევნის გუბერნია, სადაც ცხოვრობდა 441 ათასი სომეხი (მოსახლეობის 53,2%). რუსეთის ევროპულ ნაწილში ცხოვრობდა 49 ათასი სომეხი და ისინი ძირ-

ითადად ქალაქებში ცხოვრობდნენ. 1897 წელს, სანკტ-პეტერბურგში 753, ხოლო მოსკოვში 1604 სომეხი აღირიცხა.[44]

მოტანილი მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ 1828-1830 და შემდგომ წლებში ირანის აზერბაიჯანიდან და ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები განურჩევლად სახლდებოდნენ კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში, აგრეთვე ძირითადად, რუსეთის ევროპული ნაწილის იმ ქალაქებში, სადაც მათ ადრეც ჰქონდათ შექმნილი სომხური დასახლებები.

მოსახლეობის პირველი საბჭოური აღწერის დროს დროს – 1926 წლის დეკემბერში სომხეთის მოსახლეობა 881 ათას კაცს შეადგენდა, სომხების რაოდენობა კი საბჭოთა კავშირში 1567,5 ათას კაცს უდრიდა. მათგან 743,6 ათასი, ანუ 47,5% ცხოვრობდა თავისი რესპუბლიკის ტერტორიაზე. ასეთი ტენდენცია შენარჩუნებულ იქნა მთელი XX საუკუნის განმავლობაში. საბჭოთა კავშირში მცხოვრები არც ერთი ტიტულოვანი ერი არ ცხოვრობდა ასეთი მცირე რაოდენობით საკუთარ ტერიტორიაზე. 1989 წელსაც საბჭოთა კავშირში მცხოვრები სომხების მხოლოდ 66,7% ცხოვრობდა სომხეთში, მაშინ როდესაც ქართველებში შესაბამისი მაჩვენებელი 95,1%-ს და აზერბაიჯანელებში 85,7%-ს უდრიდა. 1926 წელს სომხები დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ საქართველოში (307 ათასი), აზერბაიჯანსა (282 ათასი) და ჩრდილოეთ კავკასიაში (161 ათასი).

სომხეთის მოსახლეობის რაოდენობა XX საუკუნეში, კერძოდ 1926-2001 წლებში 881 ათასი კაციდან 3213 ათას კაცამდე გაიზარდა, ანუ 3,6-ჯერ, ხოლო საკუთრივ სომხებისა თავიანთ რესპუბლიკაში 744 ათასიდან 3145 ათასამდე – 4,2-ჯერ. სომხების ასეთი ზრდა, ბუნებრივი მატების მაღალ მაჩვენებელთან ერთად იმ გარემოებამაც განაპირობა რომ საბჭოთა პერიოდშიც უცხოეთში მცხოვრებმა 200 ათასზე მეტმა სომეხმა თავშესაფარი სომხეთში იპოვა. ამასთან, 1941-1945 წლების ომის შემდეგ ბევრი სომეხი უცხოეთიდან სომხეთში გადმოსახლდა. 1962-1973 წლებში სომხეთმა საზღვარგარეთიდან კიდევ 26100 სომეხი მიიღო.

სომხეთი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მხრივ მონოლითურობით გამოირჩევა. 2001 წლის აღწერის მონაცემებით იგი მონოეთნიკური რესპუბლიკა გახდა – სომხები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 97,9%-ს. თუ 1989 წელს სომხეთში სომხების გარდა, დანარჩენ ეროვნებათა რაოდენობა 221 ათას კაცს უდრიდა, 2001 წელს დანარჩენი ეროვნების რაოდენობა 68 ათას კაცს შეადგენდა ანუ სულ რაღაც 12 წლის განმავლობაში 3,3-ჯერ შემცირდა. მართალია, ცნობილი მოვლენების გამო, ასეთ ვითარებას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ გაცილებით

ნაკლებ მასშტაბებში. სომხეთში აზერბაიჯანელების შემცირება სწრაფი ტემპით დაიწყო 1979 წლიდან და ამჟამად იქ აზერბაიჯანელი აღარ ცხოვრობს. ამავე პერიოდში უაღრესად შემცირდა რუსების რაოდენობა – 70 ათასიდან 15 ათასამდე, აგრეთვე, ისედაც მცირე რაოდენობით მცხოვრები, უკრაინელების, ასირიელების, ბერძნებისა და ქართველების რაოდენობა.

მთელი XX საუკუნის განმავლობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ წლებს, მთლიანობაში სომხეთის რესპუბლიკისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი დონე, რაც განპირობებული იყო შობადობის მაღალი დონით და მოკვდაობის სისტემატური შემცირებით, აგრეთვე აშკარად გამოხატულია ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა.

1990-იან წლებში სომხეთში მეტად ინტენსიური გახდა გარეემიგრაციული პროცესები, განსაკუთრებით რუსეთში. ამასთან, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში მცხოვრები სომხების დიდმა ნაწილმაც რუსეთში დაიწყო გადასახლება. ამის შედეგად, თუ 1989 წელს რუსეთში ცხოვრობდა 532 ათასი სომეხი, 2002 წელს რუსეთში მცხოვრები სომხების რაოდენობამ 1130 ათასი კაცი შეადგინა. ამრიგად, ამ წელს მარტო რუსეთში ცხოვრობდა სომხეთის რესპუბლიკაში მცხოვრები სომხების მესამედზე მეტი – 36%.

ისტორიულად, სომხების მიგრაცია სომხეთიდან სხვადასხვა ქვეყნებში საკმაოდ ხშირად ხდებოდა დიდი სახელმწიფოების აგრესიის შედეგად. ყველაზე დიდი მასშტაბით სომეხთა გასახლება საკუთარი ტერიტორიებიდან 1915 წელს მოხდა სომხურ-თურქული კონფლიქტის დროს. ამ კონფლიქტს სხვადასხვა წყაროს მონაცემებით 1,5-2 მილიონი სომეხის სიცოცხლე შეეწირა, დაახლოებით ერთი მილიონი კი სხვადასხვა ქვეყანაში გადასახლდა. 300 ათასმა სომეხმა თავი რუსეთის იმპერიას, ძირითადად სამხრეთ კავკასიას შეაფარა.

სომეხთა გასახლებას საკუთარი ტერიტორიებიდან ათასი წლის ისტორია აქვს. ებრაელების მსგავსად, ისინი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არიან განსახლებული. ამიტომ, მათი რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა მეტად ძნელია. ვფიქრობ, დიდად არ შევცდებით თუ დავეთანხმებით სომეხ მეცნიერთა ნაწილის აზრს, რომ ამჟამად მსოფლიოში სომხების რაოდენობა დაახლოებით 7,5-8 მილიონს აღწევს.

გაეროს 2016 წლის მონაცემებით, სომხეთის მოსახლეობა 3 მილიონს შეადგენს. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კი 1,5 პრომილეა. სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში სომხური მოსახლეობის წილი 1926 წელს 15%-ს შეადგენდა, 1989 წელს – 21%-ს, ხოლო 2016 წელს – 18,2%-ს.

საქართველოს მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების პრობლემებს ჩვენ უკვე არაერთ თავში შევეხეთ. მათ მომავალშიც შევეხებით. ამდენად, ამ საკითხებზე მოცემულ თავში აღარ შევჩერდებით. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილი 1916 წელს 45,5% იყო, 1989 წელს – 34,3%, ხოლო 2016 წელს – 22,5%. ე.ი. სახეზეა საქართველოს მოსახლეობის წილის შემცირების აშკარად გამოხატული ტენდენცია. მთლიანად სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა 1926 წელს იყო 5,9 მილიონი, 1989 წელს – 16,8 მილიონი, ხოლო 2016 წელს – 16,6 მილიონი.

ახლა გადავიდეთ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის განხილვაზე.

8.7. ჩრდილო კავკასია

ჩრდილო კავკასია ეთნიკური სიჭრელით და მრავალფეროვნებით დედამიწის ყველა რეგიონისაგან გამოირჩევა. ჩრდილო კავკასიის ხალხები, რომლებიც აქ უძველესი დროიდან ბინადრობდნენ, შეადგენენ ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის მოსახლეობის ძირითად მასას. ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ქვის ხანის ძეგლები, კერძოდ, წინააშელური და ადრეაშელური პერიოდის ძეგლები არ არის აღმოჩენილი. უძველესი არქეოლოგიური ძეგლები მხოლოდ გვიანაშელის – 200-100 ათასი წლის წინანდელ პერიოდს მიეკუთვნება. მუსტიეს ეპოქაში შედარებით იხვეწება ქვის იარაღების კეთების ტექნიკა. ამ ეპოქის ადამიანის ადგილსამყოფელი შედარებით ფართოდაა წარმოდგენილი. ამ ეპოქაში უნდა მომხდარიყო ადამიანების თანდათანობით გადასვლა ბინადარ ცხოვრებაზე. ნადირობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შემგროვებლობითი მეურნეობის განვითარებას. მართალია, ზედა პალეოლითის ძეგლები მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი, მაგრამ სამაგიეროდ ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე მეზოლითური ხანის სადგომები ფართოდაა წარმოდგენილი, განსაკუთრებით დაღესტანში. ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში ისევ ნადირობა ასრულებს მთავარ როლს, მაგრამ იგი ბევრად უფრო განვითარებული ჩანს წინა პერიოდთან შედარებით. ამ ეპოქაში ნიადაგი მომზადდა მიწათმოქმედებისათვის.

ჩრდილო კავკასიაში ნეოლითის ეტაპი კარგად არის წარმოდგენილი დაღესტანში. ამ ეპოქის ნამოსახლარი აღმოჩენილია აგრეთვე ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ყაბარდო-ბალყარეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში. ამ პერიოდში

საცხოვრებლად გამოყენებული მიწურების კედლები ორმაგი, მჭიდრო წნულით არის ამოყვანილი, რომელშიც მიწა იყო ჩაყრილი. ადამიანებმა უკვე იციან თიხის ჭურჭლის კეთება, ქვის გახვრეტა, მოიშინაურეს გარეული ცხოველები, ე.ი. გარკვეული ზომით საფუძველი ჩაეყარა მესაქონლეობას. აღანიშნავია, რომ „კავკასიაში ენეოლითური ძეგლები ქმნიან თავისებურ წრეს, რომელშიც გარკვეულად ჩანს კავკასიური რეგიონის თავისებური კულტურა, რომელიც მთელ იმიერ და ამიერ კავკასიას მოიცავს. ჩანს, რომ ეს კულტურა სამხრეთიდან ჩრდილოეთში ვრცელდება“.[13]

ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის II ნახევარში ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში ვრცელდება მაიკოპის კულტურა, რომლის ბაზაზე იქმნება ბრინჯაოს კულტურა, რომელიც ცნობილია „ჩრდილო კავკასიური კულტურის“ სახელწოდებით. ეს კულტურა არსებობდა ძველი წელთაღრიცხვის 1700-1100 წლებში. მაიკოპის კულტურა წარმოდგენილია მრავალი გორასამარხებით, ზოგიერთ შემთხვევაში გამაგრებული ნამოსახლარებით. ჩნდება ქვის აკლდამები, გვხვდება სპილენძის ცულები, თოხები, დანები, სატეხები, სატევრები, შუბისპირები, მოხატული ჭურჭელი. მოსახლეობა უკვე მისდევდა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას. სამარხებიდან ჩანს, რომ ადგილი აქვს დიდ ქონებრივ უთანასწორობას. მაიკოპის კულტურის პერიოდში ნამოსახლარებში დაფიქსირებული ოთხკუთხა ქოხების წნული კედლები, თიხითაა შელესილი, იატაკი თიხითაა მოტკეპნილი.

ანტიკურ ხანაში ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზე ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მსხვილი ეთნიკური ერთეულები. საერთოდ ჩრდილო კავკასიაში მოსახლეობის გადაადგილებას ძალიან ხშირი ხასიათი ჰქონდა. სხვადასხვა ტომები ერთმანეთში ირეოდნენ, და ვერ ახერხებდნენ ერთიან მასად ჩამოყალიბებას.

კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი ეკავათ თანამედროვე ადიღე-ჩერქეზთა ტომებს. ანტიკური დროის ავტორები მათ მეოტების სახელწოდებით იცნობდნენ. ცენტრალურ ნაწილში ცხოვრობდნენ ვაინახების (ჩეჩნებისა და ინგუშების), ხოლო მათ აღმოსავლეთით – დაღესტნელების უშუალო წინაპრები.

ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე, უპირატესად სტეპებში, აბორიგენული მოსახლეობის გარდა, მკვიდრდებიან მოსული ირანულენოვანი ტომები. მათი ფართოდ გავრცელება ძველი წელთაღრიცხვის III-II საუკუნეებში დაკავშირებულია სარმატების შემოსვლასთან. ამ საუკუნეებში მათ აითვისეს ჩრდილო კავკასია, დაიპყრეს ბევრი ადგილობრივი ტომი. დიოდორე სიცილიელის ცნობით (ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნე) „სარმატებმა დამარცხებულების მოსპობით ქვეყნის უმეტესი ნაწილი უდაბნოდ აქციეს“.

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ჩრდილო კავკასიაში სარმატების ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანებიდან – აორსებისაგან დაწინაურდა ალანთა ტომი, რომელიც დღევანდელი ოსი ხალხის ერთ-ერთი უშუალო წინაპარია. ანტიკური ეპოქის ბოლოს ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ჩნდებიან თურქულენოვანი ჰუნების ტომები, რომლებიც თანამედროვე ყარაჩაი-ბალყარელებისა და ყუმიხების შორეული წინაპრები არიან. ამრიგად, ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიაში უკვე ცხოვრობენ თანამედროვე ჩრდილო კავკასიელი ხალხების უშუალო წინაპრები.

XIX საუკუნემდე ჩრდილო კავკასიელი ხალხების რაოდენობაზე რამდენადმე სანდო სტატისტიკური მონაცემები არ მოგვეპოვება. ადგილობრივ ფეოდალებს მოსახლეობის აღწერა არასოდეს ჩაუტარებიათ. ჩრდილო კავკასიის, ისე, როგორც სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ნორმალურ ზრდას აფერხებდა შინა ფეოდალური ბრძოლები და განსაკუთრებით, უცხოელი დამპყრობლების (მონღოლების, თემურ ლენგის და სხვ.) გამანადგურებელი შემოსევები, აგრეთვე ადამიანებით ვაჭრობა. ძირითადად XIX საუკუნეში, ჩრდილო კავკასიიაში გაბატონდა რუსეთის იმპერია, მაგრამ მათმა დამპყრობლურმა და კოლონიურმა პოლიტიკამ კიდევ უფრო შეაფერხა მოსახლეობის ბუნებრივი დემოლოგიური განვითარება. ამის გამო, ჩრდილოეთ კავკასიაში არა ერთი გამოსვლა მოხდა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ, რომლებსაც დიდი სისასტიკით ახშობდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კავკასიის მთის (დაღესტანი, ჩეჩნეთი) ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა 1834-1859 წლებში, რომელსაც მეთაურობდა შამილი. მან ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, შექმნა ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო – იმამატი (1841), მაგრამ საბოლოოდ შამილის წინაღმდეგობა რუსეთის ცარიზმის სამხედრო ძალამ უხეშად დაამარცხა.

8.8. ადიღეს მოსახლეობა

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე ეროვნული ავტონომიები არ არსებობდა. რევოლუციის შემდეგ, პირველ ხანებში ბევრი საბჭოთა რესპუბლიკა შეიქმნა, რომლებიც მალე ავტონომიურ რესპუბლიკებად და ოლქებად გადაკეთდა, ან გაუქმდა. 1918 წლის მარტში ტუაფსეში გამოცხადდა შავი ზღვის საბჭოთა რესპუბლიკა, ხოლო ამავე წლის აპრილში ეკატერინოგრადში (ახლანდელი კრასნოდარი) – ყუბანის

საბჭოთა რესპუბლიკა. ორივე რესპუბლიკა შევიდა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ამის შემდეგ, 1918 წლის მაისში ყუბანისა და შავი ზღვის რესპუბლიკები ერთიან რესპუბლიკად გაერთიანდნენ, რომლის შემადგენლობაში ადიღეელებით დასახლებული ტერიტორიაც შევიდა. 1920 წელს ადიღეური რაიონები დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოიყო და 1922 წლის 27 ივლისს ადიღეელებით დასახლებულ ტერიტორიაზე შეიქმნა ადიღეს ავტონომიური ოლქი კრასნოდარის მხარეში, რომელიც იმავე წლის 24 აგვისტოდან 1928 წლის 13 აგვისტომდე ადიღე-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქად იწოდებოდა. 1991 წლის ივლისში ადიღემ მიიღო რესპუბლიკის სტატუსი და შედის რუსეთის ფედერაციის ჩრდილო კავკასიის ეკონომიკური რაიონის შემადგენლობაში, ისე, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის დანარჩენი რესპუბლიკები.

ადიღეს რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილს ყუბანისპირეთის ვაკე უჭირავს, ხოლო სამხრეთ ნაწილს – დიდი კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია. მისი ფართობი 7,6 ათასი კვადრატული კილომეტრია და რუსეთის ფერედაციის ტერიტორიის მხოლოდ 0,04 %-ს უდრის.

ადიღეელები მონათესავე ყაბარდოელებსა და ჩერქეზებთან ერთად კავკასიის უძველეს მკვიდრთა ადიღეების შთამომავლები არიან. XIII-XIV საუკუნეებში ადიღეების ერთი ნაწილი მდინარე თერგის აუზში გადასახლდა, რომელიც ამჟამად ყაბარდოს ტერიტორიას წარმოადგენს. ადიღეების მეორე ნაწილი ყუბანსა და შავიზღვისპირეთში დარჩა, რომლებიც თანამედროვე ადიღეელების უშუალო წინაპრები არიან. ამ ჯგუფში XVIII-XIX საუკუნეებში მრავალი ტომი შედიოდა, კერძოდ, ბჟედუხები, აბაძახები, შაპსუღები, ბესლენელები და სხვა მცირერიცხოვანი ტომები. ამჟამად ტომობრივი დაყოფა აღარ არსებობს. 1830 წელს ადიღეების საერთო რაოდენობა 1082 ათას კაცს უდრიდა. მათ შორის, ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო შაპსუღთა ტომი – 300 ათასი. დასავლეთ ადიღეელების თვითსახელწოდება არის ადიღე, ისე, როგორც ჩერქეზებისა და ყაბარდოელებისა. *ამრიგად, ადიღეელები, ჩერქეზები და ყაბარდოელები ერთი მოდგმის ხალხია.*

XIX საუკუნის დასაწყისისათვის, ისე როგორც წინა საუკუნეებში, ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრი ეთნიკური ერთეულები არ წარმოადგენედნენ ერთიან ორგანიზმს, მით უმეტეს, ცალკეულ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებს. ამ ერთეულებმა ვერ მოახერხეს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული გაერთიანება, რაც მათ ხელს უშლიდა, დამდგარიყვნენ სახელმწიფოდ გაერთიანების გზაზე. ამიტომ XIX

საუკუნეში ადიღე-ჩერქეზეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილო ოსეთის, ჩეჩენ-ინგუშეთისა და დაღესტნის მოსახლეობის საკითხების განხილვის დროს ასეთი დაყოფა პირობითია. მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ეთნიკური ერთეულები ძირითადად ცხოვრობდნენ ყუბანის, თერგისა და დაღესტნის ოლქებში. ეს უკანასკნელი ოლქი XIX საუკუნეში სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში, როგორც მაშინ რუსეთში უწოდებდნენ – სამხრეთ კავკასიას) შედიოდა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ანუ ადიღე-ჩერქეზთა რაოდენობა, ავტორთა უმრავლესობის აზრით, 450-500 ათასი კაცის ფარგლებში მერყეობდა. მათ გარდა, აქ შედარებით მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ სომხები, ებრაელები, ნოღაელები, ბერძნები და ბოშები.

XIX საუკუნეში, როგორც კავკასიის შეერთების, ისე კავკასიის ომის მსვლელობის დროს მთელ ჩრდილო კავკასიაში რუსეთის იმპერიამ დიდი კოლონიზაცია განახორციელა. დაარსდა კაზაკთა მრავალი სოფელი (სტანიცა), რუს მოხელეებს მიწის დიდი ფართობები დაურიგდათ. კოლონიზაციამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი ყუბანის ოლქში მიიღო. ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიის ხალხები დიდი რაოდენობით გადასახლდნენ თურქეთში, განსაკუთრებით ადიღეელები, რომელთა ზოგიერთი ტომის წარმომადგენელი მშობლიურ მიწაზე თითქმის აღარ დარჩა. 1859-1865 წლებში ჩრდილო კავკასიიდან თურქეთში ასიათასობით კაცი გადასახლდა და მათი უმრავლესობა ადიღე-ჩერქეზები იყვნენ.

XIX საუკუნეში კავკასიის სტატისტიკური კომიტეტი დროდადრო აქვეყნებდა ცნობებს ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები მთიელებისა და სხვა მუსულმანი ხალხების რაოდენობის შესახებ. აქ მცხოვრები ეთნოსების უაღრესად დიდი სიჭრელისა და ინტენსიური მიგრაციული პროცესების გამო, ჩრდილო კავკასიის ეთნიკური შემადგენლობის ზუსტი განსაზღვრა მეტად ძნელია. არც ისე იშვიათად, მონაცემები, რომლებსაც სტატისტიკური სამსახურების მოხელეები იძლეოდნენ, არ გამოხატავს რეალურ სურათს და ურთიერთსაწინააღდეგოა. ასეთ შეუსაბამობას ჩრდილო კავკასიელი ხალხების რაოდენობის განსაზღვრის დროს მაშინაც გრძნობდნენ. ამ მხრივ საინტერესოა ყუბანის ოლქის მთიელებისა და სხვა მუსულმანი ხალხების რაოდენობის შესახებ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თაობაზე რედაქტორის მიერ გაკეთებული შემდეგი შენიშვნა: იმის

გამო, რომ თურქეთში გადასახლების შედეგად სწრაფად მცირდება ყუბანის ოლქში მცხოვრები ჩერქეზებისა და სხვა მუსულმანების რაოდენობა, განსაკუთრებული სიამოვნებით ვაქვეყნებთ ამ ხალხების რაოდენობის შესახებ ცნობებს, რომლებიც მოგვაწოდა ყუბანის საოლქო სტატისტიკური კომიტეტის ნამდვილმა წევრმა ესაულმა კ. ფელიცინმა. ეს ცნობები შეკრებილია 1883 წლის დეკემბერში და სიახლითა და სიზუსტით აღემატება სხვა ცნობებს. ამ ცნობების თანახმად, ყუბანის ოლქის მაიკოპის, ბატალფაშინსკისა და ეკატერინოგრადის მაზრებში 1883 წელს 56 423 ადიღეელი ცხოვრობდა. მათი ოჯახის საშუალო ზომა 6,3 კაცს უდრიდა. სულ სამივე მაზრაში 20471 კაცი ცხოვრობდა და ადიღეელები მთელი მოსახლეობის 62,4%-ს შეადგენდნენ.[44]

ჩრდილო კავკასიის მუსულმანი ხალხების თურქეთში გადასახლება 1870-1880-იან წლებშიც გრძელდებოდა, თუმცა შემცირებული მასშტაბით. კერძოდ, 1871-1884 წლებში ყუბანის ოლქიდან თურქეთში გადასახლდა 13 586 კაცი, მათ შორის 11 417 ადიღეელი. ისინი ამ პერიოდში თურქეთში გადასახლებულთა 84%-ს შეადგენდნენ.

ჩრდილო კავკასიის მუსულმანი ხალხების მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობდა თერგის ოლქში, კერძოდ, 1867 წელს – 185 569 ადამიანი. მათ შორის ყაბარდოელები (ადიღეები) 44 ათასს შეადგენდნენ, ანუ მოსახლეობის 15,4%-ს. 1865 წელს ყუბანის ოლქში 79,5 ათასი კაცი ცხოვრობდა და მათ შორის დაახლოებით 45 ათასამდე ჩერქეზი (ადიღეელი).

ადიღეების საერთო რაოდენობა მოსახლეობის 1897 წლის აღწერით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. როგორც აღწერის მასალებშია აღნიშნული, „ჩერქეზულ ტომებს შორის (შაპსუღები, ნატუხაიცები და სხვ), რომლებიც თავიათ თავს უწოდებენ ადიღეს, პირველი ადგილი რაოდენობის მხრივ ეკუთვნის ყაბარდოელებს – 98 561 კაცი. თერგის ოლქში მათი რიცხვი 84 093 კაცს უდრის და შეადგენენ ნალჩიკის მაზრის მოსახლეობის ორ მესამედს. ყუბანის ოლქში კი, მათი როდენობა 14 340 კაცს აღწევს. დანარჩენი ჩერქეზული ტომების საერთო რიცხოვნობა არ აღემატება 46 286 კაცს. ყაბარდოელების საპირისპიროდ, ამ ტომების მთავარი ნაწილი ბინადრობს ყუბანის ოლქის საზღვრებში“.[44]

ამრიგად, ადიღეების საერთო რაოდენობამ 1897 წელს 145 ათასს მიაღწია. ადიღეურ-ჩერქეზულ მოსახლეობას ვრცელი ტერიტორია ეკავა. ისინი ხშირად ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადადიოდნენ და იცვლებოდა ადიღეური ტომების საცხოვრებელი საზღვრებიც. XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ადიღეური ტომების ინტენსიური

კონსოლიდაციის შედეგად, ზოგიერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი საერთოდ გაქრა.

ადიღეს მოსახლეობის რაოდენობა XX საუკუნეში განუწყვეტლივ იზრდებოდა, განსაკუთრებით 1926-1939 წლებში, რაც განპირობებული იყო არა მარტო მოსახლეობის ბუნებრივი მატებით, არამედ ოლქის ტერიტორიული ცვლილებითაც. ჯერ კიდევ ავტონომიური ოლქების შექმნის პერიოდში, იძულებულნი იყვნენ, რამდენიმე მათგანის ადმინისტრაციული ცენტრი განეთავსებინათ ოლქის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, ადიღე-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქისა – კრასნოდარში, ჩრდილო ოსეთისა და ინგუშეთისა – ვლადიკავკაზში, ჩეჩნეთ-ინგუშეთისა – გროზნოში, ყარაჩაისა და ყაბარდოს ცალკეული რაიონული ცენტრები, შესაბამისად – კისლოვოდსკსა და პიატიგორსკში.

1928 წლიდან იწყება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ახალი ეტაპი, როდესაც ჩეჩნეთის ავტონომიურ ოლქს შეუერთდა გროზნო და გამოეყო სუნჟენის ოკრუგის ტერიტორია. 1931 წელს ბატალპაშინსკის რაიონის დიდი ნაწილი გაიყვეს ყარაჩაისა და ჩერქეზეთის ავტონომიებმა. ჩრდილო ოსეთსა და ინგუშეთს შორის ქალაქ ვლადიკავკაზისათვის (1831 წლიდან – ორჯონიკიძე) მეტოქეობა დამთავრდა 1933-1934 წლებში ქალაქის ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის გადაცემით და ინგუშეთის გაერთიანებით ჩეჩნეთთან და ა.შ. 1936 წელს ადიღეს ავტონომიურ ოლქს მიუერთეს გიაგინის რაიონი, მაიკოპის რაიონის ნაწილი, აგრეთვე თვით ქალაქი მაიკოპი, სადაც გადაიტანეს ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი.

ადიღეს (1926 წელს იწოდებოდა ადიღე-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქად) მოსახლეობა 1926-1938 წლებში 114 ათასიდან 242 ათასამდე გაიზარდა, ხოლო 1926-2002 წლებში 447 ათასამდე, ანუ 3,9-ჯერ. ამავე პერიოდში ადიღეელების რაოდენობა 51 ათასიდან 108 ათასამდე გაიზარდა, ე.ი. 2,1-ჯერ.

ადიღეს მოსახლეობის სწრაფი ზრდის მიზეზი 1926-1939 წლებში იყო აგრეთვე რუსების იმიგრაცია ოლქში და, როგორც უკვე უკვე აღვნიშნეთ, იმ ტერიტორიების ადიღესთან მიერთება, სადაც რუსები დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ. ამის გამო რუსების რაოდენობა ამ პერიოდში 5,7-ჯერ გაიზარდა. 1970-2002 წლებში ადიღეს მოსახლეობა და ადიღეელები ნელი ტემპით გაიზარდა – შესაბამისად 15,8 და 31,7%-ით. რუსები და ადიღეელები, ერთად აღებული, მთელი მოსახლეობის 8,6%-ს შეადგენდნენ. მესამე ადგილი მოსახლეობის რაოდენობით უკავიათ სომხებს – 3,4%. მათი რაოდენობა 1989-2002 წლებში 10 ათასიდან 15 ათასამდე გაიზარდა.

ადიღეს რესპუბლიკის დემოლოგიური განვითარების მაჩვენებლები დაბალია, რაც გამოწვეულია მთელ მოსახლეობაში რუსების უაღრესად მაღალი წილით (1979 წელს მთელ მოსახლეობაში – 71,7%, 2002 წელს – 64,4%). რუსებში კი შობადობის დონე გაცილებით დბალია, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში.

უკანასკნელ ხანს, ადიღეს რესპუბლიკაში მიმდინარეობს ხმაურიანი დებატები მისი შეერთების თაობაზე კრასნოდარის მხარესთან, რომლითაც გარშემოტყმულია ადიღეს ტერიტორია. ადიღეს განსაკუთრებული სტატუსის გაუქმების მომხრეები აღნიშნავენ, რომ იგი ხელოვნური წარმონაქმნია, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ ელიტისათვის. მათი მოწინაამდეგეების აზრით, ადიღეს გაუქმება ჩერქეზებს მოუსპობს უნიკალურ თავშესაფარს. ადიღეელები, ყაბარდოელები და ჩერქეზები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთო სახელწოდებით – „ჩერქეზები“ – ერთ-ერთი უმსხვილესი ეთნიკური ჯგუფია ჩრდილოეთ კავკასიაში.

ბუნებრივია, აღნიშნული საკითხის დასმა, უპირველეს ყოვლისა, დემოლოგიურმა ფაქტორმა გამოიწვია. ადიღეელები ამჟამად თავიანთ რესპუბლიკაში მოსახლეობის 24,2%-ს შეადგენენ, რუსები – 64,4%. 1926 წელს ეს მაჩვენებელი შესაბამისად 44,7 და 26,3%-ს უდრიდა. ამავე დროს, რუსების მასობრივ უკუდენას რესპუბლიკიდან ადგილი არა აქვს. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 1982–2002 წლებში რუსების რაოდენობა მთელი მოსახლეობის მხოლოდ 2%-ით შემცირდა. ეს უაღრესად დაბალი მაჩვენებელია ჩრდილო კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. რაც ყველაზე საგულისხმოა, ადიღეური ენა გაქრობის ზღვარზეა. გამოკითხვის მონაცემების თანახმად, აღიღეელების მხოლოდ 5-10%-ს შეუძლია თავისუფლად ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე. რუსეთის მოსახლეობის ბოლო, 2010 წლის აღწერის მონაცემებით, ადიღეში 439 996 ადამიანი ცხოვრობდა.

8.9. დაღესტანის მოსახლეობა

დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა 1921 წლის 20 იანვარს. იგი 1991 წელს გარდაიქმნა რესპუბლიკად, როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტი. დაღესტნის რესპუბლიკა მდებარეობს ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ტერიტორიისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ყველაზე მსხვილი რესპუბლიკაა ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებს შორის. მისი ტერიტორია 50,3

ათას კვადრატული კილომეტრია და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის 0,3%-ს, ხოლო ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიის 45%-ს შეადგენს. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით დაღესტნის რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის 1,8%, ხოლო ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის 38,8%-ია. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ 2002 წელს ჩრდილო კავკასიის (განმეორებით მივუთითებთ, რომ ჩრდილო კავკასიაში ჩვენ ვგულისხმობთ ჩრდილო კავკასიელი ხალხების – ადიღეელების, ყარაჩაელების, ჩერქეზების, ყაბარდოელების, ბალყარელების, ოსების, ჩეჩნების, ინგუშების და დაღესტნის ხალხების ეროვნულ რესპუბლიკებს) ტერიტორია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის 0,65%-ს ხოლო მოსახლეობის მიხედვით – 4,6%-ს შეადგენდა.

დაღესტანში ამჟამად დაახლოებით 30 ეთნოსი ცხოვრობს. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან ხუნძები (758 ათასი კაცი), დარგუელები (426 ათასი), ყუმუხები (366 ათასი), ლეზგები (337 ათასი), ლაკები (140 ათასი), თაბასარანელები (110 ათასი), ნოღაელები (38 ათასი), რუთულები (24 ათასი), აღულები (23 ათასი) და წახურები (8 ათასი). მათ გარდა დაღესტანში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები (112 ათასი), ჩეჩნები (88 ათასი), ხოლო დანარჩენი ეროვნების წარმომადგენლები 25 ათას კაცს უდრის. დაღესტნის ხალხები თავიანთი რესპუბლიკის უძველესი მოსახლეობაა. ადრე მათი რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, მაგრამ შემდეგ დაღესტნის მცირერიცხოვანი ხალხები უმეტესად ხუნძებსა და დარგუელებს მიაწერეს – მოხდა დაღესტნის ხალხების გამსხვილება.

XIX საუკუნის დამდეგს გიულისტანის საზავო ხელშეკრულებით, რომლითაც დასრულდა რუსეთ-ირანის 1804-1813 წლების ომი, ირანმა აღიარა დაღესტნის შესვლა რუსეთის შემადგენლობაში და ამდენად იურიდიულად გაფორმდა დაღესტნის შეერთება რუსეთთან. მანამდე, XVIII საუკუნის ბოლოს, დაღესტნის ტერიტორიაზე 10 შედარებით მსხვილი პოლიტიკური ერთეული და 60-მდე ე.წ „თავისუფალი საზოგადოება“ იყო. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის განხორციელებამ, რომელიც დაიწყო დაღესტანში მისი რუსეთთან შეერთების შემდეგ, გამოიწვია მთიელთა მძლავრი განმათავისუფლებელი ბრძოლა შამილის ხელმძღვანელობით, რომელიც 1859 წელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარცხით დამთავრდა. ამ ბრძოლაში დიდი იყო დაღესტნის დემოლოგიური დანაკარგი. 1860 წელს, რატომღაც ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის) მხარის შემადგნელობაში შეიქმნა დაღესტნის ოლქი. დაღესტნიდან XIX საუკუნეში შედარებით მცირე რაოდენობით გადასახლდა მოსახლეობა თურქეთში, მისგან სიშორის გამო.

დაღესტანში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები მთელი XX საუკუნე ხელსაყრელი იყო მოსახლეობის გამრავლებისათვის. 1926-2002 წლებში დაღესტნის მოსახლეობა 788 ათასიდან 2576 ათასამდე ანუ 3,3-ჯერ გაიზარდა, საკუთრივ დაღესტნის ხალხები კი, 546 ათასიდან 2230 ათასამდე, ანუ 4,1-ჯერ. დაღესტნის ხალხებიდან ყველაზე მეტად ხუნძების რაოდენობა გაიზარდა – 139 ათასიდან 758 ათასამდე (5,5-ჯერ). ეს გამოწვეული იყო არა მარტო ხუნძების მაღალი ბუნებრივი მატებით, არამედ იმ გარემოებითაც, რომ ხუნძებს მოსახლეობის აღწერის დროს მიაწერეს დაღესტნის მცირერიცხოვანი ხალხები.

დაღესტნის ხალხების შემდეგ რესპუბლიკაში ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ რუსები – 121 ათასი (მოსახლეობის 4,7%). აღსანიშნავია, რომ ისინი დაღესტნის მთელ მოსახლეობაში 20%-ზე მეტი არასოდეს ყოფილან, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებს შორის. დაღესტანში მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანელებისა და ჩეჩნების რაოდენობა. მათი მატების ტემპი 1926-2002 წლებში შესაბამისად 390% და 300%-ს უდრიდა.

რუსეთში 2010 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, დაღესტანში ცხოვრობდა დაახლოებით 2,9 მილიონი ადამიანი.

8.10. ყაბარდო-ბალყარეთის მოსახლეობა

1921 წელს შეიქმნა ყაბარდოს ავტონომიური ოლქი, ხოლო 1922 წელს ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ოლქი. 1936 წელს იგი გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად. 1944 წელს ბალყარების შუა აზიაში გადასახლების შედეგად მას ეწოდა ყაბარდოს ავტონომიური რესპუბლიკა. 1957 წელს ბალყარების ეროვნული ავტონომია აღდგა და ყაბარდოს ავტონომიური რესპუბლიკა ისევ ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა. 1991 წლის იანვარში მან რესპუბლიკის სტატუსი მიიღო.

რესპუბლიკა მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთი კალთის ცენტრალურ ნაწილში და ყაბარდოს ვაკეზე. მისი ტერიტორიის ფართობი 12 ათასი კვადრატული კილომეტრია და რუსეთის ფერედაციის ტერიტორიის 0,1 %-ს შეადგენს. ყაბარდო-ბალყარეთში მდებარეობს კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი იალბუზი – 5642 მ.

ცნობილია, რომ ადიღეების ნაწილმა XIII-XIV საუკუნეებში ყაბარდოელთა სახელწოდება მიიღო და ყაბარდო-ბალყარეთის თანამედროვე

ტერიტორიაზე დასახლდა. საერთოდ, ისტორიული წყაროები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან ჩეჩნეთ-ინგუშეთამდე არსებულ ტერიტორიას, ორ ნაწილად ყოფენ – დასავლეთ ჩერქეზეთად და ყაბარდოდ. რაც შეეხება ბალყარებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბალყარელი ხალხი ჩრდილო კავკასიელი და ალანების ტომების ბულგარებთან და ყივჩაღებთან შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ. ყაბარდოელები 1557 წელს შეუერთდნენ რუსეთს, ხოლო ბალყარელების რუსეთთან შეერთება 1827 წელს დამთავრდა.

XX საუკუნის განმავლობაში, კერძოდ, 1926-2002 წლებში ყაბარდო-ბალყარეთის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა – ამ პერიოდში იგი 4,4-ჯერ გაიზარდა, საკუთრივ ყაბარდოელები – 4,1-ჯერ, ხოლო ბალყარელები – 3,2-ჯერ. ამრიგად, მოსახლეობის დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლები – ზრდის ტემპები – საკმაოდ მაღალია. შესაბამისად მაღალია მატების ტემპიც. რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის მატების ტემპმა აღნიშნულ პერიოდში 342,0% შეადგინა, ყაბარდოელებისამ – 310,0%, ხოლო ბალყარელებისამ – 220,0%. მატების ტემპი განსაკუთრებით მაღალი იყო რუს მოსახლეობაში. ამავე პერიოდში რუსი მოსახლეობის აბსოლუტური მატება 212 ათასი კაცი იყო (15 ათასიდან გაიზარდა 227 ათასამდე), ხოლო მატების ტემპი – 14,12%. ამავე დროს ორჯერ შემცირდა უკრაინელების რაოდენობა (17 ათასიდან 8 ათასამდე), ხოლო ოსების რაოდენობა 2,5-ჯერ გაიზარდა (4 ათასიდან 10 ათასამდე).

XX საუკუნის ცალკეულ პერიოდებში მოსახლეობის ზრდის ტემპი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. საგულისხმოა, რომ ბალყარელების რაოდენობა 1939-1959 წლებში შემცირდა 7 ათასი კაცით, რაც გამოწვეული იყო 1941-1945 წლებში გერმანელებთან ომის შედეგებით და ბალყარელების დეპორტაციით შუა აზიის რესპუბლიკებში. 2002 წელს ყაბარდოელები შეადგენდნენ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 55,3%-ს, მაშინ როდესაც, 1926 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შესაბამისად 60%-ს და 16,1%-ს შეადგენდა. ასეთი ვითარება გამოიწვია რუსი მოსახლეობის ზრდამ, რომელიც ამჟამად, მიუხედავად 1989-2002 წლებში შემცირებისა, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 25,2%-ს შეადგენს.

აღნიშნული ეროვნებების გარდა, ყაბარდო-ბალყარეთში 2002 წელს შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ აგრეთვე თურქები (8770 კაცი), სომხები (5342), კორეელები (4722), ჩეჩნები (4241), თათრები (2851), გერმანელები (2525), ბოშები (2357), ქართველები (1731) და სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

რუსეთის 2010 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ყაბარდო-ბალყარეთის მოსახლეობის რაოდენობა 859 939 იყო.

8.11. ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობა

ყარაჩაი-ჩერქეზეთი შეიქმნა 1922 წლის 12 იანვარს, როგორც ადიღე-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი. 1926 წლის 26 აპრილს იგი ორ ნაწილად გაიყო: ყარაჩაის ავტონომიურ ოლქად და ჩერქეზეთის ნაციონალურ ოკრუგად. ეს უკანასკნელი 1928 წლის აპრილიდან ავტონომიურ ოლქად იწოდებოდა. 1913 წელს ყარაჩაის ავტონომიური ოლქი გაუქმდა. 1957 წელს სტავროპოლის შემადგენლობაში შეიქმნა გაერთიანებული ყარაჩაი-ჩერქეზეთის ოლქი, რომელმაც 1991 წლის ივლისში რესპუბლიკის სტატუსი მიიღო.

რესპუბლიკა მდებარეობს დიდი კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე, კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მისი ტერიტორია 14,1 ათასი კვადრატული კილომეტრია და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის 0,1%-ს შეადგენს. ყარაჩაელებისა და ჩერქეზების წინაპრები ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. ყარაჩაელები თურქულენოვან ეთნოსს ეკუთვნიან, ისე, როგორც მათი მონათესავე ბალყარელები. ფაქტობრივად, ისინი ერთი ხალხია, თუმცა მათ არა აქვთ საერთო ეროვნული თვითშეგნება, რაც მათი ტერიტორიული გათიშულობით არის განპირობებული. ყარაჩაელები და ბალყარელები იალბუზის მთების გარშემო ცხოვრეობენ და იალბუზის მთა მათ ერთმანეთისაგან გამოყოფს. ყარაჩაულ-ბალყარული ენა განეკუთვნება თურქულ ენათა ყივჩაღურ ჯგუფს.[44]

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ყარაჩაელთა განსახლების ადგილზე თავდაპირველად ირანული მოდგმის ალანები ცხოვრობდნენ. ისე, როგორც კავკასიის სხვა ხალხები, ისინი ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს – ხან მდინარე ყუბანის ხეობის სათავეში ბინადრობდნენ, ხან კი, ბაქსანის ხეობაში. ჩვენი აზრით, მეცნიერებაში გამოთქმული შეხედულებებიდან უფრო მეტად ის მოსაზრებაა გასაზიარებელი რომ მონღოლებამდე ყარაჩაელთა (ისე, როგორც ბალყარელთა) ეთნიკური ერთობა არ იყო ჩამოყალიბებული და ყარაჩაული ეთნოსის ჩამოყალიბება და წარმოქმნა მონღოლთა გამოჩენასა და ლაშქრობებს უკავშირდება. მონღოლთა ლაშქრობებმა გამოიწვია თურქულენოვანი ტომების ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში დამკვიდრება და ადგილო-

ბრივ ხალხთა შერევის შედეგად ახალი – ყარაჩაული ეთნოსის წარმოქმნა. საერთოდ, ყარაჩაელთა ეთნოგენესზში მონაწილეობდნენ ადგილობრივი კავკასიელი ხალხები და მოსული ირანულენოვანი და თურქულენოვანი ტომები. მიუხედავად იმისა, რომ ყარაჩაელები და ბალყარელები ფაქტობრივად ერთი ხალხია, საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი სხვადასხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში გააერთიანა და ამდენად, სხვადასხვა ხალხთან (ყარაჩაელები – ჩერქეზებთან და ბალყარელები – ყაბარდოელებთან). *კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ადიღე-ადიღეელები, ჩერქეზები და ყაბარდოელები ერთი მოდგმის ხალხია. ასევე, ერთი მოდგმის ხალხია ყარაჩაელები და ბალყარელები.*

ამდენად, თავის დროზე ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის შექმნა ეროვნული ნიშნის მიხედვით არ მომხდარა. უმთავრესად გაერთიანება მოხდა სოციალურ-ეკონომიკური ნიშნის საფუძველზე. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკაა. 1926 წელს ავტონომიის დაყოფა ხდება ეროვნული ნიშნის მიხედვით: ყარაჩაის ავტონომიური ოლქად, ჩერქეზეთის ნაციონალურ ოკრუგად და რუსულ ბატალფაშინის რაიონად. *როდესაც ეროვნული ავტონომიების შექმნას ძირითად საფუძვლად ედება სამეურნეო-ეკონომიკური არგუმენტები, მაშინ უკვე აზრს კარგავს ასეთი ავტონომიების შექმნა.* მიუხედავად ამისა, 1957 წელს ისევ მოხდა ყარაჩაელებისა და ჩერქეზების გაერთიანება და ავტონომიური ოლქი თავდაპირველი სახელწოდებით ხელახლა შეიქმნა.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობა XIX საუკუნის დასაწყისისათვის, არასრული ცნობებით, დაახლოებით ნახევარ მილიონ კაცს უდრიდა. ამ პერიოდში, ყარაჩაის შავი ჭირის ეპიდემია მოედო და მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიღუპა. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე თანდათანობით ფეხი მოიკიდა რუსულმა მოსახლეობამ და მათ აქ საკმაოდ დიდი სოფლები შექმნეს.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა 1857-1864 წლებში, თურქეთში გადასახლების შედეგად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს გადასახლება ყველაზე მეტად შეეხო ადიღე-ჩერქეზებს, მაგრამ ასევე დიდი რაოდენობით გადასახლდნენ თურქეთში ყარაჩაელები და ამ პერიოდში ყარაჩაი-ჩერქეზეთში მრავლად მცხოვრები ნოღაელები.

1897 წლის აღწერის თანახმად, ყარაჩაელთა რაოდენობა 27 223 კაცს უდრიდა და ისინი მდინარე ყუბანის ზემო ხეობასა და ყუბანის ოლქის ბატალფაშინის ოკრუგში ცხოვრობდნენ.

XX საუკუნეში ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის ცვლილება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურებები დაკავშირებულია ტერიტორიულ ცვლილებებსა და მიგრაციულ პროცესებთან, განსაკუთრებით 1926-1939 წლებში. ამ პერიოდში რუსების რაოდენობის 60-ჯერ გაზრდა სწორედ ამ ცვლილებებს უკავშირდება. ოლქში ძირითადად ბინადრობენ ყარაჩაელები და ჩერქეზები, აგეთვე აბაზები და ნოღაელები. აბაზები აფხაზების მონათესავე ხალხია. მათი წინაპრები სახლობდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. I ათასწლეულში აფხაზი ტომებისა და აბაზების შერწყმის პროცესი მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ მათი შერწყმა არ მოხდა. დღევანდელ ტეიტორიაზე აბაზები XIV საუკუნიდან ცხოვრობენ, თუმცა, ისინი ხშირად იცვლიდნენ განსახლების ადგილს და გამოკვეთილი განსახლების არეალი არ ჰქონიათ. კავკასიის ომის დამთავრების შედეგ აბაზების დიდი ნაწილი თურქეთში გადასახლდა – დაახლოებით 30 ათასი კაცი. მათი უმრავლესობა გადასახლებულ აფხაზებსა და ადიღეელებში გაითქვიფა. ამჟამად ისინი ყარაჩაი-ჩერქეზეთის გარდა, მცირე რაოდენობით ადიღესა და ყაბარდო-ბალყარეთშიც ცხოვრობენ.

ნოღაელები ჩრდილო კავკასიის თურქულენოვანი ხალხია და როგორც ეთნოსი, აქ მოსვლამდე ჩამოყალიბდა. ისინი ოქროს ურდოში შემავალი სხვადასხვა თურქული და მონღოლური ტომისა და ძირითადად თურქულენოვანი ყივჩაღების ნარევი ხალხის შთამომავალნი არიან. ნოღაელთა სახელწოდება მომდინარეობს ოქროს ურდოს მმართველ ნოღაის (XIII საუკუნე) სახელიდან. როგორც ჩანს, ნოღაელები ჩრდილო კავკასიაში XV საუკუნეში გამოჩნდნენ და მთელ ჩრდილო კავკასიაში, უმეტესად მომთაბარეობდნენ. XVIII საუკუნის ბოლოდან კავკასიის ომის დამთავრებამდე, ნოღაელები თურქეთში რამდენჯერმე გადასახლდნენ. სულ გადასახლებულთა რაოდენობას დაახლოებით 180 ათასით განსაზღვრავენ. ამჟამად ნოღაელები ყველაზე დიდი რაოდენობით დაღესტანში (38 ათასი) ცხოვრობენ.

1926-2002 წლებში ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობა 102 ათასი კაციდან 439 ათას კაცამდე, ანუ 4,3-ჯერ გაიზარდა, ხოლო ყარაჩაელებისა და ჩერქეზების რაოდენობა 69 ათასიდან 219 ათასამდე, ანუ 3,2-ჯერ. აღსანიშნავია, რომ ყარაჩაელები 3-ჯერ და მეტად ჭარბობენ ჩერქეზებს. რესპუბლიკაში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ რუსები. 1929-1989 წლებში ისინი რაოდენობრივად გაცილებით მეტნი იყვნენ, ვიდრე ყარაჩაელები და ჩერქეზები ერთად აღებულნი, ხოლო ცალკეულ წლებში მოსახლეობის ნახევარზე მეტსაც შეადგენდნენ.

2002 წელს რუსების რაოდენობა 1989 წელთან შედარებით 28 ათასი კაცით შემცირდა და მან 2148 ათასი კაცი შეადგინა (მოსახლეობის 33,7%). მიუხედავად ამ შემცირებისა, რუსები მაინც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთში – რესპუბლიკის ყოველი მესამე მცხოვრები რუსია. შედარებით ნელი ტემპით იზრდებოდნენ აბაზები და ნოღაელები, რომელთა რაოდენობა 2002 წელს შესაბამისად 32 ათასსა და 15 ათასს უდრიდა.

რუსეთის მოსახლეობის 2010 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ყარაჩაი-ჩერქეზეთში მოსახლეობის რაოდენობა 477 859 იყო.

8.12. ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მოსახლეობა

ჩეჩნეთ-ინგუშეთი 1921 წლის 20 იანვარს შევიდა მთიელთა ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1922 წლის 30 ნოემბერს შეიქმნა ჩეჩნეთის, ხოლო 1924 წლის 7 ივლისს – ინგუშეთის ავტონომიური ოლქები რუსეთის ფედერაციაში, რომლებიც 1934 წლის 15 იანვარს გაერთიანდნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ ოლქში. 1936 წლის 5 დეკემბერს, ავტონომიური ოლქი გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად. 1944 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა გააუქმეს, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაციის გამო შუა აზიასა და ყაზახეთში. 1957 წელს ისინი დააბრუნეს მშობლიურ ადგილებში და კვლავ აღდგა ეროვნული ავტონომია. აღსანიშნავია, რომ გადასახლებიდან დაბრუნებულ ინგუშებს, პრიგოროდნის რაიონი, სადაც ისინი დეპორტაციამდე ცხოვრობდნენ, მთლიანად დაკავებული დახვდათ ოსების მიერ, – იქ ხელისუფლებამ ოსები დაასახლა. ამასთან, ინგუშური ტოპონიმები შეცვალეს ოსურით, კერძოდ, პსხედახსკის, ნაზრანოვსკისა და აჩალუკსკის რაიონებს შესაბამისად ალანსკის, კოსტა-ხეთაგუროვსკისა და ნართოვსკის სახელები დაარქვეს. საერთოდ ანალოგიური შემთხვევების დროს, გადასახლებიდან დაბრუნებულ ჩრდილო კავკასიელ ხალხებს დაუბრუნეს თავიანთი მიწები და ქონება. საბჭოთა ხელისუფლებამ პრიგოროდნის რაიონი კი, ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკას დაუტოვა, რაც ინგუშებსა და ოსებს შორის სისხლისმღვრელი კონფლიქტის მიზეზი გახდა.

1992 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა ერთმანეთს გამოეყო და ორთავემ მიიღო რესპუბლიკის სტატუსი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ისინი ამჟამად რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენენ. 1992 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორია 19,3

ათას კვადრატულ კილომეტრს უდრიდა და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის 0,1%-ს შეადგენდა. ორთავე რესპუბლიკა მდებარეობს კავკასიონის ჩრდილო კალთებზე.

ჩეჩნები და ინგუშები კავკასიის ძველი ადგილობრივი მკვიდრი ხალხია. XV-XVI საუკუნეებში მათ დაიწყეს დაბლობში ჩამოსახლება, მდინარე თერგისა და მისი შენაკადების ველზე, თუმცა ჩეჩნები ჩრდილო კავკასიის ბარში ადრეც ცხოვრობდნენ და მათ მთებში შესახლებას ძირითადად მონღოლების შემოსევებს უკავშირებენ. ჩეჩნებისა და ინგუშების დასახლების არეალი ხშირად იცვლებოდა, ზოგჯერ მეზობელი ხალხების შევიწროვების შედეგად. ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების თანახმად, ქართლის მეფეს საურმაგს, ჩეჩნების დიდი ნაწილი თავისი ქვეყნიდან წამოუყვანია და ჩრდილო კავკასიის ვრცელ ტერიტორიაზე დაუსახლებია. ცნობილია, რომ ქართველები ჩეჩნებს ინგუშებთან ერთად „ქისტებს“ უწოდებდნენ, უფრო ადრე კი, ძურძუკნებს, ხოლო ქვეყანას – ძურძუკეთს. XI საუკუნის ქართველი მემატიანის ლეონტი მროველის მიხედვით, III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართლის მეფე საურმაგმა, იმის გამო, რომ ხალხი მეტად გამრავლებული იყო და „ვერღარა იტევდა ძურძუკეთი“, წამოიყვანა ძურძუკების მნიშვნელოვანი რაოდენობა და „დახსნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“. ამრიგად, საურმაგს ძურძუკები თითქმის მთელ ჩრდილო კავკასიაში დაუსახლებია.

როგორც ცნობილია, ჩრდილო კავკასიის ხალხები ხშირად იცვლიდნენ თავიანთ დასახლების არეალს და გამონაკლისი არც ჩეჩნები და ინგუშები იყვნენ. ზოგჯერ ეს, რა თქმა უნდა, ძალდატანებით ხდებოდა. მთებიდან დაბლობში ჩეჩნებისა და ინგუშების ჩამოსახლების შემდეგ, მათი საცხოვრებელი პირობები უმჯობესდება – მათ ბევრად უკეთესი პირობები შეექმნათ მეურნეობის ფართოდ განვითარებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის და მაშასადამე, მოსახლეობის გამრავლებისათვის. ჩეჩნებისა და ინგუშების რაოდენობა XIX საუკუნის დასაწყისისათვის დაახლოებით 218 ათას კაცს შეადგენდა.

ჩეჩნეთ-ინგუშეთი რუსეთის შემადგენლობაში ძირითადად XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან შევიდა. მიუხედავად ამისა, რუსეთი მათ მიმართაც კოლონიზატორულ პოლიტიკას ატარებდა. XIX საუკუნეში რუსეთის არმიამ ჩეჩნებისა და ინგუშების არა ერთი და ორი განმანთავისუფლებელი მოძრაობა ჩაახშო, მან ბევრი აული მიწასთან გაასწორა. 1834 წელს ჩეჩნეთისა და დაღესტანის ტერიტორიაზე შეიქმნა თეოკრატიული

ხელისუფლება – შამილის იმამატი, რომლის წინააღმდეგ რუსეთის არმიის ბრძოლას მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. 1841 წელს წლისათვის ჩეჩნეთის დაბლობის აულების უმეტესობა გადამწვარი იყო. ჩეჩნები და დაღესტნელები ამ ხანგრძლივ ბრძოლაში 1859 წელს დამარცხდნენ. მას შემდეგ თურქეთის იმპერიაში, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხთან ერთად, დაახლოებით 20 ათასი ჩეჩენი და ინგუში გადასახლდა. ყოველივე ამის შედეგად, ერთი საუკუნის განმავლობაში ჩეჩნებისა და ინგუშების რაოდენობა მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა და 1897 წელს ჩეჩნები 226,4 ათასს, ხოლო ინგუშები – 47,4 ათას კაცს შეადგენდნენ.

მოსახლეობის ბუნებრივი მატებით ჩეჩნები და ინგუშები განსაკუთრებით გამოირჩევიან ჩრდილო კავკასიაში, რაც XX საუკუნეში მათი რესპუბლიკების მოსახლეობის ზრდის მაღალ ტემპსაც განაპირობებდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1926-2002 წლებში ჩეჩნეთის მოსახლეობა 310 ათასიდან 1104 ათასამდე გაიზარდა, ანუ 3,6-ჯერ, ხოლო ინგუშეთისა – 75 ათასიდან 467 ათასამდე, ანუ 6,7-ჯერ. ამავე პერიოდში ჩეჩნების რაოდენობა 741 ათასით გაიზარდა და 1032 ათასი გახდა, ხოლო ინგუშებმა 291 ათასი კაცით მოიმატეს და მათი რაოდენობა 2002 წელს 361 ათასს უდრიდა. ინგუშების მატების ტემპმა 415,7% შეადგინა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობის 1926 წლის აღწერის დროს, ქალაქი გროზნო ცალკე ერთეულად იყო გამოყოფილი და შემდეგ გახდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის დედაქალაქი. იგი 1818 წელს, სუნჯის თავდაცვითი ხაზის აგების დროს გაშენდა, როგორც რუსეთის ციხე-სიმაგრე „გროზნაია“ და 1869 წლიდან ქალაქია. 1926 წელს გროზნოში 97 ათასი კაცი ცხოვრობდა და მოსახლეობის დიდ უმრავლესობას – 68 ათას კაცს (70,1%) რუსები შეადგენდნენ. ჩეჩნების რაოდენობა ამავე წელს გროზნოში 2 ათას კაცს უდრიდა (2,1%), ხოლო ინგუშები ქალაქში საერთოდ არ ცხოვრობდნენ.

ჩეჩნებისა და ინგუშების რაოდენობას თუ დინამიკაში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ 1939-1959 წლებში მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, კერძოდ, ინგუშებისა თითქმის განახევრდა. ასეთი ვითარება გამოიწვია 1941-1945 წლების ომმა, ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაციამ შუა აზიასა და ყაზახეთში, რასაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამასთან, როგორც ჩანს, მოსახლეობის 1959 წლის აღწერის დროს, გადასახლებიდან ადრინდელ საცხოვრებელ ადგილზე ჯერ კიდევ ყველა ჩეჩენი და ინგუში არ იყო დაბრუნებული.[44]

ჩეჩნეთსა და განსაკუთრებით ინგუშეთში მკვიდრი მოსახლეობის გარდა დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ, მხოლოდ რუსები, – 1959 წელს

ისინი ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს (49%) შეადგენდნენ. 1970 წლიდან მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება, განსაკუთრებით ჩეჩნეთში, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის შემდეგ. 2002 წელს ჩეჩნეთში 41 ათასი, ხოლო ინგუშეთში მხოლოდ 5 ათასი რუსი ცხოვრობდა და მათი რაოდენობა 1970 წელთან შედარებით 321 ათასით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ რუსები არც აბსოლუტური და არც შეფარდებითი მაჩვენებლების მიხედვით ასეთი მცირე რაოდენობით ჩრდილო კავკასიის არცერთ რესპუბლიკაში არ ცხოვრობენ, თუმცა ყველგან შესამჩნევად იკლებს მათი რაოდენობა. ამრიგად, რუსეთი ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებში თანდათანობით კარგავს თავისი გავლენის შენარჩუნების მნიშვნელოვან დემოლოგიურ ფაქტორს, რისთვისაც ეროვნული ავტონომიების შექმნის დროს საკმაოდ იზრუნა.

2010 წლის რუსეთის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ჩეჩნეთში 1 მილიონ 268 989 ათასი, ხოლო ინგუშეთში – 412 529 ადამიანი ცხოვრობდა.

8.13. ჩრდილო ოსეთის – ალანიას რესპუბლიკის მოსახლეობა

ჩრდილო ოსეთი – ალანიას რესპუბლიკა, მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე. მისი ტერიტორია 8 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის 0,05%-ს უდრის.

1921 წელს რუსეთის ფედერაციაში ყოფილი თერგის ოლქისა და ყუბანის ნაწილის (ყარაჩაი) ტერიტორიაზე შეიქმნა მთიელთა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელმაც სამი წელი იარსებბა. რესპუბლიკის დედაქალაქი იყო ვლადიკავკაზი. მის შემადგენლობაში 1921 წელს შეიქმნა ოსეთის ოკრუგი ყოველგვარი თავსართის „ჩრდილოეთის“ გარეშე. ჩრდილო ოსეთის ავტონომიის შექმნამდე რუსულ და უცხოურ ენციკლოპედიებში, ოსეთის ტერიტორია აღნიშნული იყო არა ჩრდილო ოსეთის, არამედ ოსეთის სახელწოდებით, ხოლო ოსების შესახებ მითითებული იყო, რომ ისინი ცხოვრობდნენ აგრეთვე საქართველოში. მთიელთა ავტონომიურ რესპუბლიკას, 1921 წლიდან თანდათანობით გამოეყო ყაბარდოს, ყარაჩაის, ჩეჩნეთის, ბალყარეთის ოლქები, რომლებიც გარდაიქმნენ რუსეთის ფედერაციის ავტონომიურ ოლქებად. 1924 წლის 7 ივლისს, მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკა გაუქმდა და მის ტერიტორიაზე შეიქმნა ინგუშეთის ავტონომიური ოლქი და ოსეთის ნაცვლად

ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქი, რამდენადაც საქართველოში, მართალია, არაკანონ-ნიერად, მაგრამ უკვე არსებობდა ასეთივე ოლქი სამხრეთ ოსეთის სახელწოდებით. ამით უკვე იმის გაცხადებაც ხდებოდა, რომ თითქოს არსებობდა ორი ოსეთი – ერთი ჩრდილო კავკასიაში (ჩრდილო ოსეთის სახით), ხოლო მეორე საქართველოში (სამხრეთ ოსეთის სახით). ვლადიკავკაზი დამოუკიდებელ ერთეულად გამოიყო და დაექვემდებარა რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ვლადიკავკაზი ამ ქალაქს 1860-1931 წლებში ერქვა, 1931 წლიდან 1944 წლამდე – ორჯონიკიძე, ხოლო 1944-1955 წლებში – ძაუჯიკაუ.

1936 წელს ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქი ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა. 1991 წლის დეკემბერში ოსეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ მიიღო რესპუბლიკის სტატუსი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სხვადასხვა ენციკლოპედიის მიხედვით, ოსი ხალხის ჩამოყალიბება ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეებიდან დაიწყო, როცა კავკასიაში გამოჩნდა სკვითურ-სარმატული-ალანური ტომები, რომლებიც შეერივნენ კავკასიის აბორიგენულ მოსახლეობას და მოახდინეს მათი ენობრივი ასიმილაცია.

რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, რუსეთის იმპერიაში 171 716 ოსი ცხოვრობდა. აქედან თერგის ოლქში (ძირითადად თანამედროვე ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე) – 96 621, ხოლო საქართველოში – 71 508 კაცი. ამ მონაცემების მიხედვით, ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ თითქოს ოსები საქართველოში, ისე, როგორც ჩრდილო კავკასიაში, უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. მაგრამ თუ მონაცემებს დინამიკაში განვიხილავთ, სულ სხვაგვარი სურათი წარმოჩნდება.

ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის მიხედვით 1860 წელს ჩრდილო კავკასიაში (თანამედროვე ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე) 46 802 ოსი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში – 19 324 ოსი. ასე რომ, ამ პერიოდში თანამედროვე ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე 2,5-ჯერ მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე საქართველოში. 1880 წელს კავკასიის სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით, ჩრდილოეთ ოსეთში 58926 ოსი, ხოლო საქართველოში უკვე 51988 ოსი ცხოვრობდა. ე.ი. საქართველოში მათი რაოდენობა 20 წელიწადში 23 ათასით, ე.ი. 2,7-ჯერ გაიზარდა. ამავე ენციკლოპედიის მიხედვით, 1833 წლის მონაცემებით რუსეთის იმპერიაში 37 750 ოსი ცხოვრობდა და თუ ზემოთ აღნიშნულ პროპორციას მივიღებთ

მხედველობაში, მაშინ 1833 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 14 ათასს უდრიდა. ამავე პერიოდში, სხვა წყაროს მონაცემების თანახმადაც, საქართველოში 14 ათასი ოსი ცხოვრობდა. საკითხში საბოლოოდ სიცხადის შეტანის მიზნით მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან XIX საუკუნის 20-იან წლებამდე თანამედროვე ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა, რომელმაც დიდად შეამცირა ოსების რაოდენობა, კერძოდ, 200 ათასიდან 20 ათასამდე 1831 წლისათვის. ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ XVIII საუკუნის 80-იან წლებში, თანამედროვე ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე 20-ჯერ მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე საქართველოში. უამრავი ქართული წერილობითი წყაროს, ცნობილი რუსი, უცხოელი და თვით ოსი მეცნიერების ნაშრომთა მიხედვით, ოსები ჩრდილო კავკასიიდან, უაღრესად მძიმე ეკონომიური პირობებისა და ყაბარდოელების მიერ შევიწროების გამო, საქართველოში, კერძოდ, მის ისტორიულ კუთხეში – ქართლის მთიანეთში XVII საუკუნიდან იწყებენ გადმოსახლებას. ამასვე ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემები, ენობრივი მასალა, ოსური ფოლკლორი, შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ძეგლები, ეპიგრაფიკა და ტოპონიმები.

XIX საუკუნეში ჩრდილო კავკასიაში ოსების რაოდენობის შემცირება გარკვეულწილად ოსების თურქეთში გადასახლებამაც გამოიწვია. კავკასიის სხვა მთიელებთან შედარებით, ოსები მცირე რაოდენობით გადასახლდნენ თურქეთში. ეს იმით აიხსნება, რომ ოსები ძირითადად ქრისტიანები იყვნენ, თურქეთიდან შედარებით შორს ცხოვრობდნენ და რუსების წინააღმდეგ არც კავკასიის ომში მიუღიათ მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, გადასახლების ყველაზე დიდი ტალღის დროს, 1859-1865 წლებში, ჩრდილო კავკასიიდან თურქეთში 3 ათასი ოსი გადასახლდა.

ჩრდილო ოსეთის მოსახლეობა მე-20 საუკუნეში, კერძოდ, 1926-2002 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა –_ 152 ათასიდან 710 ათას კაცამდე, ანუ 4,7-ჯერ. თავად ოსების რაოდენობა 128 ათასიდან 445 ათასამდე გაიზარდა ანუ 3,5-ჯერ. მთელი მოსახლეობის მატების ტემპის (350%) უფრო მაღალი დონე, ოსების მატების ტემპთან (250%) შედარებით, გამოიწვია რუსების რაოდენობის სწრაფმა ზრდამ. აღნიშნულ პერიოდში რუსების რაოდენობა 10 ათასიდან 165 ათასამდე ანუ 16,5-ჯერ გაიზარდა (მატების ტემპი 155 %). ცალკეულ პერიოდებში, როგორც მოსახლეობის მთელი რაოდენობის, ასევე ეროვნებების მიხედვით ყველაზე მეტი ზრდა 1926-1939 წლებში აღინიშნა. გარკვეულწილად, ასეთი ვითარება იმ გარემოებამაც

გამოიწვია, რომ ქალაქი ვლადიკავკაზი, 1926 წლის მოსახლეობის აღწერის დროს ჩრდილო ოსეთში არ შედიოდა და იგი, როგორც აღვნიშნეთ, ცალკე ერთეულად იყო გამოყოფილი და მხოლოდ შემდეგ გახდა ჩრდილო ოსეთის დედაქალაქი. 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ვლადიკავკაზის მოსახლეობა 78 ათას კაცს შეადგენდა. აქედან რუსები 40 ათასს, ოსები 11 ათასს, სომხები 6,5 ათასს, ქართველები 5 ათასს, ინგუშები 1,5 ათასს ხოლო დანარჩენი მოსახლეობა 14 ათასს კაცს უდრიდა. ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში რუსების ზრდა, ერთის მხრივ, ჩრდილო ოსეთში რუსების გადმოსახლებამ, ხოლო მეორეს მხრივ, ჩრდილო ოსეთისათვის რუსებით დასახლებული ადგილების მიერთებამ გამოიწვია.

ჩრდილო ოსეთის – ალანიას მოსახლეობა შესამჩნევად გაიზარდა 1989-2002 წლებში – 633 ათასიდან 710 ათასამდე. კიდევ უფრო შესამჩნევად გაიზარდა ოსების რაოდენობა _ 335 ათასიდან 445 ათასამდე, რაც გამოიწვია „სამხრეთ ოსეთში“ მომხდარმა კონფლიქტმა – ოსების გარკვეული რაოდენობა საქართველოდან ჩრდილო ოსეთში გადასახლდა. ამავე პერიოდში შესამჩნევად შემცირდა ინგუშების რაოდენობა (33 ათასიდან 21 ათასამდე) ოსებსა და ინგუშებს შორის კონფლიქტის გამო, ოდნავ გაიზარდა სომხებისა (14 ათასიდან 17 ათასამდე) და ყუმუხების რაოდენობა (10 ათასიდან 13 ათასამდე), ქართველების რაოდენობა კი, 1 ათასი კაცით შემცირდა და 11 ათასი კაცი შეადგინა.

ჩრდილო ოსეთის – ალანიას რესპუბლიკაში 2002 წელს ცხოვრობდნენ აგრეთვე უკრაინელები (5 ათასი), ჩეჩნები (3,4 ათასი), ყაბარდოელები (3 ათასი), თურქები (2,8 ათასი), აზერბაიჯანელები (2,4 ათასი), ბერძნები (2,3 ათასი), თათრები (2,1 ათასი), კორეელები (1,8 ათასი), ბოშები (1,5 ათასი) და მცირე რაოდენობით 100-ზე მეტი სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

რუსეთის მოსახლეობის 2010 წლის აღწერის მონაცემებით, ჩრდილოეთ ოსეთში 712980 ადამიანი ცხოვრობდა.

თავი IX. მსოფლიოს მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების ტენდენციები

ნებისმიერი რეგიონის, ცალკეული ქვეყნის დემოლოგიური პროცესების განხილვა შეუძლებელია მსოფლიოში მიმდინარე დემოლოგიური პროცესების განხილვისა და ანალიზის გარეშე. მხოლოდ მსოფლიოს მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების ტენდენციების გაანალიზების და შეფასების ფონზე შეიძლება ქვეყნებში, რეგიონებში, კონტინენტებზე მიმდინარე დემოლოგიური პროცესების სრულყოფილი განხილვა და შეფასება, სათანადო პროგნოზის გაკეთება. ყოველივე ამის გარეშე, შეუძლებელია ცალკეული ქვეყნის მიერ სათანადო დემოლოგიური პოლიტიკის შემუშავება და გატარება. ასევეა პირიქითაც: შეუძლებელია სრულყოფილი დასკვნების გაკეთება მსოფლიოს მოსახლეობის განვითარების შესახებ, თუ არ გაანალიზდება ცალკეული ქვეყნის, რეგიონის კონტინენტის მოსახლეობაში მიმდინარე პროცესები და მოვლენები, არ გავითვალისწინებთ მათ სპეციფიკას და თავისებურებებს.

ამიტომ, ამ თავში შევეცდებით შედარებით მოკლედ, ზოგადად მაინც განვიხილოთ მსოფლიოს მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების ზოგიერთი ტენდენცია.

დავიწყოთ იმით, რომ განვიხილოთ

9.1. მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი დინამიკა უძველესი დროიდან დღემდე

გასული ათასწლეულის დასაწყისში, ევროპული კონტინენტის მოსახლეობა, ატლანტიკიდან ურალამდე, ითვლიდა სულ რამდენიმე ათეულ მილიონ ადამიანს: სადღაც 30-სა და 50 მილიონს შორის. ეს რა თქმა უნდა ძალიან მცირე რაოდენობაა, მითუმეტეს, დასახლებისა და მოსავლისათვის ვარგისი 10 მილიონი კვადრატული კილომეტრისათვის. ე.ი. 1 კმ^2-ზე მოდიოდა 5 ადამიანი. ათასი წლის განმავლობაში მოსახლეობა თითქმის გაათმაგდა, ზოგან კი გაოცმაგდა და მან თითქმის სრულად აითვისა, მთლიანად დაფარა მთელი სივრცე. შეიქმნა განსახლებების მჭიდრო სისტემა, ასევე შეიქმნა ქალაქების განვითარებული სისტემა.

რა თქმა უნდა, ეს დიდი გარდაქმნები დროში თანაბრად არ ხდებოდა. ერთმანეთს ცვლიდა ზრდისა და უძრაობის პერიოდები. თან, ეს

ზრდა ხდებოდა სულ უფრო მზარდი, მრავალრიცხოვანი ომებისა და ეპიდემიების ფონზე.

რით აიხსნება ეს ზრდა? ალბათ იმითაც, რომ რესურსების მუდმივი რაოდენობა და მისი მკაცრი განაწილება იწვევს სოფლის მოსახლეობის რაოდენობის მუდმივობას. ხოლო ახალი რესურსების შექმნა წარმოების განვითარების ან ახალი მიწების ათვისების ხარჯზე ხელს უწყობს მოსახლეობის სწრაფ მატებას. ე.ი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსახლეობის მატებას ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარება, ახალი ტექნოლოგიური ძვრები და რევოლუციები. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ცხოვრების ახალი ძვრების, საზოგადოებრივი ურთიერთობების კიდევ უფრო ახალი ფორმების შემოღებას განაპირობებს. ეს კი, უკვე ახლებურად მოქმედებს, ახლებურ კვალს ამჩნევს მოსახლეობის გამრავლებას. რა თქმა უნდა, ეპიდემიები და გარემოზე ჭარბი დაწოლა იწვევს დემოლოგიურ კრიზისებს, მაგრამ ზემოთ მოყვანილი გარემოებები, მაინც უფრო დიდ კვალს ამჩნევს მოსახლეობის გამრავლების პროცესს.

როდესაც მსჯელობენ გამრავლების პრობლემებზე, გლობალურად იხილავენ ორ დებულებას. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ, როგორც ადგენენ, მოსახლეობის, ადამიანის ბუნებრივ-ბიოლოგიურ თვისებებთან დაკავშირებული მოსახლეობის მატების რეალური ან პოტენციური შესაძლებლობა, არის უცვლელი და არ ვარირებს სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა ჯგუფში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბიოლოგიურად განსაზღვრული გამრავლების პოტენციური შესაძლებობა არის მუდმივი სიდიდე. იცვლება მხოლოდ მისი კონკრეტული გამოვლინება (შობადობა, მოკვდაობა), რომლებიც დაკავშირებულია გარემოსთან, ცხოვრების პირობებთან და საზოგადოებრივ მოწყობასთან. და აქედან გამომდინარეობს სწორედ მეორე დებულება:

სრულიად შესაძლებელია, რომ მოსახლეობის ისტორიაში ჩვენ გვხვდება ისეთი ჯგუფები, რომელთათვისაც დამახასიათებელია ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ზრდა და პირიქით, გვხვდება ისეთი ჯგუფებიც, რომელთათვისაც დამახასიათებელია დროის იგივე ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში, ისეთივე მნიშვნელოვანი შემცირება. ხოლო ამ ორ უკიდურესობას შორის, იქნება შუალედური შემთხვევების მთელი გამა. სწორედ ეს უკანასკნელი არის მეორე დებულება, რომელზედაც ვსაუბრობდით.[6]

ე.ი. რა გამოდის – ერთი და იგივე წინაპირობას, კერძოდ, ადამიანის ბუნებრივ-ბიოლოგიურ თვისებებს – მივყავართ სავსებით განსხვავებულ

შედეგებთან. ერთ შემთხვევაში გვაქვს მნიშვნელოვანი ზრდა, ხოლო მეორე შემთხვევაში – მნიშვნელოვანი კლება. ამას ძალიან ბევრი მიზეზი განაპირობებს და ჩვენ ამ მიზეზების განხილვას მომავალში შევუდგებით. ეს აღვნიშნეთ იმიტომ, რომ გვეჩვენებინა, თუ რამდენად რთულია დემოლოგიური პროცესები და რაოდენ რთული და მრავალმხრივია ის ფაქტორები, რომლებიც მათ განაპირობებს. ახლა მხოლოდ მოკლედ ვთქვათ იმ ტენდენციების შესახებ, რომლებიც ახასიათებს ევროპის მოსახლეობის ცვლილებას.

მოსახლეობის ძლიერი მატება ევროპაში იყო ათასწლეულის დასაწყისიდან მე-13 საუკუნის ჩათვლით. ამას მოწმობს ახალი მიწების ათვისება, მასობრივი ჩასახლებები ელბასა და ოდერისაგან აღმოსავლეთით, ახალი სოფლებისა და ქალაქების, მათი ფართობების ზრდა.

მრავალი მეცნიერი ამტკიცებს, რომ მე-13 საუკუნის ბოლოდან, მოსახლეობის ზრდა ნელდება და ამის მიზეზად მიაჩნიათ ის, რომ დაეცა ახლად ათვისებული მიწების მოსავლიანობა, გახშირდა სასურსათო კრიზისები. ამას დაერთო ეპიდემიების ტალღები. ეპიდემიებმა მხოლოდ მე-15 საუკუნეში დაიწყო შემცირება (თუმც ის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ინგლისში მე-17 საუკუნემდეც კი გაგრძელდა).

ევროპის მოსახლეობამ იკლო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო. ეს გახლდათ ამერიკის აღმოჩენა. სწორედ ამის შემდეგ იწყებს მოსახლეობის რაოდენობა შემცირებას, ისეთი ახალი მოვლენის გამო, როგორიც არის ემიგრაცია.

შემდეგ რა ხდება – ემიგრაციის ტალღა კლებულობს, თითქოს, ვინც წასასვლელი იყო – წავიდა. იწყება ინდუსტრიალიზაციის პროცესი. ეს გზას ხსნის ენერგიის ახალი წყაროებისკენ, იზრდება რესურსების წარმოება. იხსნება დიდი გზები დასავლეთისკენ, ამერიკაში და ასევე აღმოსავლეთში ურალისკენ და მის იქეთაც. ეს იწვევს ერთი მხრივ ადამიანების რესურსების გადინებას, მაგრამ მეორე მხრივ, გაცილებით დიდი ძალით იწვევს მატერიალური რესურსების შემოდინებას.[6]

მეცნიერები ზუსტად აღწერენ ახალი დასახლებების შექმნის მისამართებსაც. ამასაც რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენ ამ მნიშვნელოვან თემას არ შევეხებით.

უნდა ვთქვათ მხოლოდ ის, რომ აღნიშნულ ათასწლეულს ყოფენ დემოლოგიური განვითარების სამ ძირითად პერიოდად. პირველი, 1000-1400 წლები – ჭირის, ეპიდემიების ჩაქრობის პერიოდამდე; მეორე, 1400-1700 წლები – მე-17 საუკუნის ბოლომდე; მესამე, 1700 წლიდან –

დღევანდელ დღემდე. ამ პერიოდებში გამრავლების ტემპი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. პირველი (1000-1400 წლები) და მეორე (1400-1700 წლები) პერიოდების დროს მოსახლეობა გაიზარდა სულ ორჯერ (არც კი), ხოლო მესამე პერიოდში (1700-2000 წლები) მოსახლეობის რაოდენობა თითქმის 6-ჯერ გაიზარდა.

კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ეს ცვლილებები, ამ 10 საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა იყო.

მაგალითად, ინგლისში – 1550 წელს 3 მილიონი მოსახლე იყო, ხოლო 1900 წელს ის 30 მილიონი (ე.ი. 10-ჯერ მეტი) გახდა. 2016 წლის გაეროს მონაცემებით, გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობა 65,1 მილიონია. ე.ი. გაიზარდა 21-ჯერ.

საფრანგეთში – 1550 წელს იყო 19,5 მილიონი, 1900 წელს – 40 მილიონი (ე.ი. გაიზარდა 2-ჯერ), 2016 წლის მონაცემებით – 64,7 მილიონია (ე.ი. გაიზარდა დაახლოებით 3-ჯერ).

იტალიაში – 1500 წელს იყო 9 მილიონი, 1900 წელს – 33 მილიონი, 2016 წელს – 59,8 მილიონია (ე.ი. გაიზარდა თითქმის 7-ჯერ).

რუსეთში – 1700 წელს იყო 16 მილიონი, 1900 წელს – 109,7 მილიონი, 2016 წელს – 143,4 მილიონია (ე.ი. გაიზარდა თითქმის 9-ჯერ).

მთლიანად ევროპაში – 84 მილიონი, ხოლო 1900 წელს – 425 მილიონი (ე.ი. გაიზარდა დაახლოებით 5-ჯერ).

როგორც ადრე აღვნიშნეთ, გაეროს მონაცემებით, ახალ მილენიუმში მსოფლიო 6,2 მილიარდი ადამიანით შევიდა, ხოლო უკვე 2016 წელს, გაეროს მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობამ 7,42 მილიარდს გადააჭარბა. არაპირდაპირი გაანგარიშებებით, დემოლოგები ვარაუდობენ, რომ 1 მილიონი წლის წინ პლანეტაზე იყო დაახლოებით 125 ათასი ადამიანი, 300 ათასი წლის წინ – 1 მილიონი. ე.ი. იმ დროს მოსახლეობა ათას წელიწადში დაახლოებით 12 ათასი კაცით იზრდებოდა, ე.ი. წელიწადში 1,25 ადამიანით. 10 ათასი წლის წინ 5 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა.

ახლა ზოგადად შევეხოთ აზიის მოსახლეობასაც. კერძოდ, ე.წ. აღმოსავლეთის ქვეყნებს. თუნდა, მხოლოდ XX საუკუნეზე შევჩერდეთ.

გაეროს მონაცემებით, 1950-იანი წლების დასაწყისში ევროპაში დაახლოებით 1,6-ჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობდა, ვიდრე აღმოსავლეთში. სულ რაღაც 50 წელიწადში კი ეს თანაფარდობა მკვეთრად შეიცვალა: 2000 წელს, ახლა უკვე ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობდა 1,6-ჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე დასავლეთ ევროპაში – დასავლეთ ევროპაში სულ 183 მილიონი ადამიანი აღირიცხა, ხოლო ახლო აღმოსავლეთში – 300 მილი-

ონი. კიდევ უფრო დავაზუსტებ, რომ, როგორც რ. გაჩეჩილაძე წერს, თუ 1950 წლისათვის ახლო აღმოსავლეთში 86 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 2000 წელს მოსახლეობის რაოდენობა 300 მილიონი გახდა, ხოლო 2014 წლისათვის მან უკვე 400 მილიონს გადააჭარბა.[14] ე.ი. მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 7 მილიონით იზრდება – დაახლოებით 2%-ით. ეს ზრდის საკმაოდ მაღალი მაჩვებნებელია. თუ ასე გაგრძელდა, ოც წელიწადში ამ რეგიონში მოსახლეობის რაოდენობა ნახევარ მილიარდს გადააჭარბებს.[14]

რ. გაჩეჩილაძე აღნიშნავს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით ახლო აღმოსავლეთში ქვეყნების სამ ჯგუფს გამოყოფენ:

I – დიდი ქვეყნები: თურქეთი, ირანი, ეგვიპტე. 2016 წლის მონაცემებით, თურქეთში ცხოვრობს 79,6 მილიონი, ირანში – 80 მილიონო. ეგვიპტეში – 93,4 მილიონი ადამიანი;

II – საშუალო ქვეყნები: ერაყი, საუდის არაბეთი, იემენი და სირია (2016 წლის გაეროს მონაცემებით, შესაბამისად, ერაყში ცხოვრობდა 37,5 მილიონი, საუდის არაბეთში – 32,2 მილიონი, იემენში – 27,5 მილიონი, სირიაში – 22 მილიონი ადამიანი).

III – მცირე ქვეყნები: ყველა დანარჩენი, სადაც 7-8 მილიონზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობს.

ჩვენ არ შევეხებით აზიის ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის ინდოეთი, ჩინეთი, პაკისტანი და ა.შ., სადაც მოსახლეობის ზრდის ტემპი ასევე ძალიან მაღალია.

ახალი წელთაღრიცხვის წინა და დასაწყის პერიოდში პლანეტაზე სადღაც 150-250 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. თუ ავიღებთ დაახლოებით 200 მილიონს, მაშინ გამოდის, რომ 20 საუკუნის განმავლობაში პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 36-ჯერ გაიზარდა. ამასთან, მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის რაოდენობა მთელი ისტორიის მანძილზე არათანაბრად იზრდებოდა. ზრდის ტემპები მკვეთრად გაიზარდა მე-15, მე-17 საუკუნეების შემდეგ და ეს ზრდა მეცნიერთა ვარაუდით, დიდწილად უკავშირდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებას, ახალ სამეცნიერო-ტექნიკურ აღმოჩენებს და რევოლუციებს. ს. ბრუკის ცნობარის მიხედვით, ჩვ. წ.ა. პირველ წელს, როგორც ვთქვით, 150-150 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 1200 წელს – 400 ათასი და მოსახლეობის ზრდის ტემპი წლიურად საშუალოდ 0,005% იყო. უკვე 1600 წელს, ე.ი. სამეცნიერო-ტექნიკური ძვრების დაწყებისას წლიური ზრდის ტემპი უკვე 0,2% ხდება, ხოლო მსოფლიოს მოსახლეობის

რაოდენობა 545 მილიონი. 200 წლის შემდეგ, ზრდის ტემპი კვლავ მატულობს და 0,5%-ია, ხოლო მოსახლეობა 905 მილიონს აღწევს. მე-20 საუკუნის დასაწყისში ზრდის ტემპი 0,8%-მდე იზრდება, ხოლო შემდეგ, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ე.ი. სულ რაღაც 50-60 წელიწადში ზრდის ტემპი თითქმის 2% ხდება და როგორც ადრეც აღვნიშნეთ, მსოფლიოს მოსახლეობის გაორმაგება თითქმის ზვავისებურად ხდება და 30-40-იანი წლებისათვის ჯერ დაახლოებით 2,5 მილიარდი, ხოლო 60-იანი წლებისათვის კი მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა უკვე 5 მილიარდია.

აქ მოტანილი სქემა თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ს. ბრუკის ცნობარშიც და ის მოტანილი აქვს პროფ. გ. გოგსაძეს თავის წიგნში „მოსახლეობის გეოგრაფია“.[19] უფრო დეტალური მონაცემები სხვა გამოცემებშიც შეგიძლიათ იხილოთ.

ახლა მოდით, ვნახოთ, არსებობს თუ არა მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკის ერთიანი პერიოდიზაცია. სამწუხაროდ, ასეთი საყოველთაოდ მიღებული უნივერსალური პერიოდიზაცია არ არსებობს. მსგავსად იმისა, რომ არ არსებობს ზოგადად მსოფლიოს განვითარების ისტორიის უნივერსალური, ერთი პერიოდიზაცია. დიახ, ისტორიოგრაფიაში, ისტორიული კვლევების მეთოდოლოგიაში ასეთი საყოველთაოდ მიღებული პერიოდიზაცია არ არსებობს. ცივილიზაციათა განვითარების პერიოდიზაციის არა ერთი სქემა არსებობს. მაგალითად: 5 საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია: პირველყოფილი თემური წყობილება, ბატონყმური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტურ-კომუნისტური.

ცალკე გამოყოფის ღირსია გერმანელი ფილოსოფოსის კარლ იასპერსის მიერ შემოთავაზებული სქემა, მის მიერ ე.წ. ღერძულა დროის ცნების შემოღება (იხ. ქვემოთ მოცემული სქემა. გვ. 275).

დავუბრუნდეთ ისევ დემოლოგიას. როგორც უკვე ვთქვით, აქაც არ არსებობს მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების ერთიანი პერიოდიზაცია. ზოგიერთი მეცნიერი პერიოდიზაციის მთავარ კრიტერიუმად იყენებს მოსახლეობის გამრავლების რაოდენობრივ მაჩვენებლებს. სხვა მეცნიერები კი პერიოდიზაციას ისტორიულ მიდგომას უდებენ საფუძვლად. როგორც ერთ, ისევე მეორე შემთხვევაში, დემოლოგებისათვის მნიშვნელოვანია იმ სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორების მიგნება და გაანალიზება, რომლებიც ზეგავლნას ახდენენ მოსახლეობის რაოდენობის დინამიკაზე.

გ. გოგსაძეს მოტანილი აქვს 3 ძირითადი პერიოდი, რომლებიც მოსახლეობის მატების საშუალო წლიურ მაჩვენებლებს უკავშირდება. ეს მაჩვენებლები იყოფა:

კ. იასპერსის ღერძულა დროის სქემა



1. დაბალ მაჩვენებლებად, როდესაც წლიური ზრდის ტემპი 0,5%-მდეა,
2. ზომიერი, ანუ საშუალო ტემპი – 0,5-1%-მდე და
3. მაღალი, რომელიც 1%-ზე ზემოთ იწყება.

პირველი პერიოდი იყო კაცობრიობის დასაბამიდან მე-19 საუკუნის შუა პერიოდამდე (მოიცავს 4 ფორმაციას – პირველყოფილ თემურს, მონათმფლობელურს, ფეოდალურს და ნაწილობრივ კაპიტალისტურს). აკად. ვახტანგ ჯაოშვილის გაანგარიშებებით, ყოველწლიურად, ყოველ ათას ადამიანზე იბადებოდა და კვდებოდა საშუალოდ დაახლოებით 55-60 ადამიანი. როგორც იცით, იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო მაღალი შობადობა და ასევე მაღალი მოკვდაობა.

მეორე პერიოდი მოიცავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს და მე-20 საუკუნის პირველ ოცწლეულს. ეს პერიოდი ემთხვევა ევროპასა და აშშ-ში კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას.

მესამე პერიოდი კი, ამ სქემის მიხედვით იწყება მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან და გრძელდება დღემდე. ამ პერიოდში მოსახლეობის მატების მაღალი ტემპების შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მესამე პერიოდში მოსახლეობის ცვლილების დინამიკა განსხვავდება თვითონ ამ პერიოდის შიგნით სხვადასხვა კონტინენტებსა და სახელმწიფოებს შორის. ზრდის 97% მოდის განუვითარებელ ქვეყნებზე (აზია, აფრიკა), ხოლო განვითარებულ ქვეყნებზე მხოლოდ 3% მოდის. მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების ტენდენციებს, მათ მიზნებსა და გარემოებებს მსოფლიოს ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, ჩვენ შემდეგ გავაანალიზებთ.

მსოფლიოს ზოგიერთი რეგიონისა და ქვეყნის მოსახლეობის ზრდის ტემპისა და ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები შეგვიძლია ვნახოთ სხვადასხვა ცნობარში, რამდენიმე ცხრილი მოტანილი აქვს გ. გოგსაძესაც თავის წიგნში – „მოსახლეობის გეოგრაფია“.[19]

იმისათვის, რომ ჩვენ გავაანალიზოთ მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის დინამიკაზე (ძირითადად შობადობასა და მოკვდაობაზე) მოქმედი ფაქტორები, საჭიროა ჯერ გავაანალიზოთ მოსახლეობის სტრუქტურის თავისებურებები:

1. სქესობრივი, ასაკობრივი; 2. რასობრივ-ეთნიკური; 3. ენობრივი; 4. რელიგიური, 5. მოსახლეობის ხარისხის სოციალურ-დემოლოგიური მახასიათებლები; 6. მსოფლიოს მოსახლეობის მიგრაციული პროცესები და ტერიტორიული განლაგება და ა.შ. ამას ჯერ ზოგადად, ხოლო შემდეგ მსოფლიოს ცალკეული რეგიონის მიხედვით ჩვენ შემდეგ თავებში განვიხილავთ. ახლა კი, დავიწყოთ მოსახლეობის ზრდის დინამიკაზე მოქმედი ფაქტორების განხილვა.

9.2. მსოფლიოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დინამიკაზე მოქმედი ფაქტორები

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ბუნებრივ მოძრაობაზე (შობადობა, სიკვდილიანობა, ქორწინება, განქორწინება) მოქმედ ფაქტორებზე. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ შობადობასა და სიკვდილიანობაზე უდიდეს გავლენას ახდენს ბუნებრივ-ბიოლოგიური, გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, ყოფითი, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორები. კიდევ ერთხელ განვიხილოთ მაგალითად, ბუნებრივ-ბიოლოგიური და გეოგრაფიული ფაქტორები. გახსოვთ, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ერთ ქალს მისი ნაყოფიერების (ფერტილურობის, რეპროდუქციულობის) ასაკში ორგანიზმის ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური ნორმების გათვალისწინებით შეუძლია შვას საშუალოდ მაქსიმუმ 10-12 ბავშვი. ფერტილურობის ასაკად კი, განისაზღვრება ასაკი საშუალოდ 15-დან 49 წლის ჩათვლით. მაგრამ ფერტილურობის ეს პერიოდიც სხვადასხვაა სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში. მაგალითად, ცნობილია, რომ თბილ კლიმატურ სარტყელში მცხოვრებ ქალთა ფერტილურობის ასაკი უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ცივ კლიმატურ სარტყელში მცხოვრებ ქალთა ფერტილურობის ასაკი, ე.ი. მთლიანად ფერტილურობის, ნაყოფიერების პერიოდი. მაგალითად, აფრიკის ქვეყნებში ბევრად უფრო ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქალი საშუალოდ 10-12 ბავშვს აჩენს. ასეთ შემთხვევაში, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, შობადობა 50-60 პრომილეს ფარგლებშია (ე.ი. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი არის 50-60 ‰).

ძალიან ფართოა სოციალურ ფაქტორთა ჩამონათვალი. ზოგიერთის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ხოლო უფრო დაწვრილებით მათ ცალკეული კონტინენტის, რეგიონისა და ქვეყნის მაგალითებზე შევეხებით. ახლა მხოლოდ რამდენიმე მათგანს ვახსენებ. მაგალითად, აღმოსავლური კულტურული ღირებულებების მიხედვით, ოჯახებში ქალის უფლებრივი მდგომარეობა მეორადი და მნიშვნელოვნად დათრგუნულია. აზრის კანონმდებელი და წარმმართველი კაცია. ეს ვლინდება ვაჟის ყოლის განსაკუთრებულ სურვილსა და პრესტიჟულობაშიც. ვაჟის არყოლის შემთხვევაში, მას როგორც ნაკლებად ვაჟკაცსა და არასრულყოფილს უყურებენ. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ასეთ შემთხვევებში თავისი უკმაყოფილება და რისხვა მას ქალზე გადააქვს. მას ადანაშაულებს და ამის გამო სჯის კიდეც (სხვათა შორის, ასეთი დადანაშაულება კარგა დიდი ხნის განმავლობაში დასავლურ ყოფაშიც იყო გაბატონებული). სინამდვილეში კი, თქვენ იცით, რომ მეცნიერულად

არის დადასტურებული – ბიჭი დაიბადება თუ გოგონა, ეს მხოლოდ მამაკაცზეა დამოკიდებული (სქესს განსაზღვრავს X- და Y-ქრომოსომების თანაფარდობა. ქალს ყოველთვის აქვს X-ქრომოსომების ერთიდაიგივე მუდმივი რაოდენობა. Y-ქრომოსომა კი, რომელიც უნდა აჭარბებდეს X-ქრომოსომების რაოდენობას ბიჭის დაბადებისათვის, მხოლოდ მამაკაცს გააჩნია).

დასავლური კულტურული ღირებულებების მიხედვით კი, ქალის როლი უფრო მაღალია და ცივილიზაციათა განვითარების კვალობაზე სულ უფრო მაღლდება (სხვათა შორის, ძალიან რთულად. მაგრამ ეს ტენდენცია ბოლო ათწლეულებში აღმოსავლეთშიც შეიმჩნევა). ქალის როლი მაღლდება ოჯახის დაგეგმვის საქმეშიც. ცოლ-ქმარს შორის უფლებათა გათანაბრების შედეგად, ქალის ნებაზე უფრო ხდება დამოკიდებული ოჯახში ბავშვების რაოდენობა. ქალის განათლებისკენ სწრაფვა, მისი აქტიურად, მამაკაცთან გათანაბრებულად ჩართვა სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში, სულ უფრო მზარდი ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მეორეს მხრივ, მიშვნელოვნად ზრდის განქორწინებებისა და მარტოხელა დედების რიცხვს (მარტოხელა დედებად თვლიან ქალს, რომელსაც შვილი ან შვილები ჰყავს, მაგრამ ქორწინებაში არასოდეს ყოფილა). ყველაფერი ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებს შობადობას და დაბადებული ბავშვების რაოდენობას.

სასოფლო დასახლებებში შობადობა გაცილებით მაღალია, ვიდრე ქალაქებში. ე.ი. სულ უფრო სწრაფად მზარდი ურბანიზაცია სერიოზულად ამცირებს შობადობას. მაშასადამე, მსოფლიოს იმ კონტინენტებსა და რეგიონებში, სადაც ურბანიზაცია უფრო მაღალია, შობადობა მნიშვნელოვნად ნაკლებია. მაგალითად, აფრიკაში, სადაც მაღალი შობადობის გამო მოსახლეობა ასე სწრაფად იზრდება და აჭარბებს ევროპის მოსახლეობას, ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის საშუალოდ მხოლოდ 30-35%. ხოლო ევროპის მთელ რიგ წამყვან ქვეყნებში ძალიან მაღალი ურბანიზაციის გამო, ქალაქად მოსახლეობის საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტი ცხოვრობს.

უმნიშვნელოვანესია რელიგიური ფაქტორები. მათ და სხვა ფაქტორებს ჩვენ შემდეგ შევეხებით.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის პროცესი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსხვავებულად მიმდინარეობს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. ასევე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ განსხვავებაა თვით განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების შიგნითაც. ბუნებრივი მოძრაობის თვალსაზრისით, დიდი განსხვავებაა, როგორც განვითარებულ ქვეყნებს შორის, ასევე განვითარებად ქვეყნებს შორისაც. სხვაობას განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განაპირობებს დიდ სხვაობა

შობადობის მაჩვენებლებს შორის. დღეისათვის შობადობის ზოგადი კოეფიციენტი განვითარებულ ქვეყნებში არ აღემატება 15-20 პრომილეს. ხოლო განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი იწყება მხოლოდ 25-30 პრომილედან. თავის წიგნში პროფ. გ. გოგსაძეს მოაქვს 2005 წლის მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც, შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ: ნიგერის მოსახლეობას (≈51,5 ‰), მალის მოსახლეობას (49,0‰), უგანდის მოსახლეობას და ა.შ. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს გერმანიას (8,3‰), ლიტვას (8,6‰), უკრაინას (8,6‰).

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა დავასახელეთ. უფრო ზოგადად კი, მსოფლიოს ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი შობადობის მქონე 15 ქვეყნიდან, 13 ევროპული ქვეყანაა და მხოლოდ 2 – აზიის. მაგრამ მათ შორის, არცერთი არ არის განვითარებადი ქვეყანა.

მოკვდაობასაც თავისი გეოგრაფიული სხვაობები და თავისებურებები გააჩნია. წესით, თითქოს მოკვდაობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ძირითადად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უნდა იყოს, მაგრამ მოკვდაობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით (მაგალითად 5 ‰ და უფრო ქვევით) ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის არცერთი ქვეყანა არ გამოირჩევა. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ქუვეითში (2,4‰), საუდის არაბეთსა (2,6‰) და იორდანიაში (2,6‰). ამასთან, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის არცერთი ქვეყანა არ არის არც მოკვდაობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნებს შორის. ისევ სამ ქვეყანას დავასახელებთ: ბოცვანა (29,4‰), სვაზილენდი (25,3‰), ლესოტო (25‰). ზოგადად, რეგიონებს შორის სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი დონე გვხვდება სამხრეთ აფრიკაში. ამ რეგიონის 8 ქვეყანა შედის მსოფლიოში მოკვდაობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნების რიცხვში.[19]

როგორც ვხედავთ, მსოფლიოში შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლების, ე.ი. ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლების მეტად მრავალფეროვანი სპექტრია. მაგრამ ამასთან, შობადობის დაბალი მაჩვენებლები იწყება 5 ‰-დან. მაგრამ არცერთ ქვეყანაში არ არის დაფიქსირებული 5 ‰-ზე დაბალი მაჩვენებელი. ხოლო ყველაზე მაღალი, როგორც ვთქვით, არის 50 ‰. რაც შეეხება მოკვდაობს, მისი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ასევე 2,5 ‰-ეა, ხოლო დაფიქსირებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის 30 ‰.

მაშასადამე, მსოფლიოში შობა მოკვდაობას დობის ზოგადი კოეფიციენტი მერყეობს 5‰-50‰ შორის, ხოლო მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი კი 2‰-30‰ შორის.

მაჩვენებლების ასეთი ფართო სპექტრიდან გამომდინარე, ქვეყნებს 7 ჯგუფად ყოფენ.[19]

9.3. მოსახლეობის სტრუქტურისა და ხარისხის რეგიონული თავისებურებები. მოსახლეობის ხარისხის სოციალურ-დემოლოგიური მახასიათებლები

მოსახლეობის სტრუქტურა, მოსახლეობის შემადგენლობა დემოლოგისათვის, დემოლოგიური კვლევისათვის უმნიშვნელოვანესი ცნებებია. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, მოსახლეობის სტრუქტურასა და შემადგენლობას განიხილავენ სქესის, ასაკის, ქორწინების, განქორწინების, სოციალური, ეკონომური, რასობრივი, ეთნიკური, ლინგვისტური, რელიგიური და სხვა ნიშნების მიხედვით. მოსახლეობის სტრუქტურის ასეთ მრავალფეროვნებას განაპირობებს ბუნებრივ-გეოგრაფიული, დემოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, განათლების ფაქტორები.

მოსახლეობის სტრუქტურას იხილავენ ე.წ. ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილებში. ე.წ. ვერტიკალურ ჭრილში, მოსახლეობის სტრუქტურას განიხილავენ დემოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ნიშნებითა და მახასიათებლებით. ეს ის ნიშნებია, რომლებიც მსოფლიოს ყველა კონტინენტისა და რეგიონისათვის საერთოა. მეორე, ე.წ. ჰორიზონტალურ ჭრილში იგულისხმება მოსახლეობის სტრუქტურის განხილვა ცალკეული კონტინენტის, რეგიონის და ქვეყნის მიხედვით. ამასთან ერთად, გეოგრაფები მოსახლეობის შემადგენლობას განიხილავენ სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის მიხედვით და ამ დროს ადამიანებს განასხვავებენ რასობრივი (ბიოლოგიური), ეთნიკური და ლინგვისტური ნიშნებით.

დავიწყოთ მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის განხილვით. იგი მოსახლეობის უმნიშვნელოვანესი სოციალური და დემოლოგიური მახასიათებელია. ჩვენ უკვე გავიარეთ ეს თემა და ვნახეთ, რომ მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა ყალიბდება შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციული პროცესების გავლენით. ამავე დროს, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი საშუალებას იძლევა დინამიკაში გამოვლინდეს მოსახლეობის გამრავლების თავისებურებები და კანონზომიერებები.

ჩვენ განვიხილეთ დემოლოგიური კანონები. მათ შორის მოსახლეობის, თაობათა მუდმივი განახლებისა და სქესთა თანაფარდობის კანონები. ამ კანონებიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ის ფაქტორე-

ბი, რომლებიც მოქმედებენ სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე. ამ ფაქტორთა შორის შეგვიძლია გამოვყოთ ორი მათგანი.

1. მსოფლიოში უფრო მეტი მამაკაცი იბადება, ვიდრე ქალი და ეს თანაფარდობაა – 106-107 ბიჭი ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე და
2. იმის გამო, რომ ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ. ეს თანაფარდობა შემდეგ ასაკობრივ ფენებში იცვლება.

საყურადღებოა, რომ, სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობის ცვლილება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, სხვადასხვაა სხვადასხვა კონტინენტზე. მაგალითად, მსოფლიოს მოსახლეობაში ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა თანაბრდება 20-24 წლის ასაკში. 40-44 წლიდან კი იწყება მამაკაცების რაოდენობის ზრდა და ის აჭარბებს ქალების რაოდენობას. აფრიკაში, უფრო მაღალი მოკვდაობის გამო სქესთა რაოდენობის გათანაბრება ხდება დაახლოებით 20-25 წლის ასაკში. ჩრდილოეთ ევროპაში, სადაც სოციალური ცხოვრების დონე უფრო მაღალია, გათანაბრება ხდება 45-50 წლის ასაკში.

სქესთა თანაფარდობის კანონის განხილვისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 80-84 წლის ასაკში ქალების რაოდენობა, უკვე თითქმის 2-ჯერ აჭარბებს მამაკაცების რაოდენობას. მაგრამ არის გამონაკლისებიც. ეს გახლავთ აზიის მოსახლეობა.

მამაკაცების რაოდენობრივი უპირატესობა ქალებზე, აზიაში შენარჩუნებული იყო ყველა ასაკობრივ კატეგორიაში. ამის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევა ის, რომ ქალთა უუფლებო მდგომარეობას ყველაზე მეტად აზიაში ვხვდებით. ზოგიერთი გაანგარიშებით, აზიის ხარჯზე მსოფლიოში 35-40 მილიონით მეტი მამაკაცი ცხოვრობს, ვიდრე ქალი. მამაკაცთა რაოდენობის სიჭარბით გამოირჩევიან ისეთი ქვეყნები, როგორიც არის ინდოეთი, პაკისტანი, ავღანეთი, ირანი, იორდანია, მალაიზია და სხვ.[19]

ადრე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ სქესთა შორის რაოდენობრივ თანაფარდობაზე მოქმედებს მიგრაციული პროცესებიც. თანაც, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი გავლენა შეიძლება გაცილებით უფრო ძლიერიც იყოს ბუნებრივი მოძრაობით გამოწვეულ გავლენაზე. სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაში განსაკუთრებით შესამჩნევი დისბალანსი შეაქვს ინტენსიურ მიგრაციულ პროცესებს. მაგალითად, მაღალი ინტენსივობის მიგრაციებით გამორჩეულ ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ქუვეითი, ბაჰრეინი, კატარი, – ყოველ 100 ქალზე 135-155 მამაკაცი მოდის. ხოლო ამ

მხრივ „ლიდერობს“ არაბთა გაერთიანებული საემიროები, სადაც ყოველ 100 ქალზე 207 მამაკაცი მოდის.

სქესობრივ სტრუქტურაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე ომები. ომებისა და ინტენსიური მიგრაციების გავლენა განსაკუთრებით განიცადეს საბჭოთა კავშირის ქვეყნებმა, სადაც აღნიშნულ ორ ფაქტორს დაემატა ბუნებრივი მატების მცირე, ნულოვანი, ან სულაც უარყოფითი მიმართულება.

საინტერესოა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზიც. მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზეც ძირითადად იგივე ფაქტორები მოქმედებს: შობადობა, მოკვდაობა, მიგრაციები. ამასთან, გარკვეული მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომრეობას, ომებს, ეპიდემიებს და ა.შ.

მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა რეგიონია აფრიკა, სადაც 15 წლამდე ადამიანები შეადგენენ მოსახლეობის 40%-ზე მეტს. ევროპასა და საერთოდ დასავლეთში ეს ფენა 2-3-ჯერ უფრო მცირეა. თვითონ აფრიკაში, ახალგაზრდობის მაღალი წილია ცენტრალური და დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში. ე.ი. განსხვავებაა არა მარტო კონტინენტებისა და რეგიონების მიხედვით, არამედ თვით ამ კონტინენტებისა და რეგიონების შიგნითაც.

აფრიკის შემდეგ, ახალგაზრდული (15 წლამდე) ფენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს აზიას – 28%-მდე. ევროპაში ეს მაჩვენებელი 15%-ია. ჩრდილოეთ ამერიკაში – 20%. მსოფლიოში, გაეროს 2016 წლის მონაცემებით – დაახლოებით 26%-ია.

65 წლისა და მეტი ასაკის ადამიანების რაოდენობა ყველაზე ნაკლებია აფრიკაში – 5-6%-ის ფარგლებში, ევროპაში ყველაზე მაღალია და ის 9-10%-ს უდრის. გაეროს 2016 წლის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი მსოფლიოში – 8%-ია, საქართველოში – 14%.

არსებობს ქვეყნების კლასიფიკაცია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურის მიხედვით, გარკვეულწილად მოსახლეობის დემოლოგიური და სოციალურ მახასიათებლებთან კავშირში. რა თქმა უნდა, ეს კლასიფიკაციაც, ისევე, როგორც ადრე მოტანილი მოსახლეობის კლასიფიცირება 7-ჯგუფად, უნივერსალური, ერთადერთი და ყველას მიერ მიღებული არ არის, თუმცა, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა პროცესების ანალიზისა და თვითონ რეალური მდგომარეობის შესახებაც. ამიტომ მოკლედ შევეხოთ მათ.[19]

I ჯგუფი: აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნები.

მათი მახასიათებლებია:

– ბუნებრივი მატების მაღალი ტემპი;

_ გარე მიგრაციების უარყოფითი სალდო;

– 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის მაღალი პროცენტი;

II ჯგუფი: ჩრდილოეთ ამერიკის, ოკეანეთის განვითარებული, ლათინური ამერიკისა და აზიის საშუალოდ განვითარებული ქვეყნები.

ძირითადი მახასიათებლები:

– ბუნებრივი მატების ზომიერი ტემპი;

– საგარეო მიგრაციების დადებითი სალდო (უმნიშვნელო უარყოფითი სალდო დამახასიათებელია მხოლოდ ამ ჯგუფის საშუალოდ განვითარებული ქვეყნებისათვის).

III ჯგუფი: დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

ძირითადი მახასიათებლები:

– უმეტესად ნულოვანი ბუნებრივი მატება;

– გარე მიგრაციების მნიშვნელოვანი დადებითი სალდო;

– 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანების მაღალი ხვედრითი წილი.

IV ჯგუფი: სამხრეთ აფრიკის 6 ქვეყანა (ნამიბია, ლესოტო, ზიმბაბვე, ბოტსვანა, სვაზილენდი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

ძირითადი მახასიათებლები:

– მაღალი შობადობა და ძალიან მაღალი მოკვდაობა;

– გარე მიგრაციების უარყოფითი სალდო;

– სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი მაჩვენებლები;

– 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის მაღალი წილი.

V ჯგუფი: ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

ძირითადი მახასიათებლები:

– როგორც წესი, დეპოპულაცია (ძირითადად ბუნებრივი კლების ხარჯზე);

– გარე მიგრაციების უარყოფითი სალდო;

– სქესობრივ სტრუქტურაში ქალების მაღალი წილი;

– 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანების მაღალი ხვედრითი წილი.

VI ჯგუფი: ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ნავთობმომპოვებელი ქვეყნები.

ძირითადი მახასიათებლები:

– ძალიან დაბალი მოკვდაობა, ბუნებრივი მატების მაღალი ტემპი;

– გარე მიგრაციების მაღალი დადებითი სალდო;

– სქესობრივ სტრუქტურაში მამაკაცების ძალიან მაღალი წილი;

– 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანების ძალიან დაბალი წილი;

– 65 წლამდე ასაკის ადამიანების ძალიან მაღალი ხვედრითი წილი;

ძალიან საყურადღებო და მნიშვნელოვანია მოსახლეობის ხარისხის განხილვა. ამას უფრო იშვიათად აკეთებენ ხოლმე. მაგრამ მაინც აუცილებლად და სასარგებლოდ მიიჩნევა მოსახლეობის ხარისხის კრიტერიუმების, მის სოციალურ-დემოლოგიური მახასიათებლების შემოტანა და ანალიზი.

მოსახლეობის ხარისხის ქვეშ, ჩვეულებრივ, გულისხმობენ მახასიათებელთა მთელ სისტემას. იხილავენ, როგორც უფრო ფართო სოციალურ მახასიათებლებს, ასევე უფრო ვიწრო და კონკრეტულ დემოლოგიურ მახასიათებლებს. ეს მახასიათებლები და კომპონენტებია: 1. მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა, 2. ჯანმრთელობის დაცვის დონე, 3. სიცოცხლის ხანგრძლივობა, 4. განათლებისა და კულტურის დონე, 5. შემოსავლების დონე, 6. შრომისუნარიანი და შრომისუუნარო მოსახლეობის რაოდენობა და მდგომარეობა, 7. მათი სოციალური დაცულობა, პროფესიული სტრუქტურა და დასაქმების ხარისხი. თანამედროვე დასავლურ საზოგადოებასა და იქ ჩატარებულ კვლევებში აანალიზებენ აგრეთვე ქვეყნისა და საზოგადოების დემოკრატიზაციის დონეს.[19]

მაგალითად, სიცოცხლის ხანგრძლივობა. სიცოცხლის ხანგრძლივობის მახასიათებლებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. 2016 წლის გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში ქალების სიცოცხლის საშულო ხანგრძლივობა 74 წელია, მამაკაცების – 69 წელი; საქართველოში ქალების სიცოცხლის საშულო ხანგრძლივობაა 79 წელი, მამაკაცების – 72 წელი;

ჯანდაცვის ხარისხის მაჩვენებლები, მოსახლეობის ხარისხის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. აქ, არსებული შეფასებებისათვის სარგებლობენ სხვადასხვა კრიტერიუმებით. ეს კრიტერიუმები განსხვავდება სხვადასხვა რეგიონისა და ქვეყნის მიხედვითაც. არის ისეთი კრიტერიუმებიც, რომლებსაც უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები: გაერო, მისი მოსახლეობის ფონდი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და თქვენ წარმოიდგინეთ, მსოფლიო ბანკიც. ასეთი კრიტერიუმია, მაგალითად, თანხის ოდენობა, რომელიც საშუალოდ იხარჯება 1 ადამიანის სამედიცინო მომსახურებაზე 1 წლის განმავლობაში. ამ მიმართულებით, ყველაზე დიდი თანხა ამერიკის შეერთებულ შტატებში იხარჯება: სადღაც, 5-5,5 ათასი დოლარი. ხოლო ჯანდაცვაზე იხარჯება ერთიანი შიდა პროდუქტის ≈15%. მაღალია ეს მაჩვენებლები ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებშიც (შვედეთი, ნორვეგია, დანია), ასევე შვეიცარიასა

და გერმანიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში. აზიაში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია იაპონიაში.

განსაკუთრებით მცირეა ეს მაჩვენებლები აფრიკის განვითარებად ქვეყნებში. მაგალითად, გვინეა-ბისაუში – 10 დოლარი, ეთიოპიაში, ლიბერიაში, ბურუნდში და სხვ – 3-5 დოლარია.

არის ასეთ მნიშვნელოვანი მაჩვენებლებიც: ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის რამდენი პროცენტი იხარჯება ჯანდაცვის სფეროზე. ამ მხრივაც მაღალი მაჩვენებლები აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა – 15% და სკანდინავიის ქვეყნებს. უაღრესად დაბალი – კვლავ, განვითარებად ქვეყნებს. მცირე და არასაკმარისია ეს მაჩვენებლები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. მაგალითად, რუსეთში მხოლოდ 6%-მდეა, ბელორუსში – 6,5%-მდე, სომხეთში – 5-6%.

საქართველოს მაჩვენებლები: უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, ერთ ადამაინზე დაახლოებით 25-30 დოლარი იხარჯებოდა, ხოლო მშპ-ის დაახლოებით 3,5%.

დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის ხარისხის ისეთი მაჩვენებლის ანალიზს, როგორიცაა განათლება. როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (ძირითადად აფრიკისა და აზიის) კვლავ მწვავედ დგას წერა-კითხვის ცოდნა და მისი ხარისხი. მაგალითად, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 62%-მა იცის წერა-კითხვა, ე.ი. 38%-მა, თითქმის ნახევარმა არ იცის. მაგალითად, ნიგერში ეს მაჩვენებელი 83%-ს უდრის, ჩადიში – 75% და ა.შ. ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში ეს მაჩვენებელი 90%-ია. მსოფლიო მაჩვენებელი დაახლოებით 83-85%-ია. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს (შუა აზიის ქვეყნების გამოკლებით). აქ წერა-კითხვა იცის 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 99%-მა.

სერიოზული კომპონენტებია და ამიტომ სერიოზულად იკვლევენ მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურას. აქ აანალიზებენ ისეთ მაჩვენებელს, როგორიც არის მოსახლეობის დემოლოგიური დატვირთვა. ეს არის სამუშაო ასაკის მოსახლეობის რაოდენობის შეფარდება შრომისუნარამდელი და საპენსიო ასაკის მოსახლეობის რაოდენობასთან.

მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების კვლევა, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების აღრიცხვა და ანალიზი. აქ ანსხვავებენ ორ კატეგორიას – ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, ე.ი. საზოგადოე-

ბრივ შრომაში ჩაბმულ ადამიანებს (მათი ასაკის მიუხედავად) და ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევრებს.

გარდა ამისა, არის შრომითი რესურსების ცნება. შრომით რესურსებში იგულისხმება, ან შრომით რესურსებს მიეკუთვნება, სამუშაო ასაკის მოსახლეობა (ინვალიდების გამოკლებით), შრომისუნარამდე ასაკის მომუშავე ადამიანები და საპენსიო ასაკში მყოფი მომუშავე ადამიანები.

როგორც ვხედავთ, შრომითი რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა. მსოფლიოში, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში არის დაახლოებით 60%. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში – სადღაც 56%, ჩრდილოეთ აფრიკაში – 47%, ხოლო საჰარის სამხრეთ აფრიკაში – დაახლოებით 67%.

მსოფლიოში უმუშევართა წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში არის დაახლოებით 6-6,5%. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში – ≈6%. ქვეყნებს შორის, დასაქმების ყველაზე მაღალი დონეა ისლანდიაში – 83%, შვეიცარიაში – 78%, ხოლო სკანდინავიის ქვეყნებში დაახლოებით 75%.

უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონეა ნაურუში – 90%, ლიბერიაში – 85%, ზიმბაბვეში – 80% და ა.შ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში დღეს დაახლოებით 200 მილიონზე მეტი უმუშევარია (ეს ოფიციალური სტატისტიკით).[19]

ცალ-ცალკე აწარმოებენ ანალიზს – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილებას სხვადასხვა ეკონომიკური სფეროს მიხედვით. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, მომსახურებაში და ა.შ.

გაერო მონიტორინგს აწესებს აგრეთვე პროგრესის ისეთ მონაცემებზე, როგორიც არის:

- დედათა სიკვდილიანობის კოეფიციენტი 100 ათას ახალ ცოცხლად დაბადებულზე;
- კვალიფიციური მედპერსონალის მიერ მიღებული მშობიარობა (%-ში).
- დაწყებითი განათლებით მოცული;
- გენდერული თანაფარდობის ინდექსი დაწყებით განათლებაში.

9.4. მსოფლიოს მოსახლეობის რასობრივი და ეროვნული (ეთნიკური) შემადგენლობა

ადამიანის წარმოშობის შესახებ თანამედროვე მეცნიერებაში რამდენიმე მოსაზრება არსებობს. მათ შორის გავრცელებულია ორი თეორია:

1. პოლიცენტრული და 2. მონოცენტრული თეორიები.

პოლიცენტრული თეორია თვლის, რომ ადამიანი წარმოიშვა დედამიწის სხვადასხვა რეგიონში და განსხვავება რასებს შორის სწორედ ამის გამო არსებობს. მონოცენტრული თეორიის ფუძემდებელია ჩარლზ დარვინი და ის თვლის, რომ ადამიანი წარმოიშვა ერთ რეგიონში, კერძოდ, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში. შემდგომ კი დაიწყო მიგრაციული პროცესები და ამის შედეგად ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში აღმოჩნდნენ, ხოლო ამ რეგიონებში მათი ადაპტაციის შედეგად ჩამოყალიბდნენ სწორედ რასები.

გ. გოგსაძე აღნიშნავს, რომ რასა გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფია, რომლის წევრებისათვის დამახასიათებელია ერთნაირი მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ნიშნები. რასა (ადამიანთა ფენოტიპი), ადამიანთა ყველაზე მსხვილი ანთროპოლოგიური დაჯგუფებაა.[19]

არსებობს რასების კლასიფიკაციის რამდენიმე მოდელი. მათ შორის:

1. ტიპოლოგიური (მორფოლოგიური); 2. მოსახლეობის შერევის და 3. კლინარული ანუ ბიოლოგიური ვარიაციების მოდელები. ტიპოლოგიური, მორფოლოგიური მოდელი ადამიანებს განასხვავებს მორფოლოგიური ნიშნებით: კანის ფერით, ცხვირისა და ტუჩების, თვალებისა და ყვრიმალების ფორმით, თმის ფერით და ა.შ. სწორედ ტიპოლოგიური კლასიფიკაციით განასხვავებენ ძირითად რასებს: ევროპოიდულს, მონღოლოიდურს, ეკვატორიალურს ანუ ნეგროიდულს, ავსტრალოიდურს. ამ ბოლო ორს – ნეგროიდულს და ავსტრალოიდურს დღეს უფრო ხშირად ცალ-ცალკე გამოყოფენ ხოლმე. განსაკუთრებით საბჭოთა ლიტერატურასა და რუსულ ლიტერატურაში მოიხსენიებოდა და დღესაც მოიხსენიება (პოლიტიკური მოსაზრებებით) კავკასოიდური რასა, როგორც ევროპოიდული რასა.

რასები იყოფა სუბრასებად. ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად, რიჩარდ მაკკალოქი) კავკასოიდურ რასაში 10 სუბრასას გამოარჩევს. ეს უკანასკნელიც კი, თავის მხრივ, კიდევ სხვადასხვა სახეობებად იყოფიან. არის სხვა კლასიფიკაციებიც. არის მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც

ქართველები შედიან ევროპოიდული რასის სამხრეთული ფორმის ბალკანურ-კავკასიურ ჯგუფში.

ბოლო ასწლეულებში რასათა შერევის პროცესი სულ უფრო ჩქარი ტემპებით მიმდინარეობს. სხვადასხვა რასათა წარმომადგენლების შერევა, სულ რაღაც ერთი ან რამდენიმე თაობის განმავლობაშიც ხდება. მაშასადამე, არსებობენ მულატები (კავკასოიდურის და აფრიკულის შთამომავალი), მეტისები (ინდიელის და კავკასოიდურის), კრეოლი (სამხრეთ ამერიკელის ან აფრიკელის ფრანგთან, პორტუგალიელთან, ან ესპანელთან შერევის შედეგად).

თუ რასები დღეს ძირითადად ბიოლოგიური ნიშნებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, განსხვავებას ეთნოსებს, ერებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის სა-ფუძვლად უპირატესად სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები უდევს.

მოდით, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს საკითხები. ვნახოთ, რა არის ერი, ეთნოსი, ეთნიკური ჯგუფი. ეთნიკური თვითშეგნება. ეთნიკური განვითარების შემდეგი ეტაპი – ხალხების წარმოქმნა. რომ ეთნიკური ერთობის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს – ერი. როგორ წარმოიშვებიან ისინი. როგორია მათი განმარტებები.

დავიწყოთ ეთნოსებით. ლ. გუმილიოვი, რომელიც ეთნოსების განვითარების კონცეფციის ერთ-ერთი შემქმნელია, ეთნოსს განსაზღვრავს, როგორც ბიოსფეროს ფენომენს – ბუნებრივად ჩამოყალიბებულ კოლექტივს, რომელიც თავისი მსგავსისაგან, ანუ სხვა ასეთი კოლექტივისაგან განსხვავდება ადამიანთა ქცევის ორიგინალური სტერეოტიპებით. საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ეთნოსები არსებობენ ტომების, ხალხების, ერების, ეთნიკური ჯგუფების სახით. ეთნოსების ყოველ ასეთ სოციალურ ფორმას აქვს თავისი არსებითი თავსებურებები, მაგრამ თითოეულ მათგანში ეთნოსი წარმოადგენს განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ კულტურული, მათ შორის ენობრივი, ფსიქოლოგიური ერთიანობა. მსოფლიოში ათასობით სხვადასხვა ეთნოსია. აქედან 300-მდე, მილიონზე მეტ ადამიანს ითვლის. მაგალითად, ჰარვარდის ენციკლოპედიაში, 106 ეთნიკური ჯგუფის სიაა. სინამდვილეში მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. ეთნოსის პრობლემებს მრავალი მეცნიერება იკვლევს: ეთნოლოგია, ეთნოანთროპოლოგია, ეთნოსოციოლოგია, ეთნოპოლიტოლოგია და ა.შ.

ერის, ნაციის მეტ-ნაკლებად ზუსტი განმარტება, როგორც ვთქვით, უაღრესად რთულია. რთულია იმიტომ, რომ ერი არის კულტურული და

პოლიტიკური მახასიათებლების ობიექტური და სუბიექტური ერთიანობა. ობიექტური თვალსაზრისით, ერი – ეს არის კულტურული ერთობა. სხვა სიტყვებით – ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომელიც ლაპარაკობს ერთ ენაზე, იზიარებს ერთ რელიგიას, ერთმანეთთან აუცილებლად არიან დაკავშირებული საერთო წარსულით და ა.შ.

ხშირად ამბობენ, რომ საბოლოო ჯამში ერი არის ის, რაც მასში სუბიექტურად ესმით იმ ადამიანებს, რომლებიც მას ეკუთვნიან, რომ ეს არის თავისებური ფსიქოლოგიურ-პოლიტიკური კონსტრუქცია. ყველა სხვა ჯგუფისა და ერთობისაგან ერი განსხვავდება იმით, რომ ადამიანები, რომლებიც ეკუთვნიან ამ ჯგუფებსა და ერთობებს, თვითონ გრძნობენ თავს ერის შემადგენელ ნაწილად. ამასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშობლოს ცნება.

არის ორი კონცეფცია: პირველისათვის ერი, ნაცია არის კულტურული ერთობა. ღრმა ეთნიკური – მატერიალური და სულიერი კავშირები. მეორე კონცეფცია კი, ერში, ნაციაში უფრო უპირატესად პოლიტიკურ ერთობას ხედავს. მისთვის მთავარია სამოქალაქო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური კავშირები.

ასეა თუ ისე, სულ ცოტა, ბოლო ორასი წლის განმავლობაში ერი, ნაცია იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთადერთი ფორმა.

ერის ბევრი განმარტება არსებობს. ერთ-ერთი ფუნდამენტური და პირველი განმარტება მოგვცა ინგლისელმა სოციოლოგმა და ეკონომისტმა ჯონ მილმა. ის თვლიდა, რომ ერში შემავალი ადამიანები გაერთიანებული არიან იმ საერთო გრძნობებით, რომლებიც არა აქვთ ამ ერს გარეთ მყოფ ადამიანებს.

ამას ხელს უწყობს ენისა და რელიგიის ერთიანობა, ასევე ერთიანი გეოგრაფიული საზღვრები. მაგრამ ის თვლიდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მთავარია პოლიტიკური ბედის ერთიანობა, საერთო ნაციონალური ისტორია და ამაზე დაფუძნებული მეხსიერების ერთიანობა. ჯ. მილის მსჯელობაში ერის კატეგორია გამომდინარეობს, რო-გორც სოციო-კულტურული, ასევე, პოლიტიკური მახასიათებლებიდანაც.

პროფ. რ. გაჩეჩილაძეს თავის წიგნში – „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა“ – მოჰყავს ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის, ბერნარდ ლუისის განმარტება: „ერი – ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც ერთმანეთთან აკავშირებს საერთო ენა და რწმენა იმისა, რომ მათ საზიარო აქვთ წარმომავლობა, ისტორია და ბედ-იღბალი. ეს ადამიანები ჩვეულებრივ, მაგრამ არა აუცილებლად, განსახლებული არიან უწყვეტ ტერიტო-

რიაზე; მათ აქვთ, ან თუ არა აქვთ კოლექტიურად იღწვიან, რათა იქონიონ მათივე სახელის მქონე სუვერენული დამოუკიდებლობა“.[14]

არსებობს სტალინის გამარტება: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთიანობა, რომელიც წარმოიქმნება ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის – რომელიც ასახულია ამ ერთობის კულტურაში – საფუძველზე“. ე.ი. სტალინი თვლიდა, რომ იმისათვის, რომ ადამიანთა ჯგუფი ერად იწოდებოდეს, მას უნდა ჰქონდეს ოთხი განუყოფელი ნიშანი: 1. საერთო ენა, 2. საერთო ტერიტორია, 3. საერთო ეკონომიკური ცხოვრება და 4. საერთო ფსიქიკური წყობა რომელიც ასახულია ამ ერთობის კულტურაში.

ეს განმარტება იმიტომ მოვიტანეთ, რომ მას დღესაც როგორც საინტერესოს და მნიშვნელოვანს, განიხილავენ და აანალიზებენ დასავლურ პოლიტოლოგიასა და სოციოლოგიაში. მაგალითად, ცნობილი თანამედროვე ფრანგი სოციოლოგი და პოლიტოლოგი დომინიკ კოლა სტალინის განმარტებას აანალიზებს და ადარებს ერის სხვა განმარტებებს.

უაღრესად საყურადღებოა და საინტერესოა ერის განმარტება ილია ჭავჭავაძის მიერ: „ერი არის ისტორიით შედუღაბებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“. ერის ილიასულ დეფინიციაში ლაკონურად და სრულყოფილად აისახა სულიერი – „ერთსულ“ – და მატერიალური – „ერთხორც“ – ფაქტორების განმსაზღვრელი როლი „მკვიდრთა კრებულის“ – ერის ფორმირების პროცესში.

ენდრიუ ჰეივუდს მიაჩნია, რომ ერზე, ნაციაზე, მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, თუ მისი წევრი ადამიანები თავს აცნობიერებენ, როგორც მთლიან პოლიტიკურ ერთობას. სწორედ ეს პოლიტიკური ერთიანობის განცდა განასხვავებს ერს, ეთნიკური ჯგუფისაგან. *ეთნიკური ჯგუფიც ხასიათდება შინაგანი ერთიანობის განცდით, ერთიანი კულტურით, მაგრამ ერისაგან განსხვავებით მას არა აქვს პოლიტიკური მისწრაფებები. ერები კი, ყოველთვის ისწრაფვიან, რომ მიიღონ ან შეინარჩუნონ თავისი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა.*

ასევე უაღრესად საინტერესოა მაქს ვებერისა და სხვათა განმარტებებიც.

ე. ჰეივუდი საინტერესოდ განმარტავს ეთნიკურ ჯგუფსაც: *„ეთნიკური ჯგუფი, ასევე საერთო წარმოშობის დიდი ჯგუფია. ის შეკავშირებულია შინაგანი ერთიანობისა და საერთო კულტურის განცდით, მაგრამ ერისაგან განსხვავებით, მას არა აქვს პოლიტიკური მისწრაფებები“.*

9.5. მსოფლიოს მოსახლეობის ენობრივი შემადგენლობა.

ყოველი საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ენა. სოციოლოგიიდან ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება ასახავს საზოგადოებრივ ყოფიერებას და წარმოადგენს ერთიან სისტემას. ამ სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია კულტურა. ხოლო კულტურაში, მაშასადამე საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ენას. ენა ვერბალური და წერილობითი სიმბოლოების ის სისტემაა, რომელიც მოქმედებს იმ გარკვეული წესების თანახმად, რომლებიც აჩვენებენ, თუ როგორ უნდა დაუკავშირდეს სიტყვები ერთმანეთს, იმისათვის, რომ მივიღოთ გარკვეული მნიშვნელობის გამომხატველი წინადადება, ფრაზა. ენას აქვს განსაზღვრული მუდმივი სტრუქტურა და წესები, რომლებიც ბგერებისა და ასოების სიტყვებად, სიტყვების კი – წინადადებებად ჩამოყალიბებაში გვეხმარება.

ენა საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის ხელმისაწვდომი რესურსია. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ენობრივ, ანუ ლინგვისტურ მრავალსახეობებს. დღეს მსოფლიოში ბევრი მრავალენოვანი საზოგადოებაა. ენა უდიდეს როლს თამაშობს კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და განვითარებაში, ასევე, კულტურული მრავალსახეობის განვითარებაშიც.

ენა, მისი შენარჩუნება და განვითარება, ენობრივი ნათესაობა და ენასთან დაკავშირებული ეროვნული იდენტობის შეგნება და მისი სხვა ასპექტები, ხშირად დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობასა და დატვირთვას იძენს.

ენას ხშირად განუსაზღვრავს სამომავლო გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული კონცეფციების აგების ძირითადი პრინციპები, მათი ხასიათი და ტერიტორიული საზღვრებიც. მთავარ გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ამოცანებად, ხშირად გამოცხადებულია „ლინგვისტური ზესახელმწიფოების“ შექმნა. აქედან გამომდინარე, ენა უაღრესად დაკავშირებულია მსოფლიოს ქვეყნების დიდ საერთაშორისო თუ საშიანაო პოლიტიკასთან. ამდენად, ენას და მასთან დაკავშირებულ ფართო პრობლემატიკას ენათმეცნიერებთან, ფსიქოლოგებთან და სოციოლოგებთან ერთად, სწავლობენ და აანალიზებენ პოლიტოლოგები და პოლიტიკოსებიც.

უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა ენათა გავრცელების გეოგრაფიული (ტერიტორიული) თავისებურებები. ამ თავისებურებებს შეისწავლის ლინგვისტური გეოგრაფია, ანუ როგორც მას შემოკლებითაც

უწოდებენ ლინგვოგეოგრაფია. მეცნიერები გამოყოფენ დიდ და მცირე ლინგვისტურ არეალებს. ანსხვავებენ გავრცობილ და ჩაკეტილ ლინგვისტურ არეალებს. გავრცობილი ლინგვოარეალები დიდ სივრცეებზე, დიდ ტერიტორიებზე ვრცელდება. ასეთ შემთხვევებში, უპირატესად ერთი ენის მრავალი დიალექტი იქმნება ხოლმე. ჩაკეტილი ლინგვოარეალების საზღვრები კი მსხვილ ლანდშაფტურ-გეოგრაფიულ ერთეულებზე (მთები, მდინარეები, ზღვები, ოკეანეები) გადის. ასეთ შემთხვევებში კი დამოუკიდებელი ენები ვითარდებიან. ჩაკეტილი ლინგვოარეალის კონკრეტული მაგალითია კავკასია. ევრაზიის სტეპები კი გავრცობილი ლინგვოარეალის მაგალითად მიაჩნიათ.

არის ასეთი ცნებაც: ლინგვოარეალის გენეტიკური სიმჭიდროვე. იგი იქმნება გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედებით და გვიჩვენებს ენის გენეტიკური ოჯახების რაოდენობას მოცემული ტერიტორიის ფართობის ერთეულზე.

გეოგრაფები იხილავენ ისეთ ცნებებს, როგორიც არის ენობრივი კავშირის და ენის დიფუზია. ენობრივი კავშირის ქვეშ ესმით მეზობელ ტერიტორიებზე გავრცელებული ენების სტრუქტურული მსგავსება. ამასთან, ყოველთვის არ არის აუცილებელი რომ ამ ენებს შორის ლინგვისტური ახლო ნათესაობა არსებობდეს.

ენათა ურთიერთკავშირის შედეგად ხდება ენათა დიფუზია. ეს იმას ნიშნავს, რომ გრამატიკული თვალსაზრისით ერთი ენა მოქმედებს მეორეზე.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ არ არის აუცილებელი ერთი ენის გავლენა მეორეზე ყოველთვის გეოგრაფიული ფაქტორით იყოს გამოწვეული. ასეთ შემთხვევაზე საუბრობენ რუსულ ენასთან დაკავშირებით. რუსული ენა განიცდიდა ძველსლავური, გერმანული და ფრანგული ენების გავლენას, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენის არეალი არ ემთხვეოდა ჩამოთვლილი ენების გავრცელების არეალს. იგივე შეიძლება ითქვას ინგლისურ ენაზეც. ინგლისური ენის ზეგავლენა სხვა ენებზე გამოწვეულია არა გეოგრაფიული ფაქტორით, არამედ მისი მაღალი სოციალური პრესტიჟით, საჭიროებითა და სხვა სოციალური ფაქტორებით.[14]

მსოფლიოში მრავალი სახელმწიფო მრავალენოვანი ან მინიმუმ, ორენოვანია. მაგალითად, ბელგია: ფლანდრიაში, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთით არის, საუბრობენ მეზობელი ჰოლანდიურის მსგავს ენაზე, ხოლო ვალონიაში – ფრანგულად. ოთხი ოფიციალური ენაა ავსტრიაში: გერმანული, სლოვენური, უნგრული და ხორვატული. ბოლო სამი – ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში, ხოლო გერმანული – მთელ ქვეყანაში. ასევე ოთხი

ოფიციალური ენაა ესპანეთში: ესპანური – მთელ ქვეყანაში, ხოლო კატალონური, ბასკური და გალიციური ოფიციალურ ენებად ითვლება მხოლოდ შესაბამის პროვინციებში. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივ ენასთან ერთად, ოფიციალურად აღიარებულია ყოფილი მეტროპოლიების ენები. მაგალითად, აფრიკის 55 ქვეყნიდან 21-ში ოფიციალურად აღიარებულია ფრანგული ენა. ასევე ბევრი მაგა-ლითის მოტანა შეიძლება ინგლისურ ენასთან დაკავშირებითაც.

მეცნიერებაში არსებობს ენების ტიპოლოგიური და გენეტიკური კლასიფიკაცია. ენის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ეფუძნება ფონეტიკას, მორფოლოგიას, სინტაქსს, სემანტიკას. გენეტიკური კლასიფიკაცია კი ემყარება ენათა დაჯგუფებას საერთო წარმომავლობის, ანუ ნათესაობის მიხედვით. მონათესავე ენათა ჯგუფები შეადგენენ ენათა ოჯახს. ენათა ოჯახის ფორმირება დაკავშირებული იყო პლანეტაზე მოსახლეობის განსახლებასთან და რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი, თავისთავად, დაკავშირებული იყო მოსახლეობის გამრავლებასთან და ყველა იმ დემოლოგიურ და სოციალურ ფაქტორთან, რომლებიც მოსახლეობის გამრავლებას განსაზღვრავს.

ენათა ოჯახებისა და ჯგუფების გავრცელების გეოგრაფიული საზღვრები კაცობრიობის განვითარების კვალობაზე მუდმივად იცვლებოდა.

ენათმეცნიერები თვლიან, რომ სხვადასხვა შეფასებით ცნობილია 30-დან 100-მდე ენათა ოჯახი. ყველაზე კარგად შესწავლილია, მაგალითად, ინდოევროპულ ენათა ოჯახი. ამ ოჯახის ენებზე საუბრობს მსოფლიოს მოსახლეობის 45%. თავის მხრივ, ინდოევროპულ ოჯახს ორ შტოდ ყოფენ: აღმოსავლურად და დასავლურად. აღმოსავლურია მაგალითად, სანსკრიტი, ჰინდი, ბენგალური და სხვ., ხოლო დასავლური სპარსული, ტაჯიკური, ქურთული, ავღანური, ოსური და სხვ.

დასავლურ შტოს მიეკუთვნება რომანული, კელტური, გერმანული და სხვ. (მაგალითად, რომანული ენები განვითარდა ლათინური ენების დიალექტიდან).

ენათა ოჯახების ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა აზია. მათ შორის რიცხობრივად ყველაზე დიდია ჩინურ-ტიბეტური ოჯახი.

ძალიან მნიშვნელოვანია, მაგალითად, აღმოსავლეთის, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთის ენათა ოჯახი.

ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული ენები ძირითადად სამ ენობრივ ოჯახს – სემიტურს, ალთაურს და ინდოევროპულს – განეკუთვნება. მათ შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია სემიტური ენობრივი

ოჯახი, განსაკუთრებით – არაბული ენა. ეს ენა მშობლიურია რეგიონის 12 ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისათვის (ე.წ. არაბული ქვეყნებისათვის). ის გავრცელებულია აგრეთვე ისრაელში, ირანსა და თურქეთში. არაბებსა და ებრაელებს თავი ერთი წინაპრის შთამომავლებად მიაჩნიათ. ებრაულად ეს იყო აბრაამი, ხოლო არაბულად – იბრაჰიმი. ებრაელები აბრაამის ვაჟის – ისააკის (იცხაკის) შთამომავლებად თვლიან თავს, ხოლო არაბები, აბრაამის მიერ სარას ეგვიპტელ მხევალთან, აგართან გაჩენილი შვილის – ისმაილის (ებრაულად იშმაელის) შთამომავლებად. (ამიტომ არის, რომ საქართველოში არაბებს აგარიანებად მოიხსენიებდნენ).[14]

არაბული ენა რეგიონის ეთნოსთა შორის ურთიერთობის, ასე ვთქვათ, შუამავალი ენა იყო, იტალიურად ე.წ. lingua franca. არაბულის დიდი გავლენა დღესაც შემორჩათ სპარსულ და თურქულ ენებს.

არაბულის შემდეგ ყველაზე ფართოდ გავრცელებული სემიტური ენა არის ებრაული.

ალთაური ენების ოჯახის თურქულ ენათა ჯგუფი ახლო აღმოსავლეთში წარმოდგენილია თურქულით. ასევე, ენებით, რომლებიც იღუზურ ენობრივ ქვეჯგუფს განეკუთვნებიან.

ინდოევროპული ენების ოჯახიდან გავრცელებულია ირანული ჯგუფის ენები – სპარსული. მასში შედის ქურთულ-ლურული ქვეჯგუფი. ინდოევროპული ენების ჯგუფს მიეკუთვნება სომხური ენაც.

სხვა ენობრივი ოჯახებიდან უნდა გამოვყოთ ჩრდილოკავკასიური და ქართველური ენები.

ჩრდილოკავკასიური ენების მატარებლები, გარდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები მოსახლეობისა, არიან ადიღეელები (ჩერქეზები) თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ისრაელში.

არის ასეთი მოსაზრებაც, რომ ქვისა და ბრინჯაოს ხანის გადაკვეთამდე (I-III ათასწლეული ჩვ. წელთაღრიცხვამდე) ადგილი ჰქონდა კავკასიის ეთნიკურ, ენობრივ და კულტურულ ერთიანობას. პალეოანთროპოლოგიური გამოკვლევებიც ადასტურებს ამ მხარის მოსახლეობის გარკვეულ გენეტიკურ ერთიანობასა და ნათესაობას.

ალბათ, იყო რაღაც პროკავკასიური ენობრივი ერთიანობაც. ეს უნდა გაგრძელებულიყო სავარაუდოდ, ჩვ. წელთაღრიცხვის სადღაც მე-12 ათასწლეულამდე.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილი ამბობდა, რომ აზრი, ამ ენების ნათესაობის შესახებ, უფრო რწმენას გავს, ვიდრე მეცნიერულ ჰიპოთეზასო.

ორიოდე სიტყვით, ცალკე გამოვყოთ ქართველური ენები, რომელთა შემადგენლობაში შედის ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური (ჭანური) ენები. მათ ზოგიერთი მეცნიერი იბერიულ-კავკასიური ენების ჯგუფში აერთიანებს. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ ქართველური ენები ქმნიან ენათა დამოუკიდებელ ოჯახს. ამ მოსაზრებას იზიარებენ თამაზ გამყრელიძე, გივი მაჭავარიანი, კ. შმიდტი ჰ. ფენრიხი და სხვები. აქვე უნდა ვთქვათ ერთი მთავარი: ყველა ქართველური ენისათვის საერთო ეროვნული და სამწერლობო ენა ისტორიულად და ამჟამადაც არის ქართული.

საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართული ენა ყველაზე მეტად გავრცელებულია თურქეთში. მისი მატარებელია ქართულ და ლაზურენოვანი მოსახლეობა. ისინი განსახლებულნი არიან უპირატესად თურქეთის შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილში. ლაზურენოვანი ელემენტი – რიზესა და ართვინში, ქართულენოვანი – ართვინსა და არტაანში.

მსოფლიოს ძირითად ენათა ოჯახები და ჯგუფები ცხრილის სახით მოცემული აქვს პროფ. გ. გოგსაძეს თავის წიგნში „მოსახლეობის გეოგრაფია“. ასევე საინტერესო მასალა ენებისა და ლინგვოგეოგრაფიის შესახებ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ პროფ. რ. გაჩეჩილაძის წიგნში „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა“. ჩვენ ზოგიერთი რამ, ამ ნაშრომებზე დაყრდნობითაც გადმოვეცით.

9.6. მსოფლიოს მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა

სიტყვა რელიგია წარმოიშვა ლათინური სიტყვიდან „რელიგარე“. ის ქართულად გაერთიანებას, ხელახალ დაკავშირებას ნიშნავს. ეს სიტყვა პირველად ციცერონმა გამოიყენა I საუკუნეში. ის რელიგიას სხვა ცნებას, – ცრუმორწმუნეობას უპირისპირებდა. ამ ტერმინის ფართოდ გამოყენება ქრისტიანობის განვითარებასთან ერთად დაიწყო. ახალი რწმენა, უკვე ღრმად ფილოსოფიურ, ზნეობრივ და კულტურულ, სულიერ ღირებულებათა სისტემად ჩამოყალიბდა.

რელიგია საზოგადოებრივი ცნობიერების და საზოგადოებრივი ყოფიერების ერთიანი სისტემის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ელემენტია. იგი კაცობრიობის უძველესი და ურთულესი სოციალური მოვლენაა. მისი შეცვლა რაიმეთი ან მითუმეტეს, სრული უკუგდება, არცერთ ეპოქაში არ მომხდარა და ვერავინ შეძლო. თუმცა, უფრო გვიანდელ პერიოდში წარმოიშვა გარკვეული დაძაბულობა და დაპირისპირებაც კი, რელიგიურ

წარმოდგენებსა და რაციონალისტურ აზროვნებას შორის. თანამედროვე საზოგადოების განვითარების კვალობაზე, რაციონალისტურმა აზროვნებამ ჩვენი არსებობის მრავალი მხარე დაიპყრო. მაგრამ, რა თქმა უნდა, უამრავ კითხვას ვერ პასუხობს და უამრავ მოვლენას ვერ ხსნის, ვერც რაციონალისტური აზროვნება. მაგალითად, ისინი ვერ პასუხობენ მთავარ კითხვებს: რა არის სიცოცხლე, რა არის სიცოცხლის მიზანი და აზრი. ეს კითხვები კი, ყოველთვის იდგა რელიგიის ყურადღების ცენტრში. ზოგჯერ რელიგია და მეცნიერება დაპირისპირებულ მდგომარეობაშიც კი ყოფილან. მაგალითად, ადამიანის ევოლუციური წარმოშობისა და ღმერთის მიერ ადამიანის შექმნის ორი საწინააღმდეგო მოსაზრება, რა თქმა უნდა, ყოველთვის დაპირისპირებული იქნება.

რელიგიასთან დაკავშირებით, სოციოლოგებს აინტერესებთ ასეთი კითხვები: რატომ მოიცავს რელიგია ასე ღრმად კაცობრიობას? როგორ იცვლებოდა საზოგადოებაში რელიგიის როლი და როგორ იცვლება დღესაც? რომელ შემთხვევაში აერთიანებს რელიგია საზოგადოებას და პირიქით, რომელ შემთხვევაში ყოფს ის საზოგადოებას? რატომ აქვს რელიგიას ადამიანებისათვის ისეთი დიდი მნიშვნელობა, რომ ისინი ხშირად მზად არიან თავიც კი გასწირონ მისთვის? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა განვსაზღვროთ უფრო ზუსტად, რა არის თვითონ რელიგია და წარმოვიდგინოთ რელიგიის ზოგიერთი არსებული ძირითადი ფორმა.

რელიგიათმცოდნეობაში დავობენ, რელიგიური გრძნობა ადამიანს თანდაყოლილი აქვს, თუ შემდეგ შეძენილი. პლატონი, დეკარტი, კანტი, თვლიდნენ, რომ რელიგიურობა ადამიანის ბუნებაშია, მაგრამ არის საწინააღმდეგო მოსაზრებაც. ანუ, რომ რელიგიურობა არ არის თანდაყოლილი. ჯონ ლოკი ამას იმით ასაბუთებდა, რომ გარკვეულ ასაკამდე ბავშვებს არ აქვთ არავითარი რელიგიური გრძნობა. ამის დასამტკიცებლად ის იშველიებს ცალკეულ ეთნოჯგუფებსაც. მაგალითად ასეთებად ის ასახელებს არც მეტი და არ ნაკლები, მეგრელებს. მისი აზრით, ეს არარელიგიურობა გამოიხატება მათ მიერ საკუთარი შვილების ჭამაში. როგორც ჩანს, ლოკს ყური ჰქონდა მოკრული კოლხი მედეას მერ საკუთარი შვილების დახოცვის მითისათვის და ის ამ მითს იყენებს იმის ვითომ დასამტკიცებლად, რომ უღმერთობა, არარელიგიურობა ზოგიერთ ეთნოსში ახასიათებს არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ მთელ ეთნოსს. ეს „იდეა“ საკმაო ხანს პასუხგაუცემელი იყო, და, მხოლოდ XX საუკუნის შუა პერიოდში გასცა მას დამაჯერებელი პასუხი ქართველმა ფილოსოფოსმა სერგი დანელიამ.[36]

რელიგიურ რწმენათა მრავალფეროვნება იმდენად დიდია და რთული, რომ ყველასათვის მისაღები ერთი რომელიმე განმარტების მოძებნა თითქმის შეუძლებელია. დასავლეთში, ადამიანების უმრავლესობა რელიგიას ქრისტიანობასთან აიგივებს, ანუ რწმენასთან უმაღლესი არსების შესახებ, რომელიც ჩვენ გვაცხოვრებს მორალის მცნებების მიხედვით და გვპირდება საუკუნო სიცოცხლეს.

ამ სირთულის გამო ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, ენტონი გიდენსი, რელიგიის განმარტებას იწყებს იმით, თუ რა არ არის რელიგია.

ის ამბობს, რომ უპირველეს ყოვლისა, რელიგიის გაიგივება არ შეიძლება მონოთეიზმთან (ანუ ერთი ღმერთის რწმენასთან). რელიგიების უმრავლესობა ცნობს მრავალღმერთიანობას. ზოგიერთ რელიგიაში კი, ღმერთი საერთოდ არ არსებობს. აქ ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ, აქ ჩვენ არ ვაფასებთ, რომელია სწორი და რომელი არა. აქ ლაპარაკი იმაზეა, რომ სხვა რწმენები, როგორც რელიგიები, მაინც არსებობდნენ (თუნდაც ქრისტიანულ მოძღვრებამდე) და არსებობენ დღესაც.

მეორე. არ შეიძლება რელიგიის გაიგივება მხოლოდ იმ მორალურ განაწესებთან, რომლებიც მოსეს მცნებებმა განსაზღვრეს და რომელთა მიხედვითაც, ხდება ადამიანების მოქმედების გაკონტროლება. რელიგიების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ღმერთებს არ აინტერესებთ ადამიანების ქცევა დედამიწაზე. მაგალითად, ძველი ბერძნებისათვის ღმერთები გულგრილნი იყვნენ ადამიანთა საქციელისადმი.

მესამე. რელიგია სულაც არ არის დაკავშირებული იმის ახსნასთან, თუ რატომ გახდა სამყარო ისეთი, როგორიც არის. მაგალითად, ჩვენს რელიგიაში არის ადამიანთა მოდგმის დაწყება ადამითა და ევათი. მრავალ რელიგიაში არის სხვა გადმოცემა სამყაროს შექმნის შესახებ, მაგრამ მრავალ სხვა რელიგიაში კი სამყაროს შექმნის შესახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი.

მეოთხე. არ შეიძლება რელიგიის გაიგივება მხოლოდ ზებუნებრივ ძალებთან. მაგალითად, კონფუციონელობა ცნობს და აღიარებს სამყაროს ჰარმონიას და სულ არ მიისწრაფვის ჭეშმარიტება ეძებოს სადღაც სამყაროს მიღმა.[18]

ახლა ვნახოთ, რა არის ენტონი გიდენსის აზრით რელიგია.

რელიგიის სოციოლოგიური განმარტება ყურადღებას ამახვილებს სამ ძირითად ელემენტზე. პირველი ელემენტია რწმენა. რწმენა კულტურის ძირითადი ელემენტია. ბევრი რელიგიური ადამიანისათვის ღმერთის რწმენა ყველაზე მნიშვნელოვანია. მეორე – რელიგია არ არის უბრალოდ ის, რის-

იც ადამიანებს სწამთ, არამედ ისიც, თუ რას აკეთებენ ეს ადამიანები, როგორ იქცევიან ისინი. აქედან გამომდინარე, სოციოლოგია ყურადღებას ამახვილებს სოციალური მოქმედებების პრაქტიკაზე, ანუ სოციალური პრაქტიკის არსებობაზე. ამ მოქმედებების ყველა მნიშვნელოვანი ნაწილია რიტუალები. რელიგია ასევე მითითებას აძლევს ადამიანს, როგორი უნდა იყოს მათი სოციალური მოქმედებები, კონკრეტული ნაბიჯები. მათ უნდა იმოქმედონ ან თავი შეიკავონ რაღაცისაგან, მაგალითად, შეასრულონ ათი მცნება და ა.შ.

მესამე – რელიგიის განსაზღვრებისას სოციოლოგები სვამენ კითხვას: გაჩნდა თუ არა მრევლი? ისინი თვლიან, რომ რელიგია უნდა აერთიანებდეს ადამიანებს სოციალურ სტრუქტურაში და აწესრიგებდეს ურთიერთობას რელიგიით გათვალისწინებული ზნეობრივი სტანდარტების მიხედვით.

გიდენსის აზრით, ის თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია ყველა რელიგიისათვის, შემდეგია:

რელიგია გულისხმობს რაღაც სიმბოლოთა სისტემის არსებობას, რომლებიც იწვევს მოწიწებისა და შიშის გრძნობებსაც კი და რელიგია დაკავშირებულია რიტუალებთან და ცერემონიებთან, რომლებშიც მორწმუნეთა ერთობები იღებენ მონაწილეობას.

მიუხედავად იმისა, რამდენ ღმერთს ცნობს ესა თუ ის რწმენა, ან საერთოდ ცნობს თუ არა მას, პრაქტიკულად ყოველ რელიგიაში არიან პიროვნებები ან საგნები, რომლებიც იწვევენ მოწიწებას, შიშს ან სასწაულის შეგრძნებას. ზოგიერთ რელიგიაში, როგორც ვთქვით, სწამთ ღვთის ძალა, ზოგიერთში კი არსებობენ პიროვნებები, მიწიერი პიროვნებები, რომლებიც არ არიან ღმერთები, მაგრამ მათ მაინც უდიდეს თაყვანს ცემენ. მაგალითად, ბუდა და კონფუცი.

რიტუალები და წესჩვეულებები, რომლებიც ასოცირდება რელიგიასთან, მრავალფეროვანია. ეს არის ლოცვები, ლოცვითი გალობანი, სიმღერა, ცეკვა (როკვა), შერჩევითი კვება ან კვებისაგან საერთოდ თავის შეკავება, მარხვა და ა.შ. რელიგიურ რიტუალებს ადამიანები ასრულებენ აგრეთვე დამოუკიდებლად, მარტოდ მყოფნიც. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, რელიგიური ცერემონიები მიმდინარეობს მრავალი მორწმუნის – ე.წ. მრევლის – მონაწილეობით.

რელიგიური სიმბოლოები და რიტუალები ხშირად ერთიანდება საზოგადოების მატერიალურ და ესთეტიკურ კულტურასთან – მუსიკასთან, მხატვრობასთან, ცეკვასთან და რა თქმა უნდა, ლიტერატურასთან.[18]

როგორია რელიგიის ძირითადი სახესხვაობები.

რელიგიის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ფორმები, რომლებიც განსაკუთრებით პატარა კულტურებში გვხვდება, ეს არის ტოტემიზმი და ანიმიზმი. სიტყვა ტოტემი ჩრდილო ამერიკის ინდიელი ტომისაგან მოდის. ის იხმარებოდა ცხოველთა და მცენარეთა იმ სახეობების აღსანიშნავად, რომლებსაც მიეწერებოდა სხვადასხვა ზებუნებრივი ძალა. ანიმიზმი – ეს არის სულებისა და მოჩვენებების არსებობის რწმენა.

მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებული და გავლენიანია სამი მონოთეისტური რელიგია: იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. საყურადღებოა, რომ სამივე მათგანი ახლო აღმოსავლეთში აღმოცენდა. მათში ყველაზე ძველია იუდაიზმი. ის ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულებით თარიღდება. უფრო ალბათ, მეორე ათასწლეულიდან იღებს სათავეს. ძველი ებარელები მომთაბარეები იყნენ და ცხოვრობდნენ ძველ ეგვიპტესა და მის გარშემო. მათი წინასწარმეტყველები და რელიგიური ბელადები თავიანთ წარმოდგენებს ნაწილობრივ რეგიონში არსებული რელიგიური რწმენებიდან იღებდნენ, მაგრამ განსხვავდებოდნენ იმით, რომ აღიარებდნენ და ემორჩილებოდნენ ერთიან და ყოვლისშემძლე ღმერთს. მათი მეზობლების უმეტესობა იყვნენ პოლითეისტები, ე.ი. მათ გარშემო და მათთან ერთად, ძირითადად მრავალი ღმერთის მაღიარებელი და მორჩილი ხალხი ცხოვრობდა. ძველ ებრაელებს სწამდათ, რომ ღმერთი ითხოვს მკაცრი მორალური კანონებისადმი მორჩილებას და მათი რწმენა ერთადერთ ჭეშმარიტ რწმენად მიაჩნდათ.

შემდეგი იყო ქრისტიანობა. ქრისტიანობაში გადაღებული და ჩართულია იუდაიზმის ბევრი ცნება. იესო ქრისტეს მისი მოწაფეები აღიქვამდნენ, როგორც მესიას, რომელსაც ელოდნენ ებრაელები. მესია ძველებრაულად ნიშნავს უფლისაგან ცხებულს, ხოლო ბერძნულად მას შეესაბამება სიტყვა ქრისტე.

ქრისტიანული რელიგიის სამ ძირითად მიმართულებას განიხილავენ – მართლმადიდებლობას, კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმს.

მსოფლიოში მეორე ყველაზე მსხვილი რელიგიაა ისლამი. დღეს მსოფლიოში დაახლოებით 1 მილიარდ 300 მილიონი მუსულმანია, დაახლოებით 21%-მდე. ქრისტიანები 34%-მდე არიან – 2,1 მილიარდი. აქედან დაახლოებით 1 მილიარდი კათოლიკეა, 400 მილიონამდე – პროტესტანტი და 200 მილიონამდე – მართლმადიდებელი. ეთნიკური რელიგიების მიმდევრებში გამოირჩევიან ინდუიზმის მაღიარებლები – დაახლოებით 900 მილიონი. ბუდისტები 380 მილიონამდეა, იუდეისტური რელიგიის დაახლოებით 18 მილიონი მიმდევარია. ადგილობრივი რელიგიების – 300 მილ-

იონი. იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც არ სწამთ, დაახლოებით 915 მილიონია, ხოლო ათეისტები – 1,100 მილიონი.

პროცენტულად ეს მაჩვენებლები დაახლოებით ასე გამოიყურება: ქრისტიანობა – 34%; ისლამი – 21%; ბუდიზმი – 6%; იუდაიზმი – 0,2%; ჩინური ტრადიციული – 6%.

როგორია მათი დინამიკა. ბოლო 15 წლის მანძილზე თითქმის 5%-ით გაიზარდა მუსლიმების რაოდენობა, ხოლო 3%-ით – ინდუისტების წილი ყველა რელიგიის აღმსარებელთა შორის. ამ ფაქტის ახსნა იმითაც შეიძლება, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ეს რელიგიებია, აღინიშნება მოსახლეობის ყველაზე დიდი ბუნებრივი მატება. გარდა ამისა, ისლამი აქტიურად მიიწევს აფრიკის სამხრეთით, მის ტროპიკულ ნაწილში, ხოლო ინდუიზმი ვრცელდება ინდოეთის სხვადასხვა ტომში.

საინტერესოა, რომ აფრიკაში (საჰარიდან სამხრეთით) მნიშვნელოვნად გაიზარდა ქრისტიანთა და მუსულმანთა რაოდენობა ადგილობრივი ტრადიციული რელიგიების ხარჯზე. ლათინურ ამერიკაში იზრდება პროტესტანტთა რიცხვი.

გავრცელების ფართო გეოგრაფიული არეალი აქვს კათოლიციზმს, ასევე პროტესტანტიზმს (ჩრდილოეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში). უფრო შეზღუდულია მართლმადიდებლობის გავრცელების არეალი (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები – საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, მაკედონია, კვიპროსი, მონტენეგრო, სერბეთი).

გავრცელების არეალის თვალსაზრისითაც მეორე ადგილზეა ისლამი. ის ძირითადად აფრიკისა და აზიის ტერიტორიებით შემოიფარგლება.

ითვლება, რომ ისლამის წარმოშობა, მნიშვნელოვნად ემთხვევა ქრისტიანობის წარმოშობას. ისლამის ფუძემდებელია წინასწარმეტყველი მუჰამედი, რომელიც VII საუკუნეში ცხოვრობდა. ისლამის ერთიანი ღმერთი ალაჰი, როგორც ისინი თვლიან, ბატონობს ყველა ადამიანის სიცოცხლეზე და მთელ ბუნებაზე.

არსებობს რელიგიათა სოციოლოგიური თეორიები. მოკლედ შევეხოთ მათაც. ისინი დაკავშირებულია სამ სახელთან: კ. მარქსთან, ე. დიურკჰეიმთან და მ. ვებერთან.

მარქსი და რელიგია. მარქსი მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა ფოიერბახს, რომლის მიხედვით, რელიგია შედგება იმ ცნებებისა და ღირებულებებისაგან, რომლებიც შექმნეს ადამიანებმა თავისი კულტურის განვითარების პროცესში, მაგრამ რომლებიც შეცდომით მიეწერება ღვთაებრივ ძალებსა და ღმერთებს. მარქსი თვლიდა, რომ რელიგია – ეს ადამიანის

თვითადმკვიდრებაა. ის თვლიდა, რომ თანამედროვე ფორმით არსებული რელიგია უნდა გაქრეს და ის გაქრება კიდეც. მარქსს ეკუთვნის ცნობილი სიტყვები „რელიგია ხალხის ოპიუმია“. რელიგია გადადებს ადამიანების ბედნიერებას შემდეგისათვის – საიქიო ცხოვრებისათვის, ამ ცხოვრებაში კი ის ადამიანებს ასწავლის მოთმინებით მიიღონ და დაემორჩილონ ცხოვრების არსებულ წესებს. ამით ის თვლიდა, რომ ყურადღება უსამართლობისა და უთანასწორობიდან გადააქვთ იმ ქვეყნად ცხოვრების იმედზე. ამის გამო, მარქსი რელიგიას მჩაგვრელთა იდეოლოგიის კომპონენტად თვლიდა.

ე. დიურკჰეიმი და რელიგიური რიტუალი. მარქსისაგან განსხვავებით, ის რელიგიას არ აკავშირებს უშუალოდ სოციალურ უთანასწორობასთან ან ხელისუფლებასთან, მაგრამ თვლის, რომ ის კავშირშია საზოგადოებრივი ინსტიტუტების საერთო ბუნებასთან. დიურკჰეიმი ხაზს უსვამდა, რომ რელიგია უბრალო რწმენა არ არის. ნებისმიერი რელიგია გულისხმობს რეგულარულ ცერემონიებსა და რიტუალებს, რომლებშიც მონაწილეობას იღებს მორწმუნეთა მთელი ჯგუფი, რომელიც ერთად არის შეკრებილი. ასეთ კოლექტიურ ცერემონიებში კი ძლიერდება სოლიდარობის გრძნობა. რიტუალებს ადამიანები გამოყავთ ყოველდღიური საფიქრალიდან და პრობლემებიდან, სოციალური ცხოვრების საზრუნავიდან და გადაყავთ ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც ადამიანები კონტაქტს გრძნობენ უმაღლეს ძალებთან. ეს უმაღლესი ძალები კი, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, ტოტემი თუ ღმერთი, სინამდვილეში არის კოლექტიური საწყისის გავლენა ინდივიდუალურ საწყისზე. რიტუალები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ჯგუფის წევრთა გაერთიანებაში. რიტუალების გავლენა, დიურკჰეიმის აზრით, სწორედ ამის გამო ვლინდება არა მხოლოდ ღვთისმსახურების დროს, არამედ ყოველ კრიზისულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, იქნება ეს სამგლოვიარო რიტუალები, თუ საზეიმო და საქორწილო რიტუალები. მაგალითად, დაკრძალვის რიტუალები იმის დემონსტრირებაა, რომ კონკრეტული ადამიანის გარდაცვალებასთან ერთად არ კვდება ის ღირებულებები, რომლებიც მოცემულ ჯგუფს გააჩნია და ამით ის ეხმარება გარდაცვლილის ახლობლებს კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ამ ღირებულებებს და შეეგუონ თავიანთ ახალ მდგომარეობას. ტრაური, ეს არის არა სპონტანური მწუხარება, არამედ ვალი, რომელსაც თავს ახვევს ჯგუფი.[18]

ე. დიურკჰეიმი თვლის, რომ რელიგია ეს არის არა მხოლოდ რაღაც შეხედულებებისა და მოქმედებების ჯამი, არამედ სინამდვილეში ის განაპირობებს ადამიანის აზროვნების წესს. აზროვნების ისეთი ფუნდამენტური

კატეგორიებიც კი, როგორიც არის დრო და სივრცე, პირველად რელიგიურ ტერმინებში იყო ფორმულირებული.

დიურკჰეიმიც თვლის, რომ თანამედროვე საზოგადოების განვითარების კვალობაზე, რელიგიის გავლენა შეიცვლება და სოციალურ მოქმედებებს მეცნიერება შეზღუდავს. მაგრამ, ამავე დროს, დარჩება უამრავი ფუნქცია, რომელშიც რელიგია მთავარ როლს შეასრულებს.

მაქს ვებერი. მ. ვებერმა მთელ მსოფლიოში პირველად დაიწყო რელიგიის მასშტაბური შესწავლა (მარქსი საერთოდ არ სწავლობდა, დიურკჰეიმი კი, მხოლოდ ვიწრო ჯგუფებსა და მცირე მაგალითებზე სწავლობდა). სწორედ მან შემოიღო ტერმინი – მსოფლიო რელიგიები, რომელთაც მთელ მსოფლიოში დიდი რაოდენობით მიმდევარი ჰყავთ და რომელთაც დიდი როლი შეასრულეს მსოფლიო პროცესებისა და მოვლენების განვითარებაში. დიურკჰეიმისაგან განსხვავებით, ის ყურადღებას ამახვილებდა რელიგიებსა და საზოგადოებაში ცვლილებებს შორის კავშირზე. მარქსისაგან განსხვავებით კი, ის სულაც არ თვლიდა რელიგიას კონსერვატიულ ძალად, არამედ თვლიდა, რომ რელიგიით შთაგონებულ ძალებს დიდი საზოგადოებრივი ცვლილებებისა და პროგრესის გამოწვევა შეუძლიათ.

ქრისტიანობას ვებერი იხილავს, როგორც ხსნის რელიგიას, რომელიც გამომდინარეობს იქედან, რომ თუ ადამიანები მიიღებენ რელიგიის დოგმატებს და დაიცავენ მის მორალურ პრინციპებს – გადარჩებიან. აქ მნიშვნელოვანია ცოდვის ცნება და იმის რწმენა, რომ ღვთის წყალობით შეიძლება ცოდვილობისაგან თავის დახსნა. ეს ცნებები და ამის შეგნება კი ბადებს დაძაბულობასა და ემოციურ დინამიზმს. „ხსნის“ რელიგიას ამ თვალსაზრისით, თავისი დინამიზმის წყალობით აქვს „რევოლუციური ასპექტიც“. თუ აღმოსავლური რელიგიები მოუწოდებენ უფრო მეტი პასიურობისაკენ არსებული წესების მიმართ, ქრისტიანობა გულისხმობს ბრძოლას ცოდვების, ნაკლოვანებების წინააღმდეგ და შეიძლება სტიმულიც კი იყოს არსებული წყობილების და წესების მიმართ ბუნტარული დამოკიდებულების. მათი მოქმედებები და ახალი დოქტრინები სერიოზულ გამოწვევადაც კი იქცვა ხოლმე არსებული ხელისუფლებისათვის.[18]

რელიგიის სოციოლოგიაში არის ისეთი პრობლემები, როგორიც არის რელიგია და სეკულარიზაცია. სეკულარიზაცია არის პროცესი, როდესაც რელიგია კარგავს თავის გავლენას სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ფორმაზე.

ცალკე თემა და უდიდესი პრობლემაა რელიგიური ფუნდამენტალიზმი, მაგრამ ჩვენ ამ საკითხებზე არ შევჩერდებით.

9.7. მსოფლიოს მოსახლეობის განსახლება და ტერიტორიული განლაგება.

ადრე ჩვენ ვისაუბრეთ მიგრაციებზე, მათ სახეებსა და მოტივაციებზე. შევეხეთ საერთაშორისო მიგრაციულ პროცესებსაც. ამ თავში გვინდა კიდევ უფრო დეტალურად გავაგრძელოთ საუბარი საერთაშორისო მიგრაციების შესახებ. უკანასკნელ ხანს საერთაშორისო მიგრაციების განსაკუთრებული ზრდის მიზეზი, ალბათ, გლობალიზაციის პროცესის სულ უფრო მეტად გაფართოება და განვითარებაა. სხვადასხვა გაანგარიშებით, ბოლო 50 წლის განმავლობაში მიგრანტთა რაოდენობა მსოფლიოში თითქმის 3-ჯერ გაიზარდა და დღეს 200 მილიონს აჭარბებს (თანაც, მხოლოდ ლეგალურ მიგრანტთა რაოდენობა). საინტერესოა, როგორ იცვლებოდა მიგრანტთა ვექტორები. თუ 1960-იან წლებში და 1970-იანი წლების პირველ ნახევარში საერთაშორისო მიგრანტთა დიდი უმრავლესობა განვითარებად ქვეყნებში ჩადიოდა, 1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან 1990-იან წლებამდე, განვითარებულმა და განვითარებადმა ქვეყნებმა მიგრანტთა დაახლოებით ერთი და იგივე რაოდენობა მიიღეს. ხოლო 1990-იანი წლებიდან სიტუაცია კიდევ უფრო მკვეთრად შეიცვალა და დღევანდელი დღის ჩათვლით, გაცილებით ბევრი ადამიანი განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში ჩადის (დაახლოებით მსოფლიოს მიგრანტთა თითქმის 80%).

კონტინენტებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ევროპა, სადაც მიგრანტთა რაოდენობამ დღეისათვის მთელი მოსახლეობის თითქმის 10% შეადგინა. ჩრდილოეთ ამერიკაში მიგრანტთა რაოდენობამ თითქმის 15%-ს მიაღწია.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მასობრივი იმიგრაციების ქვეყნების რიცხვი. 1960 წელს იმიგრანტები მსოფლიოს მხოლოდ 30 ქვეყანაში იყო დაფიქსირებული, ხოლო დღეს ასეთი ქვეყნების რიცხვი უკვე დაახლოებით 70-მდეა.

მიგრაციის მიზეზი სხვადასხვაა. მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, შრომითი, განათლების მისაღებად და ა.შ. ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა სხვადასხვა საომარი მოქმედებებისა და კონფლიქტების შედეგად წარმოშობილი ლტოლვილების რიცხვი. ეს ტენდენცია სულ უფრო დიდი საფრთხის შემცველ ხასიათს ღებულობს.

მიუხედავად ამ უმნიშვნელოვანესი მიზეზებისა, ვფიქრობთ, როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაშიც, ასეთი დიდი მიგრაციული პროცესების და

აქედან გამომდინარე, მკვიდრი ერების წინაშე გაჩენილი გლობალური საფრთხის ძირითადი მიზეზია ამ ერებსა და ქვეყნებში შობადობის ვარდნის მკვეთრად გამოხატული ტენდენციები. შობადობის მკვეთრ (და ზოგიერთი ქვეყნისათვის კატასტროფულ) ვარდნას კი თავისი მიზეზები აქვს, რომელზეც დღეს უკვე მწვავედ ლაპარაკობენ როგორც ევროპელი, ასევე ამერიკელი დემოლოგები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები თუ პოლიტიკოსები. ასეთ ტენდენციას სულ უფრო მეტად უკავშირებენ ე.წ. „დასავლურ კულტურულ რევოლუციას“. მის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ.

ახლა განვიხილოთ მსოფლიოს მოსახლეობის განსახლების საკითხები.

განსახლება წარმოადგენს გეოგრაფიიის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს. განსახლება რთული და მრავლის მომცველი მოვლენაა. მასზე ზეგავლენას ახდენს ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. სწორედ ეს ფაქტორები იწვევს მოსახლეობის გადაადგილებას სხვადასხვა ტერიტორიაზე და მათ იქ დასახლებას.

ეს პრობლემები კარგად აქვთ შესწავლილი აკად. ვ. ჯაოშვილს და პროფ. გ. გოქსაძეს.

ვ. ჯაოშვილი განმარტავს, განსახლება არის დასახლებების ერთობლიობა, ე.ი. საზოგადოებრივი ორგანიზაციის ტერიტორიული ფორმა. მაშასადამე, განსახლების შესწავლის ობიექტს წარმოადგენს დასახლებები და მათი ერთობლიობა განსახილველ ტერიტორიაზე. დასახლება ის ადგილია, სადაც ადამიანი ცხოვრობს. დასახლებას აქვს საზღვრები, ზოგჯერ მკაფიოდ განსაზღვრული, ზოგჯერ კი ზუსტად დაუდგენელი. დასახლებას ასევე აქვს თავისი მატერიალური მხარე – შენობა-ნაგებობები. ე.ი. დასახლებების ძირითადი ნიშნებია: მოსახლეობა, საზღვრები და შენობა-ნაგებობები, ინფრასტრუქტურა.

დასახლებები ერთმანეთისაგან განსხვავდება გეოგრაფიული მდებარეობით, განაშენიანების ტემპით, მოსახლეობის რაოდენობით, ადმინისტრაციული სტატუსით, ფუნქციებით და ა.შ.

განასხვავებენ მუდმივ და დროებით დასახლებებს. დროებითი დასახლებები შეიძლება იყოს მოძრავი, მოკლევადიანი, დროებითი და ა.შ.

არის განსხვავება სამართლებრივი თვალსაზრისითაც. ყველა დასახლებას აქვს თავისი სამართლებრივი სტატუსი: ქალაქი, სოფელი, დაბა და ა.შ.

მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ჯერ კიდევ სასოფლო დასახლებაში ცხოვრობს. მსოფლიოში 20 მილიონზე მეტი სასოფლო დასახლებაა. სხვადასხვა კონტინენტსა და ქვეყანაში სასოფლო დასახლებათა სხვადასხვა ტიპი არსებობს.

ძალიან მნიშვნელოვანია საქალაქო დასახლებათა ტიპი და მთელ მსოფლიოში მათი განვითარების უაღრესად მაღალი ტემპი. დღეს ურბანიზაცია განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარებადი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მოვლენაა. ის უძველესი მოვლენაა და სათავეს ჯერ კიდევ მონათმფლობელური ეპოქიდან იღებს.

პირველი ქალაქები ეგვიპტეში გაჩნდა ჩვ. წელთაღრიცხვამდე მე-3 ათასწლეულში. ამერიკელი მეცნიერი თ. ჩანდლერი თავის გამოკვლევებში ასკვნის, რომ მსოფლიოში ყველაზე ადრე ქალაქი მემფისი დაარსდა ეგვიპტეში და ის დაახლოებით 3 ათას მცხოვრებს ითვლიდა. შემდეგი ათასწლეულების განმავლობაში დიდი ქალაქები აღმოცენდა დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე. მაგალითად, ქალაქ ბაბილონის მოსახლეობა ჩვ. წელთაღრიცხვამდე 612 წელს დაახლოებით 200 ათასი იყო.

ურბანიზაციამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნის ბოლოდან მიიღო.

მე-20 საუკუნეში, მსოფლიოს ქალაქების მოსახლეობის რიცხვი 220 მილიონიდან 2,8 მილიარდამდე გაიზარდა, ანუ 12,7-ჯერ, ამ პერიოდში, მსოფლიოს მოსახლეობა კი 5-ჯერ. ხომ დიდი იყო მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და ჩვენ მას დემოლოგიურ აფეთქებას ვუწოდებთ, მაგრამ როგორც ვხედავთ, ქალაქების რაოდენობის ზრდის ტემპი მასზე გაცილებით უფრო მაღალია. ე.ი. სახეზეა ურბანიზაციის მკვეთრი ზრდა, ბუმი. დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი, დაახლოებით 3,5 მილიარდი ქალაქად ცხოვრობს. არის პროგნოზი, რომ 2030 წლისათვის ეს რიცხვი 5 მილიარდს მიაღწევს.

იზრდება ასევე, დიდი ქალაქების რაოდენობა. თუ მილიონიან ზღვარს ქალაქის მოსახლეობამ მხოლოდ მე-19 საუკუნეში გადააჭარბა, დღეს ასეთი ქალაქების რიცხვმა უკვე 2 ათასს გადააჭარბა. შეიქმნა მეგაპოლისები. ტოკიოში დაახლოებით 27 მილიონი ცხოვრობს. ასევე იქმნება საქალაქო აგლომერაციები (რამდენიმე ქალაქის და დასახლებული პუნქტის შერწყმა ერთ დიდ ქალაქად). მაშასადამე, ქალაქებისათვის დამახასიათებელია არა მარტო მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, არამედ ტერიტორიების გაფართოება და ზრდაც. ქალაქები იკავებენ მოსაზღვრე ტერიტორიებსაც, რომლებიც მათ გარეუბნებს წარმოადგენს. ამ პროცესს სუბურბანიზაციას უწოდებენ („სუბ“ – ინგლისური სიტყვის – suburb – გარეუბანი – შემოკლებული ვარიანტი). ქალაქის საზღვრებში ექცევა ასევე მათ მახლობლად მდებარე სასოფლო დასახლებები. ამ პროცესს რურურბანიზაციას უწოდებენ („რურ“ – ინგლისური სიტყვის – rural – სასოფლო – შემოკლებული ვარიანტი).

ახლა მოკლედ შევეხოთ მსოფლიოს მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებას.

კარგად არის ცნობილი, რომ მსოფლოს მოსახლეობა არათანაბრად არის განაწილებული დედამიწის ზედაპირზე. მისი 80% ცხოვრობს აღმოსავლეთ ნახევარსფეროში, ხოლო 20% დასავლეთ ნახევარსფეროში კიდევ უფრო მეტია სხვაობა ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებს შორის შესაბამისად, – 90% და 10%.

მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაზე მოქმედებს ბუნებრივ-გეოგრაფიული, კლიმატური, დემოლოგიური პირობები, მიგრაციული პროცესები, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები და ა.შ.

განსახლების სისტემაში მოსახლეობის რაოდენობის დასახასიათებლად იყენებენ მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელს. იგი გვიჩვენებს, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობს საშუალოდ 1 კვადრატულ კილომეტრზე. ცხადია, მის გასაანგარიშებლად მოსახლეობის რაოდენობა უნდა გავყოთ იმავე ტერიტორიის ფართობზე.

მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა (1 კმ^2-ზე 100-ზე მეტი ადამიანი) მხოლოდ ევროპისა და აზიის რეგიონები, განსაკუთრებით, განსახლების ტრადიციული რეგიონები: სამხრეთ ევროპა, აღმოსავლეთ აზია, სამხრეთ აზია და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია.

მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით, მთელი მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 61% მხოლოდ 11 ქვეყანაში ცხოვრობს. ჩინეთსა და ინდოეთში კი, მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის 40% ცხოვრობს. მოსახლეობის ტერიტორიულ განაწილებაზე და სიმჭიდროვეზე რა თქმა უნდა, მოქმედებს მოსახლეობის გამრავლების მაჩვენებლები და ტენდენციები.

ადრე აღვნიშნეთ, რომ მოსახლეობის გამრავლების ტემპები და ზრდის ტენდენციები განსაკუთრებით დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის (პლანეტის მოსახლეობის ზრდის 97% განვითარებად ქვეყნებზე, ხოლო მხოლოდ 3% – განვითარებულ ქვეყნებზე მოდის). გაეროს პროგნოზით, 50 წლის განმავლობაში განვითარებადი სამყაროს მოსახლეობა 60%-ით მოიმატებს, ხოლო განვითარებულის – დაახლოებით მხოლოდ 4,5%-ით. ასევე, 2050 წელს პლანეტის მოსახლეობის 85-90% განვითარებად ქვეყნებში იცხოვრებს. რა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო შეცვლის და დაამძიმებს ვითარებას მოსახლეობის განსახლების ტრადიციულ არეალებში.

ახლა მსოფლიოს მოსახლეობის განვითარების ტენდენციების უფრო დეტალური განხილვა დავიწყოთ ცალკეული კონტინენტების მიხედვით.

თავი X. მსოფლიოს მოსახლეობის განვითარების ტენდენციები ცალკეული კონტინენტების მიხედვით.

10.1. ევროპის მოსახლეობა. დემოლოგიური ქცევის ახალი მოდელი ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში

მსოფლიოს მოსახლეობის განვითარების ტენდენციების განხილვისა და გააზრების დროს, მსოფლიოს დემოლოგიური პროცესების ტენდენციებს უფრო ხშირად განიხილავენ ცალკეული მსხვილი რეგიონის მიხედვით. ამ დროს ცალკეული რეგიონის განხილვისას ითვალისწინებენ იმას, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავისი უნიკალური კულტურული, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურა, განსხვავებული პოლიტიკური, ოჯახური თუ სხვა ტრადიციები. ეს თავისებურებები უაღრესად მნიშვნელოვანია და ისინი წარმოადგენს ცალკეული რეგიონის დემოლოგიური განვითარების ავტონომიურ წყაროს.

რეგიონალური დემოლოგიის განხილვისას, თანამედროვე კვლევებში ორი მიდგომა იკვეთება. 1. ცალკეული რეგიონის დემოლოგიური განვითარება განიხილოს, მხოლოდ როგორც გლობალური კანონზომიერების ასახვა; 2. დემოლოგთა ნაწილის აზრით კი, ასეთი მიდგომა ცალმხრივია და გლობალურთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს დემოლოგიური ცვლილებების რეგიონალურ წყაროებს. ამიტომ ისინიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული დემოლოგიის თანამედროვე თეორიაში. ამავე დროს, თვლიან, რომ გლობალური და რეგიონალური დემოლოგიური განვითარების საკითხი სულაც არ არის მხოლოდ აკადემიური განხილვის საგანი. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული აგრეთვე, სოციალური და დემოლოგიური პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებასთან. ეს კი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა.

სხვადასხვა კონტინენტის მოსახლეობის განვითარების ტენდენციების განხილვა აუცილებლად უნდა დავიწყოთ ევროპის მოსახლეობით. თანაც, მოსახლეობის დემოლოგიური ქცევა, მისი მოდელები, აქედან გამომდინარე დემოლოგიური პროცესები და შესაბამისი დემოლოგიური პოლიტიკა განსხვავებულია თვით ევროპის შიგნითაც. მაგალითად, ერთმანეთისგან განსხვავდება დემოლოგიური ქცევის მოდელები დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში, სამხრეთ ევროპაში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. წარმოიდგინეთ, ის ყველასგან განსხვავებულია დიდ ბრიტანეთში.

დემოლოგიური ქცევის ახალი მოდელის განხილვა დავიწყოთ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების (დანია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, ისლანდია) და დასავლეთ ევროპის ქვეყნების (ავსტრია, ბელგია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, შვედეთი) მოსახლეობის განვითარების განხილვით. აქ არ დავასახელეთ იტალია და ესპანეთი, რადგან მათ სამხრეთ ევროპაში განვიხილავთ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები უპირატესობას ანიჭებდნენ ამ მხარისათვის დამახასიათებელი ოჯახური ცხოვრების ტრადიციას. ამ წლებში ე.წ. „ნორმალურ“ ოჯახებში ოჯახის მარჩენალის ძირითადი ფუნქცია მამაკაცს ჰქონდა აღებული, ხოლო ქალი პროფესიულ საქმიანობაზე მეტ უპირატესობას ოჯახში საკუთარ როლს ანიჭებდა. 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოვლენები სხვაგვარად იწყებს განვითარებას. ქალებმა თავისი ცხოვრებისეული გეგმების სათავეში დააყენეს პირადი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა. ამავე დროს, მნიშვნლოვნად შესუსტდა ქორწინებისადმი ტრადიციული მიდგომა. ქორწინების გარეშე კავშირი ისეთივე ჩვეულებრივ ნორმად იქცა, როგორც ქორწინებითი კავშირი. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა პრაქტიკულად გაუთანაბრდა ქორწინების დროს დაბადებულ ბავშვთა რაოდენობას. ასეთი ცვლილებების განხილვა ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის მაგალითზე დემოლოგებს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნიათ იმის გამო, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე მთელს მსოფლიოში, სწორედ აქედან ვრცელდებოდა კულტურული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ინოვაციები. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად ისმება საკითხი, არის თუ არა დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის მოსახლეობის თანამედროვე დემოლოგიური ქცევა, დანარჩენი მსოფლიოს მომავალი დემოლოგიური ქცევის წინასახე. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, პირველ რიგში სწორედ ამ რეგიონის დემოლოგიური ქცევის განხილვა, ამ განხილვას კი, ყოველთვის უკანასკნელ ათწლეულებში მათ დემოლოგიურ ქცევაში ცვლილებების, სტატისტიკური მახასიათებლების ანალიზით იწყებენ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დემოლოგიური მოვლენა, რომელსაც აანალიზებენ, არის ქორწინება და შვილების გაჩენა ქორწინების გარეშე. XX საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლები დასავლეთ ევროპაში ცნობილია, როგორც ქორწინების „ოქროს ხანა“. ქორწინება, როგორც სოციალური ინსტიტუტი, ამ პერიოდში მოიცავდა მოსახლეობის უმეტეს ნაწილს. ამასთან,

პირველ ქორწინებაში შედიოდნენ შედარებით ახალგაზრდა ასაკში (ქალები – დაახლოებით 23 წლის, ხოლო მამაკაცები – დაახლოებით 25 წლის). დღეს დემოლოგებს მიაჩნიათ, რომ ქორწინების „ოქროს ხანა“ კარგა ხანია გავიდა. ქალებისათვის მოიმატა პირველ ქორწინებაში შესვლის ასაკმა. მაგალითად, თუ დანიაში 1970 წლისათვის ეს ასაკი 22,8 წელი იყო, 1999 წლისათვის ის 29,7 წელი გახდა. ნიდერლანდებში, კი შესაბამისად, 22,9-დან 27,7 წლამდე გაიზარდა. რა თქმა უნდა, ამან მნიშვნელოვნად შეამცირა შობადობა. ამას დაემატა 1960-იანი წლების ე.წ. „კონტრაცეპციული რევოლუცია“, რომელმაც კიდევ უფრო მნიშვნელოვნად შეამცირა შობადობა.

XX საუკუნის ბოლოსთვის, დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში პირველი მშობიარობა სულ უფრო მოგვიანებით ხდებოდა, ხოლო მეორე და მესამე – სულ უფრო იშვიათი. 1982 წელს, იმ ქალის ასაკი, რომელმაც პირველი ბავშვი შვა, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში 27 წელი იყო. შვედეთში – 28 წელი. 2000 წლისათვის ამ ასაკმა დაახლოებით კიდევ ორი წლით მოიმატა და შესაბამისად, 29 და 30 წელი გახდა. დღეს ეს ასაკი უკვე 31-32 წელია.

აღნიშნული მოვლენებიც არის იმის მიზეზი, რომ ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში შობადობის დონე ვერ უზრუნველყოფს მშობლების თაობის რაოდენობრივ ჩანაცვლებას ბავშვების რაოდენობით. ცნობილია, რომ ასეთი ჩანაცვლების უზრუნველსაყოფად, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი არ უნდა ჩამოვიდეს 2,1-ის ქვემოთ.

ყველაფრის მიუხედავად, შობადობის დონე ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში შესამჩნევად უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში. ევროკავშირში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2014 წელს ისლანდიაში 2,1 იყო, ირლანდიაში – 2,0; საფრანგეთში – 2,0; დანიაში – 1,9; ფინეთში – 1,9. ყველაზე დაბალი, მრავალი წლის განმავლობაში იყო ავსტრიაში – 1,5 და გერმანიაში – 1,4. მაგრამ ეს მაჩვენებლებიც კი, უფრო მაღალია, ვიდრე შობადობის დონე პოსტსოციალისტურ ქვეყნებში (აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის) და სამხრეთ ევროპაში – იტალიასა (1,5) და ესპანეთში (1,5). შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2014 წელს მსოფლიოში იყო 2,5. უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში – 1,7; ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში – 2,6; ყველაზე ნაკლებად განვითარებულში – 4,2. საჰარის სამხრეთ აფრიკაში – 4,8; აღმოსავლეთ ევროპაში – 1,8; საქართველოში – 1,8.

შემდეგი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სიცოცხლის ხანგრძლივობა და მოკვდაობა.

განსახილველი რეგიონის ყველა ქვეყანაში, XX საუკუნის მეორე ნახევარში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა პრაქტიკულად განუწყვეტლივ იზრდებოდა. საფრანგეთში მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა XX საუკუნის მეორე ნახევარში გაიზარდა 12 წლით, ქალების – 13 წლით. შვედეთში, შესაბამისად, 8 და 10 წლით. დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყანაში – 1-2 წლით მეტია, ვიდრე აშშ-ში და მხოლოდ უფრო ნაკლებია, ვიდრე იაპონიაში. ეს მაჩვენებლები ჩვენ უკვე განვიხილეთ.

ეს გამოიწვია ალბათ იმანაც, რომ დასავლეთ ევროპაში მკვეთრად დაეცა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა. მაგალითად, საფრანგეთში 1960-იანი წლების შუა პერიოდისათვის, ანუ 40 წლის შემდეგ ის 3,9%-მდე დაეცა. დღეს, ზოგიერთი მონაცემით, ის 3,5%-ია.

საინტერესოა ცვლილებათა ისტორიულ-ინსტიტუციონალური ანალიზი. შეიძლება ითქვას, სოციოლოგიური ანალიზი.

იმ დემოლოგიური ცვლილებების საფუძვლად, რომლებმაც ასე ძლიერ შეცვალა ევროპელების ცხოვრება, იდო ევროპული საზოგადოებების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების ძირეული ცვლილებები.

1960-იანი წლების შუა პერიოდამდე, სახელმწიფო, როგორც სოციალური ინსტიტუტი, ჯერ კიდევ ცდილობდა გამოსულიყო მორალური ღირებულებებისა და წესების დამცველად, აკონტროლებდა მოქალაქეთა სექსუალურ და რეპროდუქციულ ქცევას. აკრძალული, ან მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო აბორტი, კონტრაცეპტივების პროპაგანდა და გაყიდვა. რაც შეეხება განქორწინებას, ის იყო უაღრესად გართულებული და ხანგრძლივ პროცედურებთან დაკავშირებული. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში იწყება ეკონომიკური ზრდა, ხდება მასობრივი შეგნების დემილიტარიზაცია – ომის შემდგომ დაბადებული ახალგაზრდობა თვლის, რომ წვევამდელთა გაფართოებული გამრავლება სულაც არ არის ის, რაც მას სჭირდება. ამ მხრივ, ახალგაზრდობაში პოპულარული ხდება ნეომარქსისტული სკოლის წარმომადგენლების – ლუკაჩის, ადორნოს, მარკუზესა და სხვათა იდეები. სექსუალურ და რეპროდუქციულ ქცევაზე კონტროლი კარგავს მორალურ გამართლებას. ახალგაზრდობას მოსწონს მარკუზეს ლოზუნგი – „დავკავდეთ სექსით და არა ომით!“ ახალგაზრდობა ხმამაღლა აცხადებს ამას და ეს ხდება პარიზში 60-იანი წლების მეორე ნახევარში სტუდენტური ბარიკადების აღმართვის ერთ-ერთი მიზეზიც. მართალია, მაშინ ყველაფერი მალე და მშვიდობიანად დამთავრდა და ახალგაზრდები არდადეგებზე სახლებში წავიდნენ. 1968 წლის სტუდენტური რევოლუ-

ცია თითქოს მარცხით დამთავრდა, მაგრამ შემდეგ ათწლეულებში, ბევრი რამ, რისი მოპოვებისთვისაც ახალგაზრდობა იბრძოდა, განხორციელებას იწყებს და თანაც სახელმწიფოს ყველაზე აქტიური მხარდაჭერით: განქორწინება მარტივდება, აბორტი ლეგალური ხდება, უქმდება კონტრაცეპტივების აკრძალვა და პირიქით, იწყება მისი პროპაგანდა, სტუდენტ ვაჟებს ნებას რთავენ შევიდნენ გოგონების საერთო საცხოვრებელში და პირიქით. ამასთან, საზოგადოება სულ უფრო მდიდრდება, ეგუება ახალ გარემოებებს, ძლიერდება სოციალური სახელმწიფო (welfare state), ჩნდება სულ უფრო ახალი და სრულყოფილი სამედიცინო პრეპარატები და ტექნოლოგიები. მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად, ჩნდება ბევრი საგანგაშო რამ. ძველ, უკვე ნაცნობ, გარკვეულად გადაწყვეტილ პრობლემებთან ერთად, მოდის ახალი, თანამედროვე და მომავალი ეპოქის მანამდე უცნობი პრობლემები, რომლებიც უკვე აშინებს საზოგადოებას.

მაგრამ მაინც, დიდი ცვლილებები უკვე მოხდა. მრავალი მკვლევარი აკეთებს დასკვნას, რომ 1960-იანი წლების ახალგაზრდულმა მღელვარებებმა მთავრობებს უბიძგა დემოლოგიურ სფეროში კანონმდებლობის ლიბერალიზაციისკენ. ახალგაზრდული მღელვარებები იყო მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც თან ახლდა დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების გადასვლას ახალ საზოგადოებაში, რომელსაც დღემდე არ აქვს საყოველთაოდ მიღებული ერთი დასახელება. მაგალითად, 1967 წელს ფრანგმა გი დებორმა ამ საზოგადოებას „სპექტაკლის საზოგადოება“ დაარქვა. გი დებორი იყო 1968 წლის მოვლენების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და კრიტიკულად განწყობილი ინტელექტუალების ერთ-ერთი აქტიური ჯგუფის წევრი, რომლებმაც თავის თავს „სიტუაციონისტური ინტერნაციონალი“ დაარქვეს. შემდეგ წამოვიდა საზოგადოების სხვა დასახელებები: „პროგრამირებადი საზოგადოება“, „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“, „ინფორმაციული საზოგადოება“, „პოსტმოდერნის ეპოქის საზოგადოება“, „რისკის საზოგადოება“, „ინდივიდუალიზებული საზოგადოება“ და ა.შ. მათ ერთი საერთო აქვთ – ყველა დასახელება სიმბოლურად გამოხატავს წინა ეპოქასთან კავშირის გაწყვეტას; ინდუსტრიული კაპიტალიზმის ეპოქის სულიერ ღირებულებებთან და იდეალებთან გამომშვიდობებას.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლა თავის თავში გულისხმობდა ცვლილებებს არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ სოციალური კონტროლის მიმართულებებსა და ხელისუფლების მექანიზმებში.

სოციალური კონტროლი სოციოლოგიური ცნებაა და ის წარმოადგენს საშუალებას, რომლითაც სოციუმი ცდილობს თავისი პირადი მისწრაფებები წარმართოს იმ მიმართულებით, რომელიც სასურველია, ან უკიდურეს შემთხვევაში, მისაღებია საზოგადოებისათვის. სოციალური კონტროლი ხორციელდება საზოგადოების, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური ინსტიტუტების, მათ შორის – სახელმწიფოს მეშვეობითაც. სახელმწიფო კონტროლი, სოციალური კონტროლის მხოლოდ ერთი ფორმაა. დასავლური ტიპის საზოგადოებაში სახელმწიფო კონტროლი კონცენტრირდება ძირითადად, საკვანძო პრობლემებზე, რომლებიც საზოგადოებას ყველაზე მეტად აწუხებს და რომელთა გადაწყვეტაც სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შეუძლებელია.

დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში, XX საუკუნის პირველ ნახევარში დემოლოგიური განვითარება ასეთ პრობლემათა რიგს განეკუთვნებოდა. მაგრამ ამავე საუკუნის მეორე ნახევარში – უკვე არა. XX საუკუნის 50-60-იან წლებში, სახელმწიფო, ინერციით ისევ ცდილობდა ემართა დემოლოგიური ქცევა. მაგრამ 60-იანი წლების ახალგაზრდობის ორგანიზებული დაპირისპირების შემდეგ მან უკან დაიხია. სახელმწიფო დემოლოგიური კონტროლი ერთგვარად ოდიოზური გახდა. მრავალთა აზრით, დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში დემოლოგიურ ქცევაზე სახელმწიფო კონტროლის მოხსნა იმ დემოკრატიზაციის პროცესის ნაწილია, რომელმაც კაცობრიობა მოიცვა. ამ პროცესში პიროვნება თავისუფლდება ინსტიტუციონალური კონტროლის იმ შეზღუდვებისაგან, რომელსაც მას სახელმწიფო, ოჯახი, რელიგია უწესებდა. ამის გამო, მათი აზრით წამოვიდა „ახალი ადამიანი“, თავისუფალი, ამაყი, თავისი ბედის გამგებელი. ბევრს მიაჩნია, რომ ასეთი შეხედულებები, მხოლოდ მხატვრულ ფორმებში გადმოცემული პროპაგანდისტული ილუზიაა.

შემდეგი გარემოება, ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენა დემოგრაფიულ ქცევაზე, ეს არის დემოლოგიური პოლიტიკიდან საოჯახო პოლიტიკაზე გადასვლა და კეთოდღეობის სახელმწიფო.

განსახილველი რეგიონის კიდევ ერთი სპეციფიკა ის არის, რომ მართალია, დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოებმა მკვეთრად შეამცირეს კონტროლი ადამიანების სექსუალურ და რეპროდუქციულ ქცევაზე, მაგრამ მათ უარი არ თქვეს თავიანთ ვალდებულებებზე ისეთ სფეროებში, როგორიც არის ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, პირველყოვლისა – შრომისუუნარო ადამიანების, დაწყებითი,

საშუალო და ბევრწილად უმაღლესი განათლება, შვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება, გარემოს დაცვა და ა.შ.

სახელმწიფოს საქმიანობის აღნიშნულ სფეროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად აღნიშნავენ ტერმინით – „კეთილდღეობის სახელმწიფო“ (welfare state) ან ხმარობენ ტერმინს, რომელიც შეიძლება უფრო ზუსტიცაა – „სოციალური სახელმწიფო“. კეთილდღეობის სახელმწიფოს მთავარი ფუნქციაა შეამციროს საბაზრო ეკონომიკის, ბაზრის გაუთვალისწინებელი თამაშებით, არასტაბილურობით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, რისკები, უზრუნველყოს ბაზრის კონიუნქტურის რყევებიდან პიროვნების დამოუკიდებლობის რაღაც დონე. გარანტირებულად უზრუნველყოს ის, არსებობის საშუალებების რაღაც მინიმუმით მაინც.

განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბებული კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელები სხვადასხვაა. სხვადასხვა სახელმწიფოში ისინი განსხვებულია და აქვთ საკმაოდ მკვეთრად გამოხატული გეოგრაფიული ლოკალიზაციაც. ზოგიერთი დასავლელი სოციოლოგი იმასაც ამბობს, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის მიუხედავად, კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელები არ ამჟღავნებენ დაახლოების ტენდენციებს (ე. მობერგი, ბ. როტსტეინი).

არსებობს კეთილდღეობის სახელმწიფოს რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული კლასიფიკაცია. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია შვედი მეცნიერის გ. ესპინგ-ანდერსენის კლასიფიკაცია, რომელიც მან 1990 წელს გამოაქვეყნა კემბრიჯში. კლასიფიკაციათა უმრავლესობაში აღნიშნულია, რომ დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში ჩამოყალიბებული კეთილდღეობის სახელმწიფოს ტიპები პრინციპულად განსხვავებულია, სამხრეთ ევროპულ და ჩრდილო ამერიკულ ქვეყნებში ჩამოყალიბებული კეთილდღეობის სახელმწიფოს ტიპებისაგან. დასავლეთევროპული და ჩრდილოეთევროპული მოდელები ბევრად უფრო გულუხვები არიან ინდივიდების მიმართ, ვიდრე სამხრეთევროპული და ჩრდილოამერიკული მოდელები. ითვლება, რომ ჩრდილოევროპული ტიპი, რომელიც დამახასიათებელია დანიის, შვედეთის, ნორვეგიის, ფინეთისა და ისლანდიისთვის, მართლაც წარმოადგენს უნიკალურ სოციალურ-კულტურულ ფენომენს, ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია

1. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მემარცხენე ძალების, ანუ სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული ძალების დიდი აქტიურობა და შეხედულებები.

2. სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, საზოგადოებრივი სექტორის დიდი წილი.

3. ქალების მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობა და, რაც მთავარია,

4. ამ მოდელის დროს საყოველთაო კეთილდღეობის სისტემა მოიცავს მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენას, მიუხედავად მათი ეკონომიკური შემოსავლებისა. ამ სკანდინავიურ (შვედურ) მოდელს ხშირად კეთილდღეობის უნივერსალურ სახელმწიფოსაც უწოდებენ.

5. აქ როლს სკანდინავიური კულტურისა და ბიზნესის ეთიკის სპეციფიკაც თამაშობს.

6. მნიშვნელოვანია აგრეთვე, განსაკუთრებული ყურადღება ეკოლოგიური პრობლემებისადმი.

ამ მოდელის ქვეყნებში, სახელმწიფოს ხარჯები სოციალურ საჭიროებებზე ბევრად უფრო მაღალია. მაგალითად, შვედეთში ის 31%-ით მაღალი იყო, დანიაში – 27%, ფინეთში – 23%-მდე. აშშ – 16%;

კეთილდღეობის სახელმწიფოს ე.წ. „კონტინენტური“ მოდელი გავრცელებულია დასავლეთ ევროპის უდიდეს ნაწილზე. ხშირად ის ისეთი გულუხვი არ არის, როგორც ჩრდილოევროპული. ე,ი, განსხვავებაა თვით ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის მოდელებშიც. ის უპირატესად ეყრდნობა ფინანსირების სადაზღვევო პრინციპს (დასაქმებულთა და დამსაქმებელთა შენატანების ხარჯზე). შედარებით ნაკლებია ბიუჯეტიდან დაფინანსების წილი. ჩრდილოევროპულ მოდელს საფუძვლად უდევს ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის, ყოველი მოქალაქის მხარდაჭერა (განურჩევლად მისი შემოსავლებისა და ეკონომიკური მდგომარეობისა), „კონტინენტურ“ მოდელს კი, საფუძვლად უდევს მომუშავე მოსახლეობის ეკონომიკური რისკებისაგან დაზღვევის პრინციპი (უპირველეს ყოვლისა დაზღვევა უმუშევრობისაგან). მიუხედავად ამისა, კონტინენტური ანუ დასავლეთევროპული მოდელიც კი სოციალური მხარდაჭერის უფრო დიდ მოცულობას შეიცავს, ვიდრე სამხრეთევროპული და ჩრდილოამერიკული მოდელები.

კეთილდღეობის სახელმწიფოს სრულიად განსაკუთრებული მოდელი აქვს დიდ ბრიტანეთს. ის ბრიტანელი ეკონომისტის, უ. ბევერიჯის (1879-1963) იდეებს ეყრდნობა, რომელიც თვლიდა, რომ თუ სახელმწიფო თავის თავზე აიღებს სოციალური ხარჯების ნაწილს, ამით ის გააუმჯობესებს სამუშაო ძალის თვისობრივ მახასიათებლებსა და ბრიტანელი მუშების მოტივაციების დონეს. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბრიტანული საქონლის კონკურენტუნარიანობის ზრდას. ბევერიჯის სწორედ ეს კონ-

ცეფიცია დაედო საფუძვლად დიდი ბრიტანეთის სოციალურ პოლიტიკას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ.

სახელმწიფოს ლიბერალური მოდელი ძირითადად ეყრდნობა იმ პრინციპს, რომ პიროვნება უნდა დაეყრდნოს საკუთარ ძალებს, ხოლო სოციალური დახმარება (თანაც არც ისე გულუხვი) უნდა გაეწიოს მოსახლეობის მხოლოდ ყველაზე ღარიბ და უქონელ ფენებს. მიუხედავად ამისა, ლიბერალური მოდელის ბრიტანული სახესხვაობა გამოირჩევა სოციალური დახმარების უფრო დიდი მოცულობით, ვიდრე ეს აქვთ კლასიკური ლიბერალური მოდელის ქვეყნებს – აშშ-ს, კანადასა და ავსტრალიას. აშშ-ში სახელმწიფო ბიუჯეტის როლი ღარიბთა მხარდაჭერაში ყოველთვის შედარებით მცირე იყო. აქ საგადასახადო სისტემა ახალისებს კერძო ქველმოქმედებას; სახელმწიფო დახმარება გამოეყოფა მხოლოდ უღარიბეს ჯგუფებს და ის აუცილებლად საჭიროებს დაბალი მატერიალური სტატუსის დადასტურებას.

რომ შევაჯამოთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის რეგიონი გამოირჩევა კეთილდღეობის სახელმწიფოს (სოციალური სახელმწიფოს) ყველაზე დიდი გულუხვობით თავისი მოქალაქეების მიმართ. კეთილდღეობის სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის განვითარებასთან დაკავშირებულია, მაგრამ მაინც დამოუკიდებელია, სახელმწიფოს საოჯახო პოლიტიკა. საოჯახო პოლიტიკა მიმართულია ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის მხარდასაჭერად და ასევე ის გამორჩეულად უჭერს მხარს ოჯახების გარკვეულ ჯგუფებს. მაგალითად, ახალგაზრდა ოჯახებს, შვილიან და მითუმეტეს მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა დედებს და ა.შ. მაგრამ საოჯახო პოლიტიკა, დემოლოგიური პოლიტიკისაგან განსხვავებით, არ არის მიმართული უშუალოდ დემოლოგიური გამრავლების მაჩვენებლების შეცვლისაკენ. დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში ლაპარაკობენ უფრო მეტად საოჯახო პოლიტიკის შესახებ და არა საკუთრივ დემოლოგიური მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ. და ეს ხდება, იმის მიუხედავად, რომ ამ ქვეყნებში არსებული დაბალი შობადობის გამო წუხილი და შეშფოთება ხშირად გამოითქმება.

საოჯახო პოლიტიკის გატარება პირველ რიგში ემყარება საერთო სოციალურ მოსაზრებებს. საზოგადოება დაინტერესებულია იმით, რომ ბავშვები დაიბადონ ჯანმრთელები და მათ შეეძლოთ მიიღონ სრულფასოვანი აღზრდა და განათლება, ხოლო მშობლებმა შეძლონ პროფესიული კარიერისა და საოჯახო ვალდებულებების შესრულების შეთავსება.

საოჯახო პოლიტიკა ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში სხვადასხვა გარემოებებით წარმოიშობოდა ხოლმე. განსხვავებას იწვევდა სოციალური სახელმწიფოს ეროვნული მოდელის სპეციფიკა და მის უკან მდგარი იდეოლოგიური და პოლიტიკური კონცეფციები. განსხვავებას ძირითადად განიხილავენ შემდეგი ორი ღერძის მიხედვით: I. დამოკიდებულება სახელმწიფოს როლისა და II. დამოკიდებულება ოჯახის სფეროსა და სქესთა შორის დამოკიდებულების ცვლილებებისადმი.

ამ საკითხების მიმართ დღეს თანამედროვე დასავლეთში იდეური თვალსაზრისით ყველაზე გავლენიანია სამი პოზიცია.

1. პირველი პოზიციის მომხრეები თანაგრძნობით ეკიდებიან როგორც სახელმწიფოს ფართო ჩარევას საბაზრო ეკონომიკაში (მისი არასრულყოფილების შერბილების მიზნით), ასევე, უახლეს ცვლილებებს საოჯახო სფეროში (აქ ქადაგებენ ტოლერანტობას, ტოლერანტობას და კიდევ ერთხელ ტოლერანტობას,). ასეთი შეხედულებები ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ბევრად უფრო პოპულარულია, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. ამ შეხედულებების გამომხატველები უფრო ხშირად არიან სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები. ამ პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები დიდი თანაგრძნობით ეკიდებიან საოჯახო პოლიტიკას.

2. მეორე პოზიციის მიმდევრები, ასევე ტოლერანტულები არიან საოჯახო სფეროში უახლესი ცვლილებებისადმი, მაგრამ მემარცხენეებისაგან განსხვავებით, ისინი ემხრობიან თავისუფალ ბაზარსა და მინიმალურ სახელმწიფოს. ამიტომ საოჯახო პოლიტიკას ისინი უფრო ფრთხილად და გულგრილად ეკიდებიან. ისინი თვლიან, რომ რეალურად თავისუფალ საზოგადოებაში, ოჯახთა უმეტესობა არ საჭიროებს სახელმწიფოს დახმარებას. ასეთი შეხედულებების ერთობლიობას ხშირად მემარჯვენე ლიბერალურს უწოდებენ.

3. მესამე, მემარჯვენე კონსერვატიული პოზიციის მომხრეები, აქტიურად გამოდიან ტრადიციული ქრისტიანული ტრადიციების მხარდასაჭერად და მათ სახელმწიფოს საფუძვლად მიიჩნევენ. ამასთან, ისინიც, როგორც მემარჯვენე ლიბერალები, თავისუფალი ბაზრის დამცველები არიან. კონსერვატიზმის ეპიცენტრი დღეს ამერიკის შეერთებული შტატებია. კონსერვატორთა (ნეოკონსერვატორთა) დამოკიდებულება საოჯახო დახმარებებისადმი ძალიან ფრთხილია.

აღნიშნულ საკითხებს ჩვენ ასე დეტალურად იმიტომ შევეხეთ, იმიტომ მოვიტანეთ ასე შედარებით ფართოდ სოციოლოგიური, ეკონომიკური,

პოლიტოლოგიური და თუ გნებავთ დემოპოლიტოლოგიური ანალიზი, რომ კიდევ ერთხელ დაგვენახა, დავრწმუნებლიყავით, თუ რა დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები, მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაზე. ასეთი ანალიზის გარეშე დემოლოგიური ანალიზი შეუძლებელია.

შობადობის დონე, რომელიც დამახასიათებელია ყველა ცალკეული ქვეყნისთვის, თითქოს სტიქიურად მწიფდება და ყალიბდება საზოგადოების ცხოვრების მთელ ატმოსფეროსთან ერთად და მხოლოდ და მხოლოდ რაღაც ხარისხით, ხან ცოტა მეტით, ხან ცოტა ნაკლებით არის გამიზნული სოციალური ინჟინერიის რეზულტატი. ზოგჯერ დემოლოგიური ან საოჯახო პოლიტიკა რეზონანსში ხვდება ქვეყნის საზოგადოების სოციალურ და სოციო-ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან და მაშინ, ამით მიღებული სინერგიული ეფექტი მჟღავნდება შობადობის მაჩვენებელში. ასე იყო მაგალითად, საფრანგეთში და ის მიუახლოვდა მარტივი გამრავლების დონეს.

მაგალითად, გერმანიაში, სადაც საოჯახო პოლიტიკას ასევე დიდი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ საოჯახო პოლიტიკის გერმანულმა მოდელმა და გერმანულმა მენტალიტეტმა ვერ გამოიწვია სინერგია, როგორც საფრანგეთში და ამიტომ შობადობის უფრო დაბალი მაჩვენებლებით გამოიხატა. გერმანიაში შობადობა უფრო დაბალი იყო და არის, ვიდრე საფრანგეთში (2016 წლის მონაცემებით, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, შესაბამისად, არის 1,4 და 2,0).

მემერჯვენე ლიბერალები ამტკიცებენ, რომ ვერავითარი საოჯახო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს შობადობას მარტივი გამრავლების დონეზე. მაგრამ მათი შეხედულებები არ დასტურდება საფრანგეთის გამოცდილებით. ამასთან, არ შეიძლება დაბეჯითებით ვამტკიცოთ პირიქითაც, რომ გულუხვი საოჯახო პოლიტიკა სრულად იძლევა იმის გარანტიას, რომ შობადობის მაჩვენებლები მყარად მიუახლოვდება მარტივი გამრავლების მაჩვენებლებს. ამის მაგალითია შვედეთი (შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2016 წელს 1,9 იყო). მაგრამ ამასთან ერთად, პრინციპში, ჩვენ შეგვძილია ვამტკიცოთ, რომ ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში, სადაც საოჯახო პოლიტიკა ყველაზე გულუხვია მსოფლიოში, შობადობა უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

კიდევ უფრო რომ ჩავწვდეთ შობადობის, მოსახლეობის გამრავლების პრობლემებს, მოკლედ კვლავ განვიხილოთ ისეთი მნიშვნელოვანი თეორია, როგორიც არის თეორია მეორე დემოლოგიური გადასვლის შესახებ.

1980-იანი წლების შუა პერიოდიდან ცხადი გახდა, რომ დემოლოგიური გადასვლის თეორიას აღარ შეუძლია ახსნას ის დემოლოგიური სიახლე, რომელმაც მოიცვა ევროპა. ეს თეორია შემუშავდა იმ დემოლოგიური ცვლილებების ასახსნელად, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტრადიციული (ინდუსტრიამდელი) საზოგადოების ინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის დროს. მაგრამ შემდეგ, სულ უფრო ნათელი გახდა ახალი, „პოსტინდუსტრიული“ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ახალი ღირებულებები. ისინი უკვე მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველისგან. შეიქმნა გარკვეული კონცეპტუალური ვაკუუმი. სწორედ ამ ვაკუუმის შევსების მცდელობაა თეორია მეორე დემოლოგიური გადასვლის შესახებ, რომლის ავტორები არიან ნიდერლანდელი დემოგრაფი დირკომ ვან დე კაა და მისი ბელგიელი კოლეგა – რონი ლესტაგი.

ამ თეორიის თანახმად, პირველი დემოლოგიური გადასვლა დასრულდა მაშინ, როდესაც შობადობისა და მოკვდაობის შემცირების შედეგად, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები მიუახლოვდა ნულს, ხოლო ემიგრაცია ევროპიდან უკვე აღარ აღემატებოდა იმიგრაციას, პირიქით, იმიგრაციამ დაიწყო ემიგრაციის გადაჭარბება. ითვლება, რომ 1960-იანი წლების შუა პერიოდიდან დაწყებული, მოვლენები უკვე აღარ არის ევროპის ახალი დემოლოგიური ისტორიის ნაწილი და ეს ახალი არის მეორე დემოლოგიური გადასვლა.

მეორე დემოლოგიური გადასვლის კონცეფცია, დემოლოგიურ ქცევაში მომხდარ ცვლილებებს ხსნის დასავლურ საზოგადოებაში გაბატონებული ღირებულებების სისტემაში მომხდარი მასშტაბური ძვრებით. ასე მაგალითად, ვან დე კაას აზრით, ბურჟუაზიული მოდერნის ეპოქის ევროპელები იყვნენ ღვთისმოშიშები, მათ სჯეროდათ ოჯახური ღირებულებების. ქორწინების შენარჩუნება სწორად მიაჩნდათ მაშინაც კი, როდესაც მეუღლეებს აღარ უყვარდათ ერთმანეთი. მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კეთილდღეობას, კარიერას. ისინი აფასებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებულობას, ორგანიზებულობას და მაინცდამაინც არ უყვარდათ რადიკალური იდეები და ქმედებები.

ვან დე კაა თვლის, რომ ბურჟუაზიული პოსტმოდერნის ადამიანები ასევე არ მიისწრაფიან რადიკალიზმისკენ, მაგრამ მათი რწმენა დასავლური ცივილიზაციებისადმი, სახელმწიფო სუვერენიტეტისადმი, საერთო კეთილდღეობის სამსახურისადმი, თაობათა სოლიდარობისადმი, საქორწინო კავშირების სიწმინდე და დასავლური კულტურის სხვა ტრადიციული ღირებულებები უკვე აღარ არის აბსოლუტური, უდავო. ეს ღირებულებები

მნიშვნელოვნად შეირყა, ბევრმა მათგანმა უკანა პლანზე გადაიწია, ბევრმა კი საერთოდ დაკარგა მნიშვნელობა. ყველაფერი გაცილებით გამარტივდა. უკვე ბევრი თვლის, რომ ყოველი ადამიანი თავისუფალია თავად გააკეთოს თავისი მორალური არჩევანი, ცხოვრება შეიძლება მხოლოდ ერთხელ და არ ღირს მისი ხვალისათვის გადადება.

ვან დე კაა თვლის, რომ მეორე დემოლოგიური გადასვლა პირველისგან განსხვავდება იმით, რომ ამ დროს პიროვნება ისწრაფვის თვითგამოხატვისკენ, არჩევანის თავისუფლებისკენ, პიროვნული თავისუფლებისაკენ. შემოსავლის, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების ზრდამ, კეთილდღეობის სახელმწიფოს მოქალაქეებს უბიძგა იმისკენ, რომ მათ მხოლოდ პირად საქმედ ჩათვალეს გადაწყვეტილების მიღება განქორწინების, აბორტის, შვილის არ ყოლის შესახებ.

ზოგიერთი თვლის, რომ თეორია მეორე დემოლოგიური გადასვლის შესახებ, იდეურად აღმოცენდა 1960-იანი წლების ახალგაზრდული მოძრაობებიდან.

ღირებულებების გამოკვლევამ ევროპაში, აჩვენა გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება პიროვნების ღირებულებით ორიენტაციებსა და დემოლოგიურ ბიოგრაფიებს შორის. დემოლოგიური ქცევის ახალი მოდელები (ცხოვრება ოჯახის გარეშე, დაუქორწინებლად თანაცხოვრება, ქორწინების გარეშე მშობიარობა, განქორწინება) დამახასიათებელია იმ ინდივიდებისათვის, რომლებისთვისაც დამახასიათებელია პიროვნების ავტონომიურობის მაღალი მნიშვნელობა. ამას ერთვის რელიგიურობის, სამოქალაქო მორალის მნიშვნელოვანი შესუსტება და ა.შ. ზოგიერთი მეცნიერი ამ ყველაფერს ნონკომფორმისტულს უწოდებს.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალი დასავლელი მეცნიერი აღტაცებას არ გამოხატავს ინდივიდუალიზაციის ამგვარი ზრდით და ამაში დიდ საშიშროებას ხედავს.

რატომ აღვწერეთ და შევჩერდით ასე ჩვენს მიერ განსახილველ რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე, მათ დემოლოგიურ, სოციოლოგიურ, პოლიტოლოგიურ ანალიზზე? იმიტომ, რომ ისმის კითხვა: „დღეს დასავლეთ ევროპაში, ხვალ ყველგან?“ ეს რეგიონი ხომ ყოველთვის იყო სიახლის ცენტრი, რომელიც შემდეგ მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა. რამდენად დიდია ალბათობა, რომ დემოლოგიური ქცევის ეს მოდელი გავრცელდება პლანეტის სხვა რეგიონებშიც?

მეორე დემოლოგიური გადასვლის თეორიის შემქმნელები და მხარდამჭერები თვლიან, რომ „დასავლეთევროპული“დემოლოგიური ქცევის

გეოგრაფიული არეალი უკვე სწრაფად ფართოვდება. ამას ემატება ისიც, რომ ამ მოსაზრებებს პოლიტიკურად და ემოციურად ამყარებს ევროკავშირის გაფართოების ჯერ მიმდინარე პროცესი.

არის სხვა მოსაზრებებიც. მაგალითად, ცნობილი ბრიტანელი დემოლოგი ჯ. კოულმენი თვლის, რომ მეორე დემოლოგიური გადასვლა მხოლოდ ადგილობრივი მოვლენაა.

ერთ-ერთი არსებითი უარყოფითი არგუმენტი მეორე დემოლოგიური გადასვლის საწინააღმდეგოდ, არის მიგრაციებთან დაკავშირებული მომენტები. მეორე დემოლოგიური გადასვლისათვის დამახასიათებელია მიგრაციის დადებითი სალდო. მაგრამ ამას არ შეიძლება ყველგან ჰქონდეს ადგილი, რადგან თუ ადამიანები რომელიმე რეგიონში შედიან, ისინი საიდანღაც ხომ უნდა მიემგზავრებოდნენ. ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის უმეტესი ქვეყნებისათვოს ხომ მოსახლეობის მატების შესაძლო წყარო სწორედ მიგრაციებია, მაგრამ ეს დიდი თემაა და ჩვენ მას დეტალურად არ განვიხილავთ.

საბოლოოდ, ყველაფრის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ დემოლოგიური პროგნოზის თანახმად, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს უახლოესი ორი ათწლეულის განმავლობაში დეპოპულაცია არ ემუქრება. მათ უმრავლესობაში მოსახლეობის რაოდენობა შედარებით სტაბილური იქნება, ან მცირედ მოიმატებს. ამ ქვეყნებისათვის პოლიტიკურად ყველაზე მწვავე იქნება იმ პრობლემათა კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია სულ უფრო მზარდ იმიგრაციასთან და ამის გამო მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური სტრუქტურის ცვლილებებთან. უახლოეს ათწლეულებში, როგორც ვარაუდობენ, დასავლეთი და ჩრდილოეთი ევროპა კვლავ ძლიერად მიიზიდავს ათეულ მილიონობით იმიგრანტს ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან. ამას კი, თავისი უაღრესად დიდი სირთულე მოჰყვება (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, კონფესიური).

10.2. სამხრეთ ევროპის, იტალიისა და ესპანეთის მოსახლეობა

უკვე მოძველდა ის შეხედულებები, რომლებიც სამხრეთ ევროპის ქვეყნებზე, კერძოდ, იტალიასა და ესპანეთზე ჰქონდათ. მიაჩნდათ, რომ ეს არის ღარიბი ქვეყნები, სადაც მრავალშვილიანი ოჯახები ჭარბობს. დღეს იტალიის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე აღარ

ჩამორჩება გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის მაჩვენებლებს. ესპანეთი კი, მხოლოდ ძალიან მცირედ ჩამორჩება მათ მაჩვენებლებს. მრავალშვილიანობა წარსულს ჩაბარდა. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, 2012 წლის მონაცემებით, ესპანეთში არის 1,4, ხოლო იტალიაში – 1,5 – საკმაოდ დაბალი განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი.

იტალია ერთ-ერთი ინიციატორია ევროპული ინტეგრაციის. სხვა რამდენიმე ქვეყანასთან ერთად, 1957 წლის 25 მარტს, მანაც მოაწერა ხელი ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შექმნას. ესპანეთი, ამ ხელშეკრულებას, უფრო გვიან, 1984 წელს შეუერთდა. ამ ორმა ქვეყანამ, XX საუკუნის განმავლობაში სერიოზულ ეკონომიკურ წინსვლას მიაღწია, მაგრამ მათი დემოლოგიური განვითარება უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში პარადოქსული ხასიათის არის. მაგალითად, ელოდნენ, რომ იტალიისა და ესპანეთის ინტეგრაცია ევროკავშირში გამოიწვევდა სამხრეთ და დასავლეთ ევროპის დემოლოგიური განვითარების მაჩვენებლების დაახლოებას. რეალურად კი, სხვაგვარად მოხდა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მართლაც მოხდა მნიშვნელოვანი დემოლოგიური ცვლილებები, ოღონდ, არა დასავლეთ ევროპული მოდელის, არამედ ახალი, ე.წ. ხმელთაშუა ზღვის მოდელის ჩამოყალიბება.

იტალია, როგორც ესპანეთი, მიეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, სადაც კათოლიციზმი ყოველთვის ძალიან ძლიერი იყო. კათოლიკური ეკლესია შეურიგებელი მოწინააღმდეგეა როგორც აბორტის, ისე ნებისმიერი სხვა ხელოვნური საშუალებით მშობიარობის შეწყვეტის. მიუხედავად ამისა, შობადობა ამ ქვეყნებში მაინც ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მთელს ევროპაში.

მესამე, სამხრეთევროპულ შეგნებაში, ყოველთვის უდიდესი როლი ეკავა ოჯახისა და ოჯახური ღირებულებებისადმი ერთგულებას. ამას თითქოს დადებითად უნდა ემოქმედა მოსახლეობის გამრავლების პროცესზე. სამწუხაროდ, დღევანდელ სამხრეთ ევროპაში ასეთი ტენდენცია არ შეინიშნება.

შევეხოთ ახლა ზოგიერთ სტატისტიკურ მაჩვენებელს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დამოუკიდებელ ცხოვრებაში შესვლის პერიოდი.

დასავლეთ და განსაკუთრებით, ჩრდილოეთ ევროპაში ახალგაზრდობა თავისი მშობლების კერას ტოვებს გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე სამხრეთ ევროპის ქვეყნებში. მაგალითად, ფინეთში, ასაკი, რომლის დროსაც ახალგაზრდა გოგნების 50% უკვე ტოვებს მშობლების სახლს, 20 წელია. საფრანგეთში – 22,2 წელი, ხოლო ესპანეთსა და იტალიაში, შესაბამისა, 26,6 და 27,1 წელი. თითქმის იგივე მდგომარეობაა ვაჟებშიც – ფინეთში ეს

მაჩვენებელი 21,9 წელია, ხოლო იტალიაში – 29,7 წელი. ამასთან, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში ოფიციალურ ქორწინებაში რეგისტრირდებიან ისევე გვიან, როგორც სამხრეთ ევროპაში. ფინეთში ქალების პირველი ქორწინების საშუალო ასაკი 28,1 წელია; დიდ ბრიტანეთში – 27,2 წელი, გერმანიაში – 27, მაშინ, როდესაც იტალიაში – 26, ესპანეთში – 28 წელია. ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში მშობლების სახლიდან წასვლა უმეტეს შემთხვევაში არ არის დაკავშირებული ოფიციალურ ქორწინებასთან, ან ქორწინების გარეშე ურთიერთობის დაწყებასთან. იტალიასა და ესპანეთში კი, პირიქით – მშობლების სახლს ახალგაზრდები ტოვებენ სწორედ ქორწინების გამო.

შემდეგი თემაა ქორწინების გარეშე ცხოვრება, ქორწინება და განქორწინება.

ქორწინების გარეშე კავშირი მთელი ევროპისათვის არის დამახასიათებელი. მაგრამ იტალიასა და ესპანეთში ეს პროცესი გაცილებით ნელა მიმდინარეობს. მაგალითად, 2000 წლისათვის (შემდეგი პერიოდის მონაცემები არ გამოქვეყნებულა), ქორწინების გარეშე ცხოვრობდა შვედეთის 25-34 წლის ასაკის ახალგაზრდების 55%, საფრანგეთის – 42%, გერმანელების – 32%, ხოლო ესპანეთში – 15%. იტალიაში, კანონი, რომელიც ნებას რთავდა განქორწინებას, მიიღეს მხოლოდ 1970 წლის 1 დეკემბერს და თანაც, ამ კანონმა მაშინვე დაიმსახურა კათოლიკური ორგანიზაციების რისხვა. დავაში საქმე რეფერენდუმის ჩატარებამდეც კი მივიდა. რეფერენდუმი 1974 წელს ჩატარდა და განქორწინების ნებადამრთველ კანონს მხარი მოსახლეობის 59%-მა დაუჭირა (ჩვენი აზრით, ეს არცთუ დიდი უპირატესობაა). შემდეგ, 1987 წელს მიიღეს კანონი, რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა განქორწინების იურიდიული საფუძვლები. რა თქმა უნდა, ამან იტალიაში განქორწინებათა რაოდენობის დიდი ზრდა გამოიწვია.

ესპანეთში, რესპუბლიკურმა კონსტიტუციამ და კანონმდებლობამ 1932 წელს დაადგინა მეუღლეთა თანასწორობა და დაუშვა განქორწინება. ხელისუფლებაში ფრანკოს მოსვლის შემდეგ, 1939 წელს, განქორწინების ნებადამრთველი კანონი გააუქმეს. მისი მოქმედება აღდგა მხოლოდ 1981 წელს, ფრანკოს რეჟიმის დაცემიდან 3 ათეული წლის შემდეგ (ესპანეთის ახალი კონსტიტუცია მიიღეს 1987 წელს). მას შემდეგ, ესპანეთში განქორწინებათა რაოდენობა ძალიან იზრდება, მაგრამ მაინც ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში.

შობადობა. XXI საუკუნის დასაწყისისთვის, შობადობის და მისი ქორწინების გარეშე მდგენელის დონე იტალიასა და ესპანეთში კიდევ უფრო

განსხვავდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებისაგან, ვიდრე ეს იყო XX საუკუნის 60-იან წლებში. ქორწინების გარეშე დაბადებულთა წილი საერთოდ დაბადებულთა შორის გერმანიაში 2002 წელს იყო 25,7% (1970 წელს – 5,8%), საფრანგეთში – 44,3% (1970 წელს – 5,9%), მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 2002 წელს იტალიაში იყო 13,6%, ხოლო ესპანეთში – 21,8%. დღეს ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში ქორწინებითი შობადობის დაბალი დონე კომპენსირდება ქორწინების გარეშე შობადობით. ესპანეთსა და, განსაკუთრებით, იტალიაში, ეს ასე არ არის. ამ ქვეყნებში ქორწინების დროს შობადობა მხოლოდ ძალიან მცირედ განსხვავდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული შობადობისგან, მაშინ, როდესაც ქორწინების გარეშე შობადობის მაჩვენებელი აქ 5-7-ჯერ ნაკლებია, ვიდრე დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, დანიასა და შვედეთში. საბოლოოდ, მივიღეთ, რომ სამხრეთევროპულ ქვეყნებში შობადობის დონე უფრო დაბალია, ვიდრე ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

მიგრაცია და მოსახლეობის ზრდის ტემპი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ ათწლეულებში, გარე მიგრაციული სალდო იტალიასა და ესპანეთში უარყოფითი იყო. ამ ქვეყნებიდან ბევრი წავიდა სამუშაოს საშოვნელად გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში და სხვაგან. 1970-იანი წლებიდან სამხრეთევროპული ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკვეთრად უმჯობესდება და ამის გამო, მიგრაციული ნაკადი უკვე იცვლის მიმართულებას. ერთი მხრივ, სამხრეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეები ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში, ხოლო მეორე მხრივ, ამ ქვეყნებში იწყება ინტენსიური მიგრაციული ნაკადის შემოსვლა განვითარებადი ქვეყნებიდან. იტალია და ესპანეთი მასობრივი ემიგრაციის ქვეყნებიდან გადაიქცნენ სხვა ქვეყნებიდან მიგრანტების მიმღებ ქვეყნად. რაც შეეხება ოჯახის ფორმირების საკითხებს, ყოველივე ამის გამო, ესპანეთსა და იტალიაში ჩამოყალიბდა სრულიად განსხვავებული მოდელი (საკუთარი მეურნეობის შექმნის, ქორწინებისა და ქორწინების გარეშე თანაცხოვრების, განქორწინებისა და შობადობის მიხედვით).

მოკლედ შევეხოთ სამხრეთევროპული დემოლოგიური ფენომენის ისტორიულ-ინსტიტუციონალურ საფუძვლებს.

რამ წარმოშვა სამხრეთევროპული დემოლოგიური ფენომენი? იტალიელი მეცნიერები ჯ. მიქელე, ჯ. დალა ზუანი და სხვები, ამ ფენომენის საფუძვლად მიიჩნევენ საზოგადოების ინსტიტუციონალურ სტრუქტურას. მართლაც, როგორც აპენინის, ასევე პირენეის ნახევარკუნძულებზე, სახელმწიფოს, ოჯახის, ინდივიდისა და ეკლესიის ურთიერთობათა

სისტემა ყოველთვის განსხვავდებოდა ჩრდილოეთ და დასავლეთევროპული მოდელისაგან. მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე ეკონომიკური განვითარების თავისებურებები, უმუშევრობა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში და ა.შ.

გამოსაყოფია კათოლიკური რელიგიისა და ეკლესიის როლი. საინტერესოა ესპანეთისა და იტალიის შედარება, მაგალითად, საფრანგეთთან. როგორც ცნობილია, საფრანგეთში, კათოლიკურ ეკლესიას დიდი დარტყმა მიადგა XVIII საუკუნის ბოლოს. ამ დარტყმის შედეგებს საფრანგეთის კათოლიკური ეკლესია დღესაც განიცდის. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ეკლესიის გავლენა საფრანგეთში მნიშვნელოვნად შემცირდა და დღეს იქ კათოლიციზმის როლი მინიმალურია. თუ 1981 წელს კათოლიკეებად თავს ფრანგების 71% თვლიდა, საუკუნის დასაწყისისათვის ჩატარებული გამოკვლევებით, ეს რიცხვი 50%-მდე დაეცა. ამასთან, მკვეთრად გაიზარდა ათეისტთა რაოდენობა. თითქმის 1 მილიონი ფრანგი ბუდისტი გახდა, ხოლო 20%-ს რეინკარნაციის სჯერა. მუსულმანური რწმენის მატარებელი საფრანგეთის მოქალაქეების 10%-ზე მეტია.

სულ სხვა სურათია იტალიასა და ესპანეთში. განსაკუთრებით – იტალიაში. მაგალითად, იტალიაში, გასული საუკუნის ბოლოს ჩატარებული საერთო ეროვნული გამოკვლევების მიხედვით, თითქმის 89% იტალიელებისა, თავს კათოლიკედ თვლიდა.

კათოლიკური ეკლესიის პოზიცია კი, ქორწინების, აბორტის და მშობიარობის ხელოვნური შეწყვეტის სხვა მეთოდებისადმი, კვლავ მკაცრი და შეუვალია.

ბუნებრივია კითხვა, მაშინ რატომ არ აისახება ეს ყველაფერი სათანადოდ სამხრეთ ევროპის დემოლოგიურ ქცევაში? შევეცადოთ ამაზე მოკლედ გავცეთ პასუხი. ჯერ ერთი, მართალია, კათოლიკური ეკლესია დიდ გავლენას ახდენდა საოჯახო კანონმდებლობის შექმნაზე, მაგრამ მთავარი ამ სფეროში, მაინც სახელმწიფო იყო. სახელმწიფოს პოზიცია კი პოლიტიკურ რეჟიმებზე იყო დამოკიდებული, რომელიც ხან უწევდა ანგარიშს ეკლესიას და ხან არა. ეს კი, საოჯახო კანონმდებლობისა და მთლიანად სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის მუდმივ ცვალებადობას იწვევდა. იგი ეხებოდა პოლიტიკური რეჟიმის გავლენას განათლებაზე, რომელიც თავის მხრივ, როგორც კარგად ვიცით, დიდ გავლენას ახდენს დემოლოგიურ ქცევაზე.

განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება საოჯახო კავშირების მნიშვნელობასაც. ოჯახის როლი დემოლოგიური ქცევის სამხერთევროპულ მოდელში კარგად ჩანს იტალიის მაგალითზე.

10.3. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობა

ერთ-ერთი ყველაზე დიდი განსხვავება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დემოლოგიური პროცესების ანალიზისას, გამოიხატება სიცოცხლის ხანგრძლივობის დინამიკაში. ეს დინამიკა იყოფა 4 პერიოდად:

1. სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა ომის შემდგომი პირველი ათწლეულების განმავლობაში;
2. ამას მოჰყვა სტაგნაცია, ხოლო მთელ რიგ ქვეყნებში – სიცოცხლის ხანგრძლივობის ნელი შემცირება;
3. სიცოცხლის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი შემცირება საბაზრო რეფორმების საწყის პერიოდში;
4. გამოსვლა კრიზისიდან და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის ტენდენცია (ბელორუსის, მოლდავისა და უკრაინის გარდა).

1960-იანი წლების დასაწყისში სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდამ აღნიშნული რეგიონის ქვეყნებში თითქმის მიაღწია დასავლეთ ევროპის ქვეყნების დონეს. სტაგნაცია დაიწყო 60-იანი წლებიდან და ის შეეხო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პრაქტიკულად ყველა ქვეყანას. პირველ რიგში ეს შეეხო მამაკაცებს. 1980-იანი წლების შუა პერიოდისათვის ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები სიცოცხლის ხანგრძლივობის დონით, უკვე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ასევე მნიშვნელოვანი იყო ამ მაჩვენებლების განსხვავება ამ ქვეყნების მამაკაცებსა და ქალებს შორის.[35]

სიცოცხლის ხანგრძლივობის კრიზისის მიზეზების ანალიზისას მეცნიერები სხვადასხვა ასპექტზე აკეთებენ აქცენტს. ხშირად მნიშვნელოვან მომენტად თვლიან ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის თავისებურებებს. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის სისტემას საბჭოთა კავშირსა და ამ რეგიონის სხვა ქვეყნებში ჰქონდა ის ძლიერი მხარე, რომ სავალდებულო იყო ბავშვთა იმუნიზაცია; კარგად იყო აწყობილი ეპიდემიების საწინააღმდეგო ღონისძიებები. მიაჩნიათ, რომ ჯანმრთელობის დაცვის აღნიშნული სისტემა, ამ რეგიონის ქვეყნებს საშუალებას აძლევდა სიცოცხლის ხანგრძლივობა გაეზარდათ რაღაც ზღვრულ დონემდე. შემდეგ კი, როდესაც იმუნიზაციებსა და ეპიდემიების საწინააღმდეგო ზომებთან დაკავშირებული მოკვდაობის შემცირების რეზერვი ამოიწურა, სიცოცხლის ხანგრძლივობამ შეწყვიტა ზრდა. ჯანმრთელობის დაცვის დასავლური სისტემა კი, უფრო ორიენტირებული იყო ინდივიდის დიდ აქტივობასთან საკუთარი ჯანმრთელობის დასაცავად. ამიტომ, აქ უფრო

მეტად გახდა შესაძლებელი გამოყენებულიყო მნიშვნელოვნი რეზერვები, რომლებიც დაკავშირებულია ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვასთან (თამბაქოსა და სხვა მავნე ჩვევებისათვის თავის დანებება, ფიზკულტურა და ა.შ.). ამასთან, დასავლეთის ბევრად უფორ განვითარებულმა და ძლიერმა ეკონომიკამ შესაძლებელი გახადა მკურნალობის ბევრად უფრო თანამედროვე და ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა.

ახლა განვიხილოთ შობადობა ამ ქვეყნებში.

საბაზრო რეფორმების დაწყებამდე, ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი იყო დასავლეთის მეზობლებთან შედარებით, შობადობის უფრო მაღალი დონე. მაგალითად, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში იყო 1,81 (უნგრეთი) და 2,31 (რუმინეთი) დიაპაზონში. ეს კი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების იგივე საშუალო სიდიდე. აქ, აღნიშნული კოეფიციენტი 1,7 იყო.

ყველა ქვეყანაში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად. ყველგან, სადაც თავისუფალ ბაზარზე გადასვლა დაიწყო, შობადობა მკვეთრად შემცირდა. XXI საუკუნის დასაწყიში, შობადობის მაჩვენებლებით, ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები უკვე მკვეთრად ჩამორჩებოდნენ ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები ამ ქვეყნებში, შესაბამისად, იყო საშუალოდ 1,2 და 1,64. სიტუაცია არც შემდეგ შეცვლილა. ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის რეგიონი გადაიქცა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დაბალი შობადობის მქონე რეგიონად.

საბაზრო რეფორმებმა, რეგიონის უმრავლეს ქვეყანას საშუალება მისცა გამოსულიყვნენ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის კრიზისიდან, მაგრამ ვერ უზრუნველყვეს გამოსვლა მთლიანად დემოლოგიური კრიზისიდან. შობადობის უაღრესად დაბალი დონის შედეგად, ამ რეგიონის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის ბუნებრივი კლება. ამ კლების ტემპი ყველაზე მაღალია უკრაინაში, ბელორუსში და ლიეტუვაში. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ამ რეგიონის ქვეყნების უმრავლესობისათვის დამახასიათებელი უარყოფითი მიგრაციული სალდო. მოსახლეობის მაქსიმალური სუფთა განზიდვა დაფიქსირდა უკრაინაში. XXI საუკუნის პირველი ათწლეულის განმავლობაში ის წელიწადში საშუალოდ 140-150 ათასი იყო. ეს მაჩვენებელი შედარებით მაღალი იყო რუმინეთსა და მოლდავეთშიც.[35]

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ძირითადად, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის, ე.წ. სოციალისტური ქვეყნები იგულისხმება. ამდენად, ამ რეგიონის დემოგრაფიული ისტო-

რია გარკვეული აზრით იყო ორი დიდი თეორიული მიდგომის ემპირიული შემოწმება. ერთი ამ თეორიათაგან დაკავშირებულია მარქსის ცნობილ აზრთან: წარმოების ყოველი ისტორიულად განსხვავებული წესისათვის დამახასიათებელია თავისი განსაკუთრებული, ისტორიული ხასიათის მქონე მოსახლეობის კანონები. მთელი სოციალისტური და საბჭოთა იდეოლოგია მარქსის ამ მოსაზრების საფუძველზე აცხადებდა, რომ სოციალიზმს ახასიათებს მაღალი შობადობა და დაბალი მოკვდაობა, ხოლო კაპიტალიზმს, პირიქით – მაღალი მოკვდაობა და დაბალი შობადობა.

მეორე, ამის ალტერნატიული თეორიის არსი ის იყო, რომ მსოფლიოს დემოლოგიური განვითარება განისაზღვრება ყველა ქვეყნისათვის საერთო ფაქტორების კომპლექსით: პიროვნების ავტონომიის გაზრდით, მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებით, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებით, ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაზრდით, ურბანიზაციით და ა.შ. ამ იდეას მთავარი ადგილი ეკავა მოდერნიზაციის, კონვერგენციის, დემოლოგიური გადასვლის თეორიებში.

განვითარებულმა დემოლოგიურმა პროცესებმა, მათი სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ აღმოსავლეთევროპულმა სოციალიზმმა მოიტანა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის შემცირება ან სტაგნაცია. და ეს მაშინ, როდესაც დასავლეთევროპულმა კაპიტალიზმმა მისი ზრდა მოიტანა.

კამათი იმის შესახებ, რა უფრო დიდ გავლენას ახდენს დემოლოგიურ განვითარებაზე, – საზოგადოებრივი წყობა თუ ზოგადსაკაცობრიო პროგრესი, გრძელდება დღესაც. მას ბევრი ასპექტი აქვს. მრავალი მკვლევარი საკითხის ამგვარ დაყენებასაც კი სქოლასტურად და მოძველებულად თვლის. ეს უაღრესად საინტერესო თემებია, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ მათზე ვერ შევჩერდებით.

10.4. აზიის მოსახლეობა

აზიის მოსახლეობაის განვითარების ტენდენციების განხილვა უნდა დავიწყოთ, პირველ რიგში, ინდოეთით და ჩინეთით. ორივე ეს ქვეყანა, მსოფლიოს ქვეყნებს შორის, ყველაზე დასახლებული ქვეყნებია და ორივე, XX საუკუნის მეორე ნახევარში შეეჯახა ერთიდაიგივე დემოლოგიურ პრობლემას. ეს არის მოსახლეობის რაოდენობის ზვავისებური ზრდა. ეს გამოწვეული იყო მოკვდაობის სწრაფი შემცირებით და ამავე დროს, შობადობის მაღალი დონის შენარჩუნებით. მიუხედავად ამ საერთო ტენდენცი-

ისა, მათი დემოლოგიური განვითარება მაინც ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

ჩინეთში დღეისათვის 1 მილიარდ 382 ადამიანი ცხოვრობს (2016 წლის გაეროს მონაცემებით). შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 1,6-მდე დაეცა. ე.ი. ადგილი აქვს დეპოპულაციას – მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას.

გაეროს 2016 წლის მონაცემებით ინდოეთში 1 მილიარდ 327 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტია 2,3 პრომილე. 10 წლის წინ, 2006 წლის მონაცემებით, მოსახლეობის რაოდენობა იყო 1 მილიარდ 121 მილიონი, ე.ი. მოსახლეობა, ჩინეთისაგან განსხვავებით, არა თუ შემცირდა, არამედ, პირიქით – 202 მილიონით გაიზარდა.

ინდოეთის მოსახლეობა, რომელიც XX საუკუნის პირველ ნახევარში 1/3-თ ნაკლები იყო ჩინეთის მოსახლეობაზე, შეიძლება მალე მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი გახდეს.

დემოლოგიური განვითარების ასეთი განსხვავებულობა მრავალი მეცნიერული ძიებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. კვლევის საინტერესო თემებია, თუ რა დემოლოგიური მოვლენები და პროცესები განსაზღვრავს ასეთ განსხვავებულ დემოლოგიურ განვითარებას. როგორია ამ პროცესებში პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მართვის მეთოდების, სახელმწიფოს პოლიტიკის როლი.

თავისი ისტორიის უახლეს სტადიაზე, ორივე ქვეყანა თითქმის ერთდროულად გადავიდა. ინდოეთი 1947 წელს გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა. 1950 წელს მიიღეს მისი კონსტიტუცია, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მაო ძე დუნის მეთაურობით, 1949 წელს შეიქმნა. ორივე ქვეყნის წინაშე დადგა ერთიდაიგივე სერიოზული პრობლემა: ადგილი ჰქონდა მოსახლეობის რაოდენობის ძალიან სწრაფ ზრდას და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოკვდაობის სწრაფად შემცირებისა და შობადობის ასევე მაღალი დონის შენარჩუნების გამო. ამასთან, ჩინეთის ტერიტორიაზე მოსახლეობა არათანაბრად არის განაწილებული და ეს კიდევ დამატებით სირთულეს ქმნის. მოსახლეობა ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია თავმოყრილი, მაშინ, როდესაც დასავლეთ ჩინეთის მიწა გამოუსადეგარია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

მოკლედ, კითხვა დაისვა შემდეგნაირად: არის თუ არა მოსახლეობის ასეთი სწრაფი ზრდა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორი, და თუ არის, საჭიროა თუ არა სპეციალუ-

რი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნებოდა შობადობის შეზღუდვისაკენ. ეს კითხვები ისმებოდა ინდოეთის და საერთოდ, ყველა ქვეყნის წინაშე, სადაც მოსახლეობის სერიოზულ ზრდას ჰქონდა ადგილი. ინდოეთისა და ჩინეთის დემოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენდა აგრეთვე საგარეო ფაქტორები. მითუმეტეს, რომ ეს ფაქტორები ძლიერდებოდა სხვადასხვა იდეოლოგიური დოქტრინითაც.

ინდოეთმა პირველად დაიწყო ისეთი დემოლოგიური პოლიტიკის გატარება, რომელიც შობადობის შემცირებისკენ იყო მიმართული, ამ პოლიტიკის გატარების პირველ ეტაპზე ინდოეთში ხაზს უსვამდნენ, რომ რესურსების შეზღუდულობის პირობებში, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა სერიოზული და მწვავე პრობლემაა. დემოლოგიური პოლიტიკის გატარების აუცილებლობას ასაბუთებდნენ იმით რომ, რომ მართალია, ცხოვრების დონის ზრდის კვალობაზე შობადობა შემცირდება, მაგრამ ამას გარკვეული დრო დასჭირდება და, ამ დროის განმავლობაში მაღალი შობადობა შეაფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მეორე მხრივ, ვარაუდობდნენ, რომ ოჯახის დაგეგმვა დაეხმარება მისი ცხოვრების დონის ამაღლებასა და ქალის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.

სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია დეტალურად განვიხილოთ ჩინეთსა და ინდოეთში გატარებული დემოლოგიური პოლიტიკის დეტალები. მაგალითად, თუნდაც, უფრო დეტალურად ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ განიცადა დამარცხება ინდოეთში შობადობაზე მიტანილმა „პირდაპირმა იერიშმა“. ვერც ჩინეთში გატარებული „ერთი ბავშვის პოლიტიკას“ შევეხებით დეტალურად (თითქმის 30 წელი ტარდებოდა), და ვერც კულტურული რევოლუციისა და მისი შედეგების განხილვას. თუმცა, ამ ყველაფერმა თავისი დიდი როლი შეასრულა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩინეთში დემოლოგიური პოლიტიკის თავისებურებაა ის, რომ ეს პოლიტიკა მთლიანად სახელმწიფოებრივი დაგეგმვის მთავარი ელემენტია. ჩინეთში ამოსავალ დებულებად იმას თვლიან, რომ მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბალანსის უზრუნველყოფა ეკონომიკურ აღწარმოებასა და გამრავლებას შორის. ეს დებულება მათ 1982 წლის კონსტიტუციაშიც ასახეს. იქ შესაბამის მუხლში წერია, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის იმგვარ დაგეგმვას, რომ მოსახლეობის რეაოდენობის ზრდა შეესაბამებოდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებს. ერთიანი, მთელი ქვეყნისათვის სავალდებულო რეგულაციების გარდა, შობადობა რეგულირდება პროვინციების საკანონმდებლო ორგანოების კანონებითაც.

ინდოეთის დემოლოგიური პოლიტიკა უკანასკნელი 25-30 წლის განმავლობაში ორნაირი მიდგომის ოპტიმალურ განხორციელებას ცდილობს. პირველი მიდგომა არის უფრო ე.წ. ვიწრო მიდგომა, ანუ წმინდა დემოლოგიური, ხოლო მეორე, უფრო ე.წ. ფართო მიდგომა, ანუ – სოციალურ-დემოლოგიური მიდგომა. პირველი მიდგომა გულისხმობს შობადობის შემცირებისათვის რაოდენობრივი მიზნების დასახვას. ამისათვის რა თქმა უნდა, უხვად გამოიყენება დასჯისა და წახალისების ადმინისტრაციული რესურსები. რა თქმა უნდა, ეს ძალიან უხეში და ტლანქი მიდგომაა. მეორე მიდგომის დროს, წმინდა დემოლოგიური პრობლემები უფრო გაჯერებულია ფართო წრის საერთო სოციალური და ეკოლოგიური პრობლემებით. შემდეგ წინა პლანზე გამოვიდა სოციალური, ეკოლოგიური და დემოლოგიური პრობლემებისადმი ერთიანი მიდგომის კონცეფცია.

2000 წელს ინდოეთმა მიიღო ახალი ეროვნული დემოლოგიური პოლიტიკა, რომელიც 12 მიზნის მიღწევას გულისხმობს. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევჩერდებით მასზე.

ინდოეთისათვის, ასევე დამახასიათებელია დემოლოგიური განვითარების ეთნორეგიონალური და კონფესიური ასპექტები. სამწუხაროდ, ჩვენ ვერც მათ განვიხილავთ.

ითვლება, რომ ამ ორი აზიური გიგანტის, ჩინეთისა და ინდოეთის დემოლოგიური განვითარების პროცესი იყო მოსახლეობის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი ზოგადი თეორიის გამოცდაც. მაგალითად, მალთუსიანობისა და ნეომალთუსიანობის დოქტრინების და ა.შ.[35] ასევე საინტერესოა დემოლოგიური გადასვლის შესახებ თეორიის განხილვა აზიური ქვეყნების მაგალითზე. მათი დემოლოგიური განვითარების მაგალითზე. აღნიშნული თეორიის მთელი რიგი დებულებები დადასტურდა. მაგალითად, ორივეგან ადგილი ჰქონდა შობადობის შემცირებას და თანაც, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მოკვდაობამ იწყო კლება. ამავე დროს, მოდერნიზაციის პროცესებსა და მოსახლეობის რეპროდუქციულ ქცევას შორის თანაფარდობა მთლად ისეთი არ იყო, როგორსაც ეს თეორია ვარაუდობდა.

სამწუხაროდ, აზიის სხვა ქვეყნების მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების ტენდენციებს ჩვენს შრომაში ვერ შევეხებით ქვეყანათა ძალიან დიდი რაოდენობისა და პრობლემათა ასევე დიდი რაოდენობის გამო. ამიტომ მხოლოდ ორი ქვეყნის, ჩინეთისა და ინდოეთის მოსახლეობის განვითარების ტენდენციების მოკლე მიმოხილვით შემოფარგლეთ. მით უფრო, რომ ისინი ერთი მხრივ, უაღრესად სპეციფიკური, ხოლო მეორე მხრივ, ასევე დამახასიათებელია და სერიოზული განზოგადოების საშუალებას იძლევა.

10.5. აფრიკის მოსახლეობა

აფრიკის მოსახლეობის განვითარების შეფასებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ აფრიკა გაყოფილია ორ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ნაწილად. ამ ორ ნაწილად აფრიკას საჰარა ჰყოფს. ჩრდილო აფრიკის არაბული ქვეყნები ეკონომიკურად უფრო განვითარებულია. შეიძლება ითქვას, რომ ისინი დემოლოგიურადაც უფრო განვითარებული და „წარმატებულები“ არიან. საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკა კი, ჯერ კიდევ წარმოადგენს იმ დემორეგიონს, რომელშიც ძალიან მაღალია, როგორც მოკვდაობა, ასევე შობადობაც. განსაკუთრებულად გამოირჩევა მათ შორის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. აქ შედარებით უფრო დაბალია შობადობა.

2016 წლის გაეროს მონაცემებით, აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში 561 მილიონი, დასავლეთ და ცენტრალური აფრიკის ქვეყნებში 414 მილიონი, ხოლო აფრიკის არაბულ ქვეყნებში 346 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი შესაბამისად, 4,4; 5,2 და 3,3 პრომილეა.

საჰარის სამხრეთით აფრიკაში, შობადობის შემცირება გაცილებით უფრო ნელი ტემპით ხდება, ვიდრე სხვა განვითარებად ქვეყნებში. მხოლოდ საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნები შედიოდნენ მსოფლიოს იმ პირველ 8 ქვეყანაში, რომელთაც შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ. ეს იყო ნიგერია – შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი – 6,9; გვინეა ბისაუ – 4,9; მალი – 6,1; სომალი – 6,3; უგანდა – 5,9 (ამათ გარდა, ზამბია – 6,3; ავღანეთი – 6,0; მალავი – 6,0).

არსებობს მაღალი შობადობის ახსნის რამდენიმე მცდელობა. არის ასეთი თეორიაც – „კეთილდღეობის ნაკადების“ თეორიაც, რომელიც ავსტრალიელმა დემოლოგმა ჯონ კოლდუელომ შექმნა. ამ თეორიის მიხედვით, ტრადიციულ საზოგადოებაში, სადაც ძირითადი საწარმოო უჯრედი ოჯახია, გაბატონებული არიან უფროსი თაობები და აქ კეთილდღეობათა ნაკადი მიემართება ბავშვებიდან მშობლებისაკენ. კაპიტალისტური წარმოების გაჩენასთან ერთად, მუშა ემორჩილება უკვე არა ოჯახის უფროსს, არამედ სამუშაოს მიმცემს – პატრონს ან ხელმძღვანელს. ხანდაზმულთა ძალაუფლება სუსტდება და ბავშვები ექსპლუატაციის ობიექტებიდან ინვესტიციის ობიექტებად გადაიქცევიან. ამიტომ, კეთილდღეობის ნაკადი იცვლის მიმართულებას და ახლა ის უკვე მშობლებიდან ბავშვებისაკენ მიედინება, დიდი ოჯახები არარაციონალური ხდება, ე.ი. მრავალშვილია-

ნობა არა მომგებიანია. იმ პირობებში კი, როდესაც მრავალშვილიანი ოჯახი ეკონომიკურად მომგებიანია, ხოლო ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა – მაღალი, დიდი ოჯახის ფორმირებისათვის აუცილებელია მაღალი შობადობა.[35]

აფრიკულ საზოგადოებებში ცოლქმრული ოჯახი აღარ არის ერთადერთი სოციალური ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ურთიერთმხარდაჭერა, საარსებო საშუალებებით ბავშვების, მოხუცებისა და ინვალიდების უზრუნველყოფა.

ასეთივე დიდი როლი ენიჭება ნათესაობის უფრო ფართო ჯგუფს, მთელ სანათესაოსა და გვარს, ჩამომავლობას. მათი სიძლიერე კი უზრუნველყოფილი ხდება მათი რაოდენობით, რიცხოვნობით. ამიტომ, ცხოვრების მთელი წესი ხელს უწყობს მაღალ შობადობას.

აფრიკულ საზოგადოებებში ქორწინება ტრადიციულად მოიცავდა თითქმის მთელ მოსახლეობას. ამასთან, არ იგმობოდა ქორწინებამდელი და ქორწინებისგარეშე მშობიაროობა. მრავალ აფრიკულ ქვეყანაში, განსაკუთრებით, დასავლეთ აფრიკის ფრანგულენოვან სახელმწიფოებში, გავრცელებულია პოლიგამიური ქორწინება. მრავალცოლიანობის ინსტიტუტს ბევრი ფაქტორი უწყობს ხელს: ეკონომიკური – „მეურნეობაში დამატებითი ხელი“, რელიგიური (ისლამი), სოციალური (რამდენიმე ცოლის ყოლა პრესტიჟულია, ასევე საყვარლის, – ერთის მაინც). პოლიგამია ასევე ხელს უწყობს ქვრივების უფრო სწრაფ გათხოვებას, რაც მაღალი მოკვდაობის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანი ხდება. უფრო ხშირად, პოლიგამიურ ქორწინებაში მამაკაცებს ორი ცოლი ჰყავთ. ბოლო ათწლეულებში იგრძნობა პოლიგამიური ქორწინების წილის შემცირება. ასე რომ, შობადობის შესამცირებლად, აუცილებელია ღრმა ცვლილებები აფრიკული ცხოვრების მთელ წესში. ეს ცვლილებები კი უკიდურესად ნელა მიმდინარეობს.[35]

ერთი რამეც უნდა აღვნიშნოთ: აფრიკის კონტინენტი იმდენად განსხვავებული და სპეციფიკურია, რომ მოსალოდნელი დემოლოგიური ქცევა ბოლომდე ვერ განსაზღვრა ვერცერთმა დემოლოგიურმა თეორიამ, რომელსაც გლობალურ ხედვაზე აქვს პრეტენზია. მაგალითად, ტროპიკულ აფრიკაში ჭეშმარიტებას ყველაზე უფრო მეტად მიუახლოვდა ნეომალთუსიანური წინასწარხედვა. მიუხედავად მაღალი მოკვდაობისა, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის, დედამიწის ამ ყველაზე ღარიბ რეგიონში მოსახლეობა მაინც ძალიან სწრაფად იზრდება, ყოველწლიურად 2,4%-ით. დემოლოგიური გაანგარიშებებით, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის რა-

ოდენობა ყოველ 24 წელიწადში გაორმაგდება. მოსახლეობის ასეთი ზრდა შესაძლებელია მხოლოდ ძალიან მაღალი შობადობით.

ასეთი პროცესების ანალიზი კიდევ მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ მხოლოდ ზოგადი ტენდენციებით შემოვიფარგლებით.

ერთი რამ დღეისათვის ცხადია. როგორც ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, აფრიკის მოსახლეობა სწრაფად იზრდება. ის გაცილებით სწრაფად იზრდება ვიდრე მოსახლეობა ევროპის თუნდაც ამ მხრივ გამორჩეულ ცალკეულ ქვეყანაში.

10.6. ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა

ამერიკის შეერთებული შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, როგორც ცნობილია, აქვთ ცივილიზაციისა და კულტურის საერთო ძირი. მიუხედავად ამისა, დემოლოგიური თვალსაზრისით, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მოდით, შევეხოთ ამ განსხვავებას უფრო დეტალურად. დავიწყოთ შობადობით. შობადობას 1960-იან და 1970-იან წლებში (განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში) ამერიკის შეერთებული შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ახასიათებდა კლების ტენდენცია. 1970-იანი წლების შუაში, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ამერიკაში დავიდა 1,74-მდე. ამის ქვემოთ, შემდეგში ის აღარ დაწეულა. ჩრდილო და დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ამ პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის იგივე იყო და ის 1,83-ს უდრიდა.

1980-იანი წლებიდან შობადობის მაჩვენებელი აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ერთმანეთს დაშორდა. დასავლეთ ევროპაში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი დასტაბილურდა დაახლოებით 1,6-1,7-ის ფარგლებში. ამერიკის შეერთებული შტატებში კი, შობადობის მაჩვენებელმა იმატა და მიაღწია მარტივი გამრავლების დონეს. ბოლო წლებში ის 2–2,1-ის ინტერვალშია. 2011 წლისათვის ის 2,1-ის ტოლია. ხოლო 2016 წელს დაახლოებით 1,9–2,0 პრომილეს ფარგლებში იყო. შობადობის მაჩვენებლით, შეერთებული შტატები, რომლის მოსახლეობა გაეროს მონაცემებით 2016 წელს 324,1 მილიონია, წინ უსწრებს დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა (ისლანდიის გარდა). ამის გამო, შეერთებულ შტატებში ბუნებრივი მატებაც უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. ევროპულთან შედარებით, შეერთებულ შტატებში შობადობის აღნიშნულ მატებას, ზოგჯერ ხსნიან შობადობის მაჩვენებლით ეროვნულ უმცირესობაში.

თუმცა, არის გაანგარიშებენი, რომელთა მიხედვითაც, ევროპაში ეროვნული უმცირესობები ვერ ახდენენ დიდ გავლენას შობადობის საერთო მაჩვენებელზე. ამერიკაში კი პირიქით, შობადობის მაჩვენებელი ეროვნულ უმცირესობებში, გარკვეულ გავლენას ახდენს მთლიანი მოსახლეობის შობადობის საერთო მაჩვენებელზე. მაგრამ მათი მნიშვნელობის გადაჭარბება არც აქ შეიძლება.[35]

ამერიკის შეერთებული შტატებში შობადობის შედარებით უფრო მაღალ მაჩვენებლებს ხელს უწყობს ასევე, მოსახლეობის სწრაფად ცვალებადი ეთნიკური სტრუქტურა. უკანასკნელ წლებში, აქ ადგილი აქვს ლათინოამერიკული წარმოშობის მოსახლეობის ზრდას. უპირველეს ყოვლისა, იზრდება მექსიკელების, პუერტორიკელებისა და კუბელების რაოდენობა. ამერიკის ლათინოამერიკული წარმოშობის მაცხოვრებლების შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მნიშვნელოვნად ჭარბობს არალათინოამერიკული წარმოშობის თეთრკანიანების შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტს. ამიტომ, ე.წ. „ლათინოსების“ წილის ზრდა, წარმოადგენს ქვეყანაში შობადობის ზრდაზე მოქმედ ფაქტორს. აფროამერიკელი მოსახლეობის გავლენა ამ შემთხვევაში არც ისე დიდია. 1990-იანი წლების განმავლობაში, აფროამერიკელებში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2,5-დან 2,1-მდე შემცირდა და ის ემთხვევა საერთო ამერიკულ საშუალო მაჩვენებელს.

ძალიან მნიშვნელოვანია ამერიკაში აბორტის პრობლემაც. ყოველ 1000 მშობიარეზე აბორტების რაოდენობა 2-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე გერმანიაში და 30%-ით მეტი ვიდრე იტალიაში. 1973 წელს შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ აბორტი ლეგალიზებული გახადა და ამან, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაზარდა მათი რაოდენობა (წელიწადში დაახლოებით 1,3 მილიონი). აბორტების რიცხვი ყველაზე მაღალია 18-19 წლის ასაკში.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლებით შეერთებული შტატები ჩამორჩება მსოფლიოს სხვა ლიდერ ქვეყნებს. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2011 წლისათვის შეერთებული შტატებში მაკაცებისათვის 76 წელი იყო, ქალებისათვის – 81 წელი. 2016 წელს, შესაბამისად 77 და 82 წ. შეერთებული შტატებში, თეთრკანიან ამერიკელებში ეს მაჩვენებელი კაცებში 75,3 წელი და ქალებში – 80,5 წელია, ხოლო აფროამერიკელებში, შესაბამისად, 69 და 76 წელი. ამ განსხვავების ძირითადი მიზეზი, როგორც ვარაუდობენ, არის ის, რომ 45 წლამდე შავკანიანების მკვლელობის გამოც, სიკვდილიანობა უფორ მეტია, ვიდრე თეთრკანიანებში, ხოლო უფროს ასაკში კი, ასევე

განსაკუთრებით მაღალია სხვადასხვა შინაგანი ავადმყოფობით გამოწვეული მოკვდაობა შავკანიანებში.

იმიგრაცია შეერთებულ შტატებში უფრო მეტად ინტენსიურია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. იმიგრანტთა რაოდენობის ზრდა წლების განმავლობაში სულ უფრო ინტენსიური გახდა. მაგალითად, თუ 1960-იან წლებში ქვეყანაში 3,2 მილიონი ლეგალური მიგრანტი ჩავიდა, 1980-იან წლებში ეს რიცხვი უკვე 6,3 მილიონი იყო, ხოლო ბოლო ათწლეულში ეს კიდევ თითქმის გაორმაგდა. 2005 წლის მონაცემებით, შეერთებული შტატების მოსახლეობის 12,4%, – 35,7 მილიონი ადამიანი ამ ქვეყნის გარეთ იყო დაბადებული. შედარებისათვის, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია მხოლოდ კანადაში და ის 18,8 %-ს უდრის. ყველაზე მცირეა ჩინეთში – 0%, ინდოეთში – 0,5%; იტალიაში – 4,7%; დიდ ბრიტანეთში – 9,1%; ხოლო საფრანგეთში – 10,7%-ია.[35]

იმიგრანტთა ყველაზე დიდი ნაკადი კალიფორნიაში შედის. მას ჩამორჩება ტეხასი, ფლორიდა, ნიუ-იორკი და ა.შ. იმიგრანტთა შორის, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჭარბობენ ლათინური ამერიკიდან ჩასულები. მეორე ადგილზე აზიიდან ჩასულები არიან. მათ შორის კი, ყველაზე მრავალრიცხოვანი ჩინელი იმიგრანტები არიან (2005 წელს მათი რაოდენობა 3 მილიონამდე იყო), შემდეგ ინდუსები მოდიან (2,3 მილიონი). რაც შეეხება იმიგრანტებს ევროპული ქვეყნებიდან, მათმა რაოდენობამ სერიოზულად იკლო.

ზოგიერთი მონაცემით, 50 მილიონზე მეტი ამერიკელისათვის ინგლისური არ არის ოჯახში სასაუბრო ენა. ენის პრობლემა უკვე პოლიტიკურ ელფერსაც იძენს. მაგალითად, ჯ. ბუშმა 2006 წელს განაცხადა, რომ მისი აზრით, ამერიკის ჰიმნი ინგლისურ ენაზე უნდა შესრულდეს, ხოლო სენატმა მიიღო კანონი, რომ ინგლისური ენა არის ამერიკის საერთო ნაციონალური ენა. მართალია, ამას მწვავე კრიტიკა და ნაციონალიზმში ბრალდებებიც მოჰყვა, მაგრამ მხარდამჭერიც ბევრი ჰყავს.

იმიგრანტთა შორის ძალიან დიდია არალეგალურ იმიგრანტთა რაოდენობაც. მათი ზუსტი აღრიცხვა, რა თქმა უნდა, არ არსებობს, მაგრამ სხვადასხვა ექსპერტის აზრით, 13-15 მილიონს უნდა უდრიდეს. მათ შორის ყველაზე დიდია მექსიკელთა წილი. როგორც აღვნიშნეთ, ამერიკის მოსახლეობა 2016 წლისათვის 324,1 მილიონი იყო და ის ყოველწლიურად 0,9%-ით იზრდება. ეს თითქმის სამჯერ მეტია, ვიდრე ევროკავშირის მოსახლეობის ზრდა. თანაც, მიუხედავად დიდი მიგრაციული ნაკადებისა, ევროკავშირის ქვეყნებისაგან განსხვავებით, შეერთებული შტატების მოსახ-

ლეობა ძირითადად, მაინც ბუნებრივი და არამიგრაციული მატების ხარჯზე იზრდება. მიგრაციის დადებითი სალდო უზრუნველყოფს საერთო მატების მხოლოდ ერთ მესამედს, მაშინ, როდესაც ევროკავშირში – პირიქით, მოსახლეობის საერთო მატება 80%-ით განისაზღვრება მიგრაციით.

ახლა კიდევ უფრო დეტალურად განვიხილოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს დემოლოგიურ განსხვავებას შეერთებული შტატებსა და დასავლეთ ევროპას შორის. ეს ფაქტორები უპირველეს ყოვლისა, წარმოშობილია დასავლური ცივილიზაციის ამ ორი ძირითადი საყრდენის – შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის უახლესი პოლიტიკური ისტორიის თავისებურებებით. ასევე, იმითაც, რომ მიუხედავად ორივეს დასავლურობისა, მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპელებისა და ამერიკელების მიერ სამყაროს აღქმა. ამერიკელებში ამ აღქმაზე, მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდებს ისეთი ფენომენი, როგორიც არის ამერიკული ნეოკონსერვატიზმი. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ამერიკელთა პოლიტიკურ ცხოვრებასა და მსოფლმხედველობაზე, სწორედ ნეოკონსერვატიზმი ახდენს განსაკუთრებულ გავლენას.

„კონსერვატიზმი“, „ლიბერალიზმი“ პოლიტიკური იდეოლოგიების მრავლისმომცველი ტერმინებია. მათ შორის მთელი რიგი მყარი არსებითი განსხვავებაა. ეს განსხვავება პირველ რიგში არსებობს დამოკიდებულებაში ისეთი საბაზისო სოციალური ინსტიტუტების მიმართ, როგორიც არის რელიგია, ოჯახი, სკოლა. კონსერვატორები მათ დიდი პატივისცემით და სათუთად ეპყრობიან. ლიბერალები მათ უფრო მსუბუქად, ხშირად გარკვეული უგულებელყოფითაც ეკიდებიან. კონსერვატორები თვლიან, რომ ამ ინსტიტუტების რეფორმებს უაღრესად დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდონ, ხოლო ლიბერალები გაცილებით ნაკლებ სიფრთხილეს იჩენენ და იოლად მიდიან მათ რეფორმებზე. ლიბერალებისა და კონსერვატორების შეხედულებებს შორის განსხვავების საფუძველი, რა თქმა უნდა, პოლიტიკური იდეოლოგიები და მსოფლმხედველობრივი მიმდინარეობებია, მაგრამ ეს ძალიან ხშირად ყოფითი პრობლემებიდანაც მომდინარეობს. ვფიქრობ, გასაგები იქნება, თუ აქედან გავაკეთებთ დასკვნას, რომ რადგან ამერიკელების მსოფლმხედველობაზე დიდ გავლენას ახდენს ნეოკონსერვატიზმი – მაშასადამე, ბუნებრივია მათზე დიდ გავლენას ახდენს რელიგია და ოჯახი, დამოკიდებულება ქორწინების ინსტიტუტისადმი. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, როგორც უკვე თქვენთვის ცნობილია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დემოლოგიურ ქცევაზე. ევროპისგანაც ამერიკას, დიდ-

წილად სწორედ ეს განასხვავებს. ბევრს მიაჩნია, რომ ევროპისა და ამერიკის კულტურული და იდეოლოგიური განსხვავებულობის სიღრმისეული ფაქტორი, სწორედ მათი საზოგადოებების ცხოვრებაში რელიგიის სხვადასხვა როლია. ამერიკაში ეს როლი კვლავ ძალიან დიდია. ევროპაში კი ის სულ უფრო მცირდება.[35]

ალბათ, ამის გამოც არის, რომ შეერთებულ შტატებში დღემდე ფართოდ არის გავრცელებული დემოლოგიური ქცევის კონსერვატორული მოდელები. აქ სამ და ოთხშვილიანი ოჯახები დღემდე ძალიან გავრცელებულია.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება შეერთებულ შტატებში კონსერვატორული მსოფლმხედველობის გაძლიერებასა და უკანასკნელ ათწლეულებში შობადობის გაზრდას შორის. შეიძლება ითქვას, რომ ეს გარკვეული საფუძვლის მქონე ჰიპოთეზაა.

ამასთან, რა თქმა უნდა, შეერთებულ შტატებში დემოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში მხოლოდ კონსერვატორული ღირებულებების განხორციელებას არ შეაქვს თავისი წვლილი. კონსერვატორებთან ერთად, ამ ქვეყანაში ლიბერალებიც საკმაოდ მრავლად არიან და შობადობაში მათაც შეაქვთ თავისი წვლილი. არსებობს კიდევ სხვა მიზეზიც, რომელიც ლიბერალებსაც უწყობს ხელს შობადობის გაზრდაში. ეს გახლავთ ცვლილებები თავად ლიბერალურ მიმდინარეობებში. ლიბერალური ღირებულებებისა და ცხოვრების სტილის მომხრეები, ბოლო ათწლეულებში, სულ უფრო კარგად ახერხებენ პროფესიულ კარიერულ ზრდას და მშობლის ფუნქციების შესრულებას. არის ერთი მომენტიც, მართალია, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქორწინების გარეშე მშობიარობათა რაოდენობა, მაგრამ იმის გამო, რომ მომუშავე ამერიკელი ქალების ხელფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მათ ამის გამო ეკონომიკური დამოუკიდებლობაც მოიპოვეს, ისინი პარტნიორებზე დამოკიდებულების გარეშე, თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას ბავშვის ყოლის შესახებ. ისინი უკვე დარწმუნებულნი არიან, რომ ბავშვებს უკვე დამოუკიდებლადაც გაზრდიან.

არის კიდევ ერთი ეკონომიკური ფაქტორი. შეერთებულ შტატებში ბავშვებიანი მშობლების მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპული საოჯახო პოლიტიკისაგან, განსაკუთრებით ჩრდილოეთი და დასავლეთ ევროპის ქვეყნების საოჯახო პოლიტიკისგან. აქ არის საგადასახადო შეღავათების მთელი სისტემა, რო-

მელიც მნიშვნელოვნად უკეთებს კომპენსირებას მშობელთა დანახარჯს, რომელიც საჭიროა ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული მომსახურების დასაფინანსებლად. ამ მიზნით ფედერალური სახელმწიფო ფონდების მიერ ყოველწლიურად ათეულობით მილიარდი დოლარი სუბსიდირდება. ე.ი. შექმნილია *ბავშვის მოვლისათვის საჭირო მომსახურების სფეროს კარგი საბაზრო სისტემა, და ეს სისტემა, ამერიკელი ქალის ხელფასის სწრაფ ზრდასთან ერთად, კარგი სტიმული აღმოჩნდა შობადობის გაზრდისათვის.* ამერიკელი დემოლოგების დიდი ნაწილის აზრით, სწორედ ეს ყველაფერი და პირველ რიგში ქალის ხელფასის გაზრდა აღმოჩნდა ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რომელმაც იმოქმედა შობადობის გაზრდაზე და ის ამერიკაში არ დაეცა ევროპულ დონემდე.

ჩვენ აღვნიშნეთ ზოგიერთი ფაქტორის შესახებ, რომლებიც განაპირობებს განსხვავებას ამერიკულ და ევროპულ დემოლოგიურ ქცევას შორის. რა თქმა უნდა, ეს განსხვავება ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გაზიარებული და გაანალიზებული, მაგრამ მაინც გამოყოფენ იმ მიზეზების სამ ჯგუფს, რომლებიც განაპირობებს ამერიკაში უფრო მაღალ შობადობას ევროპულთან შედარებით, და ამას კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი:

პირველი – ამერიკაში არსებობს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობები (უპირველეს ყოვლისა, ლათინური ამერიკიდან წამოსულები), რომელთათვისაც დამახასიათებელია უფრო მაღალი შობადობა, ვიდრე ევროპული ქვეყნებისათვის.

მეორე – არალათინურამერიკული წარმოშობის თეთრკანიან მოსახლეობაში საგრძნობლად დიდია იმათი წილი, ვინც კონსერვატორულ ღირებულებებსა და ყოფით ორიენტაციას იცავს. ასეთი ღირებულებებისა და ყოფითი ორიენტაციის შემადგენელი ნაწილია ქალისა და კაცის როლების გამიჯვნა და ორი-სამი და მეტბავშვიანი (შეიძლება მრავალშვილიანიც) ოჯახები.

მესამე – იმის გამო, რომ არსებობს ბავშვის მოვლისათვის საჭიროფასიანი მომსახურების განვითარებული ბაზარი, ქცევის ახალი, „ლიბერალური“ მოდელის მიმდევარ ქალებს უკვე შეუძლიათ აქტიური პროფესიული კარიერა და დინამიური საზოგადოებრივი ცხოვრების სტილი კარგად შეუთავსონ დედობის ფუნქციებს.[35]

ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებაც უნდა აღვნიშნოთ. შეერთებული შტატების ბოლო ათწლეულების დემოლოგიური განვითარების ზოგიერთი თავისებურება აშკარად არ ჯდება დემოლოგიური უნივერსალიზმის მოდელში. შევეცადოთ ჩამოვთვალოს ისინი:

1. უკანასკნელ ათწლეულებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში შობადობის დინამიკა ეჭვის ქვეშ აყენებს თითქოს უდავო დემოლოგიურ ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ მდიდარ ქვეყნებში შობადობა ყოველთვის დაბალია. შეერთებულ შტატებში შობადობა კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება მოკვდაობას და ეს პროცესი, როგორც ჩანს, სულ ცოტა, ახლო მამავალშიც გაგრძელდება. თანაც, ეს ხდება არა მხოლოდ მოკვდაობის შემცირების ხარჯზე, არამედ შობადობის ზრდის ხარჯზეც. თეთრკანიან მოსახლეობაშიც კი, შობადობის დონე ძალიან ახლოს არის მარტივი გამრავლების დონესთან. ეს მატება არც მხოლოდ მიგრაციის ხარჯზე ხდება. მოსახლეობის საერთო მატება ჯერჯერობით კვლავ უფრო ბუნებრივი მატების ხარჯზე ხდება, ვიდრე მიგრაციული მატებისა. ასეთი მოვლენა აშკარად არ შეესაბამება მეორე მიგრაციული გადასვლის თეორიას, რომლის შესახებაც ჩვენ ვილაპარაკეთ. როგორც გახსოვთ, ამ თეორიის მიხედვით, პირველ დემოლოგიურ გადასვლას მოსდევს მეორე დემოლოგიური გადასვლა და რომელიც პრინციპში სხვა არაფეერია, თუ არა დეპოპულაცია. ე.ი. ამ სქემას, ამ ფაზას უნდა შეესაბამებოდეს შობადობის მნიშვნელოვანი კლება და ამის გამო, ბუნებრივი მატების შეწყვეტა. ასეთი ქვეყნების (და ეს შეეხება ძირითადად განვითარებულ ქვეყნებს) მოსახლეობა იზრდება ძირითადად მიგრაციული მატების ხარჯზე. მაშასადამე, გამოდის, რომ ქვეყანა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მეტად განვითარებულია, როგორ ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრიისთ, არ მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებიც „მეორე დემოლოგიური გადასვლის“ სათავეებთან არიან. ამას ბევრი დასავლელი მეცნიერი ერთგვარ „ამერიკულ პარადოქსსაც“ უწოდებს.
2. დასავლეთ ევროპის დემოლოგიური განვითარება პრინციპულად განსხვავებულად გამოიყურება, ვიდრე შეერთებული შტატების და მთლიანად ევროპის დემოლოგიური განვითარება. დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობის რიცხვი მრავალი პროგნოზული გაანგარიშებით, მომავალი 50 წლის მანძილზე მაინც სტაბილური დარჩება. ხოლო მათი წილი მთელი დედამიწის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შესამჩნევად დაიკლებს. შეერთებულ შტატებში მოსალოდნელია მოსახლეობის რაოდენობის თითქმის 1,5-ჯერ მატება, მაგრამ მისი წილი მსოფლიოს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში თითქმის არ შეიცვლება. შეერთებული შტატები მრავალი პროგნოზული გათვლით, 2050 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობით, ინდოე-

თისა და ჩინეთის შემდეგ, იქნება მესამე ადგილზე. გამართლდება თუ არა ასეთი პროგნოზი, მომავალი გვიჩვენებს.

3. იმის მიზეზი, რომ შეერთებული შტატები ვერ ეტევა უნივერსალურ დემოლოგიურ სქემაში, არის მისი სპეციფიკური გეოგრაფიული ფაქტორი. მას უდიდესი სახმელეთო საზღვარი აქვს მექსიკასთან. ამ ფაქტორთან გამკლავება შეერთებულ შტატებს ძალიან უჭირს, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.
4. შემდეგი პრობლემა, რომელთანაც უწევს გამკლავება შეერთებულ შტატებს (ისევე, როგორც დასავლეთ ევროპას), არის ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან იმიგრანტთა კოლოსალური რაოდენობის ინტეგრაცია დასავლური ტიპის საზოგადოებაში (პირველ რიგში კულტურული ღირებულებებისა და ნორმების, ტრადიციების გათვალისწინებით). როგორც ვარაუდობენ, შეერთებული შტატები იქნება ის პირველი ქვეყანა, რომელშიც იმ ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობა, რომლებიც იმიგრირებული არიან ლათინური ამერიკის, აზიის, აფრიკის და სხვა ქვეყნებიდან და კონტინენტებიდან, მიაღწევს შეერთებული შტატების მოსახლეობის საერთო რაოდენობის ნახევარს. ეს შეიძლება 50 წელიწადში მოხდეს. ეს პროცესი ამის შემდეგაც შეიძლება გაგრძელდეს. ეს ყველაფერი ძალიან ბევრ სერიოზულ კითხვას ბადებს. როგორ შეცვლის ეს შეერთებული შტატების საზოგადოებას მთლიანად? კიდევ დარჩება შეერთებული შტატები ერთიან „ამერიკულ ეთნოსად“? მოინდომებენ კი ასეთი კოლოსალური რაოდენობით ჩასული იმიგრანტები აღიარონ და გაიზიარონ ტრადიციული ამერიკული ღირებულებები? შეინარჩუნებს კი, ასეთ შემთხვევაში ქვეყანა თავის კულტურულ იდენტობას?[35]

ამ კითხვებზე პასუხებისაგან დიდად იქნება დამოკიდებული, როგორც თავად შეერთებული შტატების, ისე ევროპისა და ვფიქრობთ, მთელი მსოფლიოს მომავალიც.

თავი XI. დემოლოგიური პოლიტიკა

მსოფლიოს მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების ტენდენციების განხილვამ, ისევე, როგორც საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნების მოსახლეობის დემოლოგიური განვითარების განხილვამ, ვფიქრობთ, დაგვარწმუნა იმაში, რომ არსებული პრობლემები რთული, მრავალფეროვანი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა. ყველა სახელმწიფოს წინაშე, თუ გნებავთ, მთელი პლანეტის წინაშე უაღრესად აქტუალურად დგას გააზრებული დემოლოგიური პოლიტიკის გატარების აუცილებლობა.

სანამ უშუალოდ დემოლოგიურ პოლიტიკაზე, სოციალურ და საოჯახო პოლიტიკაზე, მის განმარტებასა და შემადგენელი ელემენტების უფრო დეტალურ განხილვაზე გადავალთ, აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნებისა და პრობლემის გააზრება. მით უფრო, რომ ზოგიერთი მათგანი სოციოლოგიის, ეკონომიკის, პოლიტიკური და სხვა მეცნიერებების აქტიურად შესწავლის საგანიც არის. დავიწყოთ სოციალური უთანასწორობით.

11.1. სოციალური უთანასწორობა. ის ერთ-ერთი ძირითადი მოვლენაა, შეიძლება ითქვას, ისტორიული, სოციალურ-ფილოსოფიური ფენომენია, რომელიც ყველა დროსა და ქვეყანაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ზოგადად პოლიტიკას, ეკონომიკას, სოციალურ და უფრო კონკრეტულად, დემოლოგიურ განვითარებასაც. სოციალური უთანასწორობა არსებობდა და არსებობს ნებისმიერ საზოგადოებაში, ცალკეულ ადამიანებს შორის, ცალკეულ ადამიანებსა და ჯგუფებს შორის, ცალკეულ ჯგუფებსა და ფენებს შორის. საზოგადოების ფენებად დაყოფაც (სოციალური სტრატიფიკაცია) ხომ ძირითადად სოციალური უთანასწორობის საფუძველზე ხდება, მისი პირდაპირი შედეგია. სტრატიფიკაცია ხომ არის მთელი საზოგადოების ადამიანთა იმ ფენებად დაყოფა, რომელთაც აქვთ მათთვის საჭირო და სასურველი რესურსების არათანაბარი რაოდენობა, ცხოვრების არათანაბარი შანსი და არათანაბარი სოციალური გავლენა.

საზოგადოების ფენებად დაყოფას, სტრატიფიკაციას უფრო ხშირად აკავშირებენ საკუთრებასთან და პრივილეგიებთან. ასეთი დაყოფა შეიძლება აღმოცენდეს სხვა ნიშნის მიხედვითაც. მაგალითად, გენდერის, ასაკის, რელიგიის, სამსახურებრივი სტატუსის და სხვა კრიტერიუმების საფუძველზე. ცნობილია, რომ ისტორიულად,. ადამიანთ საზოგადოებაში სტრატიფიკაციის ოთხი ძირითადი სისტემა არსებობდა: მონობა, კასტა,

წოდება და კლასი. სოციოლოგთა უმეტესობა თვლის, რომ სტრატიფიკაციას, ანუ ფენებად დაყოფას აქვს სამი ძირითადი განზომილება: სიმდიდრე, ძალაუფლება და ავტორიტეტი. ისეც ხდება, რომ ადამიანს მაღალი სტატუსი აქვს ერთ რომელიმე განზომილებაში, მაგრამ შეიძლება მისი სტატუსი დანარჩენ ორში, დაბალი იყოს. მაგალითად, მეცნიერს, შემოქმედს, საეკლესიო პირს, შეიძლება ჰქონდეს მაღალი ავტორიტეტი და დაფასება, მაგრამ ნაკლებად ჰქონდეს ან საერთოდ არ ჰქონდეს სიმდიდრე და ძალაუფლება, ან პირიქით.

ხშირად თვლიან, რომ ფენებად დაყოფა, ანუ უთანასწორობა, ინსტიტუციონალიზებულია. ე.ი. უკვე, რაღაც მყარ სისტემაშია მოქცეული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ უთანასწორობა ჩაშენებულია სოციალურ სტრუქტურაში და თაობიდან თაობას გადაეცემა (ან შეიძლება გადაეცეს). ხშირად ძალიან ძნელია (თუ შეუძლებელია არა), უკვე ჩამოყალიბებულ იერარქიაში პოზიციის შეცვლა.

თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ფენებად დაყოფაში განსაკუთრებული ადგილი სიმდიდრესა და შემოსავალს უკავია. არც თანამედროვე საზოგადოებაში და არც წარსულში, სამწუხაროდ, საყოველთაო, სამართლიანი და ყველას მიერ აღიარებული თანაწორობა არსად არ მიღწეულა. ამის კარგი მაგალითი მოაქვს თავის წიგნში „სოციოლოგია“, გამოჩენილ თანამედროვე ინგლისელ სოციოლოგს, ენტონი გიდენსს.[18] ის წერს, რომ ასეა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მართალია, ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში მისმა შემქმნელებმა განაცხადეს, რომ „ყველა ადამიანი დაბადებულია თანასწორად“ და ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ დიდმა ფრანგმა სოციალურმა თეორეტიკოსმა ალექსის დე ტოკვილმა განაცხადა, რომ „ეს ქვეყანა არის მოდელი თანასწორი, დემოკრატიული საზოგადოების შექმნისა და აქედან გამომდინარე, ის ევროპის მომავალი განვითარების მზა რეცეპტია“. მიუხედავად ასეთი დეკლარირებისა, ასეთი აღფრთოვანებისა, თანასწორობა ფართო გაგებით, მაინც არ არსებობდა. არ არსებობდა არც XVIII საუკუნეში, არც მთელი XIX საუკუნის განმავლობაში. ამერიკის დემოკრატიის მამებმა ხელუხლებელი დატოვეს უთანასწორობის ყველაზე რადიკალური სისტემა – მონობის სისტემა. არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც, ქალებმა XX საუკუნის 20-იან წლებამდე ვერ მიიღეს.

საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, ყველაზე მობილურ და დემოკრატიულ ფორმად მიჩნეულია სოციალური კლასი. სოციალურ კლასს საზღვრავენ, როგორც ადამიანთა დიდ ჯგუფს, რომლის წევრებსაც მსგავსი

ეკონომიკური რესურსი აქვთ. კლასები უფრო მობილური და დინამიურია, იმიტომ, რომ თავისი წარმოშობით არ არიან დაკავშირებული იურიდიულ და რელიგიურ მომენტებთან. კლასისადმი კუთვნილება არ ემყარება მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებულ სტატუსს. ის არ განისაზღვრება არც კანონებით და არც წეს-ჩვეულებებით. სტრატიფიკაციისა და კლასების შესახებ არაერთი თეორია არსებობს. სამწუხაროდ, მათ ჩვენს ნაშრომში არ განვიხილავთ. ეს არ არის ჩვენი ნაშრომის ამოცანა.

დემოლოგიური პოლიტიკის არსის უფრო ღრმად გასააზრებლად, აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ ისეთ თემებს, როგორიც არის

11.2. სიღარიბე და საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო

დავიწყოთ სიღარიბით. რა არის სიღარიბე? როგორ უნდა განვსაზღვროთ ის? ანსხვავებენ ორგვარ სიღარიბეს: აბსოლუტურ სიღარიბეს და შეფარდებით სიღარიბეს:

აბსოლუტური სიღარიბის ცნება ეფუძნება სასიცოცხლო მინიმუმის არსებობის იდეას, ანუ იმ ძირითადი პირობების არსებობას, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია ადამიანის ნორმალური ფიზიკური არსებობისათვის.

სწორედ იმ ადამიანებს უწოდებენ ღარიბებს, რომლებიც მოკლებულნი არიან ამ ძირითად აუცილებელ პირობებსა და საშუალებებს. ეს არის კვება, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, გათბობა და ა,შ, ითვლება, რომ შესაბამისი ასაკისა და აგებულების ადამიანებისთვის, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობენ ისინი, საარსებო სტანდარტები მეტ-ნაკლებად ერთნაირია. როდესაც ადამიანის ცხოვრების პირობები ნაკლებია დადგენილ უნივერსალურ სტანდარტებზე, ამბობენ, რომ ეს ადამიანი ცხოვრობს სიღარიბეში.

ამასთან, ყველა არ თვლის, რომ ასეთი სტანდარტების დადგენა შესაძლებელია. ამ თვალსაზრისზე მყოფ სოციოლოგებს მიაჩნიათ, რომ უმჯობესია შეფარდებითი სიღარიბის ცნების გამოყენება. ისინი ამტკიცებენ, რომ სიღარიბე განისაზღვრება კულტურის თვალსაზრისითაც და ამიტომ მისი გაზომვა არ შეიძლება რაღაც ერთი უნივერსალური სტანდარტის შესაბამისად. ადამიანის მოთხოვნილებები განსხვავებულია, როგორც ერთი საზოგადოების შიგნით, ასევე სხვადასხვა საზოგადოებაშიც. ის, რაც სასიცოცხლოდ აუცილებლად ითვლება ერთ საზოგადოებაში, მეორეში შეი-

ძლება ზედმეტ ფუფუნებად ითვლებოდეს და უაზრობა იქნება სიღარიბე განისაზღვროს მათი არსებობის ან არარსებობის საფუძველზე.

უაღრესად რთულია სიღარიბის ზღვარის (ზღუდის) განსაზღვრაც. მისი დადგენის მეთოდიკაც სხვადასხვაა. ეს რთულია იმიტომაც, რომ უაღრესად ცვალებადი და განსხვავებულია იმ პროდუქტების ფასები, რომლებიც აუცილებელია ადამიანის არსებობისათვის ამა თუ იმ საზოგადოებაში. როდესაც ერთი ადამიანის, ან ოჯახის შემოსავალი სიღარიბის ზღვარზე დაბალია, ამბობენ, რომ ადამიანი ან ოჯახი ცხოვრობს სიღარიბეში. მაგრამ, როგორც ვთქვით, სიღარიბის მხოლოდ ამ კრიტერიუმით განსაზღვრა შეიძლება არ იყოს საკმარისი, რადგან ამ დროს მხედველობაში ვერ იქნება მიღებული ადამიანთა მოთხოვნილებების ვარირება, თუნდაც ერთი საზოგადოების შიგნით.

იმასთან ერთად, რომ საზოგადოება მთლიანად მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილი გახდა, განსხვავება და უფსკრული ყველაზე ღარიბებსა და ყველაზე მდიდრებს შორის, სულ უფრო დიდი და შესამჩნევი ხდება.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სიღარიბის ოფიციალურად დადგენილი ზღვარი. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგალითად, ეს ასე არ არის დიდ ბრიტანეთში.

ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ თუ სიღარიბის დადგენისას ამოვალთ მხოლოდ შემოსავლებიდან, მაშინ შეიძლება ვერ შევაფასოთ იმის რეალური მასშტაბები, რასაც მოკლებული არიან დაბალშემოსავლიანი ოჯახები.

როგორც ვხედავთ, შეუძლებელია მოკლედ აღვწეროთ, ვინ არის ღარიბი. ამბობენ, რომ სიღარიბე მრავალსახოვანი და ცვალებადია. მაგრამ, მაინც შეიძლება ითქვაას, რომ არსებობს კატეგორია, რომელთა წარმომადგენელ ადამიანებს უფრო დიდი ალბათობა აქვთ იცხოვრონ სიღარიბეში. ადამიანებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით იმყოფებიან არახელსაყრელ პირობებშ, უფრო დიდი ალბათობა და შანსი აქვთ აღმოჩდნენ ღარიბებს შორის. მაგალითად, უმუშევრებს, დროებით და ნახევრად მომუშავეებს, ხანდაზმულ, ავადმყოფ და უნარშეზღუდულ ადამიანებს, ეთნიკურ უმცირესობაში მყოფ მიგრანტებს და ა.შ. (პენსიონერებსაც).

ახლა ვნახოთ, როგორ ხსნიან ისეთ მოვლენას, როგორიც არის სიღარიბე. ამის ახსნისას მკვლევარები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფიან. პირველი ჯგუფი იზიარებს თეორიას, რომ ღარიბები თვითონ არიან პასუხისმგებლები თავისი სიღარიბის გამო. ხოლო მეორე ჯგუფი იზიარებს თეორიას, რომ სიღარიბე წარმოიქმნება საზოგადოების სტრუქტურული

ძალებით. ამ თეორიებს ზოგჯერ პირობითად უწოდებენ თეორიას – **„დამნაშავეა მსხვერპლი“** და **– „დამნაშავეა სისტემა“.**

ხშირად სიღარიბის ახსნას ცდილობენ ადამიანის ცხოვრების წესით, აგრეთვე ადამიანთა ცხოვრებისეული პოზიციითა და შეხედულებებით. ოსკარ ლიუისმა წამოაყენა თეორია (1961 წელს), რომელიც ამტკიცებდა, რომ მრავალ ღარიბ ადამიანს აქვს სიღარიბის კულტურა. ლიუისის აზრით, ეს არის არა ადამიანის არაადეკვატურობის რეზულტატი, არამედ არის იმ ფართო სოციალური და კულტურული სფეროს შედეგი, რომელშიც მიმდინარეობს ღარიბი ადამიანებისა და მათი ბავშვების სოციალიზაცია. სიღარიბის კულტურა თაობიდან თაობას გადაეცემა იმიტომ, რომ ახალგაზრდა ადამიანები ბავშვობიდან ეგუებიან იმას, რომ არა აქვს აზრი რამე უკეთესისაკენ მისწრაფებას. ამის გამო, ისინი თავის მძიმე მდგომარეობას, გამოუვლად თვლიან და მას გარდუვალად მიიჩნევენ.[18]

სიღარიბის კულტურის შესახებ თეზისი განავითარა ამერიკელმა სოციოლოგმა ჩარლზ მარიმ. ადამიანებს, რომლებიც ღარიბები არიან „არა თავისი მიზეზით“ – მაგალითად, ქვრივები, ობლები, ინვალიდები – მარი მიაკუთვნებს სხვა კატეგორიას, იმათგან განსხვავებით, ვინც ეკუთვნის „სხვის კმაყოფაზე მყოფთა“ კულტურას. ამ ტერმინით მარი აღნიშნავს იმ ღარიბ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფოს სოციალური დახმარების იმედით და არა შრომით ბაზარზე სამუშაოს პოვნით. ე.ი. სოციალური დახმარება, წყალობა, ქველმოქმედება ადამაინს ართმევს შრომის სტიმულს.

სიღარიბის მიზეზების ასახსნელად აანალიზებენ იმ ფართომასშტაბიან სოციალურ პროცესებს, რომლებიც სიღარიბის გაჩენის პირობებს ქმნის და რაც მთავარია, რომელთა დაძლევაც ცალკეულ ადამიანს ობიექტურად არ შეუძლია. ამ თეორიის მიხედვით, საზოგადოების სტრუქტურული ძალები, – ანუ ისეთი ფაქტორები, როგორიც არის კლასი, გენდერი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების ხასიათი, მიღებული განათლება და ა.შ. – აყალიბებს სწორედ რესურსების განაწილების წესს. მაშასადამე, სიღარიბის ასახსნელად სტრუქტურული მიდგომის მომხრენი თვლიან, რომ წარმატებისაკენ სწრაფვის ნაკლებობა ღარიბებში გამოწვეულია არა იმით, რომ ისინი ეკუთვნიან „სხვის კმაყოფაზე მყოფთა“ კულტურას, არამედ გამოწვეულია მათი მძიმე მდგომარეობით. სიღარიბე, ეს არის მიზეზი და არა შედეგი. ამ იდეების მომხრეებს მიაჩნიათ, რომ სიღარიბის დაძლევა მხოლოდ ადამიანების შეხედულებების შეცვლით არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა პოლიტიკური ზომები და საზოგადოებაში შემოსავლისა და რესურსების უფრო თანაბარი განაწილება.

11.3. სიღარიბე და სოციალური მობილობა

ჩევნ აქამდე ვილაპარაკეთ იმ გამოკვლევების შესახებ, რომლებიც ადგენს, თუ როგორ მოხვდნენ ადამიანები სიღარიბეში, რა არის ამის მიზეზი, ასევე არის მცდელობა, დაადგინონ სიღარიბის დონე. მაგრამ ამავე დროს, იკვლევენ იმასაც, თუ დროთა განმავლობაში, როგორ აღწევენ თავს ადამიანები სიღარიბეს. ზოგჯერ ასეც ამბობენ: თუ როგორია „სიღარიბის სიცოცხლის ციკლი“. თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ ხშირად ადამიანები კვლავ უბრუნდებიან ღარიბთა კატეგორიას.

ზოგიერთს მიაჩნია, რომ სიღარიბე პერმანენტული მდგომარეობაა, მაგრამ მეც ვიზიარებ იმ აზრს, რომ სულაც არ არის გარდაუვალი, რომ ადამიანმა ვერასდროს დააღწიოს თავი სიღატაკეს. ასეთი მაგალითები ჩვენს გარშემო უამრავი არსებობს და მსოფლიოშიც უამრავი უმდიდრესი ადამიანი წარსულში უაღრესად ღატაკი ყოფილა. გამოკითხვაც იმას ადასტურებს, რომ მოძრაობა დიდია, როგორც სიმდიდრიდან სიღარიბისაკენ, ასევე კიდევ უფრო დიდია სიღარიბიდან სიმდიდრისაკენ. სწორედ ეს მოძრაობებია სოციალური მობილობის მაჩვენებელი. ამ მოძრაობების ინტენსივობა გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ადამიანთა სოციალური მობილობა ინტენსიური და აქტიურია.

ახლა გადავიდეთ ისეთ თემაზე, როგორიც არის საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო და სოციალური დახმარება.

11.4. საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო და სოციალური დახმარება

დღევანდელ მსოფლიოში ინდუსტრიალური, განვითარებული ქვეყნების უმეტესობა საყოველთაო კეთილდღეობის ქვეყნებია. ე.ი. ქვეყნები, სადაც მთავრობა თამაშობს ცენტრალურ როლს მოსახლეობაში უთანასწორობის შესამცირებლად. ამას ქვეყნის მთავრობა აკეთებს ზოგიერთი საქონლისა და მომსახურების ან პირდაპირ მიწოდებით, ან სუფსიდირებით. სახელმწიფო დახმარების მიზანი ის არის, რომ მოახდინოს იმ ნეგატიური გავლენის ნეიტრალიზაცია, რომელსაც ადამიანებზე ახდენს ბაზარი, მკაცრი საბაზრო პირობები და კონკურენცია. ეს არის იმ რისკების შემცირება, რომელიც ადამიანებს თავისი ცხოვრების განმავლობაში ხვდებათ: ავადმყოფობა, ინვალიდობა, სამსახურის დაკარგვა და სიბერე.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოთა სოციალური სამსახური სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. მაგრამ როგორც წესი, ისინი ანხორციელებენ დახმარებას ისეთ სფეროებში, როგორიც არის ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, სათანადო დახმარების გაცემა უმუშევრობის, ინვალიდობის, სიღარიბის დროს და ასევე, ასაკის მიხედვით პენსიების გაცემა. რა თქმა უნდა, სახელმწიფო დახმარების მასშტაბი სხვადასხვა ქვეყანისა და სხვადასხვა მიმართულების მიხედვით, განსხვავებულია. ამ მიმართულებით გამოყენებულია ქვეყნის ბიუჯეტის სხვადასხვა რაოდენობა. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო დახმარებას უნივერსალური ხასიათი აქვს. ეს უნივერსალურობა იმაში მდგომარეობს, რომ დახმარების მიღების უფლება ერთნაირად აქვს საზოგადოების ყველა წევრს, როდესაც მას ეს დასჭირდება. ე.ი. ეს დახმარება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვის რა დონის ეკონომიკური შემოსავალი ან ეკონომიკური სტატუსი აქვს. ასეა, მაგალითად, შვეიცარიაში.

არის სხვა სისტემები, სადაც დახმარებაში დიდი ადგილი უჭირავს ისეთ დახმარებას, რომელიც ინიშნება იმის მიხედვით, თუ რამდენად საჭიროებს ამას ადამიანი, ანუ ის დამოკიდებულია ეკონომიკურ შემოსავალსა და სტატუსზე. ასეა, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში.

ამ ორი მიდგომის მომხრეები ხშირად კამათობენ ერთმანეთში. კამათს იწვევს აგრეთვე საკითხი გადასახადების შესახებ. სახელმწიფო დახმარების, პენსიების, სტიპენდიების, ფინანსური წყარო, რა თქმა უნდა საგადასახადო შემოსავალია. ზოგიერთი თვლის, რომ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მაღალი შემოსავლის კარგი წყაროები და ამიტომ გადასახადებიც უნდა იყოს მაღალი. ასეთი მიდგომების მომხრეები თვლიან, რომ საბაზრო ეკონომიკით გამოწვეული საზოგადოების მკვეთრად პოლარიზების შესაჩერებლად, აუცილებელია სახელმწიფო დახმარების არამცთუ შენარჩუნება, არამედ გაფართოებაც კი, და ეს იმდენად მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომ მის გადასაწყვეტად გადასახადების მაღალ დონეზეც კი უნდა წავიდეს სახელმწიფო. ისინი თვლიან, რომ ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფოს ვალია, დაიცვას და უზრუნველყოს თავისი მოქალაქეები.

მეორე მიდგომის მომხრეებს კი, როგორც უკვე ვთქვით, მიაჩნიათ პირიქით – რომ საყოველთაო სახელმწიფო დახმარების სისტემა არის ძვირადღირებული, არაეფექტური და ბიუროკრატული. ისინი მოითხოვენ ასეთი დახმარების შემცირებას და მხოლოდ იმათ დახმარებას, რომლებისთვისაც ის აუცილებელია.

დღეს მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში, პოლიტიკოსები, ეკონომისტები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები ფართოდ იხილავენ სოციალური სახელმწიფოს მომავალს. აშკარაა, რომ გლობალიზაციის, მიგრაციის, ოჯახებში ცვლილებების, დემოლოგიური პროცესების, საქმიანობის სახისა და ფორმის, სხვა ფუნდამენტური ცვლილებების ფონზე, შეიცვლება სახელმწიფო დახმარების შინაარსი და ფორმები.

რა თეორიები არსებობს საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს შესახებ?

ჯერ ერთი, დავიწყოთ თვითონ მისი განმარტებით. ვფიქრობ, მკითხევლისათვის ახლა უფრო ნათელი იქნება ეს განმარტება, ვინემ ეს რომ თავიდან გაგვეკეთებინა.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო არის სახელმწიფო, რომელიც ქვეყნის ეკონომიკისა და შემოსავლის სახელმწიფო რეგულირების მეშვეობით, საზოგადოების თითოეულ წევრს გარანტირებულად უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალი დონით.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ევოლუციის ასახსნელად, მრავალი თეორია იყო შექმნილი. მაგალითად, მარქსისტები თვლიდნენ, რომ სახელმწიფო დახმარება ემსახურება კაპიტალისტური სისტემის გამყარებას. შემდეგ, განვითარებული ინდუსტრიალიზაციის პირობებში, ბევრს მიაჩნდა, რომ სახელმწიფო დახმარების სისტემები ხელს უწყობს საზოგადოების მოწესრიგებულ ინტეგრაციას. არსებობს ტ. მარშალის, ესპინ-ანდერსენისა და სხვათა ძალიან საინტერესო თეორიები სოციალური სახელმწიფოს შესახებ.

მაგალითად, ესპინ-ანდერსენი ჩამოთვლის სოციალური სახელმწიფოს სამ ტიპს:

1. სოციალურ-დემოკრატიულ; ტიპს; 2. კონსერვატიულ-კორპორატიულ ტიპს და

3. ლიბერალურ ტიპს. მაგრამ ამ თეორიებს ჩვენ დაწვრილებით ვერ შევეხებით.

ე.ი. სიღარიბის დაძლევა, ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი სოციალური ამოცანა სახელმწიფოსათვის, რომლისთვისაც სიღატაკის, უმუშევრობის, შემოსავლის არქონის და ა.შ. პრობლემებია დამახასიათებელი. ამ პრობლემების გადაწყვეტას, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემის გადაწყვეტას, ყველა სახელმწიფო თავისი შერჩეული პოლიტიკით ცდილობს.

ახლა კი, უკვე შეგვიძლია უშუალოდ გადავიდეთ ისეთ თემაზე, როგორიც არის

11.5. სოციალური პოლიტიკა, დემოლოგიური პოლიტიკა. მათი მნიშვნელობა სახელმწიფოს უსაფრთხო და მდგრად განვითარებაში

ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ იმაზე, თუ რას ნიშნავს სიღატაკე და კეთილდღეობა. რას ნიშნავს საყოველთაო კეთილდღეობა და როგორ აღწევს მას სახელმწიფო. რას ნიშნავს საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო და სახელმწიფო დახმარების სისტემა. მოდით, ახლა განვიხილოთ რას ნიშნავს უფრო ფართოდ – სოციალური პოლიტიკა, დემოლოგიური პოლიტიკა. რა მნიშვნელობა აქვს თითოეულ მათგანს ქვეყნის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაში.

ნებისმიერი სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს საზოგადოების სრულფასოვანი, ნორმალური განვითარებისათვის, მისი სოციალური სფეროს განვითარებისათვის. ეს ზრუნვა არ შეიძლება იყოს აბსტრაქტული და ის აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს ერთიან სისტემაში. ერთიან პოლიტიკაში. სწორედ ასეთ ერთიან სისტემას, ერთიან პოლიტიკას გულისხმობენ სოციალურ პოლიტიკაში.

სოციალური პოლიტიკა, ეს არის სპეციალური პროგრამებისა და ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება, ქვეყნის მთელი მოსახლეობის ან მისი ცალკეული ფენის (ე.წ. სელექციური სოციალური პოლიტიკა) კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ, დაადგინეს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი ამოცანა, დომინანტა, უნდა იყოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ანუ კეთილდღეობა.

სოციალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა საარსებო მინიმუმის დადგენა, გაჭირვებული ოჯახებისათვის, უმუშევრებისათვის, სხვადასხვა კატასტროფისაგან დაზარალებულთათვის დახმარების პროგრამების და სისტემების შემუშავება.

სოციალური პოლიტიკის მიზანია მდგომარეობის გაუმჯობესება, პროგრესის მიღწევა მთელ სოციალურ სფეროში – ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დაზღვევის სფეროში, სოციალური დაზღვევის სფეროში, ბავშვთა დაცვის, შრომის პირობების, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

სოციალური სფეროს რეგულირებას ყველა დროსა და ქვეყანაში ოდითგანვე მეტ-ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. მაგრამ მიაჩნიათ, რომ

შედარებით სისტემური სოციალური პოლიტიკის განხორციელება მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოდან დაიწყეს, ხოლო სოციალური პოლიტიკის თანამედროვე სისტემა განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბებას ძირითადად XX საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყებს.

თანამედროვე მსოფლიოში, სოციალური პოლიტიკის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს 1961 წელს მიღებული ევროპული სოციალური ქარტია. ეს ქარტია წარმოადგენს ევროპის საბჭოს საპროგრამო დოკუმენტს, რომელიც ძალაში 1965 წლიდან შევიდა. ამ ქარტიის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ მან აღიარა ადამიანის უფლება, ისარგებლოს სოციალური პროგრესით.

მაგალითად, ქარტია აღიარებს ანაზღაურებადი შრომისა და მისი თავისუფალი არჩევანის უფლებას და ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს ძირითად ვალდებულებად აღიარებულია დასაქმების მაღალი და სტაბილური დონის მიღწევა და შენარჩუნება. ქარტიის მრავალი სტატია ეხება იმ მინიმალურ სოციალურ გარანტიებს, რომლებიც სავალდებულოა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მასზე ხელს აწერენ. გათვალისწინებულია შრომის პირობები, ბავშვთა, ქალთა უფლებები. ის ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური და სამედიცინო მომსახურების, ოჯახის სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას, სხვადასხვა დახმარების გაწევის ღონისძიებათა სისტემას.

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ წარადგენენ მოხსენებას ქარტიის მოთხოვნების შესრულების შესახებ. ე.ი. ხდება მისი სისტემური ანალიზი.

სოციალური ქარტიიდან გამომდინარე, სოციალური პოლიტიკის განსაზღვრა შეიძლება ასეც: *ეს არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმიანობა, რომელიც მიმართულია საზოგადოების სოციალური სფეროს განვითარების, კეთილდღეობის ამაღლების, შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ.*

სოციალური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დემოლოგიურ პოლიტიკასა და საოჯახო პოლიტიკას. ეს ორი პოლიტიკა გარკვეულად ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დემოლოგიური პოლიტიკის ძირითადი მიზანია ზემოქმედება მოსახლეობის გამრავლების პროცესზე, დემოლოგიურ მაჩვენებლებზე, დემოლოგიურ მოვლენებზე. საოჯახო პოლიტიკის ძირითადი მიზანი კი, არის ბავშვიანი ოჯახებისთვის დახმარების ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და განხორციელება.

დემოლოგიური პოლიტიკა ესმით, როგორც ფართო, ასევე ვიწრო გაგებით. ფართო მნიშვნელობით, დემოლოგიური პოლიტიკა გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პირობების რეგულირებისკენ მიმართულ საქმიანობას, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს დემოლოგიური შედეგებიც. ვიწრო გაგებით კი, დემოლოგიურ პოლიტიკაში უნდა გავიგოთ იმ ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია უშუალოდ დემოლოგიურ მოვლენებზე გავლენის მოხდენა, კერძოდ, გავლენის მოხდენა მოსახლეობის ზრდაზე, შობადობაზე, მოკვდაობაზე, მიგრაციებზე და მოსახლეობის ტერიტორიულ განაწილებაზეც.

ამ ორი განსხვავების აღსანიშნავად, განსხვავებული ტერმინებიც გამოიყენება. პირველ შემთხვევში, – ე.ი. დემოლოგიური პოლიტიკის ფართო გაგების – შემთხვევაში, გამოიყენება ტერმინი „პოლიტიკა მოსახლეობის სფეროში“ ან უბრალოდ, „მოსახლეობის პოლიტიკა“. მეორე შემთხვევაში, – ე.ი. დემოლოგიური პოლიტიკის ვიწრო გაგების – შემთხვევაში იხმარება „დემოლოგიური პოლიტიკა“.

ამგვარად, დემოლოგიური პოლიტიკა უნდა გვესმოდეს, როგორც „მოსახლეობის პოლიტიკის“ ნაწილი. თავის მხრივ კი, ეს უკანასკნელი წარმოადგენს „სოციალური პოლიტიკის“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს, კომპონენტს. მაშ, გამოდის, რომ „დემოლოგიური პოლიტიკა“ არის „სოციალური პოლიტიკის“ მნიშვნელოვანი ნაწილი.

დემოლოგიური პოლიტიკა არის სახელმწიფო და სხვა სოციალური ინსტიტუტების გამიზნული საქმიანობა მოსახლეობის გამრავლების პროცესის, დემოლოგიური მოვლენების რეგულირების სფეროში. იგი მოიცავს მიზნებისა და მისი მიღწევების საშუალებათა სისტემას.

დემოლოგიური პოლიტიკის ობიექტებია, როგორც მთელი ქვეყნის, ასევე მისი ცალკეული რეგიონის მოსახლეობა; სხვადასხვა სოციალურ-დემოლოგიური ჯგუფი, მოსახლეობის კოჰორტები და ა.შ.

როგორც წესი, დემოლოგიური პოლიტიკის შემუშავება და გატარება ხდება გრძელვადიანი ინტერესებიდან გამომდინარე.

დემოლოგიური პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკურ, სამართლებრივ, აღმზრდელობით, პროპაგანდისტულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლის მიზანია ჩამოაყალიბოს შესაბამისი საზოგადოებრივი აზრი, დემოლოგიური ქცევის სტანდარტები, საზოგადოებაში შექმნას განსაზღვრული დემოლოგიური კლიმატი.

როგორც ვთქვით, უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკური ღონისძიებები. ზოგადად, კარგი სოციალურ-ეკონომიკური ფონის გარ-

და, მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიზნობრივი ფინანსური და ეკონომიკური დახმარება, შეღავათები, შეღავათიანი სესხები, კრედიტები, საბინაო შეღავათები და ა.შ.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ მხარეს. დიდ როლს თამაშობს ისეთი სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებს ქორწინებას, განქორწინებას, ბავშვთა მდგომარეობას, ოჯახში დედათა და ბავშვთა დაცვას, მშობიარობის ხელოვნურად შეზღუდვას, შრომის რეჟიმს, მიგრაციულ პროცესებს და ა.შ. ამგვარი სამართლებრივი აქტების ერთობლიობა ქმნის ე.წ. „დემოლოგიურ კანონმდებლობას“.

დემოლოგიური კანონმდებლობა არის სამართლებრივი აქტების ერთობლიობა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არეგულირებს მოსახლეობის გამრავლებასთან, სოციალურ და ტერიტორიულ მოძრაობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ქმნის პირობებს მოსახლეობის გამრავლებისათვის, მათ შორის – ეროვნული, სოციალური და სხვა ნიშნების მიხედვითაც.

რა თქმა უნდა, დემოლოგიური კანონმდებლობა არ არის სამართლის დამოუკიდებელი დარგი. ის სამართლის ერთ-ერთი შემადგენელი დარგია, მაგრამ ის დემოლოგიური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.

საქართველოში შექმნილი უმწვავესი დემოლოგიური ვითარება აუცილებლად საჭიროებს ეფექტური დემოლოგიური პოლიტიკის დროულად შემუშავებასა და განხორციელებას. მით უფრო, რომ საქართველოში მიმდინარე დემოლოგიური პროცესები ხშირად მნიშვნელოვანწილად საპირისპიროა მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე დემოლოგიური პროცესებისა. მაგალითად, თუ თანამედროვე პლანეტის ერთ-ერთ უმწვავეს და გლობალურ დემოლოგიურ პრობლემას მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის უაღრესად დიდი ტემპი წარმოადგენს (ჩვენ ვთქვით, რომ ეს პრობლემა გაერომ პლანეტის წინაშე მდგარი ხუთი პრობლემიდან ერთ-ერთ პრობლემად აღიარა), საქართველოში პირიქით, მოსახლეობის რაოდენობის კატასტროფულად კლების საფრთხის წინაშე ვდგავართ.

ეხლა მოკლედ შევეხოთ იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიულ პოლიტიკას, სოციალურ პოლიტიკას, როგორც ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების კომპონენტს.

რასთან არის დაკავშირებული ქვეყნის უსაფრთხოება. რას გულისხმობს ის?

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება პირველ რიგში გულისხმობს მისი მოსახლეობის არსებობასა და განვითარებასთან დაკავშირებული რისკის შემცირებასა და თავიდან აცილებას.

მოსახლეობის არსებობისა და განვითარების პრობლემები კი, ჩვენ უკვე ვნახეთ, უშუალოდ არის დაკავშირებული დემოლოგიურ პროცესებთან, სოციალურ პროცესებთან. სწორედ ეს პრობლემები და პროცესებია დემოლოგიური პოლიტიკისა და სოციალური პოლიტიკის საგანი. სწორედ ამიტომ განიხილება დემოლოგიური პოლიტიკა და სოციალური პოლიტიკა ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად. ამ კომპონენტების მნიშვნელობა, სიმწვავე და აქტუალობის ხარისხი, რა თქმა უნდა, განპირობებულია ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში არსებული დემოლოგიური და სოციალური ვითარებით და მოსალოდნელი სამომავლო ტენდენციებით.

11.6. საქართველოს დემოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები

საქართველოში დღეს არსებული დემოლოგიური ვითარება შეიძლება შეფასდეს, მხოლოდ როგორც კრიზისული. ეს შეფასება კეთდება ყველა ძირითადი დემოლოგიური მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც გვაქვს ბოლო 27 წლის განმავლობაშ და ასევე, სამომავლო პროგნოზით. ეს არის უპირველეს ყოვლისა, შობადობის მკვეთრი დაცემა, ბუნებრივი მატების კლება, ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, მკვეთრად უარყოფითი მიგრაციული სალდო, თუ გნებავთ, ქორწინებისა და განქორწინების მაჩვენებლები. და აქედან გამომდინარე, მოსახლეობის საერთო რაოდენობის მკვეთრი შემცირება.

ქვეყნის დემოლოგიური უსაფრთხოებისათვის უაღრესად სახიფათოა მოსახლეობის რაოდენობის ისეთი მასშტაბური და მზარდი კლება, რომელსაც უკანასკნელ წლებში ადგილი აქვს საქართველოში. 1990-2018 წლებში ქვეყნის მოსახლეობამ, 31,2%-ით დაიკლო. სამწუხაროდ, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის, მოსახლეობა ყველაზე მეტად საქართველოში შემცირდა. მნიშვნელოვანი კლება აღინიშნება ქვეყნის ყველა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში. უაღრესად მძიმე მდგომარეობაა რაჭა-ლეჩხუმში. მოსახლეობის რაოდენობის ასეთი კლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რა თქმა უნდა, შობადობის მკვეთრი დაცე-

მაა. დაბადებულთა აბსოლუტური რაოდენობა 1990-2017 წლებში 1,7-ჯერ არის შემცირებული. 1990 წელს საქართველოში 92,8 ათასი ბავშვი დაიბადა, ხოლო 2017 წელს – მხოლოდ 53,3 ათასი. როგორც პროფ. გ. მელაძე აღნიშნავს, ბავშვთა შობის თვალსაზრისით, ქალების გამორჩეული ასაკობრივი კოჰორტები (20-24 და 25-29 წლები) რაოდენობრივად მუდმივად კლებულობს და ამდენად, მომავალში, შობადობის მაჩვენებლების კიდევ უფრო გაუარესებაა მოსალოდნელი. მატულობს მოკვდაობის მაჩვენებლებიც. განსაკუთრებით მაღალი იყო ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობა. ეს მაჩვენებლები ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფში 3-4-ჯერ მეტია, ვიდრე შესაბამისი ევროპული მაჩვენებელი. ასევე მაღალია დედათა მოკვდაობის მაჩვენებლებიც (ყოველ 100 ათას ცოცხლადშობილზე 23 შეადგინა). ეს ბევრად მეტია, ვიდრე განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლები. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ასევე საგრძნობლად დაბალია სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობაც (როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში).

კვლავ უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით დამაფიქრებელია მოსახლეობის დემოლოგიური დაბერების მაჩვენებელი. 65 წლის და უსფორსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 2018 წელს უკვე 14,6%-ია. გავიხსენოთ, რომ გაეროს მიერ მოსახლეობის დაბერების ზღვრად მიჩნეულია აღნიშნული ასაკის მოსახლეობის 7%-იანი წილი, ხოლო მსოფლიოს მოსახლეობისათვის ეს მაჩვენებელი 8,1%-ია. რთული ვითარებაა გარე მიგრაციის თვალსაზრისითაც. 1990-2017 წლებში მიგრაციის უარყოფითმა სალდომ საქართველოში 1363,3 ათასი შეადგინა. 2017 წელს ქვეყნიდან ემიგრირებულთა 73% რეპროდუქტიული ასაკის იყო (15-49 წელი).

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ აშკარაა მოსახლეობის რაოდენობის შიდარეგიონული დისპროპორცია, დასახლებული პუნქტების, მათ შორის სოფლების დაცლა, საშუალო და პატარა ქალაქების მოსახლეობის შემცირების შედეგად, დიდი ქალაქების წარმოქმნა; რეგიონალური სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისათვის მოსახლეობის რაოდენობრივი შეუსაბამობა.

მკვეთრად შემცირდა საქართველოს მოსახლეობის წილი კავკასიის მოსახლეობაში. ამის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და დასადასტურებლად სათანადო სტატისტიკაც მოვიტანეთ.

ქვეყნის დემოლოგიური განვითარების გაუარესების თვალსაზრისით, ბევრად რთულადაა საქმე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგიონებში. დღეისათვის მოსახლეობის ბუნებრივი მატება აღინიშნება, მხოლოდ სამხრეთ

საქართველოსა და შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში, დანარჩენ რეგიონებში კი ადგილი აქვს დეპოპულაციას.

უახლოეს პერსპექტივაში, დღეისათვის ქვეყნის მხოლოდ ზოგიერთ რეგიონში არსებული დეპოპულაციის ნაცვლად, მოსალოდნელია საქართველოში დეპოპულაციის მასობრივი გავრცელება.

მართალია, ასეთი ნეგატიური დემოლოგიური ტენდენციები დამახასიათებელია მთელი განვითარებული სამყაროსათვის, მაგრამ როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის, საქართველოს სოციალურ-დემოლოგიური პოლიტიკის სტრატეგია? ჩვენი ქვეყანა ხომ განსხვავებული, სპეციფიკური პრობლემების წინაშე დგას. ასეთი მძაფრი, კრისიზული დემოლოგიური ვითარებიდან თავის დაღწევა უპირველეს ყოვლისა ქვეყნის წინაშე მდგარი დემოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების გაანალიზებითა და გადაწყვეტით უნდა დაიწყოს. დემოლოგიური უსაფრთხოება კი, ქვეყნის, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. ნებისმიერი სახელმწიფოს მდგრადი განვითარება, წარმოუდგენელია მდგრადი დემოლოგიური განვითარების გარეშე. სწორედ დემოლოგიურმა უსაფრთხოებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დაცვა ისეთი გლობალური ეროვნული საფრთხეებისაგან, როგორიცაა მოსახლეობის დეპოპულაცია (პირველ რიგში შობადობის მნიშვნელოვანი კლების გამო), სულ უფრო მზარდი დემოლოგიური დაბერება, უმართავი ემიგრაციული პროცესები და ა.შ. აღნიშნული ურთულესი პრობლემების გადასაწყვეტად, ხელისუფლებამ გადაუდებლად უნდა გაატაროს დემოლოგიურ უსაფრთხოებაზე დაფუძნებული, გააზრებული და ძლიერი სოციალური, საოჯახო და დემოლოგიური პოლიტიკა. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობის იყო ის მოვლენა, რომელიც ამ ორი წლის წინ მოხდა. საქართველოს პარლამენტმა განიხილა და 2016 წლის 24 ივნისს დაამტკიცა „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“. მის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მეცნიერმა დემოლოგებმა, საქართველოს დემოლოგთა ასოციციის წევრებმა, ექსპერტებმა. მნიშვნელოვანი იყო განხილვაში გაეროს უცხოელი ექსპერტების მონაწილეობაც. პარლამენტის დადგენილებით, საქართველოს მთავრობას დაევალა კონცეფციის საფუძველზე შეიმუშაოს და განახორციელოს 2030 წლამდე დემოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგია და კონკრეტული სამოქმედო გეგმა. პარლამენტის დადგენილებით, ქვეყნის პრემიერ*-მინისტრის ხელმძღვანელობით, შეიქმნა საქართველოს მოსახლეობის განვითარების ეროვნული საბჭო.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ საქართველოს ახალ კონსტუტუციაში გაჩნდა ახალი სპეციალური ჩანაწერი: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე“.

აღნიშნული კონცეფციიდან გამომდინარე, სოციალურ-დემოლოგიური პოლიტიკის სტრატეგია, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-დემოლოგიურ პროცესებსა და ოჯახის განვითარებაზე მოქმედ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ეთნიკურ, რეგიონულ და სხვა ფაქტორთა ანალიზიდან გამომდინარეობს და წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-დემოლოგიური და ოჯახის სტაბილური განვითარების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერულად დასაბუთებულ შეხედულებათა სისტემას. იგი ითვალისწინებს საქართველოს სოციალურ-დემოლოგიური განვითარებისა და ოჯახის სტაბილურობის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს – მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

იგი სამ ურთიერთგანმაპირობებელ – სოციალურ, დემოლოგიურ და საოჯახო – პრობლემათა გადაწყვეტას გულისხმობს და ამდენად, წარმოგვიდგება, როგორც კომპლექსურ ღონისძიებათა ერთიანი სისტემა.

ამ კონცეფციის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

— არსებული დეპოპულაციის შეჩერება. შობადობის ჯერ სტაბილიზება, შემდეგ გაზრდა და ასევე, მოკვდაობის შემცირება;
— ოჯახის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა. ოჯახის ინსტიტუტის გამყარება;
— მოსახლეობის ჯანმრთელობის, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
— სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა და სხვ.

კონცეფციაში გათვალისწინებულია დედათა და ჩვილთა მოკვდაობის დონის შემცირების, მოსახლეობის რეპროდუქციული და ბავშვთა და მოზრდილთა ჯანმრთელობის გაძლიერებისკენ მიმართული კონკრეტული ზომების მიღება.

დემოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის რეალიზაციის ინფორმაციული უზრუნველყოფა გულისხმობს სახელმწიფო სტატისტიკის, მოსახლეობის აღწერისა და სოციოლოგიურ გამოკვლევათა მონაცემების გამოყენებას.

საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ სანდო ცნობების მისაღებად თანამედროვე ინფორმაციული მოთხოვნებისა და დემოლოგიური განვითარების სფეროში, საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამ-

ისი სახელმწიფო სტატისტიკური დაკვირვების სისტემის (მოსახლეობის რეგისტრის) შექმნას.

საქართველოში დემოლოგიური პოლიტიკის გატარების საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფას, ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში სოციალური რეკლამის გაფართოებას, თემატური ტელე და რადიო პროგრამების შექმნას, სასწავლო პროგრამების შემუშავებას, მოსახლეობის ფართოდ ინფორმირებას. დემოლოგიური განათლების დანერგვას. მაღალკვალიფიციურ, პროფესიონალ დემოლოგთა აღზრდის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. კონცეფციის ეს მოთხოვნა პრაქტიკულად უკვე შესრულებულია (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მოქმედებს დემოლოგიაში სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო საქართველოს საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში დემოლოგიისა და სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა).

აუცილებელია შემუშავდეს ძლიერი დემოლოგიური ნორმატიულ–სამართლებრივი ბაზა.

პარლამენტის დადგენილება ითვალისწინებს მეცნიერებისა და სახელმწიფო დაწესებულებების მჭიდრო და სისტემურ თანამშრომლობას, ასევე, ფართო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას.

გამოყენებული ლიტერატურა

(შემჩნეული კორექტურული შეცდომების გასწორება)

1. არისტოტელე. პოლიტიკა. ნაწილი I. თბილისი. 1995 წ., ნაწილი II. თბილისი, 1996 წ.;
2. Алиева Б. Демографические процессы в современном Дагестане. 2007;
3. Baird V. World population. 2009,Oxford, UK;
4. ანთაძე კ. (1973). საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. (ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევა). თბილისი, 1973 წ.;
5. Бачи Масимо. Демографическая история Европы. С.Петербург. 2010;
6. ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილის გ. საქართველოს ისტორია. ტ. I. თბილისი. 1958 წ.;
7. ბორისოვი ვ. დემოგრაფია. ა. სახვაძის ქართული თარგმანი კომენტარებით. თბილისი. 2001 წ.;
8. Брук С. Население мира. 1986 г.;
9. Бьюкенен П.Дж. Америка против Америки. 2004 г.;
10. გამახარია ჯ. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბილისი, 2005;
11. Гамахария Дж. (гл. редактор). Абхазия. Очерки из истории Грузии. Тбилиси, 2009.
12. Гамахария Дж., Гогия Б. Абхазия - историческая область Грузии. Тбилиси, 1977 г.;
13. გასვიანი გ., გასვიანი თ. ჩრდილოკავკასიის ხალხები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე. თბილისი, 2006 წ.;
14. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი, 2011 წ.; გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი. ორ ტომად. ტ.1: გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი, 2018 წ.;
15. გაჩეჩილაძე რ. საქართველო მსოფლიო კონტექსტში. თბილისი, 2013 წ.;
16. გაჩეჩილაძე რ. ჩემი XX საუკუნე. თბილისი, 2008 წ.;
17. გიგინეიშვილი ო. თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბილისი, 1963 წ.;
18. ე. გიდენსი. „სოციოლოგია“. თბილისი, 2010 წ.;
19. გოგსაძე გ. მოსახლეობის გეოგრაფია. თბილისი, 2010 წ.;
20. გუგუშვილი პ. (1949). საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება. ტ. I. თბილისი. 1994 წ.;
21. გუგუშვილი პ., ჩანტლაძე ვ., ჩიქავა ლ., კოშკელაშვილი ა. ეკონომიკური დემოგრაფიული ტერმინოლოგია. თბილისი, 2001 წ.;
22. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი გ. წულაძე. თბილისი, 2005 წ.;
23. Демографический энциклопедический словарь. 1985 г.;
24. Вандескрик Кр. Демографический анализ. 2005.;
25. ზაქარაია პ. შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის. თბილისი, 1996 წ.;
26. ზაქარაია პ., აბრამიშვილი გ., ციციშვილი ი. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები. თბილისი, 20002 წ.;
27. ზლოტნიკოვი ა. დემოგრაფიული იდეები და კონცეფციები. მინსკი, 2014 წ. ა. სახვაძის ქართული თარგმანი;
28. თეთვაძე შ., თეთვაძე ო. (1998). სომხები საქართველოში. თბილისი. 1998 წ.;
29. თოთაძე ა. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. თბილისი, 2009 წ.;
30. თოთაძე ა. ოსები საქართველოში. თბილისი, 2006 წ.;
31. თოფჩიშვილი რ. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. თბილისი, 2007 წ.;

32. Kaa Van de d. Europe's Second Demographic transition. Populations bulletin 1987;
33. კალჰაუნი ქ., ლაითი დ., კელერი ს. სოციოლოგია. თბილისი, 2008 წ.;
34. კვიციანი ჯ. კავკასია და კავკასიელები.
35. Клунт М. Демография регионов земли. 2005 г.;
36. კოდუა დ. სოციოლოგია. ნაკვეთი I. თბილისი, 1995 წ.; ნაკვეთი II, თბილისი, 1999 წ.;
37. კოლა დ. პოლიტიკური სოციოლოგია. თბილისი, 1999 წ.;
38. კოპალიანი ე. ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან. თბილისი, 1962 წ.;
39. კოპალიანი ე. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორია. თბილისი, 2014 წ.;
40. Крупнов Е. Древняя история Северного Кавказа. 1960 г.;
41. ლორთქიფანიძე ვ. სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბილისი, 1994 წ.;
42. ლორთქიფანიძე ვ. ისტორიული მესხეთი. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბილისი, 1998 წ.;
43. ლორთქიფანიძე ვ., თოთაძე ა. ერი ერმა უნდა გადაარჩინოს. დემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საქართველოში. თბილისი, 2007 წ.;
44. Lordkipanidze V., Totadze A. The population of the Caucasus. New York, 2009;
45. ლორთქიფანიძე ვ. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება. ისტორია, დღევანდელობა, პერსპექტივები. თბილისი, 2014 წ.;
46. Lordkipanidze V. Demographic Development and Demographic Security in Georgia. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. 2016, vol. 10, №1;
47. ლორთქიფანიძე ო. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი, 1976 წ.;
48. ლორთქიფანიძე ო. ძველი ქართული ცივილიაციის სათავეებთან. თბილისი, 2002 წ.;
49. მალთუსი თ. გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ. I ტ. თბილისი, 2004 წ.; II ტ. თბილისი, 2005 წ.;
50. Медков. Демография. 2008 г.;
51. მელაძე გ. საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები. თბილისი, 2013 წ.;
52. მელაძე გ., წულუკიძე გ. საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები. თბილისი, 1997 წ.;
53. მელიქიშვილი გ., აფაქიძე ო., მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორია. ტ. I. თბილისი, 2012 წ.;
54. Метревели Р. Кавказская цивилизация в контексте глобализации. Стокгольм. 2009 г.;
55. მონტესკიე შ. კანონთა გონი. თბილისი, 1994 წ. დ. ლაბუჩიძის ქართული თარგმანი ფრანგულიდან.
56. Oppenheimer St. Out of Eden. 2003.
57. პაპავა ვ;., ისმაილოვი ე. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბილისი, 2015 წ.;
58. პაპასკირი ზ. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. I, II ნაკვეთები. თბილისი, 2004 წ.;
59. Политика народонаселения: настоящее и будущее. МГУ, 2005 г.;
60. Poston D, Bonvier L. Population and Society/An introduction to Demography. 2010;
61. Populations of Azerbaijan. Baru. 2006;
62. Разыскания по истории Абхазии (Грузия). Академия наук Грузии. Тбилиси, 1999 г.;
63. Результаты переписи население Республики Армения. Ереван, 2001 г.;
64. როდოსელი აპოლონიოს. არგონავტიკა. თბილისი.
65. სახვაძე ა. დემოგრაფიული ეტიუდები. თბილისი, 2005 წ.;

66. სახვაძე ა. უილიამ პეტი და მისი პოლიტიკური არითმეტიკა. თბილისი, 2014 წ.;
67. სახვაძე ა. ქვრივები საქართველოში. თბილისი, 2014 წ.;
68. სახვაძე ა. მსოფლიოს მოსახლეობა 6 მილიარდი გახდა. სამეცნიერო ჟურნალი „დემოგრაფია“. №1, 1999 წ. თბილისი;
69. საქართველოს ისტორია. სარედაქციო კოლეგია: მ. ლორთქიფანიძე, ო. ჯაფარიძე, რ. მეტრეველი, ლ. მუსხელიშვილი. ტ. IV. თბილისი;
70. Сови А. Общая теория населения. т. I, II, 1977.;
71. Социологический энциклопедический словарь. 1998 г.;
72. სულაბერიძე ა. ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. თბილისი, 2007 წ.;
73. ურუშაძე ა. ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში. თბილისი, 1993 წ.;
74. ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბილისი, 1959 წ.;
75. ქიქოძე გ. ერეკლე მეორე. თბილისი, 1941 წ.;
76. ყაუხჩიშვილი თ. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1960 წ.;
77. შელია მ. მოსახლეობის დაბერება საქართველოში. თბილისი, 1999 წ.;
78. ჩიქავა ლ. დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები. თბილისი, 2002 წ.;
79. ჩიქავა ლ. დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა. თბილისი, 2008 წ.;
80. ჩიქავა ლ., ლორთქიფანიძე ვ., სახვაძე ა. ადამიანური რესურსები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შრომები, საქართველოს ბუნებრივი რესურსები, ტ. II. თბილისი, 2015 წ.;
81. ცომაია ა. რჩეული თხზულებანი. თბილისი, 2000 წ.;
82. წოწკოლაური ა. საქართველოს ისტორია. თბილისი, 2015 წ.;
83. წულაძე გ., სულაბერიძე ა. დემოგრაფიის საფუძვლები. თბილისი, 2015 წ.;
84. ხმალაძე ვ. დემოგრაფიის საფუძვლები. თბილისი. 1994 წ.;
85. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია და დემოგრაფიული ძეგლები. ტ. IV. თბილისი. 1996 წ.;
86. ჯავახიშვილი ივ. თხზ. ტომი 1. თბილისი, 1979 წ.;
87. ჯავახიშვილი ივ. თხზ. ტომი 12. თბილისი, 1998 წ.;
88. ჯანაშია ს. შრომები. ტ.V. თბილისი, 1987 წ.;
89. ჯაოშვილი ვ. მოსახლეობის გეოგრაფია. თბილისი, 1983 წ.;
90. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII–XX საუკუნეებში, თბილისი, 1984 წ.;
91. Яковлев А. (Главный редактор). Сталинские депортации. Сборник документов;
92. ჰეივუდი ე. პოლიტოლოგია. თბილისი, 2010 წ.;
93. საქართველოს მოსახლეობის წელიწდეული 2011–2015 წწ;
94. World population. UNFPA. 2011_2016;
95. World population Prospects. 2016;
96. Yearbook of labour statistics, ILO;
97. World population policies 2013. UN.NY 2013;
98. Report on the world population Situation. 2014. UN.NY 2014;
99. http//demoscope.ru//
100. http//www.demostudy.ru
101. http//www.population.org
102. http//census.com
103. http//inssp.org